

ჯემალ მებრიშვილი



აღვირახსვეტილი  
მაროდირობა

ჯემალ მესრიშვილი

# აღვირახსვეტილი მაროდორობა

თბილისი  
2024

გარეკანის პირველ გვერდზე - „ისინდის“ რედაქტორი  
**იკა ქადაგიძე** „კავკასიური სახლის“ აივანზე.  
ფოტოსურათი ამოღებულია ჟურნალიდან „ისინდი“  
(2021, N12, გვერდი 7).

## ცოტა რამ ავტორზე

### ალექსი ჭინჭარაული

„...1964 წელია. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ფარნაოზ ერთელიშვილი. შემოვიდა აბიტურიენტი – ჯარისკაცი, მშვენიერი შესახედავი, კარგი ვაჟკაცი. იმ დროს ჯარისკაცებს ცოტა არ იყოს, ამრეზით ვუყურებდით, ვფიქრობდით – საიდანღაც ჩამოსულს, რა ეცოდინებაო. იშვიათობა იყო, ვინმეს რაიმე სცოდნოდა!

ახალგაზრდამ აიღო ბილეთი და დახედა თუ არა საკითხებს, მაშინვე მოისურვა გამოსვლა. კი ვუთხარი – რა გეჩქარება, ჯერ კარგად მოიფიქრეო, მაგრამ დაიჟინა – მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, საკითხები ვიცი და ახლავე გამოვალო.

ამან უფრო გაგვაკვირვა. მე, გამომცდელს რომ ამელო ის ბილეთი, ისე ვერ მოვყვებოდი, როგორც ის ბიჭი ჰყვებოდა. იმდენად ავლელდი, რომ ვატყობ, სადაც არის, ცრემლები უნდა გადმომცვივდეს, მაგრამ იქ ტირილს ხომ არ დავინწყებდი?! ფარნაოზს ვუთხარი – მე პაპიროსს მოვწვევ და გამოცდა თქვენ გააგრძელეთ-მეთქი.

გავედი დერეფანში და ვენევი პაპიროსს, მაგრამ ცალი თვალი თან აქვთ მაქვს – ბიჭი შეუფერხებლად პასუხობს და პასუხობს!.. რომ არა და არ მივბრუნდი, ფარნაოზმა ხელი დამიქნია – მოდიო და რომ მივედი, მითხრა: ახლა მეორე არწივი დაიბანს თვალს და შენ მოუსმინეო – და თვითონ გავიდა სიგარეტის მოსაწვევად: თურმე იმასაც ეტირებოდა.

ის აბიტურიენტი ახალგაზრდა ჯემალ მეხრიშვილი იყო – მერე ჟურნალ „მნათობში“ ბეჭდავდა არცთუ ისე ურიგო მოთხრობებს“...

(ჟურნალი „გზა“, 2001 წ. №20).

\* \* \*

## თინა დონუაშვილი

„Джемал Мехришвили — выпускник ТГУ. В отличие от предыдущих авторов, он историк. Его биография богата встречами с интересными людьми, событиями. Он прошел службу в армий, побывал на целине, жил в большом городе и знает запах свежей травы. вероятно поэтому так ярка и так объемна палитра его красок.

Мехришвили с одинаковой легкостью находит характерные штрихи, нюансы к портрету человека любой профессии, национальности. Понравилось в нем и то, что автор умеет заставить читателя поразмыслить над написанным, подумать, постигнуть все, что сказано и что осталось за строчками“.

(„მოლოდიოჟ გრუზიი“, 1974 წ., 19 ოქტომბერი).

\* \* \*

## რევაზ ჯაფარიძე

„ცალკე უნდა გამოვეყო ახალგაზრდა ავტორის ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი. ავტორი ისე ხელშესახებად, რელიეფურად, საქმის ცოდნითა და ტემპერამენტით გვიხატავს გმირის სულიერ სამყაროს, ძნელია მის მიმართ პატივისცემითა და მოკრძალებით არ განიმსჭვალო“.

(„ლიტერატურული საქართველო“, 1975 წ. 18 ივნისი).

\* \* \*

## ჯუმბერ თითმერია

„საყურადღებოა ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი „შენი მინა“. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად ეს არის მოთხრობა... აბა, არსენ კობაიძის შრომითი გმრობის ამბავი ვის არ სმენია?! რამდენი რამაა დაწერილი ამ სამაგალითო მშრომელ კაცზე!

მაგრამ ჯ. მეხრიშვილმა არსენ კობაიძე გვიჩვენა ყოფაში, გვიჩვენა მხიარულების დროს, გვიჩვენა თანასოფლელებთან პურის ჭამისას, ძმაკაცებში ხუმრობა-თავშექცევის დროს... არავითარი სქემა, არავითარი ტრაფარეტი. უსმენთ ადამიანს, ხედავთ ადამიანს, გჯერათ მისი, გნამთ.

ჯ. მეხრიშვილის ეს ნარკვევი ფორმით ორიგინალურია, დაწერილია ძარღვიანი ქართულით...”

(„ლიტერატურული საქართველო“, 1976 წ., 27 თებერვალი).

\* \* \*

### გიორგი ნატროშვილი

„...ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდა შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის ჯემალ მეხრიშვილი. მას აქვს მხატვრის ნამდვილად გამჭრიახი თვალი, აქვს უნარი დანახულის ოსტატურად გადმოცემისა: მოთხრობაში, რომელსაც „ძროხები“ ეწოდება და რომელმაც მკითხველის ღრმა ინტერესი გამოიწვია – ახალგაზრდა მწერალმა აღწერა ერთი დღე ბოდბისხევის ბაზარზე – და იმავე დროს მან დახატა მთელი დღევანდელი სოფელი თავისი საზრუნავით, საფიქრალით...”

ჯემალ მეხრიშვილი წერს დღევანდელი საქართველოს სოფელსა და ქალაქზე. მწერალი საფუძვლიანად იცნობს ხალხის ცხოვრებას, საუცხოოდ ფლობს ქართული ენის მთელ უმდიდრეს საგანძურს.“

(ნანყვეტი ჯ. მეხრიშვილის „მოთხრობების“ კრებულის წინასიტყვაობიდან. „მერანი“, 1977 წ.).

\* \* \*

### გივი ვარდოსანიძე

„ინტერესით იკითხება ახალგაზრდა მწერლის ჯემალ მეხრიშვილის „შირაქელი თავკაცი“. რა განაპირობებს ამას? ცოცხალი, ბუნებრივი ენა, სადა, დახვეწილი სტილი, შეკუმშული კომ-

პოზიცია, ცოცხალი, დამაჯერებელი დიალოგები, მოხდენილი თქმები და სხარტულები, რაც მოხერხებულად არის ჩართული თხრობაში...

ჩანს, ჯემალ მეხრიშვილი კარგად იცნობს სოფლის ცხოვრებას, საერთოდ, მის ადამიანებს. მას შეუძლია მხატვრული შტრიხებით წარმოაჩინოს ხასიათის არსებითი თვისებები, ცხოვრებაში და ადამიანში შენიშნოს მთავარი, არსებითი.“

(ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1979 წ., №2).

\* \* \*

### შალვა ამინაშვილი

„... ახალგაზრდა მწერლის, ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობების სანაქებო ღირსებაა სათქმელის აქტუალობა, მებრძოლი პათოსი. ის წერს იმაზე, რაც აღელვებს მას, როგორც მწერალსა და მოქალაქეს, რომელიც პასუხისმგებელია დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე...“

(ალმანახი „კრიტიკა“, 1979 წ., №3).

\* \* \*

### გურამ გვერდნიელი

„ყურადღებას იქცევს ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობები მარტივი სიუჟეტით, უშუალო თხრობით; მწერალი გვიყვება უბრალო და საინტერესო ამბებს უბრალო და საინტერესო ადამიანებზე...“

ყველა მოთხრობა ცალკე და ყველა ერთად სავსეა თითქოს უშუალო ყოფიდან აღებული სურათებით, ეგრეთ წოდებული პატარა ადამიანის სულიერი სილამაზის გამოხატულებით, მათდამი დიდი ადამიანური თანაგრძნობით...“

(„მნათობი“, 1982 წ., №5).

„ახალგაზრდა მწერლის, ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობების გმირები თანამედროვე ადამიანები, ძირითადად ახალგაზრდები არიან - თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. მწერალი ყოველ მათგანს სიყვარულითა და დიდი დაკვირვებით ხატავს. ისინი ცხოვრებიდან არიან მოსულნი: თითოეულს გააჩნია თავისი პირადი „მე“, საკუთარი სამყარო, დამოუკიდებლად მოქმედებენ და პოულობენ ადგილს ცხოვრებაში...

ტიპიურ გარემოში ტიპური გმირები კარგად დაინახა მწერალმა. მწერლის იდეა - თანამედროვე ადამიანების სახეების შექმნა გამარჯვებით დაგვირგვინდა. არ იგრძნობა სქემების საშიშროება - ლიტერატურული გმირები რეალური ადამიანებივით მოქმედებენ, თითქოს არც იყვნენ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი. ადამიანის სევდისა თუ სიხარულის უეჭველი მოტივირებით მწერალმა შეძლო მოეცა ამა თუ იმ მოვლენის დასრულებული სურათი...

არიან მწერლები, რომელთაც უცებ გაუვარდებათ ხოლმე სახელი პრობლემურ თემაზე ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოების წყალობით. ასევე არიან სენსაციური ნაწარმოების ავტორებიც, რომლებიც უცებ მიიქცევენ ყურადღებას, მაგრამ უცებვე ავიწყდებათ ისინიც და მათი ნაწარმოებებიც!

ჯემალ მეხრიშვილი არც პირველ კატეგორიას ეკუთვნის და არც მეორეს. მან თითქოს შეუმჩნევლად, როგორც იტყვიან ხოლმე, უპრეტენზიოდ შემოიღო ფეხი მწერლობაში, მაგრამ თან შემოიტანა სიტყვის თავისებური სურნელება, ყოველგვარი მალალფარდოვანი ფრაზების გარეშე შექმნა ლიტერატურული გმირების მრავალფეროვანი და რეალური სახეები.

თუ არა კარგად შენიშნული პრობლემები, კარგად დანახული მტკივნეული საკითხები, დეტალები, იდეურად გამართული აზრები, ნაწარმოები ისე ვერ უპასუხებს დღევანდელი კითხვებს!

ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობებში. ასეთივეა მათი მხატვრული დონეც“.

(„წიგნის სამყარო“, 1984წ. 11 იანვარი).

\* \* \*

## ელგუჯა ლებანიძე

„ო, როგორ „მოერგებოდა“ ასეთ „შემოქმედებს“ მშვენიერი მწერლის, საუკეთესო მოქართულის, ჯემალ მეხრიშვილის მახვილი კალამი, რომელმაც უთავბოლო და გაუმართლებელ არასასურველ ექსპერიმენტს მთელი წიგნი მიუძღვნა („PEN-მართონი თუ კამიკაძეთა პიკნიკი?!“ თბილისი, 2008)“.

(გაზეთი „შანსი“, 2010 წ. N10, 9-16 მარტი).

\* \* \*

## თენგიზ ჩხაიძე

„... უახლეს ლიტერატურულ ტენდენციას წვრილმანი თემატიკა და გადაჭარბებული, უხამსობაში გადასული ეროტიზმი ახასიათებს. კომერციული პრინციპის გაბატონებამ, ლიტერატურის თავშესაქცევ საგნად მიჩნევამ, შეფასების კრიტერიუმების მოშლამ, პროფესიონალიზმის უგულვებლყოფამ, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების უკუღმართად გამოყენებამ გზა გაუხსნა უამრავ ბედის მაძიებელ მოხალისეს. ხდება ლიტერატურის პროფანცია, „მოდას“ მორგებულ მედროვე კალმოსანთა, ენის უხეირო მცოდნეთა ან შეგნებულად წამრყენელთა წახალისება სხვადასხვა გზითა და საშუალებებით, ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული და ტელერეკლამით, ლიტერატურული პრემიების ჩამორიგებით დამთავრებული.“

ვისაც სურს, ამ ახალი ნაკადის ლიტერატურულ ღირებულებას გაეცნოს, ნაიკითხოს მწერალ ჯემალ მეხრიშვილის ფრიად საყურადღებო კრიტიკული წიგნები - „გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?!“ (2006), „თავფარავნელი დედაბრის ალქიმია“, (2007), „Pen - მართონი თუ კამიკაძეთა პიკნიკი?!“ (2008).

(2010, N8, სექტემბერ-ოქტომბერი).

## ნაკურთხი მწერალი

„...ჯემალ მეხრიშვილის მხატვრულ პროზაში გამოირჩევა კრებული „ნაკურთხი მარილი“. თვით ის მოთხრობა, რომლის სახელიც მთელ წიგნსა ჰქვია, ერთობ საინტერესოა, მრავალმხრივ საგულისხმეოა. ამბავი ასეთია: ოჯახის მამა მოკვდა. დედა საქელეხე თადარიგის დასაჭერად ამოძრავდა. ქალაქიდან ჩამოსწრაფებულმა შვილებმა თავი გაიგიჟეს: ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ, ნაამაგევ მშობელს პატივით დავკრძალავთო. რაღა აღარ მოიტანეს, იშოვეს, მოიმკლავიეს. ბერიქალს კი ცხვირი არაფერში ჩააყოფინეს. ყველაფერი უხვად დაიმარაგეს. დედაკაცს გულმა მაინც ვერ გაუძლო, მარანში შეიპარა, ჰკითხა მოფუსფუსე მომსახურებესა და შვილებს – ნაკურთხი მარილი მოტანილიაო? ყველა გასახტდა. აღმოჩნდა, ამაზე არავის ეფიქრ-ეზრუნა. არადა, ეს უმთავრესია, უმთავრესია ნაკურთხი მარილი, რადგან რელიგიურია, ქრისტიანულია, ჩვენებურია, ქართულია!

ახლა საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებსა და ესეებში ყველაფერი უხვადაა, ბარაქიანადაა, მხატვრული პრობლემები გერგილიანადაა გადანყვეტილი, ოღონდ მაინც საკითხავია: ნაკურთხი მარილი თუ სცხია მათ? ანუ როგორია მწერლის ენა - ენობრივი ქსოვილი, მარილი ყოველგვარი მხატვრული ქმნილებისა?

თამამად უნდა ვუპასუხოთ:

ნაკურთხი მარილი მოტანილია, უხვადაც არის მომარაგებული!

ჯემალ მეხრიშვილი იყო, არის და რჩება ერთ-ერთ საუკეთესო მოქართულედ, ჯავარიანი სიტყვის მწრთობელ-მჭედლად, ეროვნების ბურჯის ერთ თავდადებულ ებგურად.

შემოქმედის ენობრივი პოზიცია გამომდინარეობს საერთო მწერლური მრწამსიდან: „ქართველურად ვიცხოვროთ და ქართველურად დავიხოცოთ! /„გეორგია – საქართველო!“/

ჯემალ მეხრიშვილი კონკრეტული დროის, ლოკალური ეპოქის მწერალია. მისმა ფრაზამ, მხატვრობამ, სიტყვის ლალიანო-

ბამ თავისი ლოკალური როლი შეასრულა. მან ერთგვარად ერთ-მანეთს გადააბა და დაუკავშირა წინა თაობის კეთილმოქართულეთა მიღწევები და დღევანდელ კარგმოქართულეთა დასები. მან წინ წასწია როგორც რეალისტური პროზის მხატვრული ოსტატობა, ისე – ენა, მშობლიური მეტყველება. ის ხიდია, რომელზედაც, ვინ იცის, შემოქმედთა რამდენმა ასეულმა მწყობრი ნაბიჯით გადაიარა.

აი, ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი შემოქმედებისა.

მაშინაც კი, როდესაც მწერალი შედარებით წვრილმან თემაზე წერს, ბარაქიან ენას მაინც არ ეშვება / არცა ძალუძს, შეეშვას / და უნებლიეთ ფიქრობ: „წვრილმან თემებსაც მძლავრი ფრთები შეუსხამთ ღალიან - ბარაქიანი ქართულის შემწეობით“.

მდიდარი ქართული მეტყველების შესაქმნელად ავტორი ძირითადად იყენებს სამ საშუალებას: ა/ გამართული სინტაქსი; ბ/ ხალასი ხალხური მეტყველება; გ/ მდიდარი ლექსიკა.“

(ნაწყვეტი წიგნიდან „კრიტიკული წერილები“, თბილისი, 2011).

## მურმან თავდიშვილი

„...ეს რომ გააკეთო, მწერლური გეშითა და გუმანით უნდა იყო დაჯილდოებული და ჯემალ მეხრიშვილივით დახვეწილი სტილისტი ბრძანდებოდე“.

(„მწერლის გაზეთი“, 2013 წ.1-31 დეკემბერი, „დავლური...“, გვ. 9).

# აღვირახევეტილი მაროდოროზა

მე არც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური ვარ,  
მხოლოდ ვიცი, რომ მამელუკი ვარ!

უიარაღო, „მამელუკი“

## თავი პირველი

1

**მწერლურმა** სატანჯველმა მეც დაახლოებით ამ დღეში ჩამაგდო: აღარც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური ვარ, მხოლოდ ვიცი, რომ ქართული მწერლობის ერთ-ერთი რიგითი მამელუკი ვარ და სანამ ძალი მომდევს, მისი სინმინდისა და სამართლიანობისთვის უნდა ვიქნეო ჩემი სადა ხმალკალამი!

მაშ, მომისმინეთ!

2021 წლის ივნისს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში აქამდე გაუგონარი, დაუჯერებელი, წარმოუდგენელი, გამარინდებელი, აღსაშფოთებელი და დასაგმობი რამ მოხდა: ოთხი წლის ლიტერატურული ჟურნალის, „ისინდი“ რედაქტორმა, **იკა შალვას ასულმა ქადაგიძემ** (დაბადებული 1972 წელს) ამავე ჟურნალის მე-13 ნომერში გამოქვეყნებულ თავის ოცგვერდიან წერილში „ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ვირტუალური გვერდების ქრონიკა“ მთელი საქართველო მკაცრად გააფრთხილა, ქართველ მწერლებს კი ფეხი მუქარით დაგვიბაკუნა - არაფერი შეგეშალოთ, იცოდეთ, **მე ბასრი კალამი მაქვსო!!!**

ასე რატომ ჩაგეცინათ - არ გჯერათ?! აჰა, თქვენც მოუსმინეთ!

**„ეს მისია** (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), **ჩვეულებისამებრ** (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), **ჩემს ბასრ კალამს უნდა ეტვირთა...“**

---

1. წიგნი ზედმეტად რომ არ გადატვირთულიყო, ამიტომ აქ ყველა პიროვნება მოიხსენიება „ქალბატონისა“ და „ბატონის“ გარეშე. იმედია, მკითხველები ამას გაგებით მოეკიდებიან (ავტორი).

2. ყველა ოპონენტის ფოტოსურათი ამოღებულია ჟურნალიდან „ისინდი“ (ავტორი).

3. ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია (გამომცემლობა).

**„დიდი ხანია (მაინც რამდენი ხანია?!. თან აქაც მძიმე უნდოდა! ჯ.მ.), ჩემი ბასრი კალამი მოყვარეს აქებს და მტერს აკრიტიკებს“.**

ქართველ მწერალთა ეს რა არაგონივრული დაყოფაა: არ შეიძლება თვით **„მტერიც“** კი დამსახურებული ქება-დიდებას ღირსი იყოს, ხოლო **„მოყვარე“** - მკაცრი კრიტიკის?!

ახლა ნებისმიერ დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან დაასახელოს მეორე ისეთი მაგალითი, რომელიმე გენიოსი, ტოლდაუდებელი პოლემისტი, ლიტერატურის კლასიკოსი, დიდი პოლიტიკოსი, მემუარისტი ან თუგინდ რამეთი გამორჩეული მოღვაწე თავის თანამედროვე საზოგადოებას და თვით მომავალ ეპოქებს ასე მოურიდებლად ასტრბახებოდა – **მე ბასრი კალამი მაქვსო!!!**

პირიქით, ყველა მათგანი საქვეყნოდ აღიარებულ თავისი კალმისა და აზროვნების სიბასრეს არც არასოდეს ახსენებდა - მხოლოდ წერის სიძნელესა და მასთან დაკავშირებულ ტანჯვა-ვაებას უჩიოდა!

რად ღირს თუგინდ ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები, ნინო ანდრონიკაშვილ-ჯორჯაძეს რომ სწერდა.

**„ჩემი ღირსება დედაბუდიანად ერთ თხილის ნაჭუჭშიაც თავისუფლათ მოთავსდება და თქვენ მიერ შემოთვლილ ქება-დიდებას კი საძნე ურემიც ვერ დაიტევს“.**

დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ლექსის ეს სტროფი?

**პოეტად ვიხსენიები,  
თუმცა ხარი ვარ ლაბაო;  
ჩემისთანები ბაგებზე  
ასი, ათასი აბაო.**

კი მაგრამ, რალა მაინცდამაინც **ლაბა?!** აქ ვაჟა-ფშაველა გენიოსთათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით თავს **ლაბას** განზრახ ადარებს, ვინაიდან ლაბა **რქებდახრილ** ხარს ეწოდება!

იკა ქადაგიძე კი... თუმც ეს მისი პირადი საქმეა, როდის რას განაცხადებს! პირად საქმეში ჩარევის უფლება კი არავისა აქვს! მაგრამ მან ჩვენს საზოგადოებას და ქართული მწერლობის „მამელუკებს“ რაკი არჩევანი აღარ დაგვიტოვა, ამიტომ ამასთან

დაკავშირებით მეც მხოლოდ საკუთარი განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმას ვაპირებ!

და როგორც ატმოსფეროში დაეღუპებულ დღეებში გიგანტური განმუხტვა იწვევს ელვა-ქუხილს, ქარ-წვიმას, სეტყვას და მეხთტყვას, მწერლობაშიც მსგავსი რამ ხდება - პოლემისტების აზრთა სხვადასხვანაირობის შეჯახება-განმუხტვა განაპირობებს ლიტერატურული კრიტიკის მშვენიერებასა და მიმზიდველობას!

მაშ, შევუდგეთ საქმეს და მსჯელობისას თავისთავად გაცხადდება: „ისინდის“ რედაქტორის, იკა ქადაგიძის კალამი მართლა ბასრია, ჩვეულებრივი, ჩლუნგი, ფხაჭნია, წრიპინა, თხუპნია, წვერმოტეხილი, ახლიდან გამოსანკეპი თუ...

ჟურნალის ამავე, მე-13 ნომერშია დაბეჭდილი **მარიამ ტოხიშვილის** ტექსტი „**შეშლილი სამყარო**“. აი, ზუსტად როგორია მისი პირველივე ორი წინადადება.

**„მზე ჩადიოდა. კოკისპირულად წვიმდა“.**

მსოფლიოში ყველაზე უძველესი, ასურულ-ბაბილონური (აქადური) ლიტერატურული ძეგლის, „**გილგამეშის ეპოსისა**“ და **ჰომეროსიდან** მოკიდებული, თანამედროვე დებიუტანტების ნაწარმოებებით დამთავრებული, ნეტა სადმე თუ იპოვით ასეთ კლიმატურ საოცრებას - მოწმენდილ ცაზე მზის ჩასვლა ჩანდეს და თან... კოკისპირულადაც წვიმდეს!

ამგვარი თავსხმისას მოშავბნელებული ღრუბლებისა და წვიმის სქელი ფარდისგან ხელის განწმენაზეც აღარაფერი მოჩანს ხოლმე და მზის ჩასვლა როგორღა უნდა დაინახებოდეს?!

მერე, ბასრკალმიან რედაქტორს ეს ვერ უნდა შეენიშნა და ჩაესწორებინა?! ანდა, სამყაროს რა უფლებით უნდა ვუნოდოთ შეშლილი?!

შეშლილი შეიძლება უნოდონ პიროვნებას... დიქტატორს... სახელმწიფოს მმართველ ელიტას... მსოფლიოს და ა. შ. სამყარო კი არც შეშლილია, არც მორცხვი, არც კორუმპირებული, არც ზარმაცი და არც დარდიმანდი - არსთა გამრიგის მიერ ოდესღაც დადგენილი წესით ის განუხრელად განაგრძობს თავის არსებობას!

\* \* \*

**ამავე, მე-13 ნომერშია გამოქვეყნებული სანდრო ნებიერიძის მოთხრობა „წვიმა“.**

ახალდაბადებულ ჩვილზე ავტორი აი, რას ამბობს.

**„თვალებს ლულავს და პატარა, ახალთახალი სხეულით ცდილობს, გაიზმოროს“.**

მსოფლიო ლიტერატურაში ახალშობილი ჩვილის სხეულისთვის ნეტავი სადმე სხვაგანაც უნოდებიათ **„ახალთახალი“** თუ ბასრკალმიანი რედაქტორის წყალობით ეს საძრახისი პირველობაც ქართველებს დაგვრჩება!.. კი მაგრამ, ახალშობილი ქორფა ჩვილი კომპიუტერია... მიქსერი... კურტანი... ბოტასები... კაბა... დუქარდი თუ მტვერსასრუტი, ავტორი **„ახალთახალს“** რომ უნოდებს, მანდილოსანი რედაქტორი კი - თანაც ორი შვილის დედა! - აინუნშიც არ არის, რომ ჩაასწოროს!.. ესეც რომელიმე რთული გრამატიკული კატეგორია ხომ არ არის?!

ავტორი ერთგან წერს: **„ხეები შრიალებს“**, მეორეგან - **„ხეები იზმორებიან“**. რედაქტორი კი აზრზე ვერ მოდის, როგორმე დააზუსტოს, უსულო საგნებთან მიმართებაში, რომელია სწორი ფორმა - მხოლობითი თუ მრავლობითი.

არ გაინტერესებთ, მოთხრობის მთავარი პერსონაჟი თავისი სარკმლიდან რას ხედავს მოპირდაპირე კორპუსის განათებულ სარკმელში.

**„ქალს ბავშვით მკლავებში“.**

რედაქტორის უცოდინარობით „ისინდის“ ყოველ ნომერში აი, როგორ თახსირდება მშობლიური ენა!

**„პალტოს საყელო ცხვირამდე აინია“.** – უაზროდ მიბარბაცებს ავტორი, მაგრამ პალტოს სყელოს ცხვირთან რა უნდა?!

**„გუბებში სწრაფი ჭყაპა-ჭყუპით გააგრძელა გზა“.**

ეს ჩვენც გვჯერა, მაგრამ მესამე სიტყვას რად უნდოდა დეფიზი – **ჭყაპაჭყუპი, დგაფადგუფი, რახარუხი, აურზაური, ბრახიბრუხი, ხარახურა, ბინდბუნდი** და მისთანა მრავალი სიტყვა ხომ ერთი, მთლიანია და დეფიზით განცალკევებას არ საჭიროებს?! ამიტომ პირდაპირ ხეტდები – რედაქტორმა ეს როგორ არ უნდა იცოდეს?!

**„ხელში ფანქარი მოემარჯვებინა“.** – გვაუწყებს ავტორი.

ბასრკალმიან რედაქტორს ტექსტის რედაქტირებისას ამ ციტატაში პირველი სიტყვა სულ რომ ამოეგდო, ნუთუ ჰგონია, ყუყერი მკითხველები ვერ მიხვდებოდნენ, პერსონაჟს ფანქარი მაინც სად ექნებოდა მომარჯვებული – ხელში... ყურში, ნესტოებში, წამნამებში, ქეროში თუ ქუთუთოებში?!

წელან ნახსენებ ახალშობილზე ავტორი აგერ, ახლა რას გვეუბნება.

**„ცხვირს აცმაცუნებს“.**

ადამიანი, მით უმეტეს, ჩვილი, პირს, ტუჩებს აცმაცუნებს ხოლმე და არა ცხვირს!

\* \* \*

ჟურნალის მე-12 ნომერში დაიბეჭდა ნანა შალამბერიძის მოთხრობა „შეილა“.

„შეილა ფარფატით დაემვა კიბეებზე“. – არხეინად გვაუწყებს ავტორი.

არადა, ერთი ადამიანი ერთდროულად მაინც რამდენ „კიბეებზე“ შეძლებს დაშვებას?! აქ ავტორსაც და რედაქტორსაც კიბის საფეხურები „კიბეებში“ ხომ არ ერევათ?!

ავტორი თვისებურად განაგრძობს.

**„კიბეებს ზევით ავუყევით“. „ჩაუყევით კიბეებს ქვევით“.**

ო, ისევ ეს „კიბეები!“ თან აქ რალა საჭირო იყო ზმნისართების – „ზევით“ და „ქვევით“ – ხმარება, როცა ზმნები – „ავუყევით“ და „ჩაუყევით“ ისედაც გვიჩვენებს პერსონაჟთა მოძრაობის მიმართულებას!

**„კიბეებისა“** არ იყოს, როგორც ავტორს, ისე რედაქტორს ერთმანეთისაგან ვერა და ვერ განუსხვავებიათ **„კარი“** და **„კარები“**.

თუ ერთია, იგი თუგინდ ორფრთიანი იყოს, მაინც **„კარი“** ეწოდება, ხოლო თუ სხვადასხვა კარზეა ლაპარაკი, მაშინ **„კარები!“**, ხოლო **„კარებები“** დამახინჯებული და დაგმობილი ფორმია!

**„კარებს თქვენ არავის გაუღებთ!...“** „ჩემი ოთახის კარებთან (?! ჯ.მ.) იდგა...“ „გაგულისხმებულმა გამოგლიჯა კარი (! ჯ.მ.), მაგრამ კარებთან (?! ჯ.მ.) არავინ იდგა“.

ამგვარი დომხალის შემდეგ მოდი და მართლა გაარკვიე - სად კარია, სად კარები!...

ჟურნალ „ისინდის“ ფურცლებზე აი, ასე მახინჯდება ქართული, ილუზიურ წარმოდგენებით განაბრუები რედაქტორი კი მთელ ინტელექტუალურ საქართველოს ემუქრება - **მიფრთხილდით, მე ბასრი კალამი მაქვსო!**

### 3

**უკვე** მეუხერხულება მსოფლიო ლიტერატურის წარამარა ხსენება. ამიტომ ამჯერად მაინც იქნებ ქართულმა ლიტერატურამ გვიშველოს. მაგრამ მსგავს ანალოგებს აქ თუ ვერსად ვიპოვით, მაშინ დაინტერესებულ მკითხველებს ბუნებრივად მოუწევთ მსოფლიო ლიტერატურული სივრცეების გადაჩხრეკვა, ვინაიდან მე მარტო ვერას გავხდები!

„ისინდის“ მე-13 ნომრის 8-27 გვერდებზეა გადაჭიმული ჟურნალის რედაქტორის, **იკა ქადაგიძის** წერილი „ისინდის“ ვირტუალური გვერდების ქრონიკა“.

მკითხველებს ვთხოვ, ეს სტატია დაკვირვებით გადაფურცლონ: დაწყებული მე-14 გვერდიდან, დამთავრებული 26-ე გვერდის ნახევრამდე ტექსტის 26 სვეტი (!!!) ისეა ჩადულაბებული, რომ არამცთუ ბუნებრივი ქვეთავები, არამედ თუგინდ თითო-ოროლა აბზაციც არსად დაიძებნება!!! ამიტომ ტექსტის ეს ადგილი თავისთავად ემსგავსება ატომური ავიაშიდის მკვიდრ გემბანს!

ამ სტატიის „ბერლინის კედლისებურ“ უნიშანწყლო მონაკვეთში ჩემ მიერ გამოყოფილი ბუნებრივი ქვეთავებისა და აბზაცების რაოდენობას შეგნებულად არ ვასახელებ, მკითხველების ყურადღების მოდუნება და მათი წინდანინვე მომხრობის საძრახისი მცდელობა რომ არ დამენამოს! ამიტომ ამ სფეროს მცოდნეებს უმორჩილესად ვთხოვ, აქ თვითონ აღნიშნონ და დაითვალონ რედაქტორის მიერ ჯალათურად მოგუდული ქვეთავებისა და აბზაცების რაოდენობა.

ქვეთავებს რომ თავი დავანებოთ, რა არის აბზაცი? აზრობრივად მთლიანი ნაწილი, რომლის პირველი სტრიქონი ცოტათი შენეულია.

ჰოდა, ნებისმიერი ტექსტისთვის აბზაცი ხომ იგივეა, რაც, მაგალითად, მოძრავი ავტომობილისთვის თავის დროზე (!) სიჩქარის შეცვლა... ტალღებზე მიმცურავი ნავისთვის ნიჩბების მოსმა... მიმფრინავი ფრინველისთვის ფრთების დაქნევა... ვეშაპის შადრევნისებური ამოსუნთქვა!...

ამრიგად, თავისი სტატიის ამხელა მონაკვეთში რედაქტორი ერთხელაც რომ ვერ იგრძნობს თხრობის მხატვრული სუნთქვით ნაკარნახევი აბზაციების აუცილებლობა-მშვენიერებას, იქ რა კალმისა და აზროვნების სიბასრეზე შეიძლება ტურმობხეული ღრიჭინი?!

ნათქვამია, არცოდნა არცოდვანაო! ეს მეც მესმის, მაგრამ თვითმარქვია „ბასრკალმიან“ რედაქტორს იმდენი წინდახედულობა, გამოცდილება, ალღოიანობა და ლიტერატურული გემოვნება არ აღმოაჩნდა, რკინაბეტონისებურ უსიცოცხლო ფილებს დამსგავსებული ეს 26 სვეტი (!!!) სავარაუდო აბზაციებით მაინც გაეცოცხლებინა და გატანჯული მკითხველი შიგადაშიგ ამოესუნთქებინა! თან ეს სტატია გამონაკლისი როდია - რედაქტორის თითქმის ყველა წერილს უაბზაციბო გვერდების გულშესაღონებელი, წყება-წყობა ჟურნალის ახალ-ახალ ნომრებს ჩინური კედელივით გასდევს და ახვენეშებს!

გასინჯეთ თუგინდ მე-10 ნომერში გამოქვეყნებული რედაქტორის მორიგი წერილი „ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ქრონიკა - ჟურნალის დაარსებიდან დღემდე“. ამ თექვსმეტგვერდიან სტატიაშიც ერთმანეთს ენაცვლება უაბზაციო გვერდები. მაგრამ განსაკუთრებულია მე-16-22-ე გვერდები - რედაქტორი შეცდენილ მკითხველებს როგორც კი ჩააყურყუმელავებს თავის ამხელა უაბზაციბო ტექსტის მღვრიე მორევში, ამოსასუნთქებლად თუგინდ ერთადერთი ობოლი აბზაცითაც აღარ ამოაყურყუმელავებს!

რა გაუძლებს ყოველივე ამას?!

ჩემი აზრით, იკა ქადაგიძის ამგვარი სტატიები ქართველი სტუდენტების (და არა მარტო მათთვის!) თვალსაჩინოებისთვის

საგანგებო, წარმოუდგენლად დიდი ტირაჟის სახელმძღვანელო უბის წიგნაკად უნდა დაისტამბოს - როგორ არ შეიძლება უაბზაცოდ, გრაფომან-დიაკვნური გაბმით უაზრო წერა?!

ამგვარი წიგნაკის პირველ განყოფილებაში დაიბეჭდება იკა ქადაგიძის, ცხადია, ეს ამოდენა უაბზაცო ტექსტები!

შედარებისთვის მეორე განყოფილებაშიც იგივე ტექსტები განმეორდება, ოღონდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ დამშვენებული ქვეთავებითა და აბზაცებით!

დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობისთვის უბით სატარებელ ერთ-ერთ უსაყვარლეს წიგნაკად იქცევა!

## 2

**წარმოსახვაში** ჯერ დაუხვეწავ სათქმელს მოუთმენლად გამოდევნებული იკა ქადაგიძე, რაკი ხშირად წინასწარ ტენდენციურად აკვიატებული აზრით წერს, საქმე ზოგჯერ აღმაშფოთებელ კუროიზამდე მიდის!

ჟურნალის მე-11 ნომერში გამოქვეყნდა მისი „მეგრული შთაბეჭდილებები“, რომელიც მონაფურ-გრაფომანული გულმოდგინებით ისეა გადატვირთული სრულებით უსარგებლო ყოფითიტურისტული დეტალების აღწერით, რომ ეს შვიდგვერდიანი წერილი 2-3 გვერდზეც რომ დაიყვანო, ამით არაფერი დააკლდება! პირიქით, უფრო შეკრული და გასაგები გახდება, ხოლო გულშესაწუხებელ აბდაუბდაში გადგვეფილი მთავარი სათქმელი სანიმუშოდ გამოიკვეთება! მაგრამ თვითმიზნურად გაჭიანურებული ამ წერილის 3-4 გვერდით შემცირებას ვილა დაეძებს: რედაქტორის ხსენებული სტატიის შემდეგ, ახალი გვერდიდან იწყება სხვა, **შექსპირთან** დაკავშირებული **თეიმურაზ ნადარეიშვილის** წერილი!

ჰოდა, თავშეყვარებულმა რედაქტორმა თვით შექსპირის პატივისცემის ნიშნადაც კი არ ინება თავისი სტატიის თუგინდ ათი სტრიქონით (!!!) შემოკლება, რათა ასანთის კოლოფისოდენა (!!!) სუფთა ადგილის გამონათება ხლებოდა მსოფლიო დრამატურგიის ტიტანის შესახები წერილის დასაწყისს!

ამიტომ მომდევნო, ახალი გვერდი მოგაგონებთ ვინრო ლოჯიაში მკვიდრად დაგებულ პარკეტს: ახალი გვერდი იწყება (!) რედაქტორის იმ შვიდგვერდიანი, თავშესაწყენი სტატიის ატსტრიქონიანი (!) დასასრულით, თანაც თარიღის მითითებით - 10-19.08.2020! მას ზედმოზმითვე მოსდევს მსხვილშრიფტიანი სახელ-სათაურები „შექსპირული ჩანახატები“, „თეიმურაზ ნადარეიშვილი“, „ჰამლეტი...“

ერთი სიტყვით, ნამდვილი ალქაჯური დომხალი! ამიტომ დამცირებულ-გალიზიანებულ მკითხველს სისხლი უშრება, სანამ როგორმე გაერკვეოდეს: ვინ სად მთავრდება ან საიდან ვისი რა იწყება!!!

### 3

**არავის** ეგონოს, ამგვარი კითხვების დასმით იკა ქადაგიძის დაცინვა-დამცირება განმეზრახოს! არამც და არამც! მსგავს რამეს არც რომელიმე ოპონენტს ვაკადრებ, არც მკითხველ საზოგადოებას და მით უმეტეს, არც მშობლიურ მწერლობას, ვისი მიზეზითაც ამდენს ვენამებით!

ამის მიუხედავად, პირველი ორი კითხვა შეიძლება მართლაც დამცინავად ჟღერდეს, მაგრამ ეს კითხვები აუცილებელია, ვინაიდან მათ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიგვიყვანონ მესამე, ჩემი აზრით, ეპოქალურ კითხვამდე.

მაშ, დავიწყოთ!

ნეტავი იკა ქადაგიძეს გაუგონია მაინც თუ არა, რომ არსებობს **„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი?“**

აბა, აქ რომელი ჭკუათამყოფელი გაბედავს და იტყვის – გაგონილიც არ ექნებაო!

ახლა მეორე კითხვის ჯერი დგება. ნეტავი იკა ქადაგიძეს სამაგიდო წიგნად უდევს თუ არა ეს ლექსიკონი?

სამწუხარო სინამდვილესთანაც რომ გვექონდეს საქმე და შუახნის პოეტ მანდილოსანს, ლიტერატორს და მით უმეტეს, რედაქტორს, ეს წიგნი სანერ მაგიდაზე ან ამ მაგიდის სიახლოვეს, ხელის განვდენაზე არ ედოს, დაუჯერებლად მეჩვენება!

მესამე კითხვა ასე ჟღერს და იგი ეხება არა მარტო იკა ქადაგიძეს, არამედ ყველას, ვისაც კი ეს ლექსიკონი მაგიდაზე საგანძურით უდევს: როგორია თითოეული მათგანის ამ ლექსიკონით სარგებლობის მეთოდი, კულტურა, წლების მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ჩვეულება?!

აქ წარმოუდგენლად მიმაჩნია ამგვარი თავდაჯერება: ნებისმიერი ავტორი თუ რედაქციის რომელიმე მუშაკი მხოლოდ თავისი ცოდნის იმედზე იყოს!

ეს დამლუბველი იქნება, ვინაიდან ქართული ენის ლექსიკური მარაგი და მისი გრამატიკული კატეგორიები ისეთი უკიდევანო ოკეანეა, შეუძლებელია, ვინმემ ყველაფერი იცოდეს და ლექსიკონების გადაფურცვლ-გადმოფურცვლას მხოლოდ დროის დაკარგვად თვლიდეს!

ზოგ შემთხვევაში ხელუხლებელი ლექსიკონების ქონა იგივეა, წლების მანძილზე შინ დიდებული როიალი ედგათ, მასზე დაკვრა კი არავინ იცოდეს და ახლოს არც სხვებს აკარებდნენ!

გვინდა თუ არ გვინდა, რთულ დილემას აქ პირდაპირ შუბლით ვეჯახებით! ავტორმა ან რედაქცია-გამომცემლობის მუშაკმა თუ იმ სიტყვის ორთოგრაფიული ფორმა თუკი დარწმუნებით იცის, ცხადია, ლექსიკონის ჩხრეკაზე დროს უქმად აღარ დაკარგავს! სხვა შემთხვევაში სიტყვის სწორი ფორმა შეიძლება არ იცოდნენ, მაგრამ ეგონოთ, რომ იციან! ამიტომ არც ასეთ შემთხვევაში შეუდგებიან ლექსიკონების კირკიტს! შეცდომა კი უეჭველად გაიპარება!

მამ, როგორ მოვიქცეთ?

ჩემი აზრით, ენის ღრმა ცოდნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლიური მეტყველებისადმი თავყვანისცემა... პროფესიონალური ღირსება და ამბიციურობა... სიფრთხილე... დაეჭვება... საკუთარი ცოდნის კიდევ ერთხელ შემოწმება და განმტკიცება... ბერული თავდადება... დაუზარელობა!

ეს ბოლო სიტყვა შემთხვევით არ მიხსენებია.

ქვეყნის დასაცინიც რომ გავხდე, ლექსიკონების ხმარების ჩემულ ჩვევას მოკლედ შევეხები. თითოეული ტომი ზუსტ ელექტროსასწორზე მაქვს გამოწონილი და ყველა მათგანს თავფურ-

ცლის მარჯვენა ზედა კუთხეში აწერია თავისი ნონა, რათა დაახლოებით მაინც ვიცოდე, მე, ლიტერატურის მტვირთავმა, ჩემი თუ რომელიმე გარეშე ავტორის ტექსტების სწორებისას რამდენი კილოგრამი სიმძიმის აწევ-დანევა და გადადებ-გადმოდება მიხდება!

მაგალითად, ქეგლ-ის პირველი გამოცემის ყავისფერი რვატომეულის ყველა ტომი მეტ-ნაკლებად 1,700-1,800 კგ-ს იწონის!... 1998 წელს დასტამბული „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მეორე შევსებული გამოცემა 1,098 კგ-ს... 2008 წელს ახალი რედაქციით გამოსული ქეგლ-ის I ტომი – 2,315 კგ-ს, II ტომი – 3,408 კგ, III ტომი – 3,168 კგ-ია.

ამ სიმძიმე ლექსიკონების გადაღებ-გადმოღება დიდ ჯაფასა და დაძაბულობასთანაა დაკავშირებული, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით კი ახლები, უხარისხოდ არის გამოცემული და სულ შიში გიპყრობთ - ყდა არ მოსძვრეს ანდა მთლიანი ტომი ხელში ნაწილ-ნაწილ არ დაგეშალოს!

არ დავმაღავ, ზოგჯერ უხმო ტირილით მოვშორებივარ საწერ მაგიდას და ჩემს ხმელ საწოლზე გულაღმა მკვდარივით დავცემულვარ - რა იქნებოდა, ეს მწერლობა მეტეორიტივით არ შემჯახებოდა და იმ ჩემს ოზაანში ერთი მენახირე ვყოფილიყავმეთქი! მაგრამ ამგვარი ტკბილი, მაგრამ ნაგვიანები ნატვრა-ოცნება სულ რამდენიმე წუთს გასტანს ხოლმე და როგორც ხვნათესვას მიჩვეული გუთნეულის მოთვინიერებული ხარი „თავისი“ უღლის ტაბიკებში ქედს მეგუთნის დაუხმარებლად თვითონვე გაყოფს ხოლმე, მეც ისევ ნამოვდგები, მიუზღდები საწერ მაგიდას და საკუთარი თუ სხვისი ტექსტების სწორებას ვაგრძელებ!... ჰოდა, როგორც თითებშუა მშრალი სილა, ჩემი სიცოცხლეც ასე შეუიმწნევლად მიიპარება ამ ლექსიკონების ჩხრეკასა და გადალაგ-გადმოლაგებაში!... ეს ერთფეროვანი საქმიანობა ქანცგამომცლელი და თან სევდის შემომყრელიც არის, მაგრამ ამავედროულად დამამშვიდებელ-დამაიმედებელიც, ვინაიდან ქრისტიანული ტაძრის მშენებლობაზე ძველი დროის ვალმოხდილ ქვის მთლელს მამსგავსებს!... ჰოდა, თუ უნებლიე შეცდომა გამეპარა, ღმერთმა შემინდოს, არადა, საკუთარი და მით უმეტეს, რომელიმე რედაქტორის დავალებით გარეშე ავტორების

მასალების სწორებისას სულ უმნიშვნელო ეჭვის გაელვებისა-საც კი მძიმე-მძიმე ლექსიკონების გადალაგ-გადმოლაგება არა-სოდეს დამზარებია! პირიქით, ამას საკუთარი ცოდნის შემოწმე-ბისა და განმტკიცებისთვის ვიყენებ!

#### 4

**ახლა** ვნახოთ, ლიტერატურულ ჟურნალში „ისინდი“ როგორ იცავენ ენობრივ სინმინდეს.

ჟურნალის მე-13 ნომერშია დაბეჭდილი **მარსიანის** (იგივე **გია ბენიძე**) შვიდგვერდიანი კრიტიკული წერილი „ქვიშანი დარჩები-ან“ (უნდა იყოს „...ქვიშანი დარჩებიანო!“ ჯ.მ.). ერთგან იგი აი, რას წერს.

„არაერთმა ყოფილმა მეგობარმა... თუ თანამოაზრემ **უმტყუნა** „ისინდის“ რედაქტორს“.

პირდაპირ გამაშეშებელია: საქართველოს რომელ კუთხეში ნასწავლია ეს **„უმტყუნა“** – რალა საჭირო იყო ასო **„ვ“**-ს უაზროდ ჩაჩრა? აქ მწერალი და რედაქტორი კი არა, ლიტერატურისგან სრულიად შორს მდგომი რიგითი ქართველიც უმალ მიხვდებოდა, რომ **„უმტყუნა“** ყურსა სჭრის და მკითხველს სმენას ელვისებურად ამძაფრებინებს! ჰოდა, მარსიანს თავი რომ დავანებოთ, ნუთუ ბასრკალმიან იკა ქადაგიძეს მაინც ყურები არ უნდა ასწივლებო-და - ჟურნალში ეს რა საშინელება გვეპარებაო! მაგრამ ყურების აწივლებას ვილა ჩივის - წერილის ავტორსაც და რედაქტორსაც მშობლიური ენა თურმე იმ დონეზეც კი არ სცოდნიათ, რომ მათ გონება-გემოვნებაში დაეჭვების ციციანთელასოდენა საგანგაშო ნათურა მაინც აბჟუტებულყო და ორთოგრაფიული ლექსიკონის გადაფურცვლის აუცილებლობა ეგრძნოთ! ეს რომ მომხდარიყო, ჟურნალს აქ მაინც ასცდებოდა თავლაფი - ლექსიკონში გარკვე-ვით არის განმარტებული: **უმტყუნებს, უმტყუნა, უმტყუნია!**

აქ თავს კიდევ ერთხელ გვახსენებს, ალბათ, მარადიული კითხვა - მაშ, როდის და რა შემთხვევაშილა უნდა გადავშალოთ ორთოგრაფიული ლექსიკონი?!

რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე - როგორ ან რატომ უნდა გადავხერგო ამასთან დაკავშირებული აზრის ბუნებრივი მდინარება? ჰოდა, თუ ღმერთი გნამთ, ბარემ ბოლომდე მომისმინეთ!... ამ შემთხვევაში თავი დავანებოთ ყველანაირ ლექსიკონს და ეს ვიკითხოთ: მარსიანსაც და იკა ქადაგიძესაც ანდა ერთ მათგანს მაინც როგორ არ უნდა გახსენებოდა, ილიას პოემის ერთ-ერთი გმირი, კაკო ზაქროს როგორ უხასიათებს თავის სიათას, დამბაჩასა და ხმალს.

**არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,  
მინამ მაქვს მკლავი თვისუფალი!**

## 5

ჟურნალის მე-10 ნომერში დაიბეჭდა ვანო გელაშვილის მოთხრობა „ზომფო“. მთვარი პერსონაჟი, თანაც სოფლელი აი, რას ვარაუდობს.

„ცხენის... ტყავისაგანა კიდენა კაი ქალამნებიც შეიკერება.“

ქალამნები ბოტასები ან შარვალ-კოსტიუმი ხომ არ არის, შეიკეროს?! ქალამნებს ამოასხამენ ხოლმე. რედაქტორს თავისი ცოდნისადმი სულ არ გააჩნია კრიტიკული მიდგომა და კომპიუტერის ეპოქაში საეჭვოდ მიჩნეული სიტყვის შემონმების მოთხოვნილება! „ქალამანი - ხამი ტყავის ფეხსაცმელი, კოპით ამოსხმული“. ამ ნათელ განმარტებას საილუსტრაციოდ თან იაკობ გოგებაშვილის წინადადება ამშვენებს: „გლენმა ...ამოასხა მაგარი და გამძლე ქალამნები“.



ამავე, მე-10 ნომერშია გამოქვეყნებული ვახტანგ ბახტაძის წერილი „პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს“. ერთგან ვკითხულობთ.

„პერმის არქიეპისკოპოსი ანდრონიკე ცოცხლად დამარხეს მინაში“.

რედაქტორი აქ ნება-უნებლიეთ ემსგავსება უმეცარ მენალმეს, საკუთარ ანდა მტრის ნალმზე ისე წინდაუხედავად ფეთქდება ხოლმე, რაც არც ერთ რამედ ღირებულ მენალმეს არ შეიძლება დამართოდა! და რაკი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, ამ სახიფათო პროფესიას სამუდამოდ თავს ანებებს – მენალმეობა ჩემი საქმე არ არისო!

ახლა მიუდგომლად განვსაჯოთ: რალაში მდგომარეობს გარეშე ავტორის ტექსტის რედაქტირება, თუკი რიგითი ლიტმუშაკი და მით უმეტეს, „ბასრკალმიანი“ რედაქტორი მოყვანილ წინადადებაში ელვისებურად ვერ ამოაგდებდა ბოლო, სრულიად ზედმეტ სიტყვას, „**მინაში?!“**.

მსოფლიო ენებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოქნილი და ტევადი ქართული ზმნა „**დამარხეს**“ ისედაც გვიხსნის, გვეუბნება, რომ ვინმეს ან რამეს - ამ შემთხვევაში კი ადამიანს! – თუ დამარხავდნენ, ისედაც ცხადია, „**მინაში**“ დამარხავდნენ და არა, ვთქვათ, რომელიმე ოკეანის ფსკერზე, მარსზე, მთვარეზე თუ ჰიმალაის ყველაზე უმაღლეს მწვერვალზე!

მაშინ რა გამოდის? სრულებით არასრულფასოვანი იქნება ამგვარი წინადადება.

**„დიასახლისმა სადილისთვის ხორცი მოხარშა“.**

ოლოლო შენ! კი მაგრამ, აქედან რომ არა ჩანს – დიასახლისმა ხორცი **რაში** მოხარშა?!

იკა ქადაგიძისებურად ეს წინადადება ასე უნდა გადაეწყოს.

დიასახლისმა სადილისთვის ხორცი **ქვაბში** მოხარშა“.

არადა, ეს ხომ ყველამ ისედაც იცის - ხორცი და მისთ. ქვაბ(ებ)-ში იხარშება! დიასახლისი ხორცს, აბა, ჭიქაში, საცერში, ბოთლში, ფილთაქვაში, პლასტმასის ტაშტში, გრაფინში, ძაბრში, სამელნეში, ყავადანში, ბოცაში ანდა სასაპნეში ხომ არ მოხარშავდა?!

ამ ერთადერთმა მკაფიო მაგალითმაც გაგვითვალსაჩინოვა: იკა ქადაგიძე დაახლოებითაც კი ვერ არის განდობილი ქართული ენის ამოუნურავ შესაძლებლობებს, მის მოქნილობასა და მშვენიერებას! ამიტომ იმ უმეცარი მენალმისა არ იყო, როგორმე თავისით უნდა მიხვდეს და გადამწყვეტი ნაბიჯიც გადადგას – რედაქტორობა და საერთოდ, სხვისი მასალების რედაქტირება მისი საქმე არ არის!

**ამჯერად** ენობრივ-სტილისტურ მხარეს თავი დავანებოთ. აზრობრივი თალსაზრისით ჟურნალის ფურცლებზე ზოგჯერ ისეთ ადგილებს გადავწდომივარ, სხვისი არ ვიცი და ჩემთვის ამოუხსნელ იეროგლიფად ქცეულა.

თვალსაჩინოებისთვის სამ მაგალითს მოვიყვან.

„ისინდის“ მე-8 ნომერშია დაბეჭდილი იკა ქადაგიძის შვიდგვერდიანი წერილი „ვივა ცენზურას!“ რედაქტორი ერთგან შეუხამებელი სიხარულით იხსენებს, ერთ-ერთ ქართველ ლიტერატორს მისთვის რომ ეთქვა (ცხადია, სტილს ხელუხლებლად დავტოვებდი!).

**„მახსოვს, აღტაცებულმა „აფერუმ, დედაკაცო! „ბაში-აჩუკის“ რომანიდან ამოსხლეტილი ფრაზა აღმოსავლური ხელოვნებით რომ შეამკო...“**

აქედან ვერაფერი გავიგე: თვითონ „ბაში-აჩუკი“ ხომ აკაკი წერეთლის რომანია და „ბაში-აჩუკის“ რომანი რაღას უნდა ნიშნავდეს?! ამიტომ ასეთმა აზრმაც კი მიეღვა: „ბაში-აჩუკი“, ალბათ, რომელიმე თანამედროვე, ჩემთვის ჯერ უცნობი დებიუტანტის ფსევდონიმი იქნება და მის ახალგამომცხვარ რომანზეა მინიშნება-მეთქი!... ანდა, სადა და რანაირად გამოიხატება „ბაში-აჩუკის“ რომანიდან „ამოსხლეტილი“ ფრაზის აღმოსავლური ხატოვნებით შემკობა?!

რა ვქნა, ვაღიარებ: ეს პასაჟი ჩემთვის გაუგებარ მხატვრულ-ლიტერატურულ იეროგლიფად იქცა!

**მეორე მაგალითი.** ჟურნალის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა იკა ქადაგიძის თექვსმეტგვერდიანი წერილი „ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ქრონიკა – ჟურნალის დაარსებიდან დღემდე“.

რედაქტორი რაღაც შეუფერებელი თავგაზვიადებით მოგვითხრობს სარედაქციო ცხოვრების ვნებათაღელვაზე, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ხოლმე ნებისმიერი შრომითი კოლექტივისა და მით უმეტეს, რედაქციის შემოქმედებითი ბირთვისთვის.

ჰოდა, ი. ქადაგიძე ერთგან აი, რაზე და რანაირად ვიშვიშებს.

„მისი მხრიდან (სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი მანდილოსნის მხრიდან. ჯ.მ.) ეს მუდამ მწვავე პროტესტით სრულდებოდა. ვითარებას ის გარემოება (უნდა იყოს გარემოებაც. ჯ.მ.) ამძაფრებდა, რომ მან, (აქ ეს მიძიმე სრულიად ზედმეტია! (ჯ.მ.) მარსიანის, როგორც ჩვენი ჟურნალის უპირველესი და შეუცვლელი ფიგურანტის-მხატვრის (უნდა იყოს ფიგურანტ-მხატვრის. ჯ.მ.) ადგილის დაკავება ჩვეული აგრესიულობით მოინადინა“.

ამგვარ კონტექსტში ნამდვილ ენობრივ-აზრობრივ იეროგლიფად მექცა რედაქტორის ნახმარი ტერმინი – **ფიგურანტ-მხატვარი**.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ახლა ყველაფერს თანმიმდევრულად აგვიხსნის.

**ფიგურანტი** (ფრანგ. მოძვ.) – 1. კორდებალეტის მოცეკვავე. 2. იგივეა, რაც სტატისტი.

**კორდებალეტი** (ფრანგ.) – ბალეტის მსახიობები, რომლებიც ასრულებენ ჯგუფურ ცეკვებს.

**სტატისტი** (ბერძ. მდგომარე) – უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი, მასობრივი სცენების მონაწილე.

საინტერესოა, ყოველივე ამას თვითონ რედაქტორი როგორ განმარტავდა?!

**მესამე მაგალითი**. ჟურნალის მე-12 ნომერში რუბრიკით „ჯემალ ქირიას ხსოვნას“ გამოქვეყნდა მარსიანის ერთგვერდიანი წერილი „ჩვენი ჯემალი“.

„...მოულოდნელად ამერიკიდან ასი დოლარი მოვიდა ჩემს სახელზე: თურმე ჯემალი იმხანად ამერიკაში იმყოფებოდა (უნდა იყოს „ამერიკიდან ჩემს სახელზე მოულოდნელად ასი დოლარი მოვიდა. ჯემალი იმხანად თურმე ამერიკაში იმყოფებოდა“. ჯ.მ.). გაიგო (უნდა იყოს **გაეგო**“. ჯ.მ.) მიჭირდა და რაც შეეძლო, დამეხმარა. ხოლო ამერიკიდან როცა დაბრუნდა (უნდა იყოს „ხოლო როცა ამერიკიდან დაბრუნდა.“ ჯ.მ.), ჩვენი მეგობრობა განახლდა... შემდეგ ერთხანს ვაზისუბანში, თავის ბინაშიც მაცხოვრა (თვითონ ქალაქში გადმოსახლდა).“

ღმერთმანი, ციტატის კუდმა საგონებელში ჩამაგდო: აქ თუ თბილისის ისნის რაიონში შემავალი ვაზისუბნის დასახლებაა

ნაგულისხმევი, მაშინ რას უნდა ნიშნავდეს მარსიანის ეს გამოთქმა „თვითონ ქალაქში გადმოსახლდა“. როგორ, განა ვაზისუბნის დასახლებაც ქალაქის ანუ თბილისის ნაწილი არ არის?!

მერე ვიფიქრე: რანაიარად შეიძლებოდა ეს შეშლოდათ, აქ, ალბათ, საქართველოს ერთ-ერთი სოფელი და მასთან ახლომდებარე რომელიმე ქალაქი იქნება-მეთქი ნაგულისხმევი! ამიტომ ახლა „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ გადავფურცლე. იქ ორი რაიონის **ვაზისუბანი** აღმოჩნდა – **სამტრედიის** და **გურჯაანის**. გურჯაანი მაშინვე გამოვრიცხე და ვივარაუდე: მეგობარი მწერლები დროებით, ალბათ, სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანში ცხოვრობდნენ-მეთქი, მაგრამ მალე ამანაც შემაეჭვა და საბოლოოდ მასრიანის წერილის ეს ადგილიც გაულწეველ იეროგლიფურ ტევრად მექცა!..

## 7

**პირდაპირ** უნდა ითქვას: თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ დარწმუნდეთ – იკა ქადაგიძეს იოტისოდენადაც არ ანალვლებს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ენობრივი სინმინდე. აქ გალალეზულ ენობრივ გადაცდომებს პირწმინდად რომ შევეხო, ეს ნიშნავს მკითხველების მოთმინებით ბოროტად ვისარგებლო! ამის მიუხედავად, მოკლედ მაინც შევეხები ზოგიერთ შეცდომას, რათა ნათელი გახდეს – რედაქტორი უმარტივეს გრამატიკულ კატეგორიებშიც კი ვერ ერკვევა.

ჟურნალის პირველ ნომერშია დაბეჭდილი **სევარიონ ნადირაძის** 14 ახალი ლექსი.

პოეტი ერთგან წერს: „სულ სამი ნოტი **ყოფნის** სევდას“.

უნდა იყოს **ჰყოფნის**.

„სამი წერტილი **მოსჩანს**“ უ.ი. **მოჩანს**.

„და რადგან **გაეხარ** სამიზნის ნაშალს“.

უ.ი. **ჰგაეხარ**.

„**მიყავხარ** ყველა დაუსმელ წერტილს“.

უ.ი. **მიჰყავხარ**.

„გზას მივუყვებით ეკალ-ნარიანს“.

უ.ი. ეკალნარიანს.

„სულ არ ჭირდებათ ლექსებს დანერა“.

„სულ არ ჭირდებათ გზებზე ნანნალი“.

უ.ი. სჭირდებათ.

\* \* \*

პირველ ნომერშია დაბეჭდილი დავით არახამიას ლექსები.

ერთგან ავტორი გვაუწყებს.

„გაცლია სიქა იმ ძველ ზმანებებს“.

უ.ი. გაცლია.

\* \* \*

ჟურნალმა თავის პირველ და მეოთხე ნომერში დაბეჭდა მხატვარ რეზო ადამიას პუბლიცისტური ნერილები „პარიზული დღიური“ და „ნორმანდიული დღიური“. რ. ადამია ავტორისეულ თხრობაში ასე წერს.

„ყველა მონმარტრისაკენ მიისწრაფვის“.

უ.ი. მიისწრაფის.

„უსუსურებიც შოულობენ მცირედ სარჩოს“.

უ.ი. მცირე.

„აქვე, ჩემს გვერდით“. უ.ი. „ჩემ გვერდით“.

„ყველასდა სასიკეთოდ“ უ.ი. ყველას.

„რათ უნდა ეს გოგო?“ უ.ი. რად.

„გამოფენის გაკეთება“. უ.ი. „გამოფენის გამართვა“.

\* \* \*

ჟურნალის მე-2 ნომერშია დაბეჭდილი ერთი სამსტროფიანი ლექსი. მანდილოსან ავტორს შეგნებულად არ ვასახელებ. ჰოდა, ამ ე. წ. ლექსის პირველი სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონი ასე ჟღერს.

მაქციე დახუნძლულ ვენახად,

მითხარი, საიდან რა ვშობო...

ჯერ ერთი, ბოლოში უნდოდა კითხვა-ძახილი და რაც მთავარია, მანდილოსანი თავის ლექსში ასე ანგარიშმიუცემლად რომ წამოისვრის – საიდან ვშობოო, ეს უკვე...

\* \* \*

ამავე ნომერშია გამოქვეყნებული ნუნუკა გურალიას ლექსები.  
„დადუმდა ქნარი, მოჰკლეს ილია“.

უ.ი. მოკლეს.

„მყუდრო საბუდარი ვერსად მაპოვნია“.

უ.ი. მაპოვნინა.

\* \* \*

მე-3 ნომერშია გამოქვეყნებული ნინო მარგველაშვილის ლექსები.

„სავალ ბილიკზე ჩოქვით მივლია“.

ჯერ ერთი, უნდა იყოს ჩოქვით. მეორეც, ყველა ბილიკი სავალია, აბა, ბილიკებს სხვა რა დანიშნულება აქვს?!

\* \* \*

ჟურნალის მე-4 ნომერი გვთავაზობს პოეტ ბადრი პატაშურის შთაბეჭდილებებს „ლისაბონის შავი მეტრო“. აქ მოყვანილი ყველა ციტატა ავტორისეული თხრობიდან არის აღებული.

„სხვათაშორის ვერ შევნიშნე“ უ.ი. სხვათა შორის.

„ლიტრიანი ბაკლით... ლუდი იდგა“. უ.ი. კათხით.

„ხანდისხან... იტყოდა“. „ხანდისხან თავის სახლში გვეპატიჟებოდა“. უ.ი. ხანდახან.

\* \* \*

ჟურნალის 3-5 ნომერში ორი ფურცელი უკავია გია ჯიჭონიას ლექსებს.

„ზღაპრებს ყვებიან“. უ.ი. ჰყვებიან.

„ცრემლები მიყვება პეშვით“.

უ.ი. მიჰყვება.

„ლიმილს ჰქარგავდა“. უ.ი. ქარგავდა.

„სალამოს ამაზრზენი გემო დაკრავდა“.

უ.ი. დაჰკრავდა.

„ის ნიშნები ირგვლივ დაჰქრიან“.

უ.ი. დაქრიან.

„რითმა რომ ქვია“.

უ.ი. ჰქვია.

\* \* \*

ჟურნალის მე-6 ნომერი. კობა ცხაკაიას პიესა „ქვიშის ცნობიერების საწყისები“.

„შენს გვერდით“. უ.ი. შენ გვერდით.

„მოდით, თავიდან დავიწყოთ“. უ.ი. მოდი.

„ქვიშის არც თუ სიმკვრივე“. უ.ი. არცთუ.

\* \* \*

ახლა ნინო ბაქანიძის პროზაული ტექსტი გავსინჯოთ.

„ფილმს დღე-გამოშვებით უჩვენებდნენ“. უ.ი. დღეგამოშვებით.

„მამამ (ტელევიზორი. ჯ.მ.) სოფელ მეტეხში დიდის ამბით ჩამოგვიტანა“.

უ.ი. დიდი ამბით.

\* \* \*

აქ კვლავ შევხვდებით ბადრი პატაშურის მორიგ შთაბეჭდილებებს – „ლისაბონის კოლიზეუმში...“

„ნახალოვკელმა ზურამ“. უ.ი. ნაძალადეველმა.

„ჩემს მიერ მოტანილი ბოთლები“.

უ.ი. ჩემ მიერ.

„სამ დღიანი შევბულება გამიფორმა“.

უ.ი. სამდღიანი.

„ჩემს გვერდით მჯდომი“ უ.ი. ჩემ გვერდით.

„ლურჯ კიმონოიანი სპორტსმენი“.

უ.ი. ლურჯკიმონოიანი.

„მკვებარე პორტუგალიელები“. უ.ი. მკვებარა.

\* \* \*

ახლა პოეტ მიხეილ ღანიშაშვილის ლექსების ჯერი დგება.

„არ ყვარებიხარ როგორც არავის“.

უ.ი. ჰყვარებიხარ.

„მოგნახავს ღამე, ვით ერთგულ ძმა-ბიჭს“.

უ.ი. ძმაბიჭს.

\* \* \*

ლალი მიქაძის პროზაული ტექსტის სათაურია „ფეხზე მდგარი მკვდარი...“

„მთელი ქობულეთი შეძრა“.

უ.ი. შესძრა.

„მათ საუბარს მოკრა ყური“ უ.ი. მოჰკრა.

„ქალი ორივეს ხომ არ გაყვებოდა“. უ.ი. გაჰყვებოდა.

„სხვა მამაკაცს ჩაგორებოდა ლოგინში“. უ.ი. ჩაჰგორებოდა.

„საკუთარი თავი შეძულდა“ უ.ი. შესძულდა.

\* \* \*

იგივე მე-6 ნომერი გვთავაზობს გიო კილაძის პროზას „ძვირფასო რედაქტორო“.

„ხეები ზეზეულად გაახმო“. „ზეზეულად გამხმარი ხეები“.

უ.ი. ზეზეურად.

„კიდევ ერთხელ განვიცადო.. და შენც გაგაცდევინო“.

უ.ი. განგაცდევინო.

„ხეტილისთვის გემი დაჭირდება“.

უ.ი. დასჭირდება.

„ისინდის“ ბასრკალმიან რედაქტორს, იკა ქადაგიძეს გიო კილაძის აი, რანაირი სინტაქსი და ქართული მიაჩნია სრულიად ბუნებრივი.

„მესმის არც ნიჭი რომ გაკლია“.

უ.ი. „მესმის, რომ არც ნიჭი გაკლია“.

მკითხველო, რა მოვუხერხოთ ამ წინადადებებს? მოუსმინეთ!

„დგანან ცოტა მოშორებით ბიჭები... დიდებია ბიჭები... მალელები ჩემზე... ოთხი არიან თუ ხუთი...“

„ხის კუნძთან...“

ცხადია, კუნძი ხისა იქნებოდა, აბა, ვინმეს უნახავს ძონძის... ფოთლების... მატყლის... ხავსის... აგურის... თივის... ბუმბულის... ბალახის... ნაცრის... კვამლის... ქინძის... ბულიონის... ნახერხის... და სხვა მისთ. კუნძები?!. ოოო!.. იძულებული ვარ, ციტატა ახლიდან დავიწყო!

„ხის კუნძთან წამოუყვია სველი მიწიდან თავები ორ პატარა ცისთვალას“.

აი, რანაირ ქართულს გვთვაზობს იკა ქადაგიძის მიერ წარამარა ნაქები „ყველაზე მეზობლი ეროვნული ჟურნალი!“.

\* \* \*

აქვეა ნათელა შაინიძის სამი ლექსი. ბოლო, მესამე ლექსის სათაურია „აქა ვარ ძია!“

უ.ი. „აქა ვარ, ძია!“

„აქა ვარ აქა! აქა ვარ ძია!“

უ.ი. „აქა ვარ, აქა! აქა ვარ, ძია!“

„თავზე დაწნათის ქართული ზეცა“.

უ.ი. დანათის.

\* \* \*

ჟურნალის ერთი ფურცელი უჭირავს დალი ყარაულაშვილის ოთხ ლექსს.

„ლურჯა ცხენების რემა თავანყვეტილი ქუჩებში დაჰქრის“.

უნდა იყოს დაქრის!

გულდასანყვეტია, რომ რედაქტორი უმარტივეს გრამატიკულ ფორმებშიც ვერ ერკვევა და ჟურნალში ერთმანეთს წარამარა უადგილოდ ენაცვლება ეს – დაქრის და დაჰქრის!

„ქარი მინდორში დაქრის“. დაქრის ის! მაგრამ „ქარი კონახურის ბუჩქს დაჰქრის“. დაჰქრის ის მას!

რა არის აქ გაუგებარი?! ნუთუ ასე ძნელია ამის სამუდამოდ დამახსოვრება და გათავისება?!

პოეტი მანდილოსანი განაგრძობს.

„როგორ მოგვიგეს ჩვენ ხუთითნოლი“.

უ.ი. ხუთით ნული.

„და სააღდგომო ჭია-კოკონა“.

უ.ი.ჭიაკოკონა.

\* \* \*

ამავე ნომერში ჟურნალის ერთი გვერდი უჭირავს გიო შიშნიაშვილის ოთხ ლექსს. იგი ერთგან წერს.

„მაგრამ, ვაი თუ არ მისმენ,

ვაი თუ... აღარ გიყვარვარ.

რედაქტორი კი ბაიბურში არ არის და მკითხველებს ასეთ ჩა-  
უსწორებელ მასალას სთავაზობს. არადა, უნდა იყოს.

„მაგრამ ვაითუ არ მისმენ,  
ვაითუ... აღარ გიყვარვარ“.

\* \* \*

ჟურნალის მე-8 ნომერი. ერთ გვერდზეა დაბეჭდილი შალვა  
ბაკურაძის ლექსები.

„ზღვაში ჩაძირულ ზურგისქარზე“.

უ.ი. ზურგის ქარზე.

„მივსდევთ ჰორიზონტს“.

უ.ი. მივსდევთ.

„ჩვენს უკან... ქარით დაგვილი... ღამე“.

უ.ი. ჩვენ უკან.

\* \* \*

ამავე ნომრის ავტორი, შორენა გაბელაშვილი თავის ერთ-  
ერთ ლექსში წერს, რედაქტორი კი აზრზე ვერ მოდის, ეს მაინც  
ჩაასწოროს.

„ფრთებ მიკერებული ანგელოზები“.

უ.ი. ფრთებმიკერებული.

\* \* \*

აქვეა დაბეჭდილი მარსიანის კრიტიკული წერილი „პოეზიის  
დიდი დევნილობა“.

„მითუმეტეს მკითხველი როგორ უნდა მიხვდეს...“ „მითუმე-  
ტეს თუ ეს ავტორი...“

უ.ი. მით უმეტეს.

„სხვათშორის მთარგმნელობით საქმიანობასაც ენეოდა“...  
სხვათაშორის ის პროზაიკოსია“... „სხვათშორის ამ უფროსმა  
რედაქტორმა“... „სხვათაშორის ჩიტმა ენა მომიტანა“. „სხვათა-  
შორის მანვე აღმოაჩინა ჩემს ლექსში „წამი“ გ. კორნაპელის გავ-  
ლენა“.

აქ ყველგან უნდა იყოს სხვათა შორის.  
 „ზოგიერთი ჩემს ადგილას იტყოდა“.  
 უ.ი. ჩემ ადგილას.  
 „არც გსურთ (აქ მძიმე უნდოდა ჯ.მ.), იცნობდეთ თქვენს გვერდით მყოფ მარსიანს“.  
 უ.ი. თქვენ გვერდით.  
 „ისეა შეპყრობილი ზემოთხსენებული კომპლექსით“.  
 უ.ი. ზემოხსენებული.  
 „კარგახანს ვემდუროდი“.  
 უ. ი. კარგა ხანს.  
 „...გამოისყიდიდა თავის დანაშაულს“.  
 უ.ი. გამოისყიდა.  
 „ღმერთმა... არ დააჯილდოა“.  
 უ.ი. არ დააჯილდოვა.  
 „არც თუ მთლად შეეფერებოდა ჭეშმარიტებას“.  
 უ.ი. არცთუ.  
 „რალაც... ყველგანშემღწევი ვირუსია“.  
 უ.ი. ყველგან შემღწევი.  
 „მისტვის სულერთი იყო“.  
 უ.ი. სულ ერთი.  
 „როცა არცერთი არ გაგაჩნია“.  
 უ.ი. არც ერთი.  
 „კი ბატონო, მაგ ლექსიც შესანიშნავია“.  
 უ.ი. ეგ ლექსიც.  
 „ასე ჰაი-ჰარად ხელს ნუ წამიკრავთ“.  
 უ.ი. „ასე ჰაიჰარად ხელს ნუ წამიკრავთ“.  
 „დიდის მონდომებით უტევენ“.  
 უ.ი. დიდი მონდომებით.  
 „სულითხორცამდე გარყვნილ პიროვნებებად მოიხსენიებენ“.  
 უ.ი. სულით ხორცამდე.  
 „მკითხველმა შეიძლება იფიქროს... ჩემი შემოქმედების იგნორირების გამო პირადმა გულისწყვეტამ დამანერინა ეს ოპუსი“.  
 უ.ი. გულდანწყვეტამ ან გულდანწყვეტილობამ.  
 „არა მარტო ჩვენებურ მამაოებს, არამედ მეცნიერების ენთუზიასტებსაც არაიშვიათად წაუცდებათ ხელი ლექსის წერაზე“.

ჯერ ერთი, უნდა იყოს არა „ლექსის წერაზე“, არამედ **„ლექსის დასაწერად“**, მეორეც, ამ კონტექსტში სიტყვა „მამაო“ დამახინჯებული ფორმითაა ნახმარი – უნდა იყოს, მაგალითად, **კულტის მსახურები, სასულიერო პირები და სხვა.**

\* \* \*

**როგორც** ყველა წინამდებარე, ისე მე-9 ნომერშიც ბლომად მოიპოვება სხვადასხვა სახის შეცდომები. მაგრამ მკითხველების ყურადღების გასამახვილებლად მხოლოდ ერთადერთ მათგანზე მექნება მსჯელობა!

ამ ნომერშია დაბეჭდილი **ნინო ბაქანიძის** ხუთგვერდიანი პროზაული ტექსტი **„სახიფათო თამაშის დასასრული“**.

ჰოდა, ერთ-ერთ პერსონაჟს ავტორი აგერ, რას ათქმევინებს.  
„ – აგე, **გაჰღვიძებია** მარიამსა!“

აბა, როგორ არ ჩაგიკვდება გული! ამ ოთხივე მანდილოსანს – ორ პერსონაჟს, ელისაბედსა და თეკლეს, ტექსტის ავტორს, ნინო ბაქანიძესა და რაც მთავარია, ჟურნალის რედაქტორს, იკა ქადაგიძეს, თანაც ორი შვილის დედას, დანაგვიანებული ქართულით სმენა უკვე იმზომ გახედნიათ, რომ ამ უმართებულო გამოთქმამაც კი – **„გაჰღვიძებია“** – ყური ვერც ერთ მათგანს ვერ დააცქევტინა, დახმარებისთვის ლექსიკონისთვის მაინც რომ მიემართათ!

ნუთუ მშობლიური ენა მართლა ისე გაგვერყვნა, რომ ქართველი მანდილოსნები დღეს ერთმანეთს ამგვარი ძირნაყარი ქართულით აგებინებენ – **აგე, გაჰღვიძებიაო!**

**„ბავშვს გაეღვიძება“**. **„შეხედე, ბავშვს გაეღვიძა!“**, **„ბავშვს უკვე გაღვიძებია!“** აქ რა არის გაუკულმართებული ან გაუგებარი?! მაშ, საიდან და როგორ დაიბადა ეს გატყლარჭული – **გაჰღვიძებია?!**

ეს მკაფიო მაგალითი ნათელს ფენს ერთ სავალალო წინამდვილეს: იკა ქადაგიძის გონებასა და ცნობიერებაში დაახლოებით მაინც არ არის ჩამოყალიბებული ჯანსაღი ქართულის მუსიკალობა! ამიტომ რომელი ავტორიც რას სთავაზობს, ხშირად დაუეჭვებლად და შეუსწორებლად იმ სახითვე უბეჭდავს!!!

\* \* \*

ჟურნალის მე-13 ნომერმა რუბრიკით „ემიგრანტული სარკმელი“ მკითხველებს შესთავაზა **როინ სოხუმელის** ლექსები.

აქ მხოლოდ და მხოლოდ ორ სტრიქონს მოვიყვან, რათა ჩემი აღშფოთება და გახეტება გამოვხატო – რედაქტორმა თვით უმარტივეს შემთხვევაშიც რომ არ იცის სასვენი ნიშნების ხმარება.

აი, როგორ წერს ავტორი.

**ქალზე? რა გითხრა მეგობარო...**

**მოესათუთე მეგობარო...**

არადა, უნდა იყოს.

**ქალზე? რა გითხრა, მეგობარო?!**

**მოესათუთე, მეგობარო...**

\* \* \*

ჟურნალის მე-10 ნომერში გათავისებული რუბრიკის „ემიგრანტული სარკმელი“ დაბეჭდილია **მარინა ხუჭუას** ერთფურცლიანი პროზაული ტექსტი. აქ კი საბოლოოდ გაცხადდა – რედაქტორს იოტისოდენაც არ ანალვლებს ჟურნალის ენობრივი მხარე, ოღონდაც მან დღის სინათლე მალე იხილოს და მკითხველებმა დროიანად შეიტყონ: ამქვეყნად თურმე იკა ქადაგიძის რედაქტორობით გამომავალი ლიტჟურნალიც არსებობსო!

მამ, ასე: ამ პროზაულ ტექსტში გაერთანებულია სამი მოკლე მასალა. მესამეს ჰქვია „ბაბუ“. მხატვრულობას ნუ გამოეკიდებით, მხოლოდ პუნქტუაციას დაუკვირდით და როგორმე გაუძელით!

ბაბუ!

რა იყო (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ!

შენ ხომ ყველაფერს... მასწავლი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ?

მერე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ?

საქართველო გაბრწყინდებაო (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), რომ ამბობენ, ძალიან მაინტერესებს, როდის გაბრწყინდება (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ, ან რას ნიშნავს გაბრწყინება, მითხარი რა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ.

როცა ყველა ქართველი გაბრწყინდება (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ.

ქართველს ქართველობის სწავლა რად უნდა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ, ისედაც ხომ ქართველია?

ვერაფერი გავიგე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ, თუ არ იცის (აქაც მძიმე უნდოდა ჯ.მ.), ვასწავლოთ (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ.

არა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ გენაცვალოს, ქართველობა არ ისწავლება.

აბა (აქ მძიმე უნდა ჯ.მ.), ბაბუ?

ქართველობას ვერავინ გასწავლის, თვითონ უნდა ისწავლოს. როგორ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ?

გონების თვალთ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ბაბუ.

მე მაქვს (აქაც მძიმე უნდოდა ჯ.მ.), ბაბუ (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), გონების თვალი?

## 8

**კმარა!** მოკლედ, თითიდან გამონოვილი ეს სამოცდახუთსტრიქონიანი „ბაბუ“ ამ ბაბუსა და მის შვილიშვილს შორის სულ ასე დიალოგურად იწყება და მთავრდება, მაგრამ რატომღაც არსად არ ჭაჭანებს უწყვეტად მიმდინარე დიალოგის აღმნიშვნელი ტრადიციული დეფიზები!...

გამტკნარებული მკითხველი აქ იმასაც შენიშნავდა, უცოდინარ ავტორს ასევე უცოდინარი რედაქტორი თვით ნათელზე ნათელ ვითარებაშიც კი ვერსად უსვამს სასვენ ნიშანს, მძიმეს!

ამის მიზეზი მარტივია – იკა ქადაგიძე მოსათმენ დონეზეც კი ვერ გრძნობს მშობლიური ფრაზის ბუნებრივ სუნთქვას, მის ნაიძულევე კვნესა-მუდარას! ამიტომ ცოდნა და შემოქმედის გემი ხშირად ლალატობს და ვერ ხვდება, თუგინდ თვით ორსიტყვიანი (!!!) წინადადება სად ითხოვს ამა თუ იმ სასვენ ნიშანს!

ამ ვითარების ნათელსაყოფად ახლა ორიოდე ისეთ მაგალითს მოვიყვან, თვით ყველაზე ცხელსისხლიან ოპონენტებსაც კი შეპაექრების ჟინს მაშინვე გაუყინავს!

ჟურნალის მე-8, 9 და 10 ნომრებში გამოქვეყნებული „რედაქტორის წინათქმის“ ბოლოში იკა ქადაგიძეც – სიმონ ბუდიონის

I ცხენოსანი არმიის დოღრიალა ჭაბუკი მესაყვირის მსგავსად – დაულალავად გაიძახის და გაიძახის.

### **წინ ისინდი!**

რედაქტორის მიერ ომბახიანად ნახმარ ამ ორსიტყვიან (!) წინადადებაში პირველი სიტყვის შემდეგ საჭიროა სასვენი ნიშანი მიძიმე, მეორე სიტყვა კი ბრჭყალებში მოქცევას ითხოვს, ვინაიდან აქ იგულისხმება არა ძველი ქართული სპორტული თამაშობა, არამედ ამ სახელწოდების მქონე ლიტერატურული ჟურნალი. აი, ასე!

### **წინ, „ისინდი!“**

აქ ფარდა აეხადა სამარცხვინო უცოდინარობას: ჟურნალის (!), თანაც ლიტერატურული ჟურნალის (!!!) რედაქტორს, იკა ქადაგიძეს – მკითხველებს თავი „ბასრკალმიან“ უპირველეს კრიტიკოსად რომ წარუდგინა – თურმე საყველპურო გრამატიკა და მართლწერაც კი არ სცოდნია!!!

სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი ლათინური ხატოვანი გამოთქმა.

**გრამატიკა არის მძვინვარე არსება, რომელიც სასტიკად იძიებს შურს თავისი შეურაცხყოფისთვისო!**

ამგვარი უვიცობის გამომჟღავნების შემდეგ. ი. ქადაგიძეს აღარა აქვს მორალური უფლება იყოს არამცთუ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი, არამედ თუგინდ მისი უმცროსი კორექტორი!

არავის ეგონოს, ამას მის დასამცირებლად ვამბობდე. არავითარ შემთხვევაში!.. საცა სამართლია, ნებისმიერი ბეჭდვითი ორგანოს კორექტორადაც კი ისეთ მცოდნე ლიტერატორს უნდა არჩევდნენ და წვრთნიდნენ ხოლმე, საჭიროების შემთხვევაში – ჭირია, ლხინია, სადეკრეტო შეგებულება, ხანგრძლივი მივლინება, ავადმყოფობა, საკადრო გადაადგილება თუ სხვა გარემოება – თავისუფლად შეეცვალა რომელიმე რიგითი მუშაკი... განყოფილების გამგე... სტილისტი... ხოლო თუ საამისო ნიჭითა და ცოდნითაც იქნებოდა დაჯილდოებული, რედაქტორიც გამხდარიყო!

მეორე მაგალითი ჟურნალის მე-6 ნომერშია განაბული. აქ იკა ქადაგიძეს თავისი თერთმეტგვერდიანი კრიტიკული წერილის-

თვის ისეთი სათაური მიუცია, მთელ საქართველოს გაზაფხულის პირველი ქუხილივით რომ გადაუგრგვინოს! ამაში უცნაური ან სათაკილო არაფერია, პირიქით! ოღონდ... თუმც წინასწარი ახსნა-განმარტება რაღა საჭიროა – მცოდნე მკითხველი ყველაფერს ერთი დახედვითაც მიხვდება!

აი, იკა ქადაგიძისეული ის სათაურიც!

**„თბილისიდან ქუთაისში მიმავალი ქარო...“**

არადა, უნდა იყოს.

**„თბილისიდან ქუთაისში მიმავალი, ქარო!“**

როგორია?!

\* \* \*

წინ ენობრივი დამახინჯების ათასწლეულის საზარელი ნიმუში გველოდება!

ჟურნალს, „ისინდი“, დღიდან მისი დაარსებისა, გამომცემლობა „მერიდიანი“ (დირექტორი კახა რუსიძე) ბეჭდავს.

ჟურნალის მე-7 ნომერშია გამოქვეყნებული იკა ქადაგიძის სამგვერდიანი წერილი „ისინდის“ დაბადება“. ჰოდა, იხსენებს რა ჟურნალის იმ პირველ ნომერს, ზემოხსენებული მე-7 ნომრის მე-7 გვერდზე, ზემოდან 32-ე სტრიქონში აი, რას წერს.

**„კახა რუსიძემ ქველმოქმედება გამოავლინა და ჟურნალის 50 ეგზემპლარი სასაჩუქრედ გვისახსოვრა“.**

გესმით?! ... გაიგონეთ?!.. გაიაზრეთ – საჩუქრად, გასაჩუქებლად, რომ გაგვეჩუქებინაო კი არა, **სასაჩუქრედო!!!**

აქ კი ყველაფერი საბოლოოდ გაცხადდა! ჩვეულებრივი ქართველი და მით უმეტეს, შუახნის ლიტერატორი რამდენად მწყრალად უნდა იყოს მშობლიური ენის ბუნებასა და ლექსიკურ მარაგთან, რომ წერის პროცესში რამედ ღირებული კალმოსნისთვის დამახასიათებელმა ეჭვმა თუ სიფრთხილემ მაინც არ უღელვოს: მოიცა, მოიცა – რას ჰქვია **სასაჩუქრედ?! ქართულში არსებობს კი ასეთი სიტყვა?! იქნებ... აბა, ერთი შევამოწმო!...**

არადა, ლექსიკონის აშრიალებასა თუ კომპიუტერის აციმციმებას რა უნდოდა – იკა ქადაგიძე რომ დაინტერესებულიყო, სწორ პასუხს ორიოდვე წუთში მიიღებდა!

**გაასაჩუქრებს (გაასაჩუქრა, გაუსაჩუქრებია)** – საჩუქრად მისცემს, საჩუქრად გასცემს (რასმე).

**გასაჩუქებელი** – რაც უნდა გააჩუქონ.

**გასაჩუქებლად** – ზმნს. გაჩუქებისთვის, გაჩუქების მიზნით.

**გასაჩუქრდება** (გასაჩუქრდა, გასაჩუქრებულა) – საჩუქრად გაიცემა რამე, გაასაჩუქრებენ.

**გასაჩუქრება** – სახელი გაასაჩუქრებს, გასაჩუქრდება ზმნათა მოქმედებისა.

**გასაჩუქრებული** – რაც გაასაჩუქრეს ან გასაჩუქრდა.

საჩუქართან, გაჩუქებასთან დაკავშირებით აი, რა მშვენიერი სიტყვები გვქონია! ჰოდა, მით უფრო გასაოგნებელია – პოეტს, მით უმეტეს, „ბასრკალმიან“ კრიტიკოსს რაზომ უნდა ჰქონდეს გაუკუღმართებული ქართულად აზროვნების მოთხოვნილება, ბუნება, ჩვევა და გამოცდილება, აქ ჩამოთვლილ ქართულ სიტყვა-მარგალიტებს გვერდი აუარო და ჯერ არგაგონილი, რალაც ქაჯური სიტყვა-საფრთხოებელა დამშვიდებული სინდისით შე-მოილო!

ყველას წინაშე პასუხისმგებლობის ნიშნად მაინც გულდას-მით გავჩხრიკე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, „ქართულ სინონიმ-თა ლექსიკონი“, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, მაგრამ იკა ქადაგიძის მიერ ნახმარი სიტყვა-საფრთხოებელა – **სასაჩუქ-როდ (სასაჩუქრო)** – არსად აღმოჩნდა!

ი. ქადაგიძეს გინდაც არ მიემართა ამ გრაფომანული სიტყ-ვათშემოქმედებისთვის – **„სასაჩუქრედ“** და სწორი ფორმა ეხმა-რა – **„საჩუქრად“**, მაინც რას ნიშნავს, როგორ უნდა გაგვეგო ეს **„საჩუქრად გვისახსოვრა?!“**

მოდით, შევიტყოთ ამ ორივე სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა!

**საჩუქარი** – რაც უნდა აჩუქონ ან აჩუქეს, – ძღვნად მისაცემი ან მიცემული ნივთი.

**სახსოვარი** – ვისიმე ან რისამე დასახსომებელი, მოსაგონებე-ლი ნივთი ან ძეგლი.

მაშ, ლიტერატურული ჟურნალის 50 ეგზემპლარი რანაირად შიძლება იყოს ნივთი ან ძეგლი?!

სამწუხაროდ, ი. ქადაგიძეს აქ იმდენი ენობრივი საფანელიც კი არ აღმოაჩნდა, მაღლიანად ეთქვა: კახა რუსიძემ ჟურნალის 50 ეგზემპლარი **უსასყიდლოდ (!!!)** გადმოგვცაო!

ასე რომ მომხდარიყო, ბრძენი მკითხველი ამ დავთრების ამრევი „სასაჩუქრედ გვისახსოვრა“-ს გარეშეც ადვილად მიხვდებოდა, როგორც გამომცემლობის დირექტორის უანგარო ქველმოქმედებას, ისე „ისინდის“ სარედაქციო კოლეგიის სწორ გადანყვეტილებას: უსასყიდლოდ (!) გადმოცემულ ჟურნალის 50 ეგზემპლარს, ცხადია, სამახსოვროდ არ შეინახავენ (ამას რა აზრი ექნებოდა?!), მით უმეტეს, არც მწნილად ჩადებდნენ, არამედ მათ მიერ ყველაზე ღირსეულ კალმოსნად მიჩნეულებს საგანგებოდ დაურიგებდნენ ანდა ნაწილს მაინც სავაჭრო ქსელში გაუშვებდნენ, მაგრამ, როგორც დავინახეთ...

ყოველივე ამან ერთი მოსაზრება შთამაგონა, რომლის გაზიარებამ შეიძლება ქვეყნის სასაცილო გამხადოს, მაგრამ ამას აღარ დავეძებ, როცა საკითხი მშობლიური ენის სინმინდეს ეხება!

# თავი მეორე

## 1

ქართული ენციკლოპედიის მე-8 ტომის 614-ე გვერდზე დაბეჭდილია ასეთი სტატია „საგზაო ნიშნები“. რა არის ეს? გარკვეული ფორმის, ზომისა და შეფერილობის ფიგურები, რომლებსაც დგამენ საავტომობილო გზებზე და ქალაქის ქუჩებში მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთათვის სახიფათო უბნებზე მათთვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად.

მკითხველების ყურადღების გასამახვილებლად აქ მხოლოდ გამაფრთხილებელ ნიშნებს ჩამოვთვლი, ისიც შერჩევით: რკინიგზის შლაგბაუმიანი გადასავლელი... გადასახსნელი ხიდი... სანაპიროზე გასასვლელი... სახიფათო მოსახვევ(ებ)ი... ციცაბო დაღმართი... ციცაბო აღმართი... მოლიპული გზა... ბავშვები... საგზაო სამუშაოები... ქვების ცვენა... გარეული ცხოველები... გვირაბი და სხვა მისთანანი!

რა იქნებოდა, ქართული ენის სინმინდის დასაცავად შემოგვედო ანალოგიური „გამაფრთხილებელი ნიშნები“ ანუ ენათმეცნიერების ინსტიტუტი ან რომელიმე გამომცემლობა დროდადრო ბეჭდავდეს ისეთ პოპულარულ წიგნ-ცნობარებს, სადაც თავმოყრილი იქნებოდა მხოლოდ თანამედროვე (მიმდინარე) ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და პრესაში შემჩნეულ-შეკრებილი ენობრივ-აზრობრივი უნიკალური კურიოზები, რათა ყველას, განსაკუთრებით კი შემოქმედ ახალგაზრდობას, სააზროვნო სიფხიზლე რომ გაფხავებოდა – ესა თუ ის ავტორი აი, თურმე რის თქმას ლამობდა, სინამდვილეში კი რა გამოსვლიაო!

აქ მთავარი ის კი არ უნდა იყოს, მომავალმა შემოქმედმა ც მინცდამაინც იგივე შეცდომა არ გაიმეოროს, არამედ ამგვარი მაგალითების გათვალისწინებით თვალსაწიერი გაუფართოვდეთ და აზროვნების კულტურა დაეხვეწოთ!

მახსოვს, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ერთი მანდილოსანი ავტორი წერდა – **ძილში ნანახი სიზმრებიო!** რას ჰქვია „**ძილში ნანახი**“ – სიზმრებს მხოლოდ ძილში ნახულობენ, აბა, სიფხიზლეში ვინმეს უნახავს სიზმარი?!

სხვა ავტორი ტყის ბილიკზე მიმავალ ყმანვილზე აი, რას წერდა – **უცებ ძირს წაიქცაო!** გასაოცარია! თუკი წაიქცა, ცხადია, „ძირს“ ანუ სადაც იდგა, მიდიოდა თუ მირბოდა, იქ წაიქცეოდა, თორემ რაკი წაქცევა მელოდებო, უცებ მთვარეზე ხომ არ ახტებოდა – ბარემ იქ წავიქცეო?!

ესეც მწარედ დამამახსოვრდა. ერთ დებიუტანტს თავისი პირველი წიგნის ერთ-ერთ მოთხრობაში ქუჩის ჩხუბი აქვს აღწერილი. ჰოდა, ერთგან თავდაჯერებით წერს – წაქცეულს **ფეხებით წიხლები** დაუშინაო!

აბა, როგორ მოგწონთ ეს – **ფეხებით წიხლების** დაშენა?!

ახლა არის და აგერ, იკა ქადაგიძემ ქართულ ლექსიკურ მარაგს ახალი „მარგალიტი“ შემატა - „სასაჩუქრედ!..“

ცხადია, ზოგჯერ ამგვარი შეცდომებიც ხვდება კრიტიკის სამიზნეზე, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებულ კუდმოკვეცილ კრიტიკულ სტატიებსა თუ რომელიმე კრიტიკოსის მცირეტირაჟიან წიგნებში მერე ისე ჩაიკარგება ხოლმე, როგორც ნაცარში ტილი და დავინყებას ეძლევა! მაგრამ ცალკე წიგნ-ცნობარებში საგანგებოდ აკინძულ, განსაკუთრებულ ენობრივ-აზრობრივ კურიოზებს სულ სხვანაირი გამძლეობა, რიხი და მნიშვნელობა ექნება! და როგორც საავტომობილო გზებზე დადგმული გამაფრთხილებელი ნიშნები, ამ წიგნ-ცნობარებსაც დაახლოებით ისეთივე ან უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ყველა ქართველისთვის სავალ მშობლიური ენის რთულ გზებზე!

## 2

**ეს მეტად** დამალონებელია, მაგრამ სინამდვილეს სად გავექცევით?!

„ისინდის“ რედაქტორი ჟურნალის სხვადასხვა დონის ავტორების რაგინდარა ტექსტების ზერელე, ვალმოსახდელი რედაქტირებისას მძიმე-მძიმე ლექსიკონების გადალაგ-გადმოლაგებით მკლავებს რაზე ჩამოინყვეტს ანდა მტკივნეულად მოციმციმე კომპიუტერით თვალისჩინს რისთვის დაიძაბუნებს, როცა თვითმიზნურად განელილი თავისი წერილების ენობრივი სინმინდეც, ეტყობა, დიდად არც აეჭვებს, არც ანალვლებს!

სწორედ ამ თვალსაზრისით მის ყოველ წერილს ისეთი მიკონკილ-მოკონკილი კაბა აცვია, იმ ქართული ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს – **წინ მარტი უჩანს, უკან აპრილი!**

იკა ქადაგიძე თავდაჯერებით წერს.

ზემოთდასახელებული... არც თუ... ბოლო-ბოლო... „ომეგაში“ შევარდნილმა სააკაშვილის ზონდერებმა... თამამად მომდიოს... მეტნაკლებად... კალამი ხელში ამაღებინა... სიმპატია... მამალმერთივით... პაპარაცი... ნაჯექუ-უკუჯექობა... არაფრისდიდებით... სეპარატული... საკუთარ ჭიშკრის ალაგს არ გასცილებია... ყოყმანებს... ია-ვარდებით... თანასწორ სიბრტყეზე... არც არავის დამსახურება აინტერესებს... ფიგურანტის-მხატვრის... საკინტოურე... ჩემ ფრთებქვეშ... დღითიდღე... აია სოფია... გზას გადგომოდა... ხელისშემშლელთა... ქანცისგამცლელია... შენ ჭერქვეშ... თვალს ჭრიდა... შიდა სამზარეულო... ზემოთნახსენები... დაცდენია... ნიშნისმოგებით... „ბრუტოს, შენც?“... რამდენმაგი... ზურგსუკან... არაახალია... ჩემს ნაცვლად... კედელთან ჩემს მიყენებას... რომ სდომოდა... ქარცეცხლშიგამოვლილი... არადა, შენობის განლაგებიდან (?! ჯ.მ.) გამომდინარე, ის გვერდს ვერ აგვივლიდა... გააბედინა... თავის სადაქლო წევრებს ჩაანაცვლებდა... როცა შენს ნაცვლად... მამაკაცი კოლეგები მიმეორებდნენ – ეს მალიზიანებსო... ათასი სატკივართ... იდეოლოგიის არქონის შემთხვევაში... პეტრეს ტყავი გააძრესო... თვალსადახელსშუა... შორსმიმავალი... ტიკი ტომარა... თვალშისაცემი... მი-თუმეტეს... გადაყვებით... წლების წინ... რექვიემი... და ბოლოს... იმდენხანს... ქალმა თუ აინყვიტა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააბამსო... და ასე დაუსრულებლად!!!

**უნდა იყოს.**

ზემოთ დასახელებული... არცთუ... ბოლოს და ბოლოს... „ომეგაში“ შეცვნილმა სააკაშვილის „ზონდერებმა“... თამამად მომყვეს... მეტ-ნაკლებად... კალამი ამაღებინა... სიმპატია... მამალმერთივით... პაპარაცი... ნაჯექუ-უკუჯექობა... არაფრის დიდებით... სეპარატისტული... საკუთარ ჭიშკარს არ გასცილებია... ყოყმანობს... ია-ვარდით... ერთ სიბრტყეზე... არც არავისი დამსახურება აინტერესებს... ფიგურანტი-მხატვრის... საკინტოე...

(კინტოური, კინტოურად)... ჩემს ფრთებქვეშ... დღითი დღე... აია-სოფია... გზას გასდგომოდა... ხელის შემშლელთა... ქანცის გამცლელია... შენს ჭერქვეშ... თვალს სჭრიდა... შიდასამზარეულო... ზემონახსენები... დასცდენია... ნიშნის მოგებით... „ოჰ, შენცა, ბრუტოს!..“ რამდენაირი... ზურგს უკან... არახალია... ჩემ ნაცვლად... კედელთან ჩემ მიყენებას... რომ სდომებოდა... ქარცეცხლში გამოვლილი... არადა, დარბაზის სივინროვის (სიპატარავის...) გამო ის გვერდს ვერ აგვივლიდა... გააბედვინა... თავისი სადაქალოს წევრებით ჩანაცვლებდა... როცა შენ ნაცვლად... მამაკაცი კოლეგები მიმეორებდნენ – ეს გვალიზიანებსო... ათასი სატკივრით... იდეოლოგიის უქონლობის შემთხვევაში... პეტრეს ტყავი გააძვრესო... თვალსა და ხელს შუა... შორს მიმავალი... ტიკი-ტომარა... თვალში საცემი... მით უმეტეს... გადაწყვებით... წლების წინათ... რეკვიემი... დაბოლოს (უმჯობესია დასასრულ)... იმდენ ხანს... დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრაუღელა ხარ-კამეჩი ველარ დაიჭერსო და ასე დაუსრულებლად!

ამრიგად, რედაქტორს ჟურნალის ენობრივ-სტილისტური მხარე მაინცდამაინც დიდად არ ანალვლებს, ვინაიდან, როგორც მისი აშკარად ტენდენციური სტატიებიდან ჩანს, ის იაფფასიანი სახელის მოსახვეჭად არარსებული, სავარაუდო, უმნიშვნელო, უდანაშულო, გამოგონილი, განზრახ გაბერილი თუ სრულიად ბუნებრივი ოპონენტების ანუ „ისინდისა“ და პირადი „მოსისხლე მტრების“ ძებნა-დასახელებითა და მათი უშედეგო – კარიკატურული განადგურებითაა თავდავინწყებული!!!

ამაში გზადაგზა დარწმუნდებით!

\*\*\*

**მკითხველის** სამართლიან აღშფოთებას ინვევს „ისინდის“ ყოველ ნომერში გამოქვეყნებული მასალების რედაქტირების ზერელობა, რედაქტორის უცოდინარობით რომ არის გამონვეული!

სამაგიეროდ რაც იკა ქადაგიძის პერსონის განდიდებას ეხება, იქ ისეთი ზედმინევილობა იკვეთება, ადამიანს შეიძლება სუნთქვაც შეეკრას - ეს როგორღა მოიფიქრა ან რა მოსატანი იყო! თუმც ასე ჩვენ, უბრალო მოკვდავნი ვფიქრობთ, მაგრამ

ვინც განდიდების მანიას დაემეგობრება, ის თურმე სულ სხვანაირი, ჩვენთვის ამოუცნობი ზემთაგონებით ჯილდოვდება!

იკა ქადაგიძე თავის წერილებში რომელ ოპონენტს ან ავტორსაც უნდა გვისახელებდეს, თან იქვე უეჭველად იმასაც გვამცნობს - მასთან რამდენწლიანი მეგობრობა ან რანაირი სამოღვაწეო ურთიერთობა აკავშირებდა ან აკავშირებს! ჩაყოლით მოუსმინეთ!

„პირველი ნომრის გამოცემიდან მცირე ხნის შემდეგ... ცნობილმა პოეტმა სევარიონ ნადირაძემ, **რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა**, მთხოვა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), რედკოლეგიის რიგებიდან (უნდა იყოს სიიდან ან შემადგენლობიდან. ჯ.მ.) ამომეშალა“.

„ალიარებულმა კრიტიკოსმა ლევან ბებურიშვილმა (**მასთან ხუთწლიანი საბრძოლო თანამოაზრეობა მაკავშირებდა**) ჩემი რეკორდულად გახმაურებული, მებრძოლი ლექსის „მოდმის“ პრინციპული იგნორირების შემდეგ არც ჟურნალის მომდევნო ნომრისთვის შეინირა თავი“.

„არც თუ (უნდა იყოს არცთუ. ჯ.მ.) ძნელი მისახვედრი იყო, ამ გაუთვალისწინებელ გაგარეულებასა და პირუმტკიცობაში კლანური მომენტი ერია. ლ.გ. (ავტორისგან განსხვავებით აქ დასახელებულ პოეტს მე მხოლოდ ინიციალებით მოვისხენიებ. ჯ.მ.) ყველაზე გავლენიან მწერალთან და მეცნიერთან, როსტომ ჩხეიძესთან მეგობრობს, (**რომელთანაც მეც მრავალწლიანი და საინტერესო ურთიერთობა მაკავშირებს**)“.

„მესამე ნომრიდან „ისინდის“ ახალი წევრები: ჩემი ძველი თანაგუნდელი პოეტი ბადრი პატაშური და ახალგაზრდა პოეტი გიორგი შოშიაშვილი შემოემატნენ“.

„ამ მხრივ „ისინდის“ (აქ აკლია სიტყვა „რედკოლეგიის“. ჯ.მ.) საპატიო წევრად მიღებულმა ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა, მარინა თექთუმანიძემ, **რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს**, გარკვეული დროით სული მოგვაბრუნებინა“.

„ცნობილი ჟურნალისტის, ბრწყინვალე ლიტერატორისა და პოლიტიკური მოღვაწის თემურ ქორიძის მეგობარი (**განსვენებულიან ბოლო წლებში მეგობრობა მაკავშირებდა**), ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე შემოემატა“.

„რუსუდან ჭანტურიშვილი, რომელსაც ჩემთან ათწლიანი მეგობრობა აკავშირებდა, კახიანს უპირობოდ მიემხრო“.

„მადლიერებით აღვსილი შევყურებდი ძველ ნაცნობს (აქ თქვენს მონა-მორჩილზეა ლაპარაკი. ჯ.მ.), რომელმაც ჯერ კიდევ წლების წინ (უნდა იყოს წინათ. ჯ.მ.) საუკეთესო კრიტიკოსობა და ჟურნალის რედაქტორობა ღიად მიწინასწარმეტყველა“.

აბა, ახლა დავუფიქრდეთ, რა დღეში ჩავარდება ქართული კრიტიკულ-პუბლიცისტური და მათი მონათესავე ჟანრები, მით უმეტეს, ჩვენი, ისედაც განამებული მკითხველის მეხსიერებამახსოვრობა, იკა ქადაგიძისებურად ქართველმა მწერლებმაც თავ-თავიანთ სტატიებსა და წიგნებში თუგინდ გაკვირით ნახსენებ ნებისმიერ პიროვნებასთან დაკავშირებით - რაიმე მხატვრული აუცილებლობის გარეშე! - თავშეუწყენლად თან ესეც გვიჩიჩინონ: მავანთან და მავანთან რამდენწლიანი მეგობრობა ან რანაირი ურთიერთობა აკავშირებდა ან აკავშირებს!

დიახ, მაგრამ იკა ქადაგიძე გამონაკლისად უნდა მიიჩნიონ! ის ამგვარ უადგილო წვრილმანებს ისეთი თავდაჯერებით იუწყება, როგორც, მაგალითად, ღრმა იატაკქვეშეთში ნაცხოვრები თუ ახლაც იქ მცხოვრები ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ბელადი, რომლის მიერ რევოლუციონერი ამხანაგების დახასიათება და ბელადთან მათი ურთიერთობის წვრილმანები ძვირფასი მასალა იქნება მომავალ პარტიულ მშენებლობაში!!!

თქვენ, ალბათ, ირონიულად გელიმებათ, მაგრამ შორს აღარ უნდა იყოს ის ღრო, როცა ჩვენი მწერლობის პირუთვნელი მემატიანეები იკას ყველა ნაცნობ-მეგობრის ვინაობის, მარსიანის მიერ გენიოსად მიჩნეულ იკა ქადაგიძესთან მათი ურთიერთობისას იკას ისტორიული ავანჩავნობის გამოკვლევას გულდასმით დაინყებენ!

დაინყებენ კი არა, უკვე დაწყებულიც არის! ჩემი არ გჯერათ? მაშინ „ისინდის“ მე-13 ნომერში გამოქვეყნებული მარსიანის წერილის „ქვიშანი...“ 44-ე გვერდის პირველი სვეტის დასაწყისი თავად უნდა წაიკითხოთ! ხოლო თქვენ ბევრი რომ არ იწვალთ თუ ისევ მენდობთ, რაკი ამ... ხათაბალაში გამხვიეს, შევეცდები, ეს ადგილიც დაუმახინჯებლად გადმოვიწერო! აი, ისიც!

„როცა საქმე ქ-ნი დალის (უნდა იყოს დალი. ჯ.მ.) კახიანის გუნდიდან გაშვებაზე მიდგა, ქ-ნი რუსუდანი ათი წლის მეგობარს, იკას გადაუდგა და იკასგანვე გაცნობილ ახალ მეგობარს, ქ-ნი დალის მიემხრო“.

„ისინდის“ რედაქციაშიც სწორედ ამას ნერგავენ: ქართველმა მწერლებმა და მკითხველებმაც ზედმინწევით უნდა იცოდნენ - იკამ ვინ როდის გაიცნო!.. იკას ვინ როდის გაეცნო!... იკამ ერთმანეთს ვინ და ვინ გააცნო და მერე როგორ წარიმართა თითოეული მათგანის შემოქმედებითი თუ პიროვნული ბედ-იღბალი და ა.შ. და ა.შ.

აქ მარსიანმა მკითხველი საზოგადოების თვალში ბავშვური წინდაუხედაობით მოიჭრა თავი! აჰა, თქვენც დაუკვირდით - ის მტკივნეულ საკითხს ოპონენტთა საქციელის მცდარ-უმცდარობით კი არ სჯის, არამედ მათ შორის არსებული მეგობრობის... ხანდაზმულობით: ქ-ნი რუსუდანი ათი წლის მეგობარს, იკას გადაუდგა და იკასგანვე გაცნობილ ახალ მეგობარს მიემხროო!!!

ღმერთო დიდებული, ეს რა მომხდარა - დედამინას ღერძი გამოჰყრია და სულ დავლუპულვართ!... მერე, აქ რა იყო ასეთი შესაფუცხუნებელი?! ცისქვეშეთში განა ჯერ არ მომხდარა, ვინმეს ძველი მეგობრის „მეგობრობაზე“ თვალი ახელოდა, გული ასცრუებოდა და მისგანვე გაცნობილ ან ბუნებრივად შეძენილ „ახალ“ მეგობარს შესთვისებოდა და მიმხრობოდა?! რატომ? იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მეგობრობა ფასდება არა წლების სიმრავლით, არამედ უტყუარი საზომით: ნებისმიერმა მეგობრობამ როგორ გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას!!! ჰოდა...

მაშ, მარსიანი ასაკსრულ ჟურნალისტს, რუსუდან ჭანტურიშვილს ასე ბატონკაცურად რატომ უკრძალავს ღვთისა და კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას - ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით არჩევანი მხოლოდ თავისით გააკეთოს და საბოლოო გადაწყვეტილებაც თვითონვე მიიღოს?!

თუმც მარსიანს თავისდა უნებურად აქ ერთი ისეთი ჭეშმარიტების თქმა გამოუვიდა, იკა ქადაგიძის მეხოტბეთა მარაქიდან ამას შეგნებულად არვინ დაიცდენდა!

ჰოდა, თუ იკას მეგობარი და მისი გუნდის წევრი გახდი, მერე მორჩა - საკანცელარო ტაბურეტს უნდა დაემსგავსო! აღარც

„ახალი“ მეგობრები უნდა შეიძინო!... აღარც სხვისკენ გაიხედო!... აღარც მისი გუნდი მიატოვო!...

მოკლედ, დაუსრულებელი „აღარც და აღარც!..“ სამაგიეროდ ყველას მაგიერ იკა იაზროვნებს და გადანყვეტილებაც ყველაფერზე თვითონვე მიიღებს... ერთი სიტყვით, მხოლოდ იკას უნდა ეყმო, მხოლოდ მისი შეხედულებისამებრ იაზროვნო და იმოქმედო!

გაიხსენეთ რედაქტორის აღფრთოვანება ერთ-ერთი თანამშრომელი მანდილოსნით - მასთან შელაპარაკება ერთხელაც არ მომსვლიათ! ხოლო ლევან ბებურიშვილს რა უსამართლოდ კიცხავდა: „რეკორდულად გახმაურებული“ ჩემი ლექსი „მოდმე“ დაინუნა და არც მომავალი ჟურნალის ჩემეული სახელწოდება, „ისინდი“ მოიწონათ!...

რას იზამ, ესეც განდიდების მანიის თავისებური გამოხატულებაა, როგორც აი, ეს მაგალითები.

\* \* \*

**იკა ქადაგიძე** ჯემალ ქირიას ხსოვნისადმი მიძღვნილ თავის ორგვერდიან წერილში „მარადი მხედრის“ ნოსტალგია“, ერთგან დასაშვები სიამაყით აცხადებს: იმჟამად საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ ერთ-ერთ საავტორო ლიტერატურულ გადაცემას ვუძღვებოდიო!

ასეთი საქმიანობა მეტად დასაფასებელი და პატივსაცემია, მაგრამ... .

ერთ-ერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე იკას ერთი ცნობილი პოეტი მამაკაცისგან რაღაც სწყენია თუ ამ პოეტს იკასთვის მართლა რაღაც უწყენინებია!

ჰოდა, მოგვიანებით იკა ქადაგიძე „თავის“ ჟურნალში (2020, 10, გვ. 9, მეორე სვეტი, ზემოდან პირველი აბზაცი) აი, რას წერს, ოღონდ ამ პოეტის გვარ-სახელს და ფსევდონიმს მე ინიციალებით მოვიხსენიებ.

**„მისი ერთგული წევრისა და დამფინანსებლის, ჯ. ლ.-ის მხრიდან (ლ. იგივე გ. სამწერლო სივრცეს ჩემი მეშვეობით გაეცნო და შეეთვისა და აკი სამაგიერო ესოდენ კეთილშობილურად გადამიხადა!) ახდელი პროვოკაციის სამიზნედ ვიქეციო“.**

ჯერ ერთი, რაკი რედაქტორი იმ პოეტის მხრიდან სიკეთის გადახდას ირონიულად ახსენებს, მაშინ სიტყვა - კეთილშობილურად - ბრჭყალებში უნდა ჩაესვა!

მეორე და რაც მთავარია, ის პოეტი იკასთან თუ უმართებულოდ მოიქცა, ამ უკანასკნელსაც მხოლოდ ამ საგნის ირგვლივ უნდა ეტრიალა და ემსჯელა! თორემ მეტისმეტად უხერხულია, ვინმეს წამოაყვედრო - სამწერლო სივრცეს მე გაგაცანიო! ეს კი იკას საწინააღმდეგოდ მეტყველებს და მოქმედებს!

აბა, დაფუკვირდეთ: იმ ახალგაზრდას თუკი არ ებადა პოეტური ნიჭიერება და ამას არ იმსახურებდა, მაშინ იკა ქადაგიძეს ძალას ვინ ატანდა - იგი „სამწერლო სივრცისთვის“ წარედგინა და მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა?! მაგრამ ეს ახალგაზრდა პოეტი რაკი „სამწერლო სივრცეში“ გამოუყვანია, ამას, ალბათ, იმსახურებდა! ამიტომ იკა ქადაგიძე ახლა ამას არც უნდა უხსენებდეს, თორემ აქედან ამის მეტი არაფერი გამოდის: იკა ქადაგიძე რომელ შემოქმედსაც კი „სამწერლო სივრცეს“ წარუდგენს, მერე მორჩა - ეს შემოქმედი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იკას ყურმოჭრილი ყმა უნდა იყოს, ყველგან და ყველასთან ისე მოიქცეს და იმსჯელოს, როგორც ეს იკა ქადაგიძეს გაუხარდება!

ცხოვრებაში კი ეს ასე არ ხდება!

სამწუხაროდ, იკა ქადაგიძის გავლენით თუ მისი ამბიციების ჩასაამებლად, ამგვარი ცალმხრივი ფორმა „ისინდის“ სარედაქციო კოლეგიის ზოგიერთ წევრს განუსჯელად გადაუღია.

მარსიანი თავის წერილში „ქვიშანი...“ (2021, 13) ერთ-ერთი ახალგაზრდა პოეტის პოპულარობას იკა ქადაგიძეს უკავშირებს.

**„მისი „პოეტად კურთხევა“ სწორედ იკას დამსახურებაა“.**

იმავე პოეტის „სამწერლო სივრცეში“ გამოჩენას თემურ ნადარეიშვილიც („დაცემის ანატომია“, 2021, 13) იკა ქადაგიძის „ძალისხმევით“ ხსნის.

**„იგი „ისინდის“ წევრი და მუდმივი ავტორი გახდა... მისი „პოეტად კურთხევა“ სწორედ იკა ქადაგიძის ძალისხმევით მოხდა“.**

ასე და ამრიგად: ნებისმიერ ახალგაზრდას, სულ რომ არ ეცხოს პოეტური მადლი, საკმარისია იკა ქადაგიძემ გაიღოს

მონყალეზა და გამოიჩინოს აუცილებელი „ძალისხმევა“, ნებისმიერ ხელდებულ ახალგაზრდას პოეზიის ვარსკვლავად აქცევს!!!

არავის ეგონოს ამ შემთხვევაში იკა ქადაგიძისა და საერთოდ, ლიტერატურული შუამავალ-ნამყვანების რუდუნების გაქარწყლებას ვლამობდე, მაგრამ აქ ისე გამოჰყავთ, თითქოს დიდი არაფერია დამწყები შემოქმედის ტალანტი! მთავარი თურმე ლიტერატურული შუამავალ-ნამყვანი ყოფილა!

ტალანტი! ჰმ! ირგვლივ ტალანტების მეტი რა არის?! მთავარი მათი წარდგენა და გამომზეურებაა, თორემ ნებისმიერი ტალანტი ისე ჩაიკარგება, როგორც ნაცარში ტილი!

მაშინ რა გამოდის? ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის ძეგლი უნდა აიღონ, მათ ადგილას კი იმ შუამავლების ძეგლები აღმართონ, ვინც ესა თუ ის ტალანტი აღმოაჩინა ან საზოგადოებას წარუდგინა!!!

მართლა ასე რომ ყოფილიყო საჭირო, კაცობრიობა ამაზე დიდი ხნის წინათ იზრუნებდა!..

მოკლედ, სხვისი ტალანტის მოშველიებით მავანნი საზოგადოების თვალში თავიანთი დიდვინმეობის მითის შექმნას ამაოდ ცდილობენ!..

### 3

**ნებისმიერი** ჟურნალის რედაქტორი პასუხისმგებელია როგორც მასში გამოქვეყნებულ ყველა ტექსტზე, ცხადია, ისე ილუსტრაციებზეც. ხოლო ამ ილუსტრაციებზე ასახული რომელიმე სფეროსი თუ არაფერი გაეგება, მაშინ ნახატის ავტორს ბრმად არ უნდა მიენდოს და რომელიმე მაღალპროფესიონალისგან მიიღოს საჭირო კონსულტაცია.

რაკი სიტყვას მოჰყვა, აქ უეჭველად ესეც უნდა ითქვას!

პირდაპირ ამოუხსნელია: იკა ქადაგიძე მკითხველების ნდობას, გემოვნებას, მახსოვრობასა და მოლოდინს „ისინდის“ გარეკანის მეშვეობით ნომრიდან ნომერში ასე შეუწყალებლად რისთვის დაარბენინებს?!

ლიტერატურული ჟურნალის გარეკანი, მით უმეტეს, სადაც ამ ჟურნალის სახელწოდებაა მითითებული, სადა, მაგრამ აკა-

დემიური, ადვილად დასამახსოვრებელ-შესათვისებელი და, როგორც წესი, რაიმე განსაკუთრებული გამონაკლისის გარდა, ყოველთვის უცვლელია ხოლმე, რათა სანატრელი მკითხველების გული, გონება, გემოვნება და მოლოდინი მოინადიროს და თუ ამის საფუძველიც გაჩნდება, თავიც შეაყვაროს!

აქ? აქ კი ჟურნალის სახელწოდება „ისინდი“ და მასთან ერთად გაოგნებული მკითხველის გემოვნება და თავმოყვარეობა ყოველი ახალი ნომრის გამოცემისთანავე უმალ იძირება თვითმიზნურ-მანერულად, უხელოვნოდ ნანვალებ ნახატებში: რალაც ციხე-კოშკები... ურა კვიცები... ვითომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები... ქრისტე... ლომები... მხატვრის ნაიძულევი შთაგონებით დახატული, ნესტარგამოშვერილი ვეებერთელა ასპიტები და გველგესლები... უცნაური, ალბათ, პრეისტორიული, ნვეტკბილება დინოზავრები თუ ზღაპრული ურჩხულები და სხვ. და სხვ.!

საკითხავია, ასეთი ფანტიკური აკვიატება ჟურნალს რას მატებს? არაფერს, პირიქით: მკითხველის გულაცრუებას, გაღიზინებას და გაუცხოებას იწვევს!


ამასთან დაკავშირებით რედაქტორისთვის არაერთ გამოცდილ ლიტერატორს გაუზიარებია თავისი გულისტკივილი, მაგრამ იკა ქადაგიძეს ახლოს არვისი სიტყვა არ მიუკარებია, ვინაიდან მას სწორედ ასე უნდა!!!

მეტი რა ჩარაა – ასე უნდა და უნდოდეს!!!

ჰოდა, „ისინდის“ ყდებზე ხშირად ქვეყნდება მისი სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრის, თვითნასწავლი მხატვრის, მარსიანის ფერად-ფერადი ილუსტრაციები, უმრავლესობა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს რომ ეხება.

სამწუხაროდ, ბევრ მათგანზე ასახული ეპოქის, სფეროს, დარგის, საქმიანობისა თუ საგნის ისეთი უცოდინარობაა გამყლავნებული, რომ ესა თუ ის ნახატი ნება-უნებლიეთ სკოლის მონაფის მიერ დაუფიქრებლად შესრულებულ კარიკატურას ან გამარყებას ემსგავსება.

ამ თალსაზრისით შევეხოთ თუგინდ ჟურნალის (N7, 2020) მეოთხე გვერდზე გამოტანილ „ვეფხისტყაოსნის“ აი, ამ ფერად ილუსტრაციას, რომელზეც გამოსახული მხედარი, ავტორისა და რედაქტორის მტკიცებით, თურმე ავთანდილი ყოფილა!



დავინწყოთ ცხენსაკაზმიდან. ცხენის სამართავად აღვირის ტოტები ცხენის პირში ამოღებულ ლაგამთან უშუალოდ არის ხოლმე დაკავშირებული. ნახატზე კი აღვირის ერთი ბოლო (ცხა-დია, მეორეც ასე უნდა წარმოვიდგინოთ!) უაზროდაა გამოზმული ავშარის დაშორებულ რგოლთან, რაც მხედარს გაუძნელებს ცხენის თავისი სურვილისამებრ მართვას!

ცხენს სულ არა აქვს გულავშარა! არადა, უამისოდ რომელი თავმომწონე მხედარი, მით უმეტეს, იმ უნდო ეპოქაში და თანაც ავთანდილი – მეფის სპასპეტი (ჯარის უფროსი, მხედართმთავარი, სარდალი) ინებებდა ასეთნაირად შეკაზმულ ცხენზე შეჯდომას?!

რა არის გულავშარა? აღვირის მეორე წყვილი ტოტები, მიმაგრებული სამკერდულზე (ცხენმა თავის მაღლა გდება რომ არ დაინწყოს).

მსოფლიო ფერწერის ისტორიაში პირველად, ალბათ, „ისინდის“ ამ ნახატზეა გამოყვანილი ბანტიანი (!!!) ცხენი, საძუის (!) მაგივრობას რომ ეწევა და მის გავას „ამშვენებს“!

რა არის და რა დანიშნულება აკისრია საძუეს? ცხენის ძუის (კუდის) ძირში ამოღებული (და არა მასზე ბანტივით შემოხვეული, როგორც ამ ნახატზეა!) რბილი, გამძლე თასმა, უმოკლესი გზით რომ უერთდება უნაგირს, რათა თავდაღმართზე უნაგირი თავის მხედრიანად საფათერაკოდ წინ არ წაცურდეს!

სამკერდული?! რაც საძუეს, სამკერდულსაც იგივე დანიშნულება აკისრია, ოღონდ ცხენ-მხედრის აღმართზე მოძრაობისას! მართალია, ნახატზე ცხენს გულმკერდზე კი მოუჩანს სამკერდული, მაგრამ, აბა, სად ჩანს, ის უნაგირს რომ უერთდება?! არადა...

გასაკვირია, ცხენს არ უჩანს **ხარლა!** რა არის **ხარლა?**

დასაბმელი ან სატარებელი (და არა სამართავი) აღვირი.

გავიხსენოთ პოემის 217-ე სტროფის მეორე და მესამე სტრიქონი.

**ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახა დიდნი ხენია,**

მას ზედა ჭვრეტად გავიდა, ძირსა დააბა ცხენია.

ბარემ 227-ე სტროფის პირველ სტრიქონსაც დავხედოთ.

**ჩამოვიდა, ცხენი ახსნა, მისგან ხესა გამოზმული.**

ცხადია, ავთანდილს ცხენი ხეზე **ხარლათი** ეყოლებოდა გამოზმული და არა, ვთქვათ, ასაკეცი წვრილი ჯაჭვით ანდა საბლით!

ასე რომ, წარმოუდგენელია, იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ ცხენსაკაზმში არ ყოფილიყო მისი შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი, **ხარლა!**

გაკვირვებას იწვევს ნახატზე გამოსახული თოქალთოს ზომები, ფორმა და ფერი.

რა არის **თოქალთო?** ცხენის ზურგზე (უნაგირქვეშ, საოფლეზე) დასაფენი სქელი (ჩვეულებრივ ტყავგადაკრული) ქეჩა. თოქალთო უნაგირზე ცოცხათილა უნდა იყოს დიდი და ცხენს მხოლოდ ზურგს უფარავდეს, რათა არ გადაეყვლიფოს!

აქ? ეს ჩვეულებრივი თოქალთოა თუ დაკეცილი ატლასის საბანი, რომელიც ცხენს მარტო ზურგს კი არა, გვერდ(ებ)საც უფარავს და აგერ, თავისი წვერით ბარძაცსაც კი სწვდება! ასეთი კარიკატურული თოქალთო ცხენს მოძრაობას გაუძნელებს და სულ ოფლში განურავს, თან არც მხედრის წვივებს დააყრის ხეირს!

რალა არის **ქეჩა?** მოთელილი მატყლი. ჰოდა, ვინმეს უნახავს ჟოლოსფერი ცხვრები ან ჟოლოსფერი მატყლი?! მაშ, ნახატზე საიდან, რანაირად ანდა რისთვის გაჩნდა ჟოლოსფერი ქეჩის თოქალთო?!

შეიძლება თვითონ ავტორი ან რომელიმე მოხალისე ოპონენტთაგანი შემომეკამათოს: ეს თოქალთო კი არა, უნაგირზე ზევიდან გადასაფარებელი **ასალი, ყაჯარი ან ბორდააო!** კეთილი, მაგრამ აქ ჩამოთვლილ უნაგირის გადასაფარებლებს ვინ მოაქცევს გარსაკრებქვეშ?!

თვითონ **გარსაკრები?** გარსაკრები ცხენს სრულიად უადგილო ადგილას – ზედ შუა მუცელზე აქვს ამოჭერილი, რაც ხიფათის მატარებელია! რატომ? ჯერ ერთი, ცხენის სუნთქვასა და ბუნებრივ მოძრაობას ხელს შეუშლის. მეორეც, სიარულისას, მით უმეტეს, ჭენებისას ცხენს მუცელი თანდათან ეჩუტება და, ცხადია, გარსაკრებიც ბოშდება!. ამას კი უნაგირ-მხედრის რომელიმე მხარეს მოულოდნელი მოცურება მოსდევს!...

ერთი მეორე, უკანა გარსაკრს დაუკვირდით: ის ვალმოსახდელად თუ დილეტანტურად მუცლის ისეთ შევიწროებაზეა ამოჭერილი, ცხენის სულ რამდენიმე ნაბიჯიც საკმარისი იქნება, უკან რომ წაცურდეს და ველარ შეასრულოს თავისი დანიშნულება!.

ახლა ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს: რომელ მხედარს ეს სად და როდის შეემთხვევა: სწორ, რბილ გზაზე ან აბიზინებულ ველობზე წყნარად მიმავალს თუ უფსკრულის პირას ჭებ-ჭენებით მიმფრინავს და ეს რით დამთავრდება!

ერთი სიტყვით, გარსაკრებს ცხენს მუცელზე კი არა, მკერდზე ამოუჭერენ ხოლმე, უნაგირი საიმედოდ რომ იყოს დამაგრებული!

**გარსაკრების ბალთები?** ისინი, ეს ბალთები, როგორც ნესი, უნაგირთან ახლოვე და თანაც უნაგირის თხელი ტყავითაა ხოლმე დაფარული, მხედარს წვივები რომ არ დაუზიანდეს! აქ კი ყველაზე წინა გარსაკრის ბალთა პირდაპირ ემიზნება მხედრის წვივის ყველაზე რბილ ადგილს!

**უზანგე(ებ)ი?!** კარგად დააკვირდით ნახატის ამ ელდისმომგვრელ დეტალს: მარჯვენა უზანგში (ცხადია, მარცხენაც ასევე იქნება, მაგრამ მხატვარმა რატომღაც ისე დაგვიმალა, ბენვისოდენადაც არ გამოჩანს!) ცხენის მუცლის კარგა ქვემოთ (!) ისე უაზროდ და უსაშველოდ არის ჩამონოწოლაკებული, რომ მხედარი, ამ შემთხვევაში არაბეთის მეფის, როსტევეანის სპასპეტი, ავთანდილი, ფეხის წვერითაც კი ძლივს სწვდება!!!

მოკლედ, აქ დილეტანტური უდარდელ-უპასუხისმგებლობითაა გაუპატიურებული ყველა ის მიღწევა და გამოცდილება, რაც კი კაცობრიობას თვისი არსებობის მანძილზე ამ სფეროში დაუფროვებია!!!

ჩემი სიმტყუვნისთვის, ვინმეს რომელიმე რამედ ღირებული ფერმწერის ნახატზე, მხატვრულ, დოკუმენტურ თუ მრავალსერიან ტელეფილმში... იპოდრომზე... ოლიმპიურ, მსოფლიო, კონტინენტურ ან რომელიმე სხვა დონის სპორტული შეჯიბრებისას თუ შეუნიშნავს, რომ შეკაზმული ცხენის(!!!) მხედარს ფეხ(ებ)ი ასე უგვანოდ, სასაცილოდ, თავმოსაჭრელად და აღმაშფოთებლად ჰქონდეს ჩამოდღლეზილი?!

ამევესო მოთმინების ფიალა – ბოლოს და ბოლოს, როდემდე და სადამდე?! მაშ, დავდოთ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი: საერთოდ იმ ეპოქის რომელ მეჯინიბეს მოუვიდოდა აზრად ცხენის ასე სასაცილო-სახიფათოდ შეკაზმვა?! ან ამას რომელი მეჯინიბეთუხუცესი აპატიებდა?! როგორ ფიქრობთ, მეფის სპას-

პეტს აკადრებდნენ ანდა გაუბედავდნენ ამგვარად შეკაზმული ცხენის მიგვრას?! ჰა, ჯანი გავარდეს, თავიანთი სირეგვნითა თუ სხვა რამ მზაკვრული მოსაზრებით გინდაც მიეყვანათ, ავთანდელი ინებებდა ამ ყაიდით „შეჯღანულ“ ცხენზე ამხედრებას?!

ცხადია, ამას არ უნდა ბევრი ფიცი და მტკიცე: რუსთაველის მიერ აღწერილ თუ აღუწერელ იმ ეპოქის სამეფოთა კარის ყოფა-ცხოვრებაში ცხენის მოვლა-პატრონობა, მისი წელმორთულობა, დაუნაგირება, დალაგმვა, ჯირითი თუ ცხენიდან ხმალდახმალ ბრძოლა თავისი ადათ-წესების დაცვით ეცოდინებოდათ! მე უბედური კი – ამდენი ხნით ნაწილობრივ მაინც რომ მივატოვე ჩემი ღვიძლი საქმიანობა, პროზაიკოსობა – ვდგავარ და მავანი გრაფომანის, ეპიგონ-დილეტანტისა თუ თვითმარქვიას გონებრივ „ნობათში“ პირბადისა და რეზინის ხელთათმანების გარეშე ვიქექები!

ადამიანის პიროვნული სრული გაარარავეებისაგან აქ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი რიგითი „მამელუკის“ მოვალეობის შეგნება მშველის – ჩემი მწერლური სინდისის საბედისწერო კარნახს ბოლომდე პატიოსნად მივყვე!

მაშ, განვაგრძოთ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მე-4 ტომშია შეტანილი გერმანული სიტყვა, **კოლერი** – ცხენის ერთგვარი გაფიცება, გაავება.

გასაკვირია, ეს უცხო სიტყვა არ აღმოჩნდა გამომცემლობის „განათლება“ მიერ 1989 წელს დასტამბულ „**უცხო სიტყვათა ლექსიკონში**“. სამაგიეროდ აქ შეტანილია ცხენოსნობასთან დაკავშირებული მეორე გერმანული სიტყვა, **შენკელი** – მხედრის ფეხის შიგნითა (ცხენისკენ მიქცეული) ნაწილი, მუხლიდან კოჭამდე; **შენკელის** მიწოდებით მხედარი მართავს ცხენს.

ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟ მხედრებს გაგონილიც არ ექნებოდათ – ანდა, საიდან და რანაირად?! – ცხენოსნობასთან დაკავშირებული ეს გერმანული სიტყვები: **კოლერი** და **შენკელი**! მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ვინ დაიჯერებს, აღმოსავლეთში ევროპელებზე უფრო ადრე არ ეცოდინებოდათ საჯდომი ცხენის ერთგვარი გაფიცება, გაავება ანდა წვივების მოჭე-

რა-მიწოლით ცხენის მართვის გამოცდილება?! მაგრამ ამსიგრძე უზანგებიდან ფეხების გამოუღებლად და საჭირო სიმაღლემდე მათ ასაკეცად ეს როგორ უნდა მოახერხოს ნახატზე ნაგულისხმევმა ავთანდილმა?! ხოლო თუ აღარ დაიშლის, მაშინ საყრდენი გამოეცლება, წონასწორობაც დაეკარგება და ვინ იცის, რა...

აბა, ან ეს როგორ არ აღგაშფოთებთ! ცხენოსნის ფეხის დაბოლოება ცხენის მუცელს (!) იმდენად გონებამიღმურად არის ჩამოცდენილი, რომ აგერ, მხედრის ფეხის წვერი (!!!) ცხენი მუხლს (!!!) უპირისპირდება!!! ხომ წარმოგიდგენიათ, ჭენებისას ეს რას მოიყოლებს: ცხენს ხომ ხელს შეუშლის და შეუშლის, ხოლო მტკივნეული ხლისაგან მხედარს ტერფი ისე დაუზიანდება, შეიძლება არტაშანი დასჭირდეს!!!

გარდა ამისა, მხედრის მარჯვენა ფეხი ცხენის მუცელს რაკი ამდენზეა ჩამოცილებული, მაშინ მარცხენა ფეხის ტერფმა რაღა დააშავა – მისი რაღაც ნაწილი მაინც უნდა მოჩანდეს, თორემ ავთანდილი ცალფეხა ხეიბრის შთაბეჭდილებას ახდენს!... მაგრამ, როგორც ვხედავთ, მხატვარმა ამ ბედნიერებით რატომღაც არ დაგვაჯილდოვა!

\* \* \*

ამის აღუნიშნობას მცოდნე მკითხველები არ მაპატიებენ. მაშ, დაუკვირდით: ქვექვევით, თოხარიკით თუ მსუბუქი ნავარდით მიმავალ მარსიანის ცხენის ფეხების განლაგებას: მარცხენა წინა ფეხი დასადგმელად წინ გაუშვერია, მარცხენა უკანა ფეხი კი ისევ (!) უკან უდგას! ხოლო მარჯვენა წინა და უკანა ფეხები მხატვარს ისე ახლო-ახლო მიუტანია, შიშიც კი გაგკრავს – ჯერ ისედაც და მით უმეტეს, პატრონის სიმძმით ცხენმა წონასწორობა არ დაკარგოს, რომელიმე მხარეს არ გადაყირავდეს და მხედარი ქვეშ არ მოიყოლოს!

ერთი სიტყვით, ყოველ ოთხფეხს თვით ბუნებისაგან აქვს დანათლებული: სიარულისას თუ სირბილისას წონასწორობის შესანარჩუნებლად წინა და უკანა ფეხებს ჭადრაკულად ანუ ერთმანეთის მონაცვლეობით ადგამენ!

ახლა განვსაჯოთ, როგორია ნახატზე გამოსახული ვითომ ავთანდილის მხედრული შნობა და გამოცდილება! ამ სფეროში ოდნავ გარკვეულმა ახალბედამაც რომ დახედოს, მაშინვე დაასკვნის – მარსიანის ავთანდილს ცხენოსნობის არაფერი გაეგებო!

სულ ახლახან აღვნიშნე და მოკლედ კიდევ გავიმეორებ – „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გმირი ასერიგად შეკაზმულ ცხენზე არ შეჯდებოდა! მაგრამ მარსიანმა რუსთაველის ავთანდილი რაკი შესვა ამგვარად შეკაზმულ ცხენზე, ჩვენ ველარაფერს მოვეუხერხებთ-მხოლოდ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა შეგვიძლია, მეტი არაფერი!

ჰოდა, თავი დავანებოთ საძუის აბსურდულობას, გულავშარისა და ხარლას უქონლობას, სამკერდულის დაუგვირგვინებლობას, ატლასის საბნისებურ თოქალთოს, არასწორ დაუნაგირებლას და უაზროდ ჩამოგრძელებული უზანგ(ებ)ის გამო მხედარი გონჯად ჩამოდღეზილი მარჯვენა ფეხით უბელო ჯაგლაგზე ალახმალახ გადამჯდარ ცუდმედიდ ტეტიას რომ დამსგავსებია!

აბა, დახედეთ: ავთანდილი ისეთი ხაზგასმული დაჭიმულ-დაძაბული ზის ცხენზე, რომ ცოცხალ ადამიანს კი არა, უსულგულო ძეგლს მოგვაგონებს!

მეტ-ნაკლებად გამოცდილი მხედარიც კი ბედაურზე უზის ხოლმე თავისუფლად, დაუძაბავად, ლალად და რაც მთვარია, თავისი ტანის მოძრაობას ცხენის მოძრაობას თანაზომიერად უფარდებს, რათა თვითონ გულ-მუცელი არ გამოედღვიბოს და ცხენიც ზედმეტად არ დაქანცოს ან ხერხემალი არ დაუზიანოს!

ახლა დააკვირდით ავთანდილის ტორსს – ეს მხედრის, საერთოდ, ცოცხალი ადამიანის ტორსი კი არ არის, არამედ თანამედროვე გაზსადენის ტერმინალის დიდდიამეტრიანი „ტრუბის“ (მილის) მონაჭერი!... ასევე გაუგებარია, მხატვარს მაინც რაში დასჭირდა, მხედრისთვის მკერდი ასე არაბუნებრივად აებურცა – მაგით ვითომ რაო?!

ვაღიარებ, მე ვერაფრის თქმას ვერ გავბედავ ნახატზე ერთად თავმოყრილ ამდენ პლანეტაზე და მათი ურთიერთგანლაგების კანონზომიერებაზე, ვინაიდან აქ მცოდნე ასტრონომების მსჯელობაა საჭირო.

ჩაცმულობა? ავთანდილის ჩაცმულობა შეესაბამება თუ არა შუა საუკუნეების არაბული სამეფოს **სპასპეტის** ჩაცმულობას? რაც მართალია, აქ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ გაკვირვებას იწვევს ზედა, უსახლეებო მოლურჯო საცმელი – ეს რა არის?! უფრო დიდ გაკვირვებას აღძრავს ამ ზედა ტანსაცმლის ქვეშ მჭიდროდ **შემოტმასნილი** ჟოლოსფერი ქვეშითა საცმელი, რომელიც მაყურებელს დახედვისთანავე აბნევს, რადგან ვედარ გარკვეულა – ეს ოლიმპიელი მოთხილამურის, მოციგურავის თუ წყალქვეშა მყვინთავის ერთი მთლიანი რეზინის რეიტუზია! ვინ ირწმუნებს, ავთანდილის ეს „რეიტუზი“ და ცხენის თოქალთო ერთი და იმავე ფერისა იქნებოდა ან უნდა ყოფილიყო!... გარდა ამისა, იდაყვსა და მუხლისთავზე მოჭერილი რალაც რბილი სამაგრი ავთანდილს სკეიტბორდით გატაცებულ ბერბიქას ამსგავსებს!

#### 4

**ახლა** გადავიდეთ მხედრის აღჭურვილობაზე!

პოემის ერთ-ერთ მთვარ გმირს მოუჩანს რალაც წვრილი, ოდნავ მოლუნული მოკლე სატევარი, რომელიც წყრთის სიგრძეც ძლივს იქნება! ლომ-ვეფხვებითა და ათასი ჯურის მოხეტიალე ფალავანთფალავნებითა და ყაჩაღებით სავსე იმ უნდო ეპოქაში კი ამგვარი ბებუთისებური იარაღით მინდორ-მინდორ არავინ გავიდოდა! მაშინ თავისთავად იბადება ბუნებრივი კითხვა: ტყეველად გაჭრილ მხედარს ამგვარი პანია იარაღი რად უნდოდა-სახიფათო მოულოდნელობისას ვისა და რის წინააღმდეგ შეიძლებოდა მისი ხმარება?!

მხედარს დიდი, საკადრისი ხმალი მარცხენა გვერდზე ჰკიდია, მხატვარმა კი ვერ შეძლო ნახატზე ამის ჩვენება ან რამენაირი მინიშნება?! მაშინ მით უფრო გასაკვირია, რალა დანიშნულება აკისრია ამ მომცრო სატევარს? თანაც ეს პატარა, მოკლე იარაღი მხატვარს მხედრისთვის რატომღაც მარჯვენა გვერდზე მიუკოსება! ცხენოსანს თან აღვირიც მარჯვენა ხელით უჭირავს! ეს ყველაფერი კი, საჭიროებისას, მეტად გააძნელებს მარჯვენა

ხელით ამ იარაღის გაშიშვლებას! მაგრამ თუ მარცხენათი გაა-  
შიშვლებს და იარაღს მარცხენა ხელიდან ახლა მარჯვენა ხელში  
გადაიტანს, ხოლო აღვირს მარჯვენა ხელიდან მარცხენა ხელში  
გადაუნაცვლებს, ეს წამების დაკარგვას მოიყოლებს, რაც იარა-  
ღის ასხმასა და ცხენოსნობაში გაუნაფავ მხედარს შეიძლება სი-  
ცოცხლის ფასადაც დასჯდომოდა!!!

\* \* \*

**აბა**, ამასაც დააკვირდით: მხატვარმა მხედარს მშვილდი რა-  
კი მარჯვენა მხარზე ჩამოჰკიდა, ცხადია, ცხენის ტარებისას  
და, მით უმეტეს, ჭენებისას ეს მშვილდისა და ამ ყრმათა სავარ-  
ჯიშო სატევრის ურთიერთცემას გამოიწვევს, რამაც შეიძლება  
მშვილდს ლარი ისე დაუზიანოს, მშვილდად აღარც გამოდგეს!

და რაც ყველაზე გამახევებელ-აღსაშფოთებელია: მხატვარმა  
მხედარს მშვილდი მხარაზე ასეთი დილეტანტური დაუფიქრებ-  
ლობით რომ ჩამოაკონწიალა, ჭენებისას და მეტადრე მტერთან  
ხმალდახმალ ფიცხელი შეტაკებისას მშვილდს მხარზე რა გააჩე-  
რებს-მაშინვე ჩამოუცურდება და ხმალმომარჯვებულ მხედარს  
მკლავზე საბედისწეროდ გაებლანდება!!! ამიტომ მსოფლიოს ყვე-  
ლა ქვეყანასა და კუთხეში მშვილდ-ისრის ხმარების მთელ მან-  
ძილზე მშვილდს რომელიმე მხარზე(?) კი არ იკიდებდნენ, არა-  
მედ, როგორც წესი, **მხარილღივ(!!!)** ისე გადაიკიდებდნენ ხოლმე,  
მშვილდის ზევითა ბოლო მხედრის მარცხენა მხარეს ყოფილიყო  
აშვერილი, რათა ამ უკანასკნელს მარჯვენა მხარ-მკლავი ყოველ-  
გვარი აუცილებლობისას გაუნვალებლად ემოძრაებინა!

ერთი სიტყვით, როგორც მშვილდს, მხატვარი საისრეს, ისრე-  
ბის ბუდეს ანუ კაპარჭსაც ბავშვური თვითნებობით მოჰქცევია  
– ამდგარა და ის კიდევ მხედრისთვის მარცხენა მხარზე ჩამო-  
უკიდა! სწორადაც მოქცეულა: რაკი აღამიანს ორი მხრის მე-  
ტი არა აქვს და მხედარს იმსიგრძე მშვილდი მარჯვენა მხარზე  
დაჰკიდა, აბა, კაპარჭსაც იმავე მხარზე ხომ არ დაჰკიდებდა?!  
ამიტომ თავისთავად ცხადია, კაპარჭი კიდევ ფიროსმანის ერთ-  
ერთი ნატურმორტის დოშივით მეორე, მარცხენა მხარზე უნდა  
ჩამოეკიდა! აბა, სხვაგან სად მიეკიდებინა?!

მაშ, როგორია: მშვილდი მხედრის მარჯვენა მხარზე, ისრებით სავსე კაპარჭი-მარცხენა მხარზე! აგანგალა-განგალა!

მშვილდისა არ იყოს, ცხენოსნის მხარზე ასე ან სავსე საისრეს რა გააჩერებდა?! ამიტომ კაპარჭსაც **მხარილღივ** გადაიკიდებდნენ ხოლმე! თუ რანაირი წესით, მალე ამაზეც კი მოგვინვეს ნაიძულევი მსჯელობა! მანამ კი შვილდის ზედა ბოლოსა და კაპარჭიდან ამოშვერილი ისრების ყიას ანუ ხელის მოსაკიდებლებს დაუკვირდით – ისინი მხედარს თითქმის თავის თხემამდე სწვდება! ასეთ პირობებში არამცთუ ჭენებისას, არამედ ცხენის ჩაქჩაქისასაც კი მხედარს ეს თეთრი თავსარქველიც უეჭველად მოსძვრება და კეფა-კისერიც დაუიარავდება!.. ანდა, მკითხველი როგორ ფიქრობს, ბარძაყზე შუბივით დაბჯენილი ამ უშველებელი მშვილდის ბოლო მხედარს ხეირს დააყრიდა?!..

ერთი სიტყვით, ჩვენს მხატვარს აინუნშიაც არ მოსდის ცხენის, მხედრისა და მისი აღჭურვილობის კომპოზიციური ურთიერთპროპორციულობა!

## 5

**აბა**, რა წყალსა და ღვარს მივეცე, როცა ჟურნალის „ისინდი“ რედაქტორი იკა ქადაგიძე და ამავე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი – პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მუსიკოსი და თვითნასწავლი (самоучка) მხატვარი, მარსიანი მაიძულეებენ, ოდესღაც აღმოჩენილი ამერიკა ხელახლა აღმოვაჩინო ანუ მხედრის მხარბეჭზე კაპარჭის მდებარეობის ზედმეტი ახსნა-განმარტებით სისხლი გაუშურო იმ თავგადადებულ მკითხველებს, ეს ჩემი თავშესაწყენი წიგნი ჯერ კიდევ ხელუკუდმა რომ არ მოუსროლიათ!

ხელუკუდმა მოსროლასლა ვჩივი?! იმაზედაც მადლობელი ვიქნები, თან ქოქოლასაც თუ არ მომაყრიან: სხვის ამგვარ აბდაუბდაში, ნეტავ რას იქეძები – პროზაიკოს კაცს ნუთუ მეტი საქმე არა გაქვსო?! ეეეჰ!...

მაშ, ისევ მშვილდ-ისარს მივუტრიალდეთ! მხედარს (სპორტსმენს, პატარა ბიჭუნას...) ისრის ტყორცნისას მშვილდი რო-

მელ ხელში უჭირავს ან უნდა ეჭიროს? მასობრივი ინფორმაციის ტრადიციულ საშუალებებსაც თავი რომ დავანებოთ, მსოფლიოს კომპიუტერიზაციის ეპოქაში ეს უკვე ყველას ეცოდინება. ისრ(ებ)ის ტყორცინისას მოისარს მშვილდი, როგორც წესი, მარცხენა ხელში უჭირავს ხოლმე! გიშველათ ღმერთმა! მაშინ მხარილივ (!) გადაკიდებულ კაპარჭს თავი მხედრის ზურგის რომელ მხარეს უნდა ჰქონდეს, ისრ(ებ)ის ამოღება და ტყორცნა ხანდაუზმელად რომ შეიძლებოდეს?

ცხადია, მარჯვენა მხარეს, მხედარმა თავისუფალი მარჯვენათი ხელუკულმა შეუფერხებლად რომ შეძლოს კაპარჭიდან პირველი თუ მორიგი ისრის ამოღება, ლარსა და მშვილდთან გასწორება, დამიზნება, ტყორცნა!!!

მარსიანის ამ ნახატზე? თითქოს განზრახ, აქ ყველაფერი უკულმაა: იმის მაგიერ, ავთანდილისთვის მშვილდი მხარილივ ისე გადაეკიდებინა, რომ მის აშვერილ ბოლოს ხმალდახმალ ბრძოლაში ხელი არ შეეშალა, აუღია და მარჯვენა (!) მხარზე „თვითნებურად“ ჩამოუკიდია! კაპარჭი? მარცხენა მხარზე! ის კი არ მოსვლია ფიქრად – მხედრის მხარზე ან ერთს ან მეორეს ასე რა გააჩერებს, მხარილივ თუ არ გადაიკიდებენ! თანაც ასეთი თანამიმდევრობით: ჯერ კაპარჭი უნდა გადაიკიდონ, მერე კი მშვილდი, თორემ პირიქით რომ იყოს, მტრისას – ასეთ შემთვევაში მშვილდის გადმოგდება გაძნელებდა ან სულაც შეუძლებელი გახდება, მანამ კი ამისთანებში ხელგანაფული მოწინააღმდეგე...

ო, ღმერთო, რანაირ საყოველთაოდ ცნობილ წვრილმანებზე გვიხდება ტვინის გამომალაყებელი ჩიჩინი! ...

ახლა ამასაც დაუკვირდით: დავუშვათ და ამ ნახატზე გამოსახულ მხედარს მშვილდ-ისრის ხმარება დასჭირდა და მარსიანის მიერ მარჯვენა მხარზე მიკოსებული მშვილდი, როგორც იქნა, გადმოიღო და, წესისამებრ, ახლა მარცხენა ხელში გადაიტანა! მაშინ მარცხენა მხარზე (?!), თანაც შვეულად (!!!) ჩამოკიდებული კაპარჭიდან ისრ(ებ)ის ამოღება როგორ უნდა შეძლოს – თავისუფალი მარჯვენა ხელი თავ-კისერს უკანიდან შემოუტაროს, წინიდან თუ თავზემოდან გადაიტაროს?!

მკაცრი სინამდვილე შემდეგ კითხვას თვითონ გვისვამს: რომელიმე ამგვარი ხერხით კი შეძლებს მხედარი კაპარჭიდან თავის

დროზე ისრის ამოძრობას თუ ვერა, ანდა საბედისწეროდ გაუჭიანურდება, რაც შეიძლება სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდეს!

ერთი სიტყვით, ფერწერობანათი ნამდვილი გოგობიჭური ჩხირკედელაობა!

ასეთ შემთხვევაში კი სხვა რაღა დაგრჩენია: განცვიფრებას თავისთავად ეძლევი და თან ასეთი მხატვრისადმი კოლეგიური თანაგრძნობით იმსჭვალები: როცა იცი ან ატყობ (თუმც იცის ან ატყობს კი?) რომ ცხენის წელმორთულობის, შეკაზმვის, მხედრის ცხენზე ჯდომისა და აღჭურვილობის თუ იმ ეპოქის შესატყვისი ტანსაცმლისა არაფერი გაგეგება, ძალას ვინ გატანს, თავს ხიფათში რაზე იგდებ – რაღა მაინცდამაინც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს მიადექი, ცხოვრებასა თუ ბუნებაში სხვა თემები დაილია?!

აქ მხატვრის მიუტყვეებელ დილეთანტიზმზე უფრო დამალონებელია ამასთან დაკავშირებული თვით ჟურნალის რედაქტორის, იკა ქადაგიძის სერიული უდარდებლობა და დასაგმობი თავნებეობა!

აი, ეს სად და როგორ მჟღავნდება.

2019 წლის 19 სექტემბერს, მეტროსადგურთან „თავისუფლების მოედანი“ მიმდებარე ბაღში პირველი საქმიანი შეხვედრისას, ჩვენი მომავალი უანგარო თანამშრომლობის საწინდრად იკა ქადაგიძემ გულთბილი ავტოგრაფით აღნიშნული ჟურნალის სწორედ ეს, მე-7 ნომერი გადმომცა.

მოდღვნილი ჟურნალი მაშინვე ცნობისმოყვარეობით გადავაბრუნ-გადმოვაბრუნე და მეოთხე გვერდზე გამოხატულ ცხენოსანში, რომელიც, იკა ქადაგიძის კარნახით, თურმე რუსთაველის ავთანდილი ყოფილიყო, ერთი დახედვითაც კი მრავალი ნაკლი და შეუსაბამობა აღმოვაჩინე, რასაც ამ წიგნში ვრცლად ვეხები!

ელდანაკრავმა ეს ყველაფერი იკა ქადაგიძესაც მაშინვე ალაღად გავუზიარე, მაგრამ ყინულწყალი გადამევლო! რა გგონიათ, ახალდაარსებული ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორმა ყასიდად მაინც შეიცხადა?! თქვენც არ მომიკვდეთ! ერთი უცნაურად გაილიმა – ვითომც ეგ არაფერიაო და რატომღაც მწარედ

შემახსენა: დავიდის იმ ნახატისა არ იყოს, მაგას თქვენ მეტი ვერაინ მიხვდებოდით!

ი. ქადაგიძემ აქ აი, სადა და რაზე გადამიარაკა. „ლიტერატურული საქართველოს“ (2014, 7 თებერვალი) ბოლო, მთლიან გვერდზე დაიბეჭდა ჩემი კრიტიკული წერილი „**ჟაკ დავიდის ნახატის ერთი დეტალის გამო**“, სადაც ჩემებურ მოსაზრებას გამოვთქვამ ფრანგი ფერმწერის, **ჟაკ ლუი დავიდის (1748-1825)** ცნობილ ნახატზე „**ნაპოლეონი სენ-ბერნარზე გადასვლის დროს**“. კერძოდ, უფსკრულის პირას აყალყული, ნებაზე მიშვებული ნაპოლეონის ცხენი ლამის პირდაპირ გადაეშვას, თვითონ ნაპოლეონი თავს თითქოს ძლივს იკავებს, უკან რომ არ გადმოქანდეს, მხატვარმა კი – თანამედროვეთა და შთამომავლობის გასახეტებლად! – ახალგაზრდა მხედართმთავარს მარჯვენა ხელი წინ პათეტიკურად გააშვერინა, მარცხენა ხელში კი მთლიანად ფომფლე (!!!), დაუჭიმავი (!!!) ალვირი რაღაც დილეტანტური მანერულობით დააჭერინა, რაც სრულიად წარმოუდგენელია ცხენოსნობაში!



ისევ რედაქტორის იმ გამახევებელ ფრაზას მივუბრუნდეთ – მაგას თქვენ მეტი ვერავინ მიხვდებაო!

ჯერ ერთი, ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ ჟურნალში გაპარულ თუ გალაღებულ ნაკლსა და უნიჭობას სხვები უფრო მკაცრად და ამომწურავად არ გამოამზეურებენ?! მაგრამ დავუშვათ და წლების მანძილზე ამას ყუადღებას არავინ აქცევს! მერე, რანაირად შეიძლება ნებისმიერი ჟანრის ნაბეჭდი პროდუქციის ამ მაცდური იმედით გამოცემა – მაინც ვერავინ ვერაფერს მიგვიხვდებაო!

გაგონილა მკითხველი საზოგადოების მეტი დამცირება და შეურაცხყოფა?!

ანდა, იკა ქადაგიძე მართლა ისეთი სამართლიანი რედაქტორი რომ იყოს, როგორც თავისი სტატიებით ცდილობს მკითხველ საზოგადოებას თავი მოაჩვენოს, განა ჩემი – ერთი რიგითი მკითხველისა და მწერლის, „ისინდის“ მომავალი ავტორისა და სარედაქციო კოლეგიის წევრის შენიშვნები კი არ უნდა ყოფილიყო საკმარისი, მაშინვე ან მერე, სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად საფუძვლიანი მსჯელობა რომ გამართულიყო?! მაგრამ იკა ქადაგიძეს თვისი პერსონისა და „თავისი“ ჟურნალის უზომ-უსაზღვრო ხოტბა-ქების მეტი სხვა არაფერი სურს!

სამწუხაროდ, მაშინ ი. ქადაგიძეს – ოლონდ ვერ ვიტყვი, ნებისით თუ უნებლიეთ – ტყუილის თქმა გამოუვიდა: „ვეფხისტყაოსანის“ მარსიანისეულ ილუსტრაციებზე კრიტიკული შენიშვნები ჩემზე უფრო ადრე თურმე სხვასაც, თანაც „ისინდის“ სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, ცნობილ პოეტს, **დალი კახიანსაც** ჰქონოდა გამოთქმული!

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ამას „ისინდიდან“ მოკვეთილი **დალი კახიანის** ტენდენციური კრიტიკით თავდავინწყებული... იკა ქადაგიძე თვად მოგვითხრობს („ისინდი“, 2020, N10, გვ.12-13)! მოუსმინეთ!

„ცალ-ცალკე, კოლეგებს ეთათბირებოდა (უნდა იყოს „კოლეგებს ცალ-ცალკე ეთათბირებოდა“. ჯ.მ.), რომ ჩემთვის როგორმე „შეეგნებინებინათ“, რომ ის (მარსიანი. ჯ.მ.) არაპროფესიო-

ნალი მხატვარია... და მისი სურათები (უნდა იყოს ნახატები ან ილუსტრაციები. ჯ.მ.) ყდაზე (უნდა იყოს „ჟურნალის ყდებზე“ ჯ.მ.) ასე ხშირად არ გამეტანა“...

იკა ქადაგიძე კვლავ თავისებურად განაგრძობს მკითხველთა თვალში გემოვნებიანი და პირუთვნელი **დალი კახიანის** უშედეგო დამცირებას.

„...მარსიანის „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ილუსტრაციებით დამშვენებული ყდა (უნდა იყოს **ჟურნალი**. ჯ.მ.) რომ გამოვიდა, თანაგუნდელების თანდასწრებით ამრეზით შესძახა: ფუჰ!“

პოეტ დალი კახიანს არ ვიცნობ. ცხოვრებაში ერთმანეთს არასოდეს დავლაპარაკებიათ. თანაც მაშინ ჯერ კიდევ არ გახლდით „ისინდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და, ცხადია, ი. ქადაგიძის მიერ აღწერილი ამ სცენის მონმეც ვერ ვიქნებოდი, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ მარსიანისეული ილუსტრაციების დანახვისთანავე დალი კახიანს „თანაგუნდელების თანდასწრებით“ როგორც ქეგლი გვიხასიათებს „ზიზლისა და დანუნების“ გამომხატველი შორისდებული-„ფუჰ!“ წამოუძახია!

ჟურნალის პრესტიჟისა და ჭეშმარიტების გასარკვევად აქ ყველაფერს ემჯობინებოდა, მის რედაქტორს, იკა ქადაგიძეს დალი კახიანისთვის კრიტიკული წერილის დაწერა შეეთავაზებინა და უცვლელი სახით დაებეჭდა კიდევ – ერთი რა წუნს სდებდა მარსიანისეულ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს, ისე ჟურნალის ყდებზე ხშირ-ხშირად გამოტანილ მის დანარჩენ ნახატებსაც! ხოლო ამგვარ შეთავაზებაზე დალი კახიანი თუ უარს განაცხადებდა, მაშინ ი. ქადაგიძეს თავის კრიტიკულ წერილში ესეც ეთქვა!

სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი ხდება და ი. ქადაგიძე, როგორც ცნობილი მხატვარი ანდა შეუმცდარი ხელოვნებათმცოდნე, საპირისპიროს ამტკიცებს.

„არადა, სწორედ მარსიანის საუცხოო, **ექსკლუზიური** (?! ჯ.მ.) ნამუშევრები „ისინდის“ წარმატებას აორმაგებდა“.

იკა ქადაგიძის ამ ციტატაში სიტყვას **„ექსკლუზიური“** შემთხვევით არ დავუსვი გაკვირვების გამომხატველი კითხვა-ძახილის ნიშნები, რადგან ვერ გავიგე, რედაქტორის ნათქვამის შინა-

არსში რა დანიშნულება აკისრია ამ უცხო სიტყვას! რაკი ადვილი შესაძლებელია, ჩემს დღეში სხვებიც აღმოჩნდნენ, მოდი, გავჩხრიკოთ ამ სიტყვის მნიშვნელობა.

**ექსკლუზიური** (გრამატ.) ექსკლუზივთან დაკავშირებული, ექსკლუზივისა. მაგ. ექსკლუზიური ფორმა.

მაშინ რაღას ნიშნავს თვითონ **ექსკლუზივი**?

**ექსკლუზივი** [ < ლათ. *excludo* გამოვრიცხავ, ამოვშლი] – (ლინგვ.) ზოგ ენაში (ქართველური ენებიდან-სვანურში): ზმნისა და ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმა, რომელიც გამორიცხავს მეორე პირს. ჩვენ=მე და ის (მე და ისინი) შდრ. **ინკლუზივი**.

**ინკლუზივი** [ < ლათ. *includeo* ჩავურთავ, შევიცავ] – (ლინგვ.) ზოგ ენაში (ქართველური ენებიდან-სვანურში): ზმნისა და ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმა, რომელიც შეიცავს პირველსა და მეორე პირს; ჩვენ= მე და შენ (მე და თქვენ). შდრ. **ექსკლუზივი**.

ვალღარებ, ამგვარი განმარტებების შემდეგაც ვერ მივხვდი, სიტყვას **„ექსკლუზიური“** რა კავშირი აქვს მარსიანის ნახატების იკა ქადაგიძისეულ ამ „შეფასებასთან?!“ მაგრამ ეს როდი მაძლევს მორალურ უფლებას, ამის მოსაბაბებით ამ საგანზე აქ შევწყვიტო მსჯელობა!

მაშ, განვაგრძოთ!

მარსიანის ნამუშევრების ამ მოკლე შეფასებაში გამჟღავნდა იკა ქადაგიძის იანუსისებური ორსახა ბუნება. ეს ადვილი ასახსნელი და ყველა სალად მოაზროვნისთვის გასაგები იქნება.

აბა, დაუკვირდით: იკა ქადაგიძე თავის წერილში მარსიანის **„ექსკლუზიურ“** ნამუშევრებს თუკი თავგადკვლით იცავს დალი კახიანის მწვავე კრიტიკისაგან, მაშინ გასაკვირია, რატო მეც ასე არ მომექცა, როცა 2019 წლის 17 სექტემბერს, ჩვენი პირველი შეხვედრისას პირუთვნელად მოვახსენე, რომ მის მიერ გადმოცემულ ჟურნალის მე-7 ნომრის გარეკანზე გამოსატული მხედარი, როგორც თითონ მარწმუნებდა, რუსთველის ავთანდილი კი არა, ვიღაც ცხენოსნის წარუმეტებელი კარიკატურაა-მეთქი! ხოლო თუ ვცდებოდით, იკა ქადაგიძე, როგორც რედაქტორი, ვალ-

დებული იყო, ჩემთვის – „ისინდის“ ერთ-ერთი მკითხველისთვის, მისი მომავალი ავტორისა და სარედაქციო კოლეგიის წევრისთვის, აეხსნა მარსიანის „საუცხოო, ექსკლუზიური ნამუშევრების“ ღირსება და იქნებ სწორ გზაზე დავეყენებინე! მაგრამ ჩვენ შორის მსგავსი არაფერი მომხდარა და როგორც მკითხველებმა უკვე იციან, მან ისეთი ფრაზა ამოშაქრა, რომლითაც სულ ჩამოიგლიჯა სამასკარადო იაფფასიანი ნილაბი – დავიდის იმ ნახატი-სა არ იყოს, მაგას თქვენ მეტი ვერავინ მიხვდებაო!

ამ გულწრფელმა, თუმცა აღელვებულობით წამონაცდენმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა: ჟურნალის ყდაზე გამოტანილი მარსიანისეულ „ავთანდილზე“ ჩემ მიერ გამოთქმულ მწვავე შენიშვნებს იკა ქადაგიძე შეიძლება გულში სინანულით კი იზიარებდა და მეთანხმებოდა კიდევ, მაგრამ ამის ხმამაღლა აღიარება არასდიდებით არ სურდა და მსგავს რამეს ცისქვეშეთში ვერასოდეს ვერც ვერავინ ეღირსებოდა!!!.

სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ დანარჩენ ილუსტრაციებზე კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა შხამნარევი ღიმილით რომ შემანყვეტინა და მიმიკურად მიმანიშნა: მისთვის უმთვრესი იყო არა ამ საგანზე ჭეშმარიტების დადგენა, არამედ ახალდაარსებული ჟურნალის, პირადად თავისი და მისი გარემოცვის ორიოდე „ერთგული“ წევრის მუნდირის ღირსება!!!.

ბოლო წინადადების ბრჭყალებით ნახმარ სიტყვაში თუ რანაირი „**ერთგულება**“ იგულისხმება, მკითხველები თავის დროზე ამასაც შეიტყობენ!.

## 7

**ერთი** სიტყვით, რედაქტორი კი კბილებით იცავს „თავისი“ ჟურნალის ყდებზე ასე განუსჯელად გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის“ მდარე, არაპროფესიონალის მიერ შესრულებულ ილუსტრაციებს, მაგრამ საკითხავია – თითოეული მათგანი და ყველა ერთად აღებული როგორ პასუხობს ფერწერის ქრესტომათიულ მოთხოვნილებებს?!

ფერწერის ძირითადი გამომსახველობითი საშუალება არის ფერი. ფერი ქმნის კოლორიტს – ფერთა სისტემას, ფერადოვან გამას; მიუხედავად იმისა, მათ შორის განსაკუთრებული ზღვარი არ არსებობს, ფერწერული გამოსახულება მაინც ორი ტიპისაა: ხაზობრივ-სიბრტყობრივი და მოცულობით-სიღრმისეული.

აბა, ახლა ნახატს დავხედოთ. აქ რა ფერის გამომსახველობასა, კოლორიტზე თუ ფერთა სისტემასა და გამაზე შეიძლება მსჯელობა, როცა მხედრის მჭიდროდ შემოტმასნილი რაღაც სპორტული რეიტუზისმაგვარი საცმელი, ცხენის თოქალთო, სატევრის ქარქაში, თვით კაპარჭი და თითქოს მშვილდიც კი მენამულ-მარწყვისფერია, ხოლო ცხენოსნის უცნაური უსახელოებო ზეჩასაცმელი, ზეცა და მიდამო – მოლურჯო-მომწვანო!

ფერწერის ენა მოქნილი და პლასტიკურია. იგი ასახავს სამყაროს მრავალფეროვნებას, საგანთა მოცულობას, შეუძლია გადმოსცეს სტატიკურობა, მოძრაობა, ემოციურობა.. რა ხერხებითა და საშუალებით? გამოსახულების რიტმული ორგანიზაციის, ფერის, დინამიკის, შუქ-ჩრდილის, კომპოზიციის, ფონის, რაკურსის, ხაზის, მონასმებისა და ა.შ. მეშვეობით.

„ისინდის“ ილუსტრაციები?! შეესაბამება თუ არა ისინი ფერწერის ამ მოთხოვნილებებს? არადა, ჟურნალის ყდებზე, ნომრიდან ნომერში რაღაც ამოუხსნელი დაჟინებით გამოტანილი მაინცდამაინც „ვეფხისტყაოსნის“, თანაც არაპროფესიონალი, თვითნასწავლი მხატვრის, ილუსტრაციებში თითქმის ყველაფერი: გახევებული, უსიცოცხლო და არაპროპორციული პერსონაჟები, მათი ჩცმულობა და აღჭურვილობა, ჯდომა, ფეხზე დგომა, გამომეტყველება, მოქმედება, ურთიერთმიმართება... მამაკაცებისა და მანდილოსნების თმის ზომები და ვარცხნილობის ყაიდა... სასახლე, სასახლის მორთულობა, ავეჯი და იატაკის მოხატულობა... ცხენების აღკაზმულობა და... მოკლედ, ყველაფერი მაყურებელში ეჭვსა და უნდობლობას აღძრავს – რანაირად შეიძლება ეს ყველაფერი შეესაბამებოდეს იმ ეპოქისა და იმ საზოგადოების ფენის წარმომადგენლებს, რომელთა ყოფა-ცხოვრების ასახვაც ნახატზე უცდიათო!!!. ამიტომ ნებისმიერი სფეროს შემოქმედის, მეტადრე კი უსაფუძვლოდ თავდაჯერებული, ფე-

ხისხმასაყოლილილი ხელოსან-შემოქმედის პრიმიტიულ გატაცებას, მის მონაფურ თვითნებობას, უშედეგო სიბეჯითეს, ურთულეს თემებთან წინდაუხედავ პოტინს და მათი შესრულების გამახვევებელ ფორმებს და მით უმეტეს, თავგამოსაჩენ ჩხირკედელაობასაც საზღვარი აქვს!.. საზღვარი უნდა ჰქონდეს!.. ხოლო თვითონ „შემოქმედი“ თუ ვერა გრძნობს ამგვარი საზღვრის აუცილებლობას ან საამისო უნარი არ შესწევს ანდა საბედისწერო ცდუნებას თვითონ ველარ მორევია, მაშინ „შემოქმედის“ მანტიაში გამოხვეულ მის ამგვარ გატაცებას რამენაირად უნდა დაედოს საზღვარი!!! წინააღმდეგ შემთხვევაში...

ჰოდა, სხვა ბევრ რამესთან ერთად გაოგნებას იწვევს იკა ქადაგიძის ფავორიტი მხატვრის რაღაც აკვიატებული მიდრეკილება მენამულ-მარწყვისფერისადმი! დაუკვირდით: ჟურნალის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ ნამუშევარზე ნაგულისხმევ რუსთაველის ცხენიან ავთანდილს – ტრამპლინიდან მხტომელ ოლიმპიელ მოთხილამურესა თუ ბიათლონისტივით – თავიდან ფეხებამდე ხომ მენამულ-მარწყვისფერი, რაღაც მჭიდროდ შემოტმასნილი რეიტუზი ჩააცვა და სასაცილოდ შეკაზმული ცხენის თოქალთოც ასეთივე ფერით შეუღება!

## 8

**და აჰა, ჟურნალის მე-13 ნომრის სრულ ყდაზე გამოქვეყნებულ ფერად ილუსტრაციაზე „ამირანი“** – ქართული ხალხური ეპოსის უპირველესი გმირის, ამირანისთვისაც აგერ, ამავე ფერისა და ფორმის ტრიკოტინის რაღაც სავარჯიშო სპორტული რეიტუზი ჩაუცმევია!!! საქამრეს ზევით სულ მთლად ტიტველი ამირანის ტორსიც მენამულ-მარწყვისფერია!

## ნ ა მ ო ხ ვ ა ნ ის კ ა ნ ე!

ქართველო, ჩრდილიდან გამოხვალ,  
დღეს უნდა ვიბრძოლოთ ნამოხვანს!  
ჩილდირის ფაშები რთავენ ჰესს,  
ჰკა მაგათი უქმად არ დავეშვებით,  
ურჯულოს ჯვრის მადლი გამოიხრავს!

ჩვენს მთაველს უტიფრად ბილწავენ  
ფორქი და მთავრობის ჩაფრები,  
წინაპარს სისხლით როს ვინამლეთ  
მტრის ლეიბრზე არასდროს გავეშვებით!  
ქართველო, გასაგვე ხუნდები,

დღეს უნდა ვიომოთ ნამოხვანს!  
ლევან მადლით არ დავაბუნდებით,  
ახუნდებს უთხარ, რომ არ ოხრავ!  
გაუთოდეს ხაღლითა ფოლადი

მსაქურულად ვეღარ მოგვერევით,  
დუქმანო, ათასგზის მოგკლავდი,  
შაქმან გიფოჯავს მერვეცი...  
მოხუცი შიში ვერ დაგვლახვრავს,  
დღეს უნდა ვიომოთ ნამახვანს!

მზე ლიციავს სამ ქართველ ბანოვანს,  
გუმაგებს მტრის გულს რომ ამოხნავს!  
მტარვალო, ხალხს დრო ვერ აჩერებს  
წყვიდიადში მავალო, იმღერევი,  
მამულს არ მიყვით ასკერებს,  
აქ ხატი იმღერის ივერის!

ქართველო, ჩრდილიდან გამოხვალ?  
დღეს უნდა ვიომოთ ნამოხვანს!  
ჩილდირის ფაშები რთავენ ჰესს,  
ჰკა მაგათი უქმად არ დავეშვებით,  
ურჯულოს ჯვრის ჯაერი გამოიხრავს!

14.04.2021.

იკა ქაღაბიძე

ამ ნახატზე ე. წ. „ამირანი“ გამახსარავებულია ყველა და ყველაფერი: თვითონ ეპოსის გმირი ამირანი... მკითხველი საზოგადოება... ფერწერის უმარტივესი, სავალდებულო ნორმები... ქართული უკვდავი ეპოსის შინაარსი და თვით ფრინველთა მეფე, არწივიც კი!.. მოკლედ, ყველა და ყველაფერი, იკა ქადაგიძის მიერ ნებაზე მიშვებული თვითნასწავლი მხატვრის გონება და ფუნჯი რასაც კი მისწვდენია!

მკითხველი მხოლოდ ეპოსის შინაარსის მიხედვითღა ხვდება, მიჯაჭვული ამირანის მხარზე უხელოვნოდ „დაბეტონებული“ კონდორისა თუ სვავისებური ფრინველი არწივი რომ უნდა იყოს – განრისხებულ უფალს გმირის გულმკერდის დროდადრო ამოსაკორტნად რომ მოუვლენია – მენამულ-მარწყვისფერია!!!

ან, საერთოდ, ეს რანაირი ფრინველი და მით უმეტეს, არწივი – ერთი ფრთა მესამე რაიხის სიმბოლიკის არწივივით მბრძანებლურად კი აუფშეკია, მაგრამ უბუმბულო მთელი სხეული გაპუტულს მიუგავს, ხოლო ამსისქე და ამსიგრძე, თანაც უმუხლებო (!!!!!..) ფეხები, დათვის ტორებს! თუმც მპატივით, ეს რამ წამომაცდენინა – დათვის ტორებს კი არა, რალაცისთვის საგანგებოდ დათლილ ბოძებს! დათვის ტორებს (და არა მარტო დათვის) არამედ ყველა ფეხსახსრიან არსებას (!!!) თანდაყოლილი ბუნებრიობა ახასიათებს, რადგან დათუნიას ადვილად შეუძლია სიარული... სირბილი... თავდაცვა... თავდასხმა... საკვების მოპოვება... ბუნაგის მოწყობა... კლდეებსა თუ ნაყოფიან ხეებზე აბლოტებ-აბობლება!..

მარსიანის ეს ვითომ არწივი?! საკვირველებიდან გამოდინხარ: მხატვარმა „თავის“ არწივს ამსისქე და ამსიგრძე უმუხლებ-უსახსრებო „ბოძები“ რომ მიაღწერს, ნუთუ ამას არ უნდა დაჰფიქრებოდა – იმ საცოდავმა ფრინველთა მეფემ რანაირად უნდა იმოძრაოს ან როგორ იარსებოს?!

ჭანგები? ეს არწივის ხორციანი თითებიდან ბუნებრივად გამოზრდილი ზომიერი ბრჭყალები კი არ არის, არამედ ექსკავატორის ჩამჩის კბილები ანდა ტრაქტორზე მისაბმელი თივა-საბულულებელი აგრეგატის ფოცხისებური კაუჭებია! თანაც, როგორც ფრინველების უმრავლესობას, ისე არწივსაც თითოე-

ულ ფეხზე ოთხ-ოთხი თითი აქვს (იხ. ქართული ენციკლოპედია, ტ.10, გვ. 402, სტატია „ფრინველები“), მარსიანის არნივს კი რატომღაც მხოლოდ სამ-სამი თითი მოუჩანს!

არნივის ბოლო? ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 1, გვ. 615, ილუსტრირებული სტატია „არნივი“) ესეც გასაგებად არის განმარტებული.

**„ფრთები გრძელი და განიერი, ბოლო მომრგვალებული“.**

„ისინდის“ არნივის გაფარჩხული ბოლო? ის არნივის მომრგვალებულ ბოლოს გარდა რაღას არ გვაგონებს: ცოცხს... კევრს... გასაშრობად გაკიდებულ დედაბრის ქვედატანს... ვირთევზას ბოლოს (იხ. ქართული ენციკლოპედია, ტ.4, გვ. 576, ილუსტრაცია „თევზები“, N32)... ფარცხს... თოვლსახვეტ ხის ნიჩაბს... ფარშევანგისა თუ გალიზიანებული მამალი ინდაურის ბოლოს... გამლილ მარაოს... რუსული საკრავიერი ორკესტრის ძირითად ინსტრუმენტს, სამსიმიან ბალალაიკას, და ა.შ. და ა.შ.

თვალსაჩინოებისთვის ვბეჭდავთ კომპიუტერიდან ამოღებულ არნივის ფოტოილუსტრაციებს.



ინტერნეტსივრციდან მოპოვებული არწივის ფოტო.

ისევ ამირანს მივუბრუნდეთ.

მითოსის მიხედვით, გამოქვაბულში, უზარმაზარ რკინის ბოძზე მიჯაჭვულ ამირანს უფალმა თოვლიან-ყინულიანი გერგეტი-სა და ყაზბეგის მთები გადახურა, ღვთის ურჩმა ცა და ქვეყანა რომ ველარ იხილოს, სამარადისოდ მოსწყდეს სინათლესა და სიხარულს... ამირანის სიახლოვეს დევს მისი ხმალი, მაგრამ ვერ სწვდება!... ამირანის დღიური ულუფა ერთი პური და ერთი ხელადა ღვინოა... საუკუნეთა მანძილზე თმა-წვერი ისე წამოზრდია, ლოგინის მაგივრობას უწევს!... ამირანთან არის მისი ერთგული ყურშა, რომელიც დაულაღავი ლოკვით ჯაჭვს ათხელებს!. მთელი წლის განმავლობაში ჯაჭვი იღვევა, იღვევა, გაზაფხულის პირზე კი განყვეტამდე მიდგება ხოლმე! ამირანსაც იმედი მიეცემა და წამოდგება, მაგრამ ამ დროს, დიდხუთშაბათ დილას მჭედლები უზმოდ გრდემლზე ჩაქუჩს დაჰკრავენ და გალეული ჯაჭვი ისევ მთელდება!..

ახლა დავხედოთ „ისინდის“ (უკვე მეუხერხულება ამ ილუსტრაციის ავტორის წამდაუნუმ ხსენება!) „ამირანს“ – აქ სადა ჩანს გამოქვაბული... უზარმაზარი რკინის ბოძი, რაზედაც ამირანია მიჯაჭვული, ამირანის ხმალი... მისი მწირი ულუფა... ერთგული ყურშა?!

ნახატის ავტორმა თვითონ ამირანს გააწყვეტინა ჯაჭვი! ეს კი თავდაყირა აყენებს მითოსის შინაარსს: საქმეც ის არის, რომ თვითონ ამირანი ვერაფერს უხერხებს ამ ჯაჭვს და ერთგული ყურშა ცდილობს მის დახმარებას!...

თმა-წვერი? მითის მიხედვით, დროთა განმავლობაში თმა-წვერი ისე წამოზრდია, თურმე ლოგინის მაგივრობას უწევს!.. ამ ნახატის მიხედვით კი ვინ დაიჯერებს, განრისხებულმა უფალმა მიჯაჭვულ ამირანს თან პერსონალური პარიკმახერი მიუჩინა, რომელიც ყოველდღე „Gillette“-ის უსაფრთხო სამართებლით წვერს სუფთად პარსავს, თვეში ორ-სამჯერ კი ელექტრომანქანით თმას ბოქსის ყაიდაზე კრეჭს, ხოლო ქოჩორს ასე ახალმოდურად უვარცხნის!!!

მართალია, ეპოსის მიხედვით, ამირანს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე აქვს ანდა მიჯაჭვამდე ჰქონდა, მაგრამ ეს როდი

იძლევა იმის საფუძველს, ამირანის შიშველი ტორსი ჰანტელებითა და სხვადასხვა სპორტული იარაღებით მეთოდურად ნავარჯიშევ მძიმე წონის შტანგისტს დაამსგავსონ!.. და რაც ყველაზე სავალალოა, ამირანს გარეგნობაზე, პირისახის ნაკვეთების მოყვანილობასა და გამომეტყველებაზე სულ არ ეტყობა ქართველური წარმომავლობა, ნირი, ხასიათი, სულიერება, შნობა! ამიტომ პირველი დახედვისთანავე იგი მოგვაგონებს არა ქართული ეპოსის უპირველეს გმირს, ხალხურ ცნობიერებაში გაიდიალებულ ქართველ ამირანს, არამედ ამერიკული კომერციული ფილმების ნორდიული რასის დაშტამპულ სუპერმენს ანდა ცირკის უნტერმანს ანუ ცირკის აკრობატს, რომელიც პირამიდის ქვედა წევრია და ყველა სხვა პარტნიორი მასზეა შემდგარი!!!

ამ ნახატის ერთი დეტალი კი ნიგნიერ მკითხველს აზროვნების უნარს უსუსტებს და გაუკლევველ საგონებელში აგდებს. ამიტომ აქ მარსიანისა და იკა ქადაგიძის ახსნა-განმარტების მეტი ვერაფერი გვიშველის!

ქრისტიანობა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი რელიგია, წარმოიქმნა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ხოლო გილგამეშისა და პრომეთეს მსგავსად ამირანიც საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული სახეა, რომელიც, მეცნიერების ვარაუდით, დაახლოებით 3 500 წლის (!!!) წინათ უნდა შექმნილიყო!

მაშ, აქ გამოსახულ ე.წ. ამირანის გულმკერდზე რასთან დაკავშირებით უნდა გაჩენილიყო წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი?!

## თავი მესამე

### 1

**მაშ**, ნუთუ ეს მოსაკითხი და გასაჩხრეკი არ არის: ჟურნალის ყდის მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულ თავის ნახატზე მარსიანი ხომ ასე თვითნებურად მოექცა ქართული ეპოსის უპირველეს გმირს, ამირანს და ფრინველთა მეფეს, არწივს! ზედდამატებით არც ნადირთა მეფე, ლომი დაინდო და ცხენიც ზედ მიაყოლა! თანაც ამავე, მე-13 ნომრის ყდის პირველ გვერდზე დაბეჭდილ კომპოზიციაში, რომლისთვისაც, ჩემი აზრით, სრულებით შეუხამებელი სახელწოდება მიუციათ.

„ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) საიუბილეო ნახატი მხატვარი-მარსიანი“.

მეტად სასარგებლო იქნებოდა, „ისინდის“ ყდებზე გამოქვეყნებულ მარსიანის როგორც ყველა ნამუშევარზე, ისე ამ უცნაური კომპოზიციის შესახებაც პროფესიონალი მხატვრის შეფასება მოგვესმინა ან წაგვეკითხა!.. მე მხოლოდ ზოგად შენიშვნებს გამოვთქვამ, რაც რიგით მკითხველსაც კი თვალში ეკალივით ხვდება.


ცხადია, ამის განჭვრეტას მოკვდავთაგან ვერავინ შეძლებს, ეს განგების შორს გამიზნული ჩანაფიქრი იყო თუ უბრალოდ, ცხოვრებისეული შემთხვევა-დამთხვევა. ჯერ ზაფხულის არდადეგებისას, ხოლო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, არმიაში განვევამდე, სულ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის ფერმებში ვმწყემსობდი და ცხენი სწორედ მაშინ გახდა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი არსება!.. მაგანთა უდიერი მოპყრობით განადგურებისგან ეს მაინც რომ გადამერჩინა, ერთ-ერთი ფერმიდან შინ წამოვიღე და დღესაც სიამოვნებით გადავფურცლავ-გადმოვფურცლავ ხოლმე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს მიერ 1953 წელს გამოცემულ, რუსულიდან ა.დ. დავითაშვილისეულ ნათარგმნ 450-გვერდიან ნიგნს „მეცხენის ცნობარი“.

ჰოდა, რაკი „ისინდის“ საიუბილეო კომპოზიციის წინა პლანზე ატროკებული ცხენი თუ ურა კვიცია გამომხატული, მეც ცხენი-

დან დავიწყებ. ერთი დააკვირდით: ამ კარიკატურულ ცხენს სულ არ ეტყობა გულმკერდი და ნიდაო ანუ ცხენის კისრის დასასრული ბეჭის თავთან, სადაც ფაფარი მთავრდება! მერედა, რატომ? ეს იმიტომ, რომ ცხენის აგებულების (ექსტერიერის) სრულეობით უცოდინარმა მხატვარმა მათი გულმკერდისა და ნიდაოს! – ადგილი დაუკვირვებლად სულ ყელ – კისერს დააჭერინა!!!

არადა, ვინმეს უნახავს უმკერდო ცხენი – ყელი პირდაპირ ფეხებიდან (!!!) ეწყებოდეს, კისერი – ბეჭებიდან?!

ფორმის მიხედვით განასხვავებენ: ცხენის სწორ კისერს, გედისებურ კისერსა და ირმისებურ კისერს. ჰოდა, მარსიანის ცხენის ფეხებიდან და ბეჭებიდან ამოზრდილი ამსიგანე ტლანქი ყელ-კისერი ვეშაპის ზურგს რომ უფრო მოგვაგონებს – რომელ ფორმას უნდა მიეკუთვნოს? შედარება-თვალსაჩინოებისთვის დეტალის სახით ხსენებული ცნობარიდან საილუსტრაციოდ ვბეჭდავ ცხენის ერთ-ერთ ფოტოს.



**CUARTO DE MILLA**  
**LO MEJOR PARA**  
**LAS CARRERAS**



თვალეები? საყოველთაოდ ცნობილია, ცხენს აქვს დიდი, მეტყველი მრგვალი თვალეები და არა ასეთი კვერცხისებური ფორმის, თანაც ზევიდან ქვევით განოლილი!

„ისინდის“ ცხენის თავი? ისევ და ისევ ეს თავმომაბეზრებელი „ვის უნახავს?“, მაგრამ რა წყალს მივეცე?! ჰოდა, ვის უნახავს, ცხენს ასე უშნოდ წამოზრდილი ჩანა და ყბათშუა ფოსო ჰქონდეს? ამიტომ იგი პირველი დანახვისთანავე მოგვაგონებს არა ცხენის ჩვეულებრივ თავს, არამედ ახალბედა მეჭურჭლის მიერ უხელოვნოდ დამზადებულ დაბალ, მუცელგაბერილ ბავშვის ჭიჭლას ანდა ასეთივე ფორმის პატარა გოგრას, მთელი თბილისის სავაჭრო ობიექტები რომ წაალეკინეს!

ილუსტრაციას არც აქ დავიშურებ!



მარსიანის აკუნტრუშებული ცხენის დაკრეჭილი ლაშებიდან მოჩინარი კბილები?

ცხენს მსხვილი, გოგრის თესლისებური საკბეჩი ანუ საძოვ-ნელი, სახრავი, სალაგმე, (ჭაკებს არა აქვთ სალაგმე კბილები!), შუალა და განაპირა კბილები აქვთ, თანაც თავისებური განლაგება-დაშორებით და არა ასეთი – დურგლის ჭიახერხისებურად ჩანიკნიკებული ნვრილი კბილები!!!



მარსიანის ნახატის ცხენის თავი და კბილები



ინტერნეტსივრციდან ამოღებული ფოტომასალა

ახლა დავხედოთ ცხენის ამსიგანე ყელ-კისერს – როგორ ფიქრობთ, ცხენი, საერთოდ, შეძლებს, მით უმეტეს, ფეხების თავიდან (!) ბეჭებამდე (!!!) ასე უაზროდ „დაბეტონებული“ თავ-კისრის 180 გრადუსით ამგვარად მიტრიალ-მოტრიალებას?! თან დააკვირდით, ცხენს ფაფარი საიდან ეწყება და სად უმთავრდება! ან ეს რანაირი ცხენის ფაფარია?! ეს ცხენის ჩვეულებრივი ფაფარი კი არა, ხიფათნაგრძნობი ზღარბის მიერ თავდასაცავად აფარჩხული ეკლება!!!

მოდით, სხვა ყველაფერს თავი დავანებოთ და აი, რის განსჯას შევუდგეთ: ნებისმიერ ოთხფეხასა და მეტადრე ცხენს, ამგვარი კუნტრუმ-ნავარდისას რომელიმე გვერდზე მოხდენილად აღერებული თავი ისე უჭირავს ხოლმე, მიდამოს კარგად რომ ხედავდეს, რათა რაიმე ხიფათი არ დაიმართოს!

მაშ, „ისინდის“ მხატვარმა თავის მოკუნტრუმე ცხენს რუსული სამოვარის საკეტ-სახსნელივით თავი სულ უკან რისთვის შეატრიალებინა?!

ამ კითხვას, ჩემი აზრით, მარსიანის გარდა ვერავინ უპასუხებს! თუმცა ესეც საკითხავია – მკითხველებს დააკმაყოფილებს თუ არა მისი ახსნა-განმარტება!

\* \* \*

**ლომები?** აქ იმდენი თვალში საცემი შეუსაბამობა გვხვდება, თავისთავად იზნევი, რადგან ველარ გადაგინწყევტია, რომელი მათგანით დაიწყო და შიში გეუფლება, მკითხველების ირონიული შენიშვნა არ დაიმსახურო – რალა ამით დაუნყია და არა იმიტომ! მაგრამ მე მხოლოდ ერთი რიგითი პროზაიკოსი ვარ და არა ფერმწერი! ამიტომ იმედს ვიტოვებ, მკითხველები მომიტყევენ, თუ იქიდან და ისე არ დავიწყებ, საიდანაც როგორც ამ სფეროს პროფესიონალები დაიწყებდნენ!



ინტერნეტსივრციდან ამოღებული ლომის საგლეჯი კბილები



მარსიანის ნახატის უყურებო, უკბილებო და ელამი ლომი

ჰოდა, სად გაგონილა, ვის უნახავს ლომსაც ადამიანივით ამგვარად გამოკვეთილი, წინ გამოშვერილი ცხვირი ჰქონდეს?! თვალები? ლომს მრგვალი, ცეცხლისმფრქვეველი თვალები აქვს! მარსიანს კი ამ ლომებისთვის მიუხატავს სილამაზის კონკურსში გამარჯვებული ჩინელი ქალიშვილის ნუშისებურ-მიბნედილი თვალები!!!

ცხენის ფაფრისა არ იყოს, ამ ლომების ფაფარი? ეს არის არა ლომების სქელი, რბილი, წყობისად ნაყარი ფაფარი, არამედ შარშანდელი გამხმარი მეჩხერი ლიხნარი!!!

სრულებით არადამაჯერებელია ამ კომპოზიციაზე გამოსახული ფიგურების ურთიერთპროპორციულობა: ალაზე მჯდარი ორი ლომიდან ერთ-ერთი მათგანი დგომელა ქრისტეს პირისახემდე სწვდება!

ამ კომპოზიციაზეც გამომჟღავნდა მარსიანის კიდევ ერთი სამწუხარო ნაკლი – იგი ხშირად ყველასა და ყველაფერს ერთი არშინით უდგება: როგორც არწივს, ისე ამ ლომებისათვისაც მუხლებიანი ფეხების ნაცვლად თითქმის ერთნაირი, თანაბრად დარანდული ბოძები „მიულურსმავს!“ კი მაგრამ, ასეთი უსიცოცხლო „ყავარჯნებით“ ლომმა როგორ იაროს და მით უმეტეს, რანაირად უნდა სდიოს ისარივით გაფრენილ საკბილოს?!

ახლა დააკვირდით ერთ-ერთი ლომის დაღრენილ ლაშებს, მხატვარს ციყვის ფულუროს თუ თრითინას ბნელი სოროსთვის რომ დაუმსგავსებია! მოდი და ნუ განცვიფრდები: ამავე კომპოზიციაზე აგერ, ცხენს ოდნავ გაპობილი ლაშებიდან თუკი მაინც გამოუჩანს ჩანიკნიკებული კბილები, როგორ, უფრო მსხვილი პლანით წარმოდგენილ ლაშებდაღრენილ ხვად ლომს უფრო არ უნდა უელავდეს ზედა და ქვედა ჩანის დასაწყისში მდებარე საგლეჯი ეშვები, რომლებითაც თავისი სილონივრითა და მძვინვარებით განთქმულ აფრიკულ კამეჩსაც კი რამდენიმე წამში გუდავს ხოლმე და ფატრავს!...

სხვისი არ ვიცი, მე კი ასეთი შთბეჭდილება დამრჩა: ეს არის არა მოქმედი ნადირთა მეფე, არამედ მხეცების სტომატოლოგთან ჩანების პროთეზის ზომების ასალეზად მისული და მოსაცდელში თავის რიგს მოთმინებით მომლოდინე, უიმედოდ დაჩაჩანაკებული ნამეფარი პენსიონერი ლომი!

**ღმერთთან** სწორი სჯობს – თავიდან არ მინდოდა ამ მეტად სათუთ საგანზეც ჩამომეგდო სიტყვა, მაგრამ რაკი ეს უფრო მკაფიოდ გვისურათებს ვითარებას, ბოლოს მაინც დამშვიდებულ სინდისით ვეხები.

თავის ოპონენტებთან მწვავე პოლემიკით თავდავინყებულ იკა ქადაგიძე იმ ოცგვერდიან სტატიაში ორგან აი, რას გვეუბნება, ოღონდ გასაგები მიზეზის გამო არ მომყავს რედაქტორის ოპონენტის გვარ-სახელი!

„თებერვლის ბოლოს, მამაჩემის რეკვიემის (უნდა იყოს რეკვიემის. ჯ.მ.) პოსტზე... მოწონების გარდა გულისხმიერი კომენტარი დატოვა...“

ი. ქადაგიძე კვლავ თავისებურად განაგრძობს.

„...მამაჩემის რეკვიემზე (უნდა იყოს რეკვიემზე. ჯ.მ.) გულისხმიერება რატომ არ უნდა გამოეჩინა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), თუკი გულწრფელად მცემდა პატივს...“

ცხადია, დასაფასებელია, თხუთმეტიოდე წლის წინათ გარდაცვლილ მშობელს შვილი რეკვიემს ანუ მიცვალებულის სულის მოსახსენებელ წირვას რომ გადაუხდის, მაგრამ რამდენად მართებულია, ამ პირადულ საოჯახო ღონისძიებასთან დაკავშირებული წვრილმანების პრესის ფურცლებზეც გამოტანა და ოპონენტების (ხელქვეითების... თანამშრომლების... საახლოლოს...) ამ ნიშნით დაყოფა: რედაქტორის განსვენებული მამის რეკვიემს ვინ ესწრებოდა და ვინ არა, პოსტზე ვინ როგორ თანაგრძნობა გამოხატა, ეს ვის გამორჩა ანდა უსულგულოდ გამოტოვა და ა.შ. და ა.შ.!

დღევანდელი პოლიტიკური დაძაბულობისა და სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში ყოველი ჩვენთგანის ხელქვეითებმა (თანამშრომლებმა... პარტნიორებმა... ნათესავებმა... ამხანაგ-მეგობრებმა...) შეიძლება ისეთი ფორმით ვერ გაიზიარონ ჩვენი ოჯახის ჭირი თუ ღვინი, როგორც ეს ჩვენ თვითონ გვსურდა ანდა წარმოგვედგინა! მაგრამ რა საჭიროა, ეს წმინდა პირადული ურთიერთობის წვრილმანები მასობრივი

ინფორმაციის საშუალებებით მთელ საზოგადოებასაც ვაცოდინოთ – ეს ვის რას მოუტანს?! პირიქით! აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ეს საყოველთაო ნორმად რომ ვაქციოთ, რა დღეში აღმოჩნდება ისედაც გატანჯულ-განამეხუილი ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები... თანამოძმეთა პირადი ურთიერთობები!

ჰოდა, მკითხველი საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელად „ისინდის“ რედაქტორის მიერ ჟურნალის ფურცლებზე ამგვარი ხაზგასმა მამის რეკვიემთან დაკავშირებით – რასაც საერთო არაფერი აქვს რედაქციის ლიტერატურულ საქმიანობასა და მით უმეტეს, ამ მწვავე პოლემიკურ პაექრობასთან – ბევრმა შეიძლება ასეც კი გაიგოს: იკა ქადაგიძე თავისი უკადრისი ამბიციურობის დასაკმაყოფილებლად ამ ხერხით ხელქვეითებისა და ავტორების მოთვინიერებას ანარმოებს – თითოეულ მათგანზე აზრს იმის მიხედვით შეიდგენს, მომავალში ვინ როგორ გაიზიარებს მის ოჯახურ ავ-კარგს!

ეს კი თავისებური ფსიქოლოგიური ზენოლა და ძალადობაა!

## თავი მეოთხე

### 1

ამ საყოველთაო ჭეშმარიტებას მხოლოდ მაიძულებელი გარემოება მამეორებინებს: ნებისმიერი და მით უმეტეს, ლიტერატურული ორგანოს რედაქტორი ვალდებულია ზედმინვენით იცნობდეს ყველა იმ ჟანრის ხასიათსა და ბუნებას, რომლის სახელითაც მკითხველებს ამა თუ იმ ნაწარმოებს სთავაზობს!

ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს სენტენცია, რომელსაც ქართული ენციკლოპედია მოკლედ და გასაგებად განმარტავს!

**სენტენცია** (ლათ. *sententia* – აზრი, მსჯელობა) – ზნეობრივი ხასიათის სხარტი გამონათქვამი, დამრიგებლური ხასიათის მოკლე შეგონება.

სენტენციები დამახასიათებელია დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და იგავური ხასიათის ნაწარმოებისთვის... სენტენციებით მდიდარია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ და სხვა.

თავისი სიმოკლის, საზოგადოების სულირებისა და ჩვენი ყოფა-ცხოვრების წვრილმანების სხარტად და „ადვილად“ გამხატვრულების შესაძლებლობის წყალობით სხვა ჟანრებისაგან განსხვავებით სენტენციას ერთი მეტად სამაცდურო თვისებაც გააჩნია! ზოგიერთს – თანაც ლიტერატურული შემოქმედებისგან შორს მდგომს, მაგრამ მეტ-ნაკლებად ნაკითხს – ჰგონია, რომ ეს რომანის, ნოველის, პოემის, პიესის, ლექსების და მისთ. შექმნა ძნელი, თორემ სენტენციების დაწერას რა უნდა: შენ მხოლოდ ჩაუჯექი და ჩაუფიქრდი! ჰოდა, კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებიდან თუ ბუნებრივ მოვლენებზე რაც კი გონებაში წამოგიტივტივდება, სენტენციისებურად მიალამაზ-მოალამაზე, ამ „ადვილ“ ჟანრს როგორმე შეუხამე და სენტენციაც ეს იქნება, სხვა კი არაფერი!!!

ამნაირად თავდაჯერებულებს იმის მიხვედრილობა კი არ მამადლებიათ, რათა გაერკვნენ – ჭეშმარიტი სენტენციების შექმნას სჭირდება გამჭრიახი ჭკუა-გონება, მახვილი თვალი, მხატვრულად აზროვნების უზადო უნარი, ამასთან სანიმუშოდ დახვე-

წილი, უკიდურესობამდე შეკუმშული სადა და ნათელი სტილი, რათა სათქმელი სულ რამდენიმე, ხშირად კი ერთადერთ წინადადებაში ისე ოსტატურად ჩასტიო, რომ მკითხველი ყველაფერს მიგიხვდეს, მოხიბლო და მიიმხრო!!!

ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში კი რა ხდება?! თვალი გადაავლეთ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნის მაღზიების თაროებს: ზოგიერთები თვიანთი გაჭიანურებული, უთავბოლო და აზრგამოუტანელი ჯაყჯაყა ე. წ. სენტენციებით მკითხველებს ილაჯს უწყვეტენ და პირდაპირ თავს აძულებენ! მაგრამ ისინი ბაიბურშიც არ არიან და თავიანთებურად განაგრძობენ!!!

იკა ქადაგიძემ ჟურნალის ორ ნომერში (N8,10) მკითხველებს შესთავაზა სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრის, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თემურ ნადარეიშვილის სენტენციები, ავტორს ორივეგან ასეთი წინათქმა რომ წაუმძღვარებია, სტილი ხელუხლებელია!

### **სულის ფოტოგრაფიები, („ისინდი“, 2019, 8)**

„ხშირად ის ჩანანერები გამომდის კარგი, რომელსაც შინაგანად ვგრძნობ, გარკვეული პერიოდი „მტკიცა“, „დულს“ ჩემში და შემდეგ უცბად, სპონტანურად ვწერ! (ამ „ტკივილისაგან“ მხოლოდ ამ ჩანანერების, ჩემი „სულის ფოტოგრაფიების“ საშუალებით ვთავისუფლდები!).“

### **სულის ფოტოგრაფიები („ისინდი“, 2020, 10)**

„ამ ჩანახატებში გადმოცემულია ის პირველადი შთაბეჭდილებები, რომლებითაც ჩვენ „ვიმუხტებით“ გარე სამყაროსთან „შეჯახებისას“! უმეტესწილად ამ პროცესში წარმოშობილ ფიქრებს მონესრიგებულობა, „დავარცხნა“ აკლიათ, მაგრამ იმით არიან საინტერესონი, რომ ადამიანის უშუალო, შეურყვნელ ემოციებს გადმოსცემენ. ამიტომ გადავწყვიტე, ამ ფიქრებმა (ჩემი სულის ფოტოგრაფიებმა) დღის სინათლე იხილონ“.

ამ წიგნის მიზანი და პათოსი მავალდებულებს თემურ ნადარეიშვილის ამგვარ სენტენციებსაც ანუ როგორც თვითონ უწოდებს, „სულის ფოტოგრაფიები“ – თუმც მასალის ნებისმიერი სახელწო-

დება ვერ შეცვლის მის ნამდვილ ჟანრსა და შინაარსს – შევეხო! ოღონდ ამთავითვე ვაცხადებ: მე ერთი რიგითი მწერალი ვარ და როგორც სხვა, ისე ამ შემთხვევაშიც ზოგადად ავტორის მხარეს ვიქნები, ვინაიდან ჟურნალში დაბეჭდილი ყველანაირი მასალის ავკარგიანობაზე პირველ რიგში, ცხადია, მის რედაქტორს, იკა ქადაგიძეს უნდა მოეთხოვოს პასუხი და არა ავტორს, რომელმაც ამა თუ იმ რედაქციას თავისი ნაწარმოები პირველყოფილი თავდაჯერებითა და გულწრფელობით შესთავაზა!!!

მაშ, დავიწყოთ!

„**ხშირად ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანი**, (რა საჭირო იყო აქ მძიმე?! ჯ.მ.) **სხვა ადამიანს ასწავლის** (უნდა იყოს „ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანი ხშირად სხვას ასწავლის“. ჯ.მ.) **თუ როგორ მოინყოს ცხოვრება**. ამ უცნაური ფენომენის ერთ-ერთი ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ ხელმოცარულ ადამიანს არ უნდა სხვა ადამიანმაც დაუშვას (რა არის ამდენი „ადამიანი, ადამიანის!“ ძახილი?! ამიტომ აქ ჯობდა „სხვებმაც დაუშვან“. ჯ.მ.) ის შეცდომები, რამაც იგი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა და (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.) ალბათ, ამ ფაქტის ერთ-ერთი გამოვლინებაა ცნობილი რუსული გამონათქვამი „**Печальная мудрость неудачника!**“

აბა, როგორ არ გახეტდები: ავტორი დასაწყისში თავდაჯერებით გვეუბნება, ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანები **ხშირად** სხვებს ასწავლიანო! ჰოდა, თუკი ეს **ხშირად** ხდება, მაშინ ამას რაღა პირით უწოდებს „უცნაურ ფენომენს“ ანუ იშვიათ მოვლენას?!

ავტორს მეტად ტენდენციურად უცდია ეს „თავისი აღმოჩენა“ რუსული გამონათქვამით შემაგრებული შემოგვთავაზოს!

ჯერ ერთი, ეს რუსული გამონათქვამი ზუსტად იმას არ ასახავს, რასაც ავტორი დასაწყისში გვიზიარებს, მაგრამ დავეუშვათ და ამას ზედმინვენითაც ესადაგებოდეს, მერე?

მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის (გენიოსის, კლასიკოსი მწერლის, მეცნიერის, პოლიტიკური მოღვაწის, მხედარმთავრის...) ანდაზები თუ ფრთიანი გამონათქვამები ცხოვრებისეული გამოცდილებით არის ნაკარნახევი!

ჰოდა, რა გამოვა, ვისაც მოაფიქრდება, გვერდით მოინყოს ასეთი წიგნები, გრაფომანული გათიშულობით რაღაც-რაღაცე-

ები ბლანდოს და თითოეული „თავისი აღმოჩენა“ თან მსოფლიო სხვადასხვა ხალხისა თუ სახელგანთქმული პიროვნების ანდაზა-გამონათქვამებით შეგვიმაგროს – ჰმ! აი, ამაზე ამა და ამ ხალხსა თუ გენიოსს რა უთქვამსო!

ვის რა უთქვამს, ეგ მკითხველებმაც იციან ან უნდა იცოდნენ!

მაშ, ასეთი ხელოვნური სენტენციები ანუ სულის ფოტოგრაფიები რილას მომტანია?!

## 2

„ცოცხლის და არაცოცხლის სხვადასხვა სირთულის კიდევ ერთი კონკრეტული გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ შეგვიძლია ძალიან დიდი სიზუსტით ვინინასწარმეტყველოდ თუ როდის მოხდება ესა თუ ის ასტრონომიული მოვლენა, (მაგალითად (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), მზისა და მთვარის დაბნელებები (უნდა იყოს დაბნელება. ჯ.მ.), კომეტებისა და ასტეროიდების გამოჩენის პერიოდულობა და ა.შ.), რა სიცოცხლის ხანგრძლივობა გააჩნია ამა თუ იმ ვარსკვლავს, (რანაირად შეიძლება ვარსკვლავზე ასე და თანაც ასეთი ჩიქორთულობით ითქვას: „რა სიცოცხლის ხანგრძლივობა გააჩნია“-ო?! ჯ.მ.), ხოლო კონკრეტული ადამიანი რამდენს (უნდა იყოს რამდენ. ჯ.მ.) ხანს იცხოვრებს (უნდა იყოს იცოცხლებს. ჯ.მ.) ამის თქმა (უნდა იყოს „ამის განსაზღვრა“. ჯ.მ.) შეუძლებელია“.

მიუხედავად აღმამფოთებელი სტილისა და დაუხვეწავი მსჯელობისა, ავტორს მეც ვუხვდები, რის თქმასაც ლამობს და აქ მიამიტ ბავშვივით ცამდე მართალია! მაგრამ თქვენ ისა თქვით, ამას რა ვუსაშველოთ, როცა არსთა გამრიგეს სამყაროს გაჩენის წამიდანვე ასე დაუდგენია!!!

ჰოდა, რასაც არავისაგან აღარაფერი ეშველება და ეს ათა-ბაბადან ყველამ ისედაც კარგად იცის, რალა საჭიროა ამისთანა მილიონობით მაგალითზე უაზრო და უშედეგო გრაფომანული ჩიჩინით თავისი დღიური საზრუნავით უამისოდაც განამებულ თანამოძმეებს სისხლი გავუშროთ?!

მაშ, რას უნდა მიენეროს „ბასრკალმიანი“ რედაქტორის ასეთი დაუფიქრებლობა: რა აზრი აქვს ამგვარი „სულის ფოტოგრაფიების“ მჭადივით ხანხვლას და ბეჭედვას?!

\* \* \*

„როდესაც კარგი მოსწავლე ან სტუდენტი ადვილად ითვისებს ამა თუ იმ მასალას (ადვილად „იჭრება სიბრძნით!“), რა თქმა უნდა, დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე ცოდნის შეძენის თვალსაზრისით, მაგრამ ხიფათის შემცველიც შეიძლება იყოს ეს ყველაფერი, რადგან მომავალში, (რა საჭირო იყო აქ ეს მძიმე?! ჯ.მ.) იგი შესაძლოა (აი, სად უნდა მძიმეები – „იგი, შესაძლოა“, ჯ.მ.), ადვილად მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ (ადვილად „დაიჭრას“ სხვისი სიბრძნით)“.

აქედან თქვენ გაიგეთ რამე?! ან ნეტავი თვითონ ავტორს დაახლოებით მაინც თუ ესმის, რის თქმა ენადა, მაგრამ საბოლოოდ რა გამოუვიდა?!

ერთი სიტყვით, თავის პრიმიტიულ წარმოდგენებში უიმედოდ გახლართული, თანაც არამხატვრულად მოაზროვნე პიროვნების თითიდან მტკივნეული ძალდატანებით გამონოვილი, ნაცდენილი მკითხველის ჯვარზე გასაკრავად შეითთხნილი ე.წ. სენტენცია თუ „სულის ფოტოგრაფია“!

\* \* \*

შემოქმედი ადამიანისათვის საუკეთესო „დასვენება“ ისევ და ისევ ახლის შექმნა ანუ შემოქმედებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მარადიული „მოუსვენრობით“ მხოლოდ ერთეულები არიან „დაავადებულნი“!

მოკლედ, „სულის ფოტოგრაფიების“ ავტორს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაუნყვეტია: კაცობრიობის ისტორიაში არსებული ნებისმიერი აფორიზმიდან, ბრძნული გამონათქვამიდან, ანდაზიდან, სენტენციიდან, მაქსიმადან, აქსიომური ჭეშმარიტებიდან, თუ წყალგაუვალი დებულებიდან რომელიც კი მოენონება, თავის სანერ მაგიდაზე თხის ფელიკივით შეაგდოს, გრაფომანული მიჯიჯგნ-მოჯიჯგნით როგორმე სახე შეუცვალოს და... საკუთარ აღმოჩენად შემოგვასალოს!!!

ჰოდა, ავტორი რასაც აქ ახლად აღმოჩენილივით გვიმტკიცებს, ეს კაცობრიობის ჟამულრანებიდან მოკიდებული, ყველამ ისედაც იცის!

მაშ, ამ კუთხით რაღას გვეუბნება ახალს... განსხვავებულს... ღირებულს... საინტერესოს?!

თანაც ავტორი ბოლოს რა შიშის მომგვრელი დაუფიქრებლობით ხმარობს სიტყვას სამნუხაროდო! არადა, ღმერთმა ნუ ქნას, „მარადიული“ „მოუსვენრობით“ ანუ გამორჩეული შემოქმედებითი გენიით ჩვენი პლანეტის უკლებლივ ყველა მოქალაქე ყოფილიყო „დაავადებული“! ხომ ხვდებით, მაშინ რა იქნებოდა!...

ასე, რომ „სულის ფოტოგრაფიების“ ავტორი სასაცილოდ იჭრება უზეშთაესის ფუნქციებში, ვინაიდან მხოლოდ მან იცის, ამგვარი „მოუსვენრობით“ ვინ უნდა დააჯილდოვოს და ვინ – არა!!!

\* \* \*

„მე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), როგორც ფიზიკოსს (აქაც მძიმე უნდოდა! ჯ.მ.), ხშირად „მალიზიანებს“ (აქ რა საჭირო იყო ბრჭყალები?! ჯ.მ.) ზოგიერთი აფორიზმი, გამონათქვამი, მაქსიმა, რადგანაც მათში ყოველგვარი „დამტკიცების“ (ლოგიკური ახსნის) გარეშე გამოთქმულია ესა თუ ის შეგონება ანუ მკითხველი „ბრმად“ უნდა ენდოს მათ! თუმცა არსებობენ (უნდა იყოს არსებობს. ჯ.მ.) ამკარად ცხადი აფორიზმები (ისინი შეიძლება აქსიომებთან გაავიგიოთ!), რომელთაც მართლა არ უნდათ (უნდა იყოს „არ უნდა“. ჯ.მ.) არავითარი „დამტკიცება“ და „გულზე ხვდება“ ხოლმე ადამიანს საკუთარი დამაჯერებლობის გამო!“

ვალღარებ, აქედან ვერაფერი ვერ გავიგე! ამიტომ ვერც შენიშვნებს გამოვთქვამ!

\* \* \*

„ახლის შესაქმნელად ნიჭი და სწავლაა აუცილებელი, ნგრევას კი სწავლა არ სჭირდება!“

ვითომ?! არადა, ამქვეყნად ყველაფერს სჭირდება ნიჭი, სწავლა და გამოცდილება! 1998 წელს გამომცემლობამ „русич“ (სმოლენსკი) 11 000-იანი ტირაჟით გამოსცა მესამე რაიხის არ-

მიის გენერალ-პოლკოვნიკის, ჰაინც გუდერიანის (1888-1954) 650-გვერდიანი წიგნი „ჯარისკაცის მოგონებები“.

ჰოდა, 1941 წლის ოქტომბერში ვერმახტი გააფთრებით რომ იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, ჰ. გუდერიანი თავისი წიგნის 330-ე გვერდზე აი, რას იხსენებს.

„Кроме того русские, являющиеся мастерами в области разрушения, при отходе взорвали все мосты...“

თუმც 80 წლის წინანდელი ამბების გახსენება რად გვინდა – რუსეთის ფედერაციის არმია დღეს აგერ, რას სჩადის უკრაინაში!...

\* \* \*

„ცხოვრებისეულ ორომტრიალში აუცილებელია მოპარო (უნდა იყოს მოპარო. ჯ.მ.). მას განმარტოების დღეები, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილმა „გადახარშო“ ის, რაც ორომტრიალში მოგივიდა. ამასთანავე უნდა იფიქრო მომავალზეც, რათა შენი ამოცანით დაბრუნდე უკან და ამიტომაც ნაკლებად დაემორჩილო ცხოვრებისეულ დინებას!“

აქ ყოველ წინადადებაში გატარებული ავტორისეული „აზრი“ თუ „შეგონება“ უბედური მკითხველების გულშესაღონებლად და აზროვნების უნარის დასაჩლუნგებლად არის შეთითხნილი, ვინაიდან ამ საქრესტომათიო დომხალიდან გაუგებარი რჩება: ვისა და როგორ უნდა „მოპარო“ დღეები?! ან რას ნიშნავს – „რაც ორომტრიალში მოგივიდა?!“ „ამასთანავე უნდა იფიქრო მომავალზეც“! – გვმოძღვრავს ავტორი. მერე, ვინ უშლის ან ამის დაშლას როგორ შეძლებენ – ჰოდა, ვისაც სურს, დაე, მომავალზეც იფიქრონ? ანდა, როგორი ასატანია ეს გონების გამყინავი-„რათა შენი ამოცანით დაბრუნდე უკან?!“

რა ამოცანა, რომელი ამოცანა ან სად „უკან?!“ ... ოოო!...

ახლა მკითხველებმა თავად განსაჯონ: რედაქტორი ამგვარ აზრობრივ და ენობრივ უსუსურობას რომ შემოგვთავაზებს, რჩება კი უფლება, არმცთუ ლიტერატურული ჟურნალის ხელმძღვანელი, არამედ თუგინდ მისი ლიტერატურული მუშაკი მაინც იყოს?!

მწერლობაზე მეოცნებე ნორჩებს არ ეგონოთ, ვაზვიადებდე! ძველ დროსაც რომ თავი დავანებოთ, აბა, დღევანდელი რომე-

ლიმე სანიმუშო რედაქციის ლიტმუშაკს გაებედა და ამგვარი აზრგამოუტანელი ტექსტი წარედგინა თვისი განყოფილების გამგის და მით უმეტეს, რედაქტორისათვის: მას სამუშაოდან იმდღითვე გაათავისუფლებდნენ ანდა საბოლოოდ გააფრთხილებდნენ!!! იკა ქადაგიძე კი... აბა, ან ამას მოუსმინეთ!

\* \* \*

**„თუ შიშის გრძნობა არა გაქვს, ადვილია იყო სამართლიანი, რადგანაც თავს არ „იმძიმებ“ იმის ცოდნით (არ გეშინია!), თუ რა შეიძლება მოჰყვეს სამართლიანობას შენთვის!“**

ვალღარებ, ვერც აქედან გავიგე რამე! თუმცა არა, არა, ერთი რამ კი კარგად გავიგე: მხატვრულად წერა-აზროვნება თემურ ნადირაშვილის საქმე არ არის, იკა ქადაგიძის – რედაქტორობა!

\* \* \*

**„დასვენება და ძალების მოკრეფა აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისა და მითუმეტეს შემოქმედისთვის, მაგრამ „ზედმეტმა“ დასვენებამაც „დალლა“ იცის!“**

როგორც, მაგალითად, მენაღმეს უღმობელი შემთხვევა არ პატიობს ხოლმე სულ უმნიშვნელო შეცდომასაც კი და ადგილის დანაღმვისას თუ განაღმვისას სასიკვდილოდ ფეთქდება, დაახლოებით ასევე ემართება ნებისმიერი დარგისა და სფეროს მუშაკსაც! ცხადია, მათ შორის ლიტერატორსაც და მით უმეტეს, ლიტერატორ-რედაქტორს: უმარტივესი, სავალდებულო გრამატიკული ნორმების სრული უცოდინარობის გამომჟღავნებისას მკითხველების თვალში სირცხვილის ნაღმზე „ფეთქდება“ და საქვეყნოდ თავი ეჭრება!

ამ შემთხვევაში ასე დაემართა იკა ქადაგიძესაც!

ჰოდა, აქ ავტორი ყინჩად რომ აცხადებს, რედაქტორი კი აინუნშიც არ არის და მკითხველებს პირდაპირ ასე სთავაზობს: დასვენება და ძალების მოკრეფა ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელიაო! არადა, ადამიანის ძალ-ღონე, ჭკუა-გონება, მხნეობა თუ გამბედაობა ნაქარი მსხალი... დამნიფებული ატა-

მი... საკომპოტე ქლიავი... მარწყვი... კიტრი... ან კაბის კალთები ხომ არ არის, მოკრიფონ ან აიკრიფონ?!

ამ შემთხვევაში რედაქტორის მხოლოდ უცოდინარობაზე ყურადღების გამახვილება ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა! აქ მკითხველს პირველ რიგში სულ სხვა რამ ახევენ: ასაკოვან ლიტერატორს, თანაც უკვე რედაქტორის მანტიით თავგაზვიადებულს, მთელი თავისი მწერლური რუდუნების მანძილზე სიფრთხილის, დაეჭვების, ცოდნის გადამონმება-განმტკიცების, მკითხველთა წინაშე პასუხისმგებლობის, პროფესიული თვმოყვარეობისა და წინდახედულობის ის აუცილებელი ჩეულებრივი ჩვევებიც კი ვერ გამომუშავებია, გონებაში საგანგაშო სირენა ასნივლებოდა და ავტორისეულ ტექსტს უფრო ფხიზლად ჩაჰკვირვებოდა: რას ჰქვია „ძალების მოკრეფა“! ძალების მოკრეფა თუ მოკრება?!

ჯერ ერთი, ზმნის ასეთი მარტივი ფორმები რამედ ღირებულმა ყველა ლიტერატორმა უნდა იცოდეს! არადა, მისი უდიდებულესობის, ქველ-ის ანუ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების აშრიალებას ან კომპიუტერის აცომციმებას რა უნდოდა?.

დიდი არაფერი, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო ან მოხდეს, ქართულ სასიტყვეთის უკიდევანო ოკეანეში მხარულთ მიმცურავ ნებისმიერ კალმოსანს ჯერ ამის მოხვედრა და ინტელექტუალური მოთხოვნილება უნდა დაებადოს!!!!!!!!!!!!.....

ის კი არა, ამ ამონარიდში თემურ ნადარეიშვილის მიერ შეცდომით ერთად ნახმარი „მითუმეტეს“ იკა ქადაგიძეს არც კი განუცალკევებია!

ახლა უშუალოდ თვით ამ სენტენციასა თუ როგორც თვითონ ავტორი უწოდებს „სულის ფოტოგრაფიაზე!“ ამგვარი ამონარიდების გამოქვეყნებით იკა ქადაგიძემ თავის თავს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა – რედაქტორობა არ არის მისი საქმე!

ერთი ჩაუკვირდით ამ „სენტენციას“: უბედური კაცობრიობა თავისი წარმოშობიდან დღემდე თურმე ტვინს უმონყალოდ იჭყლეტდა, მაგრამ მისახვედრს მაინც ვერ ხვდებოდა! მაგრამ აი, 2020 წელს იკა ქადაგიძემ თვის „ყველაზე მებრძოლი ეროვნუ-

ლი“ ჟურნალის ფურცლებიდან უშედეგო საგონებლისაგან გან-  
ნირულ მსოფლიოს გულის ფანცქალით ახარა თემურ ნადარე-  
იშვილის ზოგადსაკაცობრიო აღმოჩენა: **დასვენება და ძალების  
„მოკრეფა“ თურმე აუცილებელი ყოფილა ნებისმიერი ადამიანი-  
სათვის და „მითუმეტეს“ შემოქმედისთვის!**

ამას მიხვედრა არ უნდოდა?!

თემურ ნადარეიშვილის ამ ნასიბრძნმა სწორედ რომ სულზე  
მოუსწრო მოუაზრებელ კაცობრიობას, შეუსვენებელი ფიზი-  
კურ-გონებრივი შრომისაგან მისავათებული, დღე-დღეზე დასა-  
ღუპავად რომ იყო განწირული და იკა ქადაგიძის ლიტჟურნალი-  
დან ახლალა შეიგნო – თურმე დასვენებაც ყოფილა აუცილებე-  
ლიო!... წარმოგიდგენიათ?!

მორჩა, ამას წყალი არ გაუვა: თ. ნადარეიშვილის ამ ტოლდა-  
უდებელ აღმოჩენას ოქროს ადლიანი ასოებით ჩამოსახამენ და  
ბილბორდის სახით ჩვენი პლანეტის ყველა კუთხე-კუნჭულში  
აღმართავენ, როგორც ქვეყნიერების გადამრჩენ, ყველაზე გე-  
ნიალურ მინაგნებს!!!

კი მაგრამ, რა არის ეს? უნებლიე ცინიზმი თუ კარჩაკეტილი  
გონებაშეზღუდულობა?! თანამედროვე კაცობრიობის უფრო  
აბუჩად აგდება გაგონილა – როგორი მოსასმენ-გასაძღვია,  
სენტენციის ჟანრს დებიუტანტ-ეპიგონური სულწასულობით  
ამოსაფრებულმა, თანამედროვე მკითხველს გულშემანუხებ-  
ლად ის უჩიჩინო, რაც ყველამ ისედაც კარგად იცის!!!

ჩემი სიმტყუვნისთვის დაახლოებით მაინც წარმოიდგინეთ  
დღევანდელ მსოფლიოში მოქმედი ადამიანთა დასვენების ინდუს-  
ტრიის ფორმები და მასშტაბები! ხოლო ვისაც სურვილი ექნება,  
თუგინდ მარტო გაკვრით გაიხსენოს ის ტრადიციული თუ დარ-  
გობრივი ენციკლოპედიები... სამეცნიერო და საზოგადოებრივი  
ჟურნალ-გაზეთები და მრავალფეროვანი ლიტერატურა... მოს-  
წავლე-სტუდენტებისა და სამედიცინო პერსონალთათვის გან-  
კუთვნილი ქრესტომათიული სახელმძღვანელოები... სხვადასხვა  
ასაკის, დარგის, სპეციალობის, პროფესიისა და ჯანმრთელობის  
მდგომარეობის მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ბროშურები...  
ცნობარები... სამახსოვროები, სადაც გასაოცარი საქმის ცოდნი-

თა და გასაგები ენით არის განმარტებული ნებისმიერი მოქალაქისთვის ზედგამოჭრილი „აუცილებელი“ დასვენების აზრი, მნიშვნელობა, მიზანი, შინაარსი, დრო, რეჟიმი, მეთოდი, ხანგრძლივობა... აქტიური და პასიური დასვენების სახეობები, საერთოდ, მოქალაქეთათვის კონსტიტუციით მინიჭებული „აუცილებელი“ დასვენების უფლების ყველა მხარე და ასპექტი!!!

ყოველივე ამის შემდეგ და ამის ფონზე მხატვრულ-ობიექტურად აზროვნების პრეტენზიის მქონე, რბილად რომ ვთქვათ, რაოდენ გულუბრყვილო უნდა იყოს, ჟურნალის პირით საზოგადოებას თავის საკუთარ აღმოჩენასავით გაუნითლებლად აუხსნა: იცოდეთ, დასვენება და ძალების აღდგენა ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია!... მაგრამ თ. ნადარეიშვილი აქ როდი ჩერდება! ბოლოს თან გვაფრთხილებს: „ზედმეტმა“ დასვენებამაც „დაღლა“ იცისო!

ოჰ, თქვა რუქამ არაკი!.. თან სრულებით გაუგებარია, ავტორი სიტყვებს – „ზედმეტმა“ და „დაღლა“ ბრჭყალებით რატომ ხმარობს?!

და რაც მთავარია, მხოლოდ „ზედმეტმა“ დასვენებამ კი არა, „ზედმეტმა“ ყველაფერმა იცის არა მარტო დაღლა“, არამედ გამოფიტვა... მობეზრება... ნერვული სტრესი... მორალურ-ზნეობრივი გადაგვარება... ჯანმრთელობის მოშლა... ათასგვარი დაავადება... დაინვალიდება და თვით სიკვდილიც! მერე?

აი, რა „მერე“: ეს თუ შესაძლებელი იქნება, დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, დასვენების გარდა ნებისმიერი ადამიანისთვის საარსებოდ ცხოვრებაში კიდევ რამდენი რამეა „აუცილებელი!“ ახლა ამას ისიც დავამატოთ, ადამიანი რამდენი „ზედმეტი“ რამისგან შეიძლება „დაიღალოს!“ აქ, ალბათ, მილიონობით გარემოება... აუცილებლობა... საბაბი... საგანი... მდგომარეობა... ვალდებულება... მოლოდინი...ეჭვი... იმედი... დაპირება... დასვენება... სპორტული ვარჯიში... გართობა... ნადირობა... მოგზაურობა და მისთ. მოითვლება!!!

ჰოდა, ვინმემ გრაფომანული შეუპოვრობით რომ ჩაიკეტოს და ადამიანის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ, თანაც ყველასათვის ისედაც კარგად ცნობილ წვრილმანებს სენტენციის

თარგში ასეთი გულშესანუხებელი სწორხაზოვნობით დაუნყოს ძალნატანი მოცოდვილობა, მაშინ სულ ადვილი შესაძლებელი იქნება ორიოდე წლის მანძილზეც კი იმდენი ამგვარი „შედევრი“ დაახვავოს, რომ მსოფლიო შემოქმედთა შორის ყველაზე ნაყოფიერ მწერლად მიჩნეული, თვით ესპანელი დრამატურგი **ლოპე დე ვეგაც (1562-1635)** კი რამდენიმე გაჭენებით უკან ჩამოიგდოს!

ჰო, მაგრამ ეს ვის რას მოუტანს – მაშინ რა დღეში ჩავარდება სენტენციის ჟანრი, საერთოდ, მხატვრულად წერა-აზროვნების კულტურა, მკითხველი საზოგადოება?

ნუთუ რედაქტორი ამას არ უნდა უფიქრდებოდეს?!

\* \* \*

აბა, ახლა იკა ქადაგიძის მიერ ვიზამიცემულ ამ „სულის ფოტოგრაფიასაც“ მოუსმინეთ!

„როდესაც ადამიანი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, (რა საჭირო იყო აქ ეს მძიმე?! ჯ.მ.) სხვა ადამიანებთან დაპირისპირებას გადაწყვეტს (უნდა იყოს „როდესაც ამა თუ იმ მიზეზით ადამიანი სხვა ადამიანებთან დაპირისპირებას გადაწყვეტს...“ ჯ.მ.), მან ჯერ საკუთარ თავს გულწრფელად უნდა დაუსვას შემდეგი კითხვები: აქვს კი მას განაწყენების ნამდვილი მიზეზი, გრძნობს ის თავს რალაციით მაინც დამცირებულად და ა.შ. აქ არ შეიძლება თავი მოატყუო (უნდა იყოს მოიტყუო. ჯ.მ.), სალად უნდა გაანალიზო (აქ მძიმე უნდოდა! ჯ.მ.), რა არ მოგწონს მომავალ მეტოქეში, უნდა სამართლიანად შეაფასო (უნდა იყოს „სამართლიანად უნდა შეაფასო“. ჯ.მ.) მისი შენდამი დამოკიდებულება, გაიხსენო თუ რატომ დაუახლოვდი ამ ადამიანს, რა გაკავშირებდა მასთან გარკვეული პერიოდი, რა იყო კარგი თქვენი ურთიერთობისას, შენ თავად (უნდა იყოს თვითონ. ჯ.მ.) სამართლიანი იყავი მის მიმართ?! ამ ანალიზის შემდგომ (აჯობებდა „შემდეგ“. ჯ.მ.) კი უნდა გეყოს გამბედაობა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), აღიარო სიმართლე და თუ ეს საჭიროა (უნდა იყოს „ეს თუ საჭიროა“. თან აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), შენს პირვანდელ „ახირებაზე“ ხელი უნდა აიღო, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სისუსტეს, პირიქით (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ეს სიძლიერის გამოხატულებაა,

რადგანაც საკუთარი თავი არ მოატყუე, როდესაც დაინახე, რომ შენ სიმართლე არ გიმადრებს ზურგს!“ (უნდა იყოს „რომ სიმართლე ზურგს შენ არ გიმადრებს! (ჯ.მ.)

რა შეიძლება ითქვას ამ ჩამოუყალიბებელ, გაუცნობიერებლად გაჭიანურებულ-გაუგებარ უაზრო სათქმელზე?

მე თვითონ არაფერი გამეგება და ბეცურად ვეკამათები რედაქტორს? შეიძლება! მაშინ იკა ქადაგიძე მშვიდად უნდა იყოს: მკითხველთა თვალში მე თავი მომეჭრება, მას კი ცამდე ასწევს ამგვარ „სულის ფოტოგრაფიებს“ დღის სინათლეს რომ აჩვენებს!

მეტი რაღა ვთქვა?!.. ამის მიუხედავად, თავს მაინც ვერ ვიკავებ, ეს ამონარიდიც არ მოვიყვანო. მოუსმინეთ!

\* \* \*

„სანახევრო გადანყვეტილება არ ვარგა და ამიტომ სწორი, „მთელი“ გადანყვეტილების მისაღებად, (აქ რა საჭირო იყო ეს მძიმე?! (ჯ.მ.) გულიც და გონებაც უნდა მონანილებდეს, ოღონდ ემოციური მყისეული (უნდა იყოს მყისიერი. ჯ.მ.) გადანყვეტილების მიღებისას გული „ჯობნის (უნდა იყოს სჯობნის.ჯ.მ.) პროცენტულად“ გონებას, (უნდა იყოს „ემოციური... გადანყვეტილების მიღებისას გონებას გული სჯობნის პროცენტულად“ ჯ.მ.), ხოლო ანალიტიკური, უფრო გრძელვადიანი გადანყვეტილებისას „უტოლობის ნიშანი“ იცვლება“.

მკითხველო, თქვენ აქედან გაიგეთ რამე?! ვალიარებ, მე არამცთუ ვერაფერი გავიგე, გუმანის უკიდურესი დაძაბვითაც კი ვერ ვხვდები, ავტორს რა ანუხებს, რისთვის ნვალობს და ასეთი უღმობელი შეუპოვრობით რატომ ცდილობს, თავისი მორიგი „სულის ფოტოგრაფია“ უბედურ მკითხველს გონებაში ორზომა ლურსმნებივით ჩაჭედოს?!

რა შეიძლება ითქვას ამ ტექსტზე? აქ ყველაფერი გულშესანუხებლად ჯაყჯაყებს და ეპიგონურ-გრაფომანულ რკინის ფილთაქვაში უმონყალოდ ინაყება – სინტაქსი... პუნქტუაცია... ორთოგრაფია... არაზუსტი, მჭლე ლექსიკა... ჩამოუყალიბებელი, ამიტომ გაუცნობიერებლად განელილ-გაუგებარი სათქმელი: რა სანახევრო, „მთელი“, მოკლევადიან თუ გრძელვადიან გა-

დანყვეტილებებზე გვეჩინება თავისი პრიმიტიული წარმოდგენებით გატაცებული ავტორი?! ნებისმიერი პიროვნების მიერ რამესთან დაკავშირებით მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება ამინდის პროგნოზი ხომ არ არის, მოკლევადიანი, გრძელვადიანი, კვარტალური თუ დეკადური ენოდოს?! ან ასეთი ვითარებისას რანაირად უნდა განისაზღვროს „გულისა და გონების“ მონანილეობის პროცენტულობა თუ მათემატიკური ტოლობა-უტოლობის ნიშანი?! ანდა, რა არის ამდენი, სრულიად გაუგებარი ბრჭყალების ხმარება?!

მეც მესმის, რომ ნებისმიერ მოკვდავს ბუნებრივად ებადება დაუძლეველი სურვილი, ცდუნება ან აკვიატება – რომელიმე სფეროსა თუ ჟანრში თავისი ნააზრვეი მკითხველ საზოგადოებასაც გააცნოს! ეს გასაგებია და ამაში არაფერია დასაძრახი ან მიუღებელი! პირიქით, ღმერთმა დაგვიფაროს და ეს ასე არ ყოფილიყო – მაშინ კაცობრიობა თავის განვითარების რომელიმე საფეხურზე გაიყინებოდა და, ვინ იცის, რა დაემართებოდა!!! მაგრამ შენი ნასაზრი... საწუხარი... აღმოჩენა... იდეა... საშინელება თუ რამის წარმოდგენა მკითხველის გულსა და გონებამდე რომ მიიტანო და დააჯერო, ამისთვის საჭიროა გამორჩეული ნიჭიერება... აზროვნების სანიმუშო კულტურა... სათქმელის სხარტად გამოკვეთა, დამორჩილება და მოსახდენ მხატვრულ ყალიბში ოსტატურად მოქცევა... დახორბლილი, ზედგამოჭრილი ლექსიკა (ეს კარგად დაიმახსოვრეთ, ვინაიდან ამასთან დაკავშირებით საგანგებო მსჯელობა მოგვიწევს, თუმცა მე თვითონ შეგახსენებთ!)... დახვეწილი, მკაფიო სტილი... ერთი სიტყვით, მხატვრულად აზროვნების მიმზიდველობა და დამაჯერებლობა! თორემ ამ ჩვენი გაძალღებული ყოფა-ცხოვრებისგან ისედაც გატანჯულ-განამებული ქართველი მკითხველი როგორც ყველაფრისადმი, ისე ამდენი და ასეთი ლიტერატურული პროდუქციისადმიც თავისთავად ეჭვიანი... მიუნდობელი... იმედგაცრუებული... ამრეზილი... გულგრილი... მკაცრი და მომთხოვნი გახდა!!!

თ. ნადარეიშვილის ეს ამონარიდიც მკითხველს გონებას ულაცებს და აზროვნების უნარს უჩლუნგებს! ერთი კარგად დაუკვირდით, ავტორი ახლა თავის რანაირ „აღმოჩენას“ გვაპარებს:

სანახევრო გადაწყვეტილება არასოდეს ვარგა და სწორი, „მთელი“ გადაწყვეტილების მისაღებად გულიცა და გონებაც უნდა მონაწილეობდესო!.. წარმოგიდგენიათ?!

უჰ, ახალი ამბავი! ნებისმიერი პიროვნების მიერ „სანახევრო“ კი არა, ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებისას განა მხოლოდ „გული და გონება“ არ მონაწილეობს?! თუმც, მოდი, შევეშვათ ამ დილეთანტურად ნახმარ სიტყვას „**მონაწილეობს**“, ვინაიდან ყოველი პიროვნება ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხოლოდ „გულისა და გონების“ კარნახით ღებულობს!!!

ისე კი, რა საინტერესოა, თემურ ნადარეიშვილისა და იკა ქადაგიძის რწმენით, „სანახევრო გადაწყვეტილების“ მიღებასთან დაკავშირებით ადამიანის აგებულების ორგანოების მიერ საგანგებოდ მოწვეულ კონფერენციასა თუ პლენარულ სხდომაზე ნეტავი რომელი წევრები „**მონაწილეობენ**“ ხოლმე და რომელი – არა?!. გარდა მაგისა, რაკი ესა თუ ის გადაწყვეტილება „**სანახევროა**“, რატომ არ შეიძლება მისი იდეა და მიზანი „**სწორი**“ იყოს?!

\* \* \*

ახლა რომელ საქმეში ჩახედული იტყვის, რომ ან ეს მასალა რედაქციის თუგინდ რიგითი ლიტმუშაკის რედაქტირებულია?!

მკითხველო, მოიკრიბეთ (დიახ, მოიკრიბეთ და არა მოიკრიფეთ!) მოთმინება მორიგ „სულის ფოტოგრაფიასთან“ შესახებ... შესახვედრად კი არა, შესაბამელად!

**„არ შემიძლია იმ ოთახში დაძინება, სადაც კედელზე მექანიკური საათი არის ჩამოკიდებული, რადგანაც გარდა მონოტონური ხმაურისა (ამ ხმაურთან კიდევ შეიძლება „მორიგება! (უნდა იყოს „შერიგება!“ ჯ.მ.), ლამის სიჩუმეში ცხადად შევიგრძნობ თუ რა დაუნდობლად გარბის დრო და არ მაძინებს იმის შეგრძნება, რომ უძლური ვარ რაიმე შევცვალო ამ მარადიულ სრბოლაში!“**

მადლობის ნიშნად მინამდე თავს დაფუხრი, ვინც სიტყვაზე დამიჯერებს: ერთ სიკვდილს ვათავებ, პირდაპირ მთავარი სათქმელიდან რომ ვერ ვიწყებ! მაგრამ რა ვქნა-ქართული მწერლობის რიგითი „მამელუკის“ მოვალეობა ნებას არ მაძლევს, ავტორისეულ სტილსა და თხრობის ფორმას გვერდი გულგრილად

შევუარო! ამიტომ ჯერ აქედან დავიწყებ, მთავარს კი მერე მივუბრუნდები! შეიძლება ასე უფრო დასამახსოვრებელი იყოს!

მაშ, დავიწყოთ!

„სულის ფოტოგრაფიების“ ავტორს, თემურ ნადარეიშვილს იმ ოთახში დაძინება თურმე არ შეუძლია, **„სადაც კედელზე მექანიკური საათი არის ჩამოკიდებული“**.

ჯერ ერთი, რა საჭირო იყო აქ სრულიად ზედმეტი სიტყვა **„კედელზე“**, თუკი ავტორი იქვე გვეტყოდა – ჩამოკიდებულიო?! მექანიკური დიდი საათი მაგიდაზე (კარადის თავზე, კომოდზე, დგამ – ავეჯის რომელიმე თაროზე თუ არ უდგათ და **„ჩამოკიდებულია“**, ისედაც ცხადია, კედელზე იქნება ჩამოკიდებული, თორემ ვინმეს უნახავს, ამგვარი საათი, მაგალითად, ქალივით ჭერზე ანდა ტელევიზორზე, კარადის კარზე, ტრიუმოზე, სარკმელზე, ტორშერზე, ოთახის კარზე, სანოლისა თუ სკამის საზურგეზე იყოს **ჩამოკიდებული?!**

ახლა დახედეთ ავტორის ჯაგლაგ თხრობას, კედლის საათზე რომ ამბობს – **„არის დაკიდებული“-ო**, რედაქტორი კი აზრზე ვერ მოდის, კალმის ერთი გასმით გადაასწოროს – **„კიდია“!**

აბა, განვსაჯოთ: ამ შემთხვევაში რა საჭირო იყო დილეტანტურ-ალალბედურად ნახმარი ეს ორი, თექვსმეტასოიანი სიტყვა **„არის ჩამოკიდებული“**, სტილსა და სათხრობს გრაფომანული ტლაპოს ფსკერისკენ რომ ძირავს, როცა მოცემულ გარემოს უნაკლოდ გვიხატავს ზედგამოჭრილი ხუთასოიანი სიტყვა – **„კიდია“!**

ეს „სულის ფოტოგრაფია“ მკითხველს ორცეცხლშუა ამწყვდევს, ვინაიდან ერთმანეთს ვერ ეხამება ორი გარემოება: ერთი მხრივ, ძილგამკრთალი ავტორის ჰამლეტ – ფაუსტისებური სანუხარი, რომ ის უძღურია დროის მარადიულ სრბოლაში რამე შეცვალოს! მეორე მხრივ, მშობლიური ენის ლექსიკური მარაგის ოკეანესთან უდარდელ-უნადვლელი ჭყუმპალაობა და სიტყვების ალალბედური ხმარება!

ამაში ახლავე დავრწმუნდებით!

მარადიულ დროის დაურღვეველ სრბოლასთან დაკავშირებულ ფიქრებში ჩაღრმავებულ ავტორს ძილს რა უფრთხობს? როგორც თვითონ გვეუბნება, კედლის საათის **„მონოტონური ხმაური!“** არადა, ბავშვმაც კი იცის, მექანიკური საათი რომ **წიკნიკებს!!!**

ახლა ერთმენეთს შევეუდაროთ: **ნიკნიკი** და **მონოტონური ხმაური**. მეტი სიზუსტისთვის ლექსიკონები დავიხმაროთ.

რა არის **ნიკნიკი**? ხმაბაძვ. საათის მექანიზმის მუშაობის ხმა. **ნიკნიკებს** – ნიკნიკის ხმას გამოსცემს (საათი...).

**ხმაური**? – არეულ-დარეული, შეუწყობელი ხმები.

**მონოტონური**? – ბერძ. ერთფეროვანი.

მაშ, რანაირად შეიძლება, კედლის საათი **ხმაურს** ანუ **არეულ-დარეულ ხმებს** გამოსცემდეს და ეს არეულ-დარეული ხმები ამავე დროს თან **მონოტონურიც** იყოს?!

საინტერესოა, იკა ქადაგიძეს რა ჰგონია ან როგორ წარმოუდგენია ყურნალში დასაბეჭდად შემოსული მასალების რედაქტირება?!

ჩვენდა დარღუბლად, ამგვარ „მხატვრულობას“ უფრო უარესი კატასტროფა მოსდევს! როგორც ვხედავთ, საათის ნიკნიკის ნაცვლად როყიოდაა ნათქვამი „**მონოტონური ხმაური!**“ მაგრამ ენობრივ-აზრობრივი აჭიბაჭია აქ არ მთავრდება – ავტორი თავისებურად განაგრძობს და სამიოდე სიტყვის შემდეგ აგერ, ახლა რას აცხადებს – „**ლამის სიჩუმეში**“-ო!

ამგვარმა განაცხადმა საბოლოოდ გააცამტვერა როგორც ალაღბედა ავტორის, ისე უკადრისი პირადი მიზნებისთვის აღზევებული რედაქტორის ავტორიტეტი! როგორ?! – აქ მხოლოდ ახალბედა მკითხველი ან უმომავლო დებიუტანტი იკითხავს! აი, როგორ: მართალია, სცენის დასაწყისში თ. ნადარეიშვილმა ყურით შემოგვიტრია ყოვლად შეუხამებელი ეს „**მონოტონური ხმაური**“, მაგრამ მკითხველი მაშინვე ხვდება – ქართული ენის ღვთაებრივი სასიტყვეთიდან უნდა აღებულიყო გარემოებისთვის ერთადერთი ზედგამოჭრილი „**ნიკნიკი**“ და არა თავისი უადგილობის მიზეზით დიდი ხნის დაუძვრელი ჯართის ნატეხს დამსგავსებული ეს „**მონოტონური ხმაური!**“, თუმც კეთილშობილი მკითხველი ამგვარ სამარცხვინო ჩავარდნას ავტორსაცა და რედაქტორსაც პატიობს და კითხვას უკეთესობის მაცდური მოლოდინით განაგრძობს!

სამწუხაროდ, ამ ნისიად გაცემულ მოლოდინს ვერც ავტორი და ვერც რედაქტორი ვერ ამართლებს: თემურ ნადარეიშვილი პირდაპირ კატასტროფული ვარაუდით გაიძახის – „**ლამის სიჩუმეში**“-ო,

იკა ქადაგიძე კი ბაიბურშიც ვერ მოდის, მშობლიური ენის სინმინდის წინაშე თავისი რედაქტორული მოვალეობა პირნათლად მოიხადოს და ეს ოღროწოლორად დგელი აზრობრივად მაინც გამართოს!

აჰა, თავად განსაჯეთ: ოთახში, სადაც „**მონოტონური ხმაური**“ ანუ არეულ-დარეული ხმები გაისმის, განა შეიძლება იქ ერთდროულად „**ღამის სიჩუმის**“ წარმოდგენა და კედლის საათის თანაბარი, სუსტი **ნიკნიკის** გაგონება?!

მკითხველი ამგვარ გრაფომანულ ბარდეკლიანში იმიტომ გაიხლართა, რომ ენის უცოდინარმა ავტორმა საათის საყოველთაოდ ნაცნობ **ნიკნიკს** საფრთხობელასებური ჩაჩი – „**მონოტონური ხმაური**“ – ჩამოაფხატა, რედაქტორს კი მინიმალური ცოდნაც არ აღმოაჩნდა, ეს ყველაფერი შეენიშნა და ჩაესწორებინა!!!

„შემდეგ რაღა ხდება?“ – მოუთმენლად იკითხავს ზოგიერთი.

ეჰ, არც შემდეგში გვიცდის გასახარებელი ამბავი! კედლის საათის „**მონოტონური ხმაურისაგან**“ ძილგატეხილი თ. ნადარეიშვილი ზედმობმითვე აგერ, რას იმედოვნებს (როგორც უკვე იცით, ამ წინადადების ფრჩხილები და ბოლო სიტყვის ბრჭყალები ავტორისეულია).

„(ამ ხმაურთან კიდევ შეიძლება „**მორიგება**“).“

კი მაგრამ, კედლის საათის ღამეულ ნიკნიკს ანუ როგორც თვითონ ავტორი უწოდებს, ხმაურს თუ აურაცხელ მის მსგავს არასასურველ პირობებს, გარემოსა თუ მოვლენას რანაირად უნდა მოურიგდე – ჩარჩია... დურგალი... ბაზრის დახლიდარი... უგუებელი ლოთი მეზობელი... მაკლერი... ბითუმად მოვაჭრე... სირაჯი თუ დაუმძრახებელი ნაცნობი ან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადასეული მოსისხლე მტერი?!

ქართული ენის ლექსიკონებო, მოგვასმენინეთ თქვენი ანგელოზებრივი ფურცელფრთების შრიალი!

**მორიგება** – შეთანხმება, დაზავება.

**მორიგდება** – (მორიგდა, მორიგებულა) სხვადასხვა მხარე მოლაპარაკებს, დაზავდება.

**მორიგებული** – ვინც მოარიგეს ან მორიგდა ვინმესთან.

მაშ, რა უნდა ქნას ღამით კედლის საათის **ნიკნიკით** ანუ მისი „**მონოტონური ხმაურით**“ ძილგატეხილმა პიროვნებამ? ჩემი

აზრით, მას სამი გამოსავალი დარჩენია: დასაძინებლად სხვა ოთახში გადაინაცვლოს! ხოლო თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ ეს კედლის საათი უნდა გააჩეროს! მაგრამ რაიმე მიზეზით თუ ესეც შეუძლებელია, უნდა გამოიჩინოს შეგნება-შემართება და ძილის გამფრთხობ ამ ნიკნიკს სამუდამოდ თუ არა, დილამდე მაინც შეურიგდეს!!!

**შერიგება** – შეხამება, შეთავსება, შეწყობა (არასასურველ პირობებთან)!!! თორემ მსგავს ვითარებაში რაიმე სახის „**მორიგების**“ იმედით ყოფნა რბილად რომ ვთქვათ...

როგორც ვხედავთ, თემურ ნადარეიშვილისა და იკა ქადაგიძისთვის თითქმის ერთმნიშვნელოვანია სიტყვები: **მორიგება, გარიგება, შერიგება, დარიგება!**.. და რაც მთავარია, რა „ნოვატორულად“ „ამარტივ-აუმჯობესებენ“ მხატვრულად წერა-აზროვნების კულტურას!

კიდევაც! ოღონდ გამაბრუებელი მწუხარება გეუფლება – ამგვარი „ნოვატორობის“ აშკარა „უპირატესობას“ ქართული მწერლობის სხვადასხვა ეპოქის კლასიკოსები როგორ ვერ მიხვდნენ, რომ კედლის საათის **ნიკნიკი**... ზაფხულობით მიმდვრად ჭრიჭინების გაბმული **ჭრიჭინი**... რომელიმე უბანში ან ხალხის თავშეყრის ადგილას რამესთან დაკავშირებით მოულოდნელად ატეხილი **გნიასი, ჩოჩქოლი, ყაყანი, ქოთქოთი, ჯიყჯიყი, ჟრია-მული, როხროხი, ტიხტიხი, ყიჟინი, ხორხოცი, დაკა-დაკა, ღლი-ანცელი, აურზაური, დავიდარაბა, გაგანი**... მიმავალ-მომავალი მატარებლების **დგანდგარი, რახრახი, რუზრუზი**... დამნიფებულ თალარში ნარიჟრაჟევეს ჩიტებისა და მათი ბარტყების **ნივნი-ვი, ჭიკჭიკი, ჭივილი, ჟიჟივი, ჭყლოპინი, ჭიკჭიკ-ფრთხიალი, ჟღურტული**, მივარდნილ სოფელში მთელი ღამით ძაღლების გაუთავებელი **ყეფა, ღრენა, ღავღავი, ნკავნკავი, ყმუილი, ღმუთუნი, ნკმუტუნი, ყეფა-ყმუილი, ღავღავი, ნკავნკავ-ნკმუტუნი**... თავლაში დამწყვდეული მშიერი ცხენების **ჭიხვინი, ფრუტუნი, ხვიხვინი, ბაკუნი, ჭიხვინ-ფრუტუნი, ნყვეტება, ფრუტუნ-ხვიხვინი** და საერთოდ, სხვადასხვაგვარი ნებისმიერი ხმაურობა ნადარეიშვილ-ქადაგიძისებურად სხვა არაფერი იქნება, თუ არა „მაღალმხატვრულობით“ გადმოცემული, ზოგადი „**მონოტონუ-**

**რი ხმაური**“ ანდა, ვინ იცის, დროთა ვითარებაში იქნებ როგორმე ესეც მოუვიდეთ აზრად **„ატონალური ხმაური!“**

აი, როგორ ამჭლევებენ და ფიტავენ ქართულ ენას!

\* \* \*

ეს „სულის ფოტოგრაფია“ სრულიად შემთხვევით რომ გამომრჩენოდა, თავის დროზე ჟურნალში მისი წამკითხველები ამოუხსნელი საგონებლისგან უეჭველად გაიტანჯებოდნენ – ნეტავი ერთი გვაცოდინა, რა მიზეზით გამოტოვებდაო?!

მაშ, მოუსმინეთ!

**„ქართულ ენაში რამდენიმე ასო აშკარად ბუნებიდან არის აღებული.**

მაგალითად, ბაყაყი ყიყინისას აშკარად „ყ“ ბგერას გამოსცემს და ეს ეფექტი სხვა ენებში დაკარგულია, რის გამოც უცხოელებს უჭირთ ამ ასოს წარმოთქმა. სწორედ ამიტომაც ქართული მდიდარი, დედა ბუნებასთან (უნდა იყოს დედაბუნებასთან. ჯ.მ.) მაქსიმალურად მიახლოებული ენაა!“

როგორც ვხედავთ, თვითმიზნურ-წყალწყალა სენტენციების ანუ „სულის ფოტოგრაფიების“ ბეჭვით გართული თ. ნადარეიშვილი თავის ახალ „აღმოჩენას“ ჩვეული რიხით ასაჯაროებს: ქართულ ენაში რამდენიმე ასო ბუნებიდან არის აღებულიო! იმას კი ვერ ხვდება, ამგვარი განაცხადით რანაირ მახეში გააბა საკუთარი თავიცა და ამის დამბეჭდავი დილეთანტი რედაქტორიც!.. არადა, ბარემ ჯერ ისიც გამოეკვლია და ქართველი ხალხისთვის ერთბაშად ეხარებინა იმ „რამდენიმეს“ გარდა, დანარჩენი ქართული ასოები საიდანლა **„არის აღებული?“**

პირდაპირ შიშის მომგვრელია: რა გრჯის, ძალას ვინ გატანს, თავს ამგვარ ხიფათში იგდებ და ცელქი ბავშვივით იმ სფეროს ეპოტინები, რისაც არაფერი გაგეგება – მხოლოდ თავგასართობ საკუთარ მოფარფატე ვარაუდს აპყობიხარ და საქვეყნოდ გაიძახი – ქართულ ენაში „რამდენიმე“ ასო აშკარად ბუნებიდან არის აღებულიო!

არადა, ბუნებიდან „რამდენიმე“, ყველა ან თუგინდ ერთი რომელიმე ასო კი არ **„არის აღებული“**, არამედ ყველა ასოს **გრაფიკული ნიშანი!!!**

ეს ქართული მწერლობის კლასიკოსებსაც აქვთ ნათქვამი – მაგალითად, ასო „ა“-ს გრაფიკული ნიშანი ნამგაღს გვაგონებს, „გ“-დოქსო და ა.შ.!

სამწუხაროდ, თავის მიერვე გამოთვლილ „რამდენიმე“ ასოდან თ. ნადარეიშვილი მხოლოდ ერთ მათგანს, „ყ“-ს გვისახელებს, მის გრაფიკულ (!) წარმოშობას რატომღაც ბაყაყის ყიყინთან აკავშირებს და არხეინად ასკვნის: ბაყაყი ყიყინისას აშკარად „ყ“ ბგერას გამოსცემს და ეს ეფექტი – გესმით, ეფექტით! – უცხო ენებში დაკარგულია, რის გამოც „უცხოელებს“ უჭირთ „ყ“-ს წარმოთქმამ!

ჰმ! „ბევრ უცხოელს“ არამარტო „ყ“-ს წარმოთქმა „უჭირს“, არამედ საერთოდ, ვერ წარმოუთქვამთ ქ, ლ, ნ, ჭ, ჯ, ჰ! ანდა, ამ ბგერებს გაუჭირვებლად, ბუნებრივი მშვენიერებით როგორ უნდა წარმოთქვამდნენ, როცა ისინი უცხოა მათი სმენის, გონების, აზროვნების, მშობლიური ენისა და მეტყველებისთვის?! თანაც თემურ ნადარეიშვილმა თავისი მსჯელობა ასოთი დაიწყო, მოულოდნელად კი ბგერაზე გადახტა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ ასოსა და ბგერას!

მეტი რა ჩარაა – თვალსაჩინოებისთვის ორივეს მნიშვნელობა უნდა განიმარტოს!

ბერძნული სიტყვა ფონეტიკა არის მეცნიერება ენაში არსებული ბგერების შესახებ. ბგერები გრაფიკულად გამოიხატება ასოებით. მოძღვრებას ბგერათა ასოებით გამოხატვის შესახებ გრაფიკა ეწოდება.

ბგერა სიტყვის უმარტივესი ნაწილია. იგი მეტად აღარ იშლება და მას სამეტყველო ბგერა ანუ ფონემა ჰქვია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 33 ბგერის საშუალებით მიიღება ენაში არსებული ყველა სიტყვა.

ბგერის წერილობით გამოსახულებას ასო ჰქვია: ბგერა წარმოითქმის, ასო იწერება.

საერთოდ კი, უცნაურზე უცნაური მსჯელობაა, ღმერთმანი! თემურ ნადარეიშვილისებურად სხვასაც შეიძლება ასე ეგონოს ან ეჩვენებოდეს – ბევრ უცხო ენაში ბგერა „ყ“-ს ეფექტი დაკარგულიაო! მაგრამ, აბა, დინჯად გავარკვიოთ – იმ უცხოელებისთ-

ვის ამ თვალსაზრისით არაფერიც არ არის დაკარგული! უფრო სწორედ, მათ მშობლიურ ენას რანაირად უნდა დაეკარგა ის, რაც არამცთუ არასოდეს ჰქონია, არამედ მისი საჭიროება ან აუცილებლობა არც უგრძვნია!!! ამიტომ იმ „უცხოელებისთვის“ არაფერიც არ არის **„დაკარგული“** – დაბადებიდან დღემდე როგორც შეისისლხორცებდნენ თავ-თავიანთ დედაენას, სწორედ იმ ენის ბგერითი შემადგენლობა და მართლმეტყველება იქნება დღეს-დღეობით მსოფლიოში არსებულ 5 000-მდე ენათა შორის ყველაზე სრულყოფილი, შეუდარებელი და ყოველგვარი **„დანაკარგების“** გარეშე შემკული!

აბა, განვსაჯოთ: მაგალითად, ბაყაყი ყიყინა ბგერებს გამოსცემს, ქარის ქროლა-შუილისას ბგერა **„ქ“** იკვეთება! ნადირის ღმუილისას **„ღ“** პირველობს! წინილებისა და ბელურების წივწივისას? ცხადია, **„წ“** ყელყელაობს! ცხენის ჭიხვინისას ყურს სჭრის **„ჭ“**, ხოლო ხმამალალი, უგვანო ტირილისას ან ჯღავილისას აშკარად გამოიჩინება **„ჯ“**!

ჰოდა, საკითხს თუ ნადარეიშვილ-ქადაგიძისებური სწორ-ხაზოვნებით მივუდგებით, მათ მიერ მინიშნებული იმ **„უცხოელების“** სამშობლოში ნუთუ არც ბაყაყი ყიყინებდა, არც ქარი ქშუოდა, არც ბელურები წივწივებდნენ, არც მოჭიხვინე ცხენი მოიძებნებოდა, არც ვინმეს უჯღავია?! როგორ არა, მაგრამ იმ „უცხოელების“ ენებში ბგერათნარმოშობა და ბგერათშერწყმა სულ სხვა გზით განვითარებულა და ძალაა?!..

გაოგნებული მკითხველი აქ ვერ გარკვეულა და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაერკვევა: იკა ქადაგიძისნაირი ჩურჩუქა რედაქტორისგან მხარდაჭერილი თემურ ნადარეიშვილი **„სხვა ენების“** ფონემურ თავისებურებას სავალდებულოდ (თანაც ასეთი უსაშველო დაგვიანებით!!!) რა უფლებით ან რის საფუძველზე უწესებს მაინცდამაინც ბაყაყის ყიყინის აუცილებლობას და რაკი იქ ბაყაყის ყიყინის მსგავსი რამ არფერი მოესმის, გახარებული იუნყება – ეს „ეფექტი“ სხვა ენებში დაკარგულიაო!

მაშინ ოპონენტებმა დაასახელონ ენათმეცნიერების ყველაზე გამორჩეული ის ქრესტომათიული სახელმძღვანელო, რომელშიც შავით თეთრზე ეწერება: იმ ენის ფონემურ შემადგენლო-

ბაში, სადაც არ იქნება, მაგალითად, ბაყაყის ყიყინის, ცხენის ჭიხვინის ანდა ძაღლების ღავლავის გამომხატველი უცხოური ბგერები, ეს იმ ენას ნაკლად უნდა ჩაეთვალოსო! კი მაგრამ, რატომ? ცხენის ხმიანობას ქართველი თუ ჭიხვინს უწოდებს, იგივეს რუსი ასე გამოსთქვამს Ржать! Лошади ржут – ცხენები ჭიხვინებენ!

მერე, ამით რა შავდება ან ვის რა უშავდება?! ამიტომ მთელ მსოფლიოში რომელი ენაც როგორც ჩამოყალიბებულა, ჩვენც მის ბუნებრივად დასრულებულ ფორმასა და შინაარსს უნდა ვცეთ პატივი!

როგორია ქართულ თარგმანებში, მაგალითად, ინგლისური ენის ბგერებისა და ბგერათკომპლექსების გადმოცემა? **ph** იკითხება, როგორც **ფ. tch-ჩ** (თუმცა **t** არ გამოითქმის), **sh-შ** (**shakcpare-Seqspiri**) და ა.შ.

ჰოდა, როგორ გუნებაზე დავდგებით, უცხოელი რომელიმე არამკითხე „ენათმეცნიერი“ ქართველებისა და ქართული ენადამწერლობის კილვა-დაცინვას რომ შეუდგეს: ქართველებს, მაგალითად, ინგლისური, ესპანური, ფრანგული თუ გერმანული ენებისაგან განსხვავებით ბგერათკომპლექსების შექმნა ვერ მოჰფიქრებიათ ანდა ამისთვის თავი ვერ მოუბამთ და ამიტომ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მათი ენა როგორი პრიმიტიული, ღარიბი და მიუზიდველია – როგორც იწერება, ისე იკითხებაო!!!

მერე, სწორი იქნება ამგვარი შეფასება?! თავდაზღვევის მიზნით ქართული ენციკლოპედიიდან (ტ.1, გვ.434, სტატია „ანბანი“) ზუსტად გადმოვიწერ საჭირო ამონარიდს.

„ანბანური დამწერლობა მით უფრო იდეალურად ითვლება, რამდენადაც თითოეული ასო (გრაფემა) ზუსტად შეესატყვისება სათანადო ფონემას. ამ მხრივ არსებულ ანბანთა შორის ყველაზე სრულყოფილია ქართული ანბანი; აქ თითოეული ფონემა სათანადო გრაფემით აღინიშნება. ქართულ ანბანში არ არის შემთხვევა, რომ რამდენიმე ნიშანი ერთ ფონემას გადმოსცემდეს, ერთი და იგივე გრაფემა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფორმას აღნიშნავდეს, ან კიდევ – გამოყენებული იყოს ფონემათა ჯგუფის აღსანიშნავად (როგორც ამას ადგილი აქვს სხვა ენათა ანბანებში; მაგ: ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში; ნაწილობრივ რუსულში, ბერძნულში, სომხურში).“

ჩვენი, მშობლიური ქართული ენა აფიქსებიანი ენაა და, ცხადია, დაბადებიდანვე ისე ვეჩვენით, აფიქსების გარეშე ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი მეტყველება და ურთიერთგაგებინება! მაგრამ ყველა ენაში ასეა? მაგალითად, ბევრი და მათ შორის, ჩინური უაფიქსო ენაა. **იქ აფიქსების მაგივრობას ეწევა სიტყვის ადგილი ფრაზაში და ინტონაცია.** სიტყვა აქ აფიქსს არ დაირთავს, მაგრამ რაც სიტყვას აკლია, შესიტყვება ავსებს, მორფოლოგიის ხარვეზს სინტაქსი ანაზღაურებს!!!

**„იქ აფიქსების მაგივრობას ეწევა სიტყვის ადგილი ფრაზაში და ინტონაცია“.** – მარტო ამის გააზრებისას ზოგს შეიძლება გულყრაც დაემართოს! ეხუმრებით: ამას რა აითვისებს ან როგორ უნდა დაიმახსოვრონ, აზრის გამოსატქმელად წინადადებაში რომელ სიტყვას სად უნდა მიუჩინონ ადგილი ან რანაირი ინტონაციით წარმოთქვანო ?!

მაგრამ რაც უცხოელთათვის შეიძლება წარმოდგენილი და გამახვევებელი იყოს, უაფიქსო ენის ქვეყანაში ახალდაბადებული ჩვილი დედის რძესთან ერთად შეინოვს თვისი მშობლიური ენის ყველა თავისებურებას და, ცხადია, მისთვის ის გახდება ბუნებრივი, ადვილი, შეუცვლელი, ლამაზი, ყველაფრის გამომხატველი და ამქვეყნად ყველაზე უნაკლო ენა!!!

ერთი სიტყვით, ბაყაყის უადგილოდ აყიყინებამ აი, სად შეგვატოპინა!

არადა, ეს ისეთი ურთულესი კატეგორიებია – ენა, დამწერლობა, ანბანი, მეტყველება, ენა და ადამიანთა კოლექტივი, ცალკეული ენა და მეტყველება, ენა – ნიშანთა სისტემა, ენობრივი ერთეულები და სისტემურობა, ენის სისტემა და სტრუქტურა, ენობრივი სისტემის დინამიკურობა, ენათა კლასიფიკაცია, ენა და აზროვნება – რომელთა ირგვლივ არ წყდება და არავინ იცის, ოდესმე შეწყდება თუ არა ამ საგანზე მსოფლიო მნიშვნელობის ენათმეცნიერების ახალ-ახალი, დასაბუთებული მოსაზრებების გამოთქმა და, ცხადია, აქ ბაყაყის ყიყინი, ჩიტების წივნივი თუ გოჭების ჭყივილი ფონს ვერ გაგვიყვანს!..

\* \* \*

**თ. ნადარეიშვილის** ე. ნ. სენტენციებს ანუ „სულის ფოტოგრაფიებს“ ერთი საშინელი თვისება ახასიათებს: მათგან გაქცევაც რომ გინდოდეს, მაინც ვერაფერს გახდები – ეკალკაუჭა ჩიტის ბირკასავით ჩაგებლაუჭებიან და საშველს მანამ არ მოგცემენ, სანამ საკუთარ თავზე პირუთვნელ აზრს ცხვირიდან ძმარივით არ წამოგადენენ! მაშ, მოისმინეთ!

**„სოფლის მკვიდრს ქალაქელთან შედარებით ის უპირატესობა მაინც აქვს, რომ მას არ აწუხებს სივრცის უკმარისობა!“**

ეს ვიღამ არ იცის?! ანდა ყველგან და ყოველთვის ასეა? რუსეთის ევროპული მხარის, დასავლეთ ევროპის დიდი ნაწილის, ჩრდილო აფრიკის თუ დედამიწის ვაკობიანი ქვეყნების ქალაქები ისეთ „სივრცეებშია“ ჩაკარგული, თვალს ვერ გაუწვდენ! საიანსა და შუა აზიის მაღალმთიანეთში ხეტიალისას თვალშეუწვდენელი მთების ილღიებში ჩაკუმშული ისეთი ყიშლაღები მინახავს, „სივრცე“ კი არა, იქ მაცხოვრებლებს ცის ნაგლეჯის დანახვა ენატრებათ, ხოლო წლის სხვადასხვა დროს მზე ცოტა ხნით ცალი თვალით თუ ჩაიჭვრეტს ხოლმე. ეგ არის და ეგ!

თანაც ალა-ალა მოლაპარაკე ავტორი აქ ისეთი შეურაცხმყოფელი უდარდებლობით ხმარობს ზმნისართს „მაინც“, რომ უდანაშულო სოფლელებს სხვა ყოველგვარ „უპირატესობაზე“ ხელს აბანინებს და მხოლოდ „სივრცეს“ უტოვებს! არადა, ენის იდუმალელებას ოდნავ განდობილი დებიუტანტი დაახლოებით ასე მაინც გვეტყოდა: სოფლის მკვიდრს ქალაქელთან შედარებით სივრცის უპირატესობაც აქვსო! ამგვარი სიტყვათწყობა იკა ქადაგიძისნაირ მკითხველს თავისთავად მიანიშნებდა, რომ სოფლის მკვიდრს ქალაქელთან შედარებით ბევრი და მათ შორის „სივრცის უპირატესობაც“ ჰქონია!..

ზოგიერთ გამოუცდელ მოზარდს შეიძლება წინდაუხედავად წამოსცდეს – რა უპირატესობაო?!

უჰ, მაგას რა ჩამოთვლის: სოფლური პატიოსნება, თავმოყვარეობა და სიამაყე! სუფთა, წყნარი გარემო და ბუნებასთან ყოველდღური ურთიერთობა... მამაპაპეული კარ-ფუძე, ქვევრ-მარანი, ეზო-ყურე... ვენახი, ბალ-ბოსტანი... სოფლის ეკლესია და

ახლობელთა საფლავები... თავიანთი ხელით მოყვანილი უშხამქი-  
მიკატო ჭირნახული... საქონელი, ფრინველი, ფუტკარი... ქალაქუ-  
რი ცხოვრებით გატანჯულ-განამებული ახლობელ-ნათესავების  
სააგარაკოდ მიღების საშუალება, სურვილი და სიხარული!..

რომელი ერთი დავასახელო?! თ. ნადარეიშვილი კი!.. თანაც  
ავტორი ასე თავმომწონედ რომ ასახელებს ამგვარ **„უპირატე-  
სობას“**, ეს ვიღამ არ იცის?! თუ ასეთ სწორხაზოვან ფორმაზე  
მიდგება საქმე, შეიძლება ნებისმიერი ვაიკალმოსანიც მონადი-  
ნებით ჩაუჯდეს და ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროდან  
ამოკრეფილი – ყველასთვის ისედაც ნათელი! – **„უპირატესობა-  
თა“** ბუნებრივი ალრიცხვით (!) უდანაშაულო მკითხველებს  
სულ გაჩენის დღე აწყველინოს!

\* \* \*

აბა, ამ ე. წ. სენტენციაზე რას იტყვიო?

**„ადვილია იყო ღარიბი, რთულია იყო მდიდარი და მართლაც  
(აქ მძიმე უნდოდა! ჯ.მ.), საშუალო სირთულისაა საშუალო ფენას  
მიეკუთვნებოდე!“**

ესეც ასე! როგორც იქნა, უცბად, იოლად და, ალბათ, სამუდა-  
მოდ გადაიჭრა კაცობრიობის ერთ-ერთი თავსატეხი: ღარიბები,  
მდიდრები და საშუალო შეძლების მოქალაქეები თ. ნადარეიშ-  
ვილმა კალმის ერთი მოსმით სამ გასაოცარ კატეგორიად დაყო:  
ადვილი, რთული და საშუალო სირთულის!!!

თქვენ თვითონ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით, პატივ-  
ცემულო მკითხველო?... მე?! ეჰ, მე კი ვიცი, რომელსაც მივეკუთ-  
ვნები და რასაც ვიმსახურებ, მაგრამ კრინტიანყვეტილმა უნდა  
განვაგრძო ჩემი საქმე...

\* \* \*

თ. ნადარეიშვილის შემდეგი შეგონება ასეთია.

**„ცუდის სწავლას არ სჭირდება მასწავლებელი!“**

ღმერთო, რას არ წაგაკითხებენ!.. ასეთი აზრი როგორ უნდა  
მოგივიდეს?!. არადა, ამქვეყნად „ცუდის“ მილიონობით მასწავ-  
ლებელს რა გამოლევს?!

\* \* \*

ეს შეგონება კი „სამახსოვროს“ გრიფით სტამბურად გასამრავლებელია, რადგან ხალხის თავშეყრის ყველა ადგილას დასარიგებლად მეჩვენება.

**„ვინც ნაკლებად ფიქრობს და აზროვნებს, ცხოვრება მისთვის შედარებით მარტივი ხილია!“**

ავტორი ამას მაინც როგორ მიხვდა, ჰა?! „ისინდის“ მკითხველებო, თავს უფლებას ვერ მივცემ, ასეთი კითხვა შემოგბედოთ: ამგვარი „მარტივი ხილი“ აქამდე თქვენც გიგემიათ თუ არა-მეთქი, მაგრამ თ. ნადარეიშვილის ამ შეგონების შემდეგ ასეთ „მარტივი ხილსა“ და მსგავს ხაბახუბას (უმნიფარი, უვარგისი ხილი) რალა გაგვასინჯინებს?!

\* \* \*

ერთ-ერთი სენტენცია ასეთია.

**„სახიფათოა საკუთარი შეცდომების ხშირი დავინყება, რადგანაც თანდათანობით უსირცხვილო ხდები!“**

ჯერ საერთოდ, რას ნიშნავს „შეცდომების ხშირი დავინყება?!“.. თანაც ასევე გაუგებარია, თავისი შეცდომების „ხშირი დავინყებით“ ადამიანი რატომ უნდა გახდეს მაინცდამაინც უსირცხვილო და არა, ვთქვათ, გულმაგინყი, ანგარიშმიუცემელი... დაუფიქრებელი, ნინდაუხედავი, გაუაზრებელი, გულარხინი, უყურადღებო... ხელჩაქნეული...შტერი, ყყეჩი, უდარდელა, უთავმოყვარეო, რეგვენი, ბეცი, განურჩეველი, სქელკანიანი, დოყლაპია, ჭკუადაბნეული, ასქეიფა, ჭკუამოკლე, ჭკუამერყევი, ტვინქარა, განუსჯელი და ათასი სხვა რამ!

\* \* \*

ახლა ამ ე.წ. სენტენციის ჯერი დგება! ამდენი გარჩევის მოსმენით გადალლილიც რომ იყოთ, იგი ყურადღებას თავისთავად დაგაძაბვინებთ – ამას კი ვერასდიდებით ვერ წაართმევთ თ. ნადარეიშვილის „სულის ფოტოგრაფიებს!“, მაშ, მოისმინეთ!

**„განუმეორებელი ფასდაუდებელია, რადგან არ მეორდება და ამიტომ ვერ შეადარებ, (არ მესმის, აქ რა საჭირო იყო ეს მძიმე?! ჯ.მ.) იმას, რასაც „ფასი გააჩნია“.**

მოკლედ, ავტორი არც აქ ღალატობს მკითხველის გამანამებელ, უსაშველოდ შესისხლხორცებულ თავის მეთოდს: მე ვარაუდით რალაცეებს მივკიბ-მოვკიბავ და ნედლი მადანივით დავახვავებ, თქვენ კი ჩემს ყოველ ბუნდოვან ნათქვამს, აკრობატული სინტაქსისა და აცაბაცა პუნქტუაციის მოწესრიგებით აზრის ისეთი ელვარება უნდა შთაბეროთ, ყველაფერს უჩემოდაც მიხვდეთ და უეჭველად მომიწონოთო! სენტენციების, ანუ „სულის ფოტოგრაფიების“ შესავალში თ. ნადარეიშვილმა, ეცყობა, უამბოდ არ გაგვაფრთხილა.

**„ამ ჩანახატებში გადმოცემულია ის პირველადი შთაბეჭდილებები, რომლებითაც ჩვენ „ვიმუხტებით“ გარე სამყაროსთან „შეჯახებისას!“ უმეტესწილად ამ პროცესში წარმოშობილ ფიქრებს მოწესრიგებულობა, „დავარცხნა“ აკლიათ...“**

მტერსაც არ ვუსურვებდი სხვისი მოუწესრიგებელი, „დაუვარცხნელი“ ფიქრების კითხვას!.. ან თვითონ ავტორს რა აჩქარებდა – ეს თავისი ფიქრები ჯერისამებრ ჯერ მოწესრიგებინა, „დაევარცხნა“ და მკითხველებისთვის ისე წარედგინა!.. ანდა, რედაქტორი... თუმც შევეშვათ ჩვენს შემთხვევაში ამ აზრდაკარგული სიტყვის, **„რედაქტორი“** ნამუნუმ უაზრო ხსენებას!..

ერთი სიტყვით, „სულის ფოტოგრაფიებში“ დახვავებული ავტორის მოუწესრიგებელი, **„დაუვარცხნელი“** ფიქრები ენობრივ-აზრობრივად კითხვის პროცესში კომპიუტერული სისწრაფით თვითონ მკითხველებმა უნდა სრულყონ – თითოეული მათგანი მხოლოდ ამის შემდეგ გახდება გასაგები!!! როგორია?!

ჰოდა, აქაც ზუსტად იგივე მეორდება, ამიტომ შემდეგ ამონარიდზე გადავდივარ!

\* \* \*

**„შეუძლებელია, ადამიანს ჰქონდეს ყველაფერი, რაც მას უყვარს, მაგრამ ის მაინც უნდა უყვარდეს, რაც აქვს!“**

ყველა ზრდასრულმა, ნორმალურმა პიროვნებამ ისედაც კარგად იცის – შეუძლებელია ადამიანს ყველაფერი ჰქონდეს! მერე, ამის გასამეორებლად რა საჭირო იყო სოლომონ ბრძენის ხალვათ მოსასხამში ტოლმასავით გამოხვევა?! ანდა, აქ რანაირი აზ-

რია გატარებული – შეუძლებელია, ადამიანს ყველაფერი ჰქონდეს, რაც მას უყვარსო! კი მაგრამ, რანაირად შეიძლება ადამიანს უყვარდეს ის, რაც ჯერ არა აქვს?! ასეთ შემთხვევაში ადამიანებს აქვთ ხოლმე რაიმის შეძენის სურვილი, ჟინი, ნაბაძვა, მისწრაფება, მოუსვენრობა, ოცნება, ახირება, ნდომა, აკვიატება.. და არა მაინცდამაინც **სიყვარული!**

პირადად ჩემთვის ასევე გაუგებარია, მეორე წინადადებაში გატარებულ აზრს რა ლოგიკური კავშირი აქვს პირველი წინადადების აზრთან – ადამიანს ის მაინც უნდა უყვარდეს, რაც აქვსო! ჰო, მაგრამ ამის წერისას ავტორს ნეტავი თუ გაახსენდა ასეთი ქართული სიტყვები: მობეზრება... მოიმწვანილებს... მოსწყინდება... მოჰყირჭდება... მოყირჭებული, მოყირჭება?! ბოლოს და ბოლოს, ორმხრივი სიყვარულით შეუღლებულ ზოგიერთ ცოლ-ქმარსაც მობეზრდება ხოლმე ერთმანეთი და ხშირად უდავიდარაბოდ იყრებიან! თ. ნადარეიშვილი კი კაცობრიობას ახალ მორალურ კოდექსს უდგენს – ვისაც რა გაქვთ, ის მაინც უნდა გიყვარდეთ უკუნიითი უკუნისამდეო!!!

ნეტამც, მაგრამ...

### 3

**ამგვარ** თვითმიზნურ, აფშრუკული ფქვილისგან სახლდახელოდ შეზანხლულ მჭადებს დამსგავსებულ სენტენციებზე აქ ნაადრევად ვწყვეტ მსჯელობას და საგანგებოდ ვეხები ბოლოსთვის შემონახულ, სტატიის „სულის ფოტოგრაფიები“ სულ თავში მდებარე პირველ სენტენციას („ისინდი“, 2021, N10, გვ. 68) რომელსაც, ჩემი განამებული რწმენით, თ. ნადარეიშვილი ღმერთის კარნახით ისე წერდა, ცხადია, თვითონ აზრზე არც იქნებოდა!!!

მომყავს ეს სენტენციაც, თან სტილი ამჯერად ხელუხლებელია – სტილს მერე შევეხები! ამის მიზეზი თანდათან გაცხადდება!

**„თუ არ იცი რა გინდა, როგორ მიხვდები, მიაღწიე თუ არა იმას რაც გინდოდა!“**

კი მაგრამ, თ. ნადარეიშვილი ასეთი დამამცირებელ-იმპერატიული კილოთი ვის მიმართავს: ფსიქიკური კლინიკის უიმედო პაციენტებს, მაპატიეთ და, ძნელად აღსაზრდელ, გონებადაქვე-

ითებული მოზარდების ჯგუფს თუ თანამედროვე კაცობრიობის ინტელექტუალურ ნაღებს – მეცნიერებასა და ტექნიკაში ნამდვილ სასწაულებს რომ ახდენენ, ამჟამად კი მთელი მსოფლიოს კომპიუტერიზაციისთვის იღვწიან, ხოლო როგორც ტელეეკრანიდან გვარწმუნებენ, 2030 წლიდან უკვე პლანეტა მარსზე დასახლება დაიწყებაო!!!

მაშ, ეს ყველაფერი როგორ ხორციელდება, თუკი წინასწარ არავინ იცის, რა უნდათ?! ჰო მაგრამ, თ. ნადარეიშვილს ყოველი შემთხვევისათვის სამაგალითო წინდახედულობა გამოუჩენია და ყველას ქურუმისებურად მოძღვრავს – რა არის ამაში მიუღებელი?! ოღონდ ეგაა, ვინმე შეუსმენელი გრაფომანიც რომ ჩაუჯდეს, ამ მაცდური „თუ არ იცი“-ის შემდეგ შეიძლება იმდენი რამის ჩამოთვლით გაგვაფრთხილოს, ათას ერთი ტომიც არ ეყოს! მერე?!

ისე კი, კარგი იქნებოდა, ორივეს – ავტორსაც და რედაქტორსაც – ჯერ ამ სენტენციის პუნქტუაციურ სრულყოფაზე ეზრუნა, ვინაიდან უნდა იყოს (მეტი თვალსაჩინოებისათვის მათგან დაკლებულ ორ მძიმეს კომპიუტერისტს უფრო გავადიდ-გავამუქებინებ!).

**თუ არ იცი რა გინდა, როგორც მიხვდები, მიაღწიე თუ არა იმას რაც გინდოდა!**

ერთი სიტყვით, თ. ნადარეიშვილის მიერ თითიდან გამოწოვილ, ლობეს იქით გადასაგდებ ამ ე.წ. სენტენციას ახლა ისეთ სულს შთავებერავ, რომ, ჩემი ვარაუდით, შეიძლება ის საუკუნის ნიმუშად იქცეს! ოღონდ ერთი პირობით: ნება უნდა დამერთოს, თ. ნადარეიშვილის ამ სენტენციას ასეთი ეპიგრაფი წავუმძღვარო – „მხოლოდ იკა ქადაგიძის საყურადღებოდ!“

მართლაც: „თუ არ იცი“, შემოსული მასალების გრამატიკული, ენობრივი, სტილისტური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური თუ აზრობრივი გასწორება, საერთოდ, ლიტერატურული ყურნალის გამართულობა, ისე „როგორ მიხვდები, მიაღწიე თუ არა იმას რაც გინდოდა!“

იკა ქადაგიძე ამ ყველაფერთან მწყრალად რომ ბრძანდება, ეს მთლიანი წიგნი ამის დადასტურებაა, მაგრამ ამჟამად შორს წასვლა აღარ გვჭირდება, ვინაიდან ეს თვითმიზნური, თუმც მოკლე-მოკლე სენტენციებიც კმარა! აჰა, შემდეგ სენტენციას დაუგდეთ ყური!

\* \* \*

**„იქ სადაც ყველა უდანაშაულოა, ყველა დამნაშავეა!“**

ესეც ასე: მსოფლიოს ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში ამიერიდან გონებამიღმური ცვლილებაა შესატანი, ვინაიდან დაუფიქრებელი ავტორი ჩვენი პლანეტის ვინ იცის, რამდენ მილიონ უდანაშაულო მოქალაქეს ხელის ერთი მოსმით... დამნაშავედ აცხადებს!!! მერედა, რატომ? მოქალაქე თუკი უდანაშაულოა, ის ამავე დროს რატომღა უნდა ჩაითვალოს დამნაშავედ – უდანაშაულობა, თ. ნადარეიშვილის წარმოდგენით, ამავე დროს ნუთუ დამნაშავეობასაც ნიშნავს?!

მაშ, სად იქნება დამარხული ძაღლის კუდი? აი, სად: თუ არ ვცდები, **ნაპოლეონ ბონაპარტის (1769-1821) ფრთიან ფრაზაში – სადაც ყველა დანაშაულს სჩადის, იქ დამნაშავედ აღარავინ ითვლება!** ჰოდა, „ისინდის“ ავტორმა აქაც მისთვის დამახასიათებელი ზედაპირულობით გადაასხვაფერა სხვისი კლასიკური გამონათქვამი და მიიღო ის, რაც უნდა მიეღო!... აი, რა მოსდევს სახელოვანთა სხარტულების აკვიატებულ ქრა-კერვასა და მერე თავის ჯაბახანა თარგზე მომსხო თეთრი ძავით კუსტარულ ბლანდვა-ჯღანვას!..

სამწუხაროდ, შეხმატკბილებულ ტანდემს – იკა ქადაგიძესა და თემურ ნადარეიშვილს – ვერც აქ გაუჭრა გრამატიკულმა ალ-ლოიანობამ: ზმნისართთან „იქ“ მძიმე იყო საჭირო. აი, ასე.

**„იქ, სადაც ყველა უდანაშაულოა, ყველა დამნაშავეა!“**

\* \* \*

თუ ღმერთი გწამთ, ეს სენტენციაც შეიბრალებთ, ორ ადგილას მძიმის უქონლობით სული რომ ეხუთება და გული ლამის ბუდიდან ამოუფარდეს!

**„ღარიბი ის კი არ არის ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის ვისაც რაც აქვს, ის ეცოტავება!“**

არადა, უნდა იყოს!

**„ღარიბი ის კი არ არის, ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის, ვისაც რაც აქვს, ის ეცოტავება!“**

საჭიროა კომენტარები?!

მაშ, ნუთუ ეს გასაჩხრეკი არ არის: თემურ ნადარეიშვილი, როგორც მას თვითონ რედაქტორი თავის სტატიებში ხშირად უწოდებს ხოლმე, „ფიზიკის პროფესორია!“ თუმცა, როგორც „ისინდის“ ერთ-ერთ აქტიურ ავტორს, ეს „ფიზიკოსობა“ იოტისოდენადაც არ ათავისუფლებს ენობრივი სინმინდის საყოველთაო ვალდებულება-პასუხისმგებლობისგან! მაგრამ თვითონ იკაქადაგიძე?! ქართველ მანდილოსანს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ლიტერატურის რედაქტორს და თანაც პოეტს, რანაირად შეიძლება არ ჰქონდეს მშობლიური ფრაზების მოქნილობისა და მუსიკალურობის აღქმის უნარი... მათი ერთმანეთთან სასვენი ნიშნებით ბუნებრივად მოწესრიგება-განლაგების ალლო, მოთხოვნილება, მიხვედრილობა, დაკვირვება, ამდენი ხნის მანძილზე დაგროვებული ცოდნა-გამოცდილება?! ამიტომ მათ ტექსტებში სასვენი ნიშნების აღრევის გამო დარღვეულია **სინტაქსური და ინტონაციური კავშირი**.

არადა, ეს ხომ იგივეა, მაგალითად, კომპოზიტორი – თუმცა მაშინ ის რაღა კომპოზიტორი იქნება – ვერ ერკვეოდეს მუსიკალური ბგერების პირობით გრაფიკულ ნიშნებში ანუ ნოტებში!..

სამწუხაროდ, ამ მიზეზებითაც აიხსნება „ისინდის“ ფურცლებსა თუ მის ფერად-ფერადი ილუსტრაციებით აჭრელებულ ყდებზე მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი იკაქადაგიძის ლექსების ერთ-ერთი დამალონებელი ნაკლი – **გაშეშებული სინტაქსი!**..

ამ მოკლე-მოკლე სენტენციებში სასვენი ნიშნების უთავბოლო აღრევას უეჭველად ერთი საშინელი შედეგიც მოჰყვება და თავს ვერ ვიკავებ, მკითხველებს არ გაფუზიარო, რადგან ეს მავანთათვის ერთგვარი გაფრთხილება-გამხნელება იქნება!

აბა, წარმოიდგინეთ: თ. ნადარეიშვილის ამ სენტენციებს კითხულობს საშუალო სკოლის მოსწავლე ან სკოლადამთავრებული, ქართული მწერლობის ნორჩი დებიუტანტი, რომელსაც თავისი გონებაგახსნილობითა და მონდომებით თანდათან უკვე უყალიბდება მხატვრული ტექსტების პუნქტუაციური ცოდნა! ჰოდა, რას ხედავს: თ. ნადარეიშვილის სენტენციებში ხან იქ არის დასმული სრულიად ზედმეტი მძიმე, ხან აქა და აქ აკლია ორ-ორი მძიმე!.. ხან კიდევ... მერედა, სად? ახალდაარსებულ ლიტერა-

ტურულ ჟურნალში „ისინდი“, რომლის რედაქტორი ნომრიდან ნომერში, თავისი სტატიების ლამის ყოველ გვერდზე მკითხველებს პირდაპირ ტვინს უბურღავს სრულიად უსაფუძვლო, თანაც დანარჩენი ქართულენოვანი ლიტერატურული ჟურნალების შეურაცხმყოფელი დემაგოგიური ჩხავილით – **„ისინდი“ ყველაზე მებრძოლი, ყველაზე ეროვნული ჟურნალიაო!!!**

ჰოდა, ახლა გაიაზრეთ, რა დღეში ჩავარდება „ისინდის“ ის ნორჩი მკითხველი, რომელსაც გრამატიკული კატეგორიები კი სწორად შესისხლხორცებია, მაგრამ ჯერ არ გამომუშავებია თავდაჯერებულობა! ამიტომ, ცხადია, საშინელი ჭოჭმანი გაახევებს: ეტყობა, მე შეცდომით მცოდნია, თორემ როგორ შეიძლებოდა, რედაქტორის მიერ ასე ნაქებ „ისინდის“ თანამშრომლებს ასეთი და ამდენი უხეში შეცდომები გაჰპარვოდათო! არადა, მაინც იგრძნობს, ჟურნალის ფურცლებზე რალაც რომ ვერ არის კარგად!..

ახლა თავად დაასკვნით, ეს ყველაფერი ახალბედა მკითხველის ცოდნა-ცნობიერებაში რანაირ ანარქიასა და ნგრევას გამოიწვევს! ეს კი თემურ ნადარეიშვილს უფრო მეტად ეხება, ვინაიდან ჟურნალის სამ ნომერში („ისინდი“, N10,11,12) ქვეყნდება **შექსპირის (1564-1616)** დრამის, „ჰამლეტის“ მისეული თარგმანის ნაწყვეტები, მაგარამ ამის შესახებ თავის დროზე!

## თავი მესამე

### 1

**2020 წელს** „ისინდის“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა რედაქტორის თექვსმეტგვერდიანი სტატია „ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ. მ.) ქრონიკა – ჟურნალის დაარსებიდან დღემდე“.

ჰოდა, იკა ქადაგიძე ერთგან აი, რას აცხადებს (სტილი დაცულია).

**„მე ხომ „ისინდის“ დაარსებამდე გაცილებით ადრე ობიექტური და ყველაზე მეტადოლი კრიტიკოსის სახელი მწერლობის ზვიგენებთან და მათ კლანებთან დაპირისპირებით უწყვეტი რისკისა და მუხლჩაუხრელი შრომის ფასად მოვიხვეჭე“.**

საკუთარ თავზე შეიძლება ასე წერა?! ეს თუ მართალია, სხვებმა უნდა თქვან და არა.. ან რა მოსატანი იყო სიტყვა **„მოვიხვეჭე?!“** თავი დავანებოთ თავმდაბლობას, კოლეგებისადმი გამოჩენილ ტაქტიანობას, ი. ქადაგიძეს ნუთუ ეს მაინც არ აფიქრებს, ამგვარი თავანწყვეტილობისთვის მწერალთა კორპუსმა განდიდების მანიით შეპყრობილ ხელმოცარულ ლიტერატორად რომ გამოაცხადონ! მით უმეტეს, საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარის მიხედვით იკა ქადაგიძე პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი, მისი კრიტიკოსობა კი არ ჭაჭანებს!

ოღონდ „თავის“ რედაქტორს ანუ იკა ქადაგიძეს მისი ხმაჩამორთმეული მანდილოსანი ოპონენტები ყველა მაჩვენებლის მიხედვით როგორმე დააჯაბნინონ და ხან საქმე ისეთ გასაშტერებელ კურიოზამდე მიდის, რომ მსგავსი რამ შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც (ო, ისევ ეს მსოფლიო ლიტერატურა!) არ დაიძებნებოდეს!

ჟურნალში (13. 2021) გამოქვეყნდა მისი სარდაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრის, მარსიანის (გია ბენიძე) შვიდგვერდიანი წერილი „ქვიშანი დარჩებიან“ (უნდა იყოს „...ქვიშანი დარჩებიანო!“ ჯ.მ.).

ავტორი ერთგან აი, რას გვეუბნება.

**„იკა ქადაგიძის „ბრალი“ ხომ არ არის... ფიზიკური გარეგნობითაც რომ აღემატება უმრავლესობას“.**

ბარაქალა მარსიანს, შუასაუკუნეობრიობა რომ დაგვიბრუნა!  
მისმა ამისთანა მსჯელობამ თავისთავად წარმომადგენინა  
მაშინდელი სტამბოლის ტყვეთა ბაზარი, გაბლენძილი ჩაღმია-  
ნი მოვაჭრენი ნახევრად შიშველ-ტიტველ ტყვეებს სხეულის სა-  
სურველ ადგილებს ურცხვად რომ უსინჯავდნენ, რათა ნავაჭრი  
„საქონლით“ არ ეზარალათ! ოღონდ მკითხველისთვის მაინც გა-  
უგებარი რჩება: ამ „ფიზიკურ გარეგნობაში“ რა იგულისხმება:  
გლადიატორული ჯან-ღონე, შრომისუნარიანობა, დამატყვევე-  
ბელი მომხიბვლელობა თუ ჰოლივუდური სექსუალობა?

რა გამოდის? ამიერიდან შემოქმედი მანდილოსნები უნდა შე-  
აფასონ არა მათი ნიჭიერების, ინტელექტისა და ზნეკეთილობის  
მიხედვით, არამედ მარსიან-ქადაგიძის მიერ ახალშემოღებული  
ბაზრულ-ტრეფიკინგული საზომით – „ფიზიკური გარეგნობით!“  
კი მაგრამ, მაშინ როგორც მოიქცეს ის მანდილოსანი, განგებას  
შემოქმედის ტალანტით უხვად რომ დაუჯილდოვებია, იკა ქა-  
დაგიძისებური „ფიზიკური გარეგნობით“ კი მაინცდამაინც ვერ  
გამოირჩევა. მაშინ... ანდა, ეს რანაირი ქართულია – რას ნიშნავს  
„ფიზიკური გარეგნობა?!“ გარეგნობა გარეგნობაა – ფიზიკურიც  
ის არის და ქიმიურიც!..

აქ ერთ მომენტზე განსაკუთრებული ყურადღება თუ არ გა-  
ვამახვილე, მკითხველები შეჭველად გონებაჩლუნგ ოპონენტად  
ჩამთვლიან!

ჰოდა, მარსიანი ასე დიდგულად რომ გვაკვეხებს (ანუ კვეხ-  
ნით გვეუბნება!) იკა ქადაგიძის „ფიზიკურ გარეგნობას“, საინ-  
ტერესოა, საქართველოს მწერალ მანდილოსანთა რომელი სი-  
ლამაზის კონკურსის ფიურის ოფიციალურ მონაცემებს ეყრდ-  
ნობა?! მთელი ქვეყანა მოწმეა, ასეთი სამარცხვინო და უაზრო  
კონკურსი არ გამართულა და, ღვთის წყალობით, არც არასო-  
დეს გაიმართება!

მაშ, მარსიანი რა ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა? არა-  
ვითარ მსგავს მონაცემებს – მხოლოდ თავის შეხედულებებისა-  
მებრ ჭრის და კერავს?! მაშინ ამიხსენით, თქვენი ჭირიმე – ქალ-  
თა „ფიზიკური გარეგნობის“ შეფასებაში ვინ ვინა და მარსიანი  
ისეთი რა შეუმცდარი ექსპერტი ბრძანდება, მისი ეს შეფასება

სახარებასავით ვირწმუნოთ?! გახეტებული მკითხველისთვის მაინც გაუგებარი რჩება – წერილის მამაკაცმა ავტორმა ასეთი რამ როგორ უნდა აკადროს ნახევარ საუკუნეს მიტანებულ, თანაც ქმარშვილიან რდაქტორ-მანდილოსანს?!. ან თვითონ იკა ქადაგიძე თავის ჟურნალში ამას რა პირით ბეჭდავს, როცა – ღმერთმა კეთილი ყურით მოისმინოს! – მალე კარზე მიუკაკუნებს დედამთილ-სიდედრობა თუ სიდედრ-დედამთილობა და ბებობა!.. მაგრამ ვინმეს ხომ არ ჰგონია, ეს ყველაფერი შემთხვევითობა იყოს? ჰმ! აქ მოთხოვნილება და მიწოდება უმალლეს კორპორაციულ დონეზეა დახვეწილი!..

აი, რა მოსდევს სულთანის ჰარამხანის საჭურისისებურ მლიქვნელ-მამამებლობას და განდიდების მანიით შეპყრობილი შუახნის უფერული ლიტერატორი მანდილოსნის ზღვარდაუდებელ თავანყვეტილობას!!!

ერთი სიტყვით, თავისი გონებაშიღმური ამბიციებით იკა ქადაგიძემ აი, რანაირ გამოუვალ უხეტმახეტ ჩიხში გაჩხირა თავისი პიროვნული ეთიკის ჭრიალა ორთვალა! ორივე – მაქებარიცა და შექებულისც ნუთუ ჭმუნვა-უხერხულობას არ განიცდიდა: ყოველივე ამის შემდეგ კოლეგებს თვალეებში როგორღა უნდა შევხედოთ?! მოგცლიათ!..

\* \* \*

მარსიანი აქ როდი ჩერდება – მანდილოსანი ოპონენტების „გასანადგურებლად“ თავისებურად განაგრძობს იკა ქადაგიძის ყველა „უპირატესობის“ დიაკვნურად ჩამოთვლას იმის გაუთვალისწინებლად, ეს ზნეობრივი იქნება თუ არა (სტილი აქაც ხელუხლებელია)!

„ოჯახიშვილობაც მოსდგამს და კარგი საკუთარი ოჯახიც აქვს შექმნილი; და ამ ყველაფრის გამო მრავალთა შურის ობიექტი იყო და არის: ერთ ყოფილ მეგობარს ვერც კი დაუფარავს ეს უკეთური გრძნობა და პირდაპირ მიუხლია იკასთვის: „შენ ყველაფერი გაქვს და მე რაო!“ იკას უპასუხია: „კი მაგრამ, შენ წაგართვი რამეო?“

თუკი ეს ყველაფერი მართალია, ასეთი სულელური დაჩივლება ნეტავი რამ წამოატორტლინა ანდა თვით იკა ქადაგიძემ ასე

უცებ როგორ მოიფიქრა ასეთი „გენიალური“ პასუხი! მე და ჩემ-  
მა ღმერთმა, ეს კითხვა-პასუხი პირდაპირ გინესის რეკორდების  
დავთარშია შესატანი!.. ან თვითონ მარსიანმა საიდან გაიგო ამ-  
გვარი ჭორიკანული წვრილმანები – ნუთუ საქმეში ჩახედული  
შემოქმედი მანდილოსნები ასეთ ამბებს თვითონ ჩაუკაკლავენ  
ხოლმე თუ მარსიანი, როცა შემთხვევა მიეცემა, მწერალ-მანდი-  
ლოსნების ლაპარაკს ყურს გაფაციცებით უგდებს და საჭირო  
ამბებს გულმოდგინედ იწერს, რათა მერე ამგვარი წერილების  
ცხოებისას შიგ ქიშმიშვივით ჩაურიოს!..

ანდა, თვით რედაქტორმა როგორ გაუშვა თეთრი ძაფით ნაბ-  
ლარდნი ეს პასაჟი – ნუთუ ვერ მიხვდა, რომ მას საძრახისი უკუ-  
შედეგის მეტი არაფერი მოაქვს?! მაგრამ რას ვიზამთ, ეტყობა,  
თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე იმდენი თეთ-  
რი ძაფი დაჰგროვებია, ახლა აღარ იცის, სად, რაზე ან როგორ  
გახარჯოს!!!

ერთი სიტყვით, გულის ამრევი პროვინციალიზმი – ლიტერა-  
ტურული პოლემიკისას რა საკადრისია ამისთანა „არგუმენტე-  
ბით“ ერთმანეთისთვის გულის ტკეცინების სამარცხვინო მცდე-  
ლობა!..

წელანდელი „ფიზიკური გარეგნობისა“ არ იყოს, კაცობრიობა  
რამდენ სახელგანთქმულ შემოქმედს, სახელმწიფო თუ სამხედ-  
რო მოღვაწეს იცნობს, რომელთაც არამცთუ სანიმუშო „ოჯა-  
ხიშვილობა“ ან დიდგვაროვნება არ მოსდგამდათ, არამედ უღიმ-  
ლამო, საეჭვო, საძრახისი ან სამარცხვინო წარმომავლობისანი  
იყვნენ ანდა სულაც მონათა ფენას ეკუთვნოდნენ, მაგრამ თა-  
ვიანთი ტალანტისა და პირადი თვისებების მეოხებით მსოფლიო  
ისტორიის ანალებში სამუდამო ადგილი დაუმკვიდრებიათ!

პირდაპირ გასახეტებელია მარსიანის მსჯელობის ყაიდა, იკა  
ქადაგიძეზე თავმომწონედ რომ წერს: „ოჯახიშვილობაც მოსდ-  
გამს“-ო! აქ თავისთავად იბადება უკუკითხვა – კი მაგრამ, ამ შემ-  
თხვევაში ვის არ „მოსდგამს“ ეს „ოჯახიშვილობა?“

ამას რალა კითხვა უნდა – იკა ქადაგიძის ამჟამინდელ და მო-  
მავალ სავარაუდო ოპონენტ მანდილოსნებს!.. დაძმურ და მამამ-  
ვილურ ბოდისს მოვუხბდი ქართულ მწერლობაში მოღვაწე მან-

დილოსნებს, მაგრამ მეტი ჩარა არ არის – ველარ ვიოკებ მომდევენო კითხვას: აბა, საიდან არიან ეს დანარჩენი მანდილოსნები, ინკუბატორიდან?!

ანდა, ამ კრიტიკული წერილის დანერამდე თუ უფრო ადრეც, მარსიანს ნუთუ ასე ზედმინევით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს მწერალ მანდილოსანთა (ვინ იცის, იქნებ მამაკაცებისაც და ესეც თავის დროზე გამომჟღავნდეს!) ოჯახიშვილობა, წარმომავლობა და საგვარეულო ისტორია, რათა შეცდომა არ მოსვლოდა!

მოდ, უფრო პირდაპირები ვიყოთ: თავისთავად ცხადია, ყველას ინკუბატორულად ერთნაირი წარმომავლობა და „ოჯახიშვილობა“ ვერ გვექნება! აქ მავანი მავანს აღემატება, ის, თავის მხრივ, სხვას ჩამოუვარდება, იმ სხვას კიდევ... და ა.შ. და ა.შ.! მერე, ამ შემთხვევაში ეს რა მოსამარჯვებელი არშინია?!

**„კარგი საკუთარი ოჯახი აქვს შექმნილი!“** – ოპონენტი მანდილოსნების ვითომ გულსაკლავად მტარვალურად გაიძახის მარსიანი და იკა ქადაგიძეც ამას სიხარულით ბეჭდავს, რათა მთელმა საქართველომ შეიტყოს ეს აქამდე არსად გაგონილი „სიახლე!!!“

ჯერ ერთი, ეს რანაირი ქართულია – რას უნდა ნიშნავდეს **„საკუთარი ოჯახი?“**

ახალგაზრდა წყვილის მიერ შექმნილი ოჯახი, თავისთავადაც ცხადია, **„საკუთარი“** იქნება! აბა, ვის გაუგონია, შეუღლებულ წყვილებს **„საკუთარი“** კი არა, **„საზიარო“** ოჯახები შეექმნათ?!. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, თორემ ამდაგვარ შეცდომებს რომ გამოვუდგეთ, ეს უბედური წიგნი, ვინ იცის, რამხელა გამოვა და შეიძლება დაუსრულებელიც დამრჩეს!...

ამრიგად, **„კარგი საკუთარი ოჯახის“** ასეთი ბოროტმოხარული ტურტურით ორივემ-მარსიანმაც და იკა ქადაგიძემაც – მთელი მსოფლიოს ყველა დროის, ვინ იცის, რამდენ შემოქმედს მიაყენეს სადისტური შეურაცხყოფა, ვინაიდან ბევრ მათგანს, ალბათ, ექნებოდა **„კარგი საკუთარი ოჯახი“**, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლებდნენ მის ბოლომდე შენარჩუნებას! ან კიდევ, ბევრსაც საერთოდ, არ ექნებოდა (ან არა აქვს!) შექმნილი **„კარგი საკუთარი ოჯახი!“** აქ მარტო ფიროსმანისა და ტერენტი გრანელის მაგალითიც იკმარებს! მერე?..

ერთი სიტყვით, საზიზღრობა!.. პროვინციული ქონდრისკაცობა!.. უმიზნო ყოყონობა!.. შეუოკებელი გულღვარძლიანობა!.. პათოლოგიური დაუდგრომლობა!.. ასპიტისებური დაუნდობლობა!.. მკითხველი საზოგადოების არაფრად ჩაუგდებლობა!..

ზედგამოჭრილი ტერმინ-შეფასებები სეტყვასავით მაცვივა, მაგრამ ყველა მათგანს ხომ ვერ ვიხმარებ?!

მოკლედ, მარსიან-ქადაგიძესებურად აი, რა გამოდის – ამიერიდან ნებისმიერი სფეროს შემოქმედმა მეორე შემოქმედის ნაწარმოებებზე თავისი აზრი ვერ უნდა გამოთქვას თუ ჯერ ძირფესვიანად არ ექნება შესწავლილი მისი „ოჯახიშვილობა“, „ფიზიკური გარეგნობა“.. მომავალ ოპონენტს აქვს თუ არა, ხოლო თუ აქვს, რანაირი ოჯახია!.. როგორი დედამთილ-მამამთილი, სიდერ-სიმამრი, მულ(ებ)ი, მაზლ(ებ)ი, ცოლისდები, ცოლისძმები, მძახლები, ქვისლ(ებ)ი თუ ქორწილის ნათლიები ჰყავთ!

ეს ისე, სიტყვის მასალად, თორემ თქვენ თვითონ რაიმე მიზნით თუ საჭიროდ მიიჩნევთ, როგორც მოგეპრიანებათ, ოპონენტის „ოჯახიშვილობა“ მკითხველებს ისე წარუდგინეთ – მე შენ გეტყვი, ამ კორონავირუსის პანდემიისა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად გაძეძებული მკითხველები შეეჭვდებიან თუ სიმართლის დასადგენად თავიანთებურ გამოძიებას შეუდგებიან?! მოგცლიათ!

არადა, თავდაჭერილი მანდილოსანი ოპონენტების შურის საგანი, როგორც ვითომ იკა ქადაგიძის შემთხვევაში, შეიძლება მართლა გახდეს ყოველ მხრივ წარმატებული თვიანთი კოლეგის არამართო „ფიზიკური გარეგნობა“, „ოჯახიშვილობა“ და „კარგი საკუთარი ოჯახი“, არამედ ათასი სხვა რამეც! მაგალითად, სანიმუშო ქმარ-შვილი... მრავალთახიანი სახლ-კარის სანატრელი მდებარეობა.. უნაკლო ევრორემონტი... ძვირფასი ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი თუ თეთრეული... გონებამახვილურად მონყობილი, ხალვათი სამზარეულო... მოვლილი ეზო-ყურე... თაღნარმტაცი ყვავილნარი... ჰოლივუდური თმის ვარცხნილობა... მდიდრული გარდერობი... უნიკალური სამკაულები და სხვა და სხვა!

მერე, სამოღვაწეო ასპარეზზე „ფიზიკური გარეგნობით“ თუ აქ ჩამოთვლილი ან მსგავსი უპირატესობით თავგაზვიადებულ შემოქმედს ნუთუ ყოველივე ამისთვის რაიმე შეღავათი უნდა

მიეცეს, ხოლო ვინც ვერ გამოირჩევა ამგვარი მაჩვენებლებით, უეჭველად ქულები ჩამოეჭრას! მერედა, რატომ?

ანდა, შეუცდომლად როგორ უნდა დადგინდეს შემოქმედთა ამდენი და ასეთ-ასეთი ოჯახურ-ინტიმური მხარეების ავკარგიანობა?! ან მარსიანისა და იკა ქადაგიძის გარდა ვის სჭირდება ამდენი უადგილო წვრილმანების წინ წამოწევა?!

ერთი სიტყვით, მარსიანი და იკა ქადაგიძე ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას აი, რა გამოუვალ ეკალბარდნარში უპირებს შეტყუებას!

## 2

**თუმც** მარსიანი ოპონენტების „დამსახურებასაც“ აღიარებს! მაგრამ ვაი ამგვარ აღიარებას! აქ ისე გამოჰყავს, თითქოს ოპონენტებს შემოქმედებითი ნიჭი და პოტენციალი არ გააჩნდათ და ფონს გასვლას ამგვარი მომსყიდველი „**დამსახურებით**“ ცდილობდნენ!

მაშ, ისევ მარსიანს მოუსმინეთ!

„მე არც ქ-ნი **დალი კახიანის** ხელგაშლილობა, პურადობა მავინყდება – არაერთხელ გაგემასპინძლებია როგორც თავის ბინაში, ისე კაფეში თუ „კავკასიურ სახლში“, რამდენჯერმე ფულადი დახმარებაც გამიწია; ყოველივე ამისთვის დიდი მადლობა მას!..“

„ქალბატონი **რუსუდანიც** (ჟურნალის რედაქოლეგიის ერთ-ერთი ყოფილი წევრი, ცნობილი ჟურნალისტი **რუსუდან ჭანტურიშვილი**. ჯ.მ.) ერთობ პურადი და ხელგაშლილი გახლდათ. მის ბინაშიც არაერთხელ მოგვილხენია, „კავკასიურ სახლშიც“ ნამცხვრებით ხელდამშვენებული მოსულა არაერთხელ და ორჯერ. მე პირადად მაგიდის ნათურა (უნდა იყოს მაგიდის ფარანი. ჯ.მ.) მაჩუქა და მასაც ვმადლობ ამ ყველაფრისთვის“...

„რაც შეეხება **ნინო ბაქანიძეს**... ზემოთ დასახელებული ორი ქალბატონის მსგავსად ისიც ერთობ ხელგაშლილი იყო. არაერთხელ დავუპატიჟებია ვართ კაფე-რესტორნებში; მე პირადად არაერთხელ სერიოზული ფულადი დახმარება გამიწია; ჩემი მადლობა და კეთილგანწყობა ამ პიროვნებისადმი განსაკუთრე-

ბული იყო. ამიტომ ვალში რომ არ დავრჩენოდი, რამდენიმე ნახატი ვაჩუქე“.

ჰმ! კი მაგარამ, რა აზრი აქვს, უფრო სწორედ კი რა მიზანს ისახავს მარსიანის მიერ აქ ჩამოთვლილი ქალბატონების ხელგამლილობისა და გულმონყალების ამგვარ ორაზროვან ხაზგასმას, როცა ყველა მათგანს ჟურნალთან ურთიერთობის განწყვეტა მოუხდება! ხოლო ცოტა ადრე დალი კახიანის პოეზიას თურმე უბედურება დასტყდომია!

კვლავ მარსიანს მოუსმინეთ.

„ლექსების წიგნი რომ გამოსცა, ქ-ნმა (უნდა იყოს ქ-მა. ჯ.მ.) დალიმ თითო ეგზემპლარი გვისახსოვრა თანაგუნდელებს (გასაკვირია – აბა, თითოეულ თანაგუნდელს რამდენიმე ეგზემპლარს ხომ არ უსახსოვრებდა?! ჯ.მ.). ხანი რომ გამოხდა, მისაყვედურა, ჩემს ლექსებზე შენს აზრს რატომ არ მეუბნებო... მიზეზი ჩემი დუმილისა ის იყო, რომ არ მომეწონა მისი ლექსები. რა მექნა, მეტქვა ავტორისათვის ჩემი აზრი? თვითონ ხომ, რასაკვირველია, მხოლოდ ქებას მოელოდა და არავითარ შემთხვევაში კრიტიკულ შენიშვნებს! მომეტყუებინა და ყალბად შემექო?...“

გესმით, გაიგონეთ: მარსიანი გულუბრყვილოდ კიდევაც რომ გვეკითხება – რა მექნაო?! პირდაპირ შოკის მომგვრელი მსჯელობაა, მე და ჩემმა ღმერთმა! როგორ, ძველი თაობის მწერალს ეს უნდა ესწავლებოდეს, მსგავსი შემთხვევისას როგორ იქცევიან ხოლმე მშობლიური ლიტერატურისთვის თავგადადებული მწერალ-მამულუკები, თავადაც რომ ისე მოქცეულიყო?! კი მაგარამ, პოეტი, თანაც მანდილოსანი, რატომ უნდა მოეტუებინა ან ყალბად რა სინდისით უნდა შეექო?! თვისი გულისნადები პირუთვნელად უნდა ეთქვა, მით უმეტეს, როგორც ირწმუნება, ავტორს თვითონვე უთხოვია!... გულდანდობილი შემოქმედის მოტყებასა და მის ყალბად შექებაზე უფრო ამაზრზენი სხვა რა შეიძლება იყოს?!

მოკლედ, ლიტერატურული კრიტიკის ბატალიებში გაურკვეველი მარსიანი ამით აი, რანაირ მაგალითს აძლევს ჯერ გამოუქნელ ახალბედებს, მეტადრე კი იმათ, ვისაც გულწრფელად ეოცნება ლიტერატურული კრიტიკის სფეროში კალმის მოსინჯვა!

ერთი სიტყვით, მარსიანმა აქ თავისი მწერლური მსოფლმ-

ხედველობისა და პრინციპულობის ისეთი კომპრომეტირება მოახდინა, ვერ წარმომიდგენია, ეს როგორღა უნდა აღიდგინოს?! სწორედ ამაზეა ნათქვამი – რაც კაცმა თავის თავს უყუო, ქვეყანა რომ მიადგეს, ვერ უზამსო!

განა ეს კი არ არის მოსაკითხი: მარსიანის ამ მასალის რედაქტირებისას ბასრკალმიანმა რედაქტორმა ავტორს ეს პასაჟი რატომ არ გადააკეთებინა?! და რაკი იკა ქადაგიძემ მთლიანი წერილი ამ სახით გაუშვა, მაშინ თავისთავად ცხადი ხდება – მარსიანის ამ მრწამსს ისიც იზიარებს! ტყუილად კი არ არის ნათქვამი – ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსაო!

### 3

ჩვენ, ქართული მწერლობის მამელუკებმა კრიტიკულ წერილებს ან გინდ ზეპირ შენიშვნებს თუ იმ თარგზე დავუწყეთ აგება – ოპონენტი ჩვენგან წინდანინვე რას ელის ან რას მოითხოვს, მაშინ კაი დახლიც დაუდგება მშობლიურ ლიტერატურას!!!

მხატვრული ნაწარმოები თუკი უვარგისია, დავთრებდაფანტულ ავტორს კი მხოლოდ ხოტბა-ქება სწყურია, ამ დროს მკაცრი სიმართლის თქმა არის უპრიანი, რათა თანამოკალმე როგორმე გამოვიყვანოთ ილუზიის დამბანგავი ბურუსიდან და ისევ ლიტერატურულ სინამდვილეს დავუბრუნოთ!

ჰოდა, რომელი ლექს(ებ)ი ან მთლიან წიგნში რა არ მოსწონდა, მარსიანსაც ჭკვავარკვევით აეხსნა და მოულოდნელად თვალახელილი პოეტი ქალბატონი იქნებ მადლიერიც დაურჩებოდა! არადა, მახლას – მარსიანი მაინც პირნათელი გამოვიდოდა პოეზიის თემიდის, ავტორისა და საკუთარი სინდისის წინაშე!.. ანდა, **დალი კახიანის** ახალდასტამბულ წიგნში ნუთუ წამლად მაინც არ მოიძებნებოდა მარსიანის მოსაწონი ორიოდე ლექსი?! თუმცა ლექსებს ვილა დაეძებს, როცა რედაქტორისგან გულმოცემული კრიტიკოსი მანდილოსან პოეტს მკითხველების წინაშე პირდაპირ აბეზლებს-მისაყვედურაო!

არადა, მსგავსი გარემოებისას ვინ ისაყვედურება – პირიქით, თავიანთ გულისნადებს მოკრძალებით გაამჟღავნებენ ხოლ-

მე! ტენდენციურობა რომ არ დამენამოს, პოლემიკის კეხს ახლა მარსიანისკენ შევატრიალებ! დაუშვათ და როგორც თანაგუნდელმა თანაგუნდელს, **დალი კახიანმა მარსიანს** ახლობლურად მართლაც უსაყვედურა – ჩემი ლექსების წიგნზე რატო არაფერს მეუბნებიო!

მერე, რა საჭირო იყო ან უფრო სწორედ, რა მიზანს ისახავდა ამის ასეთი უხეში ფორმით სახალხოდ გამომზეურება?!

გარდა ამისა, თან აი, აქ რა ინვევს დაეჭვებას და აღშფოთებას! მარსიანი ირწმუნება: ქ-ნ დალი კახიანს თავისი ლექსების წიგნზე ჩემი უარყოფითი აზრი იმიტომ არ ვუთხარი, რომ ის მხოლოდ ქებას მოელოდა და არავითარ შემთხვევაში კრიტიკულ შენიშვნებსო!

ჯერ ერთი, მარსიანმა ეს საიდან დაასკვნა? მაგრამ დავუშვათ და იგი ცამდე ალა-მართალია, მაშინ მით უფრო დამაეჭვებელია – დალი კახიანის პიროვნულ ღირსებას მინასთან რაღატომ ასწორებს – ნუთუ მკითხველი საზოგადოება ამას მოუწონებს?!


აბა, ან ამას დაუკვირდით: **დალი კახიანის** ლექსების წიგნის ხელაღებით დამწუნებელი **მარსიანი** საწყლური კილოთი შემოგვიჩვივს: რა მექნა, მეთქვა ავტორისთვის ჩემი აზრიო?! ხედავთ, „გულჩვილმა“ კრიტიკოსმა **დალი კახიანი** როგორი „დიდსულოვნებით შეიბარალა“, თავისი ნამდვილი აზრი რომ დაუმალა! მაგრამ ამგვარ „შებრალებას“ რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს, როცა ამას ახლა საქვეყნოდ გაიძახის!!! რა არის ეს – ოპონენტის წინდაუხედაობა თუ ნავარჯიშევი ცინიზმი?!

აბა, აქ სადა ჩანს იკა ქადაგიძის ერთგული კრიტიკოსის სიალალე?!

#### 4

**ისევ მარსიანს მოვუსმინოთ.**

„ქალბატონი **დალი კახიანი** თავიდანვე დიდი ექსპანსიურობით გამოირჩეოდა გუნდში. საკუთარი პერსონა მუდამ წინ უნდა წამოეწია... ბარემ იმ საკითხსაც შევეხები, ჩემს ზურგსუკან (უნდა იყოს, „ჩემ ზურგს უკან“. ჯ.მ.) ქ-ნი **დალი კახიანი** როგორ



მარსიანი

ცდილობდა, ჟურნალის ყდის მხატვრის ფუნქცია ჩამოერთმია“ ჩემთვის (უნდა იყოს „ჩემთვის ჟურნალის ყდის მხატვრის ფუნქცია ჩამოერთმია.“ ჯ.მ.)... სამწუხაროდ, ქალბატონ დალის პროტესტანტულ გამობდომებს თანდათან ქალბატონი რუსუდანიც აჰყოლია (უნდა იყოს, **აჰყოლოდა**, ვინაიდან იმ დროს თვითონ მარსიანი წლი-ნახევრით სოფლად ყოფილა და ყველაფერ ამას სხვების მონაყოლის მიხედვით გვიამბობს! ჯ.მ.)... როცა საქმე ქ-ნ დალი კახიანის გუნდიდან გაშვებაზე მიდგა (უნდა იყოს **მიმდგარა**. ჯ.მ.)... ქ-ნი რუსუდანი ქ-ნ დალის მიემხრო (უნდა იყოს **მიმხრობია**. ჯ.მ.)... ისიც მოსწვდა ჩემს ყურს (უნდა იყოს „ჩემს ყურს ისიც მოსწვდა“. ჯ.მ.) თურმე ქ-ნი დალი კახიანს უთქვამს (უნდა იყოს „თურმე ქ-ნი დალი კახიანს **რომ ეთქვა**“. ჯ.მ.), ეს მარსიანი და სხვებიც სულ ამ იკას აქებენ და ადიდებენ, ჩვენ კი ყურადღებას არავინ გვაქცევსო!“.

„თუ ღმერთი გნამთ, რას მოითხოვდა ეს ხალხი? **იკა ქადაგიძე იქნებ მე** (უნდა იყოს „მე იქნებ“. ჯ.მ.) **გენიოსად მიმაჩნია** და რა ვქნა, ხათრის გამო (უნდა იყოს – ხათრით. ჯ. მ.) სხვებიც ასეთად მივიჩნიო?“

გულაფანცქალეზული მარსიანი ასე საქვეყნოდ რომ გაიძახის – იკა ქადაგიძე მე იქნებ გენიოსად მიმაჩნია ანუ ასე ვთვლი, მგონიაო, რა ეჩქარებოდა – ჯერ დაეზუსტებინა და ცოტა მოგვიანებით ეუწყებინა, თორემ საქართველო და მთელი მსოფლიოც ასე როდემდე უნდა ჰყავდეს მოლოდინის სანამებელ ჩარხზე გაკრული! ამას ასეთი ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ფსიქიკისა და ბიოლოგიური თავისებურებების გამო კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს არც ერთი გენიოსი შემოქმედი ქალი! მაგრამ განგებამ იქნებ გამონაკლისი დაუშვა და!...

ერთი სიტყვით, ამგვარი განაცხადით მარსიანმა და იკა ქადაგიძემ საკუთარ წიგნიერებას სამარე თავ-თავიანთი ხელით გაუთხარეს!..

მნამს, ეს ყველაფერი ბევრს საგონებელში ჩააგდებს: ნეტა, თვითონ მაინც თუ სწამთ ამგვარი იდიოტიზმისო?

რა თქმა უნდა, არა, მაგრამ რა მოუხერხონ სისხლ-ხორცში გამჯდარ მლიქვნელ-მაამებლობისა და გრაფომანული განდიდების მანიის განუკურნებელ ჩხვლეტა-ლიტინს!!!

**მაშ**, მარსიანს დავასრულებინოთ თავისი სიტყვა. სტილი ამჯერად დაცულია.

„დალი კახიანმა თავისი გადამეტებული პრეტენზიებით, ჟურნალისთვის არახელსაყრელი წინადადებებით და საერთოდ, დესტრუქციული მუხტის შემოტანით გუნდიდან მოკვეთა დაიმსახურა“.

გუნდიდან მოკვეთას ვილა დაეძებს, როცა მანამდე მარსიანს **დალი კახიანის** ახალგამოცემული წიგნიდან ერთი ლექსიც არ მოსწონებია!

მაშინ მოდი, ესეც ვიკითხოთ: მარსიანს საკუთარი თავი ნუთუ ქართული მწერლობის ისეთ შეუმცდარ ქურუმად წარმოუდგენია, რომლის ნებისმიერ შეფასებას კანონის ძალა უნდა ჰქონდეს?!... თუმც მარსიანს გაცვეთილი წინდახედულობა მაინც გამოუჩენია, რაკი აცხადებს – დალი კახიანის ლექსები **არ მომეწონაო!** კაცს არ მოსწონებია და ჰა, რას იზამ-როგორც იტყვიან ხოლმე, გემოვნებაზე არ დაობენ! ჰო, მაგრამ მსგავს შემთხვევაში გადამწყვეტია არა ეს უკვდავ-უბერებელი, მაგრამ ცალმხრივ-ცუდლუტური შეფასება-მომოენონა-არ მომეწონა, არამედ თვით შურგაუკარებელი შემფასებლის ლიტერატურული გემოვნება და მისი დონე!

მაშ, როგორ დავადგინოთ **დალი კახიანის** ლექსების პირწმინდად დამწუნებელ მარსიანის ლიტგემოვნების დონე? ო, ეს მეტისმეტად ხანგრძლივი და საჭოჭმანო პროცესი იქნება! თანაც, ღმერთმა უწყის, რანაირ დასკვნებს წარმოგვიდგენენ და ამ დასკვნებს თვითონ მარსიანი დაეთანხმება თუ არა! მაგრამ განგებამ მაინც არ გაგვწირა! ამ თავსატეხის დასაზუსტებლად ერთ ისეთ კაცს დავიმოწმებ, ამ შემთხვევისთვის მასზე უფრო სწორუპოვარ ექსპერტს ვერ იპოვით დედამიწის ზურგზე! ეს ექსპერტი თვითონ... მარსიანი იქნება თავისი ერთი ლექსით!!!

როგორ თუ ერთი ლექსითო?! – ალბათ, ბევრი შემომეკამათება, – განა შეიძლება ერთი ლექსით ავტორის ლიტერატურული გემოვნების დადგენაო?!

შეიძლება და მერე როგორ!... მაგალითად, მლაშე ტბის ქიმიური ანალიზის დასადგენად არ არის აუცილებელი საკვლევაძიებო სამსახურმა ეს ტბა მთლიანად ამოხაპოს და კვლევით ინსტიტუტთან ავტოციტერნების უსასრულო კოლონა გაჭიმოს – ლაბორატორიაში ასგრამიანი სავსე რეტორტის მიტანაც იკმარებს, რათა ზუსტად დადგინდეს საკვლევი სითხის ქიმიური შემადგენლობა!

დაახლოებით მსგავსი რამ ხდება ლიტერატურაშიც!

„ისინდის“ (12, 2021) 37-ე გვერდზე რუბრუკით „ერთი ლექსის გაელვება“ დაიბეჭდა მურმან ლებანიძის ფოტოდართული ლექსი „გალაკტიონი მობრძანდება“ და ერთად გადაღებული იკა ქადაგიძისა და მარსიანის ფოტოსურათი, ამ უკანასკნელის ანუ მარსიანის ლექსი „სამი წიგნი“. აგერ, ეს მთლიანი ლექსიც!

## სამი წიგნი

ლექსი ძარღვებში დამშლის,  
ძარღვებშიც ლექსი მიძევს,  
ვკითხულობ სამადაშვილს,  
კორნაპელს, ქადაგიძეს...  
წყურვილს სიზმარში ფრენის  
ეს სამი წიგნი მიკლავს,  
„ფერისცვალება ფენიქს“,  
და „ქვიშის გალაქტიკა“...  
ო, რა ტროპებით იმკობს  
სხეულ-ტანს ეს ლირიკა,  
კვლავ და კვლავ ჩავცქერ ნიკოს,  
გიორგისა და იკას,  
ო, პოეზიის ჯადოვ,  
ტყვედქმნილს მიშველე პოეტს,  
უუაღრესად გმადლობ,  
ხსნა რომ კვლავ შენში ვპოვე!  
ეს სამი წიგნი მუდამ  
სასთუმალს მიძევს წამლად,

ძალეებში დაიბუდა  
მათგან მოგვრილმა აღმა  
სნეულს მალამო დამადო  
გულს ვარდად გადამიკრა,  
უუმძლავრესად გმადლობთ:  
ნიკო, გიორგი, იკა!  
ლექსი ოცნებებს აშლის,  
ლექსი სასთუმლად მიძევს,  
ვკითხულობ სამადაშვილს,  
კორნაპელს, ქადაგიძეს...

24.12.2020

აქ ვერანაირი კომენტარის გაკეთებას ვერ გავბედავ, მკითხველს დასკვნების გამოტანაში ხელი რომ არ შევეშალო. ერთი აუხდენელი ოცნებისგან კი თავს მაინც ვერ ვიკავებ! დავუშვავთ და მარსიანს ეს თავისი ლექსი „ისინდის“ კი არა, რომელიმე სხვა რედაქციაში მიეტანა!

ხელნაწერებში ჩაფლულმა მთავარმა რედაქტორმა მარსიანი მაგიდასთან დაისვა, ნაირ-ნაირი სავსე საქალღდე გვერდზე გააცურა და ფურცლის ერთ გვერდზე დატეულ მის ამ ლექსს მაშინვე ჩაულრმავდა!...

აი, რედაქტორმა კითხვა დაამთავრა, თავი აიღო და !...

ო, აქ როგორი ცნობისნადილი მანამებს, დაახლოებით მაინც მაცოდინა, რომელ მკითხველს როგორ წარმოუდგება ავტორს მიჩერებული მთავარი რედაქტორის მზერა-გამომეტყველება!...

## 6

**არა**, მეც მესმის, გემოვნებაზე რომ არ დავობენ, მაგრამ მასზე მშვიდი მსჯელობა კი ყოველთვის შეიძლება.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში კი საბედნიეროდ, სხვადასხვა მიზეზით **დალი კახიანის** პოეზიას თითქმის არ ვიცნობ. ის კი არა, ავტობუსის სკამზე გვერდიგვერდ რომ აღმოვჩნდეთ, არც



**მანანა ბრაჭული**

ერთ ჩვენთაგანს არ ეცოდინება ერთამანეთის ვინაობა! მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! თუმცა ასე სწორხაზოვნად მე ვმსჯელობ, თორემ მწერლურ-ამქრული გაგებით როგორ არ ექნება! ექნებოდა და მერე როგორი!!!

რისთვის მჭირდება ასეთი, ერთობ უცნაური შესავალი? აი, რისთვის: მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი „ისინდის“ ავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, როცა ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტში ამ ჟურნალის ფურცლებზე (4, 2018) გამოქვეყნებული დალი კახიანის ლექ-

სებიდან ერთ-ერთ მათგანში შემთხვევით ერთ ისეთ სტრიქონს ნავაწყდი, რომ ის ერთი სტრიქონი მირჩევნია ერთად აღებულ მარსიანის ამ ლექსს, „სამი წიგნი“... მანანა ბრაჭულის აი, ამ ოცდაცამესტრიქონიან ლექსს, „შენი ვარსკვლავმორბედი“, 2005 წელს გამოცემულ იკა ქადაგიძის რომანს, „ვარსკვლავმორბედი“ რომ ეძღვნება და თვით იკა ქადაგიძის ოცდაათ-ოცდაათსტრიქონიან ლექსებს – „მოდმი“ (1, 2017) და უედემო ბალებს“ (6, 2018).

### **„შენი ვარსკვლავმორბედი“**

*იკა ქადაგიძეს*

შენ, მნათობთა დაო, „ქვიშის სიბრძნით ნაიარევო“,  
სხივო, მუჭში მოუმწყდეველო, განფენილო მართალთ  
სიზმრებში-„შენში სხვა დროა“, და შენშია ყველა დრო,  
რადგან იმ ვარსკვლავთ ემეგობრები, მხოლოდ ყვავილთა  
მტვერს რომ ჰგუობენ.

დღევანდელ კვირას გეფიცები, დღეის სავსე  
მთვარეს, გზა-დაკარგულს, მზეს რომ ნაჰკიდებია

და ხიფათს გვპირდება, ცრემლით დავხურე შენი  
„ვარსკვლავმორბედი“.

რა ხელოვნებით მამოაგზაურე იუპიტერის მგზნებარებით  
მთრთოლავ სივრცეში?! განმაშორე „ცოდვამოშიებულთ“  
სინათლის ბილიკით მავალთ გადამყარე..

როგორ გაცხრილე საუკუნეები ქალო – „ღრუბლის  
თავშალდაკოცნილო“, გალაქტიკის ქვიშის სუნთქვის  
ცეცხლში გამშრალო, სინათლის ხამლებით ფეხმოოხილო  
მგზავრო უცნაურო. ამ პანია წიგნში როგორ ჩატიე  
ყოფის „ანი“ და ჰოე“ – ამირანი და პრომეთე, კოლხეთი  
და იერუსალიმი, მედეას ბედისწერა და მაგდალინელის  
ქვიშისფერი მზერა, ღმერთი და მოციქულნი, შენი –  
ჩვენი იბერიუსი წარმართი?! ასე სუსტმა და ნაზმა  
ვით დასძარი ცისა და მიწის ღერძი-ქართული სიტყვა  
და მახილვე სამშობლო-„ხავერდგაფოთლილი“,  
„ფეხადგმული ვაზების ქვეყანა“, სადაც“... ლაზარეს  
საკუთარი სისხლით განბანილი ენის აღდგინებას  
დაუმონმებდნენ“...

რომელი ცხოვრებიდან დაიწყე კითხვებთან თამაში,  
მათ შორის ურთულესთ უპასუხე კიდეც.

სიფრიფანა თითებით როგორ მოაგროვე იმდენი  
სინათლე, წყვილიადი გაქცეულიყო, სმენა ისე  
დანმენდილიყო, კაცობრიობას გაეგონა, დაენახა და  
ეგრძნო კეთილხმოვანება ადამიანისა და სამყაროს  
თანაცხოვრებისა.

ფერი დავიდე ლაზარეს „გულიდან ამოტეხილი  
ლოცვისა“...

ოდეს უფალი დაგეძებს, მკვდრეთით აღმდგარად მაშინ  
ინოდები,

როცა თვითონ ეძებ უფალს, მკვდრეთით აღდგომა აღარ გე-  
საჭიროება!

„ისინდი“ (2018, 4)

არავინ იფიქროს, ამას ოპონენტის ჯიბრით ვწერდე: ასე რომელი ჭკუათამყოფელი მოიქცევა – ეს ყველაფერი გულწრფელად ნათქვამია! მაგრამ თუ ლიტერატურულმა გემოვნებამ მიმტყუნა, მარტო გულწრფელობა რაღას მიშველის – თავი ქვეყნის სამახსრო გამიხდება! ასეც რომ მოხდეს, მიუდგომელი მკითხველებისთვის რა ბედენაა, თუკი დარწმუნდებიან – ჩემი ოპონენტები თურმე მართლები ყოფილან, მე კი ღობე-ყორეს მოვდეებივარ!

ამრიგად, მარსიანის ლექსს, „სამი წიგნი“ და მანანა ბრაჭულის ლექსს „შენი ვარსკვლავთმორბედი“ ეს-ეს იყო გაეცანით, იკა ქადაგიძის აქ ნახსენებ ლექსებთანაც მალე მოგიწევთ შეხვედრა!

\* \* \*

**ახლა დალი კახიანის ლექსის იმ ერთ სტრიქონზე. აი, ისიც!**  
**გიტარის სიმზე თავს იხრჩობს ბოშა.**

პოეტური ტალანტის მოულოდნელი გაელვება ამ ხუთსიტყვიან სტრიქონში იმდენ მხატვრულ სახესა და ბოშებთან დაკავშირებულ მოგონება-წარმოდგენას აღძრავს, გონება ერთბაშად ვერც კი იტევს: აკვნესებულ გიტარაზე მხარნახვით შენანილებული, თმაჩამონწილი აღგზნებული ბოშა!... გასაოცარია, სტრიქონის მთლიანი მხატვრულ-ემოციური ზემოქმედება იმდენად მომნუსხველია, მის „ნაკლზე“ გულდანყვეტილს, ნარიჟრაჟევსლა ამეხილა თვალი: ეს ბოშა კაცი იყო თუ ქალი? მაგრამ იმ ძილ-ღვიძილშიც მალევე მივხვდი ავტორის პოეტურ ოსტატობასა და სიფაქიზეს – მკითხველისთვის რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა – ეს ბოშა კაცი იყო თუ ქალი?! მას შეეძლო ეს გიტარისტი თუგინდ კაცად წარმოედგინა, თუგინდ ქალად! ან კიდევ ხან კაცად, ხან – ქალად: ამით არაფერი დაშავდებოდა, პირიქით, ასეთი მონაცვლეობის შესაძლებლობა უფრო დამატყვევებლად მოქმედებდა!.. აქ მთავარი ეს იყო – გიტარის სიმზე ბოშა თავს რომ „იხრჩობს“ ანუ თავგადაკვლით აკვნესებს თავის, ვინ იცის, სად არ ნათრევ, მაგრამ მორჩილად აჟღერებულ გიტარას. სტრიქონის ერთმანეთში გადახლართული ლირიზმი და დრამატიზმი თავისთავად გვახვედრებს: ეს ბოშა – კაცი თუ ქალი – გიტარის სიმზე თავს რატომაც „იხრჩობს“! თუმც ამას რა დიდი

მიხვედრა სჭირდება – მიუწვდომელი შეყვარებულისთვის!.. და რაკი ამ განცდას ბოშის მხარზე გადავყავარ, წარმოსახვით ვხედავ კიდევ მისი მომუქო პირისახის მეტყველ ნაკეთებს... ავაზისებურად მიხუჭული თვალებიდან გამონამკრთალ მჩხვლეტავ სხივებს... მკვნესარე გიტარის მჭრელ სიმებთან უმიზრაფოდ მებძოლ ფრჩილნაზრდილ თითებს... სივრცეში გაფანტულ ჰანგებს... გიტარის მოცახცახე გრიფს... ბოშათა ბანაკს.. მათ მიერ გავლილი თუ გასავლელი უკიდევანო სივრცეების გადმოუცემელ სევდას... ბოშური ცხოვრების მაცდურ მიმზიდველობას და ამავე დროს მისადმი პანიკურ შიშს!..

ყოველივე ამის განცდისაგან მეჩვენებოდა, რომ ეს ჯადოსნური სტრიქონი პოეტი ქალბატონის მიერ ქალაქის სუფთა ფურცელზე კი არ დაინერა, არამედ საიდანღაც წამონაქროლი სიოსგან ნატრიალები შემოდგომის პირველი ფოთოლივით ჰაერში უმისამართოდ ფარფატებდა, ფარფატებდა და ლიტერატურული ჟურნალის, „ისინდი“ ფურცლებზე ალალებდურად თავისით შეფარფატდა!.. მაგრამ არც ამის დამალვა იქნება! თუმც ეს რა დასამალია, პირიქით!.. ამ ერთადერთმა სტრიქონმა ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად თავისებური სატანჯველიც მარგუნა! თუმც ეს სატანჯველი, როგორც, ალბათ, ჩვენი მწერლობის ყველა „მამელუკს“, მეც ქრონიკულად მანუხებს, მაგრამ **დალი კახიანის** ამ სტრიქონმა ჩემს სატანჯველს უეცრად გამოკვეთილი ფორმა მისცა!

მისმა ამ ერთადერთმა სტრიქონმა ჩემი წარმომსახველობა თავისთავად აღაგზნო და ასეთი რამ წარმომადგენინა: კალამმომარჯვებული პოეტი მანდილოსანი თავის საწერ მაგიდას კი არ უჯდა, არამედ ღია სარკმელთან მოკალათებულიყო და ფიქრების ამშლელ სივრცეს ასჩერებოდა!.. ხოლო საწერ მაგიდაზე პირველი თოვლივით უმტვერო სუფთა ფურცელზე ვერტიკალურად მოძრავ კალამს პოეტური შთაგონება დისტანციურად ანარნარებდა!!!

**გიტარის... სიმზე... თავს... იხრჩობს... ბოშა!..**

მერე, მანდ რა არის გამტანჯველიო?! – შემომეკამათება ზოგიერთი. ყოველივე ამის განცდა-გააზრებამ მაშინვე საპირისპირო განზომილებაში გადამისროლა!

ჰოდა, ზოგჯერ იმნაირ ე. წ. ლექსს წააწყდები, რომ პოეტის კალმის დისტანციურ ნარნარს ვილა დაეძებს – ავტორს თავისი კალამი ნიღრმოტეხილ წალდუნასავით წელში გაურჭვია და ვარაუდით წარმონადგენ ჯაგლაგ მხატვრულ სახეებს სამბისტ-კარატისტის ილეთებით ერკინება, რათა როგორმე ზურგზე გამოტოს, დაიმორჩილოს, არმატურის ტლანქ გალიას მიმსგავსებულ სალექსო ფორმაში ჯალათურად შეტენოს და გადალიანებულ სტრიქონს მაშინვე მიუკეტოს ღრჭიალა კარი!!!

## 7

**მარსიანი** თავის პოლემიკურ წერილში ოპონენტი მანდილოსნების გულმოსაკლავად თუ იკა ქადაგიდის „**ოჯახიშვილობასა**“ და მის „**ფიზიკურ გარეგნობას**“ ასხამს ხოტბას, ამავე ყაიდის წერილში „**დაცემის ანატომია**“ რედკოლეგიის მეორე წევრი, თემურ ნადარეიშვილი იკა ქადაგიდის „გასაკვირ“ განსწავლულობაზე – თანაც ფიზიკის სფეროში! – ამახვილებს მკითხველის ყურადღებას!

„გამაკვირვა იკას განსწავლულობამ ჩემს პროფესიაში – მას დიდი დაკვირვებით წაკითხული ჰქონია (უნდა იყოს: ან „დიდი დაკვირვებით წაეკითხა“. ან „დიდი დაკვირვებით ჰქონოდა წაკითხული“. ჯ.მ.) კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი „მამის“ (არ მესმის, ამ სიტყვასთან რა საჭირო იყო ბრჭყალები? ჯ.მ.), ნობელის პრემიის ლაურეატის (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.) **ვერნერ ჰაიზენბერგერის** წიგნი „**ნაწილი და მთელი**“ და (რა საჭირო იყო აქ ეს სრულიად უადგილოდ ნახმარი მაერთებელი კავშირი „**და**“? ჯ.მ.) იკამ საუბრისას ბევრი საინტერესო ანალოგი (თუ პარალელი?! ჯ.მ.) გაავლო მწერლობისა (უნდა იყოს მწერლობასა. ჯ.მ.) და ატომურ ფიზიკაში მიმდინარე „უცნაურ“, საღი აზრისთვის ერთი შეხედვით მიუღებელ მოვლენებს შორის. ასევე, როგორც ერთობ კრეატიულმა და ახალი იდეებით „დახუნძლულმა“ პიროვნებამ, შემომთავაზა ვლადიმერ ვისოცკის ლექსების თარგმნა“.

რას ნიშნავს **კრეატიული**? „უცხო სიტყვათა ქართულ ლექსიკონში“ (1989) არის კრეატიურა – პირი, რომელიც დანინაურე-

ბულია არა თავისი პირადი ღირსება-დამსახურების მიხედვით, არამედ გავლენიანი პირის, გავლენიანი წრეების წყალობით. გარდა ამისა, თ. ნადარეიშვილი რატომ არ გვიმხელს, იკა ქადაგიძე მაინც რა იდეებით იყო „დახუნძლული“.

აბა, როგორ არ გახევდები – რა საჭირო იყო აქ იკა ქადაგიძის განსწავლულობაზე სიცყვის ჩამოგდება და განზრახ გაჭიანურება? მით უმეტეს, ოპონენტები იკას განსწავლულობას კი არ უმონმებენ ან უწუნებენ, არამედ განხეთქილების მიზეზი – როგორც ამ სამივე ავტორის: იკა ქადაგიძის, მარსიანისა და თემურ ნადარეიშვილის წერილებიდან გამოსჭვივის! – სარედაქციო მუშაობა-ურთიერთობის სტილი და პოლიტიკა ყოფილა! მაგრამ უერთგულესი თანაგუნდელები ხელიდან არც ასეთ შემთხვევას უშვებენ, რათა ოპონენტებისა და მკითხველების თვალში თავიანთი მფარველი რედაქტორი ტიკივიტი გაბერონ! ტიკს კი მაშინ ბერავენ ხოლმე, როცა ის ცარიელია!

აი, ამის ერთ-ერთი მკაფიო, ოღონდ ვერ გადამინყვეტია, ამ მაგალითს რანაირი სახელდება მივუყენო! ამიტომ ეს მკითხველებისთვის მიმინდვია!

სამივე პოლემისტი – იკა ქადაგიძე, მარსიანი და თემურ ნადარეიშვილი – თავ-თავიანთ პოლემიკურ წერილებში სხვადასხვა მიზეზით „ისინდის“ რედაქციიდან განდგომილ და მერე ისევ შემორიგებულ თანამშრომელ ჭაბუკზე, თანაც ნიჭიერ პოეტზე (გასაგები მიზეზით ავტორისეულ ციტატაში მას მხოლოდ ინიცილებით მოვიხსენიებ!) ისეთი ლექსიკა-კილოთი და ბრაზდაგუბებით ბობოქრობენ, თითქოს XVIII-XIX სს. ჩრდილოამერიკელი მონათმფლობელები ბამბის პლანტაციიდან გაქცეულ მონა ზანგს ეძებნო, რათა სულ... ჯერ მარტო თ. ნადარეიშვილის წერილის სათაური რად ღირს - **„დაცემის ანატომია!“** მე არ გამოვუდგები ჩემამდე დაწყებული მათი დახვლანჯული ურთიერთობის გარჩევა-მეფასებას – ეს ამ წიგნის მიზანს არც წარმოადგენს!

თ. ნადარეიშვილის ამ წერილიდან მხოლოდ ერთ პასაჟს მოვიყვან. ოღონდ ამჯერად სტილს შეგნებულად არ შევეხები, ვინაიდან გარემოება ამ ციტატას შემოკლებული სახით მალე ისევ გამამეორებინებს და მკითხველიც უმალ დარწმუნდება, სტილთან შეხება მაშინ უფრო უპრიანი იქნება! აი, ეს ციტატაც!

„გვეგონა ახალგაზრდა ნევრს „განაწყენება“ გადაუვლიდა და დაკისრებულ მოვალეობას დაპირებისამებრ შეასრულებდა. აგვისტოში ზუგდიდში გამართულ ფესტივალზე ჩვენი რედაქტორი სერიოზულ ავარიასი მოჰყვა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს; ამ მოგზაურობის ამსახველი დღიურები იკამ თავის გვერდზე მაშინვე გამოაქვეყნა, რასაც კოლეგებისა და ნაცნობების მრავალრიცხოვანი გამამხნეველები გამოხმაურებები მოჰყვა. ჩვენდა გასაკვირად გ.შ.-მა საერთოდ არ გამოხატა რეაქცია ამ ფაქტზე – ასეთ დროს მტერსაც კი შეეხმიანება ადამიანი, მითუმეტეს, როდესაც თვითონ სჭირდებოდა, იკას მამის რექვიემიც კი გამოიყენა გუნდში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად და ვინ უშლიდა ხელს ელემენტარული თანაგრძნობა გამოეხატა მფარველი რედაქტორისათვის და არა სრული იგნორირება! ძალაუნებურად გამახსენდა ერთ-ერთი ჩანახატი ჩემი „სულის ფოტოგრაფიებიდან“ (იხილეთ „ისინდი“-ის 10-ე ნომერი).

ლედი ანნა: „მხეცმაც კი იცის შებრალება უმძვინვარესმა!“

რიჩარდ III: „მე კი არ ვიცი შებრალება და ამიტომაც მხეციც კი არ ვარ!

უილიამ შექსპირი: რიჩარდ III

(თარგმანი თემურ ნადარეიშვილის)...

ამ ციტატითაც კიდევ ერთხელ აეხადა ფარდა საშინელ სინამდვილეს: იკა ქადაგიძესა და მის გამლმერთებლებს დაკარგული აქვთ სინამდვილის შეგრძნება და დამლუპველ ილუზიურ სამყოფელში ცეცება-ცეცებით დაბორილობენ!

მოყვანილ ციტატას დაკვირდით: იკა ქადაგიძეცა და თემურ ნადარეიშვილიც თანამშრომლის მხოლოდ პროფესიონალურ მაჩვენებელსა და სამსახურობრივ ავკარგანობაზე კი არ ამახვილებენ ყურადღებას, არამედ ვერა და ვერ შელევნიან ამ პატივმოყვარულ საზომს – კარგა ხნის წინათ ვინ როგორ გაიზიარა რედაქტორის მამის რექვიემი ანდა რანაირად გამოხატა იკას ჯგუფურ ავტოავარიასი მოყოლის ცნობა!

გასაკვირია: სარედაქციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ამ ყაიდის პოლემისტურ წერილში ნუთუ ესეც უნდა აღნიშნულიყო?! ესეცო?!

ჰმ! აქ მთავარი სწორედ ეს არის, თ. ნადარეიშვილს საბაბი რომ გასჩენოდა, რათა ჟურნალის პირით მთელი საქართველო კიდევ ერთხელ ჩაეგდო გულისხმაში – იკა ქადაგიძე უმნიშვნელო ლიტერატორი არვის გეგონოთ! მისი ავარიაში მოყოლის ცნობამ მთელი ქვეყანა შეძრა, რამაც კოლეგებისა და ნაცნობების მრავალრიცხოვანი გამამხნეველები (ვაააჰ! ცხადია, გამამხნეველები გამოხმაურებები იქნებოდა, აბა, ნიშნის მოგებით ხომ არავინ გამოეხმაურებოდა?!).

თ. ნადარეიშვილი ამ ახალგაზრდა პოეტს მხეცს ხომ ადარებს და ადარებს და თან აგერ, როგორი ეჭვიც შეაქვს მის გულწრფელობაში: როდესაც თვითონ სჭირდებოდა, იკას მამის რეკვიემიც კი გამოიყენა გუნდში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად!

აქ კი თ. ნადარეიშვილი ნება-უნებლიეთ მიწასთან ასწორებს... რედაქტორს! იკა ქადაგიძე ნუთუ მართლა ისეთი გონებაჩლუნგია, ამ ახალგაზრდა პოეტისა არ იყოს, ოღონდ კი ვინმეს მამის რეკვიემისადმი თანაგრძნობა გამოეხატა და მორჩა – რედაქტორთან ყოველგვარი პოზიციების განმტკიცება უზრუნველყოფილი ექნებოდა!!!

რალაც გოგობიჭური ტიტინი და უაზრო მიდებ-მოდება!

ჰოდა, ამ ახალგაზრდა პოეტს ახლა კიდევ რედაქტორის ავტოავარიაში მოყოლასთან დაკავშირებით თავისი თანაგრძნობა რომ გამოეხატა, იმ რეკვიემისა არ იყოს, ვინ იცის, ამას კიდევ როგორ ანგარებიან განზრახვად ჩაუთვლიდნენ ან რანაირ გველისკანისებურ ჭრელ სარჩულს გამოაკერებდნენ!

მოკლედ, ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდებიო!.. ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!..

ან კიდევ, პოლემისტი რომ გაიძახის: იკას ავარიაში მოყოლის ცნობამ კოლეგებისა და ნაცნობების მრავალრიცხოვანი გამამხნეველები გამოხმაურებები მოიყოლაო, აქ როგორღა უნდა დადგინდეს, ყველა მათგანის გამოხმაურება გულწრფელი იყო თუ ზოგიერთს, როგორც „ისინდის“ სავარაუდო ავტორს, თვალთმაქცური თანაგრძნობის გამოხატვა იკა ქადაგიძესთან „თავისი პოზიციების განსამტკიცებლად სჭირდებოდა?!“

მამ, როგორ შეიძლება „მრავალრიცხოვან“ გულშემატკივართა ასეთი განუსხვავებლობა?! ამიტომ ამ ურთულესი საქმის გა-

მოძიებაც იქნებ თვითონ თემურ ნადარეიშვილს ეკისრა! ამას ალა-ალა არ ვლაპარაკობ: მარსიანი თავის წერილში „ქვიშანი...“ ერთგან აი, რას გვეუბნება (სტილი ავტორისეულია).

„...თემურ ნადარეიშვილი, რომელსაც იკამ „მეგრე“ შეარქვა დეტექტიური ალღოს გამო, მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე და უთქვამს კიდევ იკასთვის“.

ჰოდა...

## 8

**ჟურნალში** (ისინდი“, 2021, N13, გვ.23) ამ ავტოავარიის სარეკლამო ეპოპეას, თავისთავად ცხადია, სათავეს თვითონ იკა ქადაგიძე დაუდებდა. ჯერ ერთგან იუნყება.

„ერთი თვით ადრე ზედიზედ ორ ავარიას სასწაულით გადარჩენილი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), სიმართლის ცოდნას (უნდა იყოს შეტყობას ან თქმას. ჯ.მ.) ვიმსახურებდი“.

მეორეგან კი რედაქტორი შეუნიღბავი თვგაზვიადებით საყვედურობს თქვენთვის უკვე ნაცნობ ახალგაზრდა პოეტს- კომპიუტერით რატო თანაგრძნობის გამოხატვა მაინც არ მაღირსე „როცა საჯაროდ განხაურდა, რომ სიკვდილს სასწაულით გადავურჩი (უნდა იყოს „სიკვდილს სასწაულით რომ გადავურჩი“. ჯ.მ.).

ეს ყველაფერი მეტისმეტად პირადულია და, ცხადია, მათ ურთიერთობაში ჩარევის უფლება არავის აქვს! მაგრამ მთელი საქართველოს საცოდნელად ამ ავტოავარიების ასე წარამარა, თვითმიზნური ხსენება ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს: ამ ავტოავარიებში იკა ქადაგიძე თითქოს ბრმა შემთხვევებმა კი არ მოახვედრა, არამედ სამშობლოს გადასარჩენად რაღაც სასიკვდილო საფრთხეში თავი ორჯერ შეგნებულად ჩაეგდოს, უმადური ერი კი იკა ქადაგიძის გადარჩენის უკვდავსაყოფად იტალიიდან ჩამოტანილი ძვირფასი მარმარილოს მემორიალის აღმართვას არ ჩქარობდეს ანდა, ვინ იცის, იქნებ არც აპირებდეს!!! წარმოგიდგენიათ?!.. მოდი და ამის შემდეგ...

ან ვერნერ ჰაიზენბერგერის ამ წიგნს მაინც რა იმისთანა ჯადოსნური თვისება ჰქონია, რაკი იკას ოდესლაც ნაუკითხავს და

2011 წელს თემურ ნადარეიშვილთან მასლაათისას ესეც გახსენებია, მორჩა – „ისინდის“ რედაქტორი თავის ყველა ოპონენტთან მართალი იქნება ან უნდა იყოს!

ისე კი ყველაფერს აჯობებდა, იკა ქადაგიძე მშობლიური ენის ბუნებასა და გრამატიკულ კატეგორიებშიც ისეთივე განსწავლული ყოფილიყო, როგორც თემურ ნადარეიშვილის მტკიცებით, კვანტურ ფიზიკაში!

ერთი სიტყვით, თ. ნადარეიშვილი თუ დაპირისპირებული მხარეების განსჯას იკისრებდა და ჯოხს მაინცდამაინც ამ ჰაიზენბერგერის წიგნზე მიჰყუდებდა, სამართლიანობა მოითხოვს, მაშინ დანარჩენი ოპონენტების „განსწავლულობაც“ უნდა გამოეკვლია! აბა, როგორ?! ვინ იცის, მათ კიდევ კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი „მამის“ კი არა, იქნებ ქიმიის, ასტროფიზიკის, აგრობიოლოგიის, ჰელიოფიზიკის, კოსმოსური მედიცინისა თუ პეტროფიზიკის „მამების“ ფუნდამენტალური ნაშრომებიც ექნებოდათ ნაკითხული!

დავუშვათ და მართლა ასეც ყოფილიყო, მერე, ეს რა იმის წყალგაუვავალი საბუთია, რომ ისინი იკა ქადაგიძის წინაშე ცამდე ალალ-მართლები იქნებოდნენ, ის კი – მტყუანი?!

\* \* \*

**მკითხველისთვის** ესეც დამლელი და დამაღონებელია: სამივე პოლემისტის – იკა ქადაგიძის, მარსიანისა და თემურ ნადარეიშვილის ერთად აღებული წერილები ჟურნალის 32 გვერდს აჭარბებს!!!

ეს მეტისმეტად ბევრი ხომ არ არის ოთხ თვეში ერთხელ გამომავალი 70-გვერდიანი ჟურნალისთვის, თანაც ერთ ნომერში?!

მკითხველებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების წაკითხვა სურთ და არა „შიდაპარტიული“ განხეთქილების ამგვარი შურმაძიებლური დეტალური კეჭნაობა!!! თუ აღარ დაიშლიდნენ, ერთი მოკლე, ამომწურავი კოლექტიური წერილი გამოექვეყნებინათ და მორჩა – მკითხველები ყველაფერს იქიდანაც მიხვდებოდნენ! თორემ ავტორები თავ-თავიანთი წერილის ამა თუ იმ ადგილას გაბრუებულ მკითხველებს ერთსა და იმასვე რალაც დამაეჭვებელი სისხლმონყურებით უჩიჩინებენ და უჩიჩინებენ!...

საჭიროდ მიმაჩნია აქვე შევეხო მარსიანის პოლემისტური წერილის „ქვიშანი...“ ერთ ადგილს. ავტორი აი, რას წერს.

**„მე რომ წელიწადნახევრის განმავლობაში მოწყვეტილი ვიყავი გუნდს, თურმე აქ ერთი ამბები ტრიალებდა“.**

არადა, უნდა იყოს!

**„მე წელიწად-ნახევარი გუნდს მოწყვეტილი რომ ვიყავი, აქ თურმე ერთი ამბები ტრიალებდა“.**

რაკი ასე ყოფილა, უშუალოდ ვის თვალწინაც ეს „ერთი ამბები ტრიალებდა“, მათი ანუ იკა ქადაგიძისა და თემურ ნადარეიშვილის მწვავე პოლემისტური წერილები არ იკმარებდა?!.. მაშ, რალა საჭირო იყო იქ, შორეულ სოფელში მავანთა მიერ მობილური ტელეფონით დროდადრო შეტყობინებულ და მერე, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ თანაგუნდელების მოყოლილ ჭრელ-ჭრელ ამბებზე დაყრდნობით ბოლშევიკური პარტიის გენმდივნის თავდაჯერებითა და კილოთი ლაპარაკი?! მაგრამ რას იზამ – იკა ქადაგიძის „მოლაღატეების“ კისრებზე მარსიანსაც ხომ უნდა ეცადა თავისი ხმალკალამის სიბასრე!...

ერთი სიტყვით, ყველამ უნდა შეიგნოს და შეეგუოს: თანამშრომლების თვალსაზრისით ნიებისმიერი შრომითი კოლექტივი, მით უმეტეს, პერიოდული ლიტერატურული ორგანო, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ნიჭის, ბუნების, წარმოდგენებისა და მისწრაფებების მქონე შემოქმედთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა და არა, ვთქვათ, ლენინური პარტიის ჩანასახი ანდა იატაკქვეშა განგსტერული ორგანიზაცია, სადაც ყველა უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს მკაცრ პარტიულ ბელადსა თუ დაუნდობელ ბოსს: **ვისაც ჩვენთან ყოფნა არ უნდა და წავა, ის ჩვენი მტერია და განადგურება არ ასცდებოა!!!**

ორგანიზატორული ნიჭით, მოთმინებით, დაკვირვებითა და შორსმჭვრეტელობით დაჯილდოებულმა ნებისმიერი კოლექტივის ხელმძღვანელმა თანამშრომლებთან თვიდანვე ურთიერთობის ისეთი სტილი უნდა გამონახოს, ნიადაგი ვერ იპოვოს ვისიმე მანკიერმა თვისებებმა და სურვილებმა, რათა მერე საჭირო აღარ გახდეს მავნისადმი მკითხველისთვის მოსაჩვენებელ-სარეკლამო ლოლიაობა... ხვეწნა-მუდარა... ათასნაირ დათმობაზე

ნასვლა!.. ბოლოს კი, ვითომ „ყოველგვარ ზღვარს გადასვლისა“ და „მოთმინების ფიალის ავსების“ შემდეგ, ე.წ. „მოურჯულებელ-თა“ მტარვალური მოკვეთა... განდევნა... გარიცხვა... გაძევება... გარიყვა ანუ ჯავრმორეული ორგუნება ხელმძღვანელის მიერ გატარებული ნაირგვარი სადისტიურ-გულმოსაფხანი სადამსჯელო ღონისძიებები!..

## 9

**ნეტავი** ერთი მაცოდინა – ამ სტრიქონებს მარსიანი თავისი ქკუა-გონების კარნახით წერდა თუ იმ წამ-წუთებში თვითონ აზრზეც არ იყო და მამაზეციერი აწერილებდა?!

მარსიანი მარსიანად, მაგრამ თვითონ რედაქტორი? ნუთუ მარსიანის ამ წერილს იკა ქადაგიძის მაგივრადაც ვიზას მამაზეციერი აძლევდა, რედაქტორი კი კომპიუტერის ეკრანზე ამოსულ საჟურნალო ამ მასალას გონებანართმეულივით ყასიდადლა მიშტერებოდა!

მარსიანი თავის პოლემიკურ წერილში „ქვიშანი...“ რედაქციიდან განდგომილ ავტორთა ჯგუფზე ორგან აი, რასა და როგორ წერს. ავტორისეული სტილი ორგანვე ამჯერად დაცულია, მკითხველები რომ არ გადავლალო ან არ გავალიზიანო.

**„მათი შემოქმედება ხომ – ვთქვათ პირდაპირ – სულაც არ არის იმ ღირებულებისა, რომელიმე რედაქტორი რომ დაინტერესდეს და თავის ჟურნალში დაბეჭდვა მოინდომოს!..**

განდგომილებმა კი შეადარონ თავიანთი ახლანდელი მდგომარეობა „ისინდში“ ყოფნის დროინდელს და, მოდური გამოთქმა რომ ვიხმართ, „იგრძნონ განსხვავება“: არიან სხვა ჟურნალთა რედაქტორებისაგან ისე გალაღებულ-გაჯეჯილებულნი, როგორც „ისინდში“ იყვნენ?“

ალბათ, შეუძლებელია, ამაზე უფრო ობიექტურად შეფასდეს ჟურნალი და მისი რედაქტორის მხატვრულ-ლიტერატურული გემოვნება... მუშაობის სტილი.. ავტორთა შერჩევის მეთოდი და მიზანი... უკადრისი ზრახვები!

მარსიანის ამგვარი შეფასება პირდაპირ ოქროს წონას ეთანაბრება, ვინაიდან ამას ამბობს არა გალიზიანებული ანდა, ვთქვათ, „გადამტერებული“ რომელიმე გარეშე ავტორი, არამედ ჟურნალის ერთ-ერთი უერთგულესი მსახური და რედაქტორის უპირველესი მეხოტბე!

მორჩა, მარსიანის ამგვარი შეფასება ჟურნალის ყველაზე სანდო დამლად დარჩება, სანამ „ისინდი“ იკა ქადაგიძის ხელმძღვანელობით იბოგინებს!

ახლა უშუალოდ მარსიანის ციტატებს მივუტრიალდეთ! კი მაგრამ, განდგომილთა შემოქმედება თუკი მართლა ისეთი უვარგისი ყოფილა, რომ სხვა „რომელიმე რედაქტორი... თავის ჟურნალში“ არავითარ შემთხვევაში არ დაბეჭდავდა, მაშინ ასეთი გადაჭრილი დასკვნა თავისთავად წარმოშობს ბუნებრივ კითხვას – აბა, „ისინდის“ რედაქტორს რაგინდარა ავტორები რა მიზნით ჰყოლია **„გალადებულ-გაჯეჯილებულნი“**?

აი, რა მიზნით – ჟურნალში „ისინდი“ ნებისმიერ ავტორს შეუძლია თავისი ფოტოსურათისა და მასალის გამოქვეყნება, ოღონდ ერთი დაურღვეველი პირობით - ჟურნალის ყოველი ახალგამოსული ნომრის ხუთი ეგზემპლარი (25 ლარი) თითოეულმა ავტორმა თავისი ხარჯით უსიკვდილოდ უნდა შეიძინოს და როგორც „გაუხარდება“, სადმე ისე გაავრცელოს! წინააღმდეგ შემთხვევაში „ისინდი“ ველარ შეძლებს გამოსვლას და მაშინ მისმა რედაქტორმაც სადღა უნდა დაიამოს თავისი მრავალფეროვანი, ამოუნურავი უსაფუძვლო ამბიციები!

## 10

**„ისინდის“** ახალ-ახალი ნომრების კითხვა ასეთ ქართულ ანდაზას მაგონებდა და იქ ნაგულისხმევ ღიმილის მომგვრელ პროცესსაც წარმომადგენინებდა ხოლმე.

**უნახავმა ნაალი ნახა, ვაჰ, რა სანახავიაო!**

ჰოდა, როგორც ის უნახავი პირველად ნანახ ნაალზე ანუ ფაფუკ ლეიბზე ნაღმა-უკუღმა და თავდაყირა კოტრიალ-კოტრი-

აღლით ნეტარება და მალაყებზე გაბედულად გადადიოდა, იკა ქადაგიძესაც დაახლოებით ასე ემართება.

**უნახავმა ლიტურნალი ჩაიგდო ხელში, ვაჰ, რა კარგი ყოფილაო!**

მოკლედ, როგორც ის ლეიბის უნახავი, ისე იკა ქადაგიძე და მისი მეხოტბენი ამ თავიანთ ახალდაარსებულ ლეიბ-ჟურნალზე თავდავიწყებით „კოტრიალობენ“ ანუ ერთმანეთს ენის გათხე-  
ლებამდე აქებ-ადიდებენ!

მარსიანი იკა ქადაგიძეზე მოჯადოებულებით ნერს: უმრავ-  
ლეს კოლეგებს ფიზიკური გარეგნობითაც სჯობს... ოჯახიშ-  
ვილობაც მოსდგამს... თვითონაც კარგი საკუთარი ოჯახი აქვს  
შექმნილი... მთელი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიიდან  
ნიკო სამადაშვილსა და კორნაპელის (გიორგი კაპანაძე) შემდეგ  
იკა ქადაგიძის პოეზიას ვეთაყვანები!.. და საერთოდ, იკა ქადაგი-  
ძე მე გენიოსად მიმაჩნიაო!...

## 11

**თემურ** ნადარეიშვილი იკა ქადაგიძის აქამდე გაუგონარ და  
წარმოუდგენელ განსწავლულობას დაუტყვევებია: ჩვენი პირ-  
ველი შეხვედრისთანავე დავრწმუნდი, იგი იდეებით „დახუნძ-  
ლული“ რომ იყო!.. მას თურმე დიდი დაკვირვებით ჰქონოდა  
წაკითხული კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ვერ-  
ნერ ჰაიზენბერგერის წიგნი „ნაწილი და მთელი“ და სხვა!..

ცხადია, თავისი მეხოტბეების ვალში არც იკა ქადაგიძე დარ-  
ჩებოდა! ანდა, რატომ უნდა დარჩენილიყო – ხელი ხელსა ბანს,  
ორივე პირსაო!

ჰოდა, რედაქტორი ჟურნალის ფურცლებზე განინმატებით  
ეპაექრება რა „ვეფხისტყაოსნის“ მარსიანისეული ილუსტრაცი-  
ებით უკიდურესად აღმფოთებულ სარედაქციო კოლეგიის ერ-  
თ-ერთ ნევრს, პოეტ დალი კახიანს, მარსიანს, როგორც თვით-  
ნასწავლ მხატვარს, ფიროსმანს ადარებს და თავდაჯერებით  
აცხადებს: „არადა, სწორედ მარსიანის საუცხოო, ექსკლუზიური  
(?! ჯ. მ.) ნამუშევრები „ისინდის“ წარმატებას აორმაგებდა“. „...“

არადა, მარსიანის... საუცხოო ნახატები უცვლელ საფირმო ნიშნად რჩებოდა“.

რედაქტორის მიერ მოწონებულ და ჟურნალში ხელგაშლით გამოქვეყნებულ თემურ ნადარეიშვილის სენტენციებიდან წელან ზოგიერთ მათგანს შევჩეხე და დაე, მკითხველებმა თავად განსაჯონ ამ შენიშვნების ავკარგიანობა.

იკა ქადაგიძე უფრო შორს წავიდა და სენტენციებს ვილა დაეძებს – ახლა შექსპირის დრამების – „რიჩარდ III“ და „ჰამლეტი“ ნადარეიშვილისეული თარგმანების ნაწყვეტები დაბეჭდა მთარგმნელის თავისებური კომენტარებით და ყველას დასამუნჯებლად გაიძახის – ეს შექსპირის შესანიშნავი თარგმანებიაო! თან ამასაც უმატებს: **„თავის დროზე ლიტერატურულ სამყაროში შექსპირის პიესების მრავალნახნაგოვანი და კოლორიტული ინტერპრეტაციით გაითქვა სახელი“** („ისინდი“ 10, გვ.10).

მეორე ქართულმა ანდაზამ აქ კი დამძეხა: მარწყვი მპირდება გასუქებასა, გული არ მითხრობს აღსრულებასაო!

მკაცრმა სინამდვილემ ერთი შეხედვით აქ თითქოს გამოუვალ ორნოხებში შემიტყუა, ვინაიდან ჩემს სიცოცხლეში რომელიმე უცხო ენიდან ქართულად ანდა ქართულიდან სხვა ენაზე არასოდეს არაფერი მითარგმნია.

ამას ისიც ემატება, რომ ინგლისური არ ვიცი და შექსპირის მთარგმნელს დედნის მიხედვით ფეხდაფეხ ვერ მივყვები! ამიტომ ოპონენტებთან ჩემი პაექრობის ერთადერთი საშუალება ისევ და ისევ ჩვენი მშობლიური ქართული ენა იქნება!

„ისინდის“ (9, 2020) ფურცლებზე დაიბეჭდა თემურ ნადარეიშვილის წერილი „შეხვედრები ვლადიმერ ვისოცკისთან და ანდრეი ტარკოვსკისთან“. აი, როგორია ამ მასალის დასაწყისი.

„ცხოვრებაში რამდენიმე ბედნიერი შეხვედრა მქონდა საინტერესო ადამიანებთან, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ჩემზე – ბევრი რამ შემძინა და მასწავლეს მათ“.

აბა, როგორ მოგწონთ ეს „შემძინა და მასწავლეს მათ?!“

ახლა გულზე ხელდადებით მითხ... თუმც მე კი არა, ავტორსა და რედაქტორს უთხარით – ამნაირად მოქართულებს აქვთ კი მორალური უფლება, ერთმა მათგანმა შექსპირის დრამები თარგმნოს, მეორემ კი უბეჭდოს?!

„ისინდში“ (13, 2021) დაიბეჭდა იგივე ავტორის, თ. ნადარეიშვილის პოლემიკური წერილი „დაცემის ანატომია“. ჟურნალის მიძიმე მდგომარეობით დამწუხრებული ავტორი ერთგან აი, როგორ წერს.

### **„ვის აწყობდა ჟურნალის საქმის შეფერხება?“**

ყველა წიგნიერი უმაღლეს მიხვდება, ამ წინადადებაში რომ სრულიად ზედმეტია სიტყვა „საქმის“, მაგრამ ამას თავი დავანებოთ! **„ვის აწყობდა!“** – ქართულში შემოსული და დიდი ხნის წინათ დაგმობილი რუსული ენის კალკია – უნდა იყოს **„ვის აძლევდა ხელს!“** ეს კი არც შექსპირის მთარგმნელს და არც უსაფუძვლოდ ყელმოღერებულ რედაქტორს თურმე არა სცოდნია!

ჰოდა, რას დაემსგავსება, თ. ნადარეიშვილმა „ჰამლეტის“ ან „რიჩარდ III“-ის ნაწყვეტების თარგმანში რომელიმე პერსონაჟს თავდაჯერებით ათქმევინოს: **„ეს ვის აწყობდა?!“** იკა ქადაგიძემ კი, ცხადია, ჩაუსწორებლად დაბეჭდოს და თან ყელიც მოიღეროს-შექსპირის პიესების ეს რა ტოლდაუდებელი მთარგმნელი აღმოვაჩინეო!!!

პატივცემულო მკითხველებო, მომიტევეთ ამდენს რომ განვალებთ, მაგრამ წელან შეპირებული თ. ნადარეიშვილის ის ციტატა გარჩევის მიზნით ხელახლა უნდა გავიმეორო. აი, ისიც!

**„ავგისტოში, ზუგდიდში, (რა საჭირო იყო ეს მიძიმე?! ჯ.მ.) გამართულ ლიტერატურულ ფესტივალზე ჩვენი რედაქტორი სერიოზულ ავარიში მოჰყვა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. (უნდა იყოს „სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ჯ.მ.)“.**

უკიდურესობამდე აღსაშფოთებელია ავტორისა და რედაქტორის მიერ აქ გამომჟღავნებული ქართული ენის ორთოგრაფიული უმარტივესი ნორმების სრული უცოდინარობა! აღშფოთებას ის უფრო აძლიერებს, რომ უკადრისი სიჯიუტით ცდილობენ, დასაძრახი თვითრეკლამის გამოყენებით ამ ავტოავარიით მთელი საქართველო აალაპარაკონ, რათა იკა ქადაგიძე იქნებ ასეთი ფანდით მაინც გახდეს (გახადონ) პოპულარული! მაგრამ იმდენი ენობრივი საფანელიც არ მოსდევთ, თავიანთი ორი ღერი სათქმელი მკითხველებს დაუმახინჯებლად აუწყონ!

ჰოდა, ეს რანაირი ქართულია: **„ჩვენი რედაქტორი სერიოზულ ავარიში მოჰყვა“.**

ნორჩი მკითხველებისთვის აქ საილუსტრაციო წინადადებებს მოვიყვან!

„მოსწავლე გაკვეთილს შეუფერხებლად მოჰყვა“. „მწერალი საინტერესო ამბავს მოჰყვა“. „გიას თბილისელი ძმაკაცი მოჰყვა“. „ამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია“. „ზაფხულს შემოდგომა მოჰყვება“ და ა. შ.!

მაგრამ

„მავანი ავარიაში მოყვა“, „მონადირე მგლების ხროვაში მოყვა“. „მზვერავი მტრების გარემოცვაში მოყვა“. და ა.შ.!

ასე რომ, „ჩვენი რედაქტორი“ ავტოავარიაში კი არ მოჰყოლია, არამედ ავარიაში მოყოლილა! (იხ. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, გამომცემლობა „განათლება“, 1998 წ. გვ.382, სვეტი პირველი, ზემოდან მე-14 სიტყვა-განმარტება).

## 12

„ისინდის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ „შექსპირული ჩანახატების“ დასაწყისშივე თ. ნადარეიშვილი აცხადებს: „შექსპირის პიესებიდან განსაკუთრებით მიყვარს „ჰამლეტი“ და „რიჩარდ III“, რომლებიც თითქმის მთელი ცხოვრება თან მომყვებიან“.

ამის დასტურია „ჰამლეტიდან“ ორ ადგილას ივანე მაჩაბლისაგან განსხვავებული მისეული თარგმანი. თ. ნადარეიშვილი ჯერ მაჩაბლისეულ თარგმანს ეხება. მოუსმინეთ.

**დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა  
მე რად მარგუნა მისი შეკვრა!**

(განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, (აქ რა საჭირო იყო ეს მძიმე?! ჯ.მ.) მომყავს ამ ადგილის ინგლისური ვარიანტი (ანუ დედანი! ჯ.მ.) და ჩემი თარგმანი).

„The time is out joint; Of cursed spite  
That ever I was born to set it right.“

„Joint“ არის სახსარი, ხოლო „is out of joint“ სახსრიდან ამოვარდნას ანუ ნაღრძობობას ნიშნავს (ოლონდ „ნაღრძობია“ თავად დრო!), ამიტომ ეს ადგილი შემდეგნაირად ვთარგმნე.

**„დრო ნალრძობია; წყეულო ბედო,  
მე რად მარგუნე მისი განკურვნა!“**

ჯერ ერთი, უნდა იყოს არა „განკურვნა“, არამედ „განკურნვა“. მეორეც, პიესის თავისებურებისა და მისი მხატვრული რიტმის შესანარჩუნებლად ეს მეორე სტრიქონი სინტაქსურად ასე უნდა აგებულიყო.

**„მე რად მარგუნე განკურნვა მისი!“**

თ. ნადარეიშვილი მკითხველებს ჩაყოლით უხსნის: „ჰამლეტის“ დედნის მიხედვით ესა და ეს სიტყვები სახსარს, სახსრიდან ამოვარდნას ანუ ნალრძობობას ნიშნავსო! ეს ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ ინგლისურ ენაში – როგორც სხვა უცხო ენებშიც! – ამა თუ იმ პირდაპირი აზრის გარდა, ადვილი შესაძებელია, სხვა, ხატოვანი მინიშნებაც ჰქონდეთ! სრული თვალსაჩინოებისთვის „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმათა ლექსიკონიდან“ ავიღოთ, მაგალითად, ეს გამოთქმა: **ცხვარი ფეხზე ჰყავს გამობმული** ანუ ბებერია, საცაა მოკვდება და მის ქელეხში ცხვარი დაიკვლებაო!

ახლა წარმოვიდგინოთ, თბილისში კარგა ხნის ნაცხოვრები ინგლისელი ლიტერატორი რომელიმე ქართველი მწერლის წარმოების თარგმნას შეუდგა და ერთგან ამ გამოთქმასაც წაანყდა! ეს პირდაპირ ასე რომ თარგმნოს, ცხადია, ბრიტანელ მკითხველებს გაუკვირდებათ: ადამიანს ფეხზე ცხვარი რომ ჰყავდეს გამობმული, როგორღა უნდა იაროს ან ფეხზე ცხვრის გამობმა რად უნდათო! ამ გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობა მთარგმნელს რომ აუხსნან, ეს საქმეს მაინც ვერ უშველის – ის ყველა თანამემამულე მკითხველს ხომ ვერ ჩამოუვლის და აუხსნის! სქოლიოში განმარტოს? ასე რომ მიჰყვეს, მხატვრული წარმოები სულ გადაჭრელდება და უღიმღამო საკანდიდატო დისერტაციას დაემსგავსება!

მოკლედ, იმ ინგლისელ მთარგმნელს ერთადერთი სწორი გზა დარჩენია – ამ ქართულ ხატოვან გამოთქმას თავისი მშობლიური ენიდან შესაბამისი გამოთქმა მოუძებნოს და მორჩა! თუმც ის უცხოური გამოთქმა ახლა ჩვენ, ქართველებს რომ გვითარგმნონ, ვინ იცის, რანაირ შთაბეჭდილებას მოახდენს ან როგორ შევაფა-

სებთ! მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ექნება – რაც მთვარია, იმ ინგლისელმა მთარგმნელმა თავისი მშობლიური ენის ხატოვანი საგანძურისგან ქართველი მწერლის მსგავს გამონათქვამს ისეთი ფრაზა შეურჩია, არამცთუ აზრი არ დაეკარგა, არამედ გასაოცარ სიმაღლეზე აიყვანა! თუმც ამ ორივე ფრაზის – ქართულისა და ინგლისურის – ცალ-ცალკე აღებული სიტყვასიტყვითი თარგმანი ორივე ერის მკითხველებს ბევრ ვერაფერს გააგებინებდა!

ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში წინ ჰამლეტის ამ ცნობილი გამონათქვამის თარგმანის ორი ნიმუში გვიძევს – **ივანე მაჩაბლისეული** და **თემურ ნადარეიშვილისეული**, რომელსაც, როგორც თვითონვე აგვიხსნა, მაჩაბლისგან განსხვავებით, დედანი სიტყვასიტყვით უთარგმნია და ამით თავსაც გვანონებს.

პირდაპირ ვიტყვი: შექსპირის ნათქვამის სიტყვასიტყვით გადმოღებული თ. ნადარეიშვილისეული თარგმანი ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველი მკითხველისა და ასევე რიგითი მწერლისთვის სრულიად მიუღებელია და აი, რატომ: დედნის პატიოსანი ტყვე ანუ თ. ნადარეიშვილის ჰამლეტი როგორც კი იტყვის – **დრო ნაღრძობია, წყეულო ბედო, მე რად მარგუნე მისი განკურნავო**, დანიის კეთილშობილი პრინცი ჩემს წარმოდგენაში უცბად გადაიქცა კოლმეურნეობის ვეტუბნის რიგით ბეითლად ანუ საქონლის ექიმად, არტაშანებითა და სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატებით სავსე, აქა-იქ თრევისგან გადაცვეთილი ბრეზენტის ჩანთა მხარილღივ რომ გადაუკიდია და ფერმიდან ფერმაში დაიარება, რათა ტრავმირებულ საქონელს „სახსრებიდან ამოვარდნა ანუ ნაღრძობობა“ არტაშანებით მჭიდროდ შეუკრას და თავისი მოვალეობის მიხედვით უმკურნალოს!

მოკლედ, ეს ორი სიტყვა – **„ნაღრძობი“** და **„განკურნავა“** – მიუხედავად აქ დრო არის ნაგუსხმევი! – პიესას უფერმკრთალებს დედაიდებს, სავალდებულო ეპოქალურ შემართებას და შემთხვევით ტრავმირებულის მკურნალობის ჩვეულებრივ ღონისძიებამდე დაჰყავს!

გარდა ამისა, როგორც ჰამლეტის პიროვნებას, ისე ამ ფრაზასაც დრამატიზმს სულ უფერმკრთალებს შემდეგი გარემოება: **„წყეულ ბედს“** ჰამლეტი, მაჰატიეთ და, ისე ეკამათ-ეკინკლავება,

როგორც, მაგალითად, ბაზრის მეზობელს ანდა შეზარხოშებულ მე-  
ეტლეს – **მე რად მარგუნო!**

ჰოდა, ამგვარი საყვედურის მოსმენის შემდეგ ჰამლეტის პი-  
რისპირ დაყენებული – გაკვირვებული, განაწყენებული, შე-  
ურაცხყოფილი თუ განრისხებული „წყეული ბედიც“ დანიის  
პრინცს როგორ მოექცევს?! ვაითუ დაურიდებლად მიახლოს: მე  
მართლა ეპოქალური დიდსულოვანი პიროვნება მეგონე, შენ კი...  
მაგრამ შევმცდარვარ!!! ახლა გამიშვიხარ, ოთხკუთხივ გზა ხსნი-  
ლი გაქვს, მაგ მისიას კი სხვას, უფრო ღირსეულს დავაკისრებო!  
მაშინ?... თუმც სად გაგონილა უხილავი „წყეული ბედისა“ და მი-  
სი ნებისმიერი მოკვდავი მონა-მორჩილის ასე პირისპირ დგომა  
და ვაჭრობა?!

## 13

**ახლა** მაჩაბლისეულ ნახელავს დააკვირდით: **წყეულმა ბედმა  
მე რად მარგუნო!** ფრაზის ასეთი გენიალურობით აგებამ ძირ-  
შივე გამორიცხა შეუძლებელი, დაუშვებელი და წარმოუდგენე-  
ლი რამ – ჰამლეტისა და „წყეული ბედის“ მოკრივეებისებურად  
პირისპირ დგომა... „მეგობრული“ კამათი... ურთიერთბრალდე-  
ბები... „განაჩენის კასაცია...“ ახლებური გარიგება... ეპოქალური  
ტვირთის შემჩატებაზე უგვანო ღიჯინი ან ამ ტვირთის სულაც  
სხვებზე გადატანის ნამქეზებელი მინიშნება!

მაჩაბლისეული ფრაზა – **მე რად მარგუნო**, აშკარად გვახ-  
ვედრებს, რომ ჰამლეტმა არ იცის... თუმც როგორ შეიძლებო-  
და ეს არ სცოდნოდა – ბედი, ბედისწერა უხილავია! მას, ცხადია,  
არც ის ეცოდინებოდა, „წყეულმა ბედმა“ ასეთი უმძიმესი ხვედ-  
რი როდის განუსაზღვრა – ამქვეყნად გაჩენისთანავე თუ ჯერ  
კიდევ მის გაჩენამდე?! ბედისწერისას რას გაიგებს?! ის კი არა,  
ასეთი მძიმე ხვედრი თავისი ფილოსოფიური გეშით შეიძლება  
ჰამლეტმა თავის თავს თვითონვე განუსაზღვრა, ხოლო თავმ-  
დაბლობის ანდა მიუხვედრებლობის გამო ამას „წყეულ ბედს“  
აბრალებს და უკავშირებს! ვინ იცის!..

ასეა თუ ისე, მაჩაბლისეულ ამ ოდიპოსის მსგავს გარემოში უხილავი „წყეული ბედისადმი“ მხოლოდ ტვირთმორეული პრინცი გაუბედავი, თანაც ნაგვიანევი და ამდენად, უშედეგო შეჩვილის მოკრძალებული ნოტები გაისმის – **მე რად მარგუნო!** თ. ნადარეიშვილის თარგმანში კი ტეტიური საყვედური – **რალა მე მარგუნო!**

14

**როგორც** თ. ნადარეიშვილმა გაგვითვალსაჩინოვა, ეს ფრაზა თვითონ დედნის მიხედვით უდანაკარგოდ უთარგმნია, ივანე მაჩაბელთან კი საერთოდ არ ჭაჭანებს სიტყვა-ტერმინები: **დრო ნალრძობია...სახსარი... სახსრიდან ამოვარდნა... ნალრძობობა!**

მერე, ეს ივანე მაჩაბელს ინგლისური ენის უცოდინარობად, დედნისადმი უსულგულო დამოკიდებულებად და თვით შექსპირის შეურაცხყოფად უნდა ჩაეთვალოს?!

აქ შეფასების ერთადერთი სწორი საზომი მხოლოდ თარგმანის მხატვრული ხარისხი იქნება! დედნის მიხედვით დრო რომ ნალრძობია, ახალგაზრდა მთარგმნელის, ივანე მაჩაბლისთვის, ეტყობა, ბევრს არაფერს ნიშნავდა! დრო ნალრძობია?! ამას ყველა ისედაც ხედავდა! მაშ, რალა ფასი შეიძლება ჰქონოდა ჰამლეტის მიერ ამის თუთიყუშისებურ გამეორებას?! დრო ნალრძობია?! კი მაგრამ, რა აქვს ნალრძობი: ფეხი... ხელი... ხერხემალი... კისერი... მყესები დასჭიმვია თუ ძარღვები აჰყრია?! მაგრამ ეგ არაფერი – მაგასაც მოევლება: გამოცდილი დასტაქრები მალამოს მოსცხებენ, ხის ან ტყავის არტაშანებით მაგრად შეკრავენ და ნამკურნალევი ის დრო, ორ-ორი ყავარჯნით მაინც ისევ იხანხალ-ილახლახებს!!! ამიტომ შექსპირის ეს მოსწრებული გამოთქმა – **„დრო ნალრძობია“**, მაჩაბელს, ეტყობა, მხოლოდ გენიალური შთაგონების წყაროდ ექცა და მასში ნაგულსხმევი აზრი ისეთ სიმაღლეზე ატყორცნა, ჩემი დაკვირვებით, თვით ავტორსაც კი აჯობა!

ამგვარი მსჯელობა ნურავის ნურც გააკვირვებს, ნურც აღაშფოთებს: ლიტერატურის ისტორიამ რამდენი მაგალითი იცის, როდესაც მთარგმნელს მთლიანი სათარგმნი ნაწარმოები

ან გამორჩეული ადგილები მის ავტორთან შედარებით გაცილებით უკეთეს მხატვრულ სიმაღლეზე აუყვანია!

### **დროთა კავშირი დაირღვა!**

მაჩაბლისეული ეს ფრაზა გაცილებით ყოვლის მომცველი, შთამბეჭდავი და ზოგადსაკაცობრიოა, ვიდრე **„დრო ნალრძობია,“** თუნდაც იმიტომ, რომ დროის ნალძობობას ბევრი ხედავს, **დროთა კავშირის დარღვევას** კი მხოლოდ ჰამლეტისნაირი ერთეული პიროვნებები გრძნობენ!

ამრიგად, ივანე მაჩაბლის გამჭრიახმა ჭკუა-გონებამ სწორუტყუვრად იგუმანა: დროის კავშირის დარღვევისას იშლება საზოგადოების მახსოვრობა-მეხსიერება და ნორმალური ურთიერთობა! ამიტომ ადვილი შესაძლებელია მთელი კაცობრიობა ყოფნა-არყოფნის წინაშე აღმოჩნდეს!

შეუძლებელია, აქ ბუნებრივი კითხვა არ დაიბადოს: კი მაგრამ, რას უნდა დაერღვია დროთა კავშირი? შექსპირის მთელი ეს პიესაც სწორედ ამის მხატვრულ განზოგადებას ეძღვნება!!! რასა და სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადოების ყველა თუ სხვადასხვა ფენაში გაჩენილ საშინელ სენს – სოციალურ-პოლიტიკურ ეროზიას ანუ... თუმც მისი დასახელება ცოტა ნაადრევია, ვინაიდან მალე ისევ შევხვდებით!

მოკლედ, დედნიდან თ. ნადარეიშვილის მიერ პატიოსნურად გადმოთარგმნილი „განკურნვა“ – პიესის მთავარ მოქმედ გმირს მეტისმეტად ვიწრო პროფესიული სპეციალისტის დონემდე აქვეითებს და რომელიმე მათგანის სპეცტანსაცმელში ახვევს! არადა, ჰამლეტი იყო, ვთქვათ, არა დასტაქარი... ტრავმატოლოგი... რევმატოლოგი ან კარდიოლოგი და მით უმეტეს, რენტგენოლოგი, არამედ თავისი **„ნალრძობი“** ეპოქის უხელობო, ოღონდ ყველასაგან განსხვავებული, ღრმადიეურად მოაზროვნე პრინცი!!!

აქ ყველა გონებაგახსნილი წიგნიერი თავისითაც მიხვდება: მაჩაბელს სანიმუშო გენიად უნდა ჩაეთვალოს, შექსპირისეულ დედანს ბრმა მოკრძალებით რომ არ გაჰყოლია და თავის მხატვრულ ალღოს მონამებრივად მინდობილს ამ ფრაზებში – **„დრო ნალრძობია“** და **„განკურნვის“** ნაცვლად **„დროთა კავშირი დაირღვა“** და მისი **„შეკვრის“** აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე კაცობრიობას გაბედულად მიუთითა!!!

ნორჩმა მკითხველებმა იქნებ მიაშიტად იკითხონ: კი მაგრამ, იმ დროის პერიოდებს შორის დარღვეული კავშირი ჰამლეტმა როგორ ანდა რით უნდა შეკრასო: ჯაჭვებით... საზღაო სქელ-სქელი ბაგირებით... ძმათამკვლელი ომებით... მაღალი წრის მანდილოსანთა ოქროს ყელსაბამებით... ტახტის მიტაცებით თუ მეეტლის გამძლე ღვედებით?! არა და არა!

დანის სწორუპოვარმა პრინცმა დარღვეულ – განცალკევებული დროთა პერიოდები უნდა შეკრას ახალი ჰუმანური იდეებით... მაღალი საზოგადოების მანკიერი თვისებების პირუთვნელი მხილებით... ფესვგადგმულ ბოროტებასთან ხმალდახმალ საბესისწერო შერკინებით, რაც ასეც ხდება!...

დასასრულ, თ. ნადარეიშვილის მორცხვი მხილება – ამ ფრაზების გადმოქართულებისას ივანე მაჩაბლის თარგმანი დედანს აცდენილიაო, სრული სიმართლეა! მაგრამ ეს შექსპირის საკადრისი ისეთი გენიალურობითაა „აცდენილი“, შიში და სიხარული ერთდროულად გვეუფლება – რაღა გვეშველებოდა, ღმერთს ჩვენთვის **ივანე მაჩაბელი** რომ არ მოეგლინებინა და თავისი გენიის კარნახით სადაც საჭიროდ დაინახავდა, ის ფრაზა დედნისთვის იქ ისე არ „აეცდინა!“ მაშინ გრაფომან-ეპიგონთა პათოლოგიური აკვიატების წყალობით ფრიდრიხ დიდისდროინდელი (1712-1786) პრუსიული სამხედრო წესდების სიტყვასიტყვითი რუსული თარგმანისებური შექსპირის პიესების ხეშეში ასლები გვექნებოდა!

## 15

**შექსპირიდან** ივანე მაჩაბლის თარგმანების დედანთან პედანტური შედარებით გატაცებული თემურ ნადარეიშვილი მაჩაბლისეულ კიდევე ერთ ფრაზას უკირკიტებს, ხოლო ამავე ფრაზის თავისეულ თარგმანს ისეთი თავდაჯერებითა თუ გულუბრყვილობით გვიქებს, რომ... თუმც ჯობია ჩვენ სმენად ვიქცეთ, ყური კი მას დავუგდოთ!

„6) ასევე საინტერესოა მარცელიუსის შემდეგი ცნობილი ნამოძახილი „მგონი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), დანიას ელის უბედურება!“

ეს ივანე მაჩაბლის თარგმანია. ორიგინალში კი წერია:

„Something is votten in the state of Denmark“.

ი. მაჩაბლის თარგმანში წინა პლანზეა წამოწეული შემდეგი – ის, რომ დანიას ელის უბედურება, ხოლო მიზეზი ისაა, რომ დანიაში რაღაც ლპება (votte), მაგრამ ხომ შეიძლება რაღაც ცუდი, უვარგისი ლპებოდეს – მაშინ შედეგი ხომ სასურველი იქნება! ამიტომ, მე მგონი, უმჯობესია ზუსტად მივყვეთ ორიგინალს და გამოვყოთ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), რაც მიზეზია (შედეგის მიუხედავად!) – ის, რომ რაღაც ლპება! ამიტომ ეს წამოძახილი შემდეგნაირად ვთარგმნე.

**„რაღაც ჩამპალა დანიის სამეფოში!“**

მე ვიხმარე სიტყვა „ჩალპა“. ალბათ (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), უმჯობესია ამგვარი გაძლიერება, რაც კარგი იქნება სცენისთვის – როდესაც მსახიობი ამ სიტყვას წარმოთქვამს, ამას უფრო ემოციური დატვირთვა ექნება!“

ივანე მაჩაბლის ნაღვანის ეს რა გრაფომანული რევიზიის მონმენი ვხვდებით?! წელანდელი არ იყოს, თემურ ნადარეიშვილი მიზანმიმართული აკვიატებით აქაც იმნაირადვე გვიმეორებს – ის ფრაზა ივანე მაჩაბელს ასე და ასე აქვს ნათარგმნი, ორიგინალში კი აი, რა წერიაო, რომ მკითხველებს ბოლოს და ბოლოს, იქნებ როგორმე „თვალი აუხილოს“: ივანე მაჩაბელს ხეირიანად თურმე არც ინგლისური ენა სცოდნია და არც საიმისო მხატვრული ალლო ჰქონია, სად რა როგორ უნდა გადათარგმნილიყო!

ამ ციტატაში თემურ ნადარეიშვილი ივანე მაჩაბელს არამცთუ თავს უტოლებს, არამედ თავსაც ამეტებს და გაუწითლებლად აცხადებს: ამიტომ ეს ფრაზა მე შემდეგნაირად ვთარგმნეო!

**„რაღაც ჩამპალა დანიის სამეფოში!“**

თ. ნადარეიშვილი აქ ბრმად ატრიალებს თავის კალმისტარს და სულ არ უფიქრდება, რას წერს! ორიგინალი იმას კი არ გვაუწყებს, დანიაში მალე რაღაცა დალპება, ლპობას დაიწყებს ანდა უკვე დალპა და მით უმეტეს, „ჩალპაო“, არამედ ანმყო დროით გვაფრთხილებს – დანიაში რაღაცა ლპებაო!

ერთი სიტყვით, დედანში ხაზგასმულია უბედურების მიმანიშნებელი ლპობის პროცესი, რომელიც, ვინ იცის, სადამდე გასტანს ან რანაირი დასასრული და შედეგი ექნება!!!

შექსპირის ახალბედა მთარგმნელი ფალავნური თავდაჯერებით აცხადებს: მე ვიხმარე სიტყვა „ჩალპა!“ ალბათ, უმჯობესია ამგვარი გაძლიერება, რაც კარგი იქნება სცენისთვის – მსახიობი ამ სიტყვას რომ წარმოთქვამს, ამას უფრო ძლიერი ემოციური დატვირთვა ექნებაო!

ამ ადგილას სიტყვის „ჩალპა“ ხმარება აზრს კი არ აძლიერებს, როგორც ეს მთარგმნელს ჰგონებია, არამედ პირიქით – ყველაფერს თავდაყირა აყენებს, მკითხველს თავგზას უბნევს და ხეირს არც მაყურებლებს დააყრიდა! პირდაპირ გასაკვირია, რანაირად შეიძლება ამგვარ სათუო „იქნება-ექნება“-ზე საკუთარი ნახელავის უცილობელი უპირატესობის თვითრწმენის დამყარება?!.. არადა, აქედან ცხადი გახდა, რომ ორივეს – თემურ ნადარეიშვილსაც და იკა ქადაგიძესაც – არ ესმის პიესის ამ ადგილის დედააზრი და რაც უფრო სავალალოა, ვერ გრძნობენ მშობლიური ენის შესაძლებლობებსა და სინატიფეს!

ამის ნათელყოფაზე იოლი არაფერია!

თემურ ნადარეიშვილი ასე რომ უცდუნებია, რას ნიშნავს სიტყვა „ჩალპება?“ ლექსიკონი გვეუბნება – **შიგ დალპება!**

ჰოდა, შექსპირს აქ ქვაბ-ქოთნებსა და ხის ან თიხის დერგებში ჩანყობილი გამოუშიგნავი ნედლი თევზი, სამწვადე სუკები თუ მალალი ხილ-ბოსტნეული, ვთქვათ, ლელვი, ატამი, ბალი, ქლიავი, ნესვი... ქინძი, კამა კი არა აქვს მხედველობაში, არამედ პოლიტიკური რეჟიმი... სახელმწიფო წესწყობილება... მართლმსაჯულება... საყოველთაო მორალი... ზნეობა, რაც შეუძლებელია რამეში ჩადებულ და მივიწყებულ სურსათ-სანოვაგესავით **შიგ ჩამპალიყო!** აქ ჩამოთვლილი კატეგორიები დანიაში, კიდით კიდემდე, ყველას თვალწინ, ზედაპირზე „ელაგა“ და თურმე ზეზეურად ლპებოდა, მათი გაჯანსაღებისთვის კი თავს არავინ იტკიებდა, რაც დანიის სახელმწიფოს გარდაუვალ უბედურებას უქადდა!

ეს გამონაკლისი როდია! თემურ ნადარეიშვილი „ჰამლეტის“ ცნობილი მონოლოგის ივანე მაჩაბლისეულ თარგმანსაც – მისივე შეფასებით რომ ვთქვათ – აძლიერებს! როგორ? ამას მასზე უკეთ ვერვინ აგვისხნის!

„ისინდის“ მე-14 ნომერში გამოქვეყნდა თ. ნადარეიშვილის ნერილი „ჰამლეტი-ყოფნა-არყოფნის მონოლოგი“.

ჯერ ავტორის სრული პროლოგი მოისმინეთ.

„მსოფლიო დრამატურგიაში ჰამლეტის ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მონოლოგი განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს. ამიტომ ჯერ მომყავს ამ მონოლოგის მთლიანი ჩემეული თარგმანი, ბოლოს კი საკუთარი კომენტარები“.

რახან ასეა, ოპონენტის სურვილი ზუსტად შეეფუსრულოთ!

ჰამლეტი:

ყოფნა?.. არ ყოფნა?.. (უნდა იყოს არყოფნა?... ჯ.მ.) საკითხავი მხოლოდ ეს არის!

რა ურჩევნია სულდიდ არსებას?

ის (აქ მძიმე უნდოდა.ჯ.მ.), რომ იტანჯოს მუხთალი ბედის გაუნწყვეტელი დამცირებებით

თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას

და მოსპოს იგი ამ შეებრძოლებით?

მოსპოს სიცოცხლე... მიიძინოს...სხვა არაფერი...

ამ მიძინებით ბოლოს მოვუღებთ სულიერ ტკივილს

და ათასგვარ სხვა შეჭირვებას (აქ მძიმე უნდოდა.ჯ.მ.),

რაც კი ხვედრია ყველა მოკვდავის.

განა ამგვარი დასასრული სანატრელი არ უნდა იყოს?!

მოვსპოთ სიცოცხლე, მივიძინოთ, რომ მივიძინებთ,

არ ვიცით (აქაც მძიმეა საჭირო.ჯ.მ.),

მაშინ რა სიზმრებს ვნახავთ

და ეს გვაფერხებს და ამიტომაც ჩვენ ვეგუებით

ხანგრძლივ ცხოვრების ულმობელ დარტყმებს.

ვინ მოითმენდა ამის გარეშე

ამდენ დაცინვას და უტიფრობას,

ტირანის ჩაგვრას, თავგასულობას,  
ტანჯვა-წამებას უარყოფილ სიყვარულისა,  
მართლმსაჯულების უსამართლობას,  
შეურაცხყოფას გადაკრულ სიტყვით,  
აგდებულ პასუხს უღირსისაგან,  
სიმშვიდის ჩუქნა (უნდა იყოს **ჩუქება**. ჯ.მ.) რომ შეეძლოს  
დანის ერთ დარტყმას?

ვინ ატარებდა ოფლის დაღვრით  
და ოხვრა-კენესით ცხოვრების უღელს,  
რომ არა შიში, სიკვდილის შემდგომ  
უცხო მხარეში აღმოჩენისა,  
სადაც უკლებლივ ყველა მივდივართ,  
მაგრამ უკან კი ვერვინ ბრუნდება!

სწორედ ეს შიში, გაურკვეველობა  
თავსატეხს უჩინს გაბედულებას

და გვირჩევნია ვიმეგობროთ შეჩვეულ ჭირთან (აქ მძიმე უნ-  
დოდა. ჯ.მ.),

ვიდრე ჩენ შევხვდეთ იდუმალ ხიფათს. (აქ ძახილის ნიშანი  
უნდოდა. ჯ.მ.)!

ასე მხდალსა გვხდის ჩვენ ბევრი განსჯა,  
გაბედულების ბუნებრივ ელფერს  
ფერმკრთალად აქცევს ფიქრის სარტყელი  
და დიდ საქმეებს, დიდ წამოწყებებს  
ხელს უშლის დიდად,

სახელს უტეხავს (უნდა იყოს **უტეხს**. ჯ.მ.) თავად ქმედებას  
და აზრი საქმედ ველარ იქცევა! (უნდა იყოს **ქცეულა!** ჯ.მ.).

მაშ, თემურ ნადარეიშვილს გავაგრძელებინოთ თავისი კო-  
მენტარები.

„მონოლოგის დასაწყისში მე დაუფმატე სიტყვა **„მხოლოდ“**,  
რომელიც ორიგინალში (only) არ არის, მაგრამ, არის **that**-ეს,  
**ამ, ის**. მე მგონი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ამგვარი დამატება აზ-  
რობრივად სწორია, რადგანაც ყველაზე მთავარი, ფუნდამენ-  
ტალური კითხვა არის ვართ (ვარსებობთ) თუ არა? თუ ვართ,  
მაშინ შეგვიძლია დავსვათ სხვა დანარჩენი კითხვებიც. ამიტომ

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ჯერ გავარკვევით (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.). ვართ თუ არა ჩვენ და ამისი გასარკვევი კითხვა უნდა გამოიყოს სხვა მისგან გამომდინარე კითხვებიდან, სწორედ ეს მიიღწევა სიტყვა „მხოლოდ“-ის დამატებით (სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მართო ეს არ არის შეკითხვა, მაგრამ მისი ფუნდამენტალური, განსაკუთრებული, როლის გამოკვეთა შეიძლება ამგვარი დამატებით!). ასე რომ, მე მოვახდინე მაჩაბლისეული „აი“-ის გაძლიერება „მხოლოდ“-თი“.

ჩემი შეძრწუნებული წარმოდგენით თემურ ნადარეიშვილის ამგვარი კომენტარები თავდაყირა აყენებს შექსპირის გენიასაც, ჰამლეტის ამ უკვდავ მონოლოგსაც, თავისი აზროვნების ანალიტიკურობასაც, ინტელექტუალური მკითხველის განსწავლულობა-ერუდიციასაც, მშობლიურ ქართულ ენასაც!.. მოკლედ, ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც კი ასეთი გაუკუღმართებული მსჯელობის მავთულხლართისებურ წრენირში მოქცევა უნერია!

ჯერ მართო ეს რად ღირს, ჰამლეტის ამ მონოლოგთან დაკავშირებით თვდაჯერებით რომ აცხადებს: აქ ყველაზე მთავარი, ფუნდამენტური კითხვა არის – **ვართ, ვარსებობთ თუ არაო?!**

როგორ, შექსპირს „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგი განა ამ კითხვაზე აქვს აგებული – მის ირგვლივ ტრიალებს და ამნაირ სულელურ თავსატეხზე პასუხის გაცემას ლამობს-ვარსებობთ თუ არაო!

2013 წელს ქართულად გამოიცა („ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“) ინგლისელი ავტორის, **პიტერ აკროიდის 308-გვერდიანი წიგნი „შექსპირი“**. ამ წიგნის 97-ე გვერდის პირველ აბზაცში პირდაპირ არის მითითებული, რომ ეს უკვდავი ფრაზა „ყოფნა-არყოფნა“ შექსპირს თურმე... **ციცერონისგან** (ძვ.წ. 106-ძვ.წ. 43) ჰქონია აღებული!!!

საკითხავია, ან თვით ციცერონს რისთვის დასჭირდა ასეთი გამოთქმა – ნუთუ იმისთვის, რომ იმ შორეულ ეპოქაშიც ნადარეიშვილისებურად გარკვეულიყვნენ – **ვართ, ვარსებობთ თუ არაო?!**

არა და არა! ამგვარი ამომწურავი ფრაზა ციცერონს უსასტიკესმა სინამდვილემ შთააგონა. შექსპირმა კი შვიდიოდე საუკუ-

ნის შემდეგაც ვერ გაუძლო ცდუნებას, „ყოფნა-არყოფნა“ ციცი-რონს გაბედულად დაესესხა და თვალშეუწვდენელ მხატვრულ სიმაღლეზე ატყორცნა!

2010 წელს გამომცემლობამ „ლოგოსი“ გამოსცა ციცირონის 303-გვერდიანი „სიტყვები და დიალოგები“ (თარგმნა იამზე გაგუამ). ჰოდა, ციცირონი, როგორც კონსული, რომის სენატს შემფოთებული აფრთხილებს კატილინას (ძვ.წ. 108-ძვ.წ. 62) საშინელი შეთქმულების შესაძლო შედეგებზე. მოუსმინეთ!

„თქვენ გიწვდით თავის მავედრებელ ხელს ჩვენი საერთო დედასამშობლო, უგუნურ შეთქმულთა მიერ ჩირაღდნებითა და შუბებით გარშემორტყმული. იგი თქვენ განდობთ თავის თავს, ყველა მოქალაქის სიცოცხლეს, ციხე-სიმაგრეებს, კაპიტოლიუმს... ყველა ღმერთის ტაძრებსა და საკურთხევლებს, ქალაქის ზღუდეებსა და სახლებს. გარდა ამისა, დღეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ თქვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი – თქვენი ცოლ-შვილის, მოქალაქეთა ქონების, სახლების, კერიის ბედი.“

ახლა უშუალოდ თვით მონოლოგზე.

ამ მონოლოგის პირველი სტრიქონი ივანე მაჩაბელს ასე აქვს ნათარგმნი.

**ყოფნა?.. არყოფნა?.. საკითხავი აი, ეს არის.**

იგივე სტრიქონი თემურ ნადარეიშვილს ასე გადმოუთრგმნია.

**ყოფნა?.. არყოფნა?... საკითხავი მხოლოდ ეს არის!**

როგორც ვხედავთ, ახალბედა მთარგმნელს მაჩაბლისეული „აი“ თავდაჯერებით შეუცვლია სიტყვით „მხოლოდ“ და ამის „უპირატესობას“ თავის კომენტარებში აგერ, როგორ „ასაბუთებს!“

„მონოლოგის დასაწყისში მე დავუმატე სიტვა „მხოლოდ“, რომელიც ორიგინალში (only) არ არის, მაგრამ არის that-ეს, ამ, ის. მე მგონი ამგვარი დამატება აზრობრივად სწორია, რადგანაც ყველაზე მთვარი, ფუნდამენტალური (უნდა იყოს ფუნდამენტური. ჯ.მ.) კითხვა არის – ვართ (ვარსებობთ) თუ არა?! (ნეტავი ერთი მაცოდინა, ოპონენტი აქ სად ხედავს ამგვარ „ფუნდამენტალურ“ კითხვას?! ჯ.მ.) თუ ვართ, მაშინ შეგვიძლია დავსვათ სხვა დანარჩენი კითხვებიც. (განამებული მკითხველი როგორ გაერკვეს, რომელიღა „სხვა დანარჩენი კითხვებიც?!“ ან ნების-

მიერ სფეროს, დარგსა, ვითარებასა თუ გარემოებაში დასასმელ კითხვებს რა ამოლევს! მერე?! ჯ.მ.). ამიტომ ხაზი უნდა გაესვას იმას, ჯერ გავარკვეოთ (აქ მძიმე უნდოდა ჯ.მ.), **ვართ თუ არა ჩვენ** (ო, ისევ ეს **„ვართ თუ არა ჩვენ!“** რაკი ავტორს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი უხმარია, თავისთავად გამოდის, რომ თურმე ჩვენცა ვყოფილვართ!!! ან რანაირი ქართულია ანდა რა აზრია გატარებული ჯაგლაგური სინტაქსის ამ ფრაზაში **„ვართ თუ არა ჩვენ?“** ჯ.მ.) და ამის გასარკვევი კითხვა უნდა გამოიყოს სხვა (აქ მძიმე უნდოდა.ჯ.მ.), მისგან გამომდინარე კითხვებიდან (**„მისგან გამომდინარე“** რომელიღა **„სხვა კითხვებიდან?!“** თემურ ნადარეიშვილი თავის მკითხველებს ეს რა ამოუცნობი **„ფუნდამენტალური“**. **„ერთმანეთიდან გამომდინარე“** და **„სხვა დანარჩენი კითხვების“** გრაფომანულ აბლაბუდაში ახვევს და ანამებს?!. ღმერთმანი, აქედან ავტორს გუმანითაც კი ვერაფერს ვუხვდები, რა ანუხებს, რის თქმას ლამობს – მხოლოდ თავი მიბრუვდება და გონება მებინდება!.. ჯ.მ.). სწორედ ეს მიიღწევა სიტყვით **„მხოლოდ“**-ის დამატებით (რაღა დამატება-ჩამატებით – ხმარებით-თქო! ჯ.მ.), ასე რომ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), მე მოვახდინე მაჩაბლისეული **„აი“-ის** (უნდა იყოს **„აი“-ს** ჯ.მ.) გაძლიერება **„მხოლოდ“-თი** (უნდა იყოს: სიტყვით **„მხოლოდ“** ან ზმნისართით **„მხოლოდ“** ანდა **„მხოლოდ“-ით**. ჯ.მ.).


ღმერთო, დაკვირვებულ მკითხველებს შენ უწყალობე დამატებითი მოთმინება და გამძლეობა, ამგვარი კომენტარების კითხვისას რამე რომ არ დაემართოდ!.. კი მაგრამ, თემურ ნადარეიშვილი მაჩაბლისეულ **„აი“-ს** როგორღა აძლიერებს, როცა სტრიქონიდან საერთოდ ამოუგდია!!! ეს არის **„გაძლიერება?!“** ეს **„გაძლიერება“** კი არა, მისი სრული გაქრობა-გაარარავეებაა! ან ეს **„აი“** მონოლოგში თუნდაც თავის ადგილას ხელუხლებლადაც დაეტოვებინა, რანაირად უნდა მომხდარიყო მისი **„გაძლიერება?!“** პირიქით, **„უნიჭო“** ივანე მაჩაბლის მიერ უადგილო ადგილას როყოფდა ხმარების გათვალსაჩინოებით უფრო გაფერმკრთალდებოდა და შეიძლება სირცხვილითაც დამწვარიყო! ჰაი, გიდი!..

ნათქვამია, ათი რომ ცხვრისკენ, ერთიც მგლისკენო! ამიტომ ახლა ლიტერატურულ საკირეში ჯერ ჩუხედავი, ნორჩი მკითხვე-

ლების განცდებისა და სპეციაკი წარმოდგენების თვალსაწიერი-  
დან უნდა განვაგრძო მსჯელობა!

ჰოდა, დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი დაახლოებით ამ-  
გვარ განსჯას მიეცემა: ეს თემურ ნადარეიშვილიც თუ აღარ  
დაიშლიდა, ცოტა თავმდაბლურად მაინც ეთქვა-მაჩაბლისეუ-  
ლი „აი“ სხვა სიტყვით შევცვალე, რამაც, ჩემი აზრით (ჩემი ვა-  
რაუდით, დაკვირვებით, შეხედულებით, წარმოდგენით, გუმა-  
ნით, ალლოთი, გემოვნებით...) მონოლოგის დასაწყისი თითქოს  
(უფრო, საგრძნობლად...) გააძლიერა, თუმც გააჩნია, ქართველი  
შექსპიროლოგები, ენათმეცნიერები და შექსპირის გამოცდილი  
მთარგმნელები ამას როგორ შემიფასებენო! მაგრამ არა – სა-  
კუთარი „ეპოქალური დამსახურების“ ამპარტავნული ხაზგასმა  
იმავნამიერად უნდა მომხდარიყო, რათა პირველობის დაფნის  
გვირგვინს სხვა ვინმე არ ნაჰპოტინებოდა!

**„მე მოვახდინე მაჩაბლისეული „აი“-ის გაძლიერება „მხო-  
ლოდ“-თი.**



**თემურ ნადარეიშვილი**

მკითხველებმა მარტო ამ ერთ  
წინადადებაში თავდაჯერებით გა-  
ჯაჯღული ენობრივი შეცდომების  
მიხედვით დაასკვნან – ამგვარად მო-  
ქართულე უცხოელი ავტორის ორი-  
გინალს და, ცხადია, მასთან ერთად  
მშობლიურ ენას უფრო „გააძლიე-  
რებს“ თუ პირიქით, უპატიებლად  
დააკნინებს?! თანაც თემურ ნადარე-  
იშვილი ისეთი მოუთმენელი პრეტენ-  
ზიულობით იჩემებს მაჩაბლისეული  
„აი“-ს „გაძლიერების“ პირველობას,

თითქოს შექსპირის (და არა მარტო შექსპირის!) თანამედროვე  
ქართველი მთარგმნელების პროგრამა, რაღაც ფარული წესდე-  
ბა თუ დაუნერელი კანონები ასეთ სავალდებულო, აუცილებელ,  
სასურველ ან სახალისო პუნქტსაც შეიცავდეს – მაჩაბლისეუ-  
ლი (და არა მარტო მაჩაბლისეული!) თარგმანების ნებისმიერი  
სიტყვის, გამონათქვამისა თუ პასაჟის „გაძლიერება!“.

აბა, ახლა წარმოვიდგინოთ: შექსპირის რომელ შემთხვევით თუ ნორჩ მთარგმნელსაც მოეგუნებება, მისდგეს და ივანე მაჩაბლის თარგმანების ესა თუ ის სიტყვა, ფრაზა ან პასაჟი თავისი შეხედულებისამებრ რომ „გააძლიეროს“, რა დღეში ჩავარდება ივანე მაჩაბლის მემკვიდრეობა და მთარგმნელობითი ხელოვნება!

ჰოდა, ეს რა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებაა ჩვენი ღვანღმოსილი, თანაც ივანე მაჩაბლისთანა მთარგმნელისადმი?! წელანდელი იმ „დალპა-ჩალპასი“ არ იყოს, თ. ნადარეიშვილი აქაც ყიფურ-ამაყურად აცხადებს – მაჩაბლისეული „აი“ მე „გააძლიერეო!“.

ჯერ ერთი, ეს რანაირი „გააძლიერება“ ანდა ვინ ეხვეწებოდა: მაჩაბლისეული თარგმანების ესა თუ ის ადგილი შენებურად თუ არ „გაგვიძლიერე“, დრამების მთარგმნელობითი ჟანრი და ქართული თეატრი სულ დაგვეღუპებაო!!! რაკი ვეღარ მოუსვენია, შექსპირის შემოქმედებიდან სასურველად მიჩნეული დრამები თავიდან ბოლომდე თვითონ თარგმნოს და გამოზრძმედილი სპეციალისტები უფრო უკეთ შეაფასებენ მისი ნაღვანის ავკარგია-ნობას! თორემ ასე...

ერთი სიტყვით, ამოუხსნელ გამოცანად რჩება – თემურ ნადარეიშვილი ივანე მაჩაბლისეულ თარგმანებს ასეთი უცნაური ჩაძიებით რატომ უკირკიტებს?!

\* \* \*

**თუმც** თითზე კბენანი გვიანდაა! ხელთათმანი უკვე ნასროლია და ჟურნალ „ისინდის“ სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თემურ ნადარეიშვილი ქართული მწერლობის „მამელუკებს“ ლიტერატურული დუელის ბარიერთან მოთმინებით უცდის – ეს მე მოვახდინე მაჩაბლისეული „აი“-ის გაძლიერება „მხოლოდ“-თიო!“

ამგვარი მოულოდნელი განცხადებიდან სამ წელზე მეტი მიინურა, მკითხველი საზოგადოებისთვის უცნობი მიზეზების გამო კი რაკი ქართული მწერლობის არც ერთი „მამელუკი“ არ გამოსულა, თავს უფლებას ვაძლევ, ამასთან დაკავშირებითაც გამოვთქვა აზრი. ოღონდ ჩემი მსჯელობა ივანე მაჩაბლის დაცვის

მცდელობად არავის მოეჩვენოს! ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, ჩემისთანა უმნიშვნელო „მამელუკისგან“ ივანე მაჩაბელს რა უნდა და სჭირდეს დასაცავი – ბედისწერული გარდაუვალობისას ივანე მაჩაბელს თვისივე ტალანტი დაიცავს!

მე მხოლოდ თ. ნადარეიშვილის გამონათქვამებთან მსურს მოკლედ შეხება.

გაოგნებულ მკითხველს გრძელ საგონებელში აგდებს თემურ ნადარეიშვილის თავდაჯერებული განაცხადი – მე მოვახდინე მაჩაბლისეული „აი“-ს **გადღიერებაო!** მაგრამ რაღა მაჩაბლისეული, როცა, როგორც თავისი კომენტარების დასაწყისშივე გვაუწყა, ამ ფრაზაში თურმე თვით შექსპირსაც ასე ჰქონია ნახსენები **that ანუ ეს, ამ, ის!** ასე, რომ, თ. ნადარეიშვილს პირველ რიგში თვით გენიალური შექსპირის გამონათვამი **„გაუძღიერებია!“**.

მკითხველების წინაშე პასუხისმგებლობა მავალდებულებს, თ. ნადარეიშვილის განცხადებას გაუჩხრეკავად არ მივენდო და ამ საგანზე აზრი პირუთვნელად გამოვთქვა, ხოლო ჩემი მსჯელობა თუ მცდარი აღმოჩნდება, მაშინ ოთხკუთხივ ბოდიშის მოხდა და საკუთარი ნაბჭობის უკან წაღება არ გამიჭირდება.

აქ თემურ ნადარეიშვილი შექსპირ-მაჩაბლისეულ გამონათქვამს კი არ **„აძღიერებს“**, არამედ პირიქით – სულს უხუთავს! როგორ? როგორ და, მთლიანი ფრაზა უკარ-უსარკმლო რკინაბეტონის მობლუნძულ სამწყვდევეში გრაფომანული თავდაჯერებით შეუტენია, საიდანაც გასაცოდავებული ფრაზის ავადმყოფური ხროტინილა მოისმის, რაც მთლიან მონოლოგს გულშესაწახებლად თალხავს!

ამის მიზეზის ამოცნობა არც ისე ძნელი უნდა იყოს: აქ თემურ ნადარეიშვილს აცდუნებს ზმნისართის **„მხოლოდ“** დიქტატორულ-კატეგორიული კილო! ამიტომ შექსპირის ამ მონოლოგის **„გასაძიერებლად“** ზედგამოჭრილად მოსჩვენებია! ჰოდა, სწორედ აქ ხდება საბედისწერო კატასტროფა: დილეტანტი მთარგმნელი რომელ სიტყვასაც უცდუნებია, სწორად მასვე დაუღუპავს!!!

ამაში ახლავე დარწმუნდებით!

რას ნიშნავს ზმნისართი **„მხოლოდ“**? ლექსიკონი გვეუბნება – მარტო, მხოლოდ და მხოლოდ – მარტოოდენ, მხოლოდ.

ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ახალაღმოჩენილი ზმნისართით მოხიბლულ თ, ნადარეიშვილსაც შექსპირ-მაჩაბლისეული ნახელავის „გასაძლიერებლად“ მოუმარჯვებია და ემანდ სხვამ არავინ დამასწროსო, ჰამლეტის მონოლოგის ეს სტრიქონი თავისებურად ამიტომაც „გაუძლიერებია!!!“

ყოფნა?... არყოფნა?... საკითხავი მხოლოდ ეს არის!

ასე და ამრიგად, თემურ ნადარეიშვილის „ნოვატორობითა“ და იკა ქადაგიძის კურთხევით „ჰამლეტის“ ამნაირად „გაძლიერებული“ მონოლოგი ამიერიდან ყველა ეპოქის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ფენის წარმომადგენლებს ძირშივე უსპობს სხვა ნებისმიერ სატკივარ-საგოდებელზე კრინტის დაძვრას – ყოფნა?... არყოფნა?... საკითხავი მხოლოდ ეს არისო! მხოლოდ ეს უნდა იყოსო! მორჩა და გათავდა!.. ახლა ნადით და საცა გინდათ, იქ იჩივლეთ – თქვენ მარსიანის მიერ გენიოსად მიჩნეულ იკა ქადაგიძეს აჯობებთ?!

ახლა გავსინჯოთ შექსპირ-მაჩაბლისეული ფრაზის „გამაძლიერებლის“, თემურ ნადარეიშვილის მიერ დაწუნებული გენიოსი დრამატურგისა და მისი ღირსეული მთარგმნელის ეს, ამ, ის, აი!

რას ნიშნავს მაჩაბლის მიერ ნახმარი ჩვენებითი ნაცვალსახელი, ამ შემთხვევაში „დემოკრატიული“ „აი!“ ლექსიკონის მიხედვით იგი მიუთითებს იმაზე, რაც უნდა ითქვას!!!

რას ჰქვია, „რაც უნდა ითქვას?!“ როგორ, უკვე დაგავინწყდათ, თემურ ნადარეიშვილის მიერ „გაძლიერებული“ ჰამლეტის მონოლოგი?! ამ ფრაზის მიხედვით ზმნისართის „მხოლოდ“ ხმარებით ხომ ყველას კატეგორიულად აეკრძალა სხვა რამის საკითხავი და „მხოლოდ“ „ყოფნა“?... არყოფნის?“ კითხვის დასმას ებოძა არსებობის უფლება!.. მაგრამ თემურ ნადარეიშვილსა თუ ჯემალ მეხრიშვილს ვინა ჰკითხავს – კაცობრიობას შენ პირზე კლიტეს დაადებ?! ანდა რატომ უნდა დაადო?! ამიტომ ვისაც რა ანუხებს ან მომავალში რა შეაწუხებს, საკითხავადაც სწორად იმას გაიხდიან!!!

ეტყობა, ივანე მაჩაბელსაც თავისი არჩევანი სწორედ ამიტომ შუჩერებია არა „დიქტატორ-კატეგორიულ“ ზმნისართზე, „მხოლოდ“, არამედ „დემოკრატიულ“ ჩვენებით ნაცვალსახელზე,

„აი“, რომელიც რამეს კი არ კრძალავას, პირიქით – ჰუმანურად მიუთითებს, **რაც უნდა ითქვას!!!**

კი მაგრამ, რა უნდა ითქვას?!

უჰ, ამას ვინ განჭვრეტს ან რა ჩამოთვლის – გააჩნია, ვისთვის რა არის ან რა იქნება **საკითხავი!!!**

## 17

**თავი** დავანებოთ მწერლობაში უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულ აქსიომას: ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, შექსპირისნაირი რომელიმე ტიტანის თარგმნას გამორჩეული ტალანტი, ბუნებრივი მონოდება, გაქანება და მონამებრივი თავდადება სჭირდება! ჰოდა, რომელიმე მათგანის თარგმნას რომ გადაწყვეტ, მშობლიური ენა მოსათმენ ღონეზე მაინც ხომ უნდა იცოდე?! არადა...

სხვისი არ ვიცი, ჩემთვის კი შიშის მომგვრელია თემურ ნადარეიშვილისა და იკა ქადაგიძის გამბედაობა – პირველს შექსპირის თარგმნა რომ განუზრახავს, მეორე კი „თავის“ ლიტჟურნალში არხინად უბეჭდავს!!! მაგრამ მე იქნებ უნიგურის, ბუნებით კი მხდალი ვარ და საკუთარი ჩრდილიც მაფრთხობს!

მაშ, მიუდგომელმა მკითხველებმა თავად განსაჯონ – შეიძლება თუ არა ამგვარად მოქართულე შექსპირის დრამების თარგმნას შეუდგეს, რედაქტორმა კი ახალდაარსებულ ჟურნალში დამშვიდებული სინდისით უბეჭდოს?!

მოყოლებული „ისინდის“ მე-6 ნომრიდან მე-14 ნომრის ჩათვლით იკა ქადაგიძე თავის მკითხველებს გულდამედებით სთავაზობს თემურ ნადარეიშვილის „შექსპირულ ჩანახატებს“, ოღონდ ამ მასალებს არ ეტყობა მცოდნე რედაქტორის ხელი.

„ეს სცენა პარადოქსალურია“. უნდა იყოს **პარადოქსულია**.

„რას შეიძლება დაპირდეს რიჩარდი“. უნდა იყოს **დაჰპირდეს**.

„სტოვებს სცენას“. უნდა იყოს **ტოვებს**.

„რიჩარდს ლოცვა შინაგანად ჭირდება“. უნდა იყოს **სჭირდება**.

„სინდისის ქეჯნას“. უნდა იყოს **ქენჯნას**.

„ლორენს ოლივიე ზუსტად მიყვება პიესის ტექსტს“.

უნდა იყოს **მიჰყვება**.

„ეცხადებიან მის მიერ მოკლულ ადამიანთა სულები“.  
„მის მიერ მოკლულ ადამიანთა სულები რომ ეცხადებიან“.  
„როდესაც მოკლულ ადამიანთა სულები მეორედ ეცხადებიან“.  
აქ ყველგან უნდა იყოს **დახოცილი**.

„რიჩარდი ხომ არავის გავეს“. „ვინც ერთმანეთს გავეს“.  
ორივეგან უნდა იყოს **ჰგავს**.

„ადამიანი... მეუღლეს თვითონ ირჩევს – ეს მისი ამოცანაა“.  
უნდა იყოს „ადამიანი... მეუღლეს თვითონ ირჩევს – ეს მისი  
**უფლებაა**“.

„მას აინტერესებს ვინ არის ის ვისთანაც იგი ბედნიერი იქნება“.  
აქ ორგან აკლია სასვენნი ნიშანი, მძიმე! ამიტომ უნდა იყოს.  
„**მას აინტერესებს, ვინ არის ის, ვისთანაც იგი ბედნიერი იქნება**“.

„რიჩარდს მართლაც არასოდეს დაცდენია ცრემლები“.  
უნდა იყოს „რიჩარდს მართლაც არასოდეს **დასცდენია ცრემლები**“.

„დიახ რიჩარდი ძლიერი პიროვნებაა“.  
უნდა იყოს **„დიახ, რიჩარდი ძლიერი პიროვნებაა“**.

„ეს რასაკვირველია რიჩარდის მიერ დადგმული... სცენაა“.  
უნდა იყოს **„ეს, რასაკვირველია, რიჩარდის მიერ დადგმული... სცენაა“**.

„მით უფრო დიდი საკუთარი სიმართლე, უნდა იმალებოდეს  
ამ რეალობის მიღმა.“

საკვირველებაა – რა საჭირო იყო ამ წინადადებაში ეს ერთა-  
დერთი მძიმე?!

„ინგლისის რუკა გადაცმულები“.  
უნდა იყოს **რუკაგადაცმულები**.

კარგი სთქვი შენს თავზე“.  
უნდა იყოს **თქვი**.

„შენი ასულის სუნნელოვან გულ-მკერდ ქვეშ“.  
უნდა იყოს „შენი ასულის სურნელოვან გულმკერდქვეშ“.

დილაღაც თუკი გახსენებაა“. უნდა იყოს „**დიახაც, თუკი გახსენებაა**“.

„ფარისევლური ამოხვნეშებით“. უნდა იყოს „**ფარისევლური ამოხვნეშით**“.

„სხვებს გამოკითხე როგორ იქცევა იქ ჩემი ვაჟი“.  
უნდა იყოს „სხვებს **გამოჰკითხე**, როგორ იქცევა იქ ჩემი ვაჟი“.

„და სხვათშორის, ვითომ შემთხვევით“.  
უნდა იყოს „და **სხვათა შორის**, ვითომ შემთხვევით“.

„მეტს კი ნუ იტყვი, ზღვარი იცოდე“.  
უნდა იყოს „**მეტს კი ნუ იტყვი, ზღვარი იცოდე!**“

„პოლონიუსი (ოფელიას-ჰამლეტთან დაკავშირებით) რაა თქვენს შორის?“

უნდა იყოს „**რაა თქვენ შორის?**“

პროფესორ ფიზიკოს ავტორზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ ფილოლოგმა, პოეტმა, თანაც ბასრკალმიანმა რედაქტორმა ისიც კი არ იცის, რომ მხოლოდ მსაზღვრელად გამოყენებულ კუთნილებით ნაცვალსახელს შენ (თქვენ) მიცემით ბრუნვაში ყოველთვის - **ს დაბოლოება** უნდა ჰქონდეს, სხვა ფორმებისას კი **ს არ არის საჭირო**.

ასე, რომ: თქვენ შორის, ჩემ გამო, ჩემ გარდა, ჩემ გვერდით, ჩემ თვალწინ და ა.შ.

და არა

თქვენს შორის, ჩემს გამო, ჩემს გარდა, ჩემს გვერდით, ჩემს თვალწინ და ა.შ.

„ფიცის მიცემა გაელვებას გავს“. უნდა იყოს **ჰგავს**.

„მშვიდობით ლაერტი!“ უნდა იყოს „**მშვიდობით, ლაერტი!**“

„მიხვდი რას ვამბობო რეინალდო?  
ძალიან კარგად ჩემო მეუფევე!“  
უნდა იყოს **„მიხვდი, რას ვამბობ, რეინალდო?  
ძალიან კარგად, ჩემო მეუფევე!“**

„კურთხეულ იყავ ჩემო ლაერტ“.  
უნდა იყოს **„კურთხეულ იყავ, ჩემო ლაერტ!“**

„ისიც კი ვნახე საროსკიპოს როგორ ესტუმრა“.  
უნდა იყოს **„ისიც კი ვნახე, საროსკიპოს როგორ ესტუმრა“**.

„ისე სავსე ვარ ყოველგვარის ძლიერის ნაკლით“  
უნდა იყოს **„ისე სავსე ვარ ყოველგვარი ძლიერი ნაკლით“**.

„მაშ გაუგ ზავნე იმას ძმების დამხოცის ხელით“.  
უნდა იყოს **„მაშ, გაუგ ზავნე იმას ძმების დამხოცველის ხელით“**.

„მაშ მოთმინებით მოისმინე არ მოსასმენი“.  
უნდა იყოს **„მაშ, მოთმინებით მოისმინე არმოსასმენი!“**

„თორემ სამეფო ჩემი ფხვიერ ქვიშაზედა სდგას“.  
უნდა იყოს **„თორემ სამეფო ჩემი ფხვიერ ქვიშაზედა დგას“**.  
თანაც, რანაირად შეიძლება ქვიშას ფხვიერი ეწოდოს?!

**ფხვიერდება (გაფხვიერდა, გაფხვიერებულა)** ფხვიერი ხდებ-  
ა, – იფხვნება, იფხვნება. ასე რომ, მაგალითად, შეიძლება გაფხ-  
ვიერდეს მინა... ნახნავ-ნაბარ-ნათოხნ-ნამარგლი... ან ვთქვათ,  
შაქარი და მისთანა, მაგრამ ქვიშა როგორ უნდა გაფხვიერდეს  
– რაც არის, ის არის!

„მისი ბრძანებით მოკლული მცირენლოვანი უფლისწულები“.  
უნდა იყოს **„მისი ბრძანებით დახოცილი მცირენლოვანი უფ-  
ლისწულები“**.

„რიჩარდი: რამდენი საათი არის?  
ბუკინგამი: საცა არის, ათს საათს დაკრავს.

რიჩარდი: ნუ უშლი დაკრას“.

უნდა იყოს „რიჩარდი: რამდენი საათი არის?

ბუკინგამი: საცა არის, ათ საათს დაჰკრავს!

რიჩარდი: ნუ უშლი, დაჰკრას!“

„აჩრდილის გაქრობის შემდეგ ვის ვხედავთ ჩვენს წინ?“

უნდა იყოს „აჩრდილის გაქრობის შემდეგ ვის ვხედავთ ჩვენ წინ?“

„ჰამლეტმა არ იცის რა ტიპის სულთანა აქვს საქმე“.

უნდა იყოს „ჰამლეტმა არ იცის, რა ტიპის სულთანა აქვს საქმე“.

„ქელეხის სასმელ-საჭმელმა მხოლოდ გაციება მოასწრო“.

უნდა იყოს „ქელეხის სასმელ-საჭმელმა მხოლოდ გაცივება მოასწრო“.

„გაციებული საქელეხო სასმელ-საჭმელი“.

უნდა იყოს „გაციებული საქელეხე სასმელ-საჭმელი“.

„მესამე ეპიზოდში კი... მოაკვლევინებს მათ“.

უნდა იყოს „მესამე ეპიზოდში კი... დაახოცვინებს მათ“.

„ხელმწიფე: ის შეშლილია, იცოდე ლაერტი!“

უნდა იყოს „ხელმწიფე: ის შეშლილია, იცოდე, ლაერტი!“

„ლაერტი: მიდი განგმირე ის ბილნი სული...“

ჯერ შეიცადეთ, არ ჩაჰყაროთ საფლავში მინა...“

უნდა იყოს „ლაერტი: მიდი, განგმირე ის ბილნი სული...“

ჯერ შეიცადეთ, არ ჩაყაროთ საფლავში მინა...“

„როზეკრაცი: „და მითუმეტეს ეს ევალეზა იმ ადამიანს“

ვის სიცოცხლეზეც ბევრის ბედი გამობმულია“.

უნდა იყოს „როზეკრაცი: და მით უმეტეს, ეს ევალეზა იმ ადამიანს,

ვის სიცოცხლეზეც ბევრის ბედია გამობმული“.

აქ ერთი გარემოებაც უეჭველად ითხოვს გარკვევას. შექს-პირის მიხედვით, დანიის ხელმწიფის ხუთი კარისკაციდან ორი მათგანია **გილდენსტერნი** და **როზენკრანტი**.

თემურ ნადარეიშვილი კი თავის თარგმანში რატომღაც მათ „შემოკლებით“ იხსენიებს – **გილდესტენი** და **როზენკრაცი**.

მკითხველებისთვის გაუგებარი რჩება, რა მიზეზით?

„ისე სავსეა დანაშაული მიაშიტ იჭვით“.

უნდა იყოს „ისე სავსეა დანაშაული მიაშიტ ეჭვით.“

„მიაშიტ რამე, გაგიმეორებ მე სიტყვა-სიტყვით“.

უნდა იყოს „**მიაშიტ რამე, გაგიმეორებ მე სიტყვასიტყვით**“.

„პირველი მესაფლავე: დიდგვაროვნებს ამ სამყაროში თავის დახრობაზეც და ჩამოხშობაზეც მეტი უფლება აქვთ ვიდრე უბრალო ქრისტიანს“.

უნდა იყოს „პირველი მესაფლავე: **დიდგვაროვნებს ამ სამყაროში თვის დახრობაზეც და ჩამოხრობაზეც მეტი უფლება აქვთ, ვიდრე უბრალო ქრისტიანს**“.

„პირველი მესაფლავე: იგი პირველი იყო ვინც იარაღს ატარებდა“.

უნდა იყოს „პირველი მესაფლავე: **იგი პირველი იყო, ვინც იარაღს ატარებდა**“.

„მეორე მესაფლავე: სახშობელას დამდგმელი“.

უნდა იყოს „მეორე მესაფლავე: **სახრობელას დამდგმელი**“.

პირველი მესაფლავე: ყველაზე მტკიცე შენობას მაინც მესაფლავე აშენებს, რადგან მისი სახლები მეორედ მოსვლამდე **სძლებენ**“.

უნდა იყოს „პირველი მესაფლავე: ყველაზე მტკიცე შენობას მაინც მესაფლავე აშენებს, რადგან მისი სახლები მეორედ მოსვლამდე **ძლებს**“.

„გთხოვ ნუ დამცინი მეგობარო სტუდენტობისა“.  
უნდა იყოს „გთხოვ, ნუ დამცინი, მეგობარო სტუდენტობისა“.

ჰორაციო: გადაეჯაჭვა გლოვა და ლხენა“.  
უნდა იყოს „ჰორაციო: გადაეჯაჭვა გლოვა და ლხინი“.

„ჰამლეტი ძალიან განიცდის დედამისის გათხოვებას (თანაც ვისზე – ქმრის ძმაზე!“).

საკვირველია: ვილას „დედამისის?!“ ჰამლეტი ვილაცის „დედამისის“ კი არა, თავისი მშობელი დედის, ღვიძლი, ალალი დედის მეორედ გათხოვებას განიცდის ასე მტკივნეულად! თან არ იკითხავთ, ვიზე – **ქმრის ძმაზე!!!**

სამწუხაროა, რომ ვერც ავტორს და ვერც რედაქტორს ვერ გაახსენდა, რომ „**ქმრის ძმას**“ კურთხეულ ქართულ ენაზე ეწოდება **მაზლი!**..

ესე იგი, რა გამოდის: ქართველმა მამაკაცმა სადმე მომლოდინე ნაცნობი მამაკაცი რომ დაინახოს, მივიდეს და ჰკითხოს – აქ ვის ელოდებითო, კითხულმა ნადარეიშვილ-ქადაგაძისებურად ასე უნდა უპასუხოს.

– **ჩემი ცოლის დის ქმარს!**

მაგრამ აქ რა საჭიროა ოთხი სიტყვის დახარჯვა, როცა ქართულ ენაში ეს ერთი სიტყვითაც გამოითქმება.

– **ქვისლს!**

მაშ, როგორ მოვიქცეთ: შექსპირის დრამებთან შეჭიდებულებსა და თან ივანე მაჩაბლის (1854-1898) თარგმანების რევიზიონისტებს დაწყებითი სკოლის მოსწავლეებივით განვუმარტოთ, ვის ეწოდება მაზლი... მული... ქვისლი... ძმისწული... შვილი... შვილიშვილი... პაპა... ბებია... და-ძმა... დები... ძმები... ცოლ-ქმარი... სიდერ-სიმაში... დედამთილი... მამამთილი... მძახლები... სიძე... გერი... რძალი... ზედსიძე... პატარძალი... ნათლიები... მოყვრები... ნათლული... ნათლიდედა... ნათლიმამა... მყარი... ძია... ძალო... დეიდა... მამიდა... დეიდაშვილი... მამიდაშვილი... პაპიდა... პაპიდაშვილი... მაჭანკალი და ა.შ.!

**რაც** მართალია, უკვე შიში მერევა, მოთმინებადაშრეტილმა მკითხველებმა ჯოხი ჩემზე არ გადატეხონ – თავს აღარ დაგვანებებ, ყველაფერი ისედაც ნათელიაო! ეს მაცდუნებელი შიში მით უფრო ველარ მომიშორებია, „ისინდის“ ნომრებში მობიბინე შეცდომები ნამგლით კი არა, თუგინდ ცელით გაითიბება!

ამის მიუხედავად, „სახშობელაზეც“ (თ. ნადარეიშვილი, ი. ქადაგიძე) რომ ამიყვანონ, ერთ უცნაურ მოვლენას მაინც შევეხები – დარწმუნებული ვარ, გაოგნებული მკითხველები გაგებით კი არა, სიბრაღურიანი თანაგრძნობით მომეკიდებიან, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში ნებაყოფლობით ნაჯდომს!

მეც კარგად მესმის, რომ გრამატიკულ კატეგორიებსა და ორთოგრაფიულ-პუნქტუაციის სფეროში შეიძლება ყველა ჩვენთაგანმა სულ ადვილად შეეცოდოთ! აქ ტყუილად ნურვინ ნუ დაიფიცავს – ამ მხრივ მე არანაირი გადაცდომა არ მომივაო! მაგრამ ჩემს გონებამდე ვერ დადის: რედაქტორმა, რედაქციის ნებისმიერმა მუშაკმა, საერთოდ, წიგნიერმა პიროვნებამ და მით უმეტეს, შექსპირის თარგმნის მონადინემ რანაირად შეიძლება ეს არ იცოდეს: დასრულებული წინადადების, აზრის თუ პიესის პერსონაჟის მიერ ნათქვამი, ენობრივ-გრამატიკულად დამთავრებული სიტყვის ან მთლიანი ფრაზის ბოლოში საჭირო სასვენნი ნიშნის დასმა აუცილებელი!!!

კეთილი, დავუშვათ და, ნორჩი ლიტერატორი ან უიმედო ხნიერი გრაფომანი შეიძლება თავისით ვერც ხვდებოდეს, მაგრამ დასრულებული აბზაცის, წინადადების, ფრაზისა თუ სიტყვის ბოლოს თავისი გუმანით მაინც ხომ უნდა დასვას რომელიმე სასვენნი ნიშანი – წინააღმდეგ შემთხვევაში ტექსტის ეს ადგილი აშარავებულ-გაბილიკებულ უპატრონო ბალ-ბოსტანს ემსგავსება ხოლმე!

ახლა ამის დამადასტურებელ მაგალითებს „ისინდის“ მართო მე-12 და მე-14 ნომრებიდან მოვიყვან; ოღონდ გზადაგზა მე ორიოდ სიტყვას ჩავასწორებ, სასვენნი ნიშნების შერჩევა-განაწილების „სიამოვნებას“ კი მკითხველებს ვუტოვებ!

მეორე მესაფლავე:

ადამი დიდგვაროვანი იყო?

პირველი მესაფლავე:

იგი პირველი იყო ვინც იარაღს ატარებდა

მეორე მესაფლავე:

არ ჰქონდა მას არავითარი იარაღი

პირველი მესაფლავე:

კიდევ ერთ რამეს გკითხავ

მეორე მესაფლავე:

მკითხე

ჰამლეტი:

ვისია ეს საფლავი?

პირველი მესაფლავე:

ჩემია ბატონო

ჰამლეტი:

ფიქრობ, რომ მართლაც შენია რადგან შიგ წევხარ

პირველი მესაფლავე:

თქვენ შიგ არ წევხარ (უნდა იყოს წევხართ. ჯ.მ.) ბატონო და ამიტომ თქვენი არ არის; მე კი შიგ ვწევარ, მაგრამ მაინც ჩემია.

ჰამლეტი: საფლავებს მიცვალებულებისთვის სთხრიან (უნდა იყოს **თხრიან**. ჯ.მ.) და არა ცოცხლებისთვის და ამიტომაც შენ სცრუობ (უნდა იყოს **ცრუობ**. ჯ.მ.).

პირველი მესაფლავე:

ეს ცოცხალი ტყუილია, რომელიც ჩემგან თქვენკენ გადმოხტება  
ჰამლეტი:

რომელ კაცისთვის სთხრი (უნდა იყოს **თხრი**. ჯ.მ.) ამ საფლავს?

პირველი მესაფლავე:

არცერთი (უნდა იყოს **არც ერთი**. ჯ.მ.) კაცისთვის

ჰამლეტი: მაშინ რომელი ქალისთვის?

პირველი მესაფლავე: არც ქალი არის იგი

ჰამლეტი: მაშ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.) ვინ უნდა იყოს აქ დაკრძალული?

პირველი მესაფლავე:

იგი ოდესღაც ქალი იყო, მაგრამ, ღმერთმა აცხონოს მისი სული, გარდაიცვალა

\* \* \*

პოლონიუსი:  
ჩემო ერთგულო რეინალდო, სანამ წახვიდე  
სხვებს გამოკითხე (უნდა იყოს **გამოჰკითხე**. ჯ.მ.) როგორ იქ-  
ცევა იქ ჩემი ვაჟი

პოლონიუსი:  
გაკვრით ახსენე მხიარული ეშმაკობანი,  
რაც კი თან ახლავს ყმანვილკაცობას, თავისუფალ სულს  
რეინალდო:

ბანქოს თამაშიც, მაგალითად?

პოლონიუსი:  
დიახ, თამაშიც, თითქოს ლოთობდეს, ილანძღებოდეს,  
მეტს კი ნუ იტყვი, ზღვარი იცოდე  
რეინალდო:

ეს ყველაფერი ხომ შელახავს იმის ღირსებას?

პატივცემულო მკითხველებო, პატიებას ვითხოვ, ვინაიდან  
სასვენი ნიშნების ამგვარი აღრევა-უგულუბელყოფის მიზეზ(ებ)  
ს რაკი ვერ ჩავმწვდარვარ, ამიტომ ვერც აზრის გამოთქმა გამი-  
ბედავს!...

## თავი მეექვსე

### 1

ქართული მწერლობის ღალატად ჩამეთვლება ამის აღუნიშნაობა. ამიტომ ახდილად უნდა ითქვას – იკა ქადაგიძემ „თავისი“ ლიტერატურული ჟურნალი საზოგადოების მოსაბეზრებელ საკუთარ ფოტოალბომს დაამსგავსა! მკითხველებს ხშირად ისე მანერულად ეპრანჭება და ეკლაკნება, რომ აშკარაა – პირდაპირ თავი მოსწონს და ამიტომ აღარ იცის, რა ქნას: იკა ქადაგიძე გალაკტიონის ბიუსტის პეიდესტალს, რბილად რომ ვთქვათ, ზურგით ისე აჰყუდება, შიში გერევა – არ გადააყიროსო!... ბუჩქებიდან მომზირალი იკა ქადაგიძე!.. წნულ სავარძელში, ფეხი ფეხზე გადადებული, გრძელპალტოიანი იკა ქადაგიძე!... ბუხართან მიმჯდარი იკა ქადაგიძე!.. მამაკაცის მაჯის საათისოდენა თეთრი გვირილასებური საყურით შემკული იკა ქადაგიძის პროფილიანი ტორსი!.. ღორაქლიავის სიმსხო, დანახნაგებული გიშრის მძივით შემკული იკა ქადაგიძე!.. უსაყელო შავ სვიტრზე თეთრად გამოსახული ჯვრით ყელმოღერებული იკა ქადაგიძის ტორსი!..



ზვიად გამსახურდია

ჟურნალის მე-10 ნომრის გარეკანის მეოთხე, ფერადი მთლიანი (20-29 სმ) გვერდი – სამების საკათედრო ტაძრის ფონზე თავის, თანაც მსხვილი, გამორჩეული შრიფტით აწყობილ ლექსთან ერთად „ჰოლივუდურად“ მოჩინარი – თმაჩამოშლილი, შლაპიანი და სულ ჩახსნილი გრძელსაწვიმრიანი იკა ქადაგიძე!..

ჟურნალის მე-14 ნომრის ფერადი გარეკანის მეოთხე გვერდი?! მთანმინდის პანთეონი... გალაკტიონის ბიუსტის შავ პეიდესტალს „პოეტურად“ ატმასნილი იკა ქადაგიძე: ნაცნობი შლაპა... ჩამოშლილი თმები... ჩახსნილი ნაცრისფერი პალტო... ვარდისფერი კაბა... ტყავის ყავისფერი ხელთათმანები... ახალაყვავებული ატმის გაფარჩხული რტოები... მარჯვენა მხარზე გადაკიდებული ხელჩანთა... მზერა?! ო, ამის გადმოცემა ჩემს მხატვრულ შესაძლებლობებს აღემატება! ამიტომ ვისაც სურვილი გაუჩნდება, თვითონ უნდა მოიძიოს ჟურნალის ეს ნომერი და დაკვირვებით დახედოს გარეკანის მეოთხე გვერდს!..

ჟურნალის მე-5 ნომერში დაიბეჭდა იკა ქადაგიძის წერილი „SOS-„ხიბულა“, რომელიც კინორეჟისორ გიორგი ოვაშვილის კინოფილმის „ხიბულა“ კრიტიკულ გამოხმაურებას წარმოადგენს!.. მთელი საზოგადოება ხვდება, ბნელეთის მოციქულებმა ხიბულაში საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საშინელი ტრაგედია რომ გაათამაშეს!

ჰოდა, იკა ქადაგიძე თვით ამ შემთხვევაშიც (!) კი ვერ მორევია აკვიატებულ ცდუნებას – საქართველოს პირველი პრეზიდენტის, **ზვიად გამსახურდიას** ფოტოსურათთან ერთად პიანინოსთან ზურგმუქცევით პოზიორულად გადაღებული თავისი აი, ეს სურათი არ „ჩაექარგა!!!“

საკითხავია, ხიბულაში დატრიალებულ ეროვნულ ტრაგედიასთან იკა ქადაგიძის ამ უაზრო ფოტოსურათს რა აკავშირებს?!

\* \* \*

**რედაქტორის** სათაკილო ფოტომანია ხან მკრეხელობამდე მიდის!

ჟურნალის მე-11 ნომერში გამოქვეყნდა იკა ქადაგიძის ათგვერდიანი წერილი „ეროვნული ცნობიერების შეუპოვრობა“, რომელიც მთლიანად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, წმინდანად შერაცხულ **კირიონ II (1855-1918)** ეძღვნება!

წერილი ჟურნალის მე-7 გვერდიდან იწყება. მას ამშვენებს დიდოსტატის მიერ ოდესღაც გადაღებულ ამ ფოტოსურათზე (8-10,5 სმ) აღბეჭდილი პატრიარქის მონამებრივი სახე! თეთრწვერიან, პროფილით მოჩინარ პატრიარქს, როგორც ხედავთ, შავი სკუფია წარბებამდე აქვს ჩამონეული. ცხადია, სასულიერო ზედა სამოსიც შავი იქნება, ხოლო ნაცრისფერყოშებიანი ფართო სახელოებიდან მხოლოდ თითები მოუჩანს!



მკითხველი მე-7 გვერდს ჩაათავებს, გადაფურცლავს და მე-9 გვერდზე შოკის მომგვრელი სანახაობა ახევენს – იკა ქადაგიძის ფოტოსურათი (7,5-8 სმ) გაოგნებულ მკითხველებს თითქოს უშნო კუკუმაღულობანას ეთამაშება!

-ჭიტააა!.. აქ კი არ მელოდით, არა?!. ოლოლო თქვენ! ჰი-ჰი-ჰი! მე იკა ქადაგიძე ვარ!.. მე ყველგან უნდა ვიყო და ვიქნები კიდეც!.. აბა, როგორ – ყველაზე მებრძოლი ეროვნული ჟურნალი ჩემია და საცა მომეპრიანება, ჩემს ფოტოსაც იქ ჩავსვამ!.. ჰი-ჰი-ჰი!

მოდით, ახლა კეთილშობილური ურთიერთგაგებით გავერკვეთ: სამშობლოსათვის წამებული პატრიარქის ბიოგრაფიისა და მისი ღვთაებრივი გამოსახულების გვერდით... იკა ქადაგიძის ამ ფოტოსურათს რა ესაქმება?! ეს წერილს რას მატებს ან ვის რას აძლევს?!

თან სურათიც არის და სურათიც! სადღაც, პარკის გაუკრეჭავ ბუჩქნართან მიდგმულ მერხზე არხეინად უზის იკა ქადაგიძე. კალთაში დებულ მარცხენა ხელზე დაყრდნობილი, იდაყვამდე ტიტველი მარჯვენა ცრუკეკლუცურად მოუდვია ნიკაპზე... ღიმილმორეულს, უმისამართო მზერა სადღაც უაზროდ გაჰფანტვია, ხოლო მოკლე კაბიდან მარცხენა ფეხზე გადადებული მარჯვენა ფეხის შიშველი მუხლისთავი მოუჩანს!..

ჰოდა, სად სტატიის შინაარსი, წამებული კათალიკოს-პატრიარქის სახე, ჩაცმულობა და სად...

გალიზიანებულმა ოპონენტებმა შეიძლება მომახლონ: შენ არაფერი გაგეგება, თორემ მაგ წერილში ავტორის ფოტოც აუცილებელი იყო!

კეთილი, სავარაუდო მოპაექრებებს სიტყვის შეუბრუნებლად დავუყაბულდები, ოღონდ ერთადერთ კითხვაზე მიპასუხონ! „ისინდის“ სამ ნომერში (10, 11, 12) გადაბმით დაიბეჭდა ცნობილი ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტის, **ვახტანგ ბახტაძის** მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი საინტერესო სტატია „პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს“.



იკა ქადაგიძე

ჰოდა, კირიონ მეორესთან დაკავშირებულ წერილში თუკი უპირიანი იყო მისი ავტორის, იკა ქადაგიძის, თანაც ამგვარი ფოტოსურათი, მაშინ რალა დამავდებოდა, პატრიარქ ტიხონის ფოტოსურათით დამშვენებულ, თანაც მსგავსი პროფილისა და შინაარსის სტატიასაც ხლებოდა **ვახტანგ ბახტაძის** აკადემიური ფოტოსურათი – ნუთუ მკითხველებს ეს აღარ დააინტერესებდა?!

მაგრამ, როგორც ჩანს, უკურნებელია განდიდების მანიის ალმური!

არადა, დღეს რამდენნაირი პროფილის ფერადი, ილუსტრირებული ჟურნალი არ გამოდის, ბევრ მათგანს ახალგაზრდა მანდილოსანი რომ ხელმძღვანელობს. მიუხედავად იმისა, არც ერთ მათგანს ახლოს არ იცნობ, მაინც გატყვევებს ტრადიციულ მონინავე წერილში – „**რედაქტორის სვეტი**“ გამოქვეყნებულ მათ ერთსა და იმავე ზომიერ ფოტოსურათზე აღბეჭდილი მაღალი ინტელექტი, ყოველგვარ „მომგებიან“ პოზიორობას მოკლებული წრფელი მზერა-გამომეტყველება, თავდაჭერილობა, მკითხველებისადმი პატივისცემა... სადა, გემოვნებიანი ვარცხნილობა, კორექტული ჩაცმულობა, ზომიერი სამკაულების სიმცირე და ჯართს დამსგავსებული, ვითომ ეგზოტიკური ზინზილების უქონლობა!..

ერთი სიტყვით, დროა, იკა ქადაგიძე დაეშვას ვარდისფერი ღრუბლებიდან და გააცნობიეროს: ის არის ლიტერატორ-რედაქ-

ტორი და არა ახალბედა ტოპმოდელი, თორემ დუხჭირი ყოფაცხოვრებისგან ისედაც განანამებმა მკითხველებმა „ისინდის“ ფურცლებზე როდემდე და სადამდე უნდა უტკირონ საკუთარი პერსონით უაზროდ გატაცებული, შეხნიერებული მანდილოსნის თვალმჩივეულ გარეგნობასა და ერთფეროვან მზერა-გამომეტყველებას?!

## 2

**აქაც** უკიდურესად პირდაპირი ვიქნები, ვინაიდან ამის მიზეზს თვითონ „ისინდის“ რედაქტორი იძლევა! ჰოდა, იკა ქადაგიძემ მკითხველებს ლამის სისხლი გაუშროს თავისი ჟურნალის აკვიატებული, ბოლომოუღებელი ხოტბა-ქებით!

– ყველაზე მებრძოლი ეროვნული ჟურნალი!.. ყველაზე მებრძოლი... ყველაზე მებრძოლი... ყველაზე... ყველაზე... ყველაზე!..

თანაც რედაქტორი იმეორებს არამარტო თავის ყოველ წერილში, არამედ ნებისმიერი წერილის რამდენიმე ადგილას – ყველაზე... ყველაზე... ყველაზე... ყველაზე!!!

ეს თუ მართლა ასეა, ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, როცა 2020 წელს მე-9 ნომრიდან 2021 წლის მე-14 ნომრამდე ამ ჟურნალის არამდგრადი სარედაქციო კოლეგიის წევრი მეც ვიყავი. ამიტომ ეს უფრო მამჭმუნვარებს, ვინაიდან დანარჩენი ქართულენოვანი ლიტერატურული ჟურნალების რედაქტორების ღირსების შეურაცხყოფად მიმაჩნია ოთხი-ოდე წლის „ისინდის“ ხელმძღვანელის მიერ თავისი ჟურნალის ასეთი დემაგოგიური ხოტბა-ქება!

ეს ხომ დაახლოებით იგივეა, მაგალითად, სადმე ხალხმრავალ შეკრებაზე მოხვედრილი საპატარძლოებიდან რომელიმე მათგანს თავდაჭერილობა არ ეყოს, წინ თამამად გამოიჭრას და გაოგნებულ ხალხს გამომწვევად აულაპარაკდეს.

– აბა, კარგად მიმოიხედეთ – აქ ყველაზე ლამაზი, ქორფა, ჯანსაღი, სინდის-ნამუსიანი, კარგი ოჯახიშვილი და ხელუხლებელი საპატარძლო მე ვარ!.. თვალეებზე მართლა ლიბრი გაქვთ გადაკრული, აბა, კარგად შემომხედეთ – სხვა რომელია ჩემისთანა?!

ამისთანა თავდაუჭერელი საპატარძლო შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ, აბა, როგორი იქნება მისგან ამის მოსმენა?!

ერთი სიტყვით, ნებისმიერი და მით უმეტეს, ლიტერატურული ორგანოს პირუთვნელი შემფასებელი მკითხველი, მწერლობა, ლიტერატურული კრიტიკა და მოუსყიდველი დროა და არა მისი პოპულარობამონყურებული, დაუდგრომელი რედაქტორი!

ერთი სიტყვით, იკა ქადაგიძეს ურჩევნია, თავისი ჟურნალის დემაგოგიური ქება-დიდება შეწყვიტოს და მასალების ენობრივ-აზრობრივ მხარეს მიხედოს, თორემ როგორც ნაწილობრივ მაინც დავინახეთ, მასში იმდენი და ისეთ-ისეთი მიუტევებელი შეცდომების ნიაღვარი მოთქრიალებს, აღშფოთებულმა მკითხველმა საზოგადოებამ „ისინდი“ იქნებ ლიტერატურული უბედურების ზონად გამოაცხადოს!..

### 3

**მკითხველი** საზოგადოების თვალში ნამდვილი ყურწაყრუებული ოპონენტი ვიქნები, თუ აქამდე გაუგონარ და დასაგმობ ლიტერატურულ-გრაფომანულ ავანტიურასაც არ შევვხები!

თავისებურად წარმოდგენილი პოპულარობის წყურვილით შეპყრობილმა რედაქტორმა მკითხველები ვითომ შორსმჭვრეტელურად ჯერ კიდევ სამიოდე წლით ადრე შეამზადა (იხ. „ისინდი“, 2017, 2;) იკა ქადაგიძის წერილი „თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგადი ტენდენციების შესახებ“. თავისი ერთ-ერთი ლექსის „მოძმე“ ფანტასტიკური ბედ-იღბლის გასაზიარებლად და გასაზეპირებლად!

მოუსმინეთ.

„ხალხის (ე.ი. მკითხველების კი არა, მთელი ქართველი ხალხისო! ცხადია, ასე უფრო შთამბეჭდავი იქნება! ასეთი „წვრილმანები“ იკა ქადაგიძეს არ ესწავლება! ჯ.მ.) ერთსულოვან აღიარებასა და ელვისებურ პოპულარობას საფრთხე მუდამ განუყრელ თანამგზავრად ახლავს და როდესაც მოძმეს (უნდა იყოს „მოძმეს“. ჯ.მ.) არნახული წარმატების კვალდაკვალ პლაგიატი (უნდა

იყოს პლაგიატორი. მკითხველების საყურადღებოდ: ტექსტი რომ არ აიჭიჭყნოს, ავტორის მიერ შემდეგშიც უბრჭყალებოდ ხშირად ნახმარ ლექსის სათაურს, „მოდმე“ და „პლაგიატორის“ ნაცვლად „პლაგიატს“ მე აღარ ჩავასწორებ და ეს მხედველობაში იქონიეთ. ჯ.მ.) დაემუქრა, აქ ახალგაზრდა, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი შემოქმედისა და მკითხველის (აქაც და შემდეგაც ამ ახალგაზრდის გვარ-სახელს შეგნებულად არ ვასახელებ, რამე უხერხულობა რომ არ იგრძნოს. ამიტომ ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით N-ით მოვიხსენებ! ჯ.მ. ), N-ის ჯანსაღმა და აქტიურმა რეაქციამ ანონიმ ავისმქნელებს, ჩემი ლექსის მითვისებას რომ ცდილობდნენ, გზა დროულად გადაუკეტა. მოძმის თავბრუსდამხვევი თავგადასავალი ცალკე სტატიას ითხოვს“.

ერთი სიტყვით, „ისინდის“ მე-13 ნომერში გამოქვეყნდა რედაქტორის ოცგვერდიანი პოლემიკური წერილი. იკა ქადაგიძე მკითხველებს დასაწყისშივე ტრაგიკულ-ჰეროიკული კილოთი აუწყებს ერთი მზეჭაბუკის გმირობას.

„ჩემი რეკორდულად გახმაურებული ლექსი „მოდმე“ პლაგიატისაგან გაბედულად დაიცვა“.

აქედან მკითხველისთვის გაუგებარი რჩება: პოეზიისთვის შეუხამებელი ამ საზომით – რეკორდულობა – ქართულ მწერლობაში ლექსის შეფასება როდიდან დაიწყო?! ან როგორ იზომება ლექსის „რეკორდულად გახმაურება“: თითოეული პოეტი თავისი ლექსის „რეკორდულად გახმაურებას“ თვითონვე ადგენს და მერე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ისე ავრცელებს, როგორც მას მოეპრიანება (როგორც, მაგალითად, მარსიანმა სხვების ჩაურევლად, დამოუკიდებლად განსაზღვრა იკა ქადაგიძის სანიმუშო „ფიზიკური გარეგნობა!!!“) თუ აქაც კომპეტენტური ჟიური არსებობს?! თუ არსებობს, ბევრს კი ყურმოკრულადაც არ გვსმენია, მაშინ საინტერესოა, ერთადერთი პოეტის, იკა ქადაგიძის ლექსს, „მოდმე“ „რეკორდულად გახმაურებულის“ შეფასება მთელი ათასხუთასწლოვანი თუ მხოლოდ თანამედროვე ქართული პოეზიის ფარგლებში მოხდა?!

ჰოდა, დაინტერესებულმა მკითხველებმა იკა ქადაგიძეს თავისი ამ ლექსის „რეკორდულად გახმაურებულის“ დამადასტუ-

რებელი ოფიციალური მონაცემების ჩვენება რომ სთხოვონ, ნეტავი რა საბუთებს წარადგენს?! თუმცა ეს ცალკე თემაა და მკითხველმა საზოგადოებამ იმედი უნდა იქონიოს – ოპონენტისგან ამაზე ამომწურავ პასუხს მიიღებს!..

მოკლედ, რედაქტორის ამგვარი შესავლის შემდეგ იწყება, რაც იწყება! იკა ქადაგიძე და კამპანია თავრეტდასხმულ მკითხველს ამოსუნთქვის საშუალებასაც აღარ აძლევენ და სულ ამ **„რეკორდულად გახმაურებული“** ლექსის თვითნაკეთ ჯოჯოხეთისებურ ჯაბახანა კარუსელზე აბზრიალებენ და აწამებენ!!!

მაშ, მოუსმინეთ და როგორმე გაუძელით!

„ახალგაზრდა კოლეგამ პირობა მომცა, რომ ლექსის პლაგიატორთა კვალს ბოლომდე მიჰყვებოდა (უნდა იყოს „ლექსის პლაგიატორთა კვალს ბოლომდე რომ მიჰყვებოდა“ ჯ.მ.).

„მოძმის“ დაცვიდან ოთხი თვის თავზე (უნდა იყოს „ოთხი თვისთავზე“. ჯ.მ.) შეხვედრა მთხოვა და აღელვებულმა განმიცხადა, რომ „მოძმის“ პლაგიატორის კვალს მიაგნო (უნდა იყოს „მოძმის პლაგიატორის კვალს რომ მიაგნო“. ჯ.მ.).

„... „მოძმის“ პლაგიატის მოძიება ზედ დაერთო“.

„ამ რეპრესიებში მოჰყვა (უნდა იყოს მოყვა.ჯ.მ.) მისი ვიდეოჩანაწერიც“.

„მხოლოდ ამ ტექსტის შემდეგ გადმომცა „მოძმის“ ვიდეოჩანაწერი“.

„მე და ჩემი ლექსის გადამრჩენი ეგრევე ქურდულად დაგვბლოკა!“

„...ვინც თავის დროზე ჩემი ლექსი „მოძმე“ პლაგიატისგან ვაჟკაცურად და უანგაროდ დაიცვა.“

**„24 აპრილს, (რა საჭირო იყო აქ ეს მძიმე?! ჯ.მ.) ჩემი რეკორდულად გახმაურებული ლექსის (აი, სად უნდოდა მძიმე! ჯ.მ.), მოძმის დაწერიდან სამი წელი შესრულდა და შესაბამისად, მისი ბობოქარი ისტორია გავაცოცხლე“.**

მოკლედ, პოეტური პოპულარობის წყურვილით თავგანდაკარგული რედაქტორი საქმეში ჩაუხედავ მკითხველებზე სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად თავისი ერთ-ერთი ლექსის „ისტორიას“ ძალდაძალ თვითონვე აბობოქრებს და მისი ჭიაყე-

**ლის ნაწყვეტისებური უღონო მიმოძრაობით – თავად საოცნებო ბობოქრობა რომ ჰგონია!** – თვითონვე ტკბება!

არადა, აქამდე ვის გაეგონა ან ვინ იკადრებდა, რომელიმე რედაქტორს ანდა პოეტს საკუთარი ლექსის „ბობოქარი ისტორიის“ გონებაშიღმური ბჟუტურით მომთმენი მკითხველებისთვის ტვინი გაებურლოს?!. მაგრამ რა ვქნათ, ჩემო კეთლშობილებო, დამთმენო მკითხველო? მერნმუნეთ, ეს აღმფოთება მალე სიბრალულთ შეგეცვლებათ! ვისადმი?! მაგის დაზუსტება კი თქვენთვის მომინდვია!..

ერთი სიტყვით, თავისი ლექსის „ბობოქარი ისტორიის“ მობობით თავდავინწყებული იკა ქადაგიძე ანგარიშს აღარავის უნევს და „ისინდის“ ხელუხლებელ ყორულებს თავდაუზოგავად მისთიბავს!..

„ლექსი პლაგიატისაგან გაბედულად სწორედ მან დაიცვა“.

„ჩემი ლექსის გადამრჩენს კვლავ მხურვალე მადლობა გადავუხადე (უნდა იყოს „მხურვალე მადლობა კვლავ გადავუხადე“. ჯ.მ.).

„...ისეთი რამ მითხრა, გავხევდი: მერჩივნა, თქვენი ლექსი საერთოდ არ გადამერჩინაო“.

„მომძის ისტორიული ვიდეორგოლიც... ძლივს მაღირსა!“

ისევ და ისევ ამ განდიდების მანიის დაუოკებლობა!... განგება ამგვარი ბედისწერა როგორ არგუნა თნამედროვე ქართულ მწერლობას!!!.. კი მაგრამ, რით გამოიხატება ერთი ლექსის ჩვეულებრივი ვიდეორგოლის „ისტორიულობა?!“ თუმც კმარა ამგვარი გზადაგზა კომენტარები! დაე, ეს ამ პატარა ნიგნმა და მომავალი ლიტერატურული მკვლევარის პირუთვნელობამ ცხადყოს!!!

იკა ქადაგიძის „რეკორდულად გახმაურებული“ ლექსის თემას, ცხადია, მარსიანიც შეეხებოდა.

„იკამ... „მომძე“ რომ დანერა, სასწრაფოდ განათავსა ინტერნეტში. ვილაცყებმა კი აიღეს და ეს ლექსი ავტორის დაუსახელებლად და დაუკითხავად სხვა საიტზე გადაიტანეს. შეიქმნა საშიშროება, რომ სხვა ვინმეს მიეთვისებინა ხსენებული ნაწარმოები. ამის გამო, N-ს ინტერნეტში საჯაროდ განუცხადებია, რომ „მომძის“ ავტორი იკა ქადაგიძეა. (ჯერ ერთი, თუკი ინტერნეტში განუცხადებია, ეს თავისთავად საჯარო განცხადებასაც ნიშნავს – აბა, ინტერნეტში ოციოდე კაცისთვის ხომ არავინ განაცხა-

დებდა?! მოკლედ, ეს წინადადება ასე უნდა აგებულიყო „N-ს ინტერნეტში განეცხადებინა, „მოდმის“ ავტორი რომ იკა ქადაგიძე იყო“. ჯ.მ.). იკამ დიდად დაუფასა ახალგაზრდა კაცს ეს გამოქომაგება“. (უნდა იყოს „იკამ ახალგაზრდა კაცს ეს გამოქომაგება დიდად დაუფასა“. ჯ.მ.).“

**„რეკორდულად გახმაურებული“** „მოდმის“ შტირლიც-კლოსისებურ პერიპეტიებს ვერც რედკოლეგიის ერთ-ერთი წევრი, თემურ ნადარეიშვილი წასვლია.

„იკამ 2017 წლის 26 აპრილს ინტერნეტში განათავსა მძაფრი, დიდი ეროვნული სულისკვეთებით დატვირთული ლექსი „მოდმე“. უცნობმა პირებმა კი ეს **შედეგური** იკასაგან დაუკითხავად, ისე რომ არც კი დაუსახელებიათ (უნდა იყოს „არც კი მიუთითებიათ“. ჯ.მ.) ლექსის ავტორი, სხვა საიტზე განათავსეს და სწორედ ამ გაურკვეველ სიტუაციაში, როდესაც არსებობდა (უნდა იყოს შეიქმნა.ჯ.მ.) საშიშროება, ვინმე არაკეთილსინდისიერს მიეთვისებინა ლექსი, N-მა სოციალურ ქსელში საჯაროდ (ისევ ეს საჯაროდ! ჯ.მ.) დაიცვა „მოდმე“, კერძოდ, განაცხადა, რომ ლექსის ავტორი იკა ქადაგიძეა. (უნდა იყოს „კერძოდ, განუცხადებია (ან განეცხადებინა, რომ ლექსის ავტორი იკა ქადაგიძე იყო! ჯ.მ.). როგორც მარსიანი წერს: „იკამ სათანადოდ დაუფასა N-ს ეს საქციელი (უნდა იყოს „N-ს ეს საქციელი იკამ სათანადოდ დაუფასა“. ჯ.მ.) – იგი „ისინდის“ გუნდის წევრი და მუდმივი ავტორი გახდა“.

„2020 წლის აპრილში... იკა ქადაგიძის გახმაურებული ლექსის „მოდმის“ გამოქვეყნების სამი წლისთავზე იკამ N-ს გადარჩენისთვის მადლობა ტრადიციულად გადაუხადა“.

„იკა ქადაგიძის გახმაურებული ლექსის (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), „მოდმის“ (უნდა იყოს „მოდმე“ ჯ.მ.) საჯარო დაცვაც თავიდანვე ჩაფიქრებული მზაკვრული გეგმის ნაწილი ხომ არ იყო? (აქ კითხვა-ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)?!“

ამგვარი შეთანხმებულ-შეუნყალებელი ჩიჩინით გამოსავათებული მკითხველების მაგივრად ოპონენტებს მე შევლალადებ.

– ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ, მაგით რის მიღწევას ცდილობთ – თქვენგან შექმნილ ჯეიმს ბონდისებურ ლიტერატურის მამაც აგენტს და მის მიერ სასწაულებრივად გადარჩენილ იკა

ქადაგიძის „რეკორდულად გახმაურებულ“ ლექსზე მძაფრსიუ-ჟეტინი დეტექტიური ტელესერიალი გადაიღონ?!. ან ტოლდაუ-დებელ ლიტერატურულ-კომპიუტერულ კლოსსა თუ შტირლიცს მის მიერ მსუნაგი პლაგიატორის ბასრი ჭანგებიდან გამოხსნილ ლექსსა და მარსიანის მიერ გენიოსად მიჩნეული ავტორის, იკა ქადაგიძის უკვდავსაყოფად თბილისში, რუსთაველის გამზირზე, თანაც მათ მიერ ამორჩეულ ადგილას, მსოფლიოში ყველაზე მა-ღალი ქანდაკებების ანსამბლი დღესვე აღუმართონ?!

როგორც დავინახეთ, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერ-თ-ერთმა წევრმა, პროფესიით ფიზიკოსმა, თემურ ნადარეიშ-ვილმა იკა ქადაგიძის ეს ლექსი „მოდმე“ შედეგრად გამოაცხადა! ხოლო რედაქტორი მის შეფასებას რაკი პირდაპირ ამ სახით ბეჭ-დავს, მაშინ თავისთავად იგულისხმება, რომ თვითონ იკა ქადა-გიძესაც ეს თავისი ლექსი შედეგრად მიაჩნია!!!

ამრიგად, ოპონენტებმა უკან დასახევი აღარავის დაუტოვეს! თუმც მშობლიური მწერლობისა და მკითხველების წინაშე პასუ-ხისმგებლობა მავალდებულებს, უკიდურესად პირდაპირი ვიყო!

ჰოდა, თავნება ოპონენტებს უკან დასახევიც რომ დაეტოვე-ბინათ, მე ამ საძრახისი გზით მაინც არ წაეჩანჩალდებოდი და ისევ პრინციპული ბრძოლის გზას ავირჩევ, ამგვარმა არჩევან-მა ჩემი მწერლური ვინაობისთვის ახალგათხრილ სამარესთანაც რომ მიმაყენოს!

მკითხველებს ჯერ იკა ქადაგიძის ეს ლექსი, „მოდმე“ წარვუდ-გინოთ. აი, ისიც!

## მოქმე

მოძმე სომეხი რიხით ითხოვს (აქ ტირე უნდოდა. ჯ.მ.) ტაძრე-  
ბი მოძმე!

მოძმე რუსეთი-(აქ დეფიზის ნაცვლად მიძმე უნდოდა. ჯ.მ)  
ერთმორწმუნე: კვლავ დამემონე!

მოძმე ირანი წყლის რესურსის ხათრით ფრთხილია,

მოძმე სირიას ლტოლვილთათვის ბინა სჭირია!

მოძმე აზერებს რიცხოვნება ჩვენი ამღერებს,

მოძმე ისრაელს ჯერაც ათბობს ქართული ყლორტი

და ამიტომაც დაგვარისხა უხვი დეპორტი!

მოძმე არაბმა-მინა მოძმე, თქვენთის დიდია,

მოძმე ჩინელი ქართულს სწავლობს, ვაჰ (აქ მიძმე უნდოდა!  
ჯ.მ.) რა

ფლიდია?! (აქ მხოლოდ ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)!

მოძმე ინდოელს ფულის ეშხით ცოლად ინდომებ,

მოძმე ოსებთან გზა უსაზღვროდ შემოვლითია,

მოძმე აფხაზეთს ახლა სულ სხვა ძალა აბრაზებს,

ჩვენს კუთვნილ ზღვაში რომ დაეძებს ოქროს

გასაღებს. (აქ ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)!

მოძმე აფრიკელს ქართული ცის წონა აფიქრებს, (ცის წონა?!  
ჯ.მ.).

მოძმე ავღანელს გაუღიმე, არ დაახანებს, (აქ მრავალწერტი-  
ლი უნდოდა. ჯ.მ.)...

მოძმე ევროპას უსქესოთა ნანაც ეყოფა!

ქართველის გარდა ვინ შეიძენს ამდენ მეგობარს (აქ კითხვა-  
ძახილი უნდა. ჯ.მ.)?!

ქართველის გარდა სხვას ვის ხიზლავს

მრავალღმერთობა (აქაც კითხვა-ძახილი უნდა. ჯ.მ.)?!

მოძმე ა.შ.შ.-ს შეაშრება დემოკრატია, ჩვენი ჯვარია მოთმი-  
ნება და აპათია,

მოძმემ რომელმა ქართველს სუნთქვა თუ აპათია? (აქაც  
კითხვა-ძახილი უნდა. ჯ.მ.)?!

მოძმე მოძმეა, მრავლისმომსწრე, ჩემო თვისტომო,

წინაპრებივით უნდა აღვდგეთ, მედგრად

ვიბრძოლოთ!

ეს ყველა მოძმე რიხით ითხოვს (აქ ტირე უნდოდა. ჯ.მ.)  
დროზე ჩაძალღდი, (უნდა იყოს ჩაძალღდით, ჯ.მ.).

ეს მინა-წყალი სამოთხეა, ამ ქვეყნად (უნდა იყოს ამქვეყნად.  
(ჯ.მ.) ნაღდი,

მოძმე თურქეთი სულ არა ჰგავს სისხლისმსმელ

ბოროტს (აქ მძიმე უნ-

დოდა! ჯ.მ.).

ამაყად გვითვლის (აქ ორი წერტილი უნდოდა. ჯ.მ.) ქართვე-  
ლებო, არ იდიდგოროთ!

და რადგან ყველა მოძმე ახალ ბორკილს იგონებს,

მაშ (აქ მძიმე უნდოდა ჯ.მ.), გაუმარჯოს მოძმისაგან დაჩაგ-  
რულ მონებს!

24.04.2017

ახლა გავიხსენოთ, რა არის შედევი? ლექსიკონი სხარტი  
და მკაფიოა: სანიმუშო ნაწარმოები – ხელოვნების, ოსტატობის  
უმაღლესი მიღწევა.

იკა ქადაგიძის „მოძმე“ არის არა შედევი ან თუგინდ ჩვეუ-  
ლებრივი მოსათმენი ლექსი, არამედ გრაფომანის მიერ ერთფე-  
როვანი პათეტიკურობით გალექსილი და კუსტარულ სალექსო  
ყალიბში ოთხთითა ფიწლით ჩატენილი მწვავე ეროვნულ სატ-  
კივარზე სადებიუტო პუბლიცისტური წერილისთვის ჰაიჰარად  
მოგროვებული ნედლი მასალა!

იკა ქადაგიძემ და მისმა მეხოტბეებმა **„რეკორდულად გახმა-  
ურებული“** „მოძმე“ შედევრად რომ გამოაცხადეს, ამით თავ-თა-  
ვიანთ ლიტერატურათმცოდნეობას ისეთი სასიკვდილო განაჩე-  
ნი გამოუტანეს, რომ კასაცია ველარასოდეს შეეხება: პოეზიაში  
აღწერა და ჩამოთვლა ჯერ კიდევ **ჰორაციუსისა** (ძვ. წ. 65-ძვ.წ. 8)  
და **ოვიდიუსის** (ძვ.წ. 43 - ახ. წ. 18) დროიდანაა დაგმობილი – აღ-  
წერა და მით უმეტეს, ამგვარი ერთფეროვანი ჩამოთვლა პოეზი-  
ის საქმე არ არის!!!

იკა ქადაგიძემ მკითხველ საზოგადოებას გაუგონარი ცილის-მნამებლური შეურაცხყოფა მიაყენა, საკუთარი მდარე ლექსის, „მოდმე“ ძალდაძალ „გასაპოპულარებლად“ თავის მიერვე შეთითხნილი პროპაგანდისტული შეფასება „რეკორდულად გახმაურებული“ მთელ ხალხს რომ მიანერა და გაერთგულებული თანამშრომლების მხარდაჭერით თავისივე ჟურნალის ფურცლებზე საძრახისი სარეკლამო ნიოკობა გააბა!

გასაკვირია, იკა ქადაგიძეს ასერიგად რომ ნიბლავს ამ თავის „რეკორდულად გახმაურებულ“ ლექსზე არაბული ზღაპრების თხზვა, რატო არ უფიქრდება – ამას მკითხველებიც დაუჯერებენ თუ პირიქით, გაღიზიანდებიან და ყველაფერზე თვალი აეხილებათ?!

#### 4

„ისინდის“ მე-ნ ნომერში გამოქვეყნდა მისი რედაქტორის, იკა ქადაგიძის აი, ეს ლექსიც „უედემო ბალებს“. ამჯერად სტილი ხელუხლებელია!

### უედემო ბალებს

სემირამიდა, უედემო ბალების ხიდთან  
უბრად ვიდოდა ყრუ მზერათა ჟღალი მიმნუხრი.  
ვერ მაპატიე, რომ ვემსგავსე მტვერნატკენ  
ქუხილს,  
შენი მკლავები ვით სამსჭვალი მზისფერ  
ქლამიდთა...

სემირამიდა, დაკიდული ბალის სილუეტს  
შემოანაცრებს ქარნაშალი ქვიშის ქვაბული,  
სიკვდილის მაცნეს შეასკდები ძარღვდაძაბული,  
მინის სიყრუე უსიმლერო ცრემლად განვიდა.

სემირამიდა, აქ ვის ძალუძს ცა ატივტივოს,  
აამლელვაროს უგრძნეულო ცხრაკლიტულები,  
ფიქრების ტიგროსს გზა შეუკრას, დაცხრეს  
სრულებით,  
არ შეიმუროს ცოდვათაგან, კუმტ შესაქმიდან

გამოიპაროს უედემო ბალების ხიდთან  
მზეთა სიმკვრივე ამოკანროს  
დარდჭირნახულთა,  
შენს მწველ მზერაში ჩემ ელ-ჭექის შიში  
გახუნდა  
გედის სიმღერა დაენათლოს ფრთამალ  
იკაროსს...

სემირამიდა, ოქროცურვილ სურვილთა კბოდეს  
მინით დაკბილულ სევდის ურვა ელამუნება  
უთვალავ ფერთა ამამძიმებს მრუმე ბუნება,  
მინის მაჯები ძუ ვარსკვლავად ზეცამ გაკიდა.

სისპეტაკიდან ჰანგი იქმნა, ფერფლი ურვადთა  
ჩოჩხმზის ღიმილად დასალიერს გავენვართები  
ალიგიერის ნაოჭივით დულს აღმართები,  
აქ ჩემმა სიტყვამ უფსკრულები გაიამინდა...

სემირამიდა, უედემო ბალების ხიდთან  
მიგრიგალებდა ყრუ მზერათა შლეგი მიმწუხრი,  
არ გაპატიე, ვერ აჰყევი უჟამო ქუხილს,  
შენი მკლავები, ვით სამსჭვალი მზისფერ  
ქლამიდთა.

5.05.2018



იკა ქადაგიძე

წელანდელი „მოძმისა“ არ იყოს, ეს ლექსიც პირდაპირ იხვე-  
ნება თავის თავზეც მოისმინოს ჩემნაირი რიგითი მკითხველის  
აზრი. მეც, რაკი არა მაქვს იმედი, საამისოდ როდისმე უფრო  
უკეთესი შემთხვევა და ადგილი გამომიჩნდება, ორიოდე სიტყ-  
ვას ბარემ ახლავე ვიტყვი.

ამ ე. წ. ლექსში თავიდან ბოლომდე ბნელსიტყვაობის ისეთი გა-  
უვალი ხევსუვებია, რომ მხატვრულ კონტროლს არ ემორჩილება!!!

\* \* \*

მაშ, იკა ქადაგიძე თავს ამდენ უფლებას რატომ აძლევს?

ამის ამომწურავ პასუხს მარსიანი თვის წერილში „ქვიშანი“ ...  
იძლევს.

„ამ ხალხს (ე.ი. იკა ქადაგიძის ოპონენტებსა და ჟურნალის  
კრიტიკოსებს! ჯ.მ.) ვერ გაუგია, რომ „ისინდი“ იკა ქადაგიძის  
ჟურნალია და არა კულტურის სამინისტროსი“.

აგაშენათ ღმერთმა!... ძაღლის კუდი აი, თურმე სად ყოფილა  
ჩამარხული! „ამ ხალხს“ კი ეგონა, რომ... მაგრამ ამ შემთხვევაში  
აქ მთავარი ის კი არ არის, ესა თუ ის ლიტერატურული ორგა-  
ნო ვისია, არამედ ვის, რასა და როგორ უნდა ემსახურებოდეს!!!  
თუმც ზოგჯერ ამას რას დაგიდევენ!

ჰოდა, იკა ქადაგიძეც თავის მიერვე ომახიანად შეფასებულ  
„ყველაზე მეტრძოლ ეროვნულ“ ჟურნალსაც თავის შეხედულებ-  
ისამებრ იყენებს! როცა მოეგუნებება, თავის მრავალფერო-  
ვან, ხმაჩამორთმეულ ოპონენტებს ჟურნალის ფურცლებზე ისე  
„აცამტვერებს“, თითქოს თვითონ ჩინეთის იმპერატრიცა იყოს,  
ისინი კი სისხლის სამართლის დამნაშავენი!

თან ოპონენტიც არის და ოპონენტიც! სადღაც, ოდესღაც  
გამართულ ამა თუ იმ ლიტერატურული ღონისძიების წამყვანს  
იკა ქადაგიძისთვის თუკი რამე მიზეზით სიტყვა არ ან ვერ მი-  
უცია ანდა, როგორც თვითონ მოსჩვენებია, ქეშად შემოუხე-  
დავს... ვისაც „ისინდის“ დაბადება არ მიულოცავს ანდა მილოც-  
ვით კი მიულოცავს, მაგრამ არა ისე, როგორც თვითონ სურდა  
ან წარმოედგინა... ანდა, თავისი ჭკუით, სულაც არ გახარებია!..  
იმ პიროვნებებს, ვისაც ჟურნალის დაფინანსებაში თავისებური

ვალდებულება უკისრია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით მერე ველარ შეუსრულებია... განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც „ისინდის“ დაბადებაში უანგარო მონაწილეობა მიუღია, მაგრამ თავიანთი მრწამსის კარნახით თავნებერა რედაქტორს განდგომია, იკა ქადაგიძე მათ ვინაობას მკითხველ საზოგადოებას ამოუხსნელი გაბედულებით უსახელებს და თითოეულ მათგანს ისე „ანადგურებს“, თითქოს ჭეშმარიტების, ქართული ლიტერატურისა და პირადად მისი მოსისხლე მტრები ყოფილიყვნენ!

ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრ მათგანს ასეთი შურმაძიებლური, „სახელის განსათქმელი“ გესლნარევი კრიტიკა უეჭველად გააოცებდა და მხრების აჩეჩით იკითხავდა – ამ ქალისთვის ნეტა რა დამიშავებია, ასე რატო მერჩისო?!

„სიამაყით გულზედ მოსული“ (შექსპირი) იკა ქადაგიძე კი, ალბათ, ვერცა ხვდება, „თავისი“ ჟურნალის ფარგლებში მონათმფლობელურ და ბატონყმურ წესწყობილებას რომ ამკვიდრებს: არასასურველ ყოფილ ბევრ თანამშრომლებსა თუ ავტორებზე ისე მსჯელობს, როგორც თავის ნამდვილ ან ყოფილ ყმებზე, ბამბის პლანტაციებიდან გაქცეულ ამერიკის გარდასულ დროთა მონა ზანგებზე ანდა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან თავდაღწეულ ტუსაღზე!!!

ახალგამომცხვარი რედაქტორ-მანდილოსანი, თანაც პოეტი აი, რანაირად მსჯელობს ახალგაზრდა, ნიჭიერ კრიტიკოს, პუბლიცისტსა და მეცნიერზე ლევან ბებურიშვილზე (სტილი დაცულია)!

„ალიარებულმა კრიტიკოსმა, ლევან ბებურიშვილმა (მასთან ხუთწლიანი საბრძლო თანამოაზრეობა მაკავშირებდა) ჩემი რეკორდულად გახმაურებული ლექსის „მოდმის“ პრინციპული იგნორირების შემდეგ არც ჟურნალის მომდევნო ნომრისთვის შეიწუხა თავი, (შეთანხმების თანახმად მან ჟურნალის ტექნიკური რედაქტორის მოვალეობა იკისრა). პრესტიჟულ სამსახურში (უნივერსიტეტის გარდა ალიარებული ახალგაზრდა პუბლიცისტი და კრიტიკოსი ლიტერატურის ინსტიტუტსა და საპატრიარქოს უნივერსიტეტშიც ოპერატიულად მიიღეს) დასაქმებისთანავე მებრძოლი იმიჯი მკვეთრად შეცვალა. მყუდრო კაბინეტის მკვლევარად გარდასახული ყოფილი მემბოხე მიხვდა, რომ მას

დამოუკიდებელ, ცენზურისა და კლანის ზეგავლენის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ჟურნალში დარჩენა კარიერულად უკან დახვედა და წინსვლისთვის სერიოზულ წინაღობებს შეუქმნიდა... ამრიგად... ცნობილ კრიტიკოსს უდავიდარაბოდ შეველიეთ“.

კი მაგრამ, ეს არის „უდავიდარაბოდ“ შელევა?! თავისი სამოღვაწეო მოწოდების კარნახით ერთ-ერთი ახალდაარსებული ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე რედაქციიდან პატიოსნურად წასულ ახალგაზრდა შემოქმედს იკა ქადაგიძე ისეთი გაბოროტებით ერჩის, როგორც XIX საუკუნის რომელიმე რუსი კლასიკოსი მწერლის ნაწარმოების ხასიათგაფუჭებული ხნიერი მემამულე ქალბატონი თავის გაქცეულ, ან უკვე მოუხელთებელ ყმა გლეხს!!!

ჯერ ერთი, მანდილოსანი რედაქტორი ასე რატომ თელავს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებას – როგორ ბედავ და ასე უტიფრად აქილიკებს ახალგაზრდა შემოქმედის კეთილშობილურ არჩევანს?!

ნიჭიერებითა და პრინციპულობით შემკულ ლევან ბებურიშვილს ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში უკვე მოჭრილი აქვს თავისი პატარა ოქროს მონეტა და ამიტომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი გადასაწყვეტია, გაუბედურებულ სამშობლოს საიდან უფრო ღირსეულად ემსახუროს!

მაშ, ასაკოვანი რედაქტორი ასე შეუფერებლად რატომ ეჩრება სხვის პირად ცხოვრებასა და სამოღვაწეო არჩევანში?... ანდა „თავისი“ ორიოდე წლის ლიტჟურნალთან შედარებით დაბალ ლობედ რის საფუძველზე მიიჩნევს დედაუნივერსიტეტს, ლიტერატურის ინსტიტუტსა და საპატრიარქოს უნივერსიტეტს, სადაც, როგორც თითონვე აღიარებს, **„ახალგაზრდა პუბლიცისტი და კრიტიკოსი ოპერატიულად მიიღეს“-ო!**

ბარაქალა ლევან ბებურიშვილის სახელს, ადრეულ აღიარებასა და მის სანდოობას, ამგვარ პრესტიჟულ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში საცდელი ვადით კი არა, **„ოპერატიულად“** რომ მიუღიათ და ახალგაზრდა შემოქმედს ერთდროულად ამდენ მძიმე უღელში გაუყვია თვი!

ასეთი სანიმუშო ახალგაზრდა მამულიშვილი უნდა შევაქოთ, გავამხნეოთ, მხარში ამოვუდგეთ, ახალთაობელებს მისაბაძად დავეუსახოთ, იკა კი!...

ოპონენტის უსაფუძვლო და უშედეგო დამცირებით გატაცებული იკა ქადაგიძე, ალბათ, ვერცა ხვდებოდა (ნეტავი ახლა მაინც თუ მიხვდება?!) ამგვარი უთაური მსჯელობით თავისი უდანაშაულო ოპონენტის შეუდარებელ ფერწერულ პორტრეტს რომ ქმნიდა, თორემ ამას რა დაანერინებდა!.. ეს ფერწერული პორტრეტი ამავე ციტატის დასაწყისში და ერთ თავის სხვა წერილშიც ისეთ-ისეთი შტრიხებით შეამკო, რომ ლევან ბებურიშვილის სახელი – როგორც პრინციპულობისა და პირუთვნელობის ნიშნად - ამითაც დარჩება ქართული მწერლობის ისტორიაში! მით უმეტეს, ამ პორტრეტს „ხატავს“ არა ახალგაზრდა შემოქმედის კეთილმოსურნე ანდა მისი ნიჭიერების რომელიმე თაყვანისმცემელი, არამედ უსაბუთოდ გაკაპასებული შუახნის მანდილოსანი!

ციტატას დაუკვირდით: „ისინდის“ რედაქციიდან ღირსებით ნასულ და რედაქტორისგანაც ვითომ **„უდავიდარაბოდ“** გაცილებულ ლევან ბებურიშვილს განარებული იკა ქადაგიძე მაინც ლაფის სროლით მისჩხავის, თუმც მისანში ვერა და ვერ მოუხვედრებია! სამაგიეროდ მკითხველი საზოგადოების თვალში როგორმე ღირსება რომ შეულახოს, რაღას არ კადრულობს!

**„დასაქმებისთანავე მებრძოლი იმიჯი მკვეთრად შეცვალა“.**

კი მაგრამ, იკა ქადაგიძეს ამას ვინ ეკითხება?! ანდა, ეს საიდან და როგორ დაადგინა: რედაქტორის საქმიანობა სხვას გადააბარა და წელან თავის მიერვე ჩამოთვლილ სამივე სამსახურში ახალგაზრდა შემოქმედს აბეზარი რევიზორივით სულ კუდს უკან დასდევდა და ნიშნებს უწერდა თუ რა?!. ეგეც არ იყოს, არა მგონია, ლევან ბებურიშვილისნაირ ინტელექტუალს იკა ქადაგიძისაგან ესწავლებოდეს, რომელ სამსახურში როგორ იღვანოს და სად რანაირი იმიჯი დაიმკვიდროს! მაგრამ განინმატებულ რედაქტორს თვითონაც არ ესმის, რას გაიძახის: **ყოფილი მემამბოხე მყუდრო კაბინეტის მკვლევარად გარდაისახაო!**

აბა, როგორ არ გაგეცინებათ ამგვარ პიტალო სისულელეზე! იკა ქადაგიძე ლევან ბებურიშვილს ისე აყვედრის ამ **„მყუდრო**

კაბინეტის მკვლევარობას“, თითქოს თვითონ და „ისინდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები მამაპაპური გუთნეულით რუსთაველის გამზირზე ხვნა-თესვას მისდევდნენ!

მსგავს სფეროთა მუშაკები ყველანი თავისთავად „მყუდრო კაბინეტის მკვლევარები“ არიან და იკას რალა მაინცდამაინც ლევან ბებურიშვილის „მყუდრო კაბინეტი“ შეშურებია თუ გაჰკვირვებია?! მაგრამ ხომ გაგიგონიათ ძველებური ანდაზა: დედაკაცის შარო, მოვარდნილი ღვარიო!

აგერ, როგორია ცილისმნამებელი რედაქტორის ჭიაყელასებური ბოლო, უშედეგო გაკლაკნა. ყოფილი მეამბოხე ლევან ბებურიშვილი მიხვდა, რომ მებრძოლ ეროვნულ ჟურნალში დარჩენა უკან დახევდა და წინსვლისთვის სერიოზულ წინააღმდეგობას შეუქმნიდაო!

როდემდე და სადამდე – ეს უკვე მთელი წიგნიერი საქართველოს შეურაცხყოფა და სინამდვილის მავნებლური დამახინჯებაა: აქამდე ვის გაეგონა, რედაქტორი „თავის“, თანაც ორიოდ წლის ლიტურჯულს ერთფეროვან ყოველ სტატიას ურცხვად აქებ-ადიდებდეს და საეჭვო აჩემებით „მებრძოლ ეროვნულს“ უწოდებდეს?! ქართული პრესის ისტორიას, ნეტავი თუ მოეპოვება მსგავსი სამარცხვინო მაგალით(ებ)ი?!

ჰოდა, იკა ქადაგიძე ლევან ბებურიშვილს ასეთი შურმაძიებლური უსაფუძვლოებით რატომ უწოდებს „ყოფილ მეამბოხეს“ – ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ 2012 წელს გამოცემული მწვავე კრიტიკული წიგნის „მწერლების „მოთვინიერება“ გრძელდება“ (გამომცემლობა „მერიდიანი“) ახალგაზრდა ავტორმა „ისინდის“ რედაქციაში დარჩენა არ ისურვა და თავისი უანგარო შეხედულებისამებრ მოღვაწეობის სხვა გზა აირჩია! იკა ქადაგიძე კი თავგადაკვლით ცდილობს, „ყოფილი მეამბოხის“ რანგში თვითნებურად ჩამოქვეითებული ჭეშმარიტი მწერალი-მეამბოხე მკითხველს საზოგადოებას ახლა კარიერისტადაც მოაჩვენოს: „მებრძოლ ეროვნულ“ ჟურნალში დარჩენა კარიერულად უკან დახევდაო!

მკითხველებს იკა ქადაგიძე პირდაპირ ახვევებს ბუნებრივი ლოგიკური მსჯელობისადმი მძიმეწონიანი შტანგისტიკური ძალადობით! ჯერ ერთი, ამგვარი მწვავე კრიტიკული წიგნის ავ-

ტორს რა სინდისით შეიძლება კარიერისტობა დაენამოს?! ლევან ბებურიშვილს ნუთუ მართლა ანვალებდა კარიერისტული ზმანებები, რაც თავისი გამოუცდლობით იკა ქადაგიძეს დედაშვილურად გაანდო, მან კი მიზეზთა და მიზეზთა გამო ახლა საქვეყნოდ წამოაძახა! და რაც მთავარია, ბებურიშვილს, როგორც თვითონ რედაქტორი ირწმუნება, „ისინდის“ მხოლოდ პირველი ნომრის გამოშვებაში მიუღია მონაწილეობა და იმ ერთადერთ ნომერში იმისთანა მაინც რა წერია, ლევან ბებურიშვილს სასწრაფოდ შეეცვალა თავისი სამომავლო გეგმები - აქედანვე ეტყობა, „ისინდი“ ისეთი „მებრძოლი ეროვნული“ ჟურნალი იქნება, თავს ახლავე თუ არ ვუშველე, აქ დარჩენა კარიერულად უკან დამხევს და სამუდამოდ დავიღუპებიო!

მოკლედ, აქ გაუწაფავი მკითხველიც იოლად მიხვდება – ქარიან ენას გასადევარი მისცემია და ბოლო არ უჩანს განდიდების მანიით წაცდენილი პროვინციელი კეკელას დაუსრულებელ მიეთ-მოეთს!

ახლა კი თავისთავად დგება იმ ორი მკაფიო შტრიხის გამომზეურების დროც, იკა ქადაგიძე მსოფლიოში სახელგანთქმული ფერმწერივით თავისდა უნებურად რომ აგვირგვინებს პირუთვნელი ახალგაზრდა შემოქმედის, ლევან ბებურიშვილის სამაგალითო პორტრეტს!

„ისინდის“ ნომერი (2019, 7) იწყება იკა ქადაგიძის სამგვერდიანი წერილით „ისინდის“ დაბადება“.

ჰოდა, ერთგან აი, რას წერს.

**„ჟურნალის სათაური „ისინდიც“ (უნდა იყოს „ჟურნალის სათაურიც „ისინდი“. ჯ.მ.) უცბად მომაფიქრდა, რომელიც კრიტიკოს ლევან ბებურიშვილის გარდა დანარჩენებს ძალიან მოეწონათ. ცალკე საკითხია, როდესაც დაწუნებული სიტყვის შინაარსი არ იცი, სამარქაფოდ შენეული ვარიანტიც არ გაგაჩნია და ამ მოცემულობის ფონზე წუნმდებლის კვერთხს მაინც ჯიუტად ებლაუჭები...“**

იმედია, მკითხველი აქაც ადვილად შენიშნავდა იკა ქადაგიძისეული პოლემიკის მეთოდსა და მიზანს: ლევან ბებურიშვილს მკითხველ საზოგადოებას ახლა აგერ, როგორ წარუდგენს - ჟურ-

ნალის სავარაუდო სახელწოდების, „ისინდი“ შინაარსი არ იცოდა და თან თავისეული „სამარქაფო ვარიანტიც“ არ გააჩნდა!

ეს უკვე რალაც გონებამიღმური სიახლეა, ღმერთმანი! გამოდის, რომ დღეის ამას იქით იკა ქადაგიძის დადგენილების მიხედვით, ნებისმიერ ოპონენტს უფლება არ უნდა ჰქონდეს თავის სფეროში რაიმე საგანზე ვისიმე საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვას თუ ამავე დროს თავისეული „სამარქაფო“ ვარიანტიც არ ექნება!

აქამდე ვინმეს გაეგონა მსგავსი რამ?!. ან ეს მისაღებია?!

იკა ქადაგიძე დაჟინებით ირწმუნება: ლევან ბებურიშვილმა სიტყვის, „ისინდი“ მნიშვნელობა არ იცოდაო! ამგვარი დაუფიქრებელი განცხადებით ჟურნალის რედაქტორი ორივე ფეხით ისეთ მახეში გაება, საიდანაც ველარასოდეს შეძლებს თავდახსნას!

ჯერ ერთი, ლევან ბებურიშვილი კი არა, ნებისმიერი პოლემისტი როგორ გაბედავდა ასეთ პაექრობაში ჩაბმას, თუ არ ეცოდინებოდა ამ სიტყვის ზუსტი შინაარსი და მნიშვნელობა! თანაც ვინ დაიჯერებს, იმ „ისტორიულ“ შეკრებაზე ყველას გასაგონსაცოდნელად საგანგებოდ არ განმარტებულიყო ისინდის ზუსტი მნიშვნელობა, რომელიც მომავალ რედაქტორს ანუ იკა ქადაგიძეს ზედგამოჭრილად მოსჩვენებოდა!!! მაშ, ამასთან დაკავშირებით საიდან, როგორღა უნდა გამომჟღავნებულიყო ლევან ბებურიშვილის „უცოდინრობა?!“

და რაც ყველაზე სავალალოა, იკა ქადაგიძე ეშმაკურად ცდილობს, მკითხველის ყურადღება მცდარი გზით წარმართოს: ლევან ბებურიშვილმა ისინდის განმარტება არ იცოდაო!

კეთილი, დავუშვათ და ეს მართლაც არ სცოდნოდა – ნუთუ ამ შემთხვევაში მისი ცოდნა-უცოდინარობა იქნებოდა ან უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი?! არ იცოდა და ქართულ ენციკლოპედიაში წინდანიწვე ჩაიხედავდა ან თანაგუნდელები აუხსნიდნენ და ეგ იქნებოდა! მაგრამ საკითხავი აქ სულ სხვა რამეა: სიტყვის, „ისინდი“ (ჯირითი) ზუსტი განმარტება როგორ თანაფარდობაში მოვიდოდა ახალდაარსებული ლიტერატურული ჟურნალის სახელწოდებასა და მის სამომავლო მხატვრულ მასალებთან!

აქ დასამალი აღარ არის – იკა ქადაგიძე გაუწინმატებია „მოუთვინიერებელი“ ლევან ბებურიშვილის მხატვრულ-ლიტერა-

ტურულ გემოვნებასა და კეთილშობილურ პრინციპულობას! თავად განსაჯეთ: მომავალი ლიტერატურული ჟურნალის მომავალი რედაქტორის ერთსულოვანი გარემოცვიდან სახელწოდება „ისინდი“ (ჯირითი) მხოლოდ ერთადერთს, ლევან ბებურიშვილს მიუჩნევია შეუხამებლად, რაც კეთილსინდისიერად განუცხადებია კიდევ! ამის დაშვება და მოთმენა კი როგორ იქნებოდა: საკუთარი აზრის მომავალი რედაქტორის სანინააღმდეგოდ გამოთქმის „ვირუსი“ შეიძლება სხვებსაც შეჰყროდათ და!...

არა, რასაც იკა ქადაგიძე ბრძანებს, ის ნყალგაუვალია და თანაგუნდელებმა თუ მომავალმა ხელქვეითებმა ძირს დაუშვებლად უნდა აიტაცონ, ხოლო მისი ინიციატორი ანუ მარსიანის მიერ ცოტა მოგვიანებით გენიოსად მიჩნეული იკა ქება-დიდებათ ცამდე ასწიონ!...

ასე თუ არ მოიქეცი, აბა, სხვანაირად როგორ შექმნი შენი საკუთარი პიროვნების საოცნებო ლეგენდას!... იკას ეგ ესწავლება?! „მოუთვინიერებელი“ ლევან ბებურიშვილი კი!... თანაც ეს მისი პირველი და შემთხვევითი „გამოხდომა“ არ გეგონოთ!

ახლა მეორე, დამაგვირგვინებელი შტრიხის ჯერი დგება და ლევან ბებურიშვილის იკასეული „ფერწერული“ პორტრეტიც მზად გვექნება!

მაშ, ისევ რედაქტორის ციტატას მივუტრიალდეთ. სტილი დაცულია!

**„ალიარებულმა კრიტიკოსმა ლევან ბებურიშვილმა... ჩემი რეკორდულად გახმაურებული, მებრძოლი ლექსის „მოძმის“ პრინციპული იგნორირების შემდეგ არც ჟურნალის მომდევნო ნომრისთვის შეინუხა თავი...“**

ი. ქადაგიძის ხსენებულ ლექსს წელან გაკვრით უკვე შევეხე. ამიტომ მხოლოდ ამასლა დავამატებ: თუ აღარ დაუშლიათ, თავ-თავიანთი ამისთანა ლექსები „ისინდის“ ფურცლებზე უნდა ქვეყნდებოდეს არა ასეთი რუბრიკის „ერთი ლექსის გაელვება“ არამედ „ერთი ლექსის გაჯაყჯაყება!“

აქ თავისთავად იზადება კითხვა: ლევან ბებურიშვილს სამოღვაწეოდ სხვა გზა რომ არ აერჩია და სამუდამოდ ისევ იკა ქადაგიძის ჟურნალში დარჩენილიყო, რა ელოდა? მაშინ ზოგიერთი-

ვით შეიძლება ისიც ტაბელური ავეჯისთვის დაემსგავსებინათ და როგორც წელანდელი მისი „დანაშაულები“ ჩამოთვლიდან შევიტყვეთ, არ უნდა ჰქონოდა რედაქტორის აზრისგან განსხვავებული საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი და უფლება!

ლევან ბებურიშვილი კი არა, აქ მეც ვისჯები, ვინაიდან იკა ქადაგიძემ თავისი დიქტატორული აზროვნებით ჩემი პანანკინტელა ცოდნა უკიდევანო სატანჯველად მიქცია!

აი, ეს როგორ ხდება! ვინც ქვემოთ მოყვანილი ციტატის ჩანიშვნას გადაწყვეტს, წყაროს ბარემ აქვე მივუთითებ: ქართული ენციკლოპედიის მე-6 ტომი, გვ. 390, სიტყვა-სტატიის „მალქი იზნანასი“, ბოლო წინადადება.

ჰოდა, ისლამის დამაარსებელს, რელიგიურ მქადაგებელსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, მუსლიმანური ტრადიციისა და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელ მოციქულსა და უდიდეს წინასწარმეტყველს, მაჰმადს (მუჰამედს) (დაახლ. 570, მექა-8.VI.632, მედინა) აი, რა აქვს ნათქვამი.

**„აზრთა სხვადასხვაობა ჩემს თემში ნებადართულია“.**

იკა ქადაგიძე?! იკა ქადაგიძეს კი - ნორმატიული გრამატიკა და საყველპურო ქართულიც რომ არა სცოდნია! – „თავისი“ ყურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, ნიჭიან ახალგაზრდა შემოქმედს, თანაც როგორც თვითონვე უწოდებს, „პოპულარულ კრიტიკოსს“, ლევან ბებურიშვილს ვერ პატიობს არა იმდენად განსხვავებული აზრის ქონას, რამდენადაც ამ აზრის გამოთქმის კეთილშობილურ მოთხოვნილებასა და აუცილებლობის შეგნებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ვისიმე მხრიდან იკა ქადაგიძის ვარაუდის, წინადადების, შეხედულების, ნაწარმოების, გუმანისა თუ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო, თანაც ამკარად საუმჯობესო მოსაზრების გამოთქმა ხომ „სამარცხვინოდ“ შეაფერხებს ახალბედა რედაქტორის პიროვნული ბაბილონის გოდოლის ფაციფუცით მშენებლობას!!!

ამის დაშვება კი როგორ იქნება!

სწორედ ამ მიზეზით იკა ქადაგიძემ ლიტერატურული ყურნალი „ისინდი“ თანდათან დაამსგავსა ბეტონსარევე რახრახა და ნადგარს, სადაც (რამიც) საეჭვო მარკის თვითგანდიდების ხოტ-

ბა-ბეტონს დაუღალავად ზელს და ზელს საკუთარი ბაბილონის გოდოლის თანდათან ასამაღლებლად!

აქ ყველაფერი სავალალოა, განსაკუთრებით კი აი, რა: იკა ქადაგიძეს თავდავინწყებამდე იტაცებს თავისი ლეგენდა-ბაბილონის გოდოლის გამაღებელი მშენებლობის მხოლოდ **პროცესი**, საბოლოო **შედეგზე** ფიქრს კი, ეტყობა, შეგნებულად თავს არიდებს და არ სურს, გონებაში ერთი წამით მაინც გაიტაროს – საბოლოოდ რა ემართება ხოლმე თვითმიზნურ ნებისმიერ გოდოლს!

დაკვირვებულ მკითხველს აქ ერთი რამ უეჭველად გააოცებს: ნიჭიერებითა და მემამბოხის სულისკვეთებით შემკული ლევან ბებურიშვილი, იკას მტკიცებით, ბოლო ხანს თუკი ამდენი ნაკლოვანების მატარებელი გამხდარა, მაშინ გასაკვირია – რედაქტორ-მანდილოსანს რაღა უნდა მისგან, ასე თავდამამცირებლად რაღას მისტირის?!

მტრობა კი ღმერთმა აშოროთ, მაგრამ აქ რომაული ხატოვანი გამონათქვამი მაგონდება: მტერი რომ გარბოდეს, ოქროს ხიდე-ბი აუგეო!

მაშ, სად მარხია ძაღლის კუდი? – იკითხავს გამოუცდელი მკითხველი.

აქ მარტო ძაღლის კუდის პოვნა ვერაფერს გვიშველის თუ ძაღლის მთლიანი მძორიც არ მოითხარა! იკა ქადაგიძეს აკაპასებს თავისი მოულოდნელი წარუმატებლობა და ფუჭი ოცნებების გაცრუება: ლევან ბებურიშვილი მოუთვინიერებელი რომ წასვლია და ისიც თავის თუთიყუშისებურ მეხოტბეთა მარაქაში ვერ შეუტყუებია!!!

ხშირად მთავარი ის კი არ არის, როგორ ან რამდენს გაქებენ, არამედ ვინ გაქებს! ჰოდა, სად ნიჭითცხებული, მთელ ქართულ მწერლობაში უკვე ცნობილი, სპეტაკი ბუნება-გემოვნების ახალგაზრდა შემოქმედის, ლევან ბებურიშვილის მიერ აღვლენილი ხოტბა-ქების მიმზიდველობა და სანდოობა და სად...

**თანამედროვე** ქართული ლიტერატურული ყოფა-ცხოვრების წინაშე თავს ვალდებულად ვთვლი, განსაკუთრებული პირდაპირობით შევეხო ლევან ბებურიშვილისადმი იკა ქადაგიძის უმთავრეს ბრალდებას: ჩემი „**რეკორდულად გახმაურებული**“, მებრძოლი ლექსი „**მოდმე**“ დაინუნაო, უფრო ზუსტად და უარესი, მისი „**პრინციპული იგნორირება**“ მოახდინაო!

გასაკვირია, მაშინ რაღა მარტო ლევან ბებურიშვილი?! იკა ქადაგიძე ნუთუ ვერ ხვდება – მისი ამგვარი თვითგანდიდების ვითომ კრიტიკის სამიზნეზე აქ თავისთავად ხვდება ყველა ის უდანაშაულო მკითხველიც, ვისაც იკა ქადაგიძის „**რეკორდულად გახმაურებული**“ ლექსი „**მოდმე**“ თუ სხვა ლექსები წაუკითხავს, მაგრამ არ მოსწონებია!

მაშინ იკა ქადაგიძე უძძიმეს და უკადრის საქმეს უნდა შესდგომოდა – ძირისძირამდე დაედგინა გასაკიცხ მკითხველთა ვინაობაც, ვინც მისი „**რეკორდულად გახმაურებული**“ ლექსი „**მოდმე**“ არ მოიწონა! კი მაგრამ, ვისა აქვს უფლება მკითხველების აზრთა სხვადასხვაობას ყველა გზა-ბილიკი მტარვალურად ჩაუხერგოს და მათგან მხოლოდ არაკომპეტენტურ ანდა მლიქვნელურ-მაამებლურ ქება-დიდებას მოითხოვდეს და მოელოდეს!

ერთი სიტყვით, აქ ლევან ბებურიშვილის პრინციპულობა საყვედურს კი არა, მხოლოდ ქებას იმსახურებს! ოღონდ არა იმდენად როგორც ლიტერატურული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ, ყველაზე ახალგაზრდა წევრს, რედაქტორის „**რეკორდულად გამოხმაურებული მებრძოლი**“ ლექსის „**პრინციპული იგნორირება**“ რომ გაუბედავს, არამედ თავისი უმნიშვნლო ავტორიტეტისა და ლიტერატურული გემოვნების სასწორზე შეგდებას რომ არ მორიდებია – ვაითუ ვცდებოდე და სახელი სულ შევიბღალაო!!!

\* \* \*

ასე და ამრიგად, რედაქტორის ზოგიერთმა ხელქვეითმა ლექსი „მოდმე“ შედეგრად აღიარა! ხოლო უსაფუძვლოდ და უმისამართოდ გულმოსული იკა ქადაგიძე მკითხველი საზოგადოებისგანაც იგივეს მოითხოვს, ვინაიდან ეს ლექსი, როგორც თვითონ აუკვირდება, „**რეკორდულად განმაურებული მებრძოლი**“ ლექსი ყოფილა!!! კი მაგრამ, იკა ქადაგიძე ასე ოკუპანტივით რატომ იჭრება მკითხველთა ხელუხლებელ უფლებებში, მოვალეობასა და გემოვნებაში – თავად განსაზღვრონ ნებისმიერი პოეტის ლექსის ავკარგიანობა?!

მკითხველებს თუ ამ ნმიდათანმიდა უფლება-მოვალეობასაც ჩამოვართმევთ, მაშინ რა დღეში ჩავარდება პოეზია, საერთოდ, პოეტისა და მკითხველის ურთიერთობა?!

ახლა მიუდგომლად განვსაჯოთ: ჭეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთი ღვთაებრივი მოვლენა და შედეგი - ლექსი მიქსერი... მტვერსასრუტი... ელექტრობურღი... ნვენსანური... ბლენდერი... მაცივარი ანდა ცხვრის საკრეჭი აგრეგატი ხომ არ არის, პოეტმა თან მკითხველების შეურაცხმყოფელი, თავის ქეიფზე შეთითხნილი ინსტრუქციაც აახლოს: ეს ჩემი ახალი ლექსი **რეკორდულად** (სტახანოვურად, მენყერისებურად, ჩანჩქერისებურად, ტყვიამფრქვევისებურად, ცუნამისებურად, ქვემეხისებურად, მინისძვრისებურად, სიოსებურად, კამეჩისებურად, ღვარცოფისებურად, იასამნისებურად...) **განმაურებული** (ადანდგარებული, აგრუხუნებული, აკაკანებული, აყეფებული, ნაზად მბერავი, აღრიალებული, აქშენილი, საამო სურნელის მფრქვეველი...) შედეგრია და ტვინის ძაფები დროიანად გაანძრით, რათა თავისი ღირსებისამებრ შემიფასოთო!...

კარგი და, რომელი პოეტების ლექსებსაც თან არ ახლდება იკასებური „**ქარხნულ-ფაბრიკული**“ ინსტრუქცია, ნუთუ ის ლექსები შეუმჩნეველი და შეუფასებელი დარჩება?!

მთელი მსოფლიოსა და მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიასაც რომ თავი დავანებოთ, ცდისპირად თავისი მრავალფეროვნებით გამორჩეული XX საუკუნის ქართული პოეზია ავიდოთ. ჰოდა, ნებისმიერმა ოპონენტმა ერთი პოეტი მაინც დაასახლოს,

თავის ლექსთან დაკავშირებული ამგვარი „ინსტრუქციით“ მკითხველისთვის სისხლი გაეშროს!!!

მაშ, თანამედროვე ქართული მწერლობის თავს ეს რა უბედურება არის დამტყდარი - ხმას რატო არ იღებენ, ვისაც ეს ეხება, რათა ამგვარ თავანყვეტილებას დროზე ამოედოს მუნდმტუკი ანუ გერმანულად ერთგვარი კბილებიანი ალვირი თავლორი ცხენის შესაოკებლად!

## 5

**ახლა** მხოლოდ კითხვას დავსვამ, პასუხი კი ყველამ თავის გულში შეინახოს! ამგვარი თვითგანდიდების მანიით სავსე წერილები... პოზიორულად გადაღებული მტკავლიანი თავისი ფოტოსურათები... საკუთარი პერსონისადმი, ვინ უწყის, რა მიზეზით ან მიზნით მიძღვნილი აი, ამ დონის „ლექსი“ სხვა რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთშიც რომ მიეტანა, როგორ ფიქრობთ, იქაც დაუბეჭდავდნენ?!

ზოგიერთებს აი, თურმე რისთვის სწყურებიათ „თავისი“ ლიტერატურული ჟურნალისა თუ გაზეთის დაარსება, რათა მერე მშობლიური მწერლობის უანგარო მსახურების ფარისევლური საფარველით პირველ რიგში ყველაფერი საკუთარი შემოქმედების ყალბი ლეგენდის შექმნის საძრახის მცდელობას შეახარჯონ!

მეც მესმის, ნებისმიერი შემოქმედებითი სფერო არ არსებობს გამოჩენილი მოღვაწის მიმზიდველი ლეგენდის გარეშე, მაგრამ ამგვარი მომხიბლავი ლეგენდის შექმნა უნდა ხდებოდეს არა მავნის უკადრისი ფანდებით ან კამეჩური მიწოლით, არამედ სანიმუშო ბუნებრიობით – ღმერთისგან მიმადლებული ხალასი ნიჭიერების... ბასრი კალმისა და გამორჩეული აზროვნების... გულთმისანი საჭრეთლის... ჯადოსნული ფუნჯის... შეუდარებელი ტენორის, ბარიტონის, სოპრანოს, ბანის... დამჯერებელი სიმებისა თუ კლავიატურის წყალობით და არა ნიჭუქონელის მიერ გამხმარ, კოჟრებიან ბოძზე კბილებჩამტვრეული ცულის უგონო ჩაკუნით!!!

„...ისინდის“ მე-9 ნომრიდან კი იწყება და რა იწყება – მე-14 ნომრის ჩათვლით (შემდეგი ნომრები აღარსად შემხვედრია!)

ჟურნალის ყდის მეოთხე გვერდზე მხოლოდ და მხოლოდ იკა ქადაგიძის ლექსები ქვეყნდება და სხვა არავისი!

ნუთუ ეს მოსაკითხი არ არის: ახალდაარსებული ლიტერატურული ჟურნალით თუკი მართლა გსურს, ქართულ მწერლობას ემსახურო, მაშინ ამ გაუსაძლისი ყოფნა-ცხოვრებით ისედაც განჯულ მკითხველ საზოგადოებას ზოგჯერ მაინც გაუხარე გული: ათასხუთასწლოვანი მშობლიური მწერლობიდან რომელიმე პოეტი გაახსენე!.. მსოფლიო პოეზიის არენაზე გასული თანამედროვე ქართველი პოეტი წარუდგინე!... ან იმედის მომცემი ნორჩი დებიუტანტი გააცანი... მაგრამ არა! ამიერიდან ჟურნალის ყდის მეოთხე გვერდზე მსხვილი, გამორჩეული, თანაც ნაირფერი შრიფტით მხოლოდ იკა ქადაგიძის ლექსები უნდა იბეჭდებოდეს და სხვა არავის!!! როგორც კი აიღებენ ჟურნალს, მის გადაფურცვლამდე მკითხველების ცოცხალმა მზერამ, ინტერესმა, გონმა, ყურადღებამ, მახსოვრობამ, მეხსიერებამ იმავნამიერად მხოლოდ იკა ქადაგიძის პოეზიისა და პიროვნების ირგვლივ უნდა დაიწყოს თავბრუდამხვევი ბზრიალი!... აბა, როგორ – ამგვარი ბრმა შეუპოვრობით თუ არ იმოქმედე, ისე რანაირად შეიქმნება შენი ლიტერატურული ეპოქა და ლეგენდა!!!

აქ უნებურად გახსენდება „არსენას“ ლექსის ეს სტრიქონები – ძალად გაჭმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვესაო!...

არადა, რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რედაქტორს სხვებზე უკეთ არ ესმოდეს: ასეთი ხისტი მონოპოლია მკითხველი საზოგადოების მხოლოდ გალიზიანება-აღშოფოთებასა და უნდობლობას მოიყოლებს! მაშინ მით უფრო გამარინდებელია, ისეთ რა სახელდაუდებელ ჟინს უნდა ჰყავდე შეჯაჭვული, რომ ამას აცნობიერებდე, მაგრამ მაინც ვერ ერეოდე დამლუპველ საცდურს – ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის ყდის მეოთხე გვერდზე მხოლოდ საკუთარ ლექსს ან საკუთარ ფოტოდართულ საკუთარ ლექსს ელოდე და ამტერდებოდე! თანაც ეს არის არა პოეტური მთაგონებით შექმნილი ლექსები, არამედ **„შემთხვევითი სიტყვების“** (ვლადიმერ მაიაკოვსკი) ჯიბრიანი ყორენყობა!!!

ავიღოთ თვალმახარი შრიფტით აწყობილი იკა გადაგიძის თუნდაც ეს, ჟურნალის მე-12 ნომერში (2021) დაბეჭდილი ლექსი „ქართული მზერა“.

გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას  
ლაშა-გიორგის ხმას რომ ჩრდილავს, ჰე, ჰამადავლე.  
ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ ნებას.  
საკუთარ სიზმარს ჩონჩხის ყანწით შენ სანამ დალევ  
კიდურზე მშვიდად დრო მოგწვდება, გადანვართული,  
მტვრიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ,  
ყველა ეპოქას მოინელებს მზერა ქართული,  
მზის ფერხულს ქვიშად შემოაცვდი, ჰე ჰამადავლე! მე  
ისე მცხელა, უდაბნოთა კიჟინის ფერად  
ჟამითი კარი უსასრულო ტალღებით განვლე,  
მამულის ძარღვი გადამექცა უხავსო წერად  
შენ რომ გაკრთობა უშორეს დღეს, ჰე, ჰამადავლე!  
გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას, რომ შიშ –  
საც ხელი ვითა ფაფარს ისე წაავლე,  
მზემ ლაშას მზერის სილურჯეში სვლა თუ ინება,  
საუკუნენი აღმა დავლენ, ჰე, ჰამადავლე!

1994 წელი

ამ ე. წ. ლექსში არის პოეზიის თუგინდ ნატამალი?!

# თავი მეშვიდე

## 1

„ისინდის“ რედაქტორმა, იკა ქადაგიძემ თავისი გაერთოვლებული რამდენიმე თანამზრახველის მხარდაჭერით ჟურნალის მე-13 ნომრიდან (2021 წ.) ერთი იმისთანა წარმოუდგენელი კამპანია წამოიწყო (ოღონდ მოკვდავთაგან ვერავინ განჭვრეტს, მხოლოდ ამით დაკმაყოფილდება თუ მას სამხრეთამერიკული ტელესერიალის სახეს მისცემს!.. თუმცა შეიძლება ეს ამასთან დაკავშირებულმა გარე მოვლენებმა განსაზღვროს!), ხმას თუ არ ამოვიღებ, მკითხველმა საზოგადოებამ იქნებ ქართულ თუ სულაც მსოფლიო მწერლობაში აქამდე გაუგონარი შეთქმულების, ავანტიურისა თუ მაროდორობის მონაწილის, ხელშემწყობის ან მისი ლაჩრულად დამფარავის სამარცხვინო დამლა მომანებოს!

აქ ცოტა შორიდან დანყებას გვერდს ვერანაირად ვერ ავუვლი.

საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ 2010 წელს გამოცემული **„უახლოესი ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგია“** რომ გადავფურცლე, სახტად დავრჩი – ჩემდამი რატომღაც არაკეთილად განწყობილ მწერალთა კავშირის გავლენიან ხელმძღვანელებს იქ ჩემი ხუთგვერდიანი ნოველა არ გაეჭაჭანებინათ – ამ გვარ-სახელის მწერალი ბუნებაში არ არსებობსო!!!

ამასთან დაკავშირებით, **რევაზ მიშველაძემ** „მწერლის გაზეთში“ არც ორგოჯიანი საპროტესტო შენიშვნა გამომიქვეყნა – **მაყვალას** ეწყინებაო.

მწერალთა კავშირში მოკალათებულმა ლიტერატურულმა **კუკუქსკლანელებმა** არც ეს მაკმარეს და ახლა დედაქალაქიდან ჩემს მშობლიურ სოფელ ოზაანში „გადამასახლეს“ – 2012 წელს ახალგამოსულ **„საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარში“** ჩემი თბილისური მისამართი აღარ გადაეტანათ და მხოლოდ სოფელი მიეთითებინათ – ეს კაცი აღარც თბილისში ცხოვრობს და სულ დაივიწყეთ, მოეშვიტ მასთან ყოველგვარ ურთერთობასო!

რა უნდა მექნა?! ამგვარი უკეთურობიდან ბუნებამ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის საავიაციო ბენზინის გამოხდა მასწავლა!

ერთი სიტყვით, ამ და სხვა მსგავსი უმადურობის მიზეზით 2012 წლის მაისში დაფუძნებულ საქართველოს მწერალთა აკადემიას (პრეზიდენტი თამაზ წიგნივაძე) პირველი შეკრებისთანავე შევეუერთდი. ხოლო ხელახლა აღდგენილ „ლიტერატურულ საქართველოში“ ყველაფერს მიბეჭდავდნენ, გარდა ლიტერატურის შესახები კრიტიკული წერილებისა! ამიტომ მეც იძულებული ვიყავი, კარდაკარ სამარცხვინოდ მენონიალა და ეს კრიტიკული სტატიები სხვაგან სადმე მაინც გამომექვეყნებინა!

სამარცხვინო წონილსაც რომ თავი დავანებოთ, ბევრგან რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალის გამოქვეყნება ფასიანი იყო (გაზეთის ერთი გვერდი 100, 120, 150, 200 ლარი ღირდა!). ეს კი გამანადგურებლად მოქმედებდა პენსიით ნაშუადგომულარი ჩემისთანა გაფხეკილი ლიტერატორის ბიუჯეტზე.

ბიუჯეტსაც თავი დავანებოთ! რამდენჯერ მზად ვყოფილვარ, წლების მანძილზე კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ჩემი და მეუღლის მოკრძალებული სამარხი ფულიც დამეკოჭლებინა, მაგრამ ზოგიერთი ფასიანი ლიტერატურული ორგანოს თავკაცთან მანინც ვერაფერს ვხდებოდი – ეს მავან რედაქტორს ეწყინება და, თუ კაცი ხარ, ქვეყანას ნუ გადამკიდებო!

კრიტიკული წერილების დაუბეჭდაობაზე უარესად ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების სივალაღე მტანჯავდა: ამგვარ ვაირედაქტორებს თუკი მართლა „ქვეყნის გადაკიდება“ ასე აშინებდათ, მაშინ აღარც რედაქტორის საკარცხლულზე უნდა ყოფილიყვნენ წამოპოლორჭიკებულნი – მშობლიური ლიტერატურის პატივისცემის ნიშნად თავ-თავიანთი სავარძელი იმათთვის უნდა დაეთმოთ, ვისაც „ქვეყნის გადაკიდება“ არ აშინებდათ!

ჰმ! ამგვარ ნაბიჯს რა გადაადგმევინებთ?! ეს რომ ჩაიღინონ, ისე ჩაიკარგებიან, როგორც ნაცარში ტილი! ახლა კი, რედაქტორის ხალვათ მანტიამი სასაცილოდ ჩამძვრალნი, თვალთმაქცურად ფართიფურთობენ – ვითომ ლიტერატურულ პროცესებს წარემართავთო! თავისებურად მართალნიც არიან: მდარე-მდარე გრაფომანულ ტექსტებს დიდი რიხით ბეჭდავენ, ხოლო გამსუნაგებული ვირთაგვებივით თუ ხალასი ნიჭიერება იყნოსეს, ელეთმელეთი ემართებათ და ყველა ფანდს მიმართავენ მის გასანადგურებლად!

ამგვარი რედაქტორები?! ოოო!.. ზოგიერთი ლიტერატურული ორგანოს სავარძელში მშობლიური მწერლობის მართლა უანგარო მსახური კი არ ასკუპია, არამედ საკუთარი პიტალო უნიჭობის შეგნებისგან სამუდამოდ გაბოროტებული ლიტერატურული ჯალათი!!!

ასეთი შემთხვევებისას კი ყველაზე მეტად საკუთარ თავს ვკიცხავდი ხოლმე: მეც რატო არ ვჩერდები, რომელი კრიტიკოსი მე ვარ-მეთქი! მიუხედავად იმისა, ლიტერატურის რიგითი ჯარისკაცის მოვალეობის შეგნებამ 2005-2016 წლებში ხუთი მწვავე კრიტიკული ნიგნი დამანერინა – „გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?!“ „თავფარავნელი დედაბრის ალქიმი“, „PEN-მართონი თუ კამიკაძეთა პიკნიკი?!“ „კითხულობს ქალუნდაური“, „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“ - თავს კრიტიკოსად მაინც არ ვთვლი! ვისაც ჩემი ნათქვამი დააეჭვებს, შეუძლია „საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარში“ ჩაიხედოს – იქ მხოლოდ „პროზაიკოსი“ მიწერია და სხვა არაფერი!

\* \* \*

ეს დაახლოებით ასე წარმომიდგენია: განა შეიძლება შუასაუკუნეებისდროინდელი ქართველი გლეხი ყაზარმაში მცხოვრებ რეგულარული ჯარის განვრთნილ ჯარისკაცად ჩაგვეთვალა?! ის თავისთვის დაულალავად ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მძიმე უღელს, რათა ჯალაბი შეენახა და ამასთანავე ყველა წოდებისთვის განკუთვნილი სავალდებულო გამოსაღებიც უდავიდარაბოდ გაესტუმრებინა! მაგრამ როგორც კი ქვეყანას მტერი შემოესეოდა, ისიც იძულებული იყო, ერქვნისთვის ხელი შეეშვა და იარაღი აესხა.

მეც დაახლოებით ამ დღეში ვარ: ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში სულ პროზის ჟანრში ვრუდუნებ, მაგრამ როცა მავანთა უსამართლობა მოთმინების ფიალას ამივსებს, ძველი დროის იმ ქართველი გლეხისა არ იყოს, პროზას დროებით ვეთხოვები და მძიმე ვითარება თავს ლიტერატურული კრიტიკის ხორკლიან უღელში გამაყოფინებს ხოლმე!

აქ უნებლიეთ მაგონდება ცხრა ძმა ხერხეულიძე!

1625 წლის პირველ ივლისს გამართულ მარაბდის ბრძოლაში ისინი ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ ისერიგად კი არ იბრძოდნენ, როგორმე თავიც გადაერჩინათ და თან მეფესაც თავგადადებულ მეომრებად სჩვენებოდნენ, რათა მერე იქნებ აზნაურობა და ყმა-მამულები ბოძებოდათ!

ძმები ხერხეულიძეები შემოსეულ მტერს მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად ერკინებოდნენ და ყველა მათგანი აკი ბრძოლის ველზე დაეცა!

ჰოდა, პროზაული ნაწარმოების კვალდაკვალ, ვითარების კარნახით, ხან იმიტომ ვწერ კრიტიკულ წიგნებსაც, რომ ამას ჩემგან, როგორც ერთ-ერთი რიგითი მწერლისგან, ჩვენი მწარე ლიტერატურული სინამდვილე ითხოვს და არა იმიტომ, ამ უმაღურ ჟანრში ვინმეს გავეჯიბრო და ვაჯობო, სახელი მოვიხვეჭო, ანდა იქნებ რომელიმე ლიტერატურულ პრემიას გამოვკრა ხელი!

მე არანაირი საპრემიო კომპარები ძილს რომ არ მიფრთხობს, ეს კარგად ჩანს 2013 წლის 11 ოქტომბრის „**ლიტერატურულ საქართველოში**“ სხვადასხვა მიზეზით გამოქვეყნებულ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისა და ლიტპრემიების გამგებლებისადმი ღია წერილის ამ მოკლე ამონარიდიდანაც.

„...ყველანაირი ლიტერატურული პრემიის გამგებლებს ადამიანურად ვუხსნი, ვთხოვ და ვაფრთხილებ: მე არანაირ პრემიას არ ვიმსახურებ, არც მოველი და, ცხადია, ვერც მივიღებ! ამიტომ თავს ტყუილებრალოდ ნურავინ გაინზილებს!

საზენიტო-სარაკეტო დივიზიაში სამი წელი სულ რიგით ჯარისკაცად ვირიცხებოდი. მერე სხვადასხვა სამსახურშიც მხოლოდ უბრალო თანამშრომელი ვიყავი ხოლმე და სრულებით ბუნებრივად შემსისლხორცდა უჩინმედლებო რიგითი მუშაკის საქიროება, მოვალეობა, მიმზიდველობა, ღირსება და ბევრისთვის მიუწვდომელი მშვენიერება.

ქართულ მწერლობაშიც ერთი რიგითი, სუფთასამხრეებიანი ჯარისკაცი ვარ და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ასეთივე სუფთასამხრეებიანი რიგით ჯარისკაცად დავრჩე როგორც სიცოცხლის ბოლომდე, ისე სიკვდილის შემდეგაც“.

\* \* \*

ერთი სიტყვით, სუფთა ფურცელზე ქედნახრილი, მე ჩემთვის ასე ვფიქრობ ხოლმე! მაგრამ ამას ვისთვის რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მწერლობის ჩემისთანა ერთი რიგითი დღიური მუშა რაზე ან როგორ ფიქრობს! აქ თურმე – თუმც რაღა თურმე! – მთავარია, მონათმფლობელურ წესწყობილებას მიმსგავსებული ჩვენი სამწერლო-საურთიერთო სტრუქტურების ძლიერნი ამა ქვეყნისანი რას ფიქრობენ, ძილ-ღვიძილშიც რა ეზმანებათ, უკადრისი ზრახვებისგან გაგრანიტებულ მათ გონებაში რა იგეგმება! ან თავიდანვე სად ემიზნებოდნენ და ამ მიზნისკენ მიმავალი გზიდან რანაირი ფანდებით ცდილობენ თავიანთებურად წარმოდგენილი, სრულიად უდანაშაულო „მონინააღმდეგის“ ჩამოცილებას!

აქ იმდენად ამნაირი ლიტერატურული ფეოდალის მავნებლური „მოღვაწეობა“ კი არ არის ამაზრზენი, რამდენადაც თვით სამწერლო ურთიერთობათა მოსანესრიგებელი მანკიერი სისტემა, ნაირ-ნაირ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ვინ იცის, რანაირი ხრიკებით აღზევებულ კარიერისტს თუ განდიდების მანიით დაავადებულ ვაიმწერალს მაცდუნებლად რომ აღჭურავენ ხოლმე საჯალათო ნაჯახს მიმსგავსებული უფლებებით, რასაც მერე ესა თუ ის დიდმოხელე შურმაძიებლურად იყენებს „კონკურენტების“ დასასაჭურისებლად და თავისი უმომავლო გზის გასანალდავად!..

ჩემს მხატვრულ სამყოფელში გადაკარგულს, თვალი გვიან=გვიანლა ამეხილა: ჩემი კრიტიკული წერილები არამცთუ „ლიტერატურულ საქართველოში“, თურმე არც სხვაგან უნდა გამომექვეყნებინა, ვინაიდან ეს ფარაონის ჩრდილზე დაბიჯებას ეთანაბრებოდა, ამისთვის კი ძველ ეგვიპტეში „დამნაშავეს“ სიკვდილით სჯიდნენ!

სხვანაირად რომ ვთქვათ, კრიტიკის სფეროში მავანთა მიერ დაძლეული კრიტიკული აზროვნების სიმაღლის აღმნიშვნელი თამასა მომავალი თაობების საცდურად ერთ ადგილზე უნდა ჩაყანგებულიყო, მასთან მიახლოების უფლებას კი არავის აძლევდნენ!

ხომ ხვდებით, საკითხისადმი ამნაირი მიდგომა რა დღეში ჩა-  
აგდებდა ლიტერატურულ კრიტიკას და ამ ჟანრში დროდადრო  
სიტყვის თქმის მოსურნე ჩემისთანა მარტომუშას!

## 2

**ამასთან დაკავშირებული ერთი მჭახე მაგალითი.**

ყოფილი ლიტერატურული ჟურნალის, „ჩვენი მწერლობა“  
(მთავარი რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**) ყოველ ნომერს თან ახ-  
ლდა „ექსპრეს-ინტერვიუ“, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ ასეთ  
ამაზრზენ კითხვასაც შეიცავდა - **როგორ გინდოდათ მომკვდა-  
რიყავითო?!**

ნათქვამია, ჩამოხრჩობილის ოჯახში თოქს არ ახსენებენო!  
ჰოდა, ცხრა აპრილის შემდეგ საქართველომ რაც ხოცვა-ჟლეტა  
გადაიტანა, როგორ შეიძლებოდა ინტერვიუში ამგვარი კითხვის  
შეტანა?! მაგრამ თავდაჯერებული რედაქცია თავის რჩეულ რეს-  
პონდენტებს ამ აღსაშფოთებელი კითხვით სულ სიკვდილისა და  
ახალგათხრილ სამარეების ირგვლივ ატრიალებდა და აწამებდა!!!

ღმერთო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აიძულებდნენ გა-  
სათხოვარ ქალიშვილებსაც, ჯერ წინ რომ ედოთ სიყვარული...  
დაოჯახება... შვილიერობა... შვილიშვილები... სიხარული... აზ-  
რიანი ცხოვრება... დარბაისლური სიბერე!... ხოლო მხოლოდ სა-  
კუთარ სიამოვნებაზე გადაგებული უმრავლესი ვაჟბატონის პა-  
სუხი ისეთი ეგოისტურ-დამაქრული იყო, ერთხელაც ელვისებუ-  
რად ჩამეთესლა რედაქციისადმი მწვავე კრიტიკული წერილის  
დანერის აზრი - **„კირკიტი ნაჭუჭის ბინადარნი“**.

ჩემმა გულუბრყვილობამ მანამებინა - ახალდაარსებული  
მწერალთა აკადემიისადმი ნდობის ასამაღლებლად **„ლიტერა-  
ტურული საქართველოს“** ხელმძღვანელობას ასეთი კრიტიკული  
წერილი გაახარებს-მეთქი! მაგრამ წერილის ელექტროვერსია  
პორტფელიდან არც კი ამომალებინეს და ფუტურო უარით გა-  
მომისტუმრეს - როსტომ ჩხეიძე ახალი შემორიგებული გვყავს  
და ხელახლა ვერ გადავიკიდებთო!

რა უნდა მექნა?! ეს კრიტიკული წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (27 მარტი, 2015) ორ გაშლილ გვერდზე... ორას ლარად(!!!) დავბეჭდე!... დღესაც არ ვიცი, ის ჩემი კრიტიკული წერილი გახდა მიზეზი თუ უბრალოდ დამთხვევა იყო: სულ მალე ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ დახურეს!

ჰოდა, ერთ დღესაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში თანამშრომლებისა და ერთდროულად მოსული ავტორების თვალში საცემი სიმრავლე იყო, თან ერთმანეთთან საქმიანად ვსაუბრობდით.

მოულოდნელად ერთ-ერთმა რომელიღაც მამაკაცმა აშკარად უადგილოდ „შემაქო“.

– ის რა მაგარი რამე დაგინერია - შენი სტატიის გამო როსტომას „ჩვენი მწერლობა“ მთავრობამ საქულას დუქანივით მიუქეტა!

ამის გაგონებალა უნდოდათ?!. პირლიმილი ყველას უეცრად გაგვიქრა და პანაშვიდზე მისულებს დავემსგავსენით!

ეეჰ!..

### 3

**2017 წლის** ივლისში იკა ქადაგიძის რედაქტორობით ლიტერატურული ჟურნალის, „ისინდი“ პირველი ნომერი გამოვიდა. ცხადია, ახალდარსებულ ჟურნალთან თანამშრომლობის ბუნებრივი სურვილი მეც გამიჩნდებოდა, მაგრამ აი, უბედურება: ჟურნალის ახალ-ახალი ნომრები ერთმანეთს მიყოლებით მისდევდა, მაგრამ იქ თანამშრომლობას იკა ქადაგიძე თვითონ არ მთავაზობდა, მე კი შეხმინანება მეუხერხულეობდა!.. კი მაგრამ იკა ქადაგიძეს თანამშრომლობა თვითონ რატომ უნდა შემოეთავაზებინა ან მე რა მიზეზით მიდგებოდა ფეხი, ამას მოკლედ ავხსნი.

წელან ჩამოთვლილი ჩემი კრიტიკული ხუთი წიგნიდან პირველი მათგანი „გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?!“ 2006 წლის შუა ზაფხულში გამოვიდა. აგვისტოს მიწურულს კი ჟურნალის, „ზედაშე“ რედაქტორმა, პოეტმა **ერეკლე**

საღლიანმა ჩემს სიცოცხლეში პირველად დამირეკა და ჩემთვის სრულიად უცნობი პოეტი იკა ქადაგიძე მოკლედ წარმომიდგინა: ლიტერატურულ სალონს, „დიაუხი“ ხელმძღვანელობს, თან ჩემს ჟურნალშიც თანამშრომლობსო!.. ასევე მოკლედ მაუწყა: იკა ქადაგიძეს თავისი სალონის წევრებთან ერთად შენი კრიტიკული წიგნის განხილვა განუზრახავს, აღმაშენებლის პროსპექტზე, გიორგი ტოვსტონოგოვის ორ ნომერში მდებარე თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში!.. დღე და საათი უკვე დანიშნული ჰქონია და თუ შეძლებ, უეჭველად დაესწარიო!

მიუხედავად იმისა, თვითონ ავტორთან აუცილებელი წვრილმანების წინასწარ შეუთანხმებლად წიგნის მიმოხილვის ამგვარი თვითნებური დაგეგმვა მეუცნაურა, მითითებულ დროსა და ადგილას დაუგვიანებლად გამოვცხადდი... წიგნის მიმოხილვა ბუნებრივად დაიწყო და ასევე დამთავრდა... სიტყვით თვითონ ერეკლე საღლიანიც გამოვიდა...

#### 4

2006 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ საგანგებოდ დასტამბა ასეთი კრებული - „**2005 წლის 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა**“. იქ შეტანილი მოთხრობების შერჩევა იმდენად ტენდენციურ-ცინიკური იყო, რომ იგი ქართველი მწერლებისა და მკითხველი საზოგადოების აბუჩად ალებას ეფარებოდა! ამიტომ თავი მოვალედ ჩავთვალე, ხმა ამომეღო. ჩემთვისაც მოულოდნელად ასე დავწერე მეორე, მწვავე კრიტიკული წიგნი „**თავფარავნელი დედაბრის ალქიმი**“, რომელიც 2007 წელს გამოვეცი.

იკა ქადაგიძის თაოსნობით იმავე წლის 11 ივნისს, ოთხშაბათს, დღის 13 საათზე ამ წიგნის მიმოხილვაც იმავე ადგილას და იმავე ყაიდაზე მოხდა!.. მიუხედავად იმისა, 2008, 2014 და 2017 წლებში კიდევ სამი კრიტიკული წიგნი გამოვეცი, ლიტერატურული სალონის, „დიაუხი“ ხელმძღვანელი აღარ შემხმიანებია! ანდა, რალატომ უნდა შემხმიანებოდა?! მისი სალონი სულ ჩემი წიგნების ერთფეროვან მიმოხილვას ხომ არ გადაჰყვებოდა -

ქართულ მწერლობაში საჭირობოროტო საკითხები ისედაც თავსაყრელი იყო!..

ერთი სიტყვით, 2007 წლის ზაფხულის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ტელეფონითაც არ შევხმიანებივართ, შემთხვევით არც რომელიმე ლიტერატურულ ღონისძიებაზე შევჩეხებივართ!..

## 5

**დამოუკიდებელ ლიტერატურულ ალმანახში „ამერ-იმერი“ (1-2, 2012), დამფუძნებელი, პროექტის ავტორი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ვაჟა ჩორდელი), თვით ვაჟა ჩორდელის მიერ შემოღებული რუბრიკით „რას არ დაინახავს დაკვირვებულნი თვალი!..“ გიორგი ოზაანელის ფსევდონიმით ჟურნალის ათ გვერდზე დაიბეჭდა ჩემი კრიტიკული მასალა „ჯემალ მეხრიშვილის იუმორი და სატანჯველი“. მასში 57 მინიატურაა გაერთიანებული. ენობრივ-აზრობრივი გადაცდომებისთვის იქ სხვა ავტორებს შორის იკა ქადაგიძეცაა გაკენწლილი. აი, როგორ!**

აგრესორი ქარი

2005 წელს გამოვიდა იკა ქადაგიძის რომანი „ვარსკვლავთმორბედი“. 68-ე გვერდზე ერთ-ერთი აბზაცი ასე იწყება.

**„ერთხელ ქალი ძაფების საყიდლად რომისკენ გაემართა. ანაზღად მზეზე მონანავე ზეციდან გაუფრთხილებლად ამოვარდნილი ქარი დაატყდა თავს“.**

- კი მაგრამ, ქარს როგორ უნდა გაეფრთხილებინა ეს ქალი?! - საგონებელს მიეცა ოზაანელი, - წინასწარ ელჩები ეახლებინა, დაშიფრული რადიოგრამა გამოეგზავნა თუ მობილური ტელეფონით დაერეკა - მოექრივარ და დამიხვდი ან თავს უშველეო?! ოჰ, ის აგრესორი ქარი!..

„აგრესორ ქართან“ დაკავშირებით იკა ქადაგიძე არც ტელეფონით შემხმიანებია, ხოლო მოგვიანებით როცა „ისინდის“ ავტორი გავხვდი და მალე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაშიც შემიყვანა, ჩვენ შორის ამაზე კრინტი არც მაშინ დაძრულა! ამიტომ ჩემთვის ამოუხსნელ გამოცანად რჩებოდა: თვალახელისთვის

მადლიერი დარჩა, გული ეტკინა, ეს მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია, გულში ჩაიხვია თუ აინუნშიც არ გაუტარებია!

თუმცა ერთმანეთისადმი ჩვენს მოზომილ ურთიერთობაში ზოგჯერ მაინც იგრძნობოდა ხოლმე „გაუფრთხილებლად“ ამოვარდნილი იმ წყეული „აგრესორი ქარის“ ავის მომასწავებელი თავშეკავებული სისინი, რომელიც თურმე მოსახდენ დროს უცდიდა, თავისი ბუნებისამებრ რომ დაექროლა!

## 6

**2017 წლის 9 ნოემბერს პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი** მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. მეორე დღეს კი, 10 ნოემბერს, „**ლიტერატურულმა საქართველომ**“ სრულ ორ გვერდზე გამოაქვეყნა (ცხადია, ადრე მიტანილი) პუბლიცისტ **არმაზ სანებლიძის** წერილი, თანაც ერთობ ბუნდოვანი სათაურით „**სიბრძნე-სიცრუისას საკითხავისათვის ქართულ ლენინიანაში**“, სადაც ავტორი ახლავდა (!) ცდილობდა, არამკითხე „კრიტიკოსებისგან“ დაეცვა როგორც თვითონ ჯანსუღ ჩარკვიანი, ისე ლენინისადმი მიძღვნილი მისი ორი ლექსიც, რომელთა გამო 1966 წელს (!!!) „ლექსების მწერალ ახალგაზრდას და ერთსაც „პაგონებიან რედაქტორს“ თურმე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ეჩივლათ – ჯ. ჩარკვიანი ამ ლექსებით ლენინს შეურაცხყოფსო!

ა. სანებლიძის ეს წერილი იმდენად თვითმიზნურ-პრიმიტიული იყო, პირდაპირ მწერლურ დეზერტირობად ჩამეთვლებოდა, მას თუ არ გამოვებმაურებოდი!

ასე დავწერე თორმეტგვერდიანი კრიტიკული წერილი „**მაკოსა და მაკინეს ანალოგია**“, მაგრამ „**ლიტერატურულმა საქართველომ**“ არც ეს დამიბეჭდა - **არმაზ სანებლიძეს** ეწყინებო!

გასაკვირი იყო: „**ლიტერატურული საქართველო**“ განუკითხავად ვიღას არ ავინებდა: მთავრობას... მმართველ პარტიას... პარლამენტარებს... პრეზიდენტს... თავისთვის არასასურველ მოღვაწეებს... თბილისის მერებს... კბილდადგმულ მწერლებს... სა-

ერთოდ, ყველას, ვისი შეურაცხყოფაც მოეგუნებებოდათ! ჰოდა, მათი წყენის ან მართლმსაჯულების არ ეშინოდათ და არმაზ სანებლიძეს რა უნდა სწყენოდა?! პირიქით, მის კეთილშობილურ განზრახვას – თუმც ლოგიკურობას მოკლებულს – ვუქებდი კიდევ! ეგეც რომ არა, როგორ შეიძლებოდა ლიტერატურული კრიტიკის მავანთა წყენა-არწყენის თარგზე აგება?! მაგრამ აქ ლიტფეოდალებისთვის მთავარი იყო არა ქართული კრიტიკული აზროვნების აღორძინება-განვითარება, არამედ ამ ჟანრში თავიანთ მიერ დაძლეული სიმაღლის მაჩვენებელი ჟანგმოდებული თამასის თვალის ამხელი საშიშროება!..

ერთი სიტყვით, ამ კრიტიკულ წერილს სხვა რედაქციებიც - ფასიანიცაა და უფასოც – უკან შიშნარევი სიფრთხილით მიბრუნებდნენ: საცა სანებლიძის წერილი დაიბეჭდა, ეგ პასუხიც იმათ გამოგიქვეყნონო!!!

## 7

**ახალდარსებული „ისინდის“ რედაქტორთან მეცადა ბედი?! მეუხერხულებოდა, რადგან ასე ვფიქრობდი: ათიოდე წლის წინათ მიმოხილული და მერეც გამოსული ჩემი კრიტიკული წიგნები თუკი რამედ მიაჩნია, ხმას თვითონ მომანვდენდა, ჩემი შეხმიანება კი დაძალევა გამოვა და უხერხულ მდგომარეობაში რატომ უნდა ჩავაყენო-მეთქი! არ დავმაღავ, თან ის მართლა „აგრესორი ქარიც“ თავისებურად მბოჭავდა!**

ქართული მწერლობის რიგითი ჯარისკაცის უხილავმა მუნდირმა მკვახედ შემახსენა ჩემი მოვალეობა და „საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარში“ მონახული მობილური ტელეფონის ნომრის მიხედვით იკა ქადაგიძეს მე თვითონ დავურეკე! თავი ადვილად გავახსენე და იმ სვეკრულ კრიტიკულ წერილზე ისე ჩამოვუგდე სიტყვა, რომ მასთან დაკავშირებული არც ერთი წვრილმანი არ გამომიტოვებია!

– მწვავე კრიტიკულ წერილებს მე თვითონ ვეძებ! – იყო პასუხი – აჰ, ეგ მე რაში მაინტერესებს, ვინ რატომ დაგიბრუნა უკან ან ვის ეხება – მთავარია... ჯერ მაინც უნდა ვნახო!.. თუმც თქვენს

წერილებს რაღა ნახვა უნდა – არ ვიცი, რაც იქნება!... ახლა მეშვიდე ნომერზე ვმუშაობ და უკვე ველარ მოესწრება! წერილის ელექტროვერსია აი, ამ მისამართზე... ჩაიწერეთ!.. ჩაიწერეთ?! წერილის ელექტროვერსია აი, ამ მისამართზე სექტემბრის ბოლომდე გადმომიგზავნეთ და, შვილებს გეფიცებით, მერვე ნომერში აუცილებლად დავბეჭდავ!

ყურებს არ ვუჯერებდი!.. თავი ბავშვობისდროინდელ სიზმარეთში მეგონა: ნუთუ ლიტერატურული კრიტიკის ჟანრს მხსნელი მოევლინა-მეთქი!..

ქართული მწერლობის ჯუნგლებში წლების მანძილზე ათასნაირ უადამიანობას წვნიულს, მომეჩვენა, რომ ახალგაამომცხვარი რედაქტორი კი არა, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ასალორძინებლად ციდან ჩამოფრენილი ქალღმერთი მელაპარაკებოდა! ამიტომ გონებაში უეცრად გაელვებული შედარება ენამ ალაღვულად ამოთქვა.

– ქალბატონო იკა, ქართული მწერლობისთვის განგებას თქვენი თავი ჟანა დ' არკივით მოუვლენია მავანთაგან გზაგადახერგილი ლიტერატურული კრიტიკის ასალორძინებლად!

უსაზღვროდ ნახალისებული კილოს მიხედვით თვით ჩემი ბინის ტელეფონის შიშინა ყურმილშიც კი ვიგრძენი, ამგვარმა შედარებამ როგორ ალაფრთოვანა ადრესატი.

– უი, რა საოცარი შედარებაა!.. ჩემთვის მსგავსი რამ არავის უთქვამს!.. ჟანა დ' არკივით მოგავლინაო! კიდევაც!.. მაგას თუ მართლა გულწრფელად მეუბნებით, ეგ წერილობით დამიდასტურეთ!

– როგორც კი შესაძლებლობა გამოჩნდება!!!

მაღე ეს შესაძლებლობაც თვითონ იკა ქადაგიძემ გამონახა! რაკი „ისინდის“ რედაქციას ტრადიციული ოფისი არ გააჩნდა, რედაქტორს თავის ამა თუ იმ ავტორთან დროდადრო შესახვედრად მეტად მოსახერხებელი სალოდინო ჰქონდა ამორჩეული - მეტროსადგურის „თავისუფლების მოედანი“ მიმდებარე მერხებიანი პარკი.

ჰოდა, ჟურნალთან დაკავშირებით იქ ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე იკა ქადაგიძემ გულმტკივნეულად შემომჩივლა.

– შარშანწინ გამოსული თქვენი წიგნი „რუბიკის კუბიკები“ ვერ...

– „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“.

– აჰ!.. ჰო, ჰო!.. „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“ ვერ შევიძინე და... შემთხვევით ერთი ცალი ხომ არ გექნებათ?

– როგორ არა!.. მოგიტანთ!

– უი, რა კარგია!.. დიდი მადლობა!.. ოღონდ დაპირებული წარწერა არ დაგავიწყდეთ!

– მაგას რა დამავიწყებს!..

ახლა აღარც ზუსტი თვე და რიცხვი მახსოვს, აღარც ავტოგრაფის ზუსტი სიტყვათმონაცვლეობა, მაგრამ წელან ნახსენები იმ სატელეფონო საუბრისას ჩემ მიერ შედარებული „უანა დ' არკისებური“ წარწერიანი წიგნი „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“ „ისინდის“ რედაქტორს, იკა ქადაგიძეს შემდეგ შეხვედრაზე მივუტანე!

## 8

**მიტანით** კი მივუტანე, მაგრამ თავის დროზე ნეტავი არც ისეთი შედარება დამცდენოდა და არც ამნაირი შინაარსის მქონე ავტოგრაფით დადასტურებული წიგნი გადამეცა, ვინაიდან ამან ორივე ჩვენგანს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა და, ვინ იცის, სამომავლოდაც კიდევ რა შეიძლება მოგვიტანოს!

რატომო? – იკითხავს გაოცებული მკითხველი.

აქედანვე პირდაპირ ამის ახსნას რომ შევუდგე, ჭკუაგარკვევით მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებს თუ ეს ხლართული ამბავი თავისებური თანამიმდევრობით არ გავაშუქე.

\* \* \*

**ამასობაში** „ისინდის“-ის მე-7 ნომერიც გამოსულიყო და 2019 წლის 17 სექტემბერს იკა ქადაგიძემ თავისი ავტოგრაფით მისახსოვრა.

რედაქტორის ეს სახსოვარი საბედისწეროდ მექცა. ჯერ ერთი, სწორედ იმხანად თავდავიწყებით ვმუშაობდი ნოველების

ხუთასგვერდიან წიგნზე „საიტის ტურები“ და სხვა აღარაფრისთვის მეცალა. გარდა მაგისა, ჟურნალის გადაფურცვლის-თანავე იქ სხვადასხვა სახის იმოდენა შეცდომები მხვდებოდა, უკიდურესად მამჭმუნვარებდა და საკუთარ წიგნზე მუშაობის შემართებას მიქვეითებდა! ხოლო თვით რედაქტორის უსვეტებო, სამგვერდიანი წინათქმა – „ისინდის“ დაბადება“ ი. ქადაგიძის იმდენი უადგილო ბიოგრაფიულ-შრომითი წვრილმანების ჩამოთვლითა და თვით ჟურნალის დაბადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ფინანსური დეტალების ისეთი კანცელარიული სტილით იყო გადატვირთული, ხათრით გვერდნახევარიც ძლივს წავიკითხე და ბედისწერას თურმე სწორედ იმ სტრიქონების სიახლოვეს შევეჩერებინე, რომელთა წაკითხვას სამომავლოდ შეიძლება რამე აეცილებინა ან შეეცვალა მაინც!

9



ჯემალ მეხრიშვილი

ჟურნალის ამ ნომრის მოძღვნის შემდეგ ი. ქადაგიძის ჩემდამი მოპყრობა უცნაურად შეიცვალა: როცა შეხვედრა გვიხდებოდა, ისეთი ამოუხსნელი სიფრთხილით მაკვირდებოდა ხოლმე, თითქოს ჩემში რაღაცის ამოცნობას ლამობსო ანდა ჩემგან არასასიამოვნო რამის გაცხადებას ელოდა! მე კიდევ ჩემებური საგონებელი მანამებდა, რადგან ყოველივე ამას ახსნას ვერ ვუძებნიდი – სულ ასე გამომცდელად რატომ მაკვირდება-მეთქი?!

თვე თვეს მისდევდა... რედაქტორმა თავისი მაშინდელი დანაპირები პირნათლად შეასრულა

– ჟურნალის მე-8 ნომერში ხელუხლებლად დაბეჭდა ის მწვავე კრიტიკული წერილი – „მაკოსა და მაკინეს ანალოგია“, თანაც რედაქტორისადმი მიძღვნილი ამგვარი „ღია წერილით“.

### **ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა**

ჟურნალ „ისინდის“ რედაქტორს, ქ-ნ იკა ქადაგიძეს

კამეჩო, წყნარო, მიყვარხარ,  
გიქებენ უღლის წევასა,  
თან მოთმინებაც დიდი გაქვს,  
იტან სახრისა ქნევასა!

**ხალხური**

**ქალბატონო იკა**, სინდისი არ მიშვრება, ეს კრიტიკული წერილი „მაკოსა და მაკინეს ანალოგია“ ისე შემოგთავაზოთ, ჯერ მისი ისტორია ახდილად არ გაუწყოთ. იგი 2017 წლის 3 დეკემბერს დაინერა და რამდენიმე რედაქციას წარუდგინე კიდეც, თუმც ყველგან უარით გამომისტუმრეს!

გული კი მწყდებოდა, მაგრამ გაკვირვებით არ მიკვირდა, ვინაიდან ჩემისთანა უმნიშვნელო მწერალს, თანაც ამ ჟანრში ისეთი რა უნდა დაენერა, ოდნავ მაინც მიახლოებოდა თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის ქურუმებს, მამამთავრებს... მამინაცვლებსა თუ გრანდებს, რომელთა მსჯელობის სითამამე, თხრობის სიმწყობრე და მხატვრული აზროვნების ელვარება ასერიგან ატყვევებს მკითხველებს! თან...

ვგუმანობ, გამოცდილი მკითხველები უმალ შემანყვეტინებენ: თუკი მაგასაც ხვდები, მაშ, მაინც რატომ ცდილობ მის გამოქვეყნებას ან აქამდე სად იყავიო?!

ეს წერილი რაკი დაინერა, გინდა, არ გინდა, იგი დღევანდელი ლიტერატურული კრიტიკის ბუნებრივი ნაწილია. მთელი კი ვერასოდეს იქნება სრულყოფილი თუ მისი რომელიმე ნაწილი სადმე უქმად უგდია!..

ქ-ნო იკა, მაშ, თქვენ მაინც ნუ გამწირავთ, უცვლელად დამიბეჭდეთ ეს წერილი და ჩათვალეთ – ვითომ ყველასგან ხელნაკრავი და განუკითხავი მორიდებული მათხოვრისთვის სამადლოდ ერთი ნატეხი პური გადმოგიწოდებიათ!

მკითხველები?! მწამს, მკითხველები ადვილად მიხვდებიან ჩემს გულისტკივილს - მე მხოლოდ ლიტერატურულ იდეალებთან მსურს შეხება და არა პიროვნებებთან ანდა კრიტიკის სფეროში მავანთა და მავანთა მიერ ოდესღაც დაძლეულ სიმაღლეებზე ჩაჟანგულ ლარტყებთან უკადრისი ძიძგილი.

ჯემალ მეხრეშვილი  
კეთილი სურვილებით  
19.09.19

შემდეგ „ისინდის“ ახალი ნომერი ისე არ გამოვიდოდა, იქ ჩემი ნოველა ან კრიტიკული წერილი არ ყოფილიყო!

ჩემდა გასაკვირად, რედაქტორის ის გამომცემელი მზერაც თანდათან შესუსტდა, ბოლოს კი სულ გაქრა!..

## 10

**2021 წლის** მაისის დასაწყისი იქნებოდა, გამომცემლობაში „მერიდიანი“ რომ წავედი. წიგნს, „საიტის ტურები“ იქვე მდებარე მეორე გამომცემლობა „Carpe diem“ მიბეჭდავდა – მაგარი ყდის მასალა-სა და დიზაინზე საბოლოოდ უნდა შევთანხმებულიყავით!

შევედი კომპიუტერისტთა კაბინეტში და მოულოდნელობისგან დავიბენი – ერთ-ერთ ოპერატორ-კომპიუტერისტს, ელენე დობორჯგინიძეს ეს იკა ქადაგიძე და მარსიანი აქეთ-იქიდან ამოსხდომოდნენ და „ისინდის“ მომდევნო, მე-13 ნომერს აკაბადონებდნენ!

ამგვარი უცაბედობისგან გაქვავებულნი, ერთმანეთს გაკვირვებითა და ეჭვის თვალითაც კი შევაცქერდით! ადრე, თითქოს რომ არ მიმხელდნენ, სად კაბადონდებოდა ჩვენი ჟურნალი, ამ „საიდუმლოს“ აი, ახლა კი ფარდა აეხადა!

არ გამიკვირდება, არც მეწყინება, ვითარების გარკვევამდე მათ თვალში მე კიდევ მოუსვენარ ჯაშუშს რომ ვგვანებოდი: რედაქციის ორ თანამშრომელს თურმე ზვერვა-ზვერვით ავდევნე-

ბულვარ, რათა ბოლოს და ბოლოს დამედგინა, სად იყო ჟურნალის საბუდარი!

სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, დაკაბადონების მუდმივი მონაწილე, **თემურ ნადარეიშვილიც** ფეხდაფეხ შემომყვა და ერთმანეთს პირველად შეხვედრილი სხვადასხვაპლანეტელებივით შევაშტერდით!

რედაქტორი ცივად შემეკითხა.

- აქ რა გინდათ?
- აქ ჩემი წიგნი გამოდის.
- რა წიგნი?
- ნოველების.

წამიერად ჩამოვარდნილმა ორჭოფულმა დუმილმა და რედაქტორის ამრეზილობამ თითქოს ჩემი თავკერძობა გახაზა: იკა ქადაგიძე თავისი ჟურნალის ყოველ ნომერში მბეჭდავდა, სარედაქციო კოლეგიაშიც კი შემეყვანა! მე კიდეც, იმის მაგიერ დღედაღამ „ისინდის“ სახელისთვის მეფიქრა და მებრძოლა, თურმე რალაც ნოველებს კუდს უკან დავდევე! გაგონილა ამგვარი „მოლალატეობა?!“

- რა არის, მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელ მაინც არ უნდა დაგერეკათ - იქნება ერთი რა ხდება! - მისაყვედურა რედაქტორმა და მასალების დასტაში ნაპოვნი ანაბეჭდები ცივად შემომაჩეჩა, - თქვენს ნოველასაც ვაძლევ - აჰა, აქ მაინც წაიკითხეთ!

გამომცემლობის თანამშრომლებს გაკვირვებისგან თვლები გაუფართოვდათ - წიგნის გამო მათთან ხშირი ურთიერთობისას ჩემზე შექმნილი შთაბეჭდილება და ახლა სახეატკრეცილი რედაქტორის ემოციური შეფასება ერთმანეთს რალაც არ ეხამებოდა!

იკა ქადაგიძეს მაშინ სიტყვის შებრუნება აღარ ვაკადრე - იმ უცხო ხალხში მანდილოსანი რედაქტორის ღირსებას გავუფრთხილდი. ამჯერად კი უნდა განვმარტო ჩემი, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრისა და ერთ-ერთი რიგითი ავტორის „უდისციპლინობისა“ თუ „უსულგულობის“ მიზეზები და ვინც როგორ ჩათვლის საჭიროდ, დაე, ისე განმსაჯონ!

ი. ქადაგიძე მაშინ თავისებურად მართალი იყო - ახალგაზოგისული მე-12 ნომრის დარიგება-მიმოხილვის შემდეგ რამდენიმე

თვე ისე გავიდა, ერთმანეთს არ შევხმთანებოვართ და ჩემებური რწმენით თავს არცა ვთვლი ვალდებულად, სარედაქციო საქმიანობასთან დაკავშირებით – „ზევიდან“ რამე დავალება თუ არ მაქვს მოცემული და რედაქტორი ჩემს პასუხს არ ელოდება – ისე, სხვათა შორის, მე თვითონ დავურეკო და გულმოსაგებად, ნდობის ასამაღლებლად, გასართობად, ვალმოსახდელად, მწერლობაში დარხეული რალაც ხმებისა თუ სულაც საამო ყორების შესატყობინებლად ალა-ალა ლაპარაკი გავუბა!

ნებისმიერი „ჩემი“ რედაქტორი ჩემს წარმოდგენაში სწორუპოვარი ლიტერატურის ფელდმარშალია, მე კი მისი მოქმედი არმიის რიგითი ჯარისკაცი: ჰოდა, როგორც ერთ-ერთ რიგით ავტორჯარისკაცს, ბუნებრივია, მეც მუდმივად მაინტერესებს ხოლმე, რედაქციაში, რომელთანაც ვთანამშრომლობ, მართლა **„იქნებ ერთი რა ხდება!“** მაგრამ ამავე დროს ესეც შეგნებული მაქვს, ამის საკუთარი სურვილით შეტყობა ჩემს კომპეტენციას აღემატება – ეს რედაქტორფელდმარშლის ხელმეუხებელი უფლებაა და მხოლოდ მან იცის (უნდა იცოდეს!!!), რომელ ავტორჯარისკაცს რა შეატყობინოს, რაგვარი დავალება მისცეს!.. სად, როდის და რისთვის გააგზავნოს ან დაიბაროს!!!

ჰოდა, როგორი წარმოსადგენია, ომის დროს ჯარისკაცებმა წინა ხაზიდან თავ-თავიანთ ფელდმარშლებს წარამარა სატელეფონო შეხმთანებით ნალველი გაუსიონ: აბა, ერთი რა ხდება შტაბში?!. დამხმარე ცოცხალი ძალა და სამყოფი ტყვია-წამალი მოგვდის თუ არა?!. ახალი შეტევა საით ან როდისთვის იგეგმება თუ უკანდახევას ვაპირებთ და სხვა მისთანანი!

მწერლობაც თავისებური ომია, ომზე უარესი!

არ ვიცი, იქნებ ვცდები, მაგრამ, აბა, ერთი გავიაზროთ: მობილური ტელეფონის ზღაპრული შესაძლებლობის პირობებში რედაქტორთან **„იქნება ერთი რა ხდება“-ს** მიზეზით დარეკვის ცდუნებაატანილმა ავტორმა, როცა არ იცის, მანამდე თავის რედაქტორს ვინ, საიდან, რაზე და რამდენი ხნით ელაპარაკა, რა დღეში ჩავარდება ერთი და იგივეს დაუსრულებლად გამეორებით გატანჯული რედაქტორფელდმარშალი?!

ამგვარი „ერთგულებით“ ადვილი შესაძლებელია ნამდვილ რედაქტორს სულ ჩავამწაროთ რედაქტორობაც, შემოქმედე-

ბითი გატაცებაც, ოჯახური სიმყუდროვეც, საკუთარ თავთან თუგინდ ცოტა ხნით მაინც მარტოდ დარჩენის მშვენიერებაზე აუხდენელი ოცნებაც! ამიტომ არ არის გასაკვირი, ჯვარცმულ რედაქტორს ბევრის მიმანიშნებელი განცხადების გამოქვეყნება აიძულონ: სარედაქციო კოლეგიის წევრები და ავტორები ზედმეტად რომ არ მოსცდნენ, როცა საჭირო იქნება, ყველა მათგანს მე თვითონ დავუკავშირდებიო!!!

არადა, როცა რედაქტორს სადმე დავუბარებოვართ – ჩემი მიზეზით საქმე არ შეფერხდეს-მეთქი, ბევრჯერ ყველაზე ადრე მივსულვარ, მერე კი თავის დროზე გამოჩენილ იკა ქადაგიძესა და კამპანიას ერთმანეთისთვის გაკვირვებით გადაუხედ-გადმოუხედავთ - ეს უკვე აქ არისო!

ერთი სიტყვით, ჟურნალთან დაკავშირებით რედაქტორის ნებისმიერ დავალებასა თუ სადმე დაბარებას ჩემებური პასუხისმგებლობით მოვკიდებივარ და ძირს დაუშვებლად შემისრულებია! მაგრამ „იქნება ერთი რა ხდებას“ ცდუნებით რედაქტორისთვის არასოდეს დამირეკავს, რადგან მე ასე მწამს – უშუალოდ ჟურნალთან დაკავშირებით მოულოდნელად თუ მართლა რამე მოხდა, ხდება ან შეიძლება მოხდეს და ამის ცოდნა აუცილებელია სარედაქციო კოლეგიის რომელიმე, რამდენიმე ან ყველა წევრისთვის, მაშინ ყველა მათგანს თვითონ რედაქტორფელდმარშალმა მოკლედ და გასაგებად უნდა შეატყობინოს, თან საჭირო სამოქმედო დავალებაც მიაყოლოს და არა თავის ხელქვეითებზე გაბუტულ-გალიზიანებული იჯდეს და მოთმინებადაკარგულმა ელოდოს, ვის როდის დაუმნიფდება საოცნებო აზრი: ერთი რედაქტორისთვის დამერეკა - ხო არაფერი ხდებაო! თუმც ასეთ შინაურულ დარეკვასაც გააჩნია თავისებური მიმზიდველობა და მას ვერავის ავუკრძალავთ, ოღონდ რედაქტორმა ეს ყველას სავალდებულოდ არ უნდა დაუნესოს!..

**ღმერთთან** სწორი სჯობს: ერთმა შემთხვევამ მიკარნახა, „ისინდის“ რედაქტორისთვის მე თვითონ არასოდეს დამერეკა, თუმცა მომავალმა ცხადყო, არც ეს იქნებოდა დიდი შეღავათი!

ჟურნალის 2019 წლის მე-8 ნომერში რუბრიკით **„ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა“** პირველად დაიბეჭდა ჩემი მასალა – მწვავე კრიტიკული წერილი „მაკოსა და მაკინეს ანალოგია“.

2019 წლის 21 ნოემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული ახალი ნომრის მიმოხილვას პირველად სწორედ მაშინ დავესწარი.

მიმოხილვისას წარმოუდგენლად მწვავე სიტყვიერმა დაპირისპირებამ იფეთქა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ საპატიო წევრს, ცნობილ მწერალ **გიგი ხორნაულსა** და **იკა ქადაგიძეს** შორის. რაკი ამ დაპირისპირების ფარულ მიზეზად ჩემი კრიტიკული წერილი იქცა, საჭიროდ მიმაჩნია, მომხდარს ჯეროვნად შევეხო, ვინაიდან იგი (მომხდარი ინციდენტი და არა ჩემი ჩვეულებრივი კრიტიკული წერილი!) ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საყურადღებო მაგალითად მესახება და ამ შემთხვევას დებიუტანტის დასაძრახი სიმორცხვით ვერ გავუჩუმდები...

ჰოდა, სიტყვით გამომსვლელები ხსენებულ კრიტიკულ წერილზე ისე გულწრფელად მსჯელობდნენ, გვერდით მჯდომმა **ზაალ ბოტკოველმა** ხუმრობანარევი სერიოზულობით ჩამილაპარაკა: რა ამბავია – დღეს შენი ბენეფისიაო?!

სიტყვით გამოსული **გიგი ხორნაული** ამ კრიტიკული წერილის განხილვას დანარჩენებისგან განსხვავებით სულ სხვანაირი სიღრმითა და მასშტაბურობით შეუდგა! ეს კი იკა ქადაგიძეს არ მოეწონა! ამიტომ ასაკოვან მწერალს – დაინტერესებულნი სულგანაბულები რომ უსმენდნენ! – რეგლამენტისა და „დარბაზის დროზე გათავისუფლების“ უკადრისი მოსაბაბებით სიტყვას წარამარა გამომწვევად აწყვეტინებდა!

ამან კი მათ შორის მკვახე-მკვახე ფრაზებით შეკამათება მოიყოლა! მალე ყველაფერი იმით დასრულდა, რომ იკა ქადაგიძის სასიხარულოდ, პირზე კლიტედადებულმა გიგი ხორნაულმა ცთავის მეუღლესთან ერთად დარბაზი დატოვა და როგორც მოგ-

ვიანებით გაირკვა, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრობაზეც ცივი უარი განეცხადებინა!

თითქმის ორი წლის თავზე, ამ ინციდენტს ჟურნალის მე-13 ნომერში გამოქვეყნებულ თავის წერილში „ქვიშანი...“ აგერ, როგორი თავდაჯერებით აღწერს და აფასებს მარსიანი, იმ მიმოხილვას თვითონ საერთოდ, რომ ვერ ესწრებოდა (წელიწად – ნახევრით მაშინ სოფლად ყოფილიყო წასული!) და სხვ(ებ)ის ზეპირგადმოცემებს დაჰყრდნობია! სტილი დაცულია!

„ცნობილი მწერალი და მეცნიერი გიგი ხორნაული იკას ყოველთვის საიმედო ეროვნულ ძალად მიაჩნდა და გულდასაწყვეტია, რომ ამ ღვანლმოსილ პიროვნებასაც თავკერძობის სენმა სძლია. მან, როგორც ჩანს, წარმოიდგინა, რომ თვითონ იყო მთავარი ფიგურა ამ ჯგუფში (რომლის რედკოლეგიის საპატიო წევრადაც იკამ ჩარიცხა) და ჟურნალის ნომრების პრეზენტაციებზე სიტყვით გამოსვლისას რეგლამენტის კანონი მას არ ეხებოდა. თანაც თავის გამოსვლებში იგი ჟურნალის შესახებ როდი ლაპარაკობდა, არამედ სულ სხვა, პირადად მისთვის საინტერესო საკითხებზე. ბ-ნი ვერც კი ხვდებოდა, რომ თავისი პოლიტიკური ორიენტაციის წარმოჩენით (ვგულისხმობ სააკაშვილის მომხრეობას) საფრთხეს ქმნიდა, რომ „ისინდის“ კოლექტივიც „ნაციონალების“ პარტიული გეზის გამომხატველად მიეჩნია დამსწრე საზოგადოებას. იკას მონოდებაზე, რომ რეგლამენტი დაეცვა და სხვებისთვისაც მიეცა სიტყვით გამოსვლის საშუალება, ბ-ნი ხორნაულს მძვინვარე პროტესტი გამოუხატავს: „აბა მარტო შენ უნდა ილაპარაკო?!“ ეს პირდაპირ რომ ვთქვათ, საბჭოური მენტალიტეტის გამოვლინებაა: ამ ხალხს ვერ გაუგია, რომ „ისინდი“ იკა ქადაგიძის ჟურნალია და არა კულტურის სამინისტროსი!.. და თავისი ჟურნალის პრეზენტაციაზე რომ სხვებზე მეტი ლაპარაკი მოუხდეს, განა ბუნებრივი არ არის? რეგლამენტის კანონი ამ შემთხვევაში სხვებისთვის არსებობს და არა მისთვის და ეს უნდა შეიგნონ სხვებმა“.

მიუკიბ-მოუკიბავად ვიტყვი: ეს არის არა სამართლიან პრინციპებზე აგებული ლიტერატურული კრიტიკა, არამედ ლიტერატურული პოლემიკით შენიღბული წარუმატებელი ტერორისტუ-

ლი აქტი, რათა ასაკოვანი მწერალი მორალურად გაანადგურონ და იქნებ...

ჯერ ერთი, მარსიანისთანა ლიტერატორი თავს უფლებას როგორ აძლევს, თანამედროვე ერთ-ერთი ცნობილი მწერალი, თანაც ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიაზე დაწერილი უკვდავი წიგნის ავტორი, ასე ბოლშევიკურ-დემაგოგიურად განსაჯოს და სრულიად უსაფუძვლოდ თავკერძობის სენი შესწამოს?!

ოპონენტი ამ თავის ციტატაში არაფერს დარიდებია, რათა გიგი ხორნაული ჟურნალის მკითხველებს ისეთ პიროვნებად წარუდგინოს, უკვე ისე რომ მოსჩლუნგებია სინამდვილის შეგრძნების უნარი, ხეირიანად აღარც კი ესმის, რაზე, რისთვის ან როგორ ლაპარაკობს!

მან, როგორც ჩანს, წარმოიდგინა, რომ ჯგუფში თვითონ იყო მთავარი ფიგურაო! - ვიშვიშებს მარსიანი.

კი მაგრამ, გიგი ხორნაულს, თავის შემოქმედებით სამყაროში ჩაფლულს, მაპატიეთ და, თანაც მხედველობადაკარგულ კაცს, რანაირად შეეძლო მსგავსი რამის წარმოდგენა?! ან მართლა ასეც რომ იყოს, ეს რას მოუტანს თავისი ღვიძლი საქმიდან საბედისწერო მოწყვეტისა და განამება-გამოფიტვის მეტს?! გაუაზრებელი ცილისწამება, მეტი არაფერი!

უდანაშაულო ოპონენტის სახელის გასატეხად მარსიანი გიგი ხორნაულის პოლიტიკურ ორიენტაციასაც ეხება (ოღონდ მართლა არ ვიცი, ნამდვილს თუ გამოგონილს!), რომლითაც ღვანლმოსილ მწერალს კინალამ დაუღუპავს ჟურნალი „ისინდი“, მისი რედაქტორი და მიმოხილვის მონაწილენიც, რადგან „ისინდის“ კოლექტივიც ნაციონალების პარტიული გეზის გამომხატველად მიეჩნია დამსწრე საზოგადოებას.“ – კვლავ მოსთქვამს მარსიანი.

ბენვზე გადავრჩენილვართ და ეგ არი!.. არადა, იმ მიმოხილვისა მსგავსი არაფერი ყოფილა!.. მაგრამ რას იზამთ, როცა ასეთი ყოფილა მარსიანის ბუნება და პოლემიკური კამათის ყაიდა!.. ამის საილუსტრაციოდ ბარემ ერთ დამახასიათებელ მაგალითსაც მოვიყვან სტილის სრული დაცვით!

თავის წერილში „ქვიშანი...“ (2021, 13) რედაქციიდან განდგომილ თუ იკა ქადაგიძის მიერ მოკვეთილ, თანაც მანდილოსან ავტორებზე მარსიანი აი, როგორ წერს:

„რალაც არ მსმენია მათი შემოქმედებითი ნარმატიების ამბები და არც ვიმედოვნებ, რომ მომავალში აღდგებიან მკვდრეთით ლიტერატურულ სივრცეში.“

მოკლედ, მარსიანი გვასწავლის: „ისინდი“ იკას ჟურნალია და პრეზენტაციაზე სხვებთან შედარებით მეტი ლაპარაკი რომ მოუხდეს, განა ეს ბუნებრივი არ არისო?!

არადა, მიმოხილვისას ყველაზე ნაკლებს სწორედ რედაქტორები ლაპარაკობენ ხოლმე ამ საყოველთაოდ ცნობილი მიზეზის გამო – მათ რის თქმაც სურდათ, თავიანთი ლიტერატურული ორგანოს პირით უკვე ამცნეს მკითხველ საზოგადოებას! ამიტომ ახლა ყველაზე მეტი, მრავალფეროვნად და ამომწურავად სწორედ მიმოხილვის მონაწილენი ლაპარაკობენ ხოლმე, რედაქტორი კი ყურადღებით ისმენს ყველა გამოხვლას, შენიშვნები რომ ჩაინიშნოს შემდეგისთვის გასათვალისწინებლად! ასეთ დროს, როგორც წესი, რედაქტორები ბოლოსღა გამოდიან თავიანთი მოკლე სიტყვითა და დამსწრე საზოგადოებისთვის გულთბილი მადლობის გადასახდელად!

იმ ავბედითი მიმოხილვისას უბედურება ის კი არ იყო, ი. ქადაგიძე ყველაზე ბევრს რომ ლაპარაკობდა, არამედ სულ სხვა რამ: ყოველი გამომსვლელის მსჯელობას რედაქტორი ყურაც-ქვეტილი აკონტროლებდა და როგორც კი საჭიროდ მიიჩნევდა, სიტყვას მაშინვე თავისებური კომენტარებით განაფულად აწყვეტინებდა, რათა საერთო მიმოხილვა მისთვის საოცნებო კალაპოტით წარმართულიყო!!!

გიგი ხორნაულის შემთხვევაშიც სწორედ ეს განმეორდა! მაგრამ ეს ხრიკი მიზანს სხვებთან თუ ადვილად აღწევდა, ჭეშმარიტ მწერალთან ვეღარ გაამართლა, რაც ყველას მოულოდნელად შოკის მომგვრელ ცხარე შეკამათებაში გადაიზარდა!!!

**აბა**, აქ თავისთავად როგორ არ დაიბადება ბუნებრივი კითხვა: კი მაგრამ, იკა ქადაგიძე ასე რატომ მოექცა სიტყვით გამოსულ გიგი ხორნაულს, ჩემს კრიტიკულ წერილზე რომ დაიწყო მსჯელობა და ჩანდა, საფუძვლიანი მიმოხილვა სურდა – შეშურდა ჩემი?

შეიძლება ასეც ითქვას, თუკი ჯოხს ამ ყბადაღებულ შურიანობაზე მივყუდებთ და ამას იქით ბიჯსაც ვერ ნავდგამთ!

არადა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სიტყვას „**შური**“, თანაც საბასეული განმარტებით ყველგან ისე წარამარა ხმარობენ, რომ ჩვენ, ქართველებს, შურისადმი, ალბათ, უკვე იმუნიტეტი გამოგვიმუშავდა და ეს საძრახისი ზნეობრივი ვირუსი ჩვენზე აღარც მოქმედებს!

ნებისმიერი დარგისა და შრომითი კოლექტივის, მეტადრე კი შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელი – რაკი არ ჰყოფნის დაკვირვება და ცხოვრებისეული გამოცდილება, ზედმინვენით ახსნას ამა თუ იმ დასაგმობი მოვლენის გამომწვევი მიზეზი, მაშინვე ვისიმე შურიანობას მიახტება ხოლმე!

ზოგადად და საბოლოო ჯამში ეს ასეც მიიჩნევა ხოლმე, მაგრამ ამ შურიანობას წინ სხვადასხვა მიზეზები და მოვლენები უსწრებს და ეს უბედური **შური** საძრახის ბოლო ადგილზელა კუნტია!

მოდით, ახდილად ვიმსჯელოთ: იკა ქადაგიძეს ჩემი რა უნდა შეშურებოდა, არაფერი! ხოლო სამომავლოდ ამგვარი შურის მიზეზი რომ ეგრძნო ან ევარაუდა, მაშინ ასეთი ხალისით აღარც ყურნალში თანამშრომლობას შემომთავაზებდა, არც სარედაქციო კოლეგიაში შემეყვანდა, არც ყოველ ნომერში ნოველებსა და კრიტიკულ წერილებს დამიბეჭდავდა და, ცხადია, აღარც მალ-მალ შემახსენებდა – ასეთი მწვავე კრიტიკული წერილები კიდევ დამინერეო!.. ხოლო ყურნალის ახალ-ახალი ნომრების მიმოხილვისას ავტორებისა და მკითხველების თანდასწრებით მიმომხილველები ორიოდ სიტყვით თუ ჩემს მასალეებსაც შეეხებოდნენ, ამით არაფერი დაშავდებოდა! პირიქით, მიმოხილვას უფრო დამაჯერებელი სახე მიეცემოდა, ვინაიდან ის მიმოხილვარაღა მიმოხილვა იქნება, თუ ყველა ნაწარმოები მეტ-ნაკლებად არ იქნება განსჯილი!

ოლონდ აქამდე დაურღვეველი ერთი პირობით: პირველ რიგში რედაქტორისა და მისი წერილების უზომ-უსაზღვრო ქება-დიდებას ტრადიცია ყოველთვის განუხრელად უნდა ყოფილიყო დაცული!!! აბა, სხვანაირად როგორ?! ჰმ?! მაგრამ გიგი ხორნაულმა თავისი გამოსვლა დაიწყო არა ჟურნალის რედაქტორის, იკა ქადაგიძის შვიდგვერდიანი მონინავე წერილის, „ვივა ცენზურას!“ ქებათა ქებით, არამედ ჩემი კრიტიკული წერილის გონების გამსხნელი გარჩევით და არა ტკივილგამაყურებელ აბს დამსგავსებული მაღალფარდოვანი ხოტბა-ქებით!..

ზუსტად იგივე განმეორდა ორი წლის შემდეგაც, 2020 წლის შემოდგომისას, ზანდუკელის ქუჩის პირველი ნომრის ეზოში, შებინდებისას გამართული „ისინდის“ მე-10 ნომრის მიმოხილვისას, როცა **ერეკლე სალიანი** თავისი სიტყვის დასაწყისშივე მოკლედ შეეხო საერთოდ, ჩემს კრიტიკულ წერილებს და კერძოდ, ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილ მწვავე კრიტიკულ წერილს **„დანესტილი ასანთის ღერები.“**

ვწერ ამას და ვგრძნობ, თავი ორცეცხლშუა კი არა, ცეცხლის რკალში მოვიქცეი! წინდაუხედავად განვაცხადო, ჩემი კრიტიკული წერილები ორივე გამომსვლელმა დასაწყისშივე დამსახურებისამებრ გამოყო-მეთქი, უპატიებლად მიმაჩნია, ვინაიდან ეს იმ მიმოხილვის დამსწრეთა და საერთოდ, მკითხველი საზოგადოების განსასჯელია და არა ჩემი! ხოლო თუ საპირისპირო აზრს დავუშვებთ, მაშინ მით უარესი – გამოდის, რომ ეჭვი შეგვაქვს სიტყვით გამომსვლელების გულწრფელობაში და ისინი შორს გამიზნულად თურმე მხოლოდ იმიტომ აქებდნენ რომელიმე ავტორის ნაწარმოებს, რათა მართლა ღირსეული მიეჩნდილათ, ორგუნება რედაქტორის საბედისწერო პროვოცირება გამოეწვიათ და საოცნებო განხეთქილება შეეტანათ საათივით გამართულ შემოქმედებით კოლექტივში!

ჰოდა, გიგი ხორნაული როგორც კი შეუდგა ჩემი კრიტიკული სტატიის მიმოხილვას...

„იკა ქადაგიძესაც შეშურდა შენი და მაშინვე სიტყვა წაართვა გიგი ხორნაულს, არა?!“ – უმაღლესი გამანყვეტილებს საქმეში ჩაუხედავი წინამასწარა.

მოდი, ამჯერად მაინც თავი დავანებოთ ამ ცხრა ზნის დედას, შურს, ამ შემთხვევაში, ალბათ, მაჩანჩალას ანუ როგორც სპორტულ ენაზე იტყვიან ხოლმე, აუტსაიდერს რომ წარმოადგენს!

გიგი ხორნაული ჩემი კრიტიკული წერილის თავისებურ შეფასებას რომ შეუდგა, ამან გამოიწვია რედაქტორის არა შური, არამედ მოულოდნელი და უსაზღვრო, შეურაცხმყოფელი გაკვირვება: ამას როგორ წარმოიდგენდა, ცნობილ მწერალს, თანაც სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრს, თავისი გამოსვლა დაენყო არა თვით რედაქტორის წერილის ტრადიციული ხოტბით, არამედ „მის“ ჟურნალში პირველად წარდგენილი ავტორის კრიტიკული ნაწარმოებით! თან ამას მთელი აუდიტორია სულგანაბული ისმენდა! ეხუმრებთ?! როგორ შეიძლებოდა ამის მოთმენა და დაშვება!

მოულოდნელად საქმის ამგვარად შემოტრიალებამ თავდაჯერებულ რედაქტორს დაურღვია ჟურნალის ახალ-ახალი ნომრების მიმოხილვისას მანამდე დამკვიდრებული ბალანსის ნონასწორობა და ნომენკლატურული პატივმოყვარეობის მანდილოსნური კომფორტი! უფრო მეტიც: უკანდაუხეველი გამომსვლელის მოურიდებელი მსჯელობით თანდათან ფარდა ეხდებოდა ერთ სავალალო გარემოებას – უკვე უიმედოდ მოძველებული და ამორტიზებული გამხდარიყო სინამდვილის ამსახველი იკა ქადაგიძისა და კამპანიის „ელექტროგამომთვლელი მანქანები!!!“ მათ კი ასე უეცრად „გადაიარაღება“ არ შეეძლოთ და როგორც მომავალმა აჩვენა, ეს არცა სურთ, რადგან ამგვარ გარემოში რედაქტორი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში!

## 13

**მსჯელობის** ლოგიკურობამ, ეტყობა, თევზთან უამბოდ არ მიგვიყვანა!

ბავშვმაც კი იცის, თევზის ერთადერთი სასიცოცხლო გარემო წყალია!!! რამე ხერხით წყლიდან ამოყვანილი – ბადეში მოხვედრილი, ანკესზე წამოგებული თუ ნაპირზე, ლორთქო ბალახში მოსროლილი თევზი რას სჩადის ხოლმე?

სხმარტალებს, ხტის და იქით-აქეთ გამწარებით აწყდება, რათა როგორმე გაგლიჯოს ბადე, განყვიტოს ანკესის მკედი, მითელ-მოთელოს ბალახი და ისევ წყალში გადაეშვას!!!

ვინმეს მოუვა აზრად, რომ ამ შემთხვევაში თევზს რამე შურედეს ბადის, ანკესის თუ ბალახბულახის ანდა მათი დაუძინებელი მტერი იყოს?!

არა და არა!

წყლიდან ამოყვანამდე თევზმა არც იცოდა, რა იყო ბადე... ანკესი... მეთევზის ვედრო... ქვიანი ნაპირი... ბალახბულახი! ახლა კი, თავგადასარჩენად ბრძოლით მიმავალ თავის გზაზე შემთხვევით თუ ბადე გაგლიჯა, ანკესი განყვიტა, ქორფა ბალახი მითელ-მოთელა ან მეთევზეს ბოლო გადაჰკრა, ეს რა მისი ბრალია - აბა, აქ სადა ჩანს თევზის შურიანობა ან მტრობა?!

ჰოდა, იმ მიმოხილვაზე სიტყვით გამოსულ გიგი ხორნაულთან გაანჩხლებით მოპაექრე იკა ქადაგიძეც წყლიდან ამოგდებულ თევზივით იმიტომ კი არ „სხმარტალებდა“, რომ ვისიმე რამე შეშურდა! აჰ, ეგლა აკლია მარსიანის მიერ გენიოსად მიჩნეულმა იკა ქადაგიძემ თავი ისე დაიმდაბლოს, ვილაც წვრილფეხა კალმოსნების რამე შეიშუროს! – ეგ რამე გაფიქრებინათ?!

ერთი სიტყვით, იმჟამად იკა ქადაგიძეს ერთადერთი ჟინი აწვალებდა: ისევ თავის შეჩვეულ „წყალში“ ანუ საგანგებოდ მხოლოდ მისთვის აღვლენილი ხოტბა-ქების მათრობელა თბილ ბურუსში ნახვეულიყო!!!

\* \* \*

**არავის** ეგონოს, ამას მე ვიგონებდე ან სინამდვილეს ვამუქებდე. ჟურნალის მე-13 ნომერში გამოქვეყნებულ თავის კრიტიკულ წერილში „ქვიშანი...“ მარსიანი ერთგან აი, რას წერს.

„ისიც მოსწვდა ჩემს ყურს (უნდა იყოს „ჩემს ყურს ისიც მოსწვდა“. ჯ.მ.) თურმე ქ-ნ დალი კახიანს უთქვამს (უნდა იყოს „ქ-ნ დალი კახიანს რომ ეთქვა“. ჯ.მ.). „ეს მარსიანი და სხვებიც სულ ამ იკას აქებენ და აღიდებენ, ჩვენ კი ყურადღებას არავინ გვაქცევსო“.

რა ვთქვი მე ზემოთ (უნდა იყოს „ზემოთ მე რა ვთქვი“. ჯ.მ.) ხომ გახსოვთ? „მნუხარება სხვათა კეთილსა ზედა!“ (იხ. საბას ლექსიკონი).“

არ ვიცი, **დალი კახიანის** ეს ნათქვამი მარსიანს ფორმაუცვლელად აქვს თუ არა მოყვანილი, მაგრამ სათავისო ტენდენციურობითაც რომ ჰქონდეს გადასხვაფერებული, თვით აქედანაც კი ნათლად იკვეთება პრინციპული **დალი კახიანის** სამართლიანი აღშფოთება და გულისტკივილი, რაც ჩვენი დღევანდელი ყოფაცხოვრების ყველა სფეროში ფესვგადგმულ სივალაღეს პირუთვნელად ამზეურებს, ეს კი... არა, თქვენ რაც უნდა ისა თქვით, მაგრამ მარსიანი ამ აბზაცს რომ წერდა, ეტყობა, იმ დროს მის ხელზე ღმერთსაც ევლო თავისი უხილავი მარჯვენა და სწორედ იმას აწერიებდა, რაც მერე ჩემისთანა ქართული მწერლობის რიგით „მამელუკს“ კრიტიკულ მიმოხილვას გაუადვილებდა!

ერთი სიტყვით, როგორც ამ ციტატიდან დავინახეთ, მარსიანი დალი კახიანის გამტყუნებას გაცვეთილი, ამ შემთხვევაში კი ყოვლად უადგილო და უკადრისი ფანდით – შურიანობის წაწებებით ცდილობს! შეშურდაო! მორჩა და გათავდა!

არადა, დალი კახიანისთანა შემოქმედს იკა ქადაგიძის რა უნდა შეშურებოდა ან ახლა რა უნდა შურდეს?! მაგრამ აქ მარსიანი თავის საცდელს მაინც დასაფასებელი სიმამაცით ცდილა – შედარებით საქმეში ჩაუხედავი მკითხველების თვალში პოეტ იკა ქადაგიძისთვის იმიჯი რომ აენია, პოეტი დალი კახიანი კი მის უიმედო მოშურნედ წარედგინა!.. მაგრამ ეს მათმებლური ფართიფურთი უხანო ენძელა გამოდგება, როგორც კი მარსიანის ამ ციტატას კრიტიკის რენტგენზე გავაშუქებთ, რათა მისი ზუსტი მორფოლოგიური და ფუნქციური სურათი მივიღოთ!

მაშ, ერთი კარგად დაუკვირდით ამ ციტატაში გაცხადებულ მარსიანის გასაშტერებელ... რბილად რომ ვთქვათ, წინდაუხედაობას! აქ იგი დალი კახიანს მწვავედ კი არ ეპაექრება: ცილს რატო გვნამებ – „სულ ამ იკას“ კი არ ვაქებ-ვადიდებთ, არამედ ჟურნალში გამოქვეყნებული ყოველი მასალის ობიექტური განსჯა-შეფასება ხდებაო! არა! იგი მხოლოდ შურიანობის გახუნებული დამღლის მიწებებით იფარგლება დამლუპველი მოვლენის წინააღმდეგ გაბედულად აჯანყებული მანდილოსნის დასამუნჯებლად!

არადა, ყოველი საღად მოაზროვნე მაშინვე მიხვდება: აქ დალი კახიანს ამოდრავებს არა **შური**, არამედ **შიში**: ჟურნალის ყო-

ველი ნომრის მიმოხილვისას „სულ ამ იკას“ მლიქვნელურ-მაამებლური, იდიოტიზმამდე მიყვანილი ქება-დიდება ვერაფერს შემატებს მსმენელების მხატვრულად აზროვნების არსენალს, პირიქით, მათ გონებრივ დაჩლუნგებას გამოიწვევს, თავს გაქცევით თუ არ უშველეს!

ასეც მოქცეულა დალი კახიანი! მარსიანი კი ბოლშევიკური პარტიის კარიკატურული გენერალური მდივნის ჭირხლიანი კილოთი აცხადებს – დალი კახიანმა გუნდიდან მოკვეთა დაიმსახურაო!

აბა, როგორ არ გაგეცინებათ: პოეტი მანდილოსანი „ისინდის“ რედაქციას თავისი მრწამსითა და ნებით რომ გასცლია, ის როგორ, რანაირადღა უნდა მოიკვეთონ?!

მოკლედ, აქ დაუჯერებელი რამ მოხდა: მარსიანმა მთელი საქართველოს გასაგონად სწორედ დალი კახიანის კეთილშობილური აღშფოთების მიზეზი უნებლიეთ თუ „ისინდის“ მომავალი ახალბედა ავტორების აქედანვე შესაგუებლად დაადასტურა და დააკანონა: დიახ, ჟურნალის ახალ-ახალი ნომრების მიმოხილვისას „სულ ამ იკას“ ქება-დიდება უნდა ისმოდესო!!! კი მაგრამ, რატომ, რისთვის?.. ეს ვის რა სარგებლობას მოუტანს?!

ერთი სიტყვით, აქ მარსიანმა ნება-უნებლიეთ ისეთი რამ აღიარა, დალი კახიანი ვერც იოცნებებდა!!!

ამ ავბედით ციტატაში აი, კიდეც რას ეხდება ფარდა: მარსიანი არამცთუ გადაჭრით არ უარყოფს, არამედ არც კი ხამუშობს მოცემული გარემოებისთვის დალი კახიანის მიერ შეუფერებლად მიჩნეულ ტერმინს – ქება-დიდება!

არადა, სამიოდე წლის ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი, საშუალო სკოლის მოსწავლის სავალდებულო გრამატიკაც რომ არა სცოდნია, რომელიმე კონტინენტზე წარმოებული ძღვევამოსილი ომიდან ძველ რომში დაბრუნებული სარდალ-ტრიუმფატორი ხომ არ არის, დაუსრულებლად აქებ-ადიდებდნენ?!

აქ მარსიანი რომელ ქება-დიდებას ამკვიდრებს და უგალობს თუ ღმერთი გნამთ?!

\* \* \*

**ნებისმიერი** და მით უმეტეს, ახალდაარსებული ლიტერატურული ორგანოს ახალი ნომრის მიმოხილვა უნდა ხდებოდეს მშვიდ, ჯანსაღ ატმოსფეროში, სანიმუშო პირუთვნელობითა და პროფესიონალური წინდახედულობით!.. თუ რომელიმე ტექსტს დასაბუთებულად აკრიტიკებენ, ცხადია, ეს კრიტიკა მის ავტორთან ერთად იმათაც ეხება, ვინც დასაბეჭდად ვიზა მისცა! ამიტომ ეს თითოეულმა მათგანმა კეთილშობილური ქედმოხრით უნდა აღიაროს და შემდეგისთვის გაითვალისწინონ!.. ხოლო ვისიმე მასალა, ინიციატივა ან მოცემული ჟურნალ-გაზეთისადმი გამოჩენილი უანგარო თანადგომა თუ ჯეროვან ხაზგასმას ან ქებას იმსახურებს, ესეც უშურველად უნდა აღინიშნოს, ოღონდ იმგვარი უნაკლო ფორმითა და დოზით, რომ ამას დროთა ვითარებაში რომელიმე ტკივილგამაყუჩებელი საშიში ნარკოტიკის სახე არ მიეცეს და უზომ-უსაზღვროდ შექებულს ხელიდან წასული ნარკომანისებური პათოლოგიური გაუმადლობა არ განუვითარდეს – მერე ანგარიშს რომ ვეღარაფერს უწევს ხოლმე და დღითი დღე განუსჯელი ქება-დიდების უფრო ბარაქიან დოზას მოელის და მოითხოვს!!!

14

**ჰოდა**, როგორც წელანაც ითქვა, 2019 წლის 21 ნოემბერს, საღამოს 17 საათზე ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ სააქტო დარბაზში გამართული ჟურნალის მე-8 ნომრის მიმოხილვისას იკა ქადაგიძესა და გიგი ხორნაულს შორის ისეთმა მკვახე სიტყვიერმა შეკამათებამ იფეთქა, რომლის მსგავსს ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე არამცთუ არ შევსწრებივარ, არამედ ვერც კი წარმოვიდგენდი ამგვარი რამის შესაძლებლობას!.. სულ ჩამმწარდა ჟურნალის ამ ნომერში კრიტიკული წერილის პირველად დაბეჭდვით მოგვრილი თვალახელა! თავად განსაჯეთ: სხვა კრიტიკულ წერილებს თავი რომ დავანებოთ, ეს სტატია „**მაკოსა და მაკინეს ანალოგია**“ 2017 წლის 3

დეკემბერს დაიწერა, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში წელიწადზე მეტხანს ედოთ, მაგრამ არა და არ მიქვეყნებდნენ, იკა ქადაგიძემ კი, დაპირებისამებრ, შემდეგივე ნომერში გაუჯანჯლებლად დამიბეჭდა! აბა, როგორ არ აღვფრთოვანებულებიყავ ასეთი რედაქტორით?!. ჰოდა, იკა ქადაგიძისა და გიგი ხორნაულის კამათის ჩაცხრომისთანავე ვითხოვე სიტყვა და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადე გავარჯარებული ატმოსფეროს განმუხტვას: ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხასიათისა და ტემპერამენტის ავტორები ბევრნი ვართ, ახალდაარსებული ჟურნალის რედაქტორი, თანაც მანდილოსანი კი ერთია-მეთქი და აქაც გულლიად გავიმეორე იკა ქადაგიძისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნზე „**რუბიკის კუბიკისებური უზნეობა**“ წარწერილი ავტოგრაფის შინაარსი – ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ყველამ ხელი უნდა შევეუნყოთ ახალბედა რედაქტორს, რომელიც ჟანა დ' არკივით თვით განგებამ მოუვლინა ქართულ მწერლობას ლიტერატურული კრიტიკის ასაღორძინებლად – მეთქი!..

ამ მწვავე დაპირისპირებამ ჩემზე ისე დამთრგუნველად იმოქმედა, მიმოხილვის დამთავრებისთანავე, იმ რია-რიაში მაშინვე შინისკენ გავესწრაფე და აღარც გამხსენებია, რაღაც ბანკეტის მსგავსი რამ რომ გველოდა. ან გინდაც გამხსენებოდა, ყოველივე ამის შემდეგ პირში ლუკმას რა ჩამადებინებდა!.. შინ რომ დავბრუნდი, როგორც ჟურნალის ახალმა ავტორმა და თანაც მიმოხილვის პირველად მონაწილემ, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მანდილოსანი რედაქტორისთვის ბინაზე დამერეკა – ის მაინც რა იყო-მეთქი?!

## 15

**მას აქეთ** თითქმის წელიწადი გავიდა და ჟურნალის მე-10 ნომერში დაიბეჭდა იკა ქადაგიძის თექვსმეტგვერდიანი სტატია „ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ქრონიკა – ჟურნალის დაარსებიდან დღემდე“.

რედაქტორი ამ სტატიაში მაშინდელი, მე-8 ნომრის მიმოხილვისას გიგი ხორნაულთან დაკავშირებულ ინციდენტსაც ვრცლად ეხება. აი, ერთ-ერთი ნაწყვეტთაგანი.

„...**ახლაც** ამ მძიმე სცენის აღწერისას გული მტკივნეულად მეკუმშება (უნდა იყოს „ამ მძიმე სცენის აღწერისას გული **ახლაც** მტკივნეულად მეკუმშება“. ჯ.მ.) და წარმოიდგინეთ, მაშინ რა გუნებაზე დავდგებოდი, როდესაც მოწმენდილი ციდან მენი ისე ულმოზღად დამატყდა, ამის გააზრებას გონება ჯიუტად ეურჩებოდა. საკუთარი თანამშრომლის მხრიდან ჟურნალის წარდგენაზე ახდელი პროტესტის ასე უკიდურესად გამოხატვამ ყველა დააბნია. საბედნიეროდ, (ეს აბზაცით უნდა დაწყებულიყო. ჯ.მ.) ჩინებული მწერალი და მებრძოლი, საუკეთესო კრიტიკოსი, ბ-ნი ჯემალ მეხრიშვილი სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა და გამოსვლის დროს მხარი უპირობოდ დამიჭირა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მე ქართული მწერლობის ჟანა დ'არკი ვარ და ბრძოლა თავიდანვე დამეხება. მადლიერებით შევყურებდი ძველ ნაცნობს, რომელმაც ჯერ კიდევ წლების წინ (უნდა იყოს „წლების წინათ“. ჯ.მ.) საუკეთესო კრიტიკოსობა და რედაქტორობა ღიად მიწინასწარმეტყველა. დარბაზმა ამოისუნთქა (ეს უკანასკნელი წინადადებაც აბზაცს ითხოვდა! ჯ.მ.).

## 16

**ეს ყველაფერი** მხოლოდ მე რომ მეხებოდეს, ჯანდაბას ჩემი თავი – კრინტს სულაც არ დავძრავდი და ეგ იქნებოდა! მაგრამ რაკი საკითხი ქართული მწერლობის ღირსებას ეხება, იძულებული ვარ, თავი ქვას ვახალო და ზეციურ სასჯელს დამსგავსებული ეს წიგნი ბოლომდე მივიყვანო!

არა და არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ აღარც უთქმელობა იქნება: საკუთარი პერსონის პათოლოგიურ განდიდებაში იკა ქადაგიძე უკვე იქამდეა გავარჯიშებული, რომ ნებისმიერ ვითარებას, შემთხვევას, ინციდენტს, გარემოებას, მისადმი მიმართულ სამართლიან კრიტიკას თუ ვინმესგან გულლიად შექებას კუ-

დიანურად შეუცვლის ხოლმე გრამატიკულ ფორმას, შინაარსს, მნიშვნელობას, თავდაპირველ აზრსა თუ მიმართულებას და მერე „თავისი“ ჟურნალის ფურცლებზე უტიფრად ცდილობს, რათა ეს ყველაფერი საკუთარი ლეგენდის უშედეგო და სამარცხვინო თითხნას შეახმაროს!

ი. ქადაგიძე მართალია, რომ წერს: ჯ. მეხრიშვილმა მხარი უპირობოდ (!? ჯ.მ.) დამიჭირაო. ცოტა ზემოთ ეს მე თვითონ აღვნიშნე, მაგრამ რა სინდისით მომანერს ამ ფრაზებს.

**„ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მე ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი ვარ და ბრძოლა თავიდანვე დამებედა“.**

აქ პირველ რიგში დაღონებას იწვევს რედაქტორის ჯაგლაგური აზროვნება: თუკი ის მართლა ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად იყო აღიარებული, ეს ყველას ისედაც ეცოდინებოდა და ვიღას რაში სჭირდებოდა ჩემგან ამ „გარემოების“ ასეთი ბრიყვეული „ხაზგასმა?!“

ხვდებით, რა ხდება: იმ შფოთიანი მიმოხილვისას ახალბედა რედაქტორის მხარდასაჭერად და წასახალისებლად რაღაც ოციოდე დღის უკან ჩემ მიერ მიძღვნილ საკუთარ წიგნზე ალალგულად შესრულებული წარწერა – იკა ქადაგიძე ქართულ მწერლობას ჟანად'არკისებურად თვით განგებამ მოუვლინა გზაგადაღობილი ლიტერატურული კრიტიკის ასაღორძინებლად-მეთქი, იკა ქადაგიძე მთელ ქართველ მწერლებს თავისებური გადასხვაფერებით ვითომ „შეუმჩნევლად“ მიაწერს და თვითმარქვიასთვის დამახასიათებელი მყიფე გაბედულებით თავს მთელი თანამედროვე ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად აცხადებს!!! თან მე ძალღადაც აღარ მაგდებს და შემადრწუნებლად გადამახინჯებული ჩემეული ავტოგრაფის დემაგოგიურ შინაარსს თავის ჟურნალში გონებადაქვეთებული ბავშვივით მამეორებინებს!

რა ჰქვია ყოველივე ამას?!!

აბა, კარგად დააკვირდით: მე ჩემი წიგნის ავტოგრაფში ი. ქადაგიძეს ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი კი არ ვუწოდებ, არამედ მხოლოდ ჟანა დ' არკს შევადარებ! არის თუ არა განსხვავება?!

არადა, სრული იდიოტობა იქნებოდა, ნებისმიერი თანამედროვე ჩვენი მწერლისა თუ პოეტი მანდილოსნისთვის ვინმეს ქარ-

თული მწერლობის ჟანა დ' არკი ეწოდებინა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჟანა დ' არკი ანუ ორლეანელი ქალწული (1412-1431) პოეტი ან მწერალი კი არ იყო, არამედ საფრანგეთის სახალხო გმირი, ასწლიანი ომის (1337-1453) დროს 1429-30 წლებში რომ ხელმძღვანელობდა ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. 1430 წლის 23 მაისს კომპიენის კომენდანტის ღალატის შედეგად იგი ტყვედ ჩაიგდეს ინგლისის მომხრე ბურგუნდიელებმა და 6 თვის შემდეგ დიდ თანხად ინგლისელებს მიჰყიდეს. ქ. რუანში მოწყობილ საეკლესიო სასამართლო პროცესზე (1431 წლის იანვარ-მაისი) ჟანა დ' არკი „ჯადოქრად“ და „მწვალეზლად“ ცნეს და ძველი ბაზრის მოედანზე კოცონზე დაწვეს. 1456 წლის 7 ივლისს ჟანა დ' არკი რეაბილიტირებულად გამოაცხადეს. კათოლიკურმა ეკლესიამ 1920 წელს წმინდანად შერაცხა. მისი ხსოვნის დღედ დაწესდა 8 მაისი, ქ. ორლეანის განთავისუფლების დღე – საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული.

აი, ვინ იყო ჟანა დ' არკი!

ჰოდა, დღეს ნებისმიერ ქართველ კალმოსან-მანდილოსანს როყიოდ რომ უწოდონ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი, რაში, როგორ და რანაირად უნდა გამოიხატოს ქართულ მწერლობაში მისი ჟანად'არკობა?!. თანამედროვე ქართველ მწერლობას რა სჭირს ვისიმე საჟანად'არკო?!

ეტყობა, იკა ქადაგიძეს ხეირიანად არ სცოდნია ჟანა დ' არკის ვინაობა! ანდა ჩემ მიერ მიძღვნილი წიგნის წარწერის იდეას კი აღეფრთოვანებინა, მაგრამ მისი შინაარსი სცოტავეშია – მარტო მავანთაგან გზაგადაღობილი ლიტერატურული კრიტიკის ამ-ლორძინებელი რედაქტორ – ჟანად'არკობა რას მომიტანსო! ამიტომ ამდგარა და ჩემი ავტოგრაფის ნათელი შინაარსი განდიდების მანიის საძრახის თარგზე თავისებურად მიუკიბ-მოუკიბავს – ცამონმენდილზე მთელი თანამედროვე ქართული მწერლობის ჟანა დ' არკობა მოჰგუნებებია! ოღონდ იმაზე კი აღარ უფიქრია, ამას როგორი ახსნა ექნებოდა! აბა, აქ როგორ არ გაგახსენდება ქართული ანდაზა: **თხამ საკორტნი ნახა, სახტომი კი არაო!**

მოკლედ, იმ ავად მოსაგონარ მიმოხილვაზე სიტყვით გამოსვლა იკა ქადაგიძემ ძვირად დამისვა – მისდევს და რაც თვითონ მოეპოვებინა, იმის თქმას მომანერს!

„ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მე ქართული მწერლობის ყანა დ' არკი ვარ და **ბრძოლა თავიდანვე დამებედა**“.

**ბრძოლა თავიდანვე დამებედაო!** – მსგავსი რამ რანაირად შემეძლო წამომერომა: მე მისი აღმზრდელი, დამკვირვებელი, მეთოდისტი, მემატრიანე თუ დაქირავებული ბიოგრაფი ხომ არ ვიყავი, ზედმინეწვით აღმენუსხა – იკა ქადაგიძეს როდის რა დაეებეებოდა!

გაგონილა ამგვარი დემაგოგიური ტყუილებით საფრთხობელად ქცეული საკუთარი ნაყალბევი ლეგენდის უტიფრად მიკონკ-მოკონკება?!. მაგრამ იკა ქადაგიძეს თუ მართლა დაეებედა ლიტერატურული ბრძოლა, მაშინ როგორც, მაგალითად, ადოლფ ჰიტლერმა (1889-1945) 1923 წელს ლანდსბერგის ციხეში დაწერა სქელტანიანი წიგნი „Mein Kampf“ („ჩემი ბრძოლა“), ადგეს და თვითონაც დაწეროს „ჩემი ბრძოლა“, თორემ ამგვარ ლიტონისძიებებზე გაუთავებელ ტრაბახს ანდა გადაბრალებით ვითომ ვინმესთვის თქმევენებას და მერე მცირეტირაჟიან „თავის“ ჟურნალში ხაზგასმას რა ბაჟი ექნება?!

იკა ქადაგიძე ბაიბურად არაფერს იგდებს და გასაშტერებელი შეუპოვრობით მიაბტვრევს თვითგანდიდების გაუვალ შამბნარს.

**„მადლიერებით აღვსილი შევყურებდი ძველ ნაცნობს, რომელმაც ჯერ კიდევ წლების წინ (უნდა იყოს წინათ. ჯ.მ.) საუკეთესო კრიტიკოსობა და ჟურნალის რედაქტორობა ღიად მიწინასწარმეტყველა“.**

ახალბედა რედაქტორის ამგვარი განცხადების შემდეგ იმაზე კი არ მეფიქრება, საპასუხო აზრი როგორ ჩამოვაცალიბო, ჯერ საბოლოო თვალახელით მოგვრილ შეძრწუნებას გავუმკლავდე: თურმე ეპაექრები არა მართლა რამედ ღირებულ ოპონენტს, არამედ საკუთარი ხელით ნილაბჩამოგლეჯილ, მოლიტერატურო შარლატანს!!!

ეს უკვე აშკარაზე აშკარაა: იკა ქადაგიძეს მტკიცედ გადაუნყვეტია, პიროვნული ღირსება საბოლოოდ გამინადგუროს – პირ-

ზე კლიტედადებულ ცრუმონმედ და ზოგიერთთა მსგავსად მეც დისტანციური პულტით სამართავ ჯაბახანა რობოტად მაქციოს, სადაც როგორ დავჭირდები, ისე რომ მაჯაყვავყოს!

რედაქტორ-ჯადობაზი, ეტყობა, აქ თავისებური ვარაუდითაა გულმოცემული: „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციიდან მოკვეთილი და ახლა ჩემს ბასრ ბრჭყალებში მოხვედრილი, შენინაალმდეგებას ვერ გამიბედავსო! გამიბედავს და აქედანაც... ანდა, რატომ უნდა გამიბედოს?! პირიქრით, მადლობელსაც დამრჩება – მე ხომ მას ჩემი მესიანური მომავალი ვანიხასწარმეტყველებინო! ჰოდა, ლიტერატურული ნოსტრადამუსის სახელის წყალობაზე კი ვინ იტყვის უარს და ეს ცუდლუტობაც ხახვივით შემრჩებაო!...

მოდის, ჯერ ამას განვმარტავ, ჩვენს შემთხვევაში რა უნდა იგულისხმებოდეს ამ მრავალმნიშვნელოვან ტერმინში – **„ძველნაცნობს“**.

წელანაც აღვნიშნე, იკა ქადაგიძის გასაკვირი ნება-სურვილითა და ერეკლე საღლიანის სატელეფონო შუამავლობით თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში 2006-07 წლებში გაიმართა ჩემი პირველი ორი კრიტიკული წიგნის მიმოხილვა... მანამდე არც გამეგონა იკა ქადაგიძის ვინაობა. ცხადია, დანახვითაც პირველად მაშინ დავინახავდი. თავისი სტამბისსუნიანი რომანიც სწორედ იმ მეორე წიგნის მიმოხილვისას მისახსოვრა. ის იყო და ის! მას აქეთ თორმეტმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ ერთმანეთს შემთხვევითაც კი არსად შევჩეხებებივართ! ხოლო ეგ იყო, მისი რომანის ერთ-ერთმა ფრაზამ – „გაუფრთხილებლად ამოვარდნილი ქარი“, ისე აღმაშფოთა, ავტორის თვალახელის მიზნით სხვა მწერლებთან ერთად ი. ქადაგიძეც გავკენწლე („ამერ-იმერი, 1-2, 2017) ციდიან რეპლიკაში „ავრესორი ქარი“.

დაე, ახლა მკითხველებმა თავად განსაჯონ – ჩემისთანა **„ძველნაცნობს“** ი. ქადაგიძისთვის როდის, სად და რაც მთავარია, რის საფუძველზე უნდა ეწინასწარმეტყველებინა **„საუკეთესო კრიტიკოსობა“** და მით უმეტეს, **„ჟურნალის რედაქტორობა?!“**

აქ ი. ქადაგიძემ მკითხველი საზოგადოების თვალში თვითონ ხომ მოიჭრა თავი და მეც ზედ მიმაყოლა: ვინ იცის, რამდენს გაცივინებოდა – ოჰ, დიდ ვინმესაც უწინასწარმეტყველებიაო!

ან ეს რანაირი ქართულია – ლიად მიწინასწარმეტყველო! ვინმე რამეს თუ მართლა უწინასწარმეტყველებდა, თავისთავად ცხადია, „ლიად“ უწინასწარმეტყველებდა, თორემ მისთვის საწინასწარმეტყველოდ უცებ ქვესკნელში ხომ არ ჩაძვრებოდა, იქ ფარულად, მხოლოდ ტუჩების ცმაცუნით უწინასწარმეტყველებდა და მერე ისევ ზედაპირზე ამოძვრებოდა?!

მაშ, იკა ქადაგიძემ იქნებ აგვიხსნას, როგორიღაა „ლიად“ წინასწარმეტყველების საპირისპირო მოქმედება – „ფარულად“ წინასწარმეტყველება?

ერთი სიტყვით, ეკა ქადაგიძე ისე ფანატიკურად არის შეპყრობილი თავისი პიროვნული უშედეგო ლეგენდის ჩხლართვით, რომ აღარ იცის, რა მიიწეროს ან ვის რა მიაწეროს!

აქ მისთვის სულ ერთია სახელოვანი თუ ახალბედა ავტორი... „ძველი“ თუ ახალი ნაცნობი... დროის პერიოდები... ვითარება, გარემოება, რაიმე ღონისძიება... ცოცხალი თუ გარდაცვლილი შემოქმედი – მუდამ „თადარიგიანად“ ირჯება, რათა ყველაფერი სათავისოდ გადააკეთოს და გამოიყენოს, ყველა თავისი ვითომ დიდვინმეობის მხურვალე მეხოტბედ ან ბიბლური წინასწარმეტყველებით წარმოგვიდგინოს!

მსგავს შემთხვევაში იკა ქადაგიძისათვის თურმე არ არსებობს შეუძლებლობის ფარგლები... ხელის შემშლელი მიზეზები, პირობები ან შემთხვევები... სიფრთხილე... ვითარებაში გარკვევის მოთხოვნილება... გარემოების გონებაფხიზლად შეფასება... ანგარიშგასანევი გამონათქვამები: „ერთიც ვნახოთ!“... „ვაითუ!“... „ეს რომ გამჟღავნდეს...“ „რას იტყვიან მკითხველები?!...“ „ამას ვინ დაიჯერებს?!“... „მერე თავი სადღა გამომიყოფა!“... „არა, თქვენი ჭირიმე!“... „საფუძვლიანი ყოყმანი... მოთმინება... კეთილგონიერების კარნახი... შიში... შიშიო?! რომელ შიშზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ღმერთი გნამთ - როცა საკითხი საკუთარი პიროვნების უსაფუძვლო განდიდებას ეხება, აქ იგი ლიტერატურულ კამიკაძეს ემსგავსება!!!

გარდაცვლილი შემოქმედი შემთხვევით არ მიხსენებია. ერთ-ერთ მათგანს იკა ქადაგიძე ისეთ რამის თქმას მიაწერს, ალბათ, არავინ დაიჯერებდა, ეს „ისინდის“ ფურცლებზე ბეჭდურად რომ

არ იყოს უკვდავყოფილი! მაგრამ ამას ჯერ არ შეევეხები, ვინა-  
იდან რედაქტორის მიერ გაუაზრებლად მიხლართულ-მოხლარ-  
თულ ხიბლიხვანჯარას ბილიკ-ბილიკ თუ არ მივყევით, ისე ზოგი  
რამის ნაადრევი მბოზა მოვლენათა მსვლელობას სიმწყობრეს  
დაუკარგავს და ბევრ მაგალითს გაუგებარს გახდის!

## 17

**სხვადასხვა** მიზეზის გამო ისევ იმ საშინელ მიმოხილვას მი-  
ვუბრუნდეთ. მიკერძოებაში რომ არ ჩამომერთვას, მე არ ვითა-  
ვებ იმ ვითარებისა და გაოგნებულ დამსწრეთა განწყობილების  
გადმოცემას, რაც გიგი ხორნაულისა და მისი მეუღლის, ნანა კო-  
ტეტიშვილის ტლანქად შენიღბულმა გაძევებამ გამოიწვია. ამი-  
ტომ ყველაფერს აჯობებს, ისევ იკა ქადაგიძეს მოვუსმინოთ.

...გავეშებულმა მწერალმა (ე.ი. გიგი ხორნაულმა. ჯ.მ.) ცოლს ხა-  
ფად, ყველას გასაგონად დაუტია: აქ აღარაფერი გვესაქმება, ახლა-  
ვე წავიდეთო, ლამის სკამი ააყირავა (უნდა იყოს გადააყირავა. ჯ.მ.)  
და დარბაზიდან ყავარჯნის კაკუნით გააღმასებული გავიდა“.

მიუხედავად იმისა, ეს ეპიზოდი ძუნუნად, თანაც ტენდენცი-  
ურადაა გაშუქებული, ამას ნუ გამოვუდგებით, ვინაიდან ესეც  
იკმარებს, რათა ფარდა აეხადოს იკა ქადაგიძის ნამდვილ ბუნე-  
ბასა და თავისი ცხოვრების უპირველეს მიზნად გამხდარ აკვი-  
რებულ მისწრაფებას – ყველგან ყველაფერი შუღერისებური  
ხელგანაფულობით თავის სასარგებლოდ გადაასხვაფეროს!

მართლა აღარ არის ღმერთი და სამართალი?! ორი შესანიშნა-  
ვი შემოქმედისა და პიროვნების გაძევებამ ჟურნალის მიმოხილ-  
ვა პანაშვიდს დაამსგავსა, მომხდართ შეურაცხყოფილი დამსწ-  
რენი ერთმანეთს თვალებში ველარ ვუყურებდით, იკა ქადაგიძე  
კი რამდენიმე თვის შემდეგ თავის ნერილში აი, როგორ იხსე-  
ნებს. სტილი დაცულია!

„ჩამწარებული საღამოს ფინალი ახალგაზრდების ლამაზ-  
მა ჟესტმა ოდნავ გამიქარწყლა: ჩემთან საგანგებოდ მოსულმა  
სტუდენტებმა წარდგენის გაძლოლისთვის მხურვალე მადლო-  
ბის კვალდაკვალ გულწრფელი პატივისცემის დადასტურების

კვალდაკვალ მითხრეს, რომ ილიას გზას ღირსეულად მივყვები და როგორც კი ვუხმობდი, უყოყმანოდ მოვიდოდნენ და მხარს დამიჭერდნენ“.

აბა, ღმერთს მადლი უნდა შევნიროთ, გიგი ხორნაული იძულებული რომ გახადა, მეუღლითურთ დარბაზი დაეტოვებინა, თორემ „საგანგებოდ მოსულ სტუდენტებს“ ი. ქადაგიძისთვის რისთვის უნდა გადაეხადათ „მხურვალე მადლობა?!“ – ჰაი, გიდი!

იმ სტუდენტებს ცხოვრებაში, ალბათ, პირველად და უკანასკნელად მიეცათ შემთხვევა, ბიბლურ ბრძენკაცს დამსგავსებული, უსინათლო მწერლისთვის ბოლომდე მოესმინათ, ი. ქადაგიძემ კი ამის საშუალება ჯვალათურად მოუხსპო! თავისი გადასახედიდან სწორედაც მოიქცა, ვინაიდან დინების საწინააღმდეგოდ მიმცურავი გიგი ხორნაულისაგან სტუდენტები სულგანაბვით ისმენდნენ იმას, რაც, იკას აზრით, არ უნდა მოესმინათ!

ანდა, ის სტუდენტები ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვაზე დასასწრებად საგანგებოდ გამოგზავნილი სარევიზიო კომისიის გამობრძმედილი წევრები ხომ არ იყვნენ, რათა ერთი შეხედვით დაედგინათ – ნებისმიერი რედაქტორი ილიას თუ სალიერის გზით მიდიოდა?!

კიდევ კარგი, იმ „სტუდენტებს“ მაინც შეუნიშნავთ ილიასა და იკას სამოღვაწეო გზის ერთნაირობა, თორემ რალა გვეშველებოდა: შეიძლება ამას სხვები ვერ მიმხვდარიყვნენ, ხოლო მორცხვი იკა კი ამას ხმამალლა როგორ განაცხადებდა და მომავალ თაობებს თანამედროვე ქართული მწერლობის ისტორია ნაკლული სახით უნდა გადასცემოდა!

\* \* \*

ერთი სიტყვით, ბენჯზე გადავრჩენივართ და ეგ არის!... როგორც თვით იკა ქადაგიძეც აღიარებს, გიგი ხორნაულისა და ნანა კოტეტიშვილის საპროტესტო ნასვლით, ჟურნალის მიმოხილვა „ჩამწარებულ საღამოდ“ გადაიქცა! მერე, ეს არის ილიას გზით სიარული?!

მოკლედ, თავაშვებული დემაგოგია!... უმანკო სტუდენტების თავის „საზარბაზნე ხორცად“ გამოყენება... თავისთვის სასურველი მიმართულებით ხელმეუხებელი ლოგიკის თმებით წათრევა!...

როგორც დავინახეთ, იმ „ჩამწარებული სალამოს“ მონაწილე სტუდენტების სპეკულაციური გამოყენებით ი. ქადაგიძემ განდიდების მანიის ოღორღორობებიდან ილიას მონამებრივ გზაზე ააბოტა!

ხედავთ, რამდენს ბედავს „საკუთარი“ ჟურნალით გულმოცემული ლიტერატურული ავანტიურისტი! მაგრამ ამაზე როდი ჩერდება დიდებამონყურებული რედაქტორი?! ანდა, რა გააჩერებს, როცა უსაზღვრო ყოფილა განდიდების მანიის ჟინი და მადა!.. ამაზე სტატიაში, მე-9 გვერდის პირველი სვეტის მეორე აბზაცში აგერ, ახლა რას გაიძახის.

## 18

**„თაობათა შეკავშირების პრინციპს ოდითგანვე ძალზე სერიოზულად ვეკიდებოდი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უფროსთაობელმა თანამოკალმეებმა თაობათა შემაკავშირებელ ხილად მალიარეს, რაც უზარმაზარი პასუხისმგებლობაა“.**

იკა ქადაგიძე აქ ისეთი ლექსიკითა და კილოთი ქადაგებს, თითქოს შუახნის ერთი ჩვეულებრივი ლიტერატორი კი არა, მათუსალას ასაკის ბიბლიური წინასწარმეტყველი ან ტომის ეთნარქი იყოს!!!

მოდი, ჯერ ეს დავაზუსტოთ – რას ნიშნავს „**ოდითგანვე**“: ძველთაგანვე, დასაბამიდანვე! ახლა ამ სიტყვებიდან გამოვჭედოთ ჯადოსნური გასაღები, რომელმაც იქნებ როგორმე გაგვახსნევინოს ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე გაუვალი ცხრაკლიტურის ყველა კარი: „**თაობათა შეკავშირების პრინციპს**“ ეკა ქადაგიძე მანაც როდიდან მოჰკიდებია „**სერიოზულად**“ – აკვნიდანვე... საბავშვო ბაგა-ბალიდან... დაწყებითი კლასებიდან... საშუალო სკოლასთან გამოსათხოვარ ბალ-მასკარადიდან თუ სადმე თავისი პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე?!

მოკლედ, იკა ქადაგიძეს ფანატიკურად დაუჟინებია: თავის მოსალოდნელ ოპონენტებს სულ მსოფლიო ლიტერატურის არქივები აქექინოს! ჰოდა, რაკი დიდი ნაკითხობით თავს ვერ მოვიწონებ, ამიტომ დახმარებისთვის მთელი საქართველოს ყველა

ნიგნიერ თანამემამულეს მივმართავ! ნეტა, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თუ მოიპოვება მეორე ასეთი მაგალითი – ხალასი ნიჭიერებით ან მაცდური ილუზიებით შეკპრობილ მოზარდს „ოდითგანვე“ ეოცნებოს არა პირველი ნაწარმოებ(ებ)ით მკითხველი საზოგადოების წინაშე მღელვარე წარდგენაზე, არამედ თავისი ქვეყნის მთელი მწერლების „თაობათა შეკავშირების პრინციპებზე?!“

არა-მეთქი, ხსნა არსაიდანა ჩანს! ისედაც განამებული მკითხველები იკა ქადაგიძემ ახლა ახალი თავსატეხის წინაშე გააშეშა: რედაქტორი ამ თავის წერილს 2020 წელს ანუ 48 წლისა წერდა. ჰოდა, მკითხველები როგორ მიხვდნენ, იკა ქადაგიძეს თავისი თავი რომელ წლებში მიაჩნდა „სრულიად ახალგაზრდა?!“

ეს უბრალო საკითხი არავის ეგონოს – აქ დასაღუპავად განწირულ ქართველ მწერალთა სხვადასხვა თაობის შეკავშირებისა და გადარჩენის პერიოდები უნდა დაზუსტდეს!

ჰოდა, იკა ქადაგიძის მიერ უცნობი, ეპოქალური დამსახურების მეკობრული მიტაცება ისეთ-ისეთ კითხვებს ბადებს, რომ ამ კითხვებს, ალბათ, თვით საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საოქმო განყოფილების სტაჟიანი გამგე, **რევაზ კვერენჩილაძე** ვერ უპასუხებდა! ქართველ მწერალთა თაობები (ეხუმრებით – თაობები!) იკა ქადაგიძის მოვლენამდეც საჭიროებდა შეკავშირებას, მაგრამ არავის გააჩნდა საამისოდ აუცილებელი ქურუმისებური თვისებები?!... ნუთუ მხოლოდ „სრულიად ახალგაზრდა“ იკას მოვლინებისთანავე გახდა ნათელი მათი შეკავშირების აუცილებლობა და შესაძლებლობა?!. ან ერთმანეთისადმი გაუცხოებულმა და დაპირისპირებულმა ქართველ მწერალთა თაობებმა „სრულიად ახალგაზრდა“ იკა მაინც რა ნიშან-თვისებების მიხედვით ამოირჩიეს თავიანთ შემაკავშირებელ ქალღმერთად?!. ანდა, „სრულიად ახალგაზრდა“ იკას ჯერ საიდან უნდა ჰქონოდა საამისო გამოცდილება და გაბედულება (თუმც როგორც მისი ნაირ-ნაირი წერილობითი განცხადებებიდან ჩანს, მას არასოდეს ღალატობს ჰუსარული გამბედაობა!!!), ერთმანეთისადმი გაქსუებულ ქართველ მწერალთა თაობებს შორის შემაკავშირებელ ხიდად ან თუგინდ შემაკავშირებელი ხიდივით გადებულიყო?!.

მოდის, თავი დავანებოთ ამგვარი კითხვების ჩამოთვლას და ეს გავარკვიოთ: „ისინდი“ ლიტერატურული ჟურნალია თუ იკა ქადაგიძესთან დაკავშირებით გამოშვებული ბიოგრაფიული ბროშურების სერია?! ვინ დაიჯერებს, რედაქტორი სხვებზე უკეთ ვერ ხვდებოდა – ამ ყველაფერს საძრახისი უკუშედეგი რომ მოაქვს! საკუთარი თავის ამდენი ხოტბა-ქებით იგი ემსგავსება მოხუც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, თავის გამძლე კოსტიუმ-მუნდირს უცხო ქვეყნის უმაღლესი ეროვნული ჯილდოებით რომ რთავდა და ამძიმებდა!

ჰოდა, იკა ქადაგიძე არ უნდა უკვირდებოდა: ამდენ მძიმე-მძიმე წოდებებს, ვალდებულებებს, დამსახურებასა და პასუხისმგებლობას ანგარიშშიუცემლად რომ მიიწერს და მიიწერს, ეს მეტისმეტად მოურეველი ტვირთი ხომ არ იქნება არა მარტო მისი მსგავსი ერთი ჩვეულებრივი, არამედ ნებისმიერი ლიტერატორისთვისაც!

ნუთუ მართლა ასეთია თანამედროვე ქართული მწერლობისა და მისი ჯვარცმული მკითხველების ბედისწერა – იკა ქადაგიძე თავისი „ყველაზე მეზობლი ეროვნული“ ჟურნალით ეს რაცოდვის ლულს ატრიალებს ჩვენს თავზე?! გადავხედოთ თუგინდ XIX-XX საუკუნეების ქართული მწერლობის ცხოვრებას – აქამდე ვის გაეგონა ან ვინ წარმოიდგენდა, ერისა და მშობლიური მწერლობის რომელიმე მსახურს ქვეყანა შეეჯერებინოს თავისი ნამდვილი თუ გამოგონილი დამსახურების დიაკვნური ჩამოთვლით: მე საქართველოს უგვირგვინო მეფე მიწოდეს!... მე ერისკაცი ვარ!... მე ქართული ენის რეფორმა ჩავატარე!... მე ბასრი კალამი მაქვს!... მე ესა და ეს საზოგადოებები ჩამოვაყალიბე!... მე უპირველესი პოეტის (პროზაიკოსის, რომანისტის, კრიტიკოსის, პუბლიცისტის...) სახელი მოვიხვეჭე!. ერთმანეთზე გადაკიდებული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა სხვადასხვა თაობები მე შევარიგე! მე... მე... მე... და დაუსრულებელი მე!...

ყოველივე ამისთვის იკა ქადაგიძეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითა კავშირმა ან სულაც მთელმა ქართულმა მწერლობამ ახსნა-განმარტება რომ მოსთხოვოს, საინტერესოა, რა პასუხი ექნება?!

გვინდა თუ არა, ისევ იმ მე-8 ნომრის ავბედით მიმოხილვას უნდა დავუბრუნდეთ. იქ მომხდარმა სცენებმა ჩემზე ისეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა, მარტო სიტყვით გამოსვლა არ ვიკმარე და ღამით შინ რომ მივედი, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მანდილოსან რედაქტორისთვის ტელეფონითაც დამერეკა – ის მაინც რა იყო-მეთქი?!

ჰოდა, თითქმის ერთი წლის შემდეგ ჟურნალის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ თავის ვრცელ სტატიაში „ისინდის (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ქრონიკა-ჟურნალის დაარსებიდან დღემდე“, იკა ქადაგიძე აი, რას წერს.

„ბ-ნმა (უნდა იყოს ბ-მა. ჯ.მ.) ჯ. მეხრიშვილმა რომ დამირეკა და შეიტყო, ბ-ნ გიგისთან მანამდე როგორი ურთიერთობა მაკავშირებდა, უსიამოვნოდ გაოგნებულს აღმოხდა, მართლა ვერავის ენდობი კაციო (უნდა იყოს „კაცი მართლა ვერავის ენდობიო“. ჯ.მ.).

კეთილი, თავი დავანებოთ თავის მობილურ ტელეფონში „დანახულ“ თუ წარმოდგენილ ჩემს გამომეტყველებას – **„უსიამოდ გაოგნებული“**, ვინაიდან მხოლოდ მე მეხება, მაგრამ ერთი ამ ბოლო ფრაზას დაუკვირდეთ, ი. ქადაგიძე რას მომანერს.

**„მართლა ვერავის ენდობი კაციო“.**

ამრიგად, რედაქტორმა ამ ერთი შეხედვით ვითომ „უცოდველი“ წინადადებით სულ აბუჩად ამაგდებინა მწერალთა კორპუსი, ვინაიდან მარტო გიგი ხორნაულს კი არა – ცხოვრებაში ერთმანეთი პირველად მაშინ რომ დავინახეთ! – არამედ თურმე მთელი ქართული მწერლებიდანაც **„ვერავის“** ვთვლი ნდობის ღირსად!

წარმოგიდგენიათ თანამებრძოლი მწერლებისადმი – თანაც უმრავლესობას პირადად რომ არ ვიცნობ! – გამოჩენილი მეტი უნდობლობა?! მოდი და ამის შემდეგ ასეთ რედაქტორს საკუთარი ინიციატივით კიდევ დაურეკე!

მეორე მიზეზი, რის გამოც რედაქტორთან – და არა მარტო მასთან! – დარეკვას თავს ვარიდებ, ასეთია. გიგი ხორნაულთან მომხდარი იმ ინიციატივით დაკავშირებით რომ დავურეკე, აღელვებული იკა ქადაგიძის მეოხებით ჩვენი არეული საუბარი

ერთ საათსა და ოცდამეორე წუთს გაჭიანურდა – ეს ზუსტად აღრიცხა მაგიდის ტელეფონის ტაბლომ!

ჟურნალის შემდეგი ნომრისთვის დაგეგმილი ჩემი ერთ-ერთი მასალის გამო რედაქტორის დავალებით დარეკვა მეორე-მესამე დღესაც მომიხდა და „იდეებით დახუნძლული“ (თემურ ნადარეიშვილი) იკა ქადაგიძის წყალობით საუბარი ორივეჯერ ისევ პირვანდებურად გაგვიხანგრძლივდა!

მეოთხე დღეს სადღაც დასარეკად რომ ავიღე ჩემი ტელეფონის ყურმილი და პირველი ციფრები ავკრიფე, ოპერატორი ქალის ფირზე ჩანერილმა ხმამ გულგრილად მაუწყა – **„ეს ნომერი გათიშულია დავალიანების გამო!“**

მეუღლე გაოგნებით შემომამტერდა – ჩვიდმეტი ლარი ამას ნინათ არ ჩაგირიცხე, ამდენს ვისა და რაზე ელაპარაკებოდიო?!

ყველას ადამიანურად ვთხოვ, სწორად გამიგონ! რაკი ამის მიზეზი მე არ ვარ, სიღარიბით თავს არ ვინწონებ! მაგრამ არც ვწუნუნებ, რათა სამადლოდ იქნებ ქატოს პურის ხურდა ფული მაინც შემეიგროვონ-მეთქი, ხოლო თუ ვინმე დაინტერესდება, შეუძლია ადვილად გადაიანგარიშოს: მე თავს ამგვარი გახანგრძლივებული სატელეფონო საუბარ-თავშექცევის ფუფუნების უფლება რომ მივცე – თანაც დღევანდელი კარჩაკეტილობისა და სასწაულებრივად გამოჩენილი დამლაპარაკის ღელვიან მოლოდინში! – ჩვენი ოჯახის ერთადერთი საარსებო წყარო, ორივეს პენსია, მარტო ამგვარი სატელეფონო საუბრების ნახევარსაც ვერ გასწვდება! რალამ დაგვარჩინოს?!..

## 20

ერთი სიტყვით, გამომცემლობაში „მერიდიანი“ მაშინ ის ჩვენი პირველი და უკანასკნელი შემთხვევითი შეხვედრა-შეჩეხება ასე დასრულდა: რედაქტორის მიერ ამრეზით შემოჩეჩებული ნოველა „დროის პერიოდები“ გულდასმით წავიკითხე; ყველაფერი ხელუხლებლად დამხვდა – ნერტილიც კი არსად იყო შეცვლილი! წაკითხული ანაბეჭდები ისევ ჩვენებს – იკა ქადაგიძეს, მარ-

სიანსა და თემურ ნადარეიშვილს დავუბრუნე, მერე ავიღე ჩემი მომავალი წიგნის კორექტურა და წამოვედი.

\* \* \*

**იმ დღიდან** მოკიდებული, ი. ქადაგიძე ტელეფონით თუ სარედაქციო საქმიანობასთან დაკავშირებულ შეხვედრისას რაღაც მოუთმენლად მეკითხებოდა ხოლმე – არ გამოვიდა... როდის გამოდის ის თქვენი წიგნიო?!

არ დავმაღავ, მეტად მაკვირვებდა ი. ქადაგიძის როგორც ჩემთვის ამოუხსნელი ამგვარი მოუთმენლობა, ისე მისი კილოგამომეტყველების უცნაურობა – ჩემზე ძალიან ასე რატომ ჩქარობდა ჩემი წიგნის გამოსვლას?! თუკი მაშინ ის წიგნი, „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“ გულთბილი ავტოგრაფით ვუსახსოვრე და ლიტერატურული კრიტიკის აღორძინების მოსურნე რედაქტორი ჟანა დ'არკს შევადარე, ნუთუ მართლა ისეთი უმადური ან მოუაზრებელი ვგონივარ, ამ ახალგამოცემულ წიგნსაც არ ვუსახსოვრებ იმავნაირი ანდა იმაზე უფრო გულთბილი ავტოგრაფით-მეთქი?!. მით უმეტეს, ი. ქადაგიძემ თავისი დანაპირები პირნათლად შეასრულა: მამხილებელი ნოველების გარდა შეუყოყმანებლად დამიბეჭდა მწვავე კრიტიკული წერილები – **„მაკოსა და მაკინეს ანალოგია“**, **„დანესტილი ასანთის ღერები“**, **„ღია წერილი ბ-ნ თამაზ წიგნივაძეს“**, რომელსაც თავის მხრივ შესავლის სახით „ისინდის“ რედაქტორისადმი მიმართული აღსარება-ღია წერილი უძღვის.

## ლია წერილი

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს,  
გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს,  
**ბატონ თამაზ ნივნივაძეს**

ბატონო თამაზ, ახალადგენილი „ლიტერატურული საქართველოს“ პირველი ნომერი ა. წ. 31 მაისს გამოუშვით, სამი დღის შემდეგ, 3 ივნისს კი რედაქციაში ერთი ნოველისა და ორი კრიტიკული წერილის ელექტროვერსია მოვიტანე. თქვენი თანამშრომლებიც დამიდასტურებენ, ის დღე და ეს დღე – არამცთუ მანდ აღარ მოვსულვარ, არამედ ტელეფონითაც არავინ შემინუხებია, რათა ეს უკადრის სულწასულობაში არ ჩამომრთმეოდა. ამიტომ ჩემი ნაწარმოებების ბედ-იღბალი თქვენს მახსოვრობასა და გემოვნებას მივანდე.

დრომ მიჩვენა, არჩევანში არ შევმცდარვარ: 5-12 ივლისის ნომერებში გაგრძელებით ჯერ კრიტიკული წერილი „ნომენკლატურული დაბუაშვილი“ დაიბეჭდა, ხოლო ახლა, აგერ, 6 სექტემბერს ნოველაც „ფინლებში ჩავარდნილი სოფელი“ გამოქვეყნდა. მაგრამ ნეტავი არ გამოქვეყნებულიყო! პირველ წერილში თუ ერთი ასო ან მიძიმეც კი არსად იყო შეცვლილი, ნოველის ენა, სტილი, ორთოგრაფია და აზრი ბევრგან ისე მტრულად დაემახინჯებინათ, რომ უეცარი ბუნებრივი აღშფოთება ახლა სიბრალულმა შემიცვალა – ლიტერატორი ისე რამ უნდა გააბოროტოს, სხვის უდანაშაულო და უმწეო ტექსტს ასე მტარვალურად მოექცეს-მეთქი!

დედანში მენერა: „ცელგალესილი გულდაგულ რომ შეუდგებოდა თიბვას, გუმანით რამდენჯერ გადაურჩენია მოულოდნელად წამონაფრენი მწყრის ბახლებიანი ბუდე“.

რა არის აქ გაუგებარი ან გადასაკეთებელი?! მაგრამ საჩხირკედელაო მანიპულაციებში გამოცვეთილმა მავნებელმა ბოლო წინადადება ასე დამიმახინჯა.

„გუმანით რამდენჯერ გადაურბენია მოულოდნელად წამონაფრენი მწყრის ბალახებიანი ბუდე“.

ბატონო თამაზ, პატივცემულო მკითხველებო, მწერლებო, ყველა ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლებო! მოდი, ახლა დავსვავთ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი:

ძველებურ რედაქციაში დაჭმუჭნილ ფურცლებზე რალაც ისეთი ბატიფეხურად ნაჯღაბნი რომ მიმეტანა, თვით გამოცდილ მბეჭდავ-მემანქანესაც კი სწორედ ვერ ამოეკითხა, რაიმე შეშლოდა და ამ კურიოზულ შეცდომას დღის სინათლე ეხილა, ეს გასაგებია, მაგრამ დისკზე ჩანერილ და კომპიუტერის კრიალა მონიტორზე ამოსულ უნაკლო ბეჭდურ ტექსტს ვილაც შეგნებულად რატომღა ერჩის და ჯალათურად ამახინჯებს?! ჯანდაბას ავტორი – ასეთ მუშაკს ნუთუ რედაქციის ან თავისი ღირსება და ზნეობა მაინც არ ეძვირფასება?!

მეტი ჩარა არა მაქვს, როგორც დაზარალებულმა, ამ მოვლენას სავარაუდო ახსნა მაინც უნდა მოვუძებნო. ეს ან გარეშე მტრული ძალების შორს გამიზნული საბოტაჟია, რედაქციას ავტორები თანდათან რომ შემოუფრთხონ ანდა თვით რედაქციაში მოკალათებული ვილაც ხელმოცარული გაასპიტებული გრაფომანის ჩანადენი, ვისაც სხვისი გამართული მხატვრული ტექსტების იაგოსებური ბოროტმოხარულობით დასახიჩრება პათოლოგიური ჟრჟოლვის მომგვრელ დაუძლეველ სიამოვნებად ჰქცევია!...

ნოველის პერსონაჟი, მწერალი კაცი თავის ბუდემოშლილ, უცხოეთში გადაცვენულ შვილებზე დარდობს, თან თავისი წარსულიც აგონდება.

„როგორც თავის დროზე მოხუც მამას თვითონ მოექცა და ნაშავდღევარი კარ-ფუძე მიუტოვა, განგება ახლა ორმაგად უბრუნებს”.

ბოროტებასთან წილნაყარმა მავნებელმა ბოლო სიტყვის დაბოლოებას სადისტურად უჩიკინა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „განგება ახლა ორმაგად უბრუნდება”.

ნუთუ ვინმეს ენა მოუტრიალდება, ეს კომპიუტერულ კაპრიზს გადააბრალოს?!

დედანში მწერა: „სქელი თაფულები“. მავნებლის კობრასებრი კალმის ერთი ნაკარება და - „სქელი თაფურები“. რა არის თაფული?“ საზვინედ მოთიბული ბალახი. რალა არის თაფური? არაფერი! აბა, ახლა წარმოვიდგინოთ, დაინტერესებული მკითხველი ლექსიკონს რომ ააშრიალებს და იქ „თაფური“ არ დახვდება, რა შთაბეჭდილება დარჩება ავტორსა და რედაქციაზე?!

პერსონაჟი შორეულ მოგონებებსაა მიცემული.  
„როგორ უყვარდა.. ღრუბლების თვალგაყოლებით ცქერა”.  
ლიტერატურული ფილოქსერა, რაკი გრძნობს, არავინ აკონტროლებს, რა გული გაუძღვებს, ერთადერთ ასოს მაინც არ უხიდანოს!  
„როგორ უყვარდა... ღრუბლებით თვალგაყოლებით ცქერა”.  
დედანი მოკლე და გასაგებია.  
„თან მორავიაში დაიას მისჩხავის”.  
მორავიას ლიტერატურული ჯალათი პირდაპირ შეუშლია.  
„თან მირავშია დაიას მისჩხავის”.  
პერსონაჟს საქონელი მოაგონდება და მოენატრება.  
„ო, უცებ როგორ მოენყურა.. დანეხვილ ბაკში რეზინის ჩექმით ტოპვა”.  
კომპიუტერის ფოლოქსერა დაცინვაზე გადადის და ამ მწერალს უცებ ცალფეხა კაცად წარმოგვიდგენს. „...რეზინის ჩექმით ტოპვა”.  
აი, რა ეწერა დედანში.  
„მეგუთნე მამის რჩევა-დარიგების ირონიულმა უგულებელყოფამ”.  
ალვირანყვეტილი მავნებელი პერსონაჟის მამასაც ამასხარავებს.  
„მეგუთნე მამის ჩვევა-დარიგების”..  
დედანი მოგვითხრობს: „ხასიათმოუტეხელი თბილისელი პირველი მეუღლე...”  
კომპიუტერის გამოცვეთილ ფილოქსერას წინ რა დაუდგება – პირველი სიტყვისთვის აპენდიქსივით ამოუჭრია „უ” - „ხასიათმოუტეხილი თბილისელი პირველი მეუღლე...”  
აბა, სად – ხასიათმოუტეხელი, სად – ხასიათმოუტეხილი?  
დედანში სწორი ფორმით მენერა: ფალასფულასი, არაფრის მაქნისი, შესწვდება, ამვლელი, მიუნვდომელი, პირისახე...  
ტექსტის მაოხრებელი კი ყველაფერს განზრახ ამახინჯებს, რათა მკითხველები დაარწმუნოს, რომ ელემენტარული ორთოგრაფიის უცოდინარია როგორც ავტორი, ისე თვით რედაქციაც: ფალას-ფულასი, არაფრისმაქნისი, შეწვდება, ამვლელი, მიუნდომელი, პირსახე...

არა, აქ უნდა შევწყვიტო, თორემ ყველა დამახინჯებული ადგილის კომენტირებას რომ ჩავეყვე, გაზეთის სამი გვერდიც არ იკმარებს!

ბატონო თამაზ, მე ერთი რიგითი მწერალი ვარ და არა მგონია, ეს ყველაფერი ჩემ გამო იყოს ჩადენილი. ეტყობა, ამას უფრო ღრმა ფესვები აქვს. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მოახდინოთ საჭირო განკარგულება, რათა რედაქციაში შემოსული მასალების აღრიცხვა, შენახვა, მოძრაობა, მათზე ხელმისაწვდომობა, თანამშრომლებზე განაწილება და ნებისმიერ ტექსტზე მომუშავე მუშაკის ვინაობა ისეთ კონტროლს ექვემდებარებოდეს, რომ მსგავს დაუშვებელ თვითნებობას ადგილი აღარ ჰქონდეს.

კეთილი სურვილებით  
ჯემალ მეხრიშვილი  
09.09.2013წ.

**ლია წერილი**

ლიტერატურული ჟურნალის, „ისინდი“ რედაქტორს,  
**ქალბატონ იკა ქადაგიძეს**

ქალბატონო იკა, 2013 წლის 6 სექტემბერს „ლიტერატურულ-მა საქართველომ“ ერთი ნოველა დამიბეჭდა, მაგრამ ტექსტის დედანი ისე მავნებლურად იყო დამახინჯებული, ვეღარ გავრკვეულიყავ - ეს ტრადიციული რედაქტირება იყო თუ „ბოროტების ჩუმი ნავალი“ (ნიკო სამადაშვილი).

უკიდურესად აღშფოთებულმა, რედაქციაში მაშინვე წარვადგინე გაზეთის მთავარი რედაქტორისადმი მიმართული ღია წერილის ელექტროვერსია, მაგრამ მისი ბედ-იღბლის შესატყობად რომ მივედი, ლამის გამკიცხეს - რა დროს ახლა ლიტერატურული ტექსტების რედაქტირებასთან დაკავშირებული „მიტინგების“ დროაო! ხოლო გაზეთის მაშინდელმა პასუხისმგებელმა მდივანმა, ცხონებულმა დავით კახაბერმა ცალკე გამიხმო და ხმადაშვებით მირჩია - ეს ღია წერილი უკანვე წამეღო, თორემ კარგს არაფერს მომიტანდა.

მეც დავფიქრდი და დავმორჩილდი!

ასე რომ, ჩემთვის სამუდამოდ გაუგებარი დარჩა: ნოველა ასე ჯალათურად ვინა და რატომ დამიმახინჯა ან იმ ღია წერილმა მიაღწია თუ არა ადრესატამდე!..

მას აქეთ შვიდიოდე წელი ჩამოიძაფა და პირადად ჩემთვის დაუჯერებელი რამ მოხდა – ლიტერატურული ტექსტების რედაქტირებასთან დაკავშირებით 2020 წლის 7 თებერვლიდან ახლა თვით... „ლიტერატურულმა საქართველომ“ შემოგვთავაზა ანკეტა, თანაც ერთობ შეუხამებელი სათაურით – „თავსატეხი: ლიტერატურული ტექსტის რედაქტირება“.

ღმერთო, დღეს როგორღა შეიძლება ასე თვითმიზნურად გამოგონილ და ხელოვნურად გაბერილ რაღაც „თავსატეხზე“ ასეთი ზოგადი და თანაც ერთფეროვნად გაჭიანურებული ართილულუ-ჩართილულუს გაბმა, როცა ლიტერატურული ტექსტების რედაქტირების ნორმები, წესები, მეთოდები და ზნეობრივ-ეთიკური მხარეები ათადან-ბაბადან განსაზღვრულ-ჩამოყალიბებულია – საჭიროა მხოლოდ შურგაუკარებლობა, შეუვალი პრინციპულობა და მათი განუხრელი დაცვა!!! ხოლო სხვის ტექსტების რედაქტირებისთვის დაბადებული უზადო ლიტერატორისთვის ამგვარ მასალებთან შეხვედრა „თავსატეხი“ კი არა, ისეთივე აღმაფრენის მომგვრელია, როგორც, მაგალითად, პელეს, მესხის, ყიფიანისა თუ მესისთვის მწვანე მინდორზე ბურთთან შეხება! მაგრამ რაკი მაინცდამაინც „თავსატეხზე“ მიჰყუდეს ჯოხი, მაშინ პირუთვნელად უნდა ითქვას: ეს „თავსატეხი“ თავისთავად ლიტერატურული ტექსტების რედაქტირებაში კი არ იმალება, არამედ სულ სხვაგან – რედაქცია-გამომცემლობები მუდამ სავსე რომ იყო და არის ათასგვარი აღმაშფოთბელი, უკადრისი თუ სამარცხვინო პროტექციით მიყვანილი უვიც-უღირსი „ლიტერატურის“ შეუმცდარი რჯულმდებლებით!!!

მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი შემომეკითხება: ამ ანკეტით გულმოცემულმა ეს ღია წერილი რატომ ხელახლა არ მიიტანე „ლიტსაქართველოს“ რედაქციაში? კი მაგრამ, რის იმედით?! ანკეტის ათ(!) კითხვას თექვსმეტივე (!) მონაწილე ისე პასუხობდა, თითქოს აკრძალული ჰქონდათ ბოლო წლების „ლიტერატურული

საქართველოს" ფურცლებიდან ცოცხალი მაგალითების მოყვანა და მხოლოდ ზოგადი მსჯელობით უნდა შემოფარგლულიყვნენ!

სწორედ ამიტომაც იყო, ყოველი ამ ანკეტის კითხვისას სევდიანად მახსენდებოდა ქართული ანდაზა: დათვს ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო!..

ქალბატონო იკა, გთხოვთ, დამიბეჭდოთ „ლიტერატურული საქართველოს" მაშინდელი მთავარი რედაქტორისადმი შვიდი წლის წინათ დაწერილი და უკან დაბრუნებული ღია წერილი, რათა მომავალში მცირეოდენი ყურადღება ამ კუთხითაც გამახვილდეს: ასე შეგნებულად ვისგან და რა მიზნით ხდება ხოლმე ლიტერატურული ტექსტის გაუბედურება და მორალურად განადგურებულ ავტორს მერე გზას რატომ უღობავენ სიმართლის შესატყობად!

აი, ჩემი აზრით, რა არის საკითხავი და... „თავსატყვი!"

პატივისცემით,  
ჯემალ მეხრიშვილი  
20. 07. 20

ჩემი მხრიდან აქ რაიმე კომენტარის გაკეთებდა მკითხველების შეურაცხყოფად მიმაჩნია. ამიტომ უცვლელად და უკომენტაროდ ვბეჭდავ მწერლის მიერ შემოთავაზებულ მასალას.

„ისინდის" რედაქტორი:

ეს ორივე „ღია წერილი“ წიგნში ზედმობმითვე შემაქვს, რის მიზეზსაც მკითხველი თავის დროზე თვითონ მიხვდება!

„ისინდის“ რედაქტორმა, 2020 წლის მიწურულს, ჟურნალის მე-9 ნომრიდან სარედაქციო კოლეგიაში შემოვიყვანა. იქიდან მოკიდებული, ცდას არ ვაკლებდი, რედაქტორისთვის ღირსეულად ამება მხარი. ამის მკაფიო დასტურად, ალბათ, ეს პატარა გამოხმაურებაც იკმარებს („ისინდი“, 2021, 13).

ჯემალ მეხრიშვილი

### ასწურცელა ოთხი წლისაა!

„ისინდი“ უკვე ოთხი წლის გახდა! თუმცა ლიტერატურული ცხოვრებისთვის ეს მხოლოდ წამიერი გაელვებაა, მაგრამ ჟურნალმა ამ მცირე დროშიც შეძლო სახელის განთქმა! ეს კი მისი დამაარსებლისა და რედაქტორის, ქ-ნ იკა ქადაგიძის დამსახურებაა, ვინაიდან თვალსა და ხელს შუა ააღორძინა მავანთაგან სხვადასხვა მიზნითა და მიზეზით წლების მანძილზე გზაგადაღობილი ლიტერატურული კრიტიკა!!!

გასაოცარია, კრიტიკული მასალა როგორი მწვავეც უნდა იყოს, თუკი ის სამართლიანია, რედაქტორი შეუკრთომლად ბეჭდავს, სტატიის ავტორი თუგინდ თავისი მოსისხლე მტერიც იყოს და ეს კრიტიკა ვისაც არ უნდა ეხებოდეს!

ამით პრინციპული რედაქტორი მწერლობასა და მკითხველ საზოგადოებას თითქოს ამშვიდებს – კრიტიკული სტატიების გამოქვეყნებით ქვეყანა არ იქცევა!

პირიქით, მხატვრული ლიტერატურის განვითარებისთვის კრიტიკის ჟანრიც ისეთივე აუცილებელია, როგორც მოსახლეობისთვის, მაგალითად, საყოველთაო საექიმო შემომნება ანდა კომუნალური ჰიგიენა.

რაც მართალია, თან მიჭირდა სინამდვილის დაჯერება – ნუ-თუ ბოლოს და ბოლოს, ამ გზაგადაღობილ ჟანრსაც ეშველა და ღმერთმა მხსნელი მოუვლინა-მეთქი! ასე იმიტომ ვფიქრობდი,

რომ ამა თუ იმ რედაქციაში მიტანილი ჩემი კრიტიკული წერილები მავანთა წყალობით რესტორნის მენიუს ემსგავსებოდა!

ეს საყოველთაოდ ცნობილია: მთელი მსოფლიოს რესტორნებს ორნაირი კატეგორიის კლიენტები ჰყავს! მდიდრები მენიუს კითხულობენ მარცხნიდან მარჯვნივ, რათა თავიანთთვის სასურველი კერძები მოძებნონ და შეუკვეთონ! ხელმოკლეები კი პირიქით – მენიუს კითხულობენ მარჯვნიდან მარცხნივ – ყველაზე იაფფასიანი კერძებითაც რომ დაკმაყოფილდნენ!

ქართველ რედაქტორთა უმრავლესობა კი მენიუ – კრიტიკულ წერილს კითხულობს მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც: ვინ არის ავტორი და ეს კრიტიკა ვის ეხება!!! ხოლო თვით სტატია-კერძით არც ინტერესდება – იქნებ ერთი ეპოქალური შედეგრიგაო და მაშინვე უკან გიბრუნებენ თითლიბაზური ღმეჭა-მუდართ: გაკრიტიკებული ავტორი ჩემი თანაკურსელია (ტრუსიკის მეგობარია... – კარის მეზობელია... ქორწილის ნათლიაა... ჩემი მეუღლის დაქალის ქმარია...) და თუ ძმა ხარ, ქვეყანას ნუ გადამკიდებო.

„ისინდის“ რედაქტორი, იკა ქადაგიძე კი გაბედულად მიბეჭდავდა კრიტიკულ წერილებს! ჰოდა, როგორ იქნებოდა, ასეთი რედაქტორის დროშის ქვეშ ლიტერატურის ერთგული მამელუკივით არ დავმდგარიყავი! მაგრამ...

## 22

**ასე და ამრიგად**, გამომცემლობასთან „მერიდიანი“ (დირექტორი **კახა რუსიძე**) არსებულმა მეორე გამომცემლობამ **„Carpe diem“** (დირექტორი **ალექსანდრე ალადაშვილი**) 2021 წლის ივნისის დასაწყისში გამოსცა ჩემი ნოველების 496-გვერდიანი წიგნი „საიტის ტურები“. რაკი ვიცოდი, „ისინდის“ მორიგი, მე-13 ნომერიც მალე გამოვიდოდა და მის მიმოსახილველად ჩვეულებისამებრ შევიკრიბებოდით, გადავწყვიტე, იკა ქადაგიძისადმი მისაძღვნელი ავტოგრაფიანი ჩემი წიგნიც მზად მქონოდა, მერე რომ აღარ მეფაცვიფუცა.

ახალბედა მანდილოსან-რედაქტორს ლიტერატურული კრიტიკის მფარველის ავსავალი გზიდან რომ აღარ გადაეხვია, თან

ჩემი მხრიდანაც თანადგომა ეგრძნო, ყველაფრის მიუხედავად მას „შესანიშნავი შემოქმედი“ ვუნოდე და ჟანა დ<sup>1</sup> არკს ახლებურად შევადარე.

აი, ფრანგული იისფერი მელნით „waterman“-ი ალალგულად შესრულებული იმ ავტოგრაფის ზუსტი ასლი.

### იკა ქაღაბიქს!

შესანიშნავ შემოქმედსა და თავგადადებულ რედაქტორს, ვინც ქართულ მწერლობას თვით განგებამ მოუვლინა ჟანად<sup>1</sup> არკისებურად, რათა მავანთაგან ლაჩრულ-ჯალათურად, გზაგადახერგილი ლიტერატურული კრიტიკა თვალსა და ხელს შუა აელორძინებინა!...

ყოველივე ამას ქართული ლიტერატურის მათიანე მომავალში ისეთ შეფასებას მისცემს, ჩვენ ამჟამად აზრდაც რომ არ მოგვივა!...

ჯემალ მეხრიშვილი  
თბილისი  
06.06.21

აბა, ამგვარი ავტოგრაფის მერე მკითხველები როგორღა დავარწმუნო შემდეგი მოვლენების განვითარებაში, როცა ჩემთვისაც კი გაუგონარი მზაკვრულობით გათამაშდა!

ოთხიოდე დღის შემდეგ იკა ქადაგიძემ საჭირო ავტორები საგანგებოდ დაგვაკვალინა: ოთხი წლის „ისინდის“ საიუბილეო, მე-13 ნომერი უკვე დასტამბულიყო და მეორე დღისთვის, სამ საათზე ყველა ჩვენთაგანისთვის კარგად ნაცნობ თავშესაკრებ ადგილას – თსუ მე-8 კორპუსის პირველი სართულის ერთ-ერთ აუდიტორიასთან ჩვეულებისამებრ დავლოდებოდით!

რაკი მეორე დღეს, დილიდანვე სხვადასხვა საქმეზე ბევრი სასიარულო მელოდა, ის ჩემი ავტოგრაფიანი წიგნი თან აღარ გამიყოლებია, სალთად რომ მევლო. დათქმულ სალოდინოსთან კი ცოტა ადრეც მივედი, მსუბუქი ავტომობილიდან ჟურნალის შეკვრების გადმოლაგებასა და შიგნით შეტანაში თანამოკალმეების მხარდამხარ მეც რომ მიმელო მონანილეობა.

მალე რედაქტორიც მოვიდა ტაქსით. დამხვედურები ავტომობილს ერთსულოვნად მივებვიენით, სტამბისსუნიაანი, რაკრაკა თეთრ ქალაქში შეფუთული ჟურნალის მჭიდრო შეკვრები დავითითოეთ, აუდიტორიაში შევიტანეთ და გრძელ მაგიდაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ დავალაგეთ.

ღელვიანი მოლოდინის დაფარვას არავინ ცდილობდა – ყველას სურდა, მალე შეეცყო, ერთი როგორი იქნებოდა რედაქტორის მიერ საიუბილეო ნომრად მონათლული ოთხი (!) წლის „ისინდი!..“ ამიტომ ხმაურითა და ერთმანეთის დასწრებით იწყეს თითოეული შეკვრის გახსნა-გაგლეჯა.

იკა ქადაგიძემ თითქოს მოსახდენი წამი მიპოვა – რაღაც ნახევარხმად ჩამეკითხა.

– ნოველების ის წიგნი მომიტანეთ?

– ამხელად არ მომიხერხდა... ჟურნალის მიმოხილვისას უეჭველად მოვიტან!

ამასობაში ყველა შეკვრა გაიხსნა. პირად საქმეებთან დაკავშირებით რაკი სამ საათამდე ყველგან მისვლა ვერ მოვასწარი, კიდევ რამდენგანმე უსიკვდილოდ ვიყავი მისასვლელი. ამიტომ პირველმა ავიღე ჟურნალები, გადავიხადე მათი დაწესებული ღირებულება – 25 ლარი და თანნაქონი ცელოფნის პარკში ჩავინყვე. მერე ყველას ბოდიშის მოხდით გამოვეთხოვე, რადგან ვერ მოვუცდიდი იმ პატარა სუფრას, რომელიც ჟურნალების განაწილების შემდეგ მავანთაგან შინიდან წამოღებული სასმელ-საჭმელებით აქვე თათარიახნად გაიშლებოდა!...

## 23

**დასალამოებული** იყო, შინ რომ მივედი. ახალთახალ ე.წ. საიუბილეო ჟურნალი გადავფურცლ-გადმოვფურცლე და ჩემი ნოველა სათაურითა და საკუთარი ფოტოსურათითლა ვიცანი!

გამომცემლობაში მაშინ ჩემ მიერ გულდასმით წაკითხული, საჟურნალო ანაბეჭდების სამგვერდნახევარზე მოთავსებული ერთი მთლიანი, მჭიდროდ შეკრული ტექსტი ახლა ციფრე-

ბით დაშორიშორებულ ხუთ ქვეთავად იყო დაჩეხილი! თანაც ისე, რომ ერთი ქვეთავი მომდევნო ქვეთავს აზრობრივად აღარ ებმებოდა! ანდა, როგორღა უნდა გადაბმოდა, როცა არამცთუ მთლიანი ტექსტი, არამედ ქვეთავების თვით ბოლო წინადადებებიც შუა-შუა ისე იყო დანყვეტილი და გადატან-გადმოტანილი, მკითხველს თავგზა აბნეოდა და ავტორზე (ნუთუ რედაქციის მუშაკთა ღირსება მაინც არ ანალვლებდათ?! ღმერთო!) სულ ნახდენოდა შთაბეჭდილება!

მაშ, ნუთუ ეს გასაჩხრეკი არ არის: „მერიდიანში“ ჩვენი შემთხვევითი შეჩეხებისას ტექსტი რომ წამაკითხეს, ნოველა მთლიანი იყო! იქიდან ჩემი წამოსვლისთანავე რედაქტორსა და კამპანიას იმისთანა რა ზეციური ხმა ჩამოესმათ, რომ წაწარმოები სულ ქულამა-ქულამა ამიკუნეს?! ასე იყო საჭირო?! კეთილი, რაკი მე მობილურ ტელეფონს არ ვსაჭიროებ და რედაქტორი გზიდანვე უკან ვერ მიმაბრუნებდა ანდა გზაშივე ვერ ამიხსნიდა, მაშინ ჩემი, როგორც ავტორის აზრიც რომ გაეგო, მოგვიანებით, როგორც სხვა დროს, ბინის ტელეფონით მაინც აეხსნა ნოველის გარეგნული ფორმის ასეთი თავდაყირა გადატრიალების აუცილებლობა ან უპირატესობა?! მე შენ გეტყვი, ველარაფერი მოესწრებოდა თუ რა – „ისინდი“ ხომ სამ-ოთხ თვეში ერთხელ გამოდის! მაგრამ...

კაცს გაახვევებდა საძრახისი მაგალითის გამეორება და მისი მტარვალური გადამღერება: ახალადგენილმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 2013 წლის 6 სექტემბერს დამიბეჭდა ნოველა „ფინლებში ჩავარდნილი სოფელი“. მაგრამ ვაი ამნაირ დაბეჭდვას – რედაქციის რომელიღაც მუშაკის მიერ მთლიან ტექსტში ბევრი რამ ისე სადისტურ-ჯალათურად იყო გადაკეთებულ-გადმოკეთებული, რომ უკიდურესად აღშფოთებულმა, 9 სექტემბერს მთავარი რედაქტორის, **თამაზ წივნივაძისადმი** მიმართული „ღია წერილის“ ელექტროვერსია მივიტანე რედაქციაში, რათა მკითხველისთვის ამეხსნა, ნოველაში განზრახ გაბნეული ამდენი სისულეები მე არ მეკუთვნოდა! თან რედაქციაც გამეფრთხილებინა – ავტორისეულ ტექსტებს სათანადო ყურადღებით მოპყრობოდნენ!

სამწუხაროდ, „ლიტერატურულმა საქართველომ“ ის „ღია წერილი“ არამცთუ არ გამომიქვეყნა, რედაქციის ზოგიერთმა მუშაკმა სხვანაირი თვალით დამიწყო ყურება!...

და აი, ეს „ღია წერილი“ შვიდი წლის შემდეგ „ისინდის“ მე-12 ნომერში გამოვაქვეყნე მხოლოდ ერთადერთი მიზნით: ნებისმიერი ლიტერატურული რედაქცია უფრო მეტი გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდა გარეშე ავტორების ტექსტებს, ხოლო თუ საჭირო შეიქმნებოდა, შეუძლებელი არ გამხდარიყო ამა თუ იმ ნაწარმოების „გამსწორების“ ვინაობის დადგენა!

არ გაინტერესებთ „ისინდში“ იმ ღია წერილის გამოქვეყნებამ რა მომიტანა? რაზეც მე „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს გულმოკლული შეეჩიოდი და მაგალითებიც მომყავდა, თითქოს დიდი ხნის ნანატრი საჯალათო ინსტრუქციისთვის მიუგნიათო, ზუსტად იგივე ხერხითა და მეთოდით იყო ნაჯიჯგნი „ისინდის“ შემდეგ, მე-13 ნომერში გამოქვეყნებული ჩემი ნოველა **„დროის პერიოდები!“**

თან რა უფრო იწვევდა გაკვირვებას: ნოველის ნახდენის სახეს ვალმოსახდელი სიფრთხილის კვალიც კი არაფერზე ეტყობოდა – აღშფოთებული ავტორის პროტესტის შემთხვევაში ეს ყველაფერი ვითომ კომპიუტერულ კაპრიზებს მაინც რომ გადაჰპრალებოდა, თვითონ კი მშრალზე დარჩენილიყვნენ! არა, რას ლაპარაკობთ, საამისო რა სჭირდათ?! პირიქით – თავიანთი ჩანადენით ისინი, ალბათ, თავსაც კი იწონებდნენ!...

ნოველის დამახინჯების ფორმას აშკარად ეტყობოდა შეხმატკბილებული კამპანიის უკვე ჩვევად ქცეული შურმაძიებლობის ქავილი. ახალშექმნილი ჟურნალ-ბაქტერიოლოგიური ქვემეხი მხოლოდ ჩვენს ხელშია – ვინც მოგვეპრიანება და როგორც მოგვეპრიანება, იმას ისე გავამწარებთო!

ნალალატევი მდუმარედ ჩავიყურებდი ჟურნალში და მეჩვენებოდა, სტრიქონებშია ფარვანასავით როგორ დათრთოდა ნიკო სამადაშვილისეული აფორიაქებული ფრაზა „...და ბოროტების ჩუმი ნავალი“... ჩემს წარმომსახველობაში მოულოდნელად რაღაც მოხდა: ამგვარი დაუმსახურებელი უკეთურობის საპასუხოდ უეცრად ახალი ნოველა ჩამეგონა! სათაური... დედაიდეა...

პერსონაჟები... მოქმედების დრო და ადგილი... დიალოგების კილო, რიტმი და ლექსიკა... სიუჟეტის მკაცრი საზღვრები ისეთი სიცხადით ამელანდა, თითქოს ამ ნოველის ირგვლივ მთელი კვირა მეფიქროს!

მკითხველს რომ არ ეგონოს, რამეს ვიგონებდე, ამას ერთი მსგავსი მაგალითით დავადასტურებ.

\* \* \*

**2018 წლის** მინურულს „**ლიტერატურულმა საქართველომ**“ მთელ საქართველოს თითქმის გოდებით აუწყა: **2019 წლისთვის** ჩვენი გაზეთი სულ მცირე, სამასმა მკითხველმა მაინც თუ არ გამოიწერა, დავიღუპებითო! ამის საპასუხოდ „ლიტერატურული საქართველო“ პირველმა გამოვიწერე და გამოწერის ქვითრები რედაქციაში თუ რატომ წარვადგინე, ეს მალე გაცხადდება! მაგრამ ჩემი ხანდაუზმელი პირველობა და რედაქციისადმი ჯარისკაცური ერთგულება ორმა ხელმძღვანელმა მანდილოსანმა რატომღაც არ იპიტნავა: არამცთუ პირველ ხელმომწერთა სიის თავში, არამედ გაზეთის მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებულ ხელმომწერთა სიაშიც კი არ გამაჭაჭანეს!

ასეთმა უადამიანო მოპყრობამ ისე აღმიგზნო შთაგონება, როგორც ახლა, „ისინდის“ შემთხვევაში, ისე მაშინაც, ზუსტად ასე უცბად დამებადა ნოველა „**კონტაქტური ზოოპარკი**“, რომელმაც ერთი ამოსუნთქვით დამანერინა „**ღია წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს**“. მისი ელექტროვერსია რედაქციაში **2019 წლის 11 იანვარს** წარვადგინე. „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელმა ხელმძღვანელმა მანდილოსანმა „ღია წერილი“ ცივად დამიბრუნა, მასში ნახსენები ნოველა „**კონტაქტური ზოოპარკი**“ კი გამოაქვეყნა (10 მაისი, 2019).

ის „**ღია წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებისადმი**“ ახლა თუ ამ ნიგნშიც შემაქვს, მხოლოდ სამი მიზეზის გამო. მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მკითხველებსა და თანამოკალმეებს მინდა, ახლა მაინც ვაცოდინო – „ლიტერატურული საქართველოს“ იმ მოწოდებას დასაგმობი გულგრილობით არ მოვკიდებივარ და გაზეთი მთელი წლით (თავი დავანებოთ პირველობას!) მეც გამოვიწერე!

## ღია წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს!

შენის ყოლით და არყოლით  
არ გვიბედენებს ძალაო.

**ვაჟა-ფშაველა**, „ბახტრიონი“  
გაზეთში გამომიშვეს – მახსარად ამიგდეს.

**ნიკო ფიროსმანაშვილი**, 1916 წელი  
გაზეთში მე არ გამომაცხადეს – არაფრად ჩამაგდეს. რატომ?!  
**ჯემალ მეხრიშვილი**, 2019 წელი

როგორც თქვენთვის ცნობილია, „ლიტერატურულმა საქართველომ“ 2018 წლის 16 ნოემბერს მთელ ქვეყანას ჯერ სამგლოვიარო კილოთი აუწყა – 300 ხელმომწერი მაინც თუ არ მოგვეძებნა, გაზეთი არსებობას შეწყვეტსო, ხოლო იმავე წლის 7 დეკემბრიდან კი აგერ, ყოველ ნომერში ხაზგასმით აცხადებს მათ ვინაობას, ვისაც „ლს“ უკვე გამოუწერია!

რაკი ამ სიებში ჩემი გვარ-სახელი არა და არ ჭაჭანებს, ზოგიერთებს მაინც ბუნებრივად გაგიჩნდებოდათ ეჭვი ან სიბრალული: ნუთუ მართლა ასეთი ლატაკი ვარ ანდა ჩალადაც არ მიღირს „ლს?“ მით უმეტეს, როცა ამ გაზეთის აღდგენისა და მისდამი თაყვანისცემის ნიშნად ორი ნოველა - „ევაკუაცია“ (26.06.14) და „ინტონაცია“ (03.10.14) „ლიტერატურული საქართველოს“ კითხვის მომენტში გადაღებული სხვადასხვანაირი ფოტოსურათით გამოვაქვეყნე! მაშ, ნუთუ ის თვალთმაქცობა იყო და სხვა არაფერი?!

ერთმა უცნობმა ქალბატონმა კი ბინის ტელეფონით მანუგეშა: დღეს ბევრს უჭირს... ამაში არაფერია სათაკილო... ამა და ამ სააგენტოში პირადობის მონმობით მობრძანდით და გაზეთს მე გამოგინერო! აი, სადამდე მივიდა საქმე!

ამასთან დაკავშირებით იძულებული ვარ, განვაცახდო შემდეგი: „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველ ნომერს უსიკვდილოდ ვყიდულობდი, ხოლო თუ იქ ჩემი ნაწარმოებიც იქნებოდა, მაშინ სამ-ოთხ ეგზემპლარს დაინტერესებული ნაცნობ-ნათე-

სავეებისთვისაც ვიძენდი ხოლმე!.. 16 ნოემბრის დილას რედაქციის გოდება-მონოდება რომ წავიკითხე, საუზმისთვისაც აღარ მომიცდია: ყველაზე ახლოს მდებარე, გაზეთში მითითებულ წერეთლის 142-ს მივაშურე, რათა პრესის გავრცელების სააგენტოს მუშაკებს დაკეტილი კაბინეტის კართან ჯარისკაცისგან დავეხვედროდი და საკითხი „ბლიცკრიგურად“ გადამეჭრა! ჩემი წამებაც სწორედ აქედან დაიწყო: ფანატიკური სიკერპით ვუვლიდი და ვუვლიდი სართულებსა და კაბინეტებს, მაგრამ ყველა გაოგნებით მაშტერდებოდა – მსგავსი სააგენტო აქ არავის გაეგონა! უშედეგო ძებნით ილაჯი რომ გავიწყვიტე, ახლა მეორე მისამართს, წერეთლის 113-ს მივადექი. იქ უფრო უარესი გადამხდა! თან გვიანი შემოდგომის მოკლე დღეც თვალსა და ხელს შუა მეპარებოდა! მივხვდი, არაგონივრულად ვიქცეოდი! ამიტომ ისევ შინ დავბრუნდი, მოვიმარჯვე „ლიტერატურული საქართველო“ და მასში მითითებულ პრესის გავრცელების სააგენტოებში რიგრიგობით დავიწყე რეკვა, მაგრამ მხოლოდ სასონარკვეთილების შემომყრელი პასუხები ისმოდა - „თქვენ აკრიფეთ არარსებული ნომერი – გთხოვთ, შეამოწმოთ!.. თქვენ აკრიფეთ არარსებული ნომერი – გთხოვთ...“

ბოლოს მაინც გამიღიმა ბედმა – საირმის ქუჩაზე მდებარე „მაცნედან“ მიპასუხეს, ოღონდ დაცდა იყო საჭირო: იქ გაზეთის გამონერას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ მათი სავაჭრო ჯიხური ჩვენს რაიონშიც აღმოჩნდებოდა!.. აქ კი ზღაპრის ობოლივით გამიჭრა იღბალმა: მათი ერთ-ერთი, 159 ჯიხური თურმე ჩვენს კვარტალში ყოფილიყო!!! ოღონდ დღეს ვეღარ მოასწრებთ – ორშაბათს მოზრძანდით!

ის შაბათ-კვირა ეკლებზე ვიჯექი და ვინექი!

ორშაბათს, 19 ნოემბრის დილას კითხვა-კითხვით ჩემს სიცოცხლეში პირველად ავედი საირმის ქუჩაზე. თავიანთი წესისამებრ გაზეთი ჯერ მხოლოდ მომდევნო წლის ექვსი თვით გამომინერეს. მათდა გასაკვირად, მე კიდევ მიწურული წლის დეკემბერიც მივაყოლებინე... დატარების ბარათებზე წამინერეს საკონტაქტო ტელეფონი 214-34-22 და გამომისტუმრეს.

სამშაბათს, 20 ნოემბერს, თანამშრომლების თავმოყრის დღეს, დაუყოვნებლივ მივედი „ლიტერატურული საქართველო“

ლოს" რედაქციაში ხელმძღვანელების გასაფრთხილებლად: მერყევი მკითხველების უაზრო ნონიალ-გალიზიანების მიზეზით ხელმომწერები რომ არ შემოგვფანტოდა, საჭირო იყო პრესის გავრცელების მოქმედ სააგენტოთა სასწრაფო დაზუსტება-მითითება... ყველანი სახტად დარჩნენ – ასე ოპერატიულად როგორ გამოინერეო!.. მერე დატარების ბარათების ქსეროასლები გადაიღეს და კომპიუტერშიც შეიტანეს, მაგრამ...

ერთი სიტყვით, „ლიტერატურული საქართველოს“ მონოდების-თანავე მე ჩემი მწერლური მოვალეობა ჯერისამებრ მოვიხადე.

ძვირფასო თანამოძმენო, ამქვეყნად თქვენზე საიმედო მსაჯული სხვა ვილა დამრჩენია?! ამიტომ პატიებას გთხოვთ, მწერლური ღირსების დასაცავად ამ ისედაც სასტიკ დროში თქვენი ყურადღების გაფანტვა რომ მიხდება!..

გულწრფელ მადლობას ვუხდი რედაქციას, პირზე კლიტე რომ არ დამადეს და გულისტკივილი ადამიანურად გამომამხეურებინეს!

პატივისცემით და მავანთაგან სათვალავში  
ჩაუგდებელი კაცის უხინჯო მადლიერებით.  
ჯემალ მეხრიშვილი  
22.12.18

**P.S.** მართალია, „ლიტერატურული საქართველოს“ ხელმძღვანელობამ ეს უმნიშვნელო პირველობა არამცთუ მიმიჩქმალა, არამედ გაზეთის ხელმომწერთა შორის ხსენების ღირსადაც არ ჩამაგდეს. მაგრამ ღმერთი მაღლიდან იყურება და ამიტომ „დამსახურებას“ ვერ დავუკარგავ! 7 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ პირველ ხელმომწერთა შორის საკუთარი გვარ-სახელი რომ ვერ ვიპოვე, დაუმსახურებლად შეურაცხყოფილმა მწერლურმა წარმომსახველობამ და **ნაიძულევმა შთაგონებამ** უცებ ერთი გადმოუცემლად შეიკამკამა და ცამონმენდილზე ნოველა „კონტაქტური ზოოპარკი“ შთამაგონა, რომლის მაშინვე შავად დაწერასაც 67 წუთი მოვანდომე...

ჯ. მ.

თანამედროვე ქართული მწერლობის მომავალმა მკვლევარებმა დაე, იცოდნენ, ლიტერატურული შემოქმედებისა და პროცესებისაგან სრულიად შორს მდგომი, მწერლობის განმსჯელის სჯულმდებლის ტახტზე დასაძრახი პროტექციით აღზევებული ზოგიერთი ორგუნება ქალი როგორ უდიერად ეპყრობოდა ნებისმიერ უდანაშაულო მწერალს, რაღაც უსაფუძვლო მიზეზით თუკი თვალში არ მოსდიოდა!

მესამე მიზეზს აღრ გავიმეორებ, რადგან წელან უკვე შევეხე.

ერთი სიტყვით, იკა ქადაგიძის წყალობით მოულოდნელად შთაგონებულმა ახალი ნოველის ქარგამ ისეთი შემოქმედებით აღმაფრენა მომგვარა, არამარტო გამიქარწყლა წელან წამიერად მოგვრილი გულისტკენა, არამედ მშვიდი მოთმინებითაც კი აღმჭურვა „ისინდის“ ახალი ნომრისადმი! მართლაც, ის სად გამექცეოდა – ჯერ „ნაჩუქარი“ ნოველა უნდა დამეგვირგვინებინა! ამიტომ ეხლაც ვერ ვხვდები – „ისინდის“ ახალი ნომერი გვერდზე მე თვითონ გადავდე თუ ბედისწერამ გადამადებინა, რადგან ასე იყო საჭირო!

ნოველის წერით თავდავინწყებულს, არ მეგონა, ჟურნალის განაწილებიდან ასე მალევე მისი მიმოხილვაც თუ გაიმართებოდა! არადა, მიმოხილვას რა პირით უნდა დავსწრებოდი ან იქ რა უნდა მეთქვა, როცა ჟურნალი ხეირიანად გადათვალეირებულიც კი არ მქონდა! დარჩენილ დროში ვალმოსახდელად გადამეკრა თვალი? ავტორებს ასეთ ზერელობას ვერ ვაკადრებდი, თან ვერც შევძლებდი, რადგან მწერლისთვის ყველაზე ტანჯვიან განსაცდელს – ნაწარმოების დამაგვირგვინებელ თავსატეხს ვყავდი შეჯაჭვული!

რისამე მოსაბაბებით მიმოხილვაზე არ წავსულიყავი? ვერც ამას ვიზამდი, ვინაიდან ჟურნალების განაწილება-შესყიდვისას რედაქტორისათვის სიტყვა მქონდა მიცემული – ჩემს ახალგა-მოსულ წიგნს ჟურნალის მიმოხილვაზე უეჭველად მოგიტან-მეთქი!.. თან ვერ გადამენწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი: მის-ვლისთანავე რედაქტორისა და კამპანიისთვის ჯიქურ მეკითხა – ნოველა ასე რატომ დამიჩეხეთ-მეთქი?!... მაგრამ ეს შეუფერებლად მივიჩნიე და ისევ ჩვეული მოთმინება ვამჯობინე – მინდოდა მშვიდ ვითარებაში შემეტყო, ამას თვითონ ისინი როგორ

ამიხსნიდნენ!... ბოლოს მტკიცედ ჩავიჭდიე გულში – მოვლენების შემდგომ განვითარებას პატარა კაცის ნაცადი მოთმინებით დავლოდებოდი!

მეორე დღეს, თხუთმეტ საათამდე ორ ცეცხლშუა მოტანებულს ვგავდი: ველარც მიწურვაზე მიყვანილ ნოველას ვაგვირგვინებდი, მაგრამ არც „ისინდის“ ახალი ნომრისკენ მეზიდებოდა ეს გლახგული!

სალამოს თექვსმეტი საათი სრულდებოდა, განგებამ, ბედისწერამ თუ უფრო შემთხვევამ რომ მიხსნა! ნაპოლეონს ტყუილად კი არ უთქვამს – სამყაროს შემთხვევა მართავსო!

სწორედ ამ დროს თიანეთის რაიონის სოფელ საკრეჭიოდან ცოლისდამ დამირეკა – ამა და ამ ნომრის სამარშრუტო ტაქსის მძღოლს რძის პროდუქტებს, ხილ-ბოსტნეულსა და „რაღაც-რაღაცეებს“ ვატან და შვიდის ნახევარზე უეჭველად დაუხვდით!

შვებამოგვრილმა ავიღე ავტოგრაფიანი წიგნი და მეტროთი გავემგზავრე. „კავკასიური სახლის“ მეორე სართულის აივანზე თავი მოეყარა ავტორების უმრავლესობას. უკვე აქ იყვნენ სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრები: მარსიანი და თემურ ნადარეიშვილი; სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრები: ნომადი ბართაია და ერეკლე საღლიანი (ყველა გვარს ანბანის მიხედვით ვასახელებ).

ერეკლემ მაშინვე შენიშნა მომქრქალო ცელოფნის პარკში გადახვეული წიგნი და მისი ასავალ-დასავალი მკითხა. ნაირ-ნაირი ტურების სურათებით მოჩითულმა, მკვრივყდიანმა წიგნმა „საიტის ტურები“ ასე დაიწყო დამხვდურთა ხელიდან ხელში გადასვლა.

ავტოგრაფის წაკითხვისას არავინ არაფერს ამბობდა, ერთმანეთს მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გადახედ-გადმოხედავდნენ ხოლმე... წიგნის გასინჯვის შემდეგ კვლავ გაგრძელდა მაგიდას შემომსხდართა ხალვათი მასლაათი. ჩემს საფიქრალში გადაკარგული, მე ცოტა გამოცალკევებით ვიდექი და აივნის სვეტს ატმასნილი, თალარს ფიქრგაყოლილი გადავყურებდი – ნოველის იმგვარ დამახინჯებას ერთი როგორ ამიხსნიდნენ?!

ამ დროს გამოჩენილი იკა ქადაგიძე უმაღ ჩემთან გაჩნდა და ხმადაშვებით მკითხა.

– ნიგნი მომიტანეთ?

– კი.

– აბა, სად არის?

– აგერ, მაგიდაზე უდევს.

რედაქტორი მაგიდასთან მივიდა და ნიგნი შესამჩნევი ამრე-  
ზილობით აიღო, როგორც უკვე სხვების ხელშენავლები! მაშინვე  
გვერდზე მიდგა და ავტოგრაფს დაძაბულად დაუნყო კითხვა. რო-  
გორც კი ჩაათავა, ნიგნი ხელჩანთაში უცნაური ტურჩაკვრით ჩაიღო!

არ დავმალავ, საშინელი სინდისის ქენჯნა დამეუფლა – იმ პირ-  
ველი ნიგნის, „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“ ავტოგრაფის გა-  
მეორება ამხელად უფრო მაღალფარდოვანი გამომივიდა და ამით  
რედაქტორს, ალბათ, თავმოყვარეობა შევუღალახე-მეთქი.

წინასწარ შეპირებული, უეჭველად მოსასვლელი ზოგიერთის  
მიზეზით რაკი ჟურნალის მიმოხილვის დაწყება ფერხდებოდა, და-  
წარჩენები ერთმანეთს ლაღად უამბობდნენ მთისას, ბარისას!...

იკა ქადაგიძემ მოსახდენი წუთები მიპოვა და აივნის ბოლოს-  
კენ გამინაპირა. გული ამოუხსნელი მოლოდინით შემეკუმშა  
– ერთი რას მეტყვის-მეთქი ისე ჯალათურად აჩეხილ ჩემს ნო-  
ველაზე! თუმცა გუნებაში ელვისებური გადანყვეტილება მივიღე  
– ეს ყველაფერი რანაირადაც უნდა აეხსნა და რისთვისაც უნდა  
გადაებრალებინა, როგორც მანდილოსან რედაქტორს, არამც და  
არამც არ შევკამათებოდი – მხოლოდ მისი ახსნა-განმარტების  
მოსმენით დაკმაყოფილებულიყავ!

რედაქტორმა ისეთი თვალჩაყვებით დამიწყო ცქერა, იმ ნა-  
მებში, ალბათ, რენტგენზე გასაშუქებელს ვგავდი.

– მომავალი ნომრისთვის რას მომანვლით?

– ამჯერად არაფერი მაქვს.

– მაგას ვერ დავიჯერე!

– მართლა არაფერი მაქვს.

– ერთხელ ოვიდიუსი რომ ახსენეთ, ის სტატია?

– ის „ლიტერატურულმა მესხეთმა“ შარშან, ივნისში დაბეჭდა.

– მერე რა!... ოვიდიუსის თემა ჩვენს მკითხველებსაც დააინ-  
ტერესებს!... ამ დღეებში უეჭველად გადმომიგზავნეთ!

– კეთილი.

რედაქტორს ავუხსენი, დიდუბის ავტოსადგურში სასწრაფოდ რომ ვიყავი მისასვლელი და მაშინვე წამოვედი. „ჩემი“ სამარშ-რუტო ტაქსი 18 წუთის შემდეგ ჩამოდგა.

გახარებულმა მძღოლმა აქეთ გადამიხადა მადლობა, გამომტანების ნათქვამობის თანახმად, ახლაც ადგილზე ჯარისკაცურად რომ დავხვდი და ბევრის მსგავსად ამსიმიძიმე ჩანთები სადისპეტჩეროში ანდა შემნახველ საკანში სათრევი არ გავუხადე!...

## 24

**15-16 ივნისს**, შაბათ-კვირას ის ნოველა, „სიმაღლე“ დავასრულე და გადავათეთრე კიდეც („ლიტერატურულმა მესხეთმა“ 2021 წლის სექტემბრის ნომერში დაბეჭდა). ორშაბათს, 17 ივნისს კი ერთ-ერთ კომპიუტერულ ცენტრში ჩემს კომპიუტერისტ-ოპერატორს, **ხათუნა ტარტარაშვილს** შინიდან დავურეკე და ვთხოვე, სტატიის, „**მტკივნეულად თანამედროვე ოვიდიუსი**“ ელექტროვერსია „ისინდის“ რედაქტორისთვის გადაეგზავნა. როცა შემატყობინეს, გაგზავნა შეუფერხებლად განხორციელებულიყო, თავისუფლად ამოვისუნთქე და მაშინღა მოვიცალე „ისინდის“ ბოლო, აქამდე ყურმიუგდებელი მე-13 ნომრისთვის, მთელი ამ ხნის განმავლობაში, სათადარიგო პატარა მაგიდაზე გაბუტულივით რომ იდო!

ჟურნალს თანამიმდევრობით დავუწყე კითხვა. ზოგიერთი ავტორის ტექსტში მოულოდნელად ისეთ-ისეთ ადგილებს ნავაწყდი, უეცრად დავემსგავსე მარტოკელა გულუბრყვილო ბავშვს, უბნის სანაგვესთან ნაპოვნი, ცელოფნის პარკში ჩაყრილი, უცნაურად აჭრელებული ხის კუბიკები თავიანთ ეზოში დიდი ამბით რომ შეარბენინა!

ჰოდა, ტახტზე წამოყრილ ამ კუბიკებთან ხანგრძლივი, ალაღბედური ჩხირკედელაობისას სრულიად შემთხვევით გამოუვიდა რომელიღაც შინაური ცხოველის გამოსახულება და გაკვირვებისაგან გაქვავდა – ეს გახუნებული ხის კუბიკები ყოველი მხრიდან აი, თურმე რისთვის ყოფილა უაზროდ მიხატულ-მოხატულიო!!!

გულუბრყვილო ბავშვიდან უცებ ისევ მწერლად ვიქეც და მომეჩვენა: „ვეფხისტყაოსნის“ 346-ე სტროფის მეორე სტრიქონი თურმე ჩემთვისაც ყოფილიყო დაწერილი!

### **მერმე ცნობა მომივიდა, მივხვდი რასმე მიუმხვდარი!**

პატივცემულო მკითხველებო, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ და ამ წიგნში აღწერილი 2019 წლის მოვლენები – რაც მაშინ ჩემთვისაც კი ამოუხსნელ გამოცანას წარმოადგენდა! – 2021 წლის ივნისში გამოსული „ისინდის“ მე-13 ნომრის გადასახედიდან გავისიგრძეგანოთ, თორემ მოჯადოებულ წრეში უაზრო ტრიალისგან თავბრუს დავიხვევთ და მეტი არაფერი!

## **25**

**2019 წლის** ზაფხულში „ისინდის“ რედაქტორს, იკა ქადაგიძეს პირველად დავურეკე და მავანთაგან უარყოფილ ჩემს მწვავე კრიტიკულ წერილზე ჩამოვუგდე სიტყვა. მან კი წერილის წაუკითხავად (!!!) ჟურნალის შემდეგივე, მე-8 ნომერში დაბეჭდვის ისეთი წყალგაუვალი პირობა მომცა, ამდენი უდიერი ტანჯვა-წვალების შემდეგ მანდილოსანი რედაქტორის პრინციპულობამ ისე აღმაფრთოვანა, სრულიად გულწრფელად და უანგაროდ ჟანა დ'არკს შევადარე და მალე ავტოგრაფიანი წიგნიც მივუძღვენი – ქართული ლიტერატურული კრიტიკის ასალორძინებლად განგებამ შენც ჟანად'არკისებურად მოგავლინა-მეთქი!

ამგვარმა შედარებამ და ავტოგრაფიანმა წიგნმა ახალგამომცხვარი რედაქტორი იმზომ აღაფრთოვანა, ჟურნალთან დაკავშირებით როცა შეხვედრა გვიხდებოდა, სიტყვა ამაზეც ჩამოგვივარდებოდა ხოლმე და სიხარულისგან სულ ჰაერ-ჰაერ დაფრინავდა!

ამაში არაფერია გასაკვირი ან დასაძრახი! პირიქით, დასაძრახი მაშინ იქნებოდა, ასეთი შედარება გულგრილად რომ მიელო! თავად განსაჯეთ, რომელი ქვეყნის ერთი ჩვეულებრივი ლიტერატორი მანდილოსანი არ აღფრთოვანდებოდა, მშობლიური მწერლობის წინაშე რაიმე გამორჩეული დამსახურებისთვის ვინ-

მეს საფრანგეთის სახალხო გმირის, ჟანა დ'არკისთვის შეედარებინა! ოღონდ აქ ანგარიში გაუნით შემდეგ გარემოებას: ჟანა დ'არკისთვის რომ შეედარებინათ და არა მშობლიური მწერლობის ჟანა დ'არკად გამოეცხადებინათ, რაც მე პირადად უაზრობად მიმაჩნია!

იკა ქადაგიძეს მალე მოუსვენარი ცვალებადობა დაეტყო: მართალია, სრულიად მოულოდნელად ჟანა დ'არკთან შედარება დედოფლურად შეიშვნია, მაგრამ ამავე დროს თურმე მაცდურმა საგონებელმა და თქვენ წარმოიდგინეთ, თეთრმა შურმაც კი დაუნყო ნამება – ღმერთო, საიდან სადაო, წმინდაო, საბაო: ასეთი „ზედგამოჭრილი“ შედარება რალა მაინცდამაინც ამ ჯემალ მეხრიშვილს შთაეგონა და არა მისთვის უფრო სასურველ სხვა რომელიმე ახლობელს, თანაც გაცილებით ადრე, როცა... ჰმ!..

ვალიარებ, მე კიდევ ჩემებურად ვიტანჯებოდი, ვინაიდან ი. ქადაგიძის ჟანა დ'არკთან შედარება მთლად ჩემი „დამსახურება“ არ ყოფილა! იგი ბუნებრივად, თავისუფალი შემოქმედებითი აღმაფრენის ნამებში კი არ დამებადა, არამედ „ლიტერატურული საქართველოს“ მესვეურთა სადისტური მოპყრობით წარმოშობილი იძულებითი შთაგონების წყალობით!

ამის მიუხედავად, ი. ქადაგიძე ჟანა დ'არკს სრულიად გულწრფელად და უშურვებლად შევადარე! ამგვარი იძულებითი შთაგონების – აი, რანაირი ტერმინი „იძულებითი შთაგონება“ დამამკვიდრებინეს „ლიტერატურული საქართველოს“ ხელმძღვანელებმა! – შედეგი პირველი რომ არ იყო, ერთ მსგავს მაგალითს მოვიყვან. „ლიტერატურული საქართველო“ მწვავე კრიტიკულ წერილებს ხომ არა და არ მიბეჭდავდა. ამგვარი ურცხვი მოსაბაზებით – **მავანს ეწყინებო!**

კეთილი, ამავე რედაქციაში 13 თვე მწნილივით ედოთ ჩემი კრიტიკული წერილის ელექტროვერსია **„ფიქრები ლიტერატურაზე“**. ამ სტატიაში არც ერთი შემოქმედი არ მყავდა ნახსენები და მხოლოდ ზოგადი მსჯელობით ვიფარგლებოდი! რაკი არც ეს დამიბეჭდეს, მერე „საქართველოს რესპუბლიკამ“ გაზეთის სრულ ორ გვერდზე (19 ივნისი, 2019) გამომიქვეყნა! თანაც ამ გაზეთის მითითების თანახმად რედაქციისაგან შეუკვეთავი მა-

სალების დაბეჭდვა ფასიანია, ძველი ნაცნობები კი ჩემგან საფასურს არა და არ იღებდნენ – შენ სად გექნება მაგის თანხაო! მე კი მაინც ძალად დავტოვე ორასი ლარი, რადგან იმათაც რა ექნათ – ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს თავ-თავიანთი ჯიბიდან ხომ არ გადაიხდიდნენ?!

საგანგებოდ გადანახული ჩემი და ჩემი მეუღლის სამარხის მოკრძალებული თანხა კი ამნაირ დანაკლისსაც გაუძლებდა! ბოლოს და ბოლოს, თბილისურ სანაგვეებთან მიმოყრილი რაგინდარა ხარახურიდან გამორჩეული ფიცრის ნატეხებისა და დიქტის მშვენიერი მონაჭრებისგანაც შეიძლება უბრალო კუბოს შეკვრა!.. ერთი იქამდე მისვლაა, თორემ იმ ქვეყნად მერე ყველანი თანაბარნი ვიქნებით!

ეს კიდევ არაფერი!

## 26

**„ლიტერატურული საქართველოს“** რედაქციაში 2019 წლის 17 სექტემბერს წარვადგინე ოთხგვერდიანი წერილის **„ე“ თუ „ო“?** ელექტროვერსია, რომელშიც მოკრძალებულ მოსაზრებას გამოვთქვამ **„ვეფხისტყაოსნის“** ერთი სიტყვის გამო. მაგრამ მწერალთა უპირველეს გაზეთად მონათლულმა **„ლიტერატურულმა საქართველომ“** არც ამ შემთხვევაში მიმიშვა მკითხველებამდე!

თვალი გადაავლეთ **„ლიტერატურული საქართველოს“** ფურცლებს – რაღას არ ბეჭდავენ და **„ვეფხისტყაოსანთან“** დაკავშირებული ჩემი მასალაც რომ დაებეჭდათ, ამით რა დაშავდებოდა ან ვის **„ენწყინებოდა“?**

რედაქცია ჩემი მოსაზრების მოსალოდნელმა მცდარობამ შეაფიქრინა?! პირიქით, პირიქით – ვაითუ ჯ. მეხრიშვილის ნასაზრბო მართებული გამოსულიყო, მაშინ რაღა ეშველებოდათ, ხომ დაიღუპებოდნენ, ვინაიდან ისინი ლიტერატურული ჟანდარმებით მტკიცე ხაზს მისდევენ – თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის სფეროში რაც რამ დასაწერი ან აღმოსაჩენი იყო, მავნის მიერ უკვე დაწერილი და აღმოჩენილია! ამიტომ დანარჩენებმა ისეთ თემებზე უნდა წერონ, რაც....

აი, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, „ლიტერატურული საქართველო“ ძირითდად წვრილფეხობასა და წვრილთემიანობას რომ წააღეკინეს! ამიტომ ვერავინ განჭვრეტს, მომავალში როგორ წარიმართება ან რით დამთავრდება ოდესღაც სახელოვანი, ბოლო ხანებში კი მავანთაგან უდიერად დაკნინებული ლიტერატურული ორგანოს ბედ-იღბალი!

ჩემი აზრით, ქართული მწერლობის წინაშე ნამდვილი მავნებლები არიან, ვინც „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ ჩემს წერილს, „ე“ თუ „ო?!“ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გზა ასპიტურად გადაუკეტა!

ამას დასაძრახი შურმაძიებლობა არ მალაპარაკებს! ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, ავტორი ვინაა, არამედ ეს წერილი ვისა და რას ეხება!

ერთი სიტყვით, ახლაც იძულებული გავხდი, ეს წერილიც „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში წამეღო. მთავარმა რედაქტორმა, **სპარტაკ ქობულიამ** როგორც კი წაიკითხა, იმავნამიერად მიხვდა, ხელში რაც ჩაუვარდა: გაზეთის მაკეტი დააშლევინა და შემდეგივე ნომერში (13 ნოემბერი, 2019) დამიბეჭდა, თანაც რუსთაველის თაყვანისცემის ნიშნად არამცთუ ფული არ გადამახდევინა, ამაზე ხმაც კი არ ამომალებინა! ხოლო გაზეთს „ლიტერატურული მესხეთი“ (რედაქტორი **ავთანდილ ბერიძე**) თვეში ერთხელ რომ გამოდის, დეკემბრის ნომერშივე გადაებეჭდა! „ლიტერატურულმა საქართველომ“ კი...

ოღონდ ეგ არის, ამ წერილს აქამდე არც ერთი ენათმეცნიერი ან რუსთველოლოგი არ გამოხმაურებია! აი, ის წერილიც.

## **„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ასოს გამო „ე“ თუ „ო“?**

არავის ეგონოს, ერთი უმნიშვნელო მწერალი ახლა რუსთველოლოგის, უფრო ზუსტად კი ენათმეცნიერის სახელს ვეპოტინებოდე! ამას რა გამაბედვინებს!!! უფრო მეტი – თვით ამ შემთხვევაშიც გამოვდივარ არა როგორც მწერალი, არამედ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი რიგითი ქართველი მკითხველი.

ჩემი აზრით, პოემის რომელიღაც გადამწერის ან სულაც არამკითხველ ინტერპოლატორის მიერ ოდესღაც დაშვებული ენობრივი ლაფსუსი გამოცემიდან გამოცემაში უმტკივნეულოდ მეორდება და მეორდება! ხოლო ჩემი ეს ნასაზრი თუ მცდარი აღმორჩნდება, მაშინ უქმი მოცდენისთვის მკითხველებს წინასწარვე ბოდიშს მოვუხდი, თვალის ამხელებს კი მადლობას შევწირავ.

მაშ, დავიწყოთ!

მკითხველებმა კარგად იციან, რა დაემართება ტარიელს, როცა ნანადირევი დურაჯების გადაცემისას ნესტან-დარეჯანს პირველად დაინახავს.

**დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა.**

ტარიელი ყველაფერს თანამიმდევრულად იხსენებს.

**სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.**

შემფოთებული მეფე-დედოფალი ტარიელს მკურნალებს და-ახვევენ, მაგრამ სასურველი შედეგი არა და არ ჩანს! მერე კი აგერ, რა ხდება.

**ზე წამოვჯე. მეფისასა კაცი დია მოვიდოდა.**

**ახარებდეს: „წამოჯდაო“, დედოფალი გამორბოდა;  
მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა,  
იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი უჩუმოდა.**

აქაც ყველაფერი ნათელი და გასაგებია!  
ახლა მთელი გულისყურიანობა გამოვიჩინოთ ამ სტროფის  
გასააზრებლად.

**აქეთ და იქით მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია;  
მე მოვახსენე: „პატრონო, გული ან უფრო მრთელია;  
ცხენსა შეჯდომა მწადიან, ვნახნე წყალნი და ველია.  
ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯე, მეფე ჩემთანა მვლელია.**

მოყვანილ სტროფში აშკარად შეუსაბამოდ ჟღერს ამ ფორ-  
მით ნახმარი სიტყვა - „**ვნახნე**“.

აქ ტარიელი მეფე-დედოფალს, მაგალითად, თავის ნასიზმრს,  
რაიმე კომპარულ წამოლანდებას თუ თავგადანახადს წარსული  
დროით კი არ აუწყებს – ვნახნე ანუ ვნახე წყალნი და ველიაო,  
არამედ ნესტან-დარეჯანის პირველი ხილვით დამეხილი და იმ  
ქვეყნიდან ისევ ამ ქვეყანას მობრუნებული, მეფე-დედოფალს  
მხოლოდ თავის სურვილს უმხელს: გულგადასაყოლებლად ცხე-  
ნით გასეირნება მწადიან, რათა ვნახნო ანუ ვნახო (და არა ოდეს-  
ლაც ვნახნე ანუ ვნახე!) წყალნი და ველიაო!..

ხოლო აქ ტარიელი მეფე-დედოფალს თუ მართლა უკვე ნა-  
ნახზე (ვნახნე) ელაპარაკება, მაშინ სრულიად გაუგებარი ხდება  
ამ ფრაზის -- „**ცხენსა შეჯდომა მწადიან**“ – მიზანი და მოტივი!..

მართლაც, ტარიელს ცხენს მოჰგვრიან, შეჯდება და თან მე-  
ფეც აემგზავრება.

მერე კი, როგორც თავის ყველა პერსონაჟს, რუსთაველი ტა-  
რიელს ამხელადაც მადლიანი სისადავით ალაპარაკებს.

**გამოვედით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა.**

დასასრულ, აქ თვით სათხრობი მოითხოვს: 349-ე სტროფში  
უნდა იყოს არა „**ვნახნე**“, არამედ „**ვნახნო**“.

საინტერესოა, რას იტყვიან პროფესიონალი რუსთაველო-  
ლოგ-ენათმეცნიერები?

ჯემალ მეხრიშვილი  
2019 წელი, 17 სექტემბერი

რისთვის ვყვები ამ მწარე-მწარე ამბებს? მართალია, **სპარტაკ ქობულიამ** ეს წერილი კი მაშინვე დამიბეჭდა, მაგრამ გული მატკინა, რადგან მას არ წაუმიძღვარა მისდამი მიმართული „ღია წერილიც“ – მე ამგვარ შედარებას არ ვიმსახურებო.

რა მექნა? მაშინ იმ „ღია წერილის“ ქსეროასლი საკუთარი ხელმოწერით დავუდასტურე და პირად არქივში შესანახად დავუტოვე.

სპარტაკ ქობულიასადმი მიმართულ იმ ღია წერილს ახლა მაინც თუ ვბეჭდავ, არა იმიტომ, მას რამე მხატვრულ ღირსებას მივანერდე, არამედ თანამედროვე ქართული ლიტერატურის მომავალმა მკვლევარებმა იქნებ რამეში გამოიყენონ: ლიტერატურული რჯულმდებლის საპატიო ტახტზე უტიფრული პროტექციით აღზევებული ზოგიერთი გაბოროტებული მუშაკი თავისი უკადრისი მოსაზრებებით როგორ დევნიდა საღ აზრს, ხოლო მის მატარებელ უდანაშაულო მწერლებს **იძულებით შთაგონებას** სადისტურად უღიზიანებდა!

მაშ, ასე!

## ღია წერილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, სპარტაკ ქობულიას

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის სუნთქვაა.“

თამაზ ჭილაძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერებიდან, 01.03.12

„ლიტერატურული საქართველო“, 09.10.19

**სპარტაკ!**.. ცხადია, გაზეთის მუდმივი მკითხველები უმალ შეცბუნდებიან: 2019 წლის 20 ივნისის ღია წერილში მთავარ რედაქტორს „**ბატონობით**“ მიმართავდა, ამ ოთხიოდე თვეში კი ჯემალ მეხრიშვილი ისე გამოჩერჩეტებულა, ეს ზრდილობიანი ფორმაც დავინწყებია, რედაქციის თავკაცი კი სიბრაღურის გამო აღარ უსწორებსო!

მათი ამგვარი ვარაუდი დასაშვები იქნება, თუ აქვე შეჩერდებიან და კითხვას აღარ გააგრძელებენ!.. მე კი, ლიტერატურული ძალმომრეობისგან ილაჯგანყვეტილს, მეჩვენება, რომ სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად მივმართავ არა „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, ბ-ნ **სპარტაკ კობულიას**, არამედ ძველ რომში მონათა უდიდესი აჯანყების სახელოვან ბელადს, **სპარტაკს**, რათა მენდოს და უსამართლობის წინააღმდეგ დაძრულ თავის ლაშქარში მეც მიმიღოს!!!

ასეთ შემთხვევაში კი „ბატონობით“ და „თქვენობით“ მიმართვა შეუხამებლად იყდერებს!..

**სპარტაკ**, ერთ-ერთ რედაქციაში მიტანილი წერილის ელექტროვერსია „ფიქრები ლიტერატურაზე“ 13 თვე უქმად ედოთ. ბოლოს რომ მივხვდი, ცრუდაპირებებით ჩემს სტატიას თურმე ჩემივე წამების იარაღად იყენებდნენ, მაშინ მანდ მოვიტანე. განუჭვრეტელი განაჩენის მოლოდინში ნაცემი ძალღვივით მოძუძგულმა, საათი დავინიშნე - 23 წუთი დაგჭირდა ჩემი წერილის წასაკითხად და გასააზრებლად, რათა გაზეთის შემდეგი, 20 ივნისის ნომრის ორ გაშლილ გვერდზე დაბეჭდილიყო!!!

**სპარტაკ**, შენი ჯანსაღი აზროვნების სიკამკამე, უზადო ლიტერატურული ალღო-გემოვნება და მისაბაძი შურგაუკარებლობა განგების ნებით ორიოდ დღის შემდეგვე დადასტურდა: 22 ივნისს, საქართველოს მწერალთა კავშირის XXV ყრილობის მუშაობის დაწყებისას მისმა ახალარჩეულმა თავმჯდომარემ, კრიტიკოსმა, ბ-მა **მურმან თავდიშილმა** - მერე იქნებ საამისოდრო და ადგილი აღარ იყოსო - „ფიქრები ლიტერატურაზე“ ყრილობის მონაწილეებს საგანგებოდ დაუსახელა, როგორც ლიტერატურული იდეალებისთვის პრინციპული ბრძოლის მაგალითი.

უსამართლობის არტახებისგან გათავისუფლებული, იმ დღეებში ისეთი ფრთააბმული დავდიოდი, ჩემს მწერლურ წარმომსახველობაში თავისთავად მოხდა „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორისა და რომაელ მონათა აჯანყების ბელადის, **სპარტაკის** ბუნებრივი გაიგივება! ამ განცდის გასაზიარებლად მანდ მოსვლასაც ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს მომერიდა - ეს მეტიჩრობაში არ ჩამომრთმეოდა! მაგრამ მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ ამის დროც დამიდგებოდა!..

**სპარტაკ**, მაშინდელ ღია წერილშიც ვწერდი და ჩემს ოპონენტს 20 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის“ მიტანასაც ვთხოვე - ნუ დამზოგავდა და კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა ეს ჩემი სტატია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ შორის არ იქნებოდა გამარჯვებულ-დამარცხებული ამ სიტყვების პროვინციული გაგებით და გაიმარჯვებდა მხოლოდ ლიტერატურული ჭეშმარიტება! მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს...

უსიტყვო ქედმოხრისა და მშობლიური მწერლობისადმი ერთსულოვანი მსახურების ნიშნად ამავე რედაქციას ა.წ. 17 სექტემბერს ახლა გვერდნახევრიანი (!) წერილი „ე“ თუ „ო?“ მივუტანე, სადაც მოკრძალებულ მოსაზრებას გამოვთქვამ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სიტყვის გამო.

რაკი არც ეს წერილი დაბეჭდეს, ნოემბერს მივაკითხე, მაგრამ ვიგრძენ - ჩემთვის რაღაც ამოუხსნელი მიზეზის გამო თვით რუსთაველსაც კი... ოღონდ ვერ გამიბედავს აქ რომელი სიტყვები ვიხმარო, რადგან ჩემით ვერ მიმხვდარვარ - ეს რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?!

**სპარტაკ**, ღირსება რომ არ შეგილახო, თხოვნასაც კი ვერ გიბედავ, რუსთაველთან დაკავშირებული ეს მასალა დამიბეჭდე-მეთქი! ოღონდ უსაფუძვლო თავმდაბლობის გამო არაფერი შემიმოკლო ან ზოგიერთ სიტყვებს ავტორისეული გამოუქება არ შეუცვალაო და ისედაც დამცირებულ მწერალს (იქნებ სხვებსაც!) არ ჩაუკლა სწორუპოვარი თრაკიელის ხატება!

დაე, მომავალმა თაობებმაც იცოდნენ, რა ცოდვის ლული ტრიალებდა ქართული მწერლობის უდაბნოში, როცა სამშობლოს ბედ-იღბალი ბენჯზე ეკიდა!

უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა მოკლე დაშნების უღალატო შეჯვარედინებით!

ჯემალ მებრიშვილი  
08.11.19

\* საზგასმა ყველგან ავტორისეულია.

**რედაქციის მინაწერი:** ვბეჭდავთ რა მწერლის ამ პატარა წერილს, რედაქცია პირობას იძლევა – ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაეთმობა არამარტო **რუსთველოლოგებსა და ენათმეცნიერებს**, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ რიგითი მკითხველების ანგარიშგასაწევ მოსაზრებებსაც.

დაე, ახლა მკითხველებმა თავად განსაჯონ: ზემოხსენებული ჩემი წერილები „ლიტერატურულ საქართველოს“ ჩვეულებრივ რომ დაებეჭდა, განა მაშინ დამჭირდებოდა ან თუგინდ აზრად მაინც გამიელვებდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთვარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** ძველი რომის მონათა აჯანყების სახელოვანი ბელადის, **სპარტაკისთვის**, ხოლო ლიტერატურული ჟურნალის „ისინდი“ რედაქტორი, **იკა ქადაგიძე** საფრანგეთის სახალხო გმირის, **ჟანა დ'არკისთვის** შემედარებინა?!

არავითარ შემთხვევაში! რატომ, რისთვის, რასთან დაკავშირებით?! მაშინ ჩემი, როგორც ერთი რიგითი მწერლის შემოქმედებითი პროცესი თავისი ბუნებრივი დინებით წარიმართებოდა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის სინამდვილეში აღარც ამგვარი შედარებები გაჩნდებოდა! მაგრამ...

მართალია, ამგვარი შედარებები ჩემი აზროვნების ძალდაუტენებელი შედეგი კი არა, მავანთაგან სადისტურად ნანამები ჩემი მწერლურ-მოქალაქეობრივი ღირსების, ინტელექტისა და შთაგონების ნაიძულევი ნაყოფია, მაგრამ გულწრფელად ვაცხადებ: დიახ, პირველში იყო ჯოჯოხეთური იძულება, რომელიც, როგორც მსგავს შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, შეუძლებელია, მერე **ნაიძულევი შთაგონებაში** არ გადაზრდილიყო! აკი გადაიზარდა კიდეც და თავისი შინაარსით თავისთავად დაემსგავსა ნორვეგიელი ფერმწერის, **ედვარდ მუნკის** (1863-1944) დრამატიზმით აღსავსე ნახატს, **“ყვირილი“**.

ამგვარი შედარებების – **სპარტაკი და ჟანა დ'არკი** – მოშველიებით მეც ჩემებურად „ყვირი“, რათა მკითხველ საზოგადოებას ჩემი მხრიდანაც გავაგებინო: თანამედროვე ქართული ლიტერატურის საუფლოში პროვინციული პროტექციით გზაარეულ კოლოებივით შემოფრენილი და საიმედოდ დაბუნაგებუ-

ლი, ლიტერატურულ ღირებულებებში სრულებით გაურკვეველი „რჯულმდებლები“ რა ბაზრული უტიფრობით ცდილობენ, რათა თვისიანების ბამბა აჩხრიალონ, შავი თეთრად გვალღარებინონ, გონებადაქვეითებული – ნიჭითცხებულად, თავიანთი შტერული სურვილისამებრ ძალდაძალ ნაარახრაახონ ქართული მწერლობის უახლესი ისტორიის სასურველი პერიოდები!

ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ნაწილობრივ ახერხებენ კიდეც! თუმც თვითნებურად გამართული ეს ვინრო წრის ბალ-მასკარადები დროებითი თავმოცყუებაა და მეტი არაფერი – ღმერთი მათაც მოუვლენს ზეციურ სამართალს!..

ეჰ, ეს ჩვენ გვეჩქარება, მაგრამ მეტი რა ჩარა გვაქვს – ღვთის სამართალი რაშით კი არ დაქრის, ურმით დაგორავს!..

## 27

**ერთი** სიტყვით, ორივე შედარება სუფთა გულის კარნახით გამოვამზეურე, მაგრამ ამან იმედგაცრუებისა და შეურაცხყოფის მეტი არაფერი მომიტანა!

სპარტაკ ქობულიამ წინდახედულობისა და თავმდაბლობის გამო ეს „ღია წერილი“ არ გამომიქვეყნა – მე ამგვარ შედარებას არ ვიმსახურებო!

ჩემ მიერ მოულოდნელად ჟანა დ' არკთან შედარებული იკა ქადაგიძე კი სულ სხვანაირად მოიქცა! ამგვარი შედარების მხოლოდ იდეა მოსწონებოდა, მისი შინაარსი და ავტორი ანუ თქვენი მონა-მორჩილი კი არა! ნაწილობრივ ვერც გაამტყუნებთ, ვინაიდან ჯემალ მეხრიშვილი რა იმისთანა ავტორიტეტია, მთელ ქართველ მწერლობას მისეული შედარება ერთხმად აეტაცებინა და სახარებასავით ეწამებინა!

ის კი არა, ეს რომ განმაურებულიყო, ბევრს გაეცინებოდა კიდეც – ან იკა ქადაგიძე ვინ არი ანდა ჯემალ მეხრიშვილი, თავს ასეთი შედარების უფლებას რომ აძლევსო!..

თანაც ეს „მოუაზრებელი“ ჯ. მეხრიშვილი თავისი წიგნის ავტოგრაფში რა სისულელეებს წერს იკა ქადაგიძეზე – განგებამ ჟა-

ნად'არკისებურად მოავლინა გზაგადაღობილი ლიტერატურული კრიტიკის ასაღორძინებლადო!.. იკა ქადაგიძემ ხომ მთელ საქართველოს ამცნო – მე ბასრი კალამი მაქვს და ლიტერატურის ზვიგენებთან ბრძოლისას მე უპირველესი კრიტიკოსის სახელი მოვიხვეჭეო! ჰოდა, მეტი რაღა უნდა ქართულ მწერლობას – მარტო იკა ქადაგიძის კრიტიკოსობაც ეყოფა!.. თუ არადა, ეგლა აკლია ეკა ქადაგიძეს – ლიტერატურის რომელიმე ჟანრის სალოლიაოდ მოსცდეს... განგებამ ჟანად'არკისებურად ლიტერატურის ამა თუ იმ მაჩანჩალა ჟანრს კი არ მოუვლინა, არამედ ის მთელ ქართულ მწერლობას ჟანა დ'არკივით თვითონ მოევლინა!!!

არის სხვაობა?!

მაშ, შეიგნეთ, დაიჯერეთ და სხვებიც დააჯერეთ – იკა ქადაგიძე ქართული მწერლობის ჟანა დ'არკია! მორჩა და გათავდა! მაგრამ ჟანა დ'არკი 19 წლისა აღესრულა და ეზიარა უკვდავებას, „მოუაზრებელმა“ ჯ. მეხრიშვილმა კი ჟანა დ'არკს იკა ქადაგიძე მაშინ ანუ 2019 წელს შეადარა, როცა ეს უკანასკნელი 47 წლისა იყო!.. აბა, სად-19, სად 47 წელი!..

მერე რა მოხდა – ამგვარი შედარებისას უმთავრესია სამშობლოს წინაშე დამსახურება, თორემ რა აუცილებელია ასაკითაც... რა მოხდა!

როგორ თუ რა მოხდა – თუ ჟანად'არკობაა, ჟანად'არკობა იყოს!!!

მაშ, როგორ მოიქცეს, როგორ – ქართული მწერლობის წინაშე თავისი იგავური „დამსახურების“ ათვლის დრო და წელი ჟანა დ'არკის ასაკს შეუფარდოს?! არა, ეს უკვე მეტისმეტი გამოუვა – ამას არავინ დაიჯერებს!.. მაშ, რა ქნას, რა ქნას, რა?! რა და, იკა ქადაგიძესაც ეპოვა თავისებური „გამოსავალი!“ თან „გამოსავალიც“ არის და „გამოსავალიც!“.. ადამიანს თუ განდიდების მანიის ხურვება შემოეგზნო, ნებისმიერ გარემოში თურმე რანაირ „გამოსავალს“ არ გამოავიწყებინებს და რაღას არ ჩაადენინებს!

ასე და ამრიგად, რასაც 2019 წლის მთელი შემოდგომა ვერ ვხვდებოდი, 2021 წლის ზაფხულის დასაწყისში ანუ „ისინდის“ მე-13 ნომრის ფურცლებზე ფართო ფრონტით გაშლილმა ლიტერატურულმა ავანტიურამ აზრიკვალად მიმახვედრა: მაშინ ბო-

ლომდე წაუკითხავი რედაქტორის წერილი „ისინდის“ დაბადება“ (7, 2019), მე თავშესაწყენად რომ მივიჩინე და შუა ადგილას მივატოვე, ახლა თავიდან ბოლომდე უნდა წამეკითხა! ასეც მოვიქეცი და ამ წერილიდან ერთ-ერთ ადგილს საჭირო შემოკლებით მოვიყვან. ოღონდ სტილს აღარ ვეხები, რადგან უკვე შიში მიპყრობს: ჯვარცმულმა მკითხველებმა ჯავრი ჩემზე არ იყარონ – რა სისხლი გაგვიშრე მავანთა აბურდული სტილის ამდენი სწორება-დალაგებით, მაგას უშენოდაც ვხვდებითო!!!

მაშ, მოუსმინეთ იკა ქადაგიძეს!

„...დამოუკიდებელ ჟურნალზე ფიქრი არ მშორდებოდა... 2017 წლის მარტში გერმანისტმა დავით კირკიტაძემ დაჟინებულ თხოვნას ხელსაყრელი წინადადება არ მოაყოლა... მაცდური წინადადება ვიუარე და ჩემი პასუხი სათანადოდ დაფუსაბუთე, გულახდილად განვუცხადე, ამ სარისკო წამოწყებაზე რა აზრიც გამაჩნდა... მან მომიგო, რომ მცირე გამომცემლობის პატრონს (დავით კირკიტაძის გამომცემლობას „თეთრი“ ჰქვია) ნაცნობების მეშვეობით შეეძლო 68 გვერდიანი ჟურნალის გამოშვება 300 ლარად გაეხერხებინა, რედაქტორობას თუ დავთანხმდებოდი... მიუხედავად ესოდენ მაცდური წინადადებისა, კვლავ უარზე შევდექი, რაც მარსიანმა და კავკასიურ სახლში სტუმრად მოსულმა ღვანლმოსილმა მწერალმა, ჯემალ ქირიამ გააპროტესტა. მათ კირკიტაძის წინადადება ჭკუაში გაუჯდათ. **ბ-ნ ჯემალმა, რომელმაც ჩემი შეუპოვრობის გამო 9 წლის წინ საჯაროდ ქართული მწერლობის ჟანა დ'არკი მიწოდა**, მირჩია ახალგაზრდა გერმანისტის შეთავაზებას დავთანხმებოდი...“

ააააა!.. 2019 წლის 17 სექტემბერს, ენდროსფერი პასტის კალმით შესრულებული ავტოგრაფიანი მე-7 ნომრის მოძღვნის დღიდან იკა ქადაგიძე ისეთი ფრთხილი დაჟინებით აი, თურმე რისთვის მაკვირდებოდა: ეს ჯემალ მეხრიშვილი ნუთუ ისეთი კადნიერია, ჟურნალის მე-8 ნომერში სხვებისგან ნაბურთავები მწვავე კრიტიკული სტატიის დაბეჭდვის პირობა მივეცი, თან ჩემთან თანამშრომლობაზეც დამთანხმდა, მე-7 ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილი „ისინდის“ დაბადება“ კი არც წაუკითხავსო!

წაიკითხა?! ჰმ, წაიკითხავდა – შეუძლებელია, არ წაეკითხა!... მაშინ მით უფრო გაუგებარია: ნუთუ ისეთი შტერია, ვერ ხვდება, მის მიერ წოდებულ ჩემს ჟანაღ'არკობას ფორმა რომ შევუცვა-  
ლე, უფრო „ღვანლმოსილ“ მწერალს თვითნებურად მივანერე და  
თან ათიოდე წლით უკანაც გადავნიე!!!

მაშ, რატომ არაფერს მეუბნება?! პროტესტსა და საყვედურს კი  
რას გამიბედავს, მაგრამ თურმე ისეთი ლაჩარი ყოფილა, ჩემი გა-  
უგონარი უსაქციელობის მიმანიშნებელი მკრთალი გაკვირვება  
მანც ვერ გამოუხატავს!.. თუმც შეიძლება ყველაფერს მიმიხვდა  
კიდევ, მაგრამ ეტყობა, მტკიცედ გადაუნყვეტია, პირზე კლიტე და-  
იდოს და ბოლომდე ყმურად მემსახუროს!.. მართლა ასეც იქნება!..  
ჯერ მარტო თავისი კრიტიკული სტატიისთვის, მე-8 ნომერში რომ  
ვაპირებ, აგერ, რანაირი ეპიგრაფი წაუმძღვარებია.

კამეჩო, წყნარო, მიყვარხარ,  
გიქებენ უღლის წევასა,  
თან მოთმინებაც დიდი გაქვს,  
იტან სახრისა ქნევასა!

ჰოდა, ახლაც აიტანს და ყველაფერზე გამიჩუმდება!.. თუმც  
კამეჩი და სახრე რად გინდა, როცა თავისი წერილის წინათქმაში  
თავი მათხოვრამდე დაუმდაბლებია.

„ქ-ნო იკა, მაშ, თქვენ მაინც ნუ გამწირავთ, უცვლელად დამი-  
ბეჭდეთ ეს კრიტიკული წერილი და ჩათვალეთ – ვითომ ყველა-  
საგან ხელნაკრავი, განუკითხავი მორიდებული მათხოვრისთვის  
სამადლოდ ერთი ნატეხი პური გადმოგიწოდებიათ“.

2021 წლის მოვლენების გადასახედიდანღა მივხვდი – ამასთან  
დაკავშირებით მაშინ ჩემი ხმის ამოუღებლობა – რაც მხოლოდ  
რედაქტორის იმ საბედისწერო წერილის ბოლომდე წაუკითხაო-  
ბით ყოფილა გამოწვეული! – მოუთმენლობის ციებ-ცხელებით  
აბაბანებულ იკა ქადაგიძეს თურმე უმონყალოდ ტანჯავდა, ვი-  
ნაიდან ველარ გარკვეულიყო, ჩემი იდეა-შედარებით ნასაზრ-  
დოები, მაგრამ უკვე თავისებურად წარმოდგენილი საკუთარი  
პიროვნების გაჟანაღ'არკების დემონური პროექტი როგორ შე-  
ედგინა ან რანაირი ხლართული ბილიკებით მიეტანა მკითხველი  
საზოგადოების ცნობიერებამდე!

ჰოდა, იკა ქადაგიძესაც გულადურად ეპოვა თავისი ჭკუა-გონების, ინტელექტისა და მოქალაქეობრივი სინდისის შესაფერი „გამოსავალი!“ ოღონდ ამისთვის ანგარიში აღარ გაენია – ამგვარი შესაფერისობა რანაირ შთაბეჭდილებას მოახდენდა ან საბოლოოდ რა შედეგს მოიყოლებდა!

მივუტრიალდეთ „ისინდის“ რედაქტორის მიერ 2019 წლის ზაფხულში დაწერილ სამგვერდიან მონინავე წერილს „ისინდის“ დაბადება“, რომელიც 2017 წლის მოვლენების გახსენებას ეხება!

თქვენ ჯერ მარტო ამას დაუკვირდით: იკა ქადაგიძე სად იყო აქამდე – მე-7 ნომრისთვისლა (!!!) „გაახსენდა“ „ისინდის“ დაბადება?! როგორც მსგავს შემთხვევაში ხდება ხოლმე, ჟურნალის დაბადებასთან დაკავშირებული წვრილმან-მსხვილმანები მკითხველებისთვის პირველივე (!!!) ნომერში არ უნდა მოეთხრო – ასე უფრო ბუნებრივი, დროული, საინტერესო, დამაჯერებელი და მიმზიდველი არ იქნებოდა?!.. მაპატიეთ და, ვინმეს გსმენიათ, ნანატრი ბავშვი შვიდიოდე წლისა გაუხდეთ და ძეობა... მერე გადაუხადონ?!

მაშ, რით აიხსნება იკა ქადაგიძის მეხსიერების ასეთი სავალალო „მოშლა“, ორიოდე წლის შემდეგ კი მისი სასწაულებრივი „აღდგენა?!“

აი, რით: ბედისწერის ამგვარი ჩანაფიქრით იკა ქადაგიძემ სწორედ ჟურნალის მე-7 ნომერზე მუშობისას ჩაინაშოვა ჯ. მეხრიშვილის კრიტიკული ნიგნი, რომლის ავტოგრაფში ის, ახალდაარსებული ლიტჟურნალის რედაქტორი, იკა ქადაგიძე – როგორც ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღორძინების მოსურნე, ჟანა დ' არკთან არის შედარებული!

ამგვარი ავტოგრაფით თავტანდაკარგული იკა კი მხოლოდ შედარებულ პიროვნებას გადაერია! ეხუმრებთ?! მსგავსი შედარება მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ არავისგან და არავისზე თქმულა!.. იკა – ჟანა დ' არკი! კიდევაც! სწორედ რომ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკია!.. მაგრამ გასაკვირია, ასეთი „ზუსტი“ შედარება, თან ამგვარი უპატიებელი დაგვიანებით, რალა მაინცდამაინც ამ... ჯემალ მეხრიშვილს დაეხადა და არა... მაგრამ ეს არაფერი, მაგასაც ეშველება – ამქვეყნად სიკვდილის გარდა უსაშველო არაფერია!.. ხოლო შედარების ავტორი ანუ თქვენი

მონა-მორჩილის, „ნაგვიანევი“ შედარება და თვით შედარების შინაარსი – ქართული ლიტერატურული კრიტიკის ამლორძინე-ბელი იკა – ჟანა დ' არკი კი თურმე არ ეპიტნავა!!!

მაშ, ასე: 2017 წლის მარტს „კავკასიურ სახლში“ გამართულ თუ ვითომ გამართულ თათბირს, რაზეც მომავალი ლიტერატურული ჟურნალის ბედ-იღბალი და მისი სავარაუდო რედაქტორის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, იკა ქადაგიძემ ამ თათბირს შორს გამიზნულად „შემთხვევით“ ასტუმრა „ღვანლმოსილი“ მწერალი **ჯემალ ქირია**, რათა ჟურნალის მე-7 ნომრისთვის ალახმალახ შეხანხლულ წერილში „ისინდის“ დაბადება“, თავისი საოცნებო დემაგოგიური ინფორმაცია თეთრი ძაფ... ძაფით კი არა, თეთრი თოკით ჩვეული ხელგანაფულობით ჩაებლანდა: ბ-მა ჯემალ ქირიამ ჩემი **შეუპოვრობის** გამო 9 წლის წინათ საჯაროდ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი მიწოდაო!

ამგვარი განაცხადი სამწერლო სივრცეში რაგინდარა წოდებებსა და საპატიო მოვალეობებზე თვალყურგაფაცვიცებული ლიტერატურული შარლატან-ავანტიურისტის პათოლოგიური მსუნაგობაა და არამარტო განსვენებული ჯემალ ქირიას, არამედ მთელი ქართველი მწერლებისა და მკითხველი საზოგადოების შეურაცხყოფაცაა!.. საერთოდ, ეს რა სათაკილო მიდრეკილებაა: თავისი ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე თუ ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში იკა ქადაგიძისთვის ვის რანაირი ქათინაური უთქვამს ან ვისთან შეუდარებიათ, გარდასულ დროთა ნუგემწვევლი მოგონებებით თავდავინწყებული რედაქტორი იმ ყველაფერს ლიტურნალში გამოუტოვებლად ბეჭდავს და უდანაშაულო მკითხველებს პირდაპირ გულს უჭამს!.. არადა, ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, ამ შემთხვევასა და ვითარებაში თავის ჟანა დ' არკობასა თუ მოულოდნელ გაჟანა დ' არკებაზე კრინტი არც უნდა დაეძრა!

ეს ადვილზე ადვილი ასახსნელი და გასაგებია!

ჯემალ ქირიამ 2008 წელს იკა ქადაგიძეს საჯაროდ თუკი მართლა უწოდა ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი, თავისთავად ცხადია, ეს მთელ ჩვენს წიგნიერ საზოგადოებას ისედაც ეცოდინებოდა! მაშ, იკა ქადაგიძის ტენდენციურ წერილში სად, რაში

იგრძნობოდა ამის გამეორების თუ ვინმესთვის შეხსენების საჭიროება ან აუცილებლობა?! პირიქით, პირიქით! აბა, დაუკვირდით: იკა ქადაგიძე მომავალი ჟურნალის რედაქტორობის სურვილს თავგადაკვლით რომ ამჟღავნებდეს, დანარჩენები კი მის გარედაქტორებას რაიმე მიზეზით წინ ელობებოდნენ, მაშინ ჰა და ჰა – გამართლებული იქნებოდა თავისი ჟანაღ'არკობის ამგვარი შეხსენება ან დატრაბახება! მაგრამ როცა დანარჩენები აგულიანებენ, ლამის ჩოქით ეხვეწებიან, ჟურნალს სათავეში ჩაუდექიო, იკა ქადაგიძე კი – გათხოვებისთვის სულწასული ნორჩი საპატარძლოს თვალთმაქცური მორცხვობით რომ აცხადებს, მე „**კვლავ უარზე შევდექი**“-ო, ამ შემთხვევაში თავისი ვითომ ჟანაღ'არკობით თავს კი არ უნდა იწონებდეს, არამედ პირიქით – ეს არც უნდა ეხსენებინა და თავისებურ შიშსაც შეეპყრო, რათა იქნებ არც მის მახვეწრებს „გახსენებოდათ“, ვინაიდან ეს უფრო მეტი თავდაჯერებით აღჭურავდა და ვითომ „**უარზე შემდგარ**“ იკას გასაქანს აღარ მისცემდნენ!

იკა ქადაგიძე ასე ალა-ალა რომ ლაპარაკობს – ბ-მა ჯემალ ქირიამ ქართული მწერლობის ჟანაღ'არკი საჯაროდ მიწოდაო, კი მაგრამ ქართული მწერლობის მემატიანეებმა ან თუგინდ დაინტერესებულმა პირებმა როგორ გაიგონ, ეს რასთან დაკავშირებული საჯარო ღონისძიება იყო ან სადა და როდის გაიმართა?!

ვინ დაიჯერებს, ეს ღირსსახსოვარი მოვლენა თვითონ ი. ქადაგიძეს საგანგებოდ არ აღენუსხა! ხოლო ამ ძვირფას ინფორმაციას თავის პირად არქივში თუ ველარ მიაგნებს, მაშინ... თუმც ღმერთს მაინც არ გაუწირვართ! ი. ქადაგიძე 2017 წლის მარტში იხსენებს: ბ-მა ჯემალ ქირიამ ცხრა წლის წინათ ქართული მწერლობის ჟანაღ'არკი მიწოდაო! ე.ი. ეს მომხდარა 2008 წელს!!! გიშველათ ღმერთმა! ახლა ჩვენს ლიტერატურულ მკვლევარებს არ გაუჭირდებათ, ზუსტად დაადგინონ იმ წელს თბილისში გამართული ყველა ღონის, ფორმატისა და დღის წესრიგის საჯარო ღონისძიება!

ამრიგად, ი. ქადაგიძის მიერ ასე უმისამართოდ დასახელებული იმ საჯარო ღონისძიების ცოცხალი მონაწილეები პატიოსნად დაგვიდასტურებენ განსვენებულ ჯემალ ქირიას მიერ იკა ქადაგიძის ქართული მწერლობის გაჟანაღარკების აქტს და ამასთან

დაკავშირებით ქართული ლიტერატურის უახლესი ისტორიის ფურცლებზეც ადგილს ვედარ იპოვის სამწუხარო თეთრი ლაქა!

ნუთუ ამასაც არ უნდა გაესინჯოს კბილი?! ი. ქადაგიძე ყინ-ჩად გვიცხადებს – ბ-მა ჯემალ ქირიამ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი „ჩემი შეუპოვრობის გამო“ მიწოდაო!

ღმერთო, შენ გადმოგვხედე! აქ იკას თავბრუს ახვევს მხოლოდ შედარების მაცდური ფორმა, მის შინაარსსა და ახსნას კი აღარ დაეძებს!!! კი მაგრამ, აქ რა სახსენებელი იყო ეს „შეუპოვრობა?!“ შეუპოვრობა რა, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების ღრმა ზურგში შეგზავნილი, მაგრამ მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნილი რუსი მზვერავი ქალი ხომ არ იყო, რომელმაც არამცთუ „შეუპოვრად“ გაუძლო გესტაპოს ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ წამებას, არამედ გაქცევაც მოახერხა და საბჭოთა სპეცსამსახურებს ძვირფასი ინფორმაცია ჩამოუტანა!!!

ერთი ამიხსენით: რას აქეთ არის, რაც ქართველ მწერალ მანდილოსნებს ამ „შეუპოვრობისთვის“ ჯილდოებს, ლიტპრემიებს და ამგვარ ომახიან ნოდებებს ანიჭებენ?! ხოლო ეს თუ მართლა ასეა, მაშინ გასაკვირია: საქართველოს მწერალთა ისტორიაში ნუთუ მხოლოდ ერთადერთმა იკა ქადაგიძემ გამოავლინა ეს ყბადაღებული „შეუპოვრობა“, რომელიც თუგინდ დღეს და მით უმეტეს, იმ შორეულ 2008 წელს რა იმისთანა მხატვრული მიღწევებითა თუ ქართული მწერლობისადმი განუელი უანგარო ამაგიით იყო გაცხადებული, რომ განსვენებულ ჯემალ ქირიას იკა ქადაგიძე ასე წინდაუხედავად ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად ეკურთხებინა?!

**ვითარების** სრულყოფილად გასააზრებლად ახლა იკა ქადაგიძეს დროებით შევეშვათ და მის ადგილას ქართული მწერლობის ისტორიიდან ყველაზე სახელოვანი შემოქმედი მანდილოსნები წარმოვიდგინოთ! ყველა მიუდგომელი მკითხველი დამყაბულდება: სრულებით შეუხამებელი იქნება რომელიმე მათგანის

ჟანა დ' არკთან ასე როყიოდ შედარება, ვინაიდან, როგორც ზე-  
ვითაც აღვნიშნე და ეს უჩემოდაც იციან, ჟანა დ' არკი პროზა-  
იკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მწერალთა კავშირის  
სტაჟიანი თავჯდომარე... ქველმოქმედი ან რედაქტორი კი არ  
იყო, არამედ ინგლის-საფრანგეთის ასნლიანი ომის (1337-1453)  
დროს (1429-1430) წლებში ხელმძღვანელობდა ფრანგი ხალხის  
ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას ინგლისელი დამპყ-  
რობლების წინააღმდეგ!..

მე იკა ქადაგიძისადმი მიძღვნილი ორივე წიგნის (2019, „რუ-  
ბიკის კუბიკისებური უზნეობა“ და 2021 – „საიტის ტურები“) ავ-  
ტოგრაფებში მას ტუტუცურად ან მლიქვნელურად კი არ ვაბრიყ-  
ვებ – შენ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი ხარ-მეთქი, არამედ  
„ლიტერატურული საქართველოსგან“ განამებული და ოტებული,  
ახალბედა რედაქტორ-მანდილოსანს მიუკიბ-მოუკიბავად ვუყა-  
ლიბებ სამომავლო მოქმედების გეგმასა და შინაარსს – განგებამ  
შენც ჟანად'არკისებურად მოგავლინა მავანთაგან გზაგადახერ-  
გილი ლიტერატურული კრიტიკის ასალორძინებლად-მეთქი!

რა არის ამაში გაუგებარი, შეუფერებელი ან მიუღებელი?! მაგ-  
რამ როგორც შემდგომმა გამოაგნებელმა მოვლენებმა ცხადყო,  
ცამონმენდილზე ამგვარი შედარებით თავტანდაკარგულ იკა  
ქადაგიძეს, თურმე თავისი პიროვნული უმომავლო ლეგენდის  
ტიტყნის საძრახისი მცდელობით რომ ყოფილიყო თავდავიწყე-  
ბული, უუკადრისებია მარტო ლიტერატურული კრიტიკის ხელის  
შემწყობი თავისი სავარაუდო ჟანად'არკობა და ავანტიურისტულ  
ცდუნებაატანილს, სულელურად გადაუნყვეტია, რადაც უნდა  
დასჯდომოდა – ცხადია, ჩემი და იმ ჩემეული ავტოგრაფის მიჩ-  
ქმალვითა და გვერდის არბენით! – მთელი ქართული მწერლობის  
ჟანა დ' არკის ზედწოდებისთვისაც გამოეკრა ამისთანებში განა-  
ფული ხელი!!! ოღონდ ამას კი აღარ დაჰფიქრებია – ამგვარ გა-  
ჟანადარკებას რანაირი შინაარსი... დატვირთვა... გამართლება...  
დამაჯერებლობა თუ მხარდაჭერა ექნებოდა როგორც მთელი  
ქართველი მწერლობის, ისე მკითხველი საზოგადოების მხრიდან!

ამგვარი „წვრილმანები“ კი იკა ქადაგიძეს თურმე არც აღელ-  
ვებს, არც აინტერესებს, ვინაიდან მისთვის უმთავრესი ესა ყო-

ფილა – თავისი მორიგი სახიფათო ჟინი თუ დაუდგრომლობა, ბექდური სახით დადასტურებული, რაც შეიძლება მალე იხილოს „თავისი“ ჟურნალის მომდევნო ნომერშივე!.. არც გაემტყუნება! **ბელისკი (1811-1848)** ტყუილად კი არ წერდა: „Свой журнал, что свой дом: что хочу, то и делаю в нем“.

## 29

**იკა** ქადაგიძის მიერ განზრახ გაბუნდოვანებულ ერთ-ერთ გა-რემოებასაც ქრესტომათიული გამკაფიოება სჭირდება!

ასე და ამრიგად, იკა ქადაგიძე ჟურნალის 2019 წლის მე-7 ნომერში დამშვიდებული სინდისით ირწმუნება: ჯემალ ქირიამ „ჩემი შეუპოვრობის გამო“ ჯერ კიდევ 9 წლის წინათ ესე იგი, 2008 წელს, ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მინოდაო! ხოლო 2020 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ თავის ვრცელ წერილში საეჭვო სიამაყით აცხადებს: ჯემალ მეხრიშვილმა ჯერ კიდევ 2006-07 წლებში საუკეთესო კრიტიკოსობა და... ჟურნალის რედაქტორობა მინინასწარმეტყველაო!

ღმერთის წინაშე ყველა საფიცარს ვფიცავ, მსგავსი ტუტუ-ცური წინასწარმეტყველების აზრი არ შეიძლება დამბადებოდა, ვინაიდან არ არსებობდა ამის არანაირი საფუძველი და ეს ყველაფერი რაღაც უკადრისი განაზრახით გზადაგზა შეხანსლული ცოცხალი ტყუილია, მაგრამ რა ვქნა – მეც სტრასბურგის სასამართლოში ხომ ვერ ვიჩივლებ?!

აქ გასაჩხრეკი სულ სხვა რამეა!!! აბა, დაუფიქრდით: თუკი ჯემალ ქირიამ 2008 წელს იკა ქადაგიძეს გაუტეხელი საბჭოთა მზვერავი ქალისა თუ ოლიმპიელი მორბენალის დამახასიათებელი „შეუპოვრობისთვის“ ქართული მწერლობის ჟანა დ'არკი საჯაროდ უწოდა, ხოლო უბედურმა ჯემალ მეხრიშვილმა 10-12 წლის წინათ საუკეთესო კრიტიკოსობა და ... ჟურნალის რედაქტორობა „ლიად“ უწინასწარმეტყველა, სადაც სამართალია, ეს ყველაფერი 2017 წლის ივლისში გამოსულ „ისინდის“ პირველივე ნომერში არ უნდა თქმულიყო!!! თანაც თვით ამ მწერლების პი-

რით, მოკლე-მოკლე, ცოცხალ ინტერვიუებში – რომ იკა ქადაგიძემ გაამართლა თავისი ჟანაღ'არკისებური „შეუპოვრობა“ და 10-12 წლის წინათ ნაწინასწარმეტყველები: ის საუკეთესო კრიტიკოსი და... ჟურნალის რედაქტორი გახდაო!

ყოველივე ამას ახალგამოსული ჟურნალის პირველივე ნომერში უფრო მეტი დამაჯერებლობა და მკითხველი საზოგადოების თანადგომა არ ექნებოდა?!

მაშ, ჟურნალის ნომრებს რაღას აცდევინებდა იკა ქადაგიძე?! გასაკვირია, ჯემალ ქირია რაღა მაინცდამაინც სწორედ 2019 წლის შემოდგომას, ჟურნალის მე-7 ნომრისთვის განკუთვნილი წერილის წერისას თუ ამავე წერილში, ცოტა მოგვიანებით, ვითომ ათიოდე წლით უფრო ადრე თავისი გაჟანაღ'არკების „დამამტკიცებელი“ ორი სტრიქონის ხელოვნურად ჩაკვებისასღა „გაახსენდა“, როცა ჯემალ მეხრიშვილის მიერ 2019 წლის შემოდგომის დადგომისთანავე მიძღვნილი წიგნის ავტოგრაფით მოსვენებადაკარგულს, თავის ჟანაღ'არკობასთან ჯიბგირული ხიმანის გარდა თურმე სხვა არაფერი ახსოვდა და აგონდებოდა?! ანდა „ლიტერატურული საქართველოდან“ გამოძევებული ჯ. მეხრიშვილი იქნებ არც „ისინდის“ რედაქციას გაჰკარებოდა და მაშინ იკა ქადაგიძეს რაღა ეშველებოდა: ორი ჯემალის – ქირიასა და მეხრიშვილის – ამგვარი საარაკო შეფასებები ქართული ლიტერატურის უახლეს ისტორიას ნუთუ უნიშანგემოდ უნდა დაჰკარგოდა?! თუმცა მეც რა ყვეყნურად ვმსჯელობ! მაშინ აიღებდა და სხვა მწერლებს მიაწერდა – იკა ქადაგიძეს ეს გაუჭირდებოდა?!

და მაინც დაუჯერებელია – იკა ქადაგიძეს ეს როგორ შეეშალა! მით უმეტეს, ჟურნალის მე-13 ნომერში, მე-9 გვერდის პირველი სვეტის მე-21-23 სტრიქონებიდან აგერ, რას იუნყება (სტილი ხელუხლებელია)!

**„...ავტორებს სანთელივით გაფრთხილება რომ ესაჭიროებათ, გავკადნიერდები და ვიტყვი, ნამდვილად არ მესწავლება!“**

მკითხველებს ბოდიშს მოვუხდი ერთი და იგივეს მრავალჯერ გამეორებისთვის, მაგრამ მეტი გზა აღარ დავგვრჩენია – იკა ქადაგიძემ იმნაირ ლაბირინთებში შეგვიტყუა, იქიდან თავდასაღწევად ბევრი რამის მოთმენა და ატანა მოგვიხდება!

მოკლედ, 2019 წელს, ჟურნალის საიუბილეო მე-7 ნომრის მე-6, უსვეტებო, მთლიან გვერდზე, ბოლოდან მე-13-14 სტრიქონებში იკა ქადაგიძე თავმომწონედ აცხადებს – **ღვანლმოსილმა მწერალმა, ბ-მა ჯემალ ქირიამ „ჩემი შეუპოვრობის გამო“ 9 წლის წინათ ქართული მწერლობის ჟანა დ’ არკი საჯაროდ მიწოდაო!**

უნოდა და უნოდა – ძალიან კარგი! ესე იგი, რაკი საჯაროდ უწოდებია, თავისთავად ცხადია, ეს მთელ ქართველ მწერლობასაც ეცოდინებოდა!

ალაჰმა უწყის, იკა ქადაგიძე „ღვანლმოსილი“ ჯემალ ქირიას ავტორიტეტისა და ამგვარი ომახიანი ზედწოდებისაგან მაინც რას გამოელოდა, მაგრამ ცხადი ხდება – 10 წლის მანძილზე უშედეგო თუ უაზრო ანგარებიანი მოლოდინით გაბეზრებულ იკა ქადაგიძეს „ღვანლმოსილი“ ჯემალ ქირიაც მოუმწვანაილებია და 2019 წელს თავისი ნათქვამის წლისთავზე! – 2020 წელს „ისინდის“ მე-10, ისევ საიუბილეო (!!) ნომრის მე-11 გვერდის პირველი სვეტის ბოლოდან მე-11-15 სტრიქონებიდან თავანყვეტილი დემაგოგ-შარლატანისებურად აგერ, ახლა რის დაჯერებას გვაძალეხს!

**„ჩემმა თანაგუნდელებმა თითქოს უცბად აღმოაჩინეს ჩემი შეუპოვრობა და უწყვეტი ბრძოლისუნარიანობა, რისთვისაც კეთილსინდისიერმა თანამოკალმეებმა მწერლობის ჟანა დ’ არკი ერთხმად მიწოდეს“.**

### 30

**ამგვარი უპასუხისმგებლო ნაჯექუკუჯექობით იკა ქადაგიძე მხოლოდ ოპონენტებსა და მის უნდო ნათქვამ-საქციელზე გულაყრილ მკითხველებს იმრავლებს, მეტი არაფერი!**

როგორც „ისინდის“ მე-7 ნომრიდან გვეუწყა, იკა ქადაგიძის გაუგონარი **„შეუპოვრობა“** 2008 წელს პირველად ხომ სწორედ ჯემალ ქირიას აღმოუჩენია და როგორც თვითონვე იფიცება, ქართული მწერლობის ჟანა დ’არკის წოდებაც – ოღონდ ერთადერთი გამონაკლისის სახით!!! – საჯაროდ მასვე მიუნიჭებია!

მაშ, იგივე იკა ქადაგიძე „ღვანლმოსილ“ ჯემალ ქირიას ახლა რალა მიზნით ართმევს თავისივე ხელით ნაბოძებ პირველმწოდებლის დაფნის გვირგვინს და სულ ფოთოლ-ფოთოლ უნაწილებს და იმადლიერებს ჟურნალ „ისინდის“ დაარსებისას (2017, ივლისი) შემოკრებილ „თანაგუნდელებსა“ და „კეთილსინდისიერ თანამოკალმეებს“, რომელთა გვარ-სახელებსაც კი არ ამხელს, ქართული მწერლობის უახლესი ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით რომ შეეცანათ!

თან ერთი დააკვირდით, რა მომხდარა: იკას „შეუბოვრობა და უწყვეტი ბრძოლისუნარიანობა“ (სამწუხაროდ, თავის დროზე ჯემალ ქირიას ან ვერ შეუნიშნავს ქართული მწერლობის მომავალი ჟანა დ' არკის ეს „უწყვეტი ბრძოლისუნარიანობაც“ ანდა განდიდების მანიით დავთრებდაფანტული იკა ქადაგიძის ჩვეულებრივი უსაფუძვლო ნაეშმაკარია!) რედაქტორის „თანაგუნდელებს“ „თითქმის უცბად“ კი აღმოუჩენიათ, მაგრამ თავიანთი აღმოჩენის ეპოქალურ მნიშვნელობას მაშინვე ვერ ჩასწვდომიან ანდა მისი გასაჯაროება ვერ მოუსწრიათ და აგერ, მათი აღმოჩენის უსინდისოდ მიმთვისებელ „კეთილსინდისიერ თანამოკალმეებს“ იკა ქადაგიძისთვის პირველებს (!) უწოდებიათ მწერლობის (აღბათ, ქართული მწერლობის... თუ მთელი თანამედროვე მსოფლიო მწერლობის?) ჟანა დ' არკი!!!

კეთილი, ეს „თანაგუნდელები“ და „კეთილსინდისიერი თანამოკალმეები“ ერთი და იგივე პიროვნებები არიან?! მაშინ რალა საჭირო იყო წინადადებების ამგვარად გაბარჯღვა და აზრის გაბუნდოვნება – ეს მოკლედ და გასაგებად უნდა თქმულიყო: ჩემმა თანაგუნდელებმა ან კეთილსინდისიერმა თანამოკალმეებმაო! თან ეს „კეთილსინდისიერი თანამოკალმეები“ ძალიან შეურაცხმყოფლად ჟღერს – ისე გამოდის, თითქოს რედაქტორის თანამოკალმეთა შორის კეთილსინდისიერების გარდა არაკეთილსინდისიერებიც ყოფილან, რომლებიც წინ აღსდგომიან იკა ქადაგიძის ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად გამოცხადებას და მხარი მხოლოდ „კეთილსინდისიერ თანამოკალმეებს“ დაუჭერიათ!

თუგინდ უმარტივესი აზრის გამოტანის შესაძლებლობასაც კი არ იძლევა იკა ქადაგიძის მიერ თავის ამ პატარა ციტატაში უაზ-

როდ ნახმარი – ჩემმა თანაგუნდელებმა „თითქოს უცბად“ აღმოაჩინესო! რას ნიშნავს ან განამებულმა მკითხველმა როგორ წარმოიდგინოს ყველა თანაგუნდელის მიერ იკას ჟანაღ'არკობის „თითქოს უცბად“ აღმოჩენა?! ეს რანაირად უნდა მომხდარიყო?! ანდა თვითონ იკა ქადაგიძემ საიდან და როგორ გამოთვალა და დააზუსტა თავისი თანაგუნდელების მიერ მისი ჟანაღ'არკობის „თითქოს უცბად“ აღმოჩენის პროცესი?! მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რას ნიშნავს ნაწილაკი „თითქოს“: **რაც სინამდვილეში არ არის, რაც ჰგავს, მოგვაგონებს რასმე, – ვითომდა, ვითომც!**

მკითხველების მხატვრულ გემოვნებასა და თავმოყვარეობას ასევე შეურაცხყოფს ამავე ციტატაში ირაო საქონელივით შემთხვევით შემოხეტებული სიტყვაც **„ერთხმად!“** კი მაგრამ, ეს როგორ უნდა იქნეს გაგებული: „კეთილსინდისიერმა თანამოკალმეებმა“ ნუთუ საკითხი საბჭოთა წყობილების პარტიული კრების მსგავსად ღია კენჭისყრაზე დააყენეს და იკა ქადაგიძეს ქართული მწერლობის ჟანაღ'არკი **„ერთხმად“** უწოდეს?!

ამგვარ სცენასა თუ პროცესს თვითგანდიდების მანიით დავთრებდაფანტული ავტორის გარდა რომელი ჭკუათამყოფელი მკითხველი დაიჯერებს?!

## 31

**ნათქვამია**, ტყულის მთქმელს კარგი მახსოვრობა უნდა ჰქონდესო! ჰო, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა მახსოვრობა-მეხსიერება, არამედ მოურეველი განდიდების მანიის საბედისწერო აღვირანყვეტილობა, რომელიც თავის თავგზადაკარგულ მსხვერპლს რაღას არ წამოატორტლინებს და რას არ ჩაადენინებს ხოლმე!

ამაში კიდევ ერთხელ (ვინ იცის, მერამდენედ!) დარწმუნდებით!

2020 წლის 18 ოქტომბერს მწერალი **ჯემალ ქირია** გარდაიცვალა. მარსიანმა და იკა ქადაგიძემ „ისინდის“ შემდეგივე, მე-12 ნომერში გვერდიგვერდ სასწრაფოდ გამოაქვეყნეს გარდაცვლილ მწერალთან დაკავშირებული მოგონებები – **„ჯემალ ქირიას სსოვნას“**.

მარსიანის წერილს „ჩვენი ჯემალი“ (20.10.20) ჟურნალის ერთი გვერდი უჭირავს, იკა ქადაგიძის მოგონება კი „მარადი მხედრის“ ნოსტალგია“ (19.10.20) ჟურნალის ორ გვერდზეა განთავსებული.

\* \* \*

მარსიანის ამ მოგონების „ჩვენი ჯემალი“ ერთმა ადგილმა გამაკვირვა, მაგრამ ეს მკითხველებისთვისაც გასაგები რომ გახდეს, „ისინდის“ 2019 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილი მისი წერილიდან „პოეზიის დიდი დევნილობა“ ზოგიერთი ამონარიდის მოყვანა დამჭირდება.

„როცა ქალბატონ უფროს რედაქტორს კამათში მეტისმეტად შევეყევი, თავგაბეზრებულმა და გაღიზიანებულმა ასეთი რამ მომხახლა: კი, ბატონო, გენიალურია შენი ლექსები, მაგრამ მე არ მესმის და არ მომწონსო! (გასაკვირია იმ უფროსი რედაქტორ-ქალბატონის მსჯელობა: თუკი მარსიანის ლექსები არ ესმოდა და არც მოსწონდა, აბა, რის საფუძველზეა აღიარებდა ამ ლექსების გენიალობას?! ჯ.მ.)“.

„ერთმა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ასევე დიდად ნიჭიერმა... პოეტესამ ჩემი რომანის „ანამაისი“ წაკითხვის შემდეგ თურმე ზურგს უკან განაცხადა - „ასე ხომ ჯოისმა უკვე დაწერა! (უნდა იყოს „... პოეტესას ჩემი რომანის „ანამაისი“ წაკითხვის შემდეგ ჩემ ზურგს უკან განეცხადებინა - ასე ხომ ჯოისმა უკვე დაწერაო“. ჯ. მ.)“.

„არც ჩემს მეორე რომანს (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), „პეპლობის თვე“ აყარა კარგი დღე“.

„ერთმა კიდეც, ჩემგან ლამის გენიალურ პოეტესად აღიარებულმა რომანი „ანამაისი“ რომ წაიკითხა, შესაშური პირდაპირობით მომხახლა: „არა, სულაც არ მომწონს თქვენი „ანამაისიო“... ხოლო მეორე რომანზე „პეპლობის თვე“ კიდეც უფრო შესაშური პირდაპირობით მკითხა - „ეს, საერთოდ, რისთვის დაწერეთო?!“...“

„სხვათაშორის, „ჩიტმა ენა მომიტანა“ - იმ უმცროსს რედაქტორს უთქვამს (უნდა იყოს „სხვათა შორის, ჩიტმა ენა მომიტანა - იმ უმცროს რედაქტორს (რომ) ეთქვა“. ჯ.მ.) - „ამათმა გენიოსობამ ხომ მომკლაო!“ ისეთ სიტუაციაში თუ კონტექსტში

უთქვამს ეს, რომ დიდი ალბათობით მე მგულისხმობდა თურმე. (უნდა იყოს „ეს ისეთ სიტუაციასა თუ კონტექსტში ეთქვა, რომ დიდი ალბათობის თურმე მე მგულისხმობდა“. ჯ.მ.)“

„როცა ჩემი პოეტური თუ პროზაული ნაკალმევის (?! ჯ.მ.) მიმართ კოლეგების ჯიუტი დუმილი ყელში ამომივიდა, თვითონვე დავწერე რამდენიმე წერილი ჩემს ნაწარმოებებზე და ეს ნაწარმოებები იმგვარადვე გავანალიზე და შევაფასე, როგორც სხვათა შემოქმედებას ვაანალიზებდი და ვაფასებდი (აქ უნდა ნაწილაკი ხოლმე. ჯ.მ.) - გულწრფელად, თამამად (უნდა იყოს გაბედულად. ჯ.მ.) და ვფიქრობ, ობიექტურადაც. მაგრამ ჩვენი ქართული ლიტერატურული საზოგადოებისთვის ამგვარი საქციელი ლამის შოკისმომგვრელი (უნდა იყოს შოკის მომგვრელი. ჯ.მ.) აღმოჩნდა - როგორ თუ საკუთარ თავზე წერ, ეს თვითგანდიდებააო! ერთმა ლიტერატორმა მიჩრია - რასაც შენი რომანების წინასიტყვაობაში წერ, ჯობს, სხვამ დაწეროსო; (უნდა იყოს „სჯობდა, სხვას დაენერაო“; ჯ.მ.), მეც ვიცი, ბატონო, რომ ეგრე სჯობს (უნდა იყოს „ასე აჯობებდა“. ჯ.მ.), მაგრამ რომ არავინ წერს-მეთქი?

რატომღაც ჩვენში არავის ახსენდება, რომ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), მაგალითად, თომას მანი საკუთარ ნაწარმოებებს პროფესიონალურად (უნდა იყოს პროფესიულად. ჯ.მ.) ანალიზებდა და განმარტავდა, ელიოტი ვრცელ კომენტარებს ურთავდა თავის პოემებს, ტოლსტოი პირდაპირ აცხადებდა - „ომი და მშვიდობა“ - ეს მეორე „ილიადასავითააო“, გალაკტიონი თავს პოეზიის მეფედ თვლიდა.

ამაზე, ვიცი, ზოგიერთები იტყვიან - ისინი თომას მანი, ელიოტი, ტოლსტოი და გალაკტიონი არიანო!

მე კიდევ მარსიანი გახლავართ, ბატონო ჩემო!

არ მეეჭვება, რომ თქვენ იცნობთ თომას მანსაც, ელიოტსაც, ტოლსტოისაც და გალაკტიონსაც, მაგრამ არ იცნობთ და არც გსურთ იცნობდეთ თქვენს გვერდით (უნდა იყოს „თქვენ გვერდით“. ჯ.მ.) მყოფ მარსიანს!..

აქამდე მხოლოდ ორ პიროვნებაზე გიყვებოდით, მაგრამ სხვაც არაერთი მაგალითი მახსოვს არაკოლეგიალობის (უნდა იყოს არაკოლეგიურობის. ჯ.მ.), უმადურობის, ეგოიზმისა და მისთანების, ჩვენს ძვირფას კოლეგებს რომ გამოუმჟღავნებიათ“...

აქ მარსიანს ყველაფერს ვუხვდები და გულწრფელად თანავუგრძნობ, როგორც მწერალს, როგორც ადამიანს, მაგრამ აი, რა მაკვირვებს!

მარსიანი თავის მოგონებაში „ჩვენი ჯემალი“ ერთგან აგერ, რას წერს.

**„იმ ხანებში ჯემალი დანიშნეს ზუგდიდში მწერალთა კავშირის მდივნად და ხანდახან, თბილისისკენ მიმავალი, შემოგვივლიდა ხოლმე რედაქციაში (უნდა იყოს „იმ ხანებში ჯემალი დანიშნეს საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის მდივნად და ხანდახან, თბილისისკენ მიმავალი, რედაქციაში შემოგვივლიდა ხოლმე“. ჯ.მ.). სხვათაშორის (უნდა იყოს სხვათა შორის. ჯ.მ.) იმხანად „განთიადში“ ჩემი რომანი „ანამაისი“ დაიბეჭდა. ჯემალმა ჟურნალში მთელი წლის მანძილზე დაბეჭდილი პროზის მიმოხილვა გააკეთა (უნდა იყოს „პროზაული ნაწარმოებები მიმოიხილა“. ჯ.მ.) და ჩემს რომანს კარგი შეფასება მისცა“.**

გიშველათ ღმერთმა!

ისეთ „ღვანლმოსილ“ მწერალს, როგორც **ჯემალ ქირია** იყო, რაკი თავის დროზე მარსიანის ამ რომანისთვის **„კარგი შეფასება“** მიუცია, მაშინ ეს უკანასკნელი ასე გულმტკიცენეულად რაღას უჩივის განზრახ გაყრუმუნჯებულ ზოგიერთ თავის კოლეგას, საკუთარი თავისა და საკუთარი შემოქმედების გარდა სხვა რომ არაფერი ხსომეზიან! ამიტომ დროთა განმავლობაში მარსიანს ჯემალ ქირიასთვის - თანაც, როგორც ამ მოგონებებიდან ჩანს, როგორი თბილი ურთიერთობა ჰქონიათ! - კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილად უნდა ჩამოეყალიბებინა მის რომანზე ზეპირად თქმული **„კარგი შეფასება“** და სადმე დაებეჭდათ კიდეც!

ეს მართლა ასე რომ მომხდარიყო, ფარდა აეხდებოდა მარსიანის ზოგიერთი თავშეყვარებული კოლეგის კრიტიკულ-პუბლიცისტური აზროვნების სიბეცესა თუ მათ დასაძრახ შურიანობას! და რაც ყველაზე მთავარია, ჯემალ ქირიას იმ სავარაუდო წერილს შესაძლოა სულ ახალ საფეხურზე აეყვანა ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება, თანამედროვე რომანთან მიდგომის ნოვატორული სტილი და მეთოდი!

რაც უნდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, ჯემალ ქირიასთან დაკავშირებით ზუსტად იგივე შეცდომა, წინდაუხედაობა თუ ბავშვური მოუაზრებლობა მეორდება იკა ქადაგიძესთანაც, თავმომწონედ რომ იუნყება: ჯემალ ქირიამ ჩემი „გახმაურებელი“ კრიტიკულ-პუბლიცისტური ნიგნები „გულდასმით ნაიკითხა“ და „უმალღესად შეაფასა“-ო!

სხვა გზა აღარ დამრჩენია, ახალბედა ლიტერატორების საყურადღებოდ ჩემებურად უნდა განვმარტო. მსგავს შემთხვევაში არაფერია მოსარიდებელი, დასაძრახი ან სამარცხვინო, რათა რამედ ღირებულ ლიტერატორს მოკრძალებით ვთხოვოთ: რომელიმე ჩვენთაგანის ნაწარმოებზე გულწრფელად გამოთქმულ დადებით ზეპირ შეფასებას - თანაც საჯაროდ! - ბარემ წერილობითი სახეც მისცეს!

აქ მთავარი ის კი არ არის, მომავალი სავარაუდო სტატიის შინაარსი მაინცდამაინც ვის ნაწარმოებზე იქნება აგებული, არამედ გარედან ყოველგვარი შეფარული თუ აღსაშფოთებელი დანამუსება-ძალდატანების გარეშე, მხოლოდ საკუთარი სინდისის კარნახით ვინ, რასა და როგორ ამბობს!!!

ჰოდა, თავის მხატვრულ სამყოფელში მოსაქმე ჯემალ ქირიასაც რაკი თვითონ ვერ მოჰფიქრებია ან, ვინ იცის, საჭიროდ აღარ მიუჩნევია თუ საამისო დრო ველარ გამოუნახავს, მერე კი, ალბათ, სულაც გადავიწყებია, რა იქნებოდა მარსიანსა და იკა ქადაგიძესაც „ღვანლმოსილი“ მწერლისადმი თავის დროზე სულ მცირე, მისაღები „ძალდატანება“ გამოეჩინა და ამ მშრალი - „კარგი შეფასება“ და „უმალღესად შეაფასა“ - მაგიერ გვექონოდა სადმე დაბეჭდილი, ჯემალ ქირიას ხელიდან გამოსული წერილები, თავიანთი გონების გამხსნელი მსჯელობითა და ანალიტიკური აზროვნებით, შესაძლოა, ქართული მწერლობის კრიტიკულ-პუბლიცისტური ჟანრის ოქროს ფონდში დაედოთ ბინა!.. მაგრამ გვიანლაა თითზე კბენანი!..

\* \* \*

ახლა იკა ქადაგიძის მოგონებას მივუტრიალდეთ.

პირველ რიგში ერთი კარგად დააკვირდით რედაქტორის მოგონების მე-3 აბზაცის დასაწყისს.

**„მე ბ-ნი ჯემალი (ჯემალ ქირია. ჯ.მ.) პირადად ათი წლის წინ (უნდა იყოს წინათ. ჯ.მ.) ჩვენმა ელვარე ტალანტმა, მარსიანმა გამაცნო“.**

აბა, როგორ არ მოგერევით მუჟვე ღიმილი?! კარგი და, იკასთვის მწერალი ჯემალ ქირია მაინცდამაინც **„ელვარე ტალანტს“** კი არა, ჩვეულებრივზე უფრო ჩვეულებრივ ლიტერატორს ან თუგინდ სხვა რომელიმე პროფესიის წარმომადგენელს რომ გაცნო, ნუთუ ამნაირი გაცნობა გაცნობად არ ჩაითვლებოდა?!

მკითხველებისთვის ამგვარი მშრალი ინფორმაციის მიწვდისას, მაშ, რა მიზანს ისახავს ასაკოვანი ჩასუქებული ქალის მიერ თავისი დავინროებული კაბის ბოლოში ხიშტაკივით ჩაკერებული ეს **„ელვარე ტალანტი“** და **„ჩვენი“** ერთ-ერთი ლიტერატორის გზაგავლით დედოფლურად მომადლიერება?!

**„ელვარე ტალანტი!“** გენიოსობამდე რალა დარჩა - ამ იკასაც ეს მარსიანი ბარემ თვითონაც გენიოსად გამოეცხადებინა და ეგ იქნებოდა! მით უმეტეს, შურატანილ ერთ-ერთ უფროს რედაქტორ მანდილოსანს მარსიანისთვის ოდესღაც აგერ, რა მიუხლია: კი, ბატონო, გენიალურია შენი ლექსები, მაგრამ მე არ მომწონს და თავი დამანებო! მარსიანისავე ნაწარმოებებით დათრგუნულ სხვა უმცროს რედაქტორს, ცნობილ პოეტისას მარსიანის ზურგს უკან, ვინრო წრეში მასზე, ესე იგი, მარსიანზე მინიშნებით გადაუარაკებია - ამათმა გენიოსობამ ხომ მომკლაო!.. თუმც ეს რა მოუაზრებელი ვყოფილვარ - ამ შემთხვევაში სუბორდინაციული თანამიმდევრობა ხომ სულ აილინებოდა! ბოლო წამსლა გამახსენდა, მარსიანმა თავის წერილში „ქვიშანი...“ რომ ბრძანა - იკა ქადაგიძე მე იქნებ გენიოსად მიმაჩნიაო!

ჰოდა, რედაქტორის უერთგულეს თანამებრძოლებს გენიოსად მხოლოდ და მხოლოდ იკა ქადაგიძე უნდა მიაჩნდეთ, მერე კი ვინ უკრძალავთ ან ვინ არის დამშლელი - ერთმანეთს ლელვის ჩირივით ურიგონ საოცნებო ეპითეტები - **ელვარე ტალანტი... იშვიათი ტალანტი... ნიჭითცხებული... მალალნიჭიერი და ა.შ. და ა.შ!**

**„ელვარე ტალანტი!“** - ეხუმ... ო, დაილოცოს, ღმერთო, შენი განგება!.. ვგრძნობ, თვალს თანდათან როგორ მიხელ! იკა ქადაგიძემ აქ ეს **„ელვარე ტალანტი!“** თავისით კი არ წამოიძახა, არამედ შენ ათქმევინე, ახლა ასეთი მოსაზრება რომ დამბადებოდა!

მარსიანისავე განმარტებით, იგი არის **პოეტიც, პროზაიკოსიც, კრიტიკოსიც, პუბლიცისტიც, მხატვარიც, მუსიკოსიც!**.. იკას ამგვარ შეფასებაში კი ეჭვს რა შეგვატანინებს - ამიტომ უნდა ვირწმუნოთ, რომ მარსიანი აქ ჩამოთვლილ ყველა ჟანრში თანაბრად ავლენს **„ელვარე ტალანტს!“**

ჰოდა, იკას ასეთი შეფასებით გონს მოსული, ერთმანეთის მიყოლებით ვათვალისწინებ „ისინდის“ დაგროვილი ნომრების ილუსტრირებულ ყდებს და ახალი მოსაზრების დაბადების მოახლოება სუსტ მიწისძვრასავით მაქანავებს!

მარსიანი თავის **„ელვარე ტალანტს“** ტყუილუბრალოდ რაზე ფლანგავს რაღაც ფანტასტიკური ურჩხულ-ქვეწარმავლების, პრეისტორიული დინოზავრების, ყველასათვის ისედაც ცნობილი ციხე-კოშკების, მეტადრე კი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების აჩემებულ ხატვაზე, მით უმეტეს, როგორც წელანაც დავრწმუნდით, ბევრი არაფერი გაეგება ცხენის წელმორთულობის, მხედრის აღჭურვილობის!.. და ეს მაშინ, როცა ცხვირწინ ჰყოლია, უფრო ზუსტად კი **„ზედ წამწამზე“** სჯდომია ნებისმიერი ეპოქის ფერმწერთა ოცნება - ზემთამაგონებელი მუზა, იკა ქადაგიძის სახით მის თავზე თურმე წლების მანძილზე უშედეგოდ რომ უფარვატნია, მარსიანი კი თავისით ვერა და ვერ ხვდებოდა!!!

ჰოდა, ამაზე დიდი ქართველური დაუდევრობა თუ შორსგაუმჭვრეტელობა მეტი რაღა უნდა იყოს - **„ელვარე ტალანტს“** აქამდე აზრადაც არ მოსვლია, მსოფლიო ფერწერის საგანძურის თავის მიერვე გენიოსად მიჩნეული იკა ქადაგიძის შედეგოვანი ტილოებით გაემდიდრებინა! და რაც ყოველი მხატვრისთვის შთამაგონებელია, თვალგამჭრიახი მარსიანის აზრით, იკა ქადაგიძე თავის უმრავლეს თანამოკალმეებს თურმე **„ფიზიკური გარეგნობითაც“** აღემატება!

აგაშენათ ღმერთმა! უკვდავი ფერწერული შედეგების შექმნასაც მეტი რაღა ენდომება?!

ჰოდა, ჩოგანბადით ჭრელ პეპლებს გამოდევნებული ცელქი ბიჭუნასი არ იყოს, მარსიანიც წვრილთემიანობის დევნას თუ თავს დაანებებს და მთელ თავის დროსა და „ელვარე ტალანტს“ იკას დაუკავშირებს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, ფერწერული შედეგებით გაუკვდავებული მსოფლიოს სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის მანდილოსანთა თანავარსკვლავედს იკა ქადაგიძეც მიემატება, ხოლო თვით მარსიანი სახელგანთქმულ მხატვართა შორის დაიმკვიდრებს საპატიო ადგილს! ოღონდ იმ დიდი ფერმწერების ჩამოთვლა ვერ გამიბედავს, რათა ჟანრობრივ ან სხვა რამ უკადრის მინიშნებაში არ ჩამომერთვას! ამიტომ ეს თვით იკასა და მარსიანის გადასაწყვეტი იქნება, როგორი უნდა იყოს ნაირ-ნაირ ფერწერულ ტილოებზე ასახული „ფიზიკური გარეგნობით“ გამორჩეულის პოზა... სიუჟეტი... სტილი... დგომა, ჯდომა თუ წოლა... ვარცხნილობა... ჩაცმა-დახურვა... გარემო... ინტერიერი... ფონი... რაკურსი... კომპოზიციაც... ფერთა შეხამება... შუქ-ჩრდილის თამაში... სამკაულების სახეობა და რაოდენობა...

ჰმ! თავის სტატიას იკა ქადაგიძის მიერ ერთგან ნათქვამი ახლა მისწურად მეჩვენება.

**„მარსიანის საუცხოო ნახატები „ისინდის“ უცვლელ საფირმო ნიშნად რჩებოდა!“**

ჰოდა, მარსიანი თუ აქაც მოინადინებს, ვინ იცის, მის მიერ შესრულებული იკა ქადაგიძის ფერწერული ტილოებიც შეიძლება მსოფლიოს მრავალი სამხატვრო გალერეის „საფირმო ნიშნად“ იქცეს!

ერთი სიტყვით, მოთმინებით დაველოდოთ მოვლენების განვითარებას!

\* \* \*

**მაშ, ფეხდაფეხ მიყვებით იკა ქადაგიძის ე. წ. მოგონებას!**

თავისი გაჟანდარკების ლეგენდას აგერ, ახლა როგორ გვიგალობს! თუმც მომზადებული იყავით, რადგან თავრეტის დამსხმელია მისი ახლებური ნაგალობარი!

**„ჯემალ ქირიამ ჩემი გახმაურებული კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები გულდასმით წაიკითხა, უმაღლესად შეაფასა და**

**2010 წელს ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მიწოდდა, რაც სამწერლო სივრცემ უმაღლეს აიტაცა“.**

პირდაპირ შემადრწუნებელია, განდიდების მანიით შეპყრობილი, შუახნის ლიტერატორი მანდილოსანი აქეთ-იქით როგორ უტიფრად დაარბენინებს კეთილშობილი მკითხველის ნდობას... მის მახსოვრობას... გულისყურს... ლიტერატურულ გემოვნებას... პირად ღირსებას!.. კი მაგრამ, იკა ქადაგიძეს „ისინდის“ 2019 წლის მე-7 ნომერი რამ დაავიწყა?! იქ გამოქვეყნებულ თავის წერილში „ისინდის“ დაბადება“, 2017 წლის მარტის გადასახედიდან არ მოგვითხრობდა - ჯემალ ქირიამ „ჩემი შეუპოვრობის გამო“ 9 წლის წინათ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მიწოდაო?!

ერთი წლის შემდეგ კი ჯემალ ქირიას რატომღაც ჩამოართვა თავისი ჟანა დ' არკობის პირველმწოდებლის საპატიო ტიტული და ახლა თავის „თანაგუნდელებსა და კეთილსინდისიერ თანამოკალმეებს“ „გადააბრალა“ („ისინდი“, 2020, 10, გვ. 11, პირველი სვეტი)“ თანაც, თავისი ქუყით, აშკარად „გაუმჯობესებული“ სახით: ჯემალ ქირიას იკასთვის ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ თუ „შეუპოვრობისთვის“ ეწოდებინა, ახლა მის „თანაგუნდელებსა და კეთილსინდისიერ თანამოკალმეებს“ „შეუპოვრობისა და უწყვეტი ბრძოლისუნარიანობისთვის“ მიენიჭებინათ!!!

ეხუმრებით?! ჯერ მარტო „შეუპოვრობა“ რა არის და მას ზედ „უწყვეტი ბრძოლისუნარიანობაც“ რომ დაენონოს, არ ვიცი, ის რაღა იქნება - ასეთ პიროვნებას დედამიწის ზურგზე, ალბათ, წინ ვერავინ და ველარაფერი დაუდგება!!!

რამდენიმე თვის მერე კი, ჯემალ ქირიას გარდაცვალების შემდეგ, გაოგნებულ მკითხველებს ჟურნალის მომდევნო, მე-12 ნომრიდან იკა ქადაგიძე აი, ახლა რას აუწყებს: **ჯემალ ქირიამ ჩემი გახმაურებელი კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები გულდასმით წაიკითხა, უმაღლესად შეაფასა და 2010 წელს ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მიწოდდა, რაც სამწერლო სივრცემ უმაღლეს აიტაცაო!**

შეურაცხყოფილმა მკითხველმა ჟურნალის რომელ - მე-7, მე-10, მე-12 ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაცია ირწმუნოს: პირველი, მეორე, მესამე... თუ არც ერთი მათგანი!

მოსისხლე მტერსაც არ ვუსურვებდი ამგვარი ოპონენტის მი-  
ერ ყოველ ნაბიჯზე დაგებულ კუსტარულ ხაფანგებში დამამცი-  
რებელ ძრომიალს!...

\* \* \*

**ყველაფერს** რომ თავი დავანებოთ, იმ „გაუფრთხილებლად“  
ამოვარდნილი „აგრესორი ქარისა“ არ იყოს, იკა ქადაგიძემ ვერა  
და ვერ ისწავლა თვით უმარტივესი სათქმელის ბუნებრივად და  
რაც ბევრ, ისე ამ შემთხვევაშიც, ზრდილობიანად, სხვების პირა-  
დი შეურაცხყოფის გარეშე გადმოცემა! თან, ეტყობა, ვერც იმას  
ხვდება ან ხვდება, მაგრამ აბრუს მაინც არ იტეხს - მხატვრულ-  
ლიტერატურული აზროვნება და ამ ნააზრევის წერილობითი ჩა-  
მოყალიბება მისი საქმე რომ არ არის!

არავის ეგონოს, ცილსა ვწამებდე, რათა მანდილოსან ოპო-  
ნენტს როგორმე გული ვატკინო! არამც და არამც! ერთი დაუკ-  
ვირდით იკა ქადაგიძის ციტატის ამ ადგილს და მერე თუნდ ჩამ-  
ქოლეთ!

**„ჯემალ ქირიამ ჩემი გახმაურებული კრიტიკულ-პუბლიცის-  
ტური ნიგნები გულდასმით წაიკითხა“.**

კი მაგრამ, იკა ქადაგიძეს ვინ ეკითხება ან ეს რა მისი დასა-  
ზუსტებელ-განსასჯელია, ჯემალ ქირიამ მისი ვითომ „გახმაუ-  
რებული“ კრიტიკულ-პუბლიცისტური ნიგნები „გულდასმით“  
წაიკითხა, **გულაცრუებით, გულდამშვიდებით, გულგადასაყო-  
ლებლად, გულდანყვევით თუ თვალის ერთი გადავლებით?! იკა**  
ქადაგიძემ ან ამის დაზუსტება როგორ მოახერხა: ჯემალ ქირი-  
ას ბინაში შეუსახლდა და დღედაღამ თვალელებში შესცივინებდა  
- ჩემს „გახმაურებულ“ ნიგნებს, აბა, ერთი როგორ წაიკითხავ-  
სო თუ სპეცსამსახურის გამოცდილი აგენტების მიერ ფარულად  
დამონტაჟებული რამდენიმე ვიდეოთვალით აკონტროლებდა?!

ერთი სიტყვით, მოუწყენელი, მკითხველის ტვინის გამოსა-  
ლაყებლად გაბმული თვითგანდიდების მანიის გულშესაწუხებე-  
ლი შრიალ-ფაჩუნი!

ხედავთ, „ბასრკალმინი“, თანაც მარსიანის მიერ გენიოსობა-  
ში ეჭვმიტანილი იკა ქადაგიძე თურმე ისეთ-ისეთ ღრმააზროვან,

**„გახმაურებულ“** წიგნებსა „წერამს“, რიგით მკითხველებს ვილა დაეძებს - თვით „ღვანულმოსილი“ ჯემალ ქირიაც **„გულდასმით“** თუ არ წაიკითხავდა, ისე ვერანაირ აზრს ვერ გამოიტანდა!!!

არადა, ლიტერატურული ჟურნალის პამპლავაქ რედაქტორს ამ უმარტივეს ვითარებაში უღვლილების სწორი ფორმაც კი ვერ შეურჩევია: უნდა იყოს **„წაკითხა“** და არა **„წაიკითხა!“** მაგრამ რა საჭიროა პირველი ან მეორე ფორმა, როცა შეიძლებოდა მოკლედ და გასაგებად თქმულიყო - ჯემალ ქირიამ ჩემს წიგნებს მაღალი შეფასება მისცაო და მორჩა! ბრძენი მკითხველი ამ გრაფომანუ-ლი ჩიჩინის გარეშეც მიხვდებოდა: ჯემალ ქირიას თუ ნებისმიერ პიროვნებას მავნის წიგნები წაკითხული თუ არ ექნებოდა, აბა, ისე **„უმალღესად“** როგორ შეაფასებდა?!. ან ეს რანაირი ტერმინია - **„უმალღესად“** შეფასება?.. თანაც ამ თავის **„გახმაურებულ“** კრიტიკულ-პუბლიცისტურ წიგნებს ი. ქადაგიძე დიდი რიხით კი ახსენებს, მაგრამ სახელწოდებებსა და გამოცემის წლებს არც ასახელებს - დაინტერესებულ მკითხველებს მათი მოძიება რომ გაადვილებოდათ!.. ანდა, ამ **„გახმაურებულ“** წიგნებში იმისთანა მაინც რა წერია, ჯემალ ქირიასთვის მაშინვე იკას ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად გამოცხადების იდეა რომ შთაუგონებია - ბოლოს და ბოლოს, ჟანა დ' არკას კრიტიკულ-პუბლიცისტურ ლიტერატურასთან რა აკავშირებდა?!

გაგონილა უტყუარი ისტორიული ფაქტების შვინდის წკეპლასავით ასე სათავისოდ გრეხა?!..

ანდა, იკა ქადაგიძის ეს კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები სად, როდის, ვისგან და რა ფორმით **„გახმაურდა?“**. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და უსაფუძვლოდ პოპულარობამონყურებული იკა ქადაგიძე უკადრისი ამბიციების ჩასაამებლად თავის ტექსტებს „ისინდის“ ფურცლებიდან გრაფომანული დაჟინებით **„ახმაურებს“** ან **„აფეთქებს!!!“**

გაიხსენეთ თუგინდ მისი **„რეკორდულად გახმაურებული“** ლექსი „მოდმე“, რომლის უსაფუძვლო ხობტა-ქებით მკითხველები ლამის ჯვარს აცვან!.. ახლა არის და შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, ეს თავისი კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები რომ **„გაახმაუროს!..“**

აბა, გინდ ამას მოუსმინეთ.

**„ჩემი ყუმბარა-სტატიის დაგემოვნებისთანავე ბ-ნი კ.ც. (ცნობილ მრავალმხრივ შემოქმედს მე მხოლოდ ინიციალებით მივანიშნებ, იკა ქადაგიძე კი მას სრული გვარ-სახელით ასახელებს! ჯ.მ.) იმდენად აღელდა... გუნდიდან გასვლის განცხადება... ჩემკენ უმაღ აფრინა“.**

კიდევ გინდათ მსგავსი მაგალითი? ინებეთ! იკა თავის რომელიღაც წერილს აი, როგორ აფასებს („ისინდი“, 2019, 8, გვ. 7, მეორე სვეტი).

**„სოციალურ ქსელში ბომბივით რომ აფეთქდა!“**

უჰ, კიდევ კარგი, იკა ქადაგიძის ამ წერილის ბომბივით აფეთქებას სოციალური ქსელი სამუდამოდ მწყობრიდან რომ არ გამოუყვანია, თორემ რაღა ეშველებოდა მთელ მსოფლიოს?!

მოკლედ, როცა საკითხი საკუთარ მასალებს ეხება, იკა ქადაგიძეს დიდი სამამულო ომისდროინდელი პარტიზან-დივერსანტი რუსი ქალივით სულ ბომბები... ყუმბარები... ჭურვები... გახმაურება... აფეთქება და მისთანანი ელანდება! ამიტომ რაც თავისი პიროვნული განდიდებისთვის გონებაში წამოუტივტივდება, ჟურნალის ნომრიდან ნომერში განუხჯელად ბეჭდავს, რათა თავისი ლეგენდის წარმოსახვითი კოშკი იქნებ როგორმე კიდევ აიმაღლოს! ჰო, მაგრამ რისთვის - ასე თვალდათვალ და ძალდაძალ შეხანხლული ტყუილები კარგს რას მოუტანს?!

კარგს არაფერს, მაგრამ რა ქნას, თუკი თავის აკვიატებულ წარმოდგენებს ვერ შელევია ანდა ველარ მორევია!

თავგადადებული რედაქტორი ამაში ახლა ერთი ისეთი მაგალითით დაგვარწმუნებს, რომლის მსგავსი თანამედროვე მსოფლიო მწერლობის კი არა, შეიძლება კაცობრიობის ისტორიასაც არ ახსოვდეს!

ამრიგად, თავის გაჟანად'არკებასთან დაკავშირებით იკა ქადაგიძეს „ისინდის“ მე-7 ნომერში რაც „დაავინყდა“ (რას იზამთ, ასაკს მაინც თავისი მიაქვს!), ის ჯემალ ქირიას გარდაცვალებისთანავე თანდათან... „ახსენდება“ (ეტყობა, ესეც ასაკობრივი კაპრიზებია!). მოუსმინეთ!

**„ჯემალ ქირიამ 2010 წელს ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მიწოდა, რაც სამწერლო სივრცემ უმაღ აიტაცა“.**

**„რაც სამწერლო სივრცემ უმაღლეს აიტაცა!“** - გესმით, გაიგონეთ, გაიაზრეთ, ეს რას ნიშნავს?!

იკა ქადაგიძის ამ ბოლო წინადადებათა თვალისაბოლოოდ ამიხილა - აქამდე რომ მეგონა, უშეღავათო პაექრობაში ჩაბმული პირმთქმელი ერთ-ერთი მამელუკ-ოპონენტი ვარ-მეთქი, თურმე ქარის წისქვილთან უაზროდ მოლაზღანდარე, ერთი აბუჩადაგდებული ლიტერატურული დონე კიხოტი ვყოფილვარ! ამიტომ აქ, ჩემი აზრით, ლიტერატურულ ოპონენტ(ებ)თან ერთად ანდა მათზე უფრო მეტად კომპეტენტური კონსილიუმი აუცილებელი - შუახნის ლიტერატორი მანდილოსნის ამგვარი მსჯელობა და წარმოდგენები როგორ განიმარტება სამედ... სამეცნიერო სახელმძღვანელოებში!

ჯერ ერთი, ამ ყურით მოთრეული რაღაც **„შეუპოვრობის“**, **„უნყვეტი ბრძოლისუნარიანობისა“** თუ ვითომ **„გახმაურებული“** კრიტიკულ-პუბლიცისტური ორი წიგნისთვის იკა ქადაგიძეს ქართული მწერლობის ჟანა დ'არკს ჯემალ ქირიასნაირი „ღვანულმოსილი“ მწერალი კი არა, ახალგამომცხვარი ლიტერატორიც კი ვერ უწოდებდა, ვინაიდან ეს ყველაფერი არამცთუ მსგავსი შედარების საფუძველს, არამედ ამგვარი აზრის გაღვებების საცდურსაც კი ვერ წარმოშობს!.. მაგრამ აქ სულ სხვა რამეა შემადრწუნებელი: მთელი საქართველოს **„სამწერლო სივრცეს“** ეს ყველაფერი **„უმაღლეს“** რა მიზეზით, რის საფუძველზე და რაც ყველაზე გამახებებელია, ასე ელვისებურად რანაირად უნდა **„აიტაცებინა?!“**

მაშ, განდიდების მანიით თავტანდაკარგულ იკა ქადაგიძეს როგორ სურს, მკითხველებს წარმოადგენინოს ამ აქამდე გაუგონარი აღვირანყვეტილი მონაჩმახის პროლოგი და პროცესი?!

მეტი დამაჯერებლობისთვის ჯერ გავიხსენოთ, რას ნიშნავს ზმნისართი **„უმაღლეს-ჩქარა, სწრაფად, მალე; იმნამსვე!“**

**ატაცება? - უეცარი, სწრაფი მოწონება.**

ახლა დავაზუსტოთ, რას ნიშნავს იკას მიერ ნახმარი ტერმინი **„სამწერლო სივრცე“**.

საქართველოს **„სამწერლო სივრცე“** ანუ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი სტრუქტურულად აერთიანებს

აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და იმერეთის, შიდა ქართლის, რუსთავისა და ქვემო ქართლის, ცხინვალის, თელავის, მცხეთა-მთიანეთის, სიღნაღისა და სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციებს!

ამას დაუშვამათ დედაქალაქსა და რეგიონებში მცხოვრები მწერლები, სხვადასხვა მიზეზით საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრები რომ არ არიან და მაშინ, ალბათ, მიახლოებით მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ეკა ქადაგიძის მიერ ნახმარი ტერმინის, „სამწერლო სივრცე“ რიცხოვრივი შემადგენლობა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სიჭრელე!

ამრიგად, იკა ქადაგიძე ხანმოკლე საგამოცდო ვადით აყვანილი ლიტმუშაკივით ვერ დაიჩვილებს: სტატიაში მე სხვანაირად მწერა, მერე კი განყოფილების გამგეს ან თვით რედაქტორს ჩემთან შეუთანხმებლად გადაუკეთებ-გადმოუკეთებიათო! ასე რომ, რედაქტორი თვითონ ბრძანდება და სხვას ვერაფერს გადააბრალებს!

ჰოდა, მკითხველებს ერთი მოკლედ და კეთილსინდისიერად განუმარტოს: მთელი საქართველოს „სამწერლო სივრცის“ მიერ ამგვარი გაუგონარი არაკის „უმალ ატაცება“ თვითონ იკა ქადაგიძემ როგორ დაიდასტურა?! ანდა ასეთი ზღაპრული გამონაკლისი რა ფორმით არის უკვდავყოფილი ქართული მწერლობის უახლესი ისტორიის საბუთებში?

ერთი სიტყვით, ასე უტიფრად მონაჩმახის - საქართველოს „სამწერლო სივრცის“ მიერ „ატაცება“ არც „უმალ“ და არც მოგვიანებით არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო! ეს მხოლოდ ამისთანებში გაბეჯითებული იკა ქადაგიძის მორიგი დემავოგიური ფანდია და მეტი არაფერი!

ჩემი სიმტყუვნისთვის თვალი გადაავლეთ აქამდე გამოსული „ისინდის“ ნომრებში დაბეჭდილ რედაქტორის ვრცელ წერილებს - იკა ქადაგიძე დაუსრულებლად უჩივის ქართულ მწერლობაში ფესვგადგმულ შურს, კლანურობას, შენჩემ(ა)ობას, მწერლურ მაფიას, ძმაბიჭობას, დაუნახობას, გამორჩეულისადმი საყოველთაო გაყრუმუნჯებას... ამ შემთხვევაში მარტო მისი დანაკვეხი რად ღირს!

„ყველაზე მებრძოლი კრიტიკოსის სახელი მწერლების ზვიგენებთან და მათ კლანებთან დაპირისპირებით უწყვეტი რისკის ფასად მოვიხვეჭე“.

თუმც რედაქტორის ამგვარი ციტატები აქა-იქ რატომ უნდა ვეძებოთ, როცა ჯემალ ქირიას ხსოვნისადმი მიძღვნილ იკა ქადაგიძეს ამ „მოგონებიდან“ ამოკრეფილი „მარგალიტებიც“ იკმარებს. მაშ, ხელახლა მოვისმინოთ!

„ჯემალ ქირია არც ნიჭით, სტილითა და ცხოვრების წესით ჰგავდა „ჩალიჩა“ თანამოკალმეებს, რომლებიც უდიდეს ენერჯიას (აღბათ, ენერჯიის უდიდეს ნაწილს, არა?! ჯ.მ.) პირადი კეთილდღეობის, პრემიების მოხვეჭის აზარტსა და გავლენის მოპოვებას უწყვეტად რომ ახმარდნენ...“

„მარიფათიანი კოლეგების გვერდით გამორჩეული შემოქმედი დიდხანს ჩრდილში მოექცა... აკი ხშირად უბოროტოდ ხუმრობდა, ამდენი კავშირისა და კლანის გადამკიდე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ცოცხლად დამარხულს ვგავარ, საუკუნეა არსად დავბეჭდილვარ და რადგან მლიქვნელობა არ მომდგამს და რედაქციების კარს არ ვუტალახებ (უნდა იყოს „არავის ვუტალახიანებ“. ჯ.მ.), არც არავის ვაცოდებ ან ვაბეზრებ თავს (უნდა იყოს „რაკი თავს არავის ვაცოდებ ან ვაბეზრებ“. ჯ.მ.), მხოლოდ ასაკოვან და წესიერ (წესიერ?! ჯ.მ.) მკითხველებს თუ გავახსენდები“.

„აღშფოთებულ მარსიანს აღმოხდა: ასეთი ხალასი, მაღალი დონის მწერალი სამწერლო სივრციდან როგორ გამოტოვესო! საუბედუროდ, ლიტერატურული ჯუნგლების შერჩევითი გარემო ამგვარ კაზუსს ხშირად უშვებს... ნომენკლატურის (უნდა იყოს ნომენკლატურულ. ჯ.მ.) ნებიერ „კლასიკოსებს“ ნამდვილი მწერალი მუდამ თვალში ეჩხირებათ“.

რედაქტორის ამ ამონარიდების მიხედვით აი, რანაირი ატმოსფერო სუფევს თანამედროვე ქართულ მწერლობაში! ჰოდა, ახლა თავად მკითხველებმა განსაჯონ: ამგვარ სახიფათო ვითარებაში ჯემალ ქირია იკა ქადაგიძეს ასე უსაფუძვლოდ და ცამონმენდილზე, თანაც საჯაროდ(!) ქართული მწერლობის ჟანა დ'არკად გამოაცხადებდა?! ეს ხომ იგივე იქნებოდა, „ღვანლმოსილ“ მწერალს ერთი რიგითი ლიტერატორი მანდილოსანი, მაპა-

ტიეთ და, ქართული მწერლობის სისხლმონყურებული ზვიგენებისა და კლანელებისთვის გასაფათრავად მიეგდო!!!

სამწუხაროდ, იკა ქადაგიძეს თავისივე ნათქვამი იმავნამიერად ავიწყდება ხოლმე, ანდა როცა საკითხი მის პიროვნულ განდიდებას ეხება, არასდიდებით არ სურს შესმენა: მისივე მტკიცებით, ქართულ მწერლობაში ფესვგადგმული კლანურობა და შურიანობა „თავისიანების“ გარდა სხვას არ აღიარებს! ამიტომ მათთვის სულ ერთია, ე. წ. „რეკორდულად გახმაურებელი“, „ბომბივით გამსკდარი“, თუ ჭუჭყიან ბამბასავით აჩხრიალებული ტექსტების ავტორი ვინ ბრძანდება: **ლიკა, ვიკა, იკა, კიკა, აკა, ეკა, თიკა თუ კეკა!..**

\* \* \*

**აქ მკითხველს** არინდება იკა ქადაგიძის ორგუნება მოზარდის დაუსაზღვრავი ოცნება თუ ახირება: რომელიღაც საჯარო ლონისძიებაზე „ღვანლმოსილმა“ მწერალმა, ჯემალ ქირიამ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი მიწოდა, რაც „**სამწერლო სივრცემ**“ უმაღლ აიტაცაო! ჰჰ!..

აბა, დაუფიქრდეთ: ნელან დაზუსტებული საქართველოს „**სამწერლო სივრცის**“ უმრავლესობა თუ არა, საგრძნობი ნაწილი მაინც ჯერ ხომ უნდა გარკვეულიყო - ვინ იყო ან რას წარმოადგენდა ეს იკა ქადაგიძე?!. ანდა, „მარიფათიანი კოლეგების მიერ დიდხანს ჩრდილში მოქცეულ“ (ი. ქადაგიძე) ამ ჯემალ ქირიასაც ასე ცამონმენდილზე მისთვის რა დამსახურებისა და რასთან დაკავშირებით უნდა ეწოდებინა ასეთი მაღალფარდოვანი მეტსახელი - ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი!

ოპონენტი იუკადრისებს ამგვარ, ჩემი აზრით, დასაბუთებულ გარჩევას?! კარგი, მაშინ ამ ადგილს ისევე თავიდან დავიწყებ და შევეცდები, მსჯელობა სულ იკა ქადაგიძის სასიამოვნოდ წარვმართო! ოღონდ უსამართლობა იქნება, მის ლოგიკურ დასასრულზეც პასუხისმგებლობა მე მომეთხოვოს - ამას მკითხველებიც მიხვდებიან!

კეთილი! ჯერაც დაუდგენელ-დაუსახელებელ იმ რომელიღაც „ისტორიულ“ საჯარო ლონისძიებაზე დაუფშვათ და „ღვანლმო-

სილი“ მწერლის, ჯემალ ქირიას მიერ იკა ქადაგიძის ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად გამოცხადება არამცთუ იმ საჯარო ღონისძიების უზომ-უსაზღვრო სიხარულით აქვითინებულ მონაწილეებს, არამედ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობასაც ეს ღმერთის ნება-სურვილის გამოხატულებად მიეჩნია! ამიტომ გამგეობის სხდომა მაშინვე მოენვიათ და რეგიონალური ორგანიზაციებისთვის საგანგებო დავალება მიეცათ: ქართულ მწერლობას იკა ქადაგიძის ჟანად'არკისებური ზეციური მოვლინება მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნულიყო: როგორც საქართველოს დედაქალაქში, ისე რეგიონებშიც მოენყოთ ამის მხარდამჭერი ხალხმრავალი სახალხო-საზეიმო შეკრებები, სხდომები, მსვლელობები, მფრინავი მიტინგები... ყველა მოქმედ ეკლესიაში გამართულიყო წირვა-ლოცვა... ზარების რეკა... ღამისთევა... ლიტანია ანუ საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან (იმართება ხოლმე დიდი დღესასწაულის (ან განსაცდელის) დროს!.. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აქამდე არსად გაგონილი და წარმოუდგენელი მოვლენა უმაღლეს დონეზე გაეშუქებინა!..

ამასთან დაკავშირებით „ქართულ ფილმსა“ და ყველა ტელეარხს ოქროს ფონდისთვის შეექმნა დოკუმენტური ქრონიკა... ყველა სტამბა-გამომცემლობას დიდი ტირაჟით დაებეჭდა და უსასყიდლოდ გაეცემლებინა იკა-ჟანა დ' არკის პორტრეტი!.. საქართველოს ქალაქებისა და რაიციენტრების მთავარ მოედნებზე, პროსპექტებსა და გზაჯვარედინებზე... უღელტეხილებზე... ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებთან... ქვეყნის ყველა სამინისტროსა და სასწავლებლის ეზოში... აეროპორტებთან... სპორტულ მოედნებთან... თეატრებთან... მეტროსადგურების წინ... რკინიგზის ვაგზლებისა და ავტოსადგურების სიახლოვეს საგანგებოდ აღმართულ ბილბორდებზე მსხვილი პლანით აღებეჭდათ ცით მოვლენილი ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი!.. გაჟანადარკებული იკას პატივსაცემად გამოეშვათ მილიონობით სამკერდე ნიშანი, სხვადასხვა სახის სამკაულები და სუვენირები... მსოფლიოს მასშტაბით დაწესებულიყო მისი

სახელობის პრემიები ადამიანთა მოღვაწეობის უკლებლივ ყველა დარგსა და სფეროში!.. ასევე დაარსებულყო იკა-ჟანას სახელობის მრავალმილიარდიანი ფონდი!.. მემორიალური დაფებით უკვდავეყოთ ის შენობა-ნაგებობები, სადაც დაიბადა, ბავშვობა გაატარა და სადაც სწავლობდა ქართული მწერლობის მომავალი პატრონი ჟანა დ' არკი!...

არ კმარა?! თუმცა რა ამოლევს იკა-ჟანას გასაუკვდავებელ სავარაუდო ღონისძიებათა ნუსხვას! მაგრამ რაც ჩამოითვალა, ესეც იკმარებს!

ჰოდა, ამ ყველაფერს ხომ გაცილებით უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა და ამგვარი, ჯერ არსად სმენილი შედარება, ეკა ქადაგიძის წარმოდგენით, საქართველოს „სამწერლო სივრცეს“ „უმალ“ როდის, როგორ და რანაირად უნდა „აეტაცებინა?!“

ერთი სიტყვით, იკა ქადაგიძე მთელი საქართველოს „სამწერლო სივრცეს“ ამგვარი იგავარაკული ინფორმაციის მიღების, გარკვევის, განსჯის, შეფასებისა და საკუთარი გადაწყვეტილების მიღება-გამოთქმის უფლებას ძირშივე უსპობს!!!

მაშ, სხვანაირად როგორ: ეს ასეც უნდა იყოს - რაც მას, იმ გასაიდუმლოებულ საჯარო ღონისძიებაზე „ღვანლმოსილი“ მწერლის, ჯემალ ქირიას მიერ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად ხელასხმულ იკა ქადაგიძეს ეხება ან შეეხება, ქართულმა მწერლობამაც ანუ საქართველოს „სამწერლო სივრცემაც“ ის „უმალ“, ესე იგი, **იმავენამიერად (!!!)** უნდა „აიტაცოს!!!“

რა არის აქ გაუგებარი, სალაპარაკო ან მიუღებელი?!

ასე და ამრიგად, იკა ქადაგიძემ საქართველოს „სამწერლო სივრცეს“ საკუთარ პერსონასთან დაკავშირებით განსჯა-შეფასების ყოველგვარი უფლება დიქტატორულად ჩამოართვა და სამეთაურო პუნქტიდან თავის ქეიფზე ღილაკებით სამართავ პირველი თაობის ჯაბახანა ელექტროგამომთვლელ მანქანებად გამოაცხადა!

თვითრჯულმა რედაქტორმა მკითხველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაუდასტურა - მას არ გააჩნია და ყველაფერზე ეტყობა, არც სურს გააჩნდეს, ყველასთვის ნათელი სინამდვილის აღქმა-შეფასების უნარი და რაც ლიტერატურული ჟურნა-

ლი ჩაუვარდა ხელში, თავის მიერვე გამოგონილ ილუზიურ ლაბირინთებში, თვითმიზნურად რომ დაუბნელებია, ალაღბედურ ნყვეტებას ეშურება!

ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო დადასტურებაა აგერ, ეს ამონარიდიც, რაც ჯემალ ქირიას თითქოს მისთვის 2017 წლის მარტში, „ისინდის“ პირველი ნომრის (2017, ივლისი) გამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე უთქვამს, **„გულმაფინყ“** იკა ქადაგიძეს კი მხოლოდ „ღვანლმოსილი“ მწერლის გარდაცვალებისთანავე, 2020 წლის 19 ოქტომბერსლა **„გახსენება“** და მარსიანთან ერთად სასწრაფოდ ბექდავს ჟურნალის 2021 წლის მე-12 ნომერში!

მკითხველები თავისთავადაც მიხვდებიან, რომ ამ სამიოდე წინადადების სტილი და პუნქტუაცია ქადაგიძისეული იქნება და არა ქირიასეული.

**„ეჭვიც არ მეპარება, შენ მართალ (! ჯ.მ.) ჟურნალს გამოსცემ და ბევრ დაჩაგრულ მწერალს ჩრდილიდან გამოიყვან, (აქ ნერტილი ან ძახილის ნიშანი უნდოდა! ჯ.მ.) შენ, ჟანა დ' არკი ხარ, ჩვენი პატრონიო (უნდა იყოს, „შენ ჟანა დ' არკი ხარ, ჩვენი პატრონი“. ან „შენ ჩვენი პატრონი ჟანა დ' არკი ხარ“. ჯ.მ.)“.**

კი მაგრამ, ქართველ მწერლებს რა სჭირთ ვისიმე და მით უმეტეს, იკა ქადაგიძისნაირი ლიტერატორის საპატრონო?! ანდა, რითა და როგორ გამოიხატება იკა ქადაგიძის ქართველი მწერლებისადმი ეს ჟანადარკისებური **„პატრონობა?!“**

მორჩა, აქ კი იკა ქადაგიძემ მოუთმენლად ჩამოიგლიჯა ყასიდად აკრული დაფაცხავებული ნილაბი და მკითხველ საზოგადოებას კამიკაძისებური თავგადადებით წარუდგა, როგორც მსოფლიო მწერლობაში აქამდე გაუგონარი ლიტერატურული მაროდოროი - გარდაცვლილი „ღვანლმოსილი“ მწერლის შარლატან-ავანტიურისტული „დამონმებით“ თავი მთელი ქართველი მწერლების პატრონი ჟანა დ' არკად გამოაცხადა!!!

მოკლედ, ამ მოკლე ციტატიდანაც გაცხადდა: იკა ქადაგიძისთვის სულ ერთია, ვის ჩაასობს ჭანგებს - ოღონდ თავისი პიროვნების ნაყალბევ ლეგენდასთან დაკავშირებით რამე ათქმევინოს ან წამოაცდენინოს... სიტყვაზე დაიჭიროს... ჟურნალში დაბეჭდი-

ლი თავისი წერილით პირზე ურცხვად დაადგეს - არა, გინდა თუ არა, ოდესლაც ჩემზე ესა და ეს გაქვს ნათქვამიო და სხვ. და სხვ!

იკა ქადაგიძე თანამედროვე ქართველი მწერლების რანაირი პატრონი ჟანა დ' არკია, ამას ქართველი მწერლების მხრიდან, ალბათ, დროიანად მოჰყვება პრინციპული შესწავლა-შეფასება, მე კი „ისინდის“ ნომრებში დაბეჭდილი იკა ქადაგიძის წერილებიდან დამახასიათებელ მაგალითებს მოვიყვან - განა შეიძლება ნებისმიერი ლიტერატორი და მით უმეტეს, ქართველი მწერლების პატრონ ჟანა დ' არკად თვითგამოცხადებული რედაქტორი თანამოკალმეებს ასე ეპყრობოდეს და იხსენიებდეს?!

\* \* \*

ჟურნალის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ თავის წერილში „ისინდის“ ქრონიკა - ჟურნალის დაარსებიდან დღემდე“, იკა ქადაგიძე სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წევრსა და გამორჩეულ ავტორზე აი, რასა და როგორ წერს! ოღონდ გასაგები მიზეზების გამო აქ ნახსენებ მანდილოსნებს მე მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიებ.

„ისინდის“ ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და მოწესრიგებული წევრი, ნ.ბ., რომელსაც ხელგაშლილობის გამო კრასუსი შევარქვი (მან... მყარი მხარდაჭერის ნიშნად ჩვენს საყვარელ სახინკლეში დღეობა გადამიხადა, სადაც „ისინდურმა“ შემადგენლობამ გვარიანად მოილხინა), ზემოთნახსენები (უნდა იყოს ზემონახსენები ან ზემოთ ჩამოთვლილი. ჯ.მ.) ქალბატონებისგან განსხვავებით (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), საპირისპიროდ იქცეოდა, რითაც გუნდის წევრების ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ის მარსიანის შემდეგ ჩემს ყველაზე დაახლოებულ პირად იქცა, ვინაიდან ჭირსა და (უნდა იყოს თუ. ჯ.მ.) ლხინში მუდამ სათანადო სიმაღლეს ინარჩუნებდა და უპირობოდ მემხრობოდა. მასთან თუნდაც ერთი უმნიშვნელო შელაპარაკებაც კი არ მომსვლია... ამიტომ ხშირად ვუმეორებდი, მისი სახით ღმერთმა მფარველი ანგელოზი გამომიგზავნა (უნდა იყოს „ამიტომ ხშირად ვუმეორებდი, მისი სახით ღმერთმა მფარველი ანგელოზი გამომიგზავნა“. ჯ.მ.) ის თემურ ნადარეიშვილთან (მეგრე რომ შევარქვი) ერთად, თანდათან ჩემს საიმედო დასაყრდენად იქცა“.

ჯერ ერთი, რანაირად შეიძლება ერთმანეთს შეუდარო თბილისელი ჩვეულებრივი მანდილოსნისა და მარკუს კრასუსის (ძვ. წ. 115 - ძვ. წ. 53), ძველი რომაელი პოლიტიკური მოღვაწისა და მხედარმთავრის ხელგაშლილობა?!

სად კრასუსის ზღაპრად გადმოსული ხელგაშლილობა და სად გაჭირვებულ საქართველოში მცხოვრები რიგითი მანდილოსნის მიერ კოლეგებისადმი გამოჩენილი მოკრძალებული გულქართლობა?!

ეგაც არ იყოს, ამგვარი როყიო შედარება მხოლოდ ჩრდილს აყენებს და უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ჩვენს თანამოძმე მანდილოსანს, ვინაიდან 71 წელს, აპულიაში კრასუსმა სისხლში ჩაახშო სპარტაკის მონათა აჯანყება!

თან ერთი დაუკვირდით, შემოქმედი თანამშრომელის ღირსების შეფასებისას იკა ქადაგიძისთვის თურმე რა ყოფილა ერთადერთი თუ უმთავრესი საზომი: მასთან ერთი უმნიშვნელო შელაპარაკებაც კი არ მომსვლიაო!

მოგივა და მაშინ ვაი, შენი ბრალი!.. არ გჯერათ? იგივე მანდილოსანს, სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით რედაქტორისგან განსხვავებული საკუთარი შეხედულება პრინციპულად რომ გამოუხატავს, ამისთვის იკა ქადაგიძე აი, ახლა როგორ „ამკობს!“.

**„რუხი კარდინალივით კულისებიდან აჩენდა კლანჭებს. ტარანტულივით ჩრდილში ჩასაფრებულიყო“.**

რა არის ტარანტული? ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი დიდი ობობა, რომელიც მიწაში ცხოვრობს.

ჰოდა, როგორი წარმოსადგენია, შენი ხელქვეითი მანდილოსანი, თანაც იმავე წერილის ერთ ადგილას ქება-დიდებათ ცამდე ასწიო, ახლა კი, რაკი საბაბი მომეცა ან გამოვჩხრიკეო, შხამიანი ობობას შეადარო?

ქართველი მწერლების პატრონი - ჟანა დ' არკი განა ასე უნდა იხსენიებდეს თავისი საპატრონოს შემოქმედ მანდილოსანს?!

როგორც ხედავთ, თანამშრომლებისთვის მეტსახელის შერქმევა - ეს თუგინდ დამამცირებელიც იყოს! - იკა ქადაგიძის ჰობი, ჟინი თუ მონათმფლობელის ახირება ყოფილა!

ამჯერად მარსიანს მოვუსმინოთ.

„თემურ ნადარეიშვილი, რომელსაც იკამ „მეგრე“ შეარქვა დეტექტიური ალღოს გამო, მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე (ეს უკანასკნელი წინადადება ბარბარიზმია! უნდა იყოს „რაც მოხდა (მომხდარა, მომხდარიყო...)“ ან რა ამბავიც ყოფილა (ყოფილიყო...)“. (ჯ.მ.).

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თემურ ნადარეიშვილმა ხათრით ხმამაღლა იქნებ აღარ გამოხატა თავისი გულნატკენობა, მაგრამ მოეწონებოდა კი რედაქტორმა „მეგრე“ რომ შეარქვა?!.. მართლაც, რა შუაში იყო ამგვარი მეტსახელის მიწებება - ეს ლიტერატურული ჟურნალის რედაქციისა თუ რომელიმე სადაზვერვო უწყება?! მაგრამ ამისთანა „წვრილმანები“, როგორც დავრწმუნდით, იკას არც აფიქრებს, არც ანალვლებს - ის თავის ჩვეულ სტიქიაშია!

ამრიგად, გადაწყდა - ჟურნალი „ისინდი“ უნდა გამოსცენ, მაგრამ აქ გადაწყვეტი ფინანსებია! ახლა თვით იკა ქადაგიძეს მოუსმინეთ! (ოღონდ აქ დასახელებულ პიროვნებას მე მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიებ).

**„ამ განამანიაში უცბად ჩვენი მეგობარი, რომელსაც კეთილი ჩინოვნიკი შევარქვი, გ.კ. გამახსენდა“.**

იკა კვლავ თავისებურად მიაბოტებს!

**„კოლეგების დასკვნა იმდენად ზუსტი იყო, შემდგომშიც ამ ბობოქარი ამორძალის (მე მას ასე შევარქვი) გამოხდომებს გუნდი არაერთხელ ძალზე უსიამო ვითარებაში ჩაუყენებია“.**

ხედავთ, იკა ქადაგიძე ამით თავსაც კი გვანონებს - მე ასე შევარქვიო!

მერედა, ვინ მოგცა ნება ან თვითონ თავს როგორ აძლევ მაგის უფლებას, მისდგე და შენს თანამშრომლებს ის მეტსახელი შეარქვა, რაც პოლემიკით აფორიაქებულ გონებაში ალაღბედად ნამოგკრავს - კრასუსი... რუხი კარდინალი... შხამიანი ობობა ტარანტული... მეგრე... კეთილი ჩინოვნიკი... ბობოქარი ამორძალი...

ამ მხრივ რედაქტორის თავნებობა იქამდე მიდის, რომ მხცოვანი, გამოჩენილი შემოქმედი მკითხველებს ისე წარუდგინა, როგორც... ძაღლი!

საშინელებაა ამ მაგალითის მოყვანა, მაგრამ უთქმელობა უფრო დიდ ცოდვად მიმაჩნია!

მკითხველებმა უკვე იციან, 2019 წლის 21 ნოემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ჟურნალ „ისინდის“ მე-8 ნომრის მიმოხილვისას იკა ქადაგიძესა და სიტყვით გამოსულ მწერალ გიგი ხორნაულს შორის მწვავე სიტყვიერი დაპირისპირება რომ მოხდა!

მას აქეთ თითქმის წელიწადზე მეტი (!) გაილია და ჟურნალის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ თავის წერილში, თავისებურად აშუქებს რა იმ ავბედით მიმოხილვასაც, იკა ქადაგიძე მკითხველებს აი, როგორ წარუდგენს გიგი ხორნაულს.

**„...კვლავ შემომიღრინა: აბა, მარტო შენ უნდა ილაპარაკო!“**

რას ჰქვია „შემომიღრინა?!“ მწერალი კაცი ძალღი ხომ არ იყო, ვინმესთვის და მით უმეტეს, ჟურნალის მიმოხილვის წამყვანი რედაქტორ-მანდილოსნისთვის შეეღრინა?!

მეც იქ ვიყავი და შემიძლია დამშვიდებული სინდისით განვაცხადო: გიგი ხორნაულის იმ სიტყვების მართლაც აწეულ კილოში იკა ქადაგიძის მიერ შორს გამიზნულად წამუნუმ სიტყვა-განწყვეტილი გამომსვლელის სასონარკვეთილი ყვედრება-გაკვირვება გამოსჭვიოდა და არა „ღრენა!“ მაგრამ დავუშვათ და მართლაც ისე ყოფილიყო, როგორც იკა ქადაგიძეს სურს წარმოგვიდგინოს: იმ ერთი წლის მანძილზე ნუთუ ვეღარ უნდა განვხილავოდა ის გაზვიადებულ-ამბიციური ნაწყენობა ან ეს უნდა ეკადრებინა თვალისჩინდაკარგული მსცოვანი მწერლისთვის?!

სხვა რომ არა იყოს რა, იკა ქადაგიძეს ამგვარი შეურაცხმყოფელი გამოთქმისგან გიგი ხორნაულის მეუღლის, ნანა კოტეტიშვილის პატივისცემის ნიშნად მაინც უნდა შეეკავებინა თავი, ვინაიდან იგი მთელ საქართველოში სამაგალითო მეუღლე - მანდილოსანია!

თავისთავად ცხადია, თბილისელებს და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულელებსაც, რა თქმა უნდა, დანახული ეყოლებათ, ამ ღვთისნიერ მანდილოსანს თავისი ან უკვე უსინათლო, სანიმუშოდ მოვლილი და ჩაცმულ-დახურული მეუღლე როგორი ქრისტიანული მოთმინებით, ღირსების გრძნობითა და მოსახდენი ნაბიჯდამძიმებით დაჰყავს ხოლმე რედაქციებში... გამოფენებზე... გამომცემლობებში... წიგნის ფესტივალზე... ლიტერატურულ ღონისძიებებზე... სასიეროდ...

მომავალი თაობების დასაკვალიანებლად, სანამ გვიანი არ არის, ყოველივე ამას ჩვენი ქრონისტები ახდილად თუ ფარული კამერით ოქროს ფონდისთვის დოკუმენტურ ქრონიკებს უნდა იღებდნენ!.. ქართველი მხატვრები ამაზე უფრო ამაღელვებელ თემასა და სიუჟეტს რაღას ნახავენ - კოტეტიშვილების საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი, ქართული მწერლობის მსახურებისთვის თავგადადებული მანდილოსანი თავის უსინათლო მწერალ მეუღლეს როგორი მონამებრივი შეგნებით დაატარებს თბილისის ქუჩებში!.. იგივე თავისთავად ვრცელდება ჩვენს მოქანდაკეებზეც!

ამგვარი იდეა დღეს უფრო აქტუალურ სახეს იძენს, ვინაიდან ჩვენს ისედაც განამებულ საზოგადოებას უღვთოდ აძრწუნებს და აზნევს ზოგიერთი ქართველი, თანაც წვრილშვილი ქალის „გმირული“ ჩანადენი: მავანსა და მავან ქალს ოქროსავით ქმარ-შვილი ღვთის ანაბარად მიუტოვებია და ვილაც სხვას წაჰყოლიაო!..

გაძლება-გადარჩენისთვის კი ერს სანიმუშო მაგალითების გათვალსაჩინოება სჭირდება!..

იკა ქადაგიძე კი \_ გიგი ხორნაულმა შემომიღრინაო!.. ამრიგად, ჟურნალ „ისინდის“ თანამშრომლებმა, მისმა ავტორებმა თუ მიმოხილვის მონაწილეებმა ეს გულზე კარგად უნდა დაიჭდიონ - ვინც იკა ქადაგიძის მოსაწონად ვერ მოიქცევა ან ვერ იმსჯელებს, მსგავს თუ უფრო უარეს „შეფასებას“ ვერ აიცდენს!

\* \* \*

**სარედაქციო** კოლეგიის ერთ-ერთ მანდილოსან წევრს, თავისი ჭკუით, წარმომავლობა რომ შეუბღალოს, სხვადასხვა რუსული ტექსტების ქართულ თარგმანებთან შედარების მოსაბაბებით იკა ქადაგიძეს აი, რაზე სურს მკითხველების ყურადღების გადატანა.

**„...როდესაც ვთხოვეთ, როგორც მთარგმნელს (ბებიით რუსს) მისი ტექსტებისთვის ხელი შეეველო... უარი განაცხადა“.**

კი მაგრამ, ამ შემთხვევაში რა შუაშია ამ მანდილოსნის ბებიით რუსობა? იკა ქადაგიძისებურად რა გამოდის - ამიერიდან

ვერც ერთმა ქართველმა მთარგმნელმა ნებისმიერი რუსი პოეტის თარგმნა ვერ უნდა გაბედოს... თუ მას ბებია, პაპა, დიდედა, პაპიდა ან სხვა რომელიმე წინაპარი რუსი არ ეყოლება!!!

მაგალითად, პოლონელ კომპოზიტორს და პიანისტს, **ფრიდერიკ შოპენს (1810-1849)** მამა ფრანგი ჰყავდა, დედა - პოლონელი!.. ანდა, მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში რამდენი მსგავსი მაგალითი მოიძებნება! მერე?!.. მეტად ნიშანდობლივია: მარსიანი თავის ერთ-ერთ წერილში შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, რომ იგივე მანდილოსანზე მრავალმნიშვნელოვნად არ გაგვაფრთხილოს - მაგას რუსული სკოლა აქვს დამთავრებული!

საჭიროა კომენტარები?!

\* \* \*

**მარტო** რიგით მკითხველებში კი არა, ალბათ, თავისი გუნდის წევრებისა და ავტორთა გარკვეულ ნაწილშიც გამოუთქმელ აღშფოთებას ბადებს იკა ქადაგიძის დასაგმობი, უსაფუძვლო შურმაძიებლური ბუნება - თავის წერილებში რაზეც უნდა მსჯელობდეს, გული არ უთმენს, რომ უდანაშაულო ე. წ. ოპონენტები, უფრო კი მანდილოსნები, შეძლებისდაგვარად არ დაგესლოს!

აი, ამის ერთი-ორი საქრესტომათიო მაგალითი.

**„უურნალში თანამშრომლობა ნებაყოფლობითია და არ კი (უნდა იყოს ნაწილაკი არკი. ჯ.მ.) გნიშნავენ, არამედ საკუთარი უნარით ამტკიცებ, რის შემძლე ხარ, რაც ჩემზე ასაკით ორჯერ უფროსი კოლეგებისთვის შეუთავსებელი მოცულობა (ნეტა, რის მაქნისია აქ ეს სიტყვა - „მოცულობა?“ ჯ.მ.) აღმოჩნდა“.**

ცდუნებაატანილი რედაქტორი ცოტა ქვემოთ ისევ ამ საბედისწერო ასაკობრივ სხვაობას უკირკიტებს.

**„ჩემი მოწოდება სუბორდინაციის დაცვის თაობაზე (ტექრედაქტორის გარდა გუნდის წევრების უმრავლესობა ჩემზე ასაკით ორჯერ და უფროსები არიან (რანაირი ქართულია ან რას ნიშნავს ეს „ჩემზე ასაკით ორჯერ და უფროსები არიან?!“ ჯ.მ.), რაც ჩემს მდგომარეობას გარკვეულწილად ართულებს“.**

მეტი რა ჩარაა - „ისინდის“ რედაქტორმა რაკი აქამდე მიგვიყვანა, გაოგნებულმა მკითხველებმა ზუსტად როგორ დაადგინონ

ჯერ თვით იკა ქადაგიძის, აქედან კი მისი „თანამშრომლებისა და გუნდის წევრების“ ნამდვილი ასაკი?

ამაზე იოლი არაფერია!

2012 წელს დასტამბული „საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარის“ მიხედვით იკა ქადაგიძე 1972 წელს ყოფილა დაბადებული! ამ თავის წერილს კი 2020 წელს, ესე იგი, 48 წლისა აქვეყნებს! მაშასადამე, გამოდის, რომ იკა ქადაგიძის „თანამშრომლები და გუნდის წევრები“, უმრავლესობას მანდილოსნები რომ შეადგენენ, თურმე 96 წლისანი ანუ საუკუნეს მიტანებული გადამღრძვალი მოხუცები ყოფილან!!!

იკა ქადაგიძის მიერ ასეთი ბოროტმოხარული უტიფრობით ასაკმომატებული „თანამშრომლებისა და გუნდის წევრი“ მანდილოსნების ღირსების დასაცავად საგანგებო კომისიამ ნუთუ ყველაფერი წვრილად არ უნდა გამოიძიოს ცილისმწამებლის დასასჯელად?! მაგრამ აქ გასაშტერებელი და სავალალო სულ სხვა რამეა!

იკა ქადაგიძე თავდაჯერებით ირწმუნება: „ღვანლმოსილმა“ მწერალმა ჯემალ ქირიამ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მიწოდა, რაც საქართველოს „სამწერლო სივრცემ“ უმაღლესად აიტაცაო!

ეს თუ მართალია, მაშინ გასაკვირია: რანაირად შეიძლებოდა, ნიჭითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდობა იკა-ჟანას ასე პირნმინდად შემოფრთხობოდა და „ყველაზე მეტძოლი ეროვნული“ ლიტჟურნალის რედაქტორი, როგორც ახლა არაფრის მომტანი თვითრეკლამისტვის ფარისევლურად შემოგვწუნუნებს, საუკუნეს მიტანებული დავრდომილი „თანამშრომლებისა და გუნდის წევრების“ ანაბარადლა დარჩენილიყო, ჰა?!

მამ, სად არის ლოგიკა... წინდახედულობა... მსჯელობით ეჭვშეუვალი თანამიმდევრობა... მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და მის წინაშე პასუხისმგებლობა... მწერლური ეთიკა და სინდისიერება... ღირსების გრძნობა...

ეექჰ, ყველა თავ-თავის ადგილასაა, მაგრამ...

\* \* \*

**წელან** დავინახეთ, იკა ქადაგიძემ ერთ-ერთი ოპონენტი მანდილოსანი შხამიან ობობას (ტარანტულს) რომ შეადარა! მაგრამ ესეც არ აკმარა და როგორც თვითონვე წერს, ამ ოპონენტის „**სიმპატიური** (უნდა იყოს სიმპათიური. ჯ.მ.) **ასულისთვის**“ დედაზე რალაც-რალაცეები უთქმევინებია და პირადი საუბრისას მის ალაგულად წამონაცდენს გახარებული იკა ქადაგიძე „ისინდის“ ფურცლებიდან მთელ ქვეყანას თვით ამ „**სიმპატიური ასულის**“ პირით აუნყებს: **რომ დედა ყველგან არცხვენდა!**

როგორია?!

დააკვირდით რედაქტორი თავს როგორ „ოსტატურად“ იზღვევს და თან ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზა-ბილიკებსაც გვიხლართავს: მისმა „**სიმპატიურმა ასულმა**“ **გულახდილად** მითხრაო! მაგრამ აქ ეს მშრალი „**გულახდილობა**“ საქმეს ვერ შველის! მართლა თავისით, ისიც პირისპირ საუბრისას, ემოციურად წამონაცდენი თუ იაგოსეური ჯადოქრობით მოპოვებული ამგვარი „**გულახდილობა**“ ნუთუ იმის წყალგაუფვალ გარანტიად, ნებართვად, უფლებად თუ მორალურ გამართლებლად უნდა ჩაითვალოს, ჟურნალის პირით მთელ დუნიასაც მოჰფინო?!

ანდა თვითონ იკა ქადაგიძე როგორ ვერ უნდა ხვდებოდეს: ასეთი „**გულახდილობის**“ სააშკარაოზე გამოტანა უზნეობაცაა და სახიფათოც!

მაშ, რატო ვერ მოუსვენია იკას: რა საკადრისია თანამშრომლების მხარდამხარ სამსახურებრივ მწვავე პოლემიკაში მათი ოჯახის წევრები, მით უმეტეს, გამოუცდელ-ემოციური ახალგაზრდებიც შეიტყუო?! **პავლიკ მოროზოვის** ავად მოსაგონარ დროებას გვიბრუნებს თუ რა ამბავია?!

ღმერთმა გვაშოროს და, ასეთმა ალქაჯურმა ჩანაფიქრმა ოჯახის წევრებს შორის განხეთქილება, რაიმე ტრაგედია ანდა მათ შორის ურთიერთობის ხანგრძლივი თუ სამუდამო გამწვავება რომ მოიყოლოს (თუმც საზოგადოება საიდან შეიტყობს - იქნებ მოიყოლა კიდეც!), ქართული მწერლობის პატრონ ჟანა დ'არკის გამაბრუებელი ზედწოდების მაროდორული მიტაცებით აცეტებული იკა ქადაგიძე უფიქრდება ამას?!

დარდი კოლას! „ისინდის“ ნომრებში გამოქვეყნებული მისი დაშტამპული წერილებიდან აშკარად იკვეთება - ამ თვალსაზრისით იკასთვის არაფერია შემაფერხებელი: თუკი საჭიროდ მიიჩნია, ყველას შპალებივით ჩაანყობს და ზედ გრაფომანულ რელსებს გაჭიმავს, რათა თავისი განდიდების მანიის მოფუნკული ეშელონი ახალბედა მკითხველების მოსატყუებლად მცირე მანძილით მაინც როგორმე გააჯაყჯაყოს!

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი მკითხველისთვის მიუწვდომელი ხდება იკა ქადაგიძის გაუკუღმართებული აზროვნების ყაიდა, ლოგიკა, მიზანი!.. ნათქვამის ნათელსაყოფად, მოდი, დედაშვილის ამ გასაჯაროებულ დაპირისპირებაზე უფრო შეუბოჭავად ვიმსჯელოთ!

რედაქტორის ოპონენტი მანდილოსნის „სიმპატიურ ასულს“ იკასთვის „გულახდილად“ უთქვამს - **დედა რომ ყველგან არცხვენდა!**

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ამის შეტყობა რას მატებს ან თვით იკა ქადაგიძეს ანდა თავის თანამშრომელთან წარმოშობილი პოლემიკის აქამდე გამოკვეთილ შინაარსს, ფორმასა და პროცესს?! ამით რა იცვლება, არაფერი! პირიქით, ყველაფერი იკას სანინაალმდეგოდ მეტყველებს და მოქმედებს! აქ ისე გამოდის, თითქოს იკა ქადაგიძეს თვითონვე არ სჯერა თავისი ოპონენტის წინააღმდეგ შეკონინებული მტკიცებულებებისა და გამარჯვების მისაღწევად **„დამხმარე ძალების“** მოძიება და მიმხრობა განუზრახავსო! უპოვია კიდეც! თანაც როგორი - **დედა ყველგან მარცხვენსო!**

ო, ამაზე უკეთეს პასუხს რას მოისმენდა რედაქტორის დაცქვეტილი ყურები! მაგრამ დავუშვათ და ამ „სიმპატიურ ასულს“ სულ სანინაალმდეგო შეფასება ამოეშაქრა - რას ლაპარაკობთ, ჩემი დედიკო ამქვეყნად ყველაზე სათნო, სამართლიანი და კეთილშობილი დედიკოაო! მერე... თუმც მსგავს პასუხს, ჩემი აზრით, იკა არავითარ შემთხვევაში არ დაბეჭდავდა, მაგრამ მოსმენით ხომ მაინც მოისმენდა!

ჰოდა, თუგინდ ამგვარი პასუხი რას შეცვლიდა: ნუთუ იკა ქადაგიძე თავის მიერ **„რუხ კარდინალად“** მონათლულ ოპონენტ

მანდილოსანთან თავს მაშინვე დამარცხებულად გამოაცხადებდა, ხოლო შხამიანობობასთან შედარებისთვის ბოდიშსაც მოუხდიდა?! თქვენც არ მომიკვდეთ!

„სიმპატიურ ასულს“ ვილა ჩივის! თავისებურ ილუზიურ ხილვებში გადავარდნილ იკა ქადაგიძეს სურვებია, მის ისედაც ცალმხრივ პოლემიკას ისეთი ფორმა, მასშტაბები, შინაარსი და შედეგი ჰქონოდა, რომლის მსგავსი, ალბათ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც არამცთუ არ დაიძებნება, არამედ აქამდე წარმოდგენითაც კი ვერვინ წარმოიდგენდა, ამგვარი რამის საჭიროებას... აუცილებლობას... დაშვებას!!!

ამრიგად, სადაც იკა ქადაგიძე თავისი ოპონენტის „სიმპატიურ ასულს“ ეხება, იქვე აგერ, რაზე იმდურება (სტილი იკასეულია)!

**„თავისი საახლობლოდან შვილის გარდა არაფრით არ გაგვაცნო არავინ! მისმა სიმპატიურმა ასულმა კი გულახდილად მითხრა, რომ დედა ყველგან არცხვენდა. ახლა მესმის, ახლობლებს ჩვენთან რატომ არ აჭაჭანებდა“.**

შეუძლებელია, შუახანს გადაშორებული მანდილოსნის გონებადახშულობა და თან ამის გამომზეურებით დაუფიქრებელი კეკლუცობა ამაზე უფრო შორს წავიდეს!

იკასაგან განსხვავებით, მისი ამგვარი „განმარტების“ შემდეგაც კი არ მესმის ანუ ვერ მივმხვდარვარ - ოპონენტ მანდილოსანს რა უფლებით ან რის საფუძველზე ავალდებულებს, რომ თავისი ახლობლებიც გაეცნო?! ან თვით „ისინდის“ რედაქტორს რა ესაქმებ(ოდ)ა ოპონენტის საახლობლოსთან?!. ანდა რა იკას გადასაწყვეტ-გასარჩევია, გულქართლი მასპინძელი თავის ოჯახში ვის „გააჭაჭანებდა“ და ვის - არა?!

მაშ, იმაზეც რატომ არ დარჩენილა მადლიერი, როგორც „ისინდი“ ბევრგან მოგვითხრობს, კაფე-რესტორნებსა თუ ამ მანდილოსნის ოჯახში რედაქციის თანამშრომლებს ისე ხშირ-ხშირად და ბუნებრივად მოუღბენიათ, რომ იკა ქადაგიძეს თავისი მომავალი ოპონენტი მანდილოსნისთვის ხელგაშლილობის გამო **კრასუსი** შეურქმევია, ხოლო თვით იკასთვის ამავე კრასუს-მანდილოსანს „ჩვენს საყვარელ სახინკლეში“ დღეობაც გადაუხდია, სადაც „ისინდურ“ შემადგენლობას გვარიანად მოუღბენია!

ჰოდა, გაგონილა, გულქართლ მასპინძელს ამ ყველაფერზე ნიხლი უკრა და ბრალი დასდო თუ შარი მოსდო ან სრულიად რეგენული „ნაკლი“ შეუთითხნო - რატო ახლობლებიც არ გაგვაცანიო! თანაც ასეთი... მოგვიანებით!

ერთი კარგად დაუკვირდით ციტატის ჯიბგირულ კილოსა და ლექსიკას.

**„თავის საახლობლოდან შვილის გარდა არაფრით არ გაგვაცნო არავინ!“**

აბა, როგორ მოგწონთ ეს „არაფრით არ გაგვაცნო არავინ“-ო?!

აქ იკა ქადაგიძე ისე დაუფიქრებლად ამარებია უდანაშაულო მასპინძელს, თითქოს იგი ვალდებული იყო და ეს სცოდნოდა კიდევც - ისინდელებისთვის თავისი ახლობლებიც უნდა გაეცნო! ანდა ამ მანდილოსნის ოჯახში მიპატიჟებულ-მოქეიფე ისინდელები თითქოს ხვენნით ენას ითხელებდნენ - ახლობლებიც გაგვაცნო! რაღაც მოსალოდნელ თუ მოახლოებულ საფრთხე-ნაგრძნობ დიასახლისს ყოველი ამგვარი ხვენწა-მუდარისას კი თურმე ქვა შეუგდია და თავი შეუშვერია - იკასა და მისი თანაგუნდელებისთვის **„თავისი საახლობლოდან არაფრით არ გაუცვნია არავინ!“**

კი მაგრამ, ამ კეთილშობილ მანდილოსანს საიდან უნდა სცოდნოდა „ისინდის“ რედაქტორის მიერ შემუშავებული ეს ახლებურ-უცნაური ვალდებულება თუ პროგრამა - იკასა და მისი თანაგუნდელებისთვის თავისი ახლობლებიც გაეცნო!!! საამისოდ წინასწარ გააფრთხილეს, ამასთან დაკავშირებით გასაუბრება გაუმართეს, რამე საბუთზე ხელი მოანერინეს თუ იკა ქადაგიძისთვის საგანგებოდ შედგენილი ინსტრუქცია რამდენიმე დღით ადრე განუმარტეს და თან ერთი ეგზემპლარიც დაუტოვეს - მარსიანის მიერ გენიოსად მიჩნეული იკასთვის „კრასუსის“ ოჯახში გამართული სერობა სერობად არ ჩაიგდებოდა თუ დიასახლისი ისინდელებს თან თავის ჭრელ საახლობლოსაც არ გააცნობდა!..

არადა, საქმე თუ ასე წავა, ნებისმიერ ოჯახში გულლიად შემუშავებული იკასთანა აზროვნება - პრეტენზიების პატრონს რა ამოუღვეს ამგვარად გასაცნობათა სავარაუდო კანდიდატებს: მასპინძლის ქვედა და ჭერზედა მეზობლები... მთელი სადარბაზოს

შემადგენლობა... მოპირდაპირე, ზედ მომდგარი კორპუსის ერთ-ერთ აივანზე გამომსხდარი გიტარიანი ახალგაზრდები... ქმრეული... ცოლეური... შვილების, რძლ(ებ)ის, სიძ(ებ)ის ამხანაგ-მეგობრები და ა.შ!

თან აქ ესეც დასაზუსტებელია: ქართულ მწერლობას მოულოდნელად მოვლენილი თვითმარქვია რეფორმატორის, იკა ქადაგიძის მიერ დადგენილი გამახეტებელი სიახლე ამიერიდან ყველა ჟურნალ-გაზეთის რედაქციის მუშაკებზეც უნდა გავრცელდეს თუ როგორც გამონაკლისი, მხოლოდ იკა-ჟანასა და მის მიერ საეჭვოდ მიჩნეულ ან მისაჩნევ ოპონენტ-მასპინძლებს შეახებენ?!. ოოო...

ერთი სიტყვით, თავის ილუზიურ ხილვებში გახლართული იკა ქადაგიძე ანგარიშს არავის და არაფერს უწევს - „ისინდის“ ფურცლებზე მოუსვენარ პატარა გოგოსავით ღელელობს!..

\* \* \*

ისეც იმ ციტატას მიუჭირიალდეთ, რათა ერთუცნობიანი მაგალითივით ამოვხსნათ და ამით მოვრჩეთ!

**„თავისი საახლობლოდან შვილის გარდა არაფრით არ გაგვაცნო არავინ!“**

ჯერ რედაქტორის ქართულს დაუკვირდით - ოპონენტი მანდილოსნის ღვიძლ ქალიშვილს მის ახლობლებთან რომ აიგივებს! მაგრამ ამგვარი ენობრივ-აზრობრივი გადაცდომები იკასთვის არახალია!.. ჰოდა, ეს უნდა მეთქვა: იმ ხელგაშლილ მანდილოსანს ახლობლები კი არა, იკასთვის ნეტავი არც თავისი ქალიშვილი გაეცნო! მაგრამ ღვიძლი ქალიშვილი ოჯახის წევრია ან რა იცოდა, რა ელოდა ანდა გინდაც ევარაუდა, გამოუცდელ ქალიშვილს იკას რომელ ერთხელ გადაუმალავდა - ამდენი სტუმარმასპინძლობისას ერთხელაც მოხდებოდა მათი საბედისწერო გაცნობა!

ნათქვამია, ათი რომ ცხვრისკენ, ერთიც მგლისკენო! ჰოდა, აქ იკა ქადაგიძის „უძიმესი“ მდგომარეობაც გასათვალისწინებელია - ფრთხილ მასპინძელს იკასა და მისი გუნდისთვის მხოლოდ საიმედოდ მიჩნეული ღვიძლი ქალიშვილი გაუცვნია, საახლობლოდან კი არავინ!!!

ახლა ხომ ხვდებით, რა „მძიმე“ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა „ისინდის“ რედაქტორი! მაგრამ იკა ქადაგიძე რაღა იკა ქადაგიძე იქნებოდა, გამოწვთობილი რუსი მზვერავი ქალივით გამოსავალი აქაც ვერ გამოენახა! გამოუნახავს კიდეც - ემოციურ-მომინდობი „სიმპატიური ასულისთვის“ ციხე შიგნიდან გაუტეხინებია!!!

**„მისმა სიმპატიურმა ასულმა“ კი გულახდილად მითხრა, რომ დედა ყველგან არცხვენდა!“**

ოოო, ახლა კი გაიხსნა იკა ქადაგიძის ერთუცნობიანი მაგალითის ფრჩხილები! ისეთი უხამსობით აი, თურმე რისთვის წადინობდა თავისი მომავალი ოპონენტის საახლობლოს გაცნობასაც: თუკი „სიმპატიურ ასულსაც“ კი მშობელ დედიკოზე ასეთი რამე ათქმევინა, მაშინ რაღა იქნებოდა, თქმევინების დიდოსტატს თავისი ოპონენტის ახლობელთა გარკვეული ნაწილის ვინაობა მაინც რომ სცოდნოდა! მისი ჭკუით, მაშინ სულ ადგილი იქნებოდა, კრასუს-ოპონენტზე ისეთ-ისეთი თავმოსაჭრელი მასალები მოეზოჭა, თუგინდ პოლემიკურ ნიურნბერგის პროცესის გასამართავადაც ემყოფინებინა!!! ახლა კი მარტო „სიმპატიური ასულის“ ობოლი შეფასება აშკარად სცოტავებია!

ასე ახდილად აი, თურმე რატომ მისტირის კეთილი მასპინძლის საახლობლოს! ახლა მაინც ხომ მიხვდით, იკას როგორი აუნაზღაურებელი „ზარალი“ მოსვლია!..

სურათის უფრო ნათელსაყოფად მოდი, ბარემ ზედმინწევით შევიტყოთ, რას ნიშნავს **ახლობელი**: ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებული, მოკეთე, მოყვარე; სულიერად ახლო მყოფი.

ახლა წარმოვიდგინოთ, ამ ოპონენტ მანდილოსანს რამდენი ახლობელი შეიძლება ჰყოლოდა ანდა ჰყავს! მერე, ამ ახლობლებსაც ექნებოდათ სურვილი, იკა ქადაგიძესა და მისი გუნდის წევრებს ახლოდან გასცნობოდნენ?!. და რაც მთავარია, იკას ამგვარი ნება-სურვილი თუ ამოუხსნელი ახირება თავისთავად ცხადია, რედაქტორის ყველა თანაგუნდელზე, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობასა და აქტიურ ავტორებზეც გავრცელდებოდა!

ასეთი ჯოჯოხეთური ჩანაფიქრის განხორციელებისას კი „ახლობლების“ ისეთი რაოდენობა დაგროვდებოდა, ყველა მათგანის დამახსოვრება შეუძლებელი იქნებოდა და რედაქტორს, როგორც მსგავს შემთხვევაში ხდება ხოლმე, სპეციალური კარტოთეკის შექმნა დასჭირდებოდა!

მერედა, რისთვის? როგორ თუ რისთვის: როგორც ამ ოპონენტის „სიმპატიურ ასულს“, ისე მავანთა ახლობლებისთვისაც საჭიროების შემთხვევაში თავის „ბობოქარ“ ოპონენტებზე იქნებ ისეთი საძრახისი რამ წამოეცდენინებინა, რომ ჟურნალის პირით მისთვის საქვეყნოდ მოეჭრა თავი, თვითონ კი მკითხველებს ალალმართალი მოსჩვენებოდა!.. მოკლედ, გესტაპოსებური სტრუქტურული აგებულების მინამსგავსი მატრაბახული პროექტი!..

უსულგულობაში ჩამეთვლება, ჟურნალის ფურცლებზე პროვოკაციულად გამოტანილი დედა-შვილის ამ დაპირისპირებას უფრო გონებაფხიზლად არ შევეხო.

კეთილი, დავუშვათ და იმ „სიმპატიურმა ასულმა“ იკას მართლა **„გულახდილად“** უთხრა, რომ დედა ყველგან არცხვენდა! საკვირველია, იკასაც მისი ეს ნათქვამი სახარებასავით რატომ უწამებია?! იქნებ ეს მანდილოსანი ქალიშვილს ყველგან კი არ არცხვენდა, არამედ, პირიქით - თავისი პრინციპულობითა და პირმთქმელობით ამ ჭრელ ქვეყნიერებაზე ყველასთან სამართლიანი, თანასწორული და ნათელი ურთიერთობის დამყარებას ასწავლიდა, ჯერ გამოუცდელსა და მორცხვ „სიმპატიურ ასულს“ კი ეს ყველაფერი სამარცხვინოდ ეჩვენებოდა!..

ესეც რომ არა, ასაკოვან ქართველ მანდილოსანს, რედაქტორს, პოეტს და თანაც... ორი შვილის დედას (!) ნუთუ იმდენი სათნოება, კეთილშობილება, დიდსულოვნება და მიხვედრილობა არ (ვერ) უნდა გამოეჩინა, ეს ყველაფერი ჟურნალის ფურცლებზე ასეთი სამარცხვინო სიხარულით კი არ გამოეტანა, არამედ იმ „სიმპატიური ასულისთვის“ დედაშვილურად ჩაეცხრო ემოციები და თავისი კეთილგონივრული მსჯელობით ისევ დედიკოსკენ შემოებრუნებინა?!

ეს მართლა ასე რომ მომხდარიყო, იკა ქადაგიძეს განა ვინმე აუკრძალავდა თავის ოპონენტ მანდილოსანთან სარედაქციო პოლი-

ტიკის ირგვლივ წამოჭრილი მწვავე პოლემიკის ფარგლებში კვლავ შეურიგებელი ყოფილიყო?!. მაგრამ იკა ქადაგიძეს რატომღაც აქ ისეთი დასაგმობი გზა აურჩევია, ქართულ მწერლობაში სამუდამოდ რომ დარჩება, როგორც გამაფრთხილებელი ნიშანსვეტი!

დედა-შვილს შორის დაპირისპირების ამგვარი დაუშვებელი გაქვეყნება თავისთავად ხომ საშინელებაა, მაგრამ მასზე უფრო დიდი საშინელება თავს სხვაგან იმაღლავს: **იკა ქადაგიძე რომ ვერ ხვდება, ამის ჩადენით პირველ რიგში თავის ზნეობას, პიროვნულ ეთიკას, ერუდიციას, ინტელექტსა და პოეტობასაც რომ გამოუტანა სასტიკი და საბოლოო განაჩენი, რასაც კასაცია ველარასოდეს შეეხება!!!** ამიტომ...

დასასრულ, სხვადასხვა წონიან მიზეზებთან ერთად, ამ „სიმპატიური ასულის“ მშობელ დედასთან დაპირისპირების - ოღონდ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ აქვს, ნამდვილის თუ შეთითხნილის! - საქვეყნოდ გამოტანისთვის იკა ქადაგიძეს სამუდამოდ უნდა აეკრძალოს რედაქტორობა და ნებისმიერ რედაქციაში ლიტმუშაკად ანდა უმცროს კორექტორად კი არა, თუ-გინდ დამლაგებლად მუშაობა!

ამას აი, რითა და როგორ ვხსნი: ნებისმიერ წარმოება-დანესებულებაში, როგორც წესი, დამლაგებლები ყველაზე ადრე მიდიან და მარტოდმარტო საქმიანობენ, რის გამოც ყველაფერზე ხელი თავისუფლად მიუწვდებათ! ამიტომ რამეთი დაინტერესებულმა თუ ბოროტმოხარული ზრახვით ატანილმა დამლაგებელმა რაღაც მიზეზით წინასწარ ნიშანში ამოღებული ავტორის ტექსტს შეიძლება აქა-იქ ისე უხიმანოს, სულ თავდაყირა დააყენოს ნაწარმოების მხატვრული ღირსება, შინაარსი, დანიშნულება...

\* \* \*

**უნებურად** გაგონდება ბერძნული ანდაზა - ილაპარაკე სხვებზე, რომ გავიგო, შენ ვინა ხარ!

ჰოდა, იკა ქადაგიძე, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ ყოფილ წევრზე, ცნობილ პოეტ მანდილოსანზე, ოღონდ რედაქციიდან უკვე „მოკვეთილ“ (მარსიანი) ოპონენტზე აი, რას წერს.

„აკი არც არასოდეს მალავდა, რომ თანამედროვე სამწერლო პროცესებში არ (უნდა იყოს აღარ. ჯ.მ.) მონაწილეობდა. მწერლობას ბოლო ხუთი წელი იყო, რაც პედაგოგიური ინსტიტუტიდან გათავისუფლების შემდეგ შემოკედლებოდა“.

არადა, უნდა იყოს.

„აკი არც არასოდეს მალავდა, თანამედროვე სამწერლო პროცესებში რომ აღარ მონაწილეობდა. ბოლო ხუთი წელი იყო, რაც მწერლობას პედაგოგიური ინსტიტუტიდან გათავისუფლების შემდეგ შემოკედლებოდა (ჯ.მ.)“.

პირდაპირ აზროვნების უნარს გიქვეითებს იკა ქადაგიძის შურიანი ბუნება. დაუშვავთ და ამ პოეტმა მანდილოსანმა ვინრონრეში მოიჩივლა ან იკას დურად მართლაც გაანდო თავისი შემოქმედებითი გასაჭირი. მერე, შენ კიდევ უნდა ადგე და ეს საიდუმლო ჟურნალის ფურცლებზე საქვეყნოდ გამოუმზეურო?! რატომ, რისთვის, რა მიზნით?! რა არის ეს თუ არა ეგოისტური დაბეზლება და ასპიტიური ჩაკბენა?!

მერე რა, ეს პოეტი მანდილოსანი პროტესტის ნიშნად „ისინდის“ რედაქციიდან რომ წასულა - კადრების უწყვეტი დენადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არის და იქნება მსოფლიოს ნებისმიერ სფეროსა თუ დარგში! ჰოდა, როგორ თუ ჩემი გუნდიდან ნახვედიო, ყველამ ასე მიწასთან რომ გაასწოროს „მოლაღატე“ მუშაკი, მაშინ ვილა ემსახუროს სამშობლოს, რა დღეში ჩავარდება ისედაც გაუბედურებული საქართველო?

იკა ქადაგიძე ამას უფიქრდება?!

\* \* \*

**სარედაქციო** დისციპლინა და უდისციპლინო თანამშრომლები იკა ქადაგიძის ამოუწურავი და უსაყვარლესი თემაა, რასაც თან თვითრეკლამისთვის იყენებს, რათა მკითხველ საზოგადოებას თავი „ნამებულ“ რედაქტორად მოაჩვენოს - აი, რანაირ თანამშრომლებთან მიხდება ურთიერთობა და „ყველაზე მეტძოლი“ ლიტჟურნალის გამოცემას!

ღმერთთან სწორი სჯობს - მანდილოსანი რედაქტორი თავისებურად იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ აი, რა არის უბე-

დურება: როგორც ნებისმიერ თემას, საკითხს, მოვლენასა თუ შემთხვევას, იკა ქადაგიძე ამ დისციპლინა-უდისციპლინობასაც „ოსტატურად“ იყენებს თავისი თანამოძმე მანდილოსნების დასამცირებლად! არა გჯერათ? აბა, რედაქტორის ამ ორ ციტატას კარგად დაუკვირვით.

**„მით უმეტეს, დასაოჯახებელი მანდილოსნების თვალშისაცემი (უნდა იყოს თვალში საცემი. ჯ.მ.), მოურჩენელი არაორგანიზებულობა“.**

**„ამ დასაოჯახებელი ქალბატონებისთვის სარედაქციო ოჯახი ამკარად გასართობ კლუბად ასოცირდებოდა“.**

ახლა მთელი პრინციპულობით ვიკითხოთ: ეს რას აქეთ არის, როცა ნებისმიერი თანამშრომლის პროფესიულ ღირსებას მისი დაოჯახება-დაუოჯახებლობის გადასახედიდან აფასებენ?! განა არ შეიძლება, დაოჯახებული მუშაკი სრულებით უდისციპლინო იყოს, დასაოჯახებელი კი პირიქით - სანიმუშო ცოდნითა და წესრიგიანობით გამოირჩეოდეს?! ასე, რომ თუ რედაქციის თანამშრომლების დისციპლინაზე მსჯელობ, მაშინ უშუალოდ ამაზე ილაპარაკე, თორემ აქ რა ზნეობრივია პირადულ-ინტიმურ საკითხზე - დაოჯახება-დაუოჯახებლობაზე მკითხველების ყურადღების გამახვილება?! მაგრამ როგორ იქნება ეს (ასეთი) შემთხვევა იკა ქადაგიძემ ხელიდან გაუშვას: თანაგუნდელ მანდილოსნებს, თავისი ჩვეულებისამებრ, იქნებ როგორმე გული ატკინოს - აი, თქვენ ვერ შეძელით დაოჯახება, მე კი, მარსიანის შეფასებით, ოჯახიშვილობაც მომდგამს, კარგი „საკუთარი“ ოჯახიცა მაქვს შექმნილი და მისივე მტკიცებით, უმრავლესობას „ფიზიკური გარეგნობითაც“ ვჯობივარო!!!

ღმერთო, როგორ იქნება, ამნაირი ბუნებისა და გუნების ქალს „საკუთარი“ ჟურნალი ჰქონდეს, თანამოძმეთა დასამცირებელ იარაღს რომ დაამსგავსა!..

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვითომ სარედაქციო დისციპლინაზე აღაღადებულ 48 წლის რედაქტორს რამ დაავინყა წელან ამაყურად რომ განაცხადა: ჩემი თანამშრომლები და თანაგუნდელები ასაკით ჩემზე ორჯერ უფროსები არიანო!

ჰოდა, თავისი გაანგარიშებით, 96 წლის დაუოჯახებელ „უდის-ციპლინო“ მანდილოსნებს ახლა ასე დამცინავად რა სინდისით უწოდებს „დასაოჯახებლებს?!“.

აი, სადამდეა მისული იკა ქადაგიძის შეუგნებელი თუ შეგნებული ცინიზმი!

ეგეც თქვენი ქართველი მწერლების პატრონი ჟანა დ' არკი!..

\* \* \*

„ისინდის“ ერთ-ერთ თანამშრომელს, სხვადასხვა მიზეზით იკა ქადაგიძესთან რომ აღარ ნდომებია ურთიერთობა და რედაქციიდან მალევე წასულა, გააგებული რედაქტორი ასე ახასიათებს.

„უეცრად დამფრთხალი და ამნეზიადამართული წევრი“.

კი მაგრამ, ნიჭიერ მწერალსა და კინორეჟისორს რედაქტორი ასე ცინიკურად რატომ დასცინის? იმიტომ, რომ ასეთია იკა ქადაგიძის ბუნება და მრწამსი: ვინც მის გუნდში იყო, მაგრამ იქ ყოფნა აღარ სურს და წავა, გაანჩხლებული რედაქტორის შეფასებით ის უპირო... მოღალატე... დასაგმობი ორიენტაციის... დამფრთხალი... ამნეზიადამართული... ბოხოქარი ამორძალი... რუხი კარდინალი თუ შხამიანი ობობაა!..

\* \* \*

ერთ-ერთ ნაცნობ ლიტერატორ მამაკაცს იკა ქადაგიძესთან პირისპირ ბაასისას ერთ ნანიშნ ქალბატონზე აი, რა დაუროტავს, მანდილოსანი რედაქტორი კი ამ ფრაზას სიხარულით იმეორებს თავის წერილში „ვივა ცენზურას!“ („ისინდი“, 8, გვ. 13, პირველი სვეტი, ბოლო აბზაცი).

„ის ორმოცდაათს გადაშორებული მომხიბლავი კლიმაქსიანი ქალია“.

მანდილოსნების პატივისცემის ნიშნად აქ თავს ვერანაირი კომენტარების უფლებას ვერ მივცემ! ოღონდ ყველამ თავად გაიაზროს - იკა ქადაგიძის სახით ვისთან გვაქვს საქმე!

\* \* \*

სხვადასხვა მიზეზით თუ იკა ქადაგიძის გუნდის წევრი გახდით, მაგრამ მის დაბერილ დუღუკზე ზოგიერთებივით ისე ვერ აგაბუქნავათ, როგორც მას ეპრიანება და მით უმეტეს, მისი გუნდიდან წასვლა ან გაქცევა ამჯობინეთ, მაშინ საკუთარი არქივის ქექვა და საჯაროდ დაბეზლება არ აგცდებათ!

თავის ვრცელ წერილში იკა ქადაგიძე აი, ერთგან რას წერს! ოღონდ აქ სრული გვარ-სახელით დასახელებულ პიროვნებას მე მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიებ.

**„გუნდის მესამე ყოფილი წევრი, ცნობილი პოეტი ლ.გ., ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერისათვის თავის დროზე პატიმრობა რომ გამოიარა, ძალზე უცნაურად გაგვიუცხოვდა“.**

გაგონილა, „ცნობილი პოეტის“, თანაც მანდილოსანი პოეტის მიერ ასე მტარვალურად გამეტება?! კი მაგრამ, შენ ვინ გეკითხება ან ეს რა აქ განსასჯელია, ამ ახალგაზრდა კაცმა „თავის დროზე“ რა გამოიარა: პატიმრობა... ვინროპარტიული ჯოჯოხეთი... სამოთხე... ხელისუფლების დევნა-თვალთვალი... ედემყავილნარი თუ პოლიტიკური წნეხი?!

ერთიც ვნახოთ და ამგვარი მაცდური ინფორმაცია, რაც წამქეზებლურ დასმენას უფრო წააგავს, პოლიტიკანური დენთით დატენილ ამ ჩვენს უნდო დროში „ცნობილ პოეტს“ ყოველნაირად - სამსახურებრივად, სამოღვაწეოდ, შემოქმედებითად და თვით თავისი ანდა ოჯახის წევრების სიცოცხლისთვისაც კი შავ-და-უკუღმა დაუტრიალდა, რის მოწმენიც არაერთხელ ვყოფილვართ, ამაზე მერე პასუხს ვინ აგებს?! ან რა მხატვრული თუ პოლემისტური აუცილებლობით არის ნაკარნახევი ამ „ცნობილი პოეტის“ „თავის დროზე“ პატიმრობის ჩაჩრაც?!. სარედაქციო მუშაობის ავკარგიანობასთან დაკავშირებით თუ ვინმესთან საკამათო გაქვს, უშუალოდ ამით შემოიფარგლე და მორჩი - თორემ ოპონენტის პირადი არქივის უჯრებში გესტაპოს აგენტივით რას იქექები?!

მოდით და ნუ გახეტდები: იკა ქადაგიძის გარდა იმ „ცნობილ პოეტს“ თავის წერილში მარსიანიც ეხება! მოუსმინეთ (ოღონდ მარსიანისგან განსხვავებით ამ პოეტს აქაც მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიებ).

„პოეტმა ლ.გ.-აც (რომელიც თავის დროზე ეროვნული ხელისუფლების მომხრეობის გამო ციხეშიც კი იჯდა), არ შეასრულა თავისი დანაპირევი (რომ თითქოს ჟურნალისტის სერიოზულ დამფინანსებლებს მოიზიდავდა)“.

მერე, ის „ცნობილი პოეტი“ - რაკი „ისინდისთვის“ შეპირებული „სერიოზული“ დამფინანსებლები ვერ მოუზიდავს - ამის გულისტვის ისევ ციხეში შევაბრუნოთ?!

\* \* \*

**ამ მაგალითის** მოყვანა კი მერიდებოდა, მაგრამ ჩემს მორიდებას რალა აზრი შეიძლება ჰქონდეს, როცა თვით იკა ქადაგიძე მკითხველებს თავმონონებით აცნობს.

როგორც ჟურნალის მე-10 ნომერში დაბეჭდილი მისი მონათხრობიდან ვგებულობთ, საყოფაცხოვრებო პირობების მიზეზით ერთხანს თბილისთან ახლომდებარე, რომელიღაც სოფელში უცხოვრია და დილა-სალამოს თურმე სამარშრუტო ტაქსით უხდებოდა მგზავრობა.

ახლა თვით იკას მოუსმინეთ.

„ჩემი ღამეული გადაადგილება საფრთხეს მიქმნიდა და ჩვენი ტექნიკური რედაქტორი სამარშრუტო ტაქსამდე ერთგულ დაცვასავით მაცილებდა. ერთხელ ტრანსპორტისთვის რომ მიმესწრო, ღამის რუსთაველზე მანქანა დაგვეჯახა (უნდა იყოს „ტრანსპორტისთვის რომ მიმესწრო, რუსთაველზე ერთხელ კინალამ მანქანა დაგვეჯახა“. ჯ.მ.)... **რამდენჯერმე მაინც ვერ ავცდი საეჭვო ამკიდებლებს“.**

ააა!.. იკა ქადაგიძე წინდანინ ამიტომაც აფრთხილებდა მკითხველებს და ჩვენს გაგულგრილებულ საზოგადოებასაც - ჩემი ღამეული გადაადგილება საფრთხეს მიქმნიდაო, რომ თურმე მაინც ვერ ასცდენია - თანაც რამდენჯერმე! - **„საეჭვო ამკიდებლებს“.**

ეს საშინელებაა, მაგრამ აქ რა არის მოულოდნელი ან გასაკვირი - ქალთა გარეგნობის შეფასების უბადლო ექსპერტი, მარსიანი რომ ბრძანებს - იკა ქადაგიძე უმრავლესობას **„ფიზიკური გარეგნობითაც“** აღემატებაო, მაშ, როგორ ვერ უნდა ევარაუდათ, რომ **„ფიზიკური გარეგნობით“** გამორჩეულმა იკა ქადაგიძემ სადაც ან

დღე-ღამის რომელ მონაკვეთშიც უნდა გაიაროს, სულ ადვილი შესაძლებელია, „საექვო ამკიდებლებმა“ გასაქანი არ მისცენ!

მაშ, როგორ მოვიქცეთ? ჩემი აზრით, საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ერთობლივი დადგენილება უნდა მიიღონ, რათა „ყველაზე მეტძოლი ეროვნული“ ჟურნალის რედაქტორის, „ფიზიკური გარეგნობით“ გამორჩეული იკა ქადაგიძის ნებისმიერ დროსა და მიმართულებით უხიფათო „გადაადგილება“ უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოტომსროლელთა ასეულმა და ოქროს მედალოსან სამბისტ-კარატისტთა გუნდმა! ამ გასაიდუმლოებულ ესკორტში უნდა შედიოდეს 20-მდე ანდა უფრო მეტი, ერთი და იგივე მარკის მსუბუქი, მინებჩაბნელებული ავტომობილი (მარკის ამორჩევა, ცხადია, თვით იკა ქადაგიძის სურვილზე იქნება!). ამდენი მსუბუქი ავტომობილებიდან ერთ-ერთ მათგანში - ოღონდ ეს დაცვის უფროსის გარდა სხვამ არამც და არამც არ უნდა იცოდეს! - იჯდება „ისინდის“ რედაქტორი!!!

ერთი სიტყვით, გულის ამრევი პროვინციალიზმი! პროვინციალიზმს რამენაირად კიდევ გაუმკლავდები - პროვინციალიზმზე უფრო უარესი და ამოუხსნელი: ასე ფანატიკურად როგორ უნდა იყო გამონაფული, ყველაფერი საკუთარი პიროვნული ლეგენდის მახინჯი კოშკის ასაგებ ქვის ნატეხივით გამოიყენო ანდა მისი მორყეული ხარაჩოების დააფრაკებულ ფიცრად აქციო!

თუმც იკა ქადაგიძე მართალია, ოღონდ თავისებურად: მარსიანისეული „წყალგაუვალი“ შეფასება - იკა უმრავლესობას „ფიზიკური გარეგნობით“ აღემატებაო, ეს ჟურნალში ცოცხალი მაგალითითაც ხომ უნდა დადასტურებულიყო?!

ჰოდა, იკა ქადაგიძესაც „საექვო ამკიდებლების“ ყბადაღებულის მოშველიებით, ეტყობა, საეშხოდ ჩაუკერებია თავის ავტობიოგრაფიას მიმსგავსებულ ამ უთავბოლო ვრცელ წერილში!

მკითხველს აქ პირველ რიგში ამნუხრებს იკა ქადაგიძის მიერ გამოჩენილი ენის თავდაჯერებული (!) უცოდინარობა და მისი ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი - „შემთხვევითი სიტყვების“ (ვლ. მაიაკოვსკი) უაზრო დახვავება!

ამის ნათელსაყოფად ამ ციტატის ბოლო წინდადებაც იკმარებს!

**„რამდენჯერმე მაინც ვერ ავცდი საეჭვო ამკიდებლებს“.**

შინაარსობრივად ამ უმარტივეს წინადადებაში ვინმე საკუთარი ცოდნისა და მხატვრული ალღოს გარეშე მიხვდება, ავტორს რის თქმა ენადა და რა გამოსვლია?!

რას ნიშნავს სიტყვა **ამკიდებელი?** ვინც, რაც აიკიდებს ან სხვას აჰკიდებს.

მაშ, იკა ქადაგიძის იმ **„საეჭვო ამკიდებლებს“** თვითონ მაინც რა ტვირთი უნდა აეკიდათ ანდა, მაპატიეთ და, იკასთვის რანაირი ტვირთი უნდა აეკიდათ?!

თავშესაწყენი ჩიჩინი რომ არ გამომივიდეს, მოკლედ მოვჭრი: „ბასრკალმიანი“ რედაქტორი აქ ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს სიტყვებს: **ამკიდებელი, აკიდება, აჰკიდებს, აკიდებული, აიკიდებს, აეკიდება, ასაკიდებელი.**

არადა, ავტორს აქ უნდა ეხმარა ზმნის, **აეკიდება** რომელიმე ფორმა!

რას ნიშნავს **აეკიდება** (აეკიდა, აჰკიდებია)? მას რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ ამ კონტექსტისთვის მთავარია მისი გადატანითი მინიშნება - **აედევნება, არ მოეშვება!**

„ფიზიკური გარეგნობით“ (მარსიანი) გამოორჩეული რედაქტორი „რამდენჯერმე“ აი, თურმე რანაირ კრიტიკულ ვითარებაში ჩავარდნილა, მშობლიურ ენასთან მწყრალად მყოფ იკას კი სურს, მკითხველებს რაღაც ტვირთის **აკიდება-გადაკიდება** თუ **წამოკიდება** წარმოადგენინოს!

აი, კიდევ რა: ავტორი ხაზგასმით რომ ასახელებს **„საეჭვო ამკიდებლებს“**, ნებისმიერმა აღელვებულმა მანდილოსანმა მსგავს ვითარებაში როგორ უნდა დაადგინოს ანდა ამის დადგენას რაღა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს - თუ ვიღაც ოხერტიალი ავტორლიალა, იგი **„საეჭვო ამკიდებელია“** თუ **„არასაეჭვო ამკიდებელი!“**

ისევ და ისევ **„შემთხვევითი სიტყვებით“** (ვლ. მაიაკოვსკი) ტექსტის ვითომ გამხატვრულების ძვალ-რბილში გამჯდარი ილუზია!

\* \* \*

**ამგვარი** მაგალითების ჩამოთვლა-გარჩევას რომ გავყვე, მაშინ „ისინდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იკა ქადაგიძის წერილების უმრავლესობას უნდა შევეხო, ამის აუცილებლობა კი არ არის! ალბათ, მკითხველებიც დამეთანხმებიან, რაც დავასახელე, საერთო სურათისთვის ესეც იკმარებს! მაგრამ ერთი ადგილი სულ ბოლოსთვის შემოვინახე, რაც ეპოქალური სიზუსტით ასახავს თანამედროვე ქართული საზოგადოებისა და მეტადრე კი ჩვენი მწერლების ურთიერთმომთხოვნელობის დონეს.

აი, იკა ქადაგიძის ეს ნათქვამიც (სტილი ხელუხლებელია).

**„...მომხდართ ალშოთებულმა ცნობილმა მწერალმა თემურ ჩალაბაშვილმა, აქვე დავაზუსტებ, იგი „ანეულის“ რედაქციის წევრი და შაიშმელაშვილის კახური კლანის ერთ-ერთი განშტოების მფარველი და უფროსი მეგობარია (ბ-ნი თ. ჩალაბაშვილი სწორედ მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს (2018 წლის ზაფხული მაქვს მხედველობაში“. („ისინდი“, 2020, 10, გვ. 9, მეორე სვეტი).**

მკითხველების ყურადღებას აქ მხოლოდ ორ მომენტზე გავამახვილებ.

**პირველი.** რაოდენ დასაძრახადაც უნდა ჩამითვალონ, ჯერ პირადულით დავინწყებ. იკა ქადაგიძისგან, თანაც ასეთი გასაკვირი სახელდებით, პირველად შევიტყვე, ქართულ მწერლობაში თურმე ლიტურნალ „ანეულის“ რედაქტორის, თამარ შაიშმელაშვილის განშტოებიან მწერლურ-კახურ კლანს რომ უარსებია, რომელსაც, როგორც იკა ქადაგიძე ირწმუნება, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე, ცნობილი პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი** მფარველობს და მეგობრობს!

ეს რომ წავიკითხე, მაშინვე ფორიაქმა მომიცვა, ვინაიდან ჩემი კახური წარმომავლობის (დედოფლისწყარო, სოფელი ოზაანი) მიზეზით შეიძლება ბევრს მეც თამარ შაიშმელაშვილის კახური კლანის რომელიმე განშტოების წევრი ვგონივარ-მეთქი! ამიტომ ყველას გასაგონად ვაცხადებ: თამარ შაიშმელაშვილის კახური კლანის კი არა - თანამედროვე ქართულ მწერლობაში

თუკი მართლა არსებობს ოფიციალური, ნახევრადოფიციალური ანდა იატაკქვეშა ფარული მწერლურ-მაფიოზური კლანები! - მე არც ერთი მათგანის წევრი არა ვარ და განეწიანებაც რომ შემომთავაზონ, მაშინვე უარს განვაცხადებ, ვინაიდან აზრზე ვერ მოვდივარ - იქ რა უნდა ვაკეთო?!

ერთი სიტყვით, მე თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი უჩინმედლებო, სუფთასამხრეებიანი რიგითი ჯარისკაცი ვარ და მეტი არაფერი.

**მეორე.** არ დავმაღავ, ამის ნაკითხვამ იკა ქადაგიძეზე, როგორც პიროვნებაზე, შთაბეჭდილება სულ წამიხდინა - ასე წინდაუხედავად წერა როგორ იქნება-მეთქი!.. ამას ხომ საქართველოს წიგნიერი საზოგადოების, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საერთოდ, ქართველი მწერლების აღშფოთება მოჰყვება და ეს ყველაფერი რანაირად უნდა დაამტკიცოს-მეთქი!

უკვე მესამე წელი მიიწურა, მაგრამ „არსაიღამ ხმა, არსით დახილი“ - იკა ქადაგიძის ამგვარ საგანგაშო განაცხადს არავისგან არავითარი პროტესტი, საგანგებო მსჯელობა, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეფასება არ მოჰყოლია: „ცნობილი მწერალი“ - **თემურ ჩალაბაშვილი** ისევ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელია! **თამარ შაიშმელაშვილი** კვლავ მორჭმით უზის ლიტურუნალ „ანეულის“ რედაქტორის საკარცხულში, ხოლო თვით **იკა ქადაგიძე**, ქართულ მწერლობაში კლანის, მისი ხელმძღვანელისა და მფარველის მხილებისა თუ მათი წარმოუდგენელი ცილისწამებისთვის არც დაუფიქრობიათ, არც დაუსჯიათ - ისიც ისეთ „თავის“ ლიტურუნალს ხელმძღვანელობს და რაც მოეგუნება, იმას აქვეყნებს - ვინ არის გამკითხველი?!

რა დავარქვაო ყოველივე ამას?!

ეს რა უხეში და უხმაურო ნისქვილისებური ბორბლები დაგვბრუნავს თავზე?! ამგვარ საგანგაშო სატკივარზეც ყურის მოდვრენა ნუთუ ჩვენი თანდაყოლილი და განუკურნებელი ეროვნული ნაკლი თუ თვისებაა?!

მე პატარა კაცი ვარ და სრულებით ბუნებრივია, ჩემი ამგვარი მსჯელობა სათვალავში არც ჩააგდონ! კეთილი, მაგრამ ცნო-

ბილი ქართველი მხატვრისა და გრაფიკოსის, დავით კაკაბაძის (1889-1952) შეფასებას სად წაუვალთ?!

მართალია, დ. კაკაბაძე ამას 1922-25 წლებში ფიროსმანთან დაკავშირებით წერდა, მაგრამ თვალახელა ჟურნალტელივით გივლის - ეს ყველაფერი თითქოს ჩვენს დღევანდელიობაზეა დაწერილი და მელანი ჯერაც არ შემრობიაო!

„ეს იმის შედეგია, რომ ჩვენში არ იყო განვითარებული საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება და არც შესაფერისი კულტურული შეგნება არსებობდა. დღევანდელ ჩვენს მხატვრობაშიც არავითარი მხატვრული აზრი არ არსებობს. არც მხატვრული ცხოვრების ორგანიზაციული წესი... არც ქართულ საზოგადოებაში არსებობს მხატვრული შეგნება და ინტერესი. ამიტომ ქართველ მხატვარს, რომელსაც ჩვენში მხატვრული აზრის განმტკიცება სურს, დიდ დამაბრკოლებელ პირობებში უხდება მუშაობა, რადგან მას მოქმედება უწევს ინდეფერენტულ საზოგადოებასა და უვარგის მხატვრულ წრეში“.

### 37

**ეტყობა**, ეს ქართული ანდაზაც უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა - **უძაღლო სოფელში უჯოხოდ დაიარებიანო!** ჰოდა, იკა ქადაგიძეც სწორედ ამ ანდაზის მიხედვით იქცევა - როგორც მოეგუნება ან რაც გზადაგზა მოაფიქრდება, „თავისი“ ჟურნალის მკითხველებს ისე ეპრანჭება და ეგრიხება: მე არც ახალგაზრდობაში ვაცდენდი კალამსო!.. ჩემი „მოურჯულებლობის“ ნივთმტკიცებად „რეკორდულად გახმაურებული“ ლექსი „მოძმე“ იქცაო!.. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უფროსთაობელმა თანამოკალმეებმა თაობათა შემაკავშირებელ ხიდად მაღიარესო!.. მე ბასრი კალამი მაქვსო!.. მე „ისინდის“ დაარსებიდან გაცილებით ადრე ყველაზე მეტრძოლი კრიტიკოსის სახელი მოვიხვეჭეო!.. ყველაზე მეტრძოლი ჟურნალი მე დავაარსეო!.. ჟურნალ-გაზეთებში ჩემ შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიებით ლამის რეკორდი დავამყარეო!.. მარსიანს მე გენიოსად მივაჩნივარო! და სხვ. და სხვ!..

მოკლედ, მკითხველებს სისხლს უშრობს იკა ქადაგიძის უსაფუძვლო, უადგილო და უკადრისი ბაქიობის დაუსრულებლობა!!!

აბა, როგორია მკითხველის გრძნობა-გონების გამახვევებელი იკა ქადაგიძის ან ეს ციტატა („ისინდი“, 10, გვ. 22, მეორე სვეტი, პირველი აბზაცი).

**„ემუშაობდი რა სიყვარულით და სრული უანგარობით, არ ველოდი არავისგან არც ჯილდოს, არც ნახალისებას, პირიქით, გადავიტანე ბევრი გასაჭირი და უსიამოვნება პირებისგან, რომელნიც გვერდში უნდა ამომდგომოდნენ და გავემხნეებინე“.**

ეს გულმდუღარე სიმართლე, (რა საჭირო იყო აქ ეს მძიმე? ჯ.მ.) სახელგანთქმულ მეცნიერსა და ერისკაცს, ალექსანდრე ხახანაშვილს ეკუთვნის, რაც (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), სამწუხაროდ (აქაც მძიმე უნდოდა! ჯ.მ.) დროგამძლე, ქართულ აქსიომად იქცა და რა გასაკვირია, ჩემზე (უნდა იყოს ჩემზეც. ჯ.მ.), როგორც ეროვნული მწერლობის მესიტყვესა და დამცველზე (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ისე (უნდა იყოს ისევე. ჯ.მ.) ვრცელდებოდეს, როგორც ჩემს (უნდა იყოს ჩვენს. ჯ.მ.) თვალსაჩინო, თავდადებულ წინამორბედებზე ვრცელდებოდა“.

აქ შემადრწუნებელია არა იმდენად ასეთი რამის „საკუარ“ ჟურნალში დაბეჭდვა, არამედ სულ სხვა რამ - ამგვარი მკრეხელური ცდუნება ჩვენს ნებისმიერ თანამოკალმეს და მით უმეტეს, იკა ქადაგიძისნაირ ლიტერატორს გონებაში რანაირად უნდა გასჩუჩუნებოდა?!.. მაგრამ შემთხვევით რედაქტორს ყველაფერზე ეტყობა, რომ „თავის“ ჟურნალს, დროს, ვითარებასა და გარემოებას კულაკური სიხარბით ეშურება!

აბა, დაუკვირდით: ალექსანდრე ხახანაშვილსა და მის ჯუფთ **„თვალსაჩინო, თავდადებულ წინამორბედებთან“** თავგატოლებასაც არ დასჯერდა და „ღვანლმოსილი“ მწერლის, **ჯემალ ქირიას** გარდაცვალებისთანავე(!) მისი მაროდორული ცრუდამონმებით, თავი ახლა კიდევ... მთელი ქართველი მწერლების პატრონ (!) ჟანა დ' არკად გამოაცხადა!!!

ვინ იცის, „ისინდის“ რამდენ მკითხველს გატანჯავს ამგვარი კითხვა: კი მაგრამ, ასე რატომ იქცევა იკა ქადაგიძე - ნუთუ საკუთარი ღირსება არ ანალვლებსო?!

გულუბრყვილო მკითხველები და ჩემისთანა რიგითი მწერლები დამოუკიდებლად ვერასოდეს ვიპოვით ამ კითხვის ამომწურავ, მეცნიერულ პასუხს, ოღონდ შეუძლებელია ზოგიერთს მაინც არ წამოაგონდეს ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთ ტომში ამოკითხული ეს ნაწყვეტი.

**დაბუაშვილო გელო,**

**მაგრე რამ გაგამგელო!**

მართლაც, რაც ლიტყურნალი ჩაიგდო ხელში, იკა ქადაგიძემ საკუთარ პიროვნებასა და ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით რალანაირი ომახიანი წოდება, თვისება, მოვალეობა, ღირსება და სამაგალითო შედარება არ მიისაკუთრა! მერე? ჯერჯერობით, ვინა ჰყავს დამშლელი - ქართული მწერლობის პატრონი ჟანა დ' არკის კი არა, შეუძლია ახლა კიდევე ბერძნულ-რომაული მითოლოგიის უკლებლივ ყველა ქალღმერთის სახელის მიწებებით წარუდგეს ქართველ მწერლებს, მაგრამ ამას რა ფასი ექნება, თუკი საკუთარი შემოქმედებით ვერ გამოირჩევი?! ამიტომ ყველა შემოქმედს კარგად უნდა ახსოვდეს - ფირალურად მოხვეჭილი მყვირალა ზედწოდებები ვერაფრის კომპენსაციას ვერ მოახდენს!!! ამიტომ იკა ქადაგიძის დაბუაშვილისებური გამგელება ერთ სევდიან ისტორიას მაგონებს.

კუპეში მარტოდმარტო დაბარგებული ერთი გლეხკაცი სადღაც მიემგზავრებოდა. მართალია, მატარებლით, თანაც უცხო მხარეში, ეს მისი პირველი მგზავრობა იყო, მაგრამ თავი მაინც ყინჩად ეჭირა - ბოლო პუნქტში მძახლები დახვდებოდნენ! მაგრამ იღბალი არ გინდათ: დასალამოებულზე ერთ-ერთ ვაგზალში რომ შევიდნენ, ორივე მიმართულების მატარებლები გააჩერეს - სადღაც ელექტროავარია მომხდარაო!.. საათი საათს მისდევდა, გზა კი არა და არ იხსნებოდა!.. ამ ჩვენს გლეხკაცსაც მეტი რა დარჩენოდა - პატარა სუფრა გაეშალა და თავანკარა ღვინოს ზომიერად წრუპავდა, თან სულ სარკმელში გაიყურებოდა - როდის გაგვიშვებენო!.. დაღამდა... ანთო ვაგზლის ლამპიონები... შუალამემაც მოატანა და გადაიხარა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!.. ეს გლეხკაცი მოულოდნელად გადმოუცემელმა სიხარულმა შეიპყრო და ბალიშზე თავი არხინად მიდო, თან

სარკმელს თვალს არ ამორებდა - გზა გაიხსნა და დავიძარიტო!!! მაგრამ უყურეთ ბედის ირონიას - ეს მართლა მისი მატარებელი კი არა, თურმე მოპირდაპირე შემადგენლობა დაიძრა ნელ-ნელა, საწყალ გლექკაცს კი მოსჩვენებოდა, ჩემი მატარებელი გაუშვეს და მეშველაო!

სამწუხაროდ, ოღონდ რიგითი მკითხველისთვის გაუგებარია, იკა ქადაგიძეს მართლა არ ესმის თუ თავს იკატუნებს და არასდიდებით არ სურს შეიგნოს, იმ გლექკაცივით რომ ემართება: ეს ქართული მწერლობის გატანჯული მატარებელი მიხვენების თავის უსწორმასწორო ლიანდაგზე, თვითგანდიდების ლოზუნგებითა და პლაკატებით გადაჭრელებული მისი ეშელონი კი ლიტერატურულ ჩიხში უმოძრაოდ უდგას და ალაჰმა უწყის, როდისმე დაიძვრება თუ არა! ხოლო კიდევ რომ დაიძრას, სირცხვილის უფსკრულში უმსხვერპლო გადაჩეხა მაინც არ ასცდება, როგორც ამას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის არაერთი მაგალითი გვიდასტურებს!

ერთი კარგად დააკვირდით, განსვენებულ **ჯემალ ქირიას** ხსოვნისადმი ფაცაფუცით შეკონინებული ამ ე. წ. „მოგონების“ აღმამფოთებელ ულოგიკობასა და ანგარებიან ტენდენციურობას! ტყუილად კი არ არის ნათქვამი - ქურდს ქუდი ეწვისო! იკა ქადაგიძესაც სწორედ ასე ემართება - თვითონვე გრძნობს და... თუმც ამას ვილა ვერ იგრძნობს! მაგრამ აქ უმთავრესი სულ სხვა რამეა - თვითონ იკა ქადაგიძე როგორ ცდილობს ყოველივე ამის ახსნას! მოდი, უფრო პირდაპირები ვიყოთ - იკა ქადაგიძე როგორი გამაშეშებელი უტიფრობით ცდილობს კეთილშობილი მკითხველების მოლორებას!!!

2021 წელს დასტამბულ „ისინდის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნებულ ე. წ. „მოგონებიდან“ წელან მოყვანილ ციტატაში „ღვანულმოსილ“ მწერალს, **ჯემალ ქირიას** 2017 წლის გაზაფხულისთვის, ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლამდე (2017 ივლისი) რამდენიმე თვით ადრე, თავი ქართული მწერლობის პატრონ (!!!) ჟანა დ' არკად ხომ გამოაცხადებინა და ზედმოხმითვე მკითხველებს აგერ, თან რის თქმას უბედავს!

**„გული საშინლად მწყდება, სიცოცხლეში „ისინდისთვის“ მასალის გადმოგზავნა ვერ მოახერხა (უნდა იყოს „სიცოცხლეში**

„ისინდისთვის“ მასალის გადმოგზავნა ვერ მოახერხა“. თანაც აქ წერტილი უნდოდა და არა მძიმე. **ჯ.მ.). არადა, რამდენჯერ ვთხოვე, მივწერე კიდევ, მაგრამ ბოლო დროს გაუარესებული მდგომარეობის გამო** (რა ან რის მდგომარეობის გამო?! **ჯ.მ.) მწერალმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია“.**

მორჩა, ამ ამონარიდს ცულითაც ველარავინ დაანაფოტებს და იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მარად დარჩება, როგორც თავანყვეტილი შარლატნობისა და აქამდე არამცთუ გაუგონარი, არამედ წარმოუდგენელი ლიტერატურული მაროდორობის გასარინდებელი მაგალითი!

ფარისევლურად **„საშინლად გულდანყვეტილ“** იკა ქადაგიძეს, ეტყობა, თვითონაც არ ესმის, მკითხველებს თავის საუნწყებელს რანაირად აუწყებს, რომლის ქვეტექსტი ასე იუწყება: როგორც მე ვბრძანებ, თქვენც სწორედ ისე უნდა დაიჯეროთ, არადა, თავშიც ქვა გიხლიათ, მუცელში - სამართებელიო!

აქ გაუგონარი რამ ხდება: თავისივე გრაფომანული მსჯელობის დაოღროჩოღროებულ ლაბირინთებში გზაკვალარეული იკა ქადაგიძე მახსარად იგდებს არა მარტო მკითხველ საზოგადოებას, ლიტერატურულ ჭეშმარიტებასა და მწერლურ ეთიკას, არამედ ჩვენს... **კომპიუტერულ ეპოქასაც!!!**

დააკვირდით: იკა ქადაგიძე ან განსვენებულ მწერალ ჯემალ ქირიაზე ისე თვალთმაქცურად შემოგვწუნუნებს - რამდენჯერმე ვთხოვე, მივწერე კიდევ, მაგრამ... ჩვენამდე **ვეღარ მოაღწიაო**, თითქოს ამ კომპიუტერულ ეპოქაში, თანაც აქვე, დედაქალაქში, ჩვენ გვერდით მცხოვრებ მწერალზე კი არ გველაპარაკებოდეს, არამედ, ვინა ვთქვათ, ვინ... ვინ და... მაგალითად... ნორვეგიელ მოგზაურსა და პოლარეთის დაუცხრომელ მკვლევარზე, **რუალ ამუნდსენზე (1872-1928)**, რომელმაც ხომალდით „იოა“ 1903-06 წლებში პირველმა გაიარა ამერიკის ჩრდილო სანაპირო გრენლანდიიდან ალასკამდე და გამოიკვლია კანადის არქიპელაგის რამდენიმე კუნძული. ჩაატარა ანტრექტიკული ექსპედიცია (ხომალდით „ფრამი“) და 1911 წლის 14 დეკემბერს პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს (ერთი თვით დაასწრო ინგლისელ **რ. სკოტს**). 1918-20 წლებში ხომალდით „მოდი“ გაიარა ევრაზიის ჩრდილო სანაპირო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.



რუალ ამუნდსენი

1926 წელს განახორციელა პირველი ტრანსარქტიკული გადაფრენა დირიჟაბლით „ნორგე“ მარშრუტით: შპიცბერგენი - ჩრდილო პოლუსი - ალასკა, ხოლო 1928 წელს ჰიდროთვით-მფრინავით „ლატამი“ უშიშრად გაემგზავრა უ. ნობილეს იტალიური ექსპედიციის მოსაძებნად და, იკა ქადაგიძის ტერმინი რომ ვიხმართ, მართლა „ველარ მოალნია“ მთავარ ბაზამდე - ეკიპაჟთან ერთად ბარენცის ზღვაში დაილუპა!!!

იკა კი გაოგნებულ მკითხველებს გულდაარხენებით „არწმუნებს“ - ჯემალ ქირიამ ჩვენამდე „ველარ მოალნიაო!!!“ კი მაგრამ, სად „ჩვენამდე?!“ ან რა აუცილებელი იყო ჯემალ ქირიას „ჩვენამდე მოღწევა“, როცა კომპიუტერებით ერთმანეთს სხვადასხვა კონტინენტებიდანაც უკავშირდებიან!!! ჰოდა, თბილისის ერთი დასახლებიდან მეორე დასახლებამდე „მიღწევას“ ანუ კომპიუტერით საჭირო, აუცილებელი, შეკვეთილი თუ შეპირებული მასალის გადაგზავნას რა უნდოდა?! ხოლო ოთხიოდე წლის მანძილზე ჯემალ ქირიამ თუ კომპიუტერითაც მართლა ვერ შეძლო „ისინდის“ რედაქციამდე „მიღწევა“, მაშინ თვითონ ჟურნალის მესვეურებს მოეხერხებინათ „ღვანლმოსილ“ მწერლამდე როგორმე „მიღწევა!“ ან რა საკადრისია, რაღაც მზაკვრული მოსაზრებით სურათის ასეთნაირად ჩამოქება?! კარგად დააკვირდით ამ „მოგონებებს“ - ერთმანეთთან როგორი მჭიდრო, გულთბილი ურთიერთობა ჰქონიათ! ჰოდა, რაღას უნდა გაეძნელებინა ერთმანეთამდე „მიღწევა?!“ მაგრამ იკა ქადაგიძე კვლავ თავისებურად ცდილობს, მკითხველებს გზა-კვალი მიუხლართ-მოუხლართოს, რათა იქნებ როგორმე გაამართლოს „ისინდის“ თორმეტ (!!!) ნომერში „ღვანლმოსილი“ მწერლის, ჯემალ ქირიას ნებისმიერი ჟანრის მასალის გაუჭაჭანებლობა!!!

ვაზვიადებ? ჰმ! რკინისებურ ლოგიკას ვაზვიადებითა და მსგავსი ხრიკებით ვერვინ გაფონავს!

ჰოდა, როგრც ამ „მოგონებიდან“ იკა ქადაგიძე ირწმუნება, 2017 წელს, „კავკასიურ სახლში“, სადაც „ისინდის“ აკვანი იკვრებოდა, „ღვანლმოსილ“ მწერალს, ჯემალ ქირიას მისთვის აგერ, თურმე რა უთქვამს: ეჭვიც არ მეპარება, შენ მართალ (!) ჯ.მ.) ჟურნალს გამოსცემ და ბევრ დაჩაგრულ მწერალს ჩრდილიდან გამოიყვან, შენ ჩვენი პატრონი ჟანა დ' არკი ხარო!

არ დავმალავ და გთხოვთ, სწორად გამიგოთ - ადამიანურად აქ კი მართლა შემებრალა იკა ქადაგიძე, რადგან პირდაპირ ნემსის ყუნწში გაძრომას ლამობს: 2017 წლის თარიღით ჯემალ ქირიას ისეთი რამის თქმას მიაწერს, რომ თქვენი მონა-მორჩილის ანუ უბედური ჯემალ მეხრიშვილის მიერ 2019 წლის შემოდგომის დასაწყისში იკა ქადაგიძისადმი მიძღვნილი „ამაღლევებელი“ ავტოგრაფიდან მაროდორულად მიტაცებული ჟანად'არკობის „უფერული და ვინროჟანრობრივი (ლიტერატურული კრიტიკა)“ იდეა მთელი ქართველი მწერლების **პატრონ** ჟანა დ' არკამდე გაებერა და თან მკითხველი საზოგადოების თვალში ეს დამაჯერებელიც ყოფილიყო!!!

ამრიგად, აქ იკა ქადაგიძე ანგარებიანი მიზნით შერჩეულ თავის მორიგ მსხვერპლს, თანაც ან უკვე გარდაცვლილ „ღვანლმოსილ“ მწერალს, თავის საძრახისი ჩვეულებისამებრ, ძველი დროის მაროდორზე უფრო უარესად მოექცა!

გარდასულ ეპოქათა მაროდორები ბრძოლის ველზე დაცემულ ჯარისკაცებს აცლიდნენ ღარიბულ საფულეს... ახლობლების ნასახსოვარ სამკაულებს... უმნიშვნელო პირად ნივთებს... ხდიდნენ ფეხსაცემელ-ტანსაცემელს!..

იკა ქადაგიძისთვის კი სულ ერთია, მის მიერ მიზანში ამოღებული მსხვერპლი ცოცხალია თუ გარდაცვლილი, „ღვანლმოსილი“ თუ ჟურნალის მიმოხილვაზე პირველად მისული მორიდებული სტუდენტი, მამაკაცი ან მანდილოსანი, „სიმპატიური ასული“ თუ „ბობოქარი ამორძალი“, ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდა თუ უსინათლო მხცოვანი - თუ საჭიროდ მოეჩვენა, ყველას შეუწყალებლად უკორტნის ღირსებას, თავმოყვარეობას, სინრ-

ფელეს, ცოდნას, გამოცდილებას, პრინციპულობას!.. ანდა, თავის „სასარგებლოდ“ ისეთი რამის თქმას მიანერს, რომლის მსგავსი მას არასოდეს უთქვამს და არც შეიძლებოდა ეთქვა!

თუგინდ ისევე ამ მაგალითს დავუტრიალდეთ: ჯემალ ქირიას-ნაირ ცხრილში გატარებულ შემოქმედს, საქვეყნოდ ისე როგორ უნდა გაემახსარავენინა საკუთარი პიროვნული და მწერლური ღირსება, რომ ნებისმიერ საჯარო ღონისძიებაზე თუ ჩვეულებრივ შეკრებაზე იკა ქადაგიძისთვის (ან სხვა რომელიმე ჩვენი თანამედროვე მანდილოსანი შემოქმედისთვის!) ჩვენი ანუ ქართველი მწერლების პატრონი (!!!) ჟანა დ' არკი ეწოდებინა?!

ბოლოს და ბოლოს, ჟანა დ' არკიც კვარტალში ერთხელ გამო-მავალი, ოცდათერთმეტფურცლიანი ლიტჟურნალის რედაქტორი ხომ არ იყო, „ბევრი დაჩაგრული მწერალი ჩრდილიდან გამო-ყვანა?!“

ვცდები? მაშინ მით უფრო დაუფერებელია: „კავკასიურ სახლ-ში“ იმ „ისტორიული“ შეკრების შემდეგ მალე „ისინდის“ პირველი ნომრის გამოცემა დიდი ამბით რომ მზადდებოდა, იკა-ჟანას ჯემალ ქირიას ეს ქურუმისებური ნაწინასწარმეტყველვეი ავტორის ფოტოსურათითა და პარაფით დამშვენებული სხარტი ინტერვიუ-დალოცვა მაშინ არ უნდა ემცნო მკითხველი საზოგადოებისთვის - ეს უფრო შთამბეჭდავი და დამაფერებელი არ იქნებოდა?! თვით ჯემალ ქირიასაც როგორი მადლიერებით აეცებოდა გული - იკა ქადაგიძისთვის ქართველი მწერლების პატრონი ჟანა დ' არკის პირველმწოდებლის დაფნის გვირგვინი ჟურნალის პირველივე ნომერმა დამსახურებისამებრ სწორედ მას, ჯემალ ქირიას რომ მიაკუთვნა და, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, არა სხვა, უფრო „სასურველ“ რომელიმე თავისიანს!

მაშინ ეს არ იყო საჭირო? აბა, ახლა რაღასთან დაკავშირებით გახდა საჭირო, მით უმეტეს, როცა მას აქეთ ოთხი წელი (!) გაილია და ჟურნალის 12 ნომერი (!) გამოვიდა! და რაც უფრო დამაეჭვებელია, ეს ქვეყნდება ჯემალ ქირიას გარდაცვალების-თანავე!!!

\* \* \*

ეჰ, სიმართლის საპოვნელად წერაქვით თუგინდ მთები გადათხარე - როგორც ყველგან, ყველასთან და ყველაფერში, შუღლერული პასუხი იკა ქადაგიძეს აქაც მზად აქვს - რამდენჯერმე ვთხოვე, მივწერე კიდეც, მაგრამ მწერალმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწიაო!

ელაპარაკეთ!

აბა, ამისთანა ოპონენტთან რას გახდები?! ამიტომ სინდისი არ მიშვრება, მთელი ქართველი მწერლების საყურადღებოდ არ განვაცხადო: ვინც იკა ქადაგიძესთან პაექრობას განიზრახავს, ჯერ გულის ფიცარზე ამოიჭრას უსაზარლესი ქართული ანდაზა - მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო!

მარსიანმა და იკა ქადაგიძემ ამგვარი „მოგონებების“ სულნასული გამოქვეყნებით, რბილად რომ ვთქვათ, თავი კომიკურ-სამარცხვინო ხაფანგში გაიბეს.

აჰა, თქვენც დააკვირდით!

როგორც „ისინდის“ მემატინანე გადმოგვცემს, ჟურნალის დაარსებიდან ოთხიოდე თვით ადრე „კავკასიურ სახლში“ მწერალ ჯემალ ქირიას იკასთვის მოციქულისამებრ უწინასწარმეტყველნია: მჯერა, შენ მართალ ჟურნალს გამოსცემ და ბევრ დაჩაგრულ მწერალს ჩრდილიდან გამოიყვან!.. ამიტომ შენ ჩვენი ანუ ქართველი მწერლების პატრონი ჟანა დ' არკი ხარო!

კეთილი და პატიოსანი!

ამავე „მოგონებების“ მიხედვით, „ისინდის“ დაარსებამდე, იკასა და მარსიანთან ჯემალ ქირია თურმე „ხშირად“ აი, რაზე ჩიოდა.

**„ამდენი კავშირისა და კლანის გადამკიდე, ცოცხლად დამარხულსა ვგავარ, საუკუნეა, არსად დავბეჭდილვარ!“**

ესეც გასაგები და სავალალოა!

თვითონ „მოგონების“ ავტორები კი ჯემალ ქირიას გამო აგერ, როგორ გოდებენ.

**„ასეთი ხალასი, მაღალი დონის მწერალი სამწერლო სივრცეიდან როგორ გამოტოვეს!“**

მტკივნეულ საკითხს იკა ქადაგიძე უფრო გამონწილვით ეხება.

„ჯემალ ქირიას ვრცელი და მნიშვნელოვანი შემოქმედება მათ (ვითომ „ცოცხალი კლასიკოსების“ . ჯ.მ.) სუროგატულ პროდუქციას რომ ააშკარავებდა, გვერდზე ამიტომ გასწიეს და სარედაქციო კარი პრაქტიკულად ჩაურაზეს“.

მერე, იკა და მარსიანი თითო სხვებისკენ რატომ იშვერენ ან ამას რაღა პირით აცხადებენ, როცა „ღვანლმოსილ“ მწერალს თვითონ უფრო უარესად მოექცნენ - „ისინდის“ 14 ნომერი (!!!) ისე გამოსცეს, ჯემალ ქირიას ერთი ციდა ნანყვეტიც არაფერი დაუბეჭდავთ! ეს არის **„დაჩაგრული მწერლების ჩრდილიდან გამოყვანა?!“** არაფერი არ დაუბეჭდავთ კი არა, მთელი ამ ხნის მანძილზე ჯემალ ქირია არც გახსენებიათ! მასზე ახლაც იმიტომ შეაჩერეს არჩევანი, თავიანთი საოცნებო ფრაზები ეთქმევიანებთ!..

გაგონილა მეტი უმადურობა: თავის დროზე ჯემალ ქირიას მარსიანის რომანისთვის კარგი შეფასება მიუცია, ამერიკიდან დახმარებაც გაუწევია, ერთხანს თავის ბინაშიც უცხოვრებია!.. თვითონ იკასთვის „შეუპოვრობის“ გამო 2009 წელს ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი უწოდებია!.. 2010 წელს კი მისი **„გახმაურებული“** კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები თურმე **„გულდასმით წაიკითხა“**, **„უმადლესად შეაფასა“** და იკას ისევ შეუნარჩუნა ქართული მწერლობის ჟანა დ' არკის ტიტული, რაც **„სამწერლო სივრცეს უმალ აუტაცებია!..“** ხოლო 2017 წელს, „ისინდის“ გამოსვლამდე ოთხიოდე თვით ადრე, რაკი „ღვანლმოსილ“ მწერალს უგუმანია, რომ იკა ქადაგიძე თავისი მომავალი ჟურნალით **„ბევრ დაჩაგრულ მწერალს ჩრდილიდან გამოიყვანდა“**, თავისი ძველი შეფასება **„გაუუმჯობესებია“** და იკასთვის ახლა ჩვენი ანუ ქართველი მწერლების პატრონი ჟანა დ' არკი უწოდებია!

იკა ქადაგიძეს კი, რედაქტორი რომ გახდა, „ღვანლმოსილი“ მწერალი და მისი შემოქმედება, თანაც ამ თავის „მოგონებაში“ **„უმადლესად შეფასებული“**, ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გახსენებია!..

მაშ, ახლა რაღამ და რისთვის გაახსენა?!

დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია!

\* \* \*

**რაც მართალია**, იკა ქადაგიძის მიერ გამოჩენილმა ამგვარმა ამოუხსნელმა წინდაუხედაობამ კი გული საშინლად დამწყვიტა, ვინაიდან იგი ქართველი მწერლების ერთ-ერთი უნიკალური, ოქროს ფონდის მნიშვნელობის ავტოგრაფის სამუდამო დაკარგვას უკავშირდება!

იკა ქადაგიძე თავის ამ „მოგონებაში“ გულთბილად მსჯელობს რა ჯემალ ქირიას ზღაპრებზე, ერთგან წერს (სტილი დაცულია).

**„ეჭვიც არ მეპარება, თბილი იუმორითა და მახვილგონიერებით გაჯერებულ შინაარსიან საკითხავს სკოლებში ბავშვები ხალისით ისწავლიდნენ, როგორც ჩემი უმცროსი შვილის შემთხვევაში მოხდა. როგორც კი მას ერთი ზღაპარი წაუფუკითხე, წიგნი გამომართვა და ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი ზეპირად ჩააბუღებულა. წარმოიდგინეთ მწერლის სიხარული, როდესაც ჩემმა დიანამ მას ასეთი სიურპრიზი შესთავაზა და ავტორისგან პატიარა, გონიერი მზეთუნახავის ქათინაური დაიმსახურა“.**

ჰოდა, მწერალი იმ მღელვარე წამებში თავისით თუ ვერ მიხვდა, რა იქნებოდა, თვითონ იკა ქადაგიძეს როგორმე დაეძლია სიმორცხვე და ჯემალ ქირიასთვის მოკრძალებით ეთხოვა - ამგვარი ზეპირი ქათინაურისთვის თავისი ზღაპრების წიგნზე სამახსოვრო ავტოგრაფის სახე მიეცა!

აბა, ახლა წარმოვიდგინოთ, „ისინდის“ რომელიმე ნომერში ან სადმე სხვაგან გამოქვეყნებულ ჯემალ ქირიას კალიგრაფიით შესრულებულ ამ სამად სამ სიტყვას **„პატიარა, გონიერ მზეთუნახავს!“** რანაირი მიმზიდველობა ექნებოდა!

ჩემდა გასაკვირად, იკა ქადაგიძეს ეს არ უნდა შეშლოდა, ვინაიდან მაშინ ტელეფობით საუბრისას ჩვენი ლიერატურული კრიტიკის აღორძინების მოსურნე ჟანა დ' არკს რომ შევადარე, მას მერე პირდაპირ ცა გაინითლა, სანამ ასეთ ავტოგრაფიან წიგნს მიმატანინებდა!

არავის ეგონოს, „ისინდის“ რედაქტორს ამას ვაყვედრიდე ან ვამადლიდე - პირიქით, პატიოსნურად ვაღიარებ, რომ ის ავტოგრაფიანი წიგნი **„რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“** შემოქმედ-

თათვის დამახასიათებელი აღმავრენითა და სიხარულით მივუტანე, თუმც მამინ საიდან უნდა მცოდნოდა, ეს რას მომიტანდა და წინ რანაირი დღეები მელოდა!..

ერთი სიტყვით, ეს ყველას უნდა გვახსოვდეს: თუ რომელიმე წამს კეთილშობილური გაუკვდავდება უწერია და ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული, არ უნდა დავიბნეთ!

\* \* \*

**ენობრივ-აზრობრივი** თვალსაზრისით იკა ქადაგიძის ამ „მოგონებას“ ორგან უეჭველად უნდა შევეხო. აი, ერთგან რას წერს. „**ბოლო დროს გაუარესებული მდგომარეობის გამო მწერალმა ჩვენამდე ველარ მოაღწია**“.

მკითხველი როგორ გაერკვეს, იკა ქადაგიძისებურად აქ რა „**გაუარესებული მდგომარეობა**“ იგულისხმება: საერთაშორისო, პოლიტიკური, ეკონომიური, პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციალური, საომარი, ფინანსური, კლიმატური, სატრანსპორტო თუ სანიტარულ-ჰიგიენური?!. თუმც მკითხველი მამინვე ხვდება - რედაქტორს აქ „ღვანლმოსილი“ მწერლის „**ჯანმრთელობის გაუარესება**“ აქვს მხედველობაში და არა რალაც ზოგადი „**მდგომარეობა!**“

მერე, „ბასრკალმიან“ იკა ქადაგიძეს ეს უმარტივესი სათქმელი გასაგებად ვერ უნდა ჩამოეყალიბებინა?!

მეორე, მსოფლიო ლიტერატურაში, ალბათ, აქამდე გაუგონარი მაგალითი, რომელიც უკვე ბეჭდური სახითაა უკვდავყოფილი!

„მოგონების“ დასასრულს ოთხსტრიქონიან ბოლო აბზაცში იკა ქადაგიძე ისეთ რამეს წერს, რომ არამცთუ „ღვანლმოსილ“ მწერალს, განსვენებულ ჯემალ ქირიას წყალში გადაუყარა მთელი სიცოცხლის მანძილზე მწერლური ნაღვანი, არამედ სულ თავდაყირა გადაატრიალა მსოფლიო ლიტერატურაში აქამდე მიღებული ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედების არსი... მიზანი... დანიშნულება... უმთავრესი ღირებულებები!!!

მამ, მოუსმინეთ... მაპატიეთ, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის თან ერთი ჭიქა ცივი წყალი ხელის განვდენაზე იქონიეთ.

**„ჯემალ ქირიამ, როგორც საუკეთესო მწერალმა, დროსთან დაზავება შეძლო და თავისი ვალი ქართული მწერლობის წინაშე პირნათლად მოიხადა“.**

არადა, ნამდვილი მწერლები თავ-თავიანთ დროს კი არ უზავდებიან ანუ ურიგდებიან, არამედ პირიქით - კრიჭაში უდგანან ხოლმე უკეთესი მერმისისთვის!!!

თვალი გადავავლოთ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას - სასტიკ ანმეოსთან შეურიგებლობისთვის რამდენ სახელოვან შემოქმედს არ ასცდენია ხელისუფალთა რისხვა-დევნა... გადასახლება... ბნელი ხარო... კაზემატი... საბჭოური „ლაგერი“ თუ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი... კატორღა... სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ავტოკატასტროფა ან რაიმე „უბედური შემთხვევა“... ფსიქიატრიული კლინიკა... სახრჩობელა, მაგრამ გამორჩეული შემოქმედნი მაინც არ ღალატობდნენ კეთილშობილურ პრინციპებს, ოღონდ უკეთესი დროება დამდგარიყო!..

ესეც გრამატიკული რომელიმე კატეგორიის უცოდინარობით გამონვეული შეცდომა ხომ არ არის, რომლისგანაც არც ერთი კალმოსანი არ არის დაზღვეული!.. იკა ქადაგიძე კი... მოულოდნელად, მაგრამ სრულიად კანონზომიერად, სხვისი პოლემიკური „ძალდატანების“ გარეშე თავისით მოიძრო გრაფომანულ-საბალმასკარადო სიფრიფანა ნიღაბი: მას თურმე მწერლისა და მწერლობის წმიდათანმიდა დანიშნულებაც კი არ სცოდნია!

აქ თავისებური თვალახელა და გახვევა ერთდროულად გეუფლება!

მამ, დავსვათ ქუდი, ვისაც სურვილი აქვს და თავისი თავისაც ეიმედება, დინჯად შემოვუსხდეთ მრგვალ მაგიდას, ყველამ დავიცხროთ ვნებათაღელვა, როგორც თანამოძმეებმა, ერთმანეთს თვლებში ნდობით შევხედოთ და საკითხი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გავარჩიოთ: ჟურნალის რედაქტორობამ პირადად იკა ქადაგიძეს, როგორც ლიტერატორს, თავმოჭრის მეტი რა მოუტანა?!

ჰოდა, ისიც ბევრის მსგავსად ისევ ერთი რიგითი ავტორი რომ ყოფილიყო, ნებისმიერ რედაქციაში მიტანილ თავის მასალებს ყოველნაირად ხომ გაუმართავდნენ და გაუმართავდნენ და რაც მთავარია, თავის პიროვნულ განდიდებასთან დაკავშირებულ ამდენ გონებამიღმურ პასაჟებსაც ამოუყრიდნენ, როგორც მას, იკა ქადაგიძეს, ისე მის მოთვინიერებულ მეხოტბეებსაც!

მაშინ ყველა მოგებულნი დარჩებოდა: მკითხველი საზოგადოებაც, ჩვენი მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებაც და თვით იკა ქადაგიძეც, რადგან ველარ გამომქლავნდებოდა მისი ეს ამდენი გრამატიკული, ენობრივ-აზრობრივი და ლიტერატურული უვიცობა და თვითგანდიდებისადმი ასეთი მოურეველი მიდრეკილება, ჟურნალის ნომრიდან ნომერში ზეგვივით რომ იზრდება და არავინ იცის, ეს როდის ან რით დამთავრდება!!!

\* \* \*

**მართალია**, იკა ქადაგიძემ „ისინდის“ მე-10 ნომერში წინასწარმეტყველად გამომაცხადა - ჯემალ მეხრიშვილმა წლების წინათ საუკეთესო კრიტიკოსობა და ჟურნალის რედაქტორობა „ლიად“ მიწინასწარმეტყველაო, მაგრამ ღმერთი, რჯული, მე არანაირი წინასწარმეტყველი არა ვარ ანდა ამას მე თვითონ ვერ ვხვდები, თორემ... თუმც ახლა ერთი ისეთი მაგალითი უნდა მოვიყვანო, ზოგიერთმა მიაბიტიმა ახალბედა მკითხველმა შეიძლება მისაყვედუროს კიდევ - ნამდვილი წინასწარმეტყველი ყოფილხარ, ჩვენ კი გვიმაღავდი!.. თორემ ასეთი რამ როგორ შეიძლება მომხდარიყო!

არა, ჩემო ნორჩო მკითხველო, ეს წინასწარმეტყველება კი არა, განგების ნებით ჩაფიქრებული უბრალო დამთხვევაა, თორემ 23 წლით ადრე რანაირად შეიძლებოდა ქეხორციელს ამგვარი რამე ეწინასწარმეტყველებინა და სათავისო თადარიგიც დაეჭირა!

ჰოდა, 1999 წლის დეკემბერში 2000 წლის პირველი იანვრისთვის გამოსასვლელი ერთთვიური ლიტერატურული გაზეთის, „**შარავანდი**“ (რედაქტორი **გივი ჩიღვინაძე**) მე-9 ნომერი მზადდებოდა.

გაზეთის ორ, გაშლილ გვერდზე დაიბეჭდა თითო-ოროლა სტროფად დანერილი ჩემი მასალაც „**საახალწლო შეხმიანება-შეხუმრება ანბანურად**“. 122 მწერალს შორის ალაღგულად შევეხმიანე ჯემალ ქირიასაც, რომელსაც არამცთუ არ ვიცნობდი, არამედ ერთმანეთი შორიდან დანახვითაც კი არასოდეს დაგვენახა! სულო ცოდვილო, იქნებ დაგვენახა კიდევ, მაგრამ არ ვიცოდით, ვინ ვინ იყო!

აი, ის სტროფიც!

## ჯემალ ქირიას!

მომწონს შენი რომანები,  
შენი „ცხენი“ როსინანტიც,  
ვგრძნობ, რომ გაუტყეხელი ხარ  
და უკეთეს დროს ინატრი!

იკა ქადაგიძისებურად კი გამოდის, რომ მწერალი ჯემალ ქირია ტოტალიტარული რეჟიმის მიერ რეპრესიულად დამყარებულ სასტიკ დროსთან თურმე დაზავებულია და ამით ქართული მწერლობის წინაშე თავისი ვალი პირნათლად მოუხდია!

ყველა წიგნიერი მკითხველისთვის ნათელია - იკა ქადაგიძის ამგვარი დასკვნა მიწასთან ასწორებს ჯემალ ქირიას როგორც პიროვნულ ღირსებას, ისე მის შემოქმედებით მემკვიდრეობას! თანაც სად? როგორც თვითონ რედაქტორი „ისინდის ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის წერილებში დაულალავად გვიმეორებს და გვიმეორებს, „ყველაზე მებრძოლ ეროვნულ“ ჟურნალში!

გარდა ამისა, აგერ, რას ამბობს იკა ქადაგიძე თავის ვრცელ წერილში „ისინდის“ (უნდა იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ქრონიკა - ჟურნალის დაბადებიდან დღემდე“, 2020, 10, გვ. 15, მეორე სვეტის დასასრული). სტილი ხელუხლებელია!

**„2019 წელს „ისინდმა“ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია. რეგიონებში სახელის დამკვიდრების პარალელურად ჩვენთვის უცხოეთშიც გზა გაიხსნა. საბერძნეთი, თურქეთი, პოლონეთი, იტალია და ყველაზე დიდი წარმატების ცენტრი ავსტრია - ვენის ბიბლიოთეკამ ჩვენი ჟურნალის ყველა ნომერი თავის სტენდზე თვალსაჩინოდ, ილიას ნაშრომების გასწვრივ გამოფინა, რაც განუზომელ პატივთან ერთად დიდი აღიარების ნიშანია“.**

ერთი სიტყვით, იკა ქადაგიძისეული შეფასებიდან გამომდინარე, შეცდომაში შეყვანილი მკითხველი საზოგადოებისთვის მწერალ ჯემალ ქირიას პიროვნული და შემოქმედების რეაბილიტაცია უნდა მოხდეს!

როგორ?!

ეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საერთოდ, მთელი ქართველი მწერლების განსაჯელად და გადასაწყვეტად მიმაჩნია!

**ამრიგად,** იკა ქადაგიძე, თვითგანდიდების მიზნით იყენებს რა „თავის“ ჟურნალს, ნომრიდან ნომერში ამოუსუნთქებლად იუნყება და იუნება: მე ქართულ მწერლობაში უპირველესი კრიტიკოსის სახელი მოვიხვეჭეო!.. თანამოკალმეებმა ქართველ მწერალთა თაობების შემაკავშირებელ ხიდად მაღიარესო!.. მე ილიას გზით დავდივარო!.. სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ ნევრს, მარსიანს მე გენიოსად მივაჩნივარო!.. იმავე მარსიანის შეფასებით, უმრავლეს შემოქმედ მანდილოსნებს მე ოჯახიშვილობითა და „ფიზიკური გარეგნობითაც“ ვჯობივარო!.. მე აღარაფერი მესწავლებაო!.. მთელი ათასხუთასწლოვანი ქართული პოეზიიდან ნიკო სამადაშვილისა და გიორგი კაპანაძის (კორნაპელი) შემდეგ მარსიანისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ჩემი ლექსებიაო!.. მე ქართული მწერლობის მესიტყვე და დამცველი ვარო!.. მე ალექსანდრე ხახანაშვილისა და მის მსგავსთა ფარდი მოღვაწე ვარო!..

იკა ქადაგიძე ამ ყველაფერსაც არ დასჯერდა და გარდაცვლილი მწერლის, ჯემალ ქირიას ამოსაფრებით თავი ახლა ქართული მწერლების... პატრონ ჟანა დ'არკად გამოაცხადა!!!

მეტი ჩარა აღარ დარჩენილა: იკა ქადაგიძის გაჟანაღ'არკების ამ ხიბლიხვანჯარას საფუძვლიანად უნდა ჩავუღრმავდეთ!

აქ მთავარი ის კი არ არის, იკა ქადაგიძეს ვინ, როდის და რასთან დაკავშირებით ანდა მართლა უწოდა თუ არა ქართველი მწერლების პატრონი ჟანა დ'არკი, არამედ აი, რა: რაკი ამგვარ ომახიან ზედწოდებას თვითონ იკა ქადაგიძე არც მალავს და დამალოს კი არა, დამსახურებისამებრ შეუშვნევია, მაშინ იკა ქადაგიძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მკითხველ საზოგადოებას ნათლად განუმარტოს - როდიდან, რითა და რანაირი ფორმით გამოიხატება ქართველი მწერლებისადმი მისი ჟანაღ'არკისებური პატრონობა!!!

ამასთან დაკავშირებით თვით ქართველ მწერლებს შორისაც უნდა მოხდეს ნებაყოფლობითი გადაჯგუფება, რათა გაირკვეს: იკა ქადაგიძეს რომელი ქართველი მწერალი როდიდან და რა დამსახურებისთვის მიიჩნევს თავის პატრონ ჟანა დ'არკად?!

ამგვარ მოვლენებს დღესვე თუ არ მიეცა სათანადო შეფასება, მაშინ მავანთა ბაძვით თანამედროვე ქართულ მწერლობაში თვითმარქვიობა, ანარქია და ქაოსი დაისადგურებს!

იმედია, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, საერთოდ, ქართველი მწერლები ამ წიგნში მოყვანილ ფაქტებს ჯეროვნად განსჯიან და ჩვენი მწერლობის მომავალ თაობებს არ დაუტოვებენ ამოუხსნელ ან ძნელად ასახსნელ თავსატეხად!.. ამიტომ საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს განცხადებით მივმართავ და მისი ხელმძღვანელებისთვის ამ წიგნის ხუთ ეგზემპლარსაც დავურთავ, რათა მასში მოყვანილი ფაქტები დამსახურებისამებრ შეაფასონ, თან პასუხი წერილობით მაცნობონ.

მკითხველ საზოგადოებას ფეისბუქის საშუალებით უეჭველად გავაცნობ როგორც ჩემს განცხადებას, ისე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის პასუხს.

ამის მეტი მე არაფერი შემიძლია!

## თავი მე-3

### 1

ასეა თუ ისე, „ისინდის“ რედაქტორმა ჟურნალის 2021 წლის მე-12 ნომერში თავის „სანდო“ თანამზრახველ ავტორებს სანიმუნებლად მწვანე რაკეტა მოუთმენლად აუშუშხუნა!

ჟურნალის მომდევნო, მე-13 ნომრიდან კი იწყება იკა ქადაგიდის გაჟანად'არკების რალაც უთავბოლო შალახო.

ეს კარიკატურული შტურმი პოეტ პოეტიშვილის (პაატა თურმანიძე) ლექსით იწყება. მოუსმინეთ.

### ისინდი

სინდისის გზაზე ისინდი ვიდა,  
თავს დაივანებს, ცადამიანად.  
სიმართლის გზაზე მისინდი ვივად,  
ცნობს ადამიანს - ადამიანად!  
ეს ქართულია, ისინდურია...  
მთვარე ნანაობს ბანადარკული!  
ეს მოწოდება ისინდურია,  
და შეძახილი ჟანა დ'არკული!  
სინდის-ნამუსიც ისინდელია  
ჯვაროსნებს ვიცავ, ასასინებით.  
ჰყვება სიმების სისინს დელია,  
მომხდური გვიტევს ასასინებით!  
აქაფდა რბენით ღრუბლის პერგარსი,  
ეტლს მიაქროლებს, დასი სინდების:  
ქურან-მერანი-ლურჯა-პეგასი,  
ოთხ მხარეს იჭერთ, ცას ისინდები!

11 აპრილი, 2021

ამ ლექსზე, საერთოდ, ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ გამოსაცემი წიგნის სწორებისას თვალდაფი გავინწყალე, რათა მკითხველებს აქა-იქ გაპარული კორექტურა არ ჰგონებოდათ! ასე რომ, ლექსის ჟურნალური ტექსტი და პუნქტუაცია უცვლელია! დანარჩენი მკითხველებისთვის მომინდვია!

\* \* \*

**ჟურნალის** ამავე, მე-13 ნომერშია დაბეჭდილი მარსიანის კრიტიკული წერილი „ქვიშანი...“ ავტორი ერთგან აგერ, რას წერს.

„იკასთან ერთად მეც ძალიან დამენანა, ჟურნალის პირველი ნომრის გამოშვების შემდეგ კრიტიკოსი ლევან ბებურიშვილიც ჩამოშორდა „ისინდის“ კოლექტივს (უნდა იყოს „მეც ძალიან დამენანა, ჟურნალის პირველი ნომრის გამოშვების შემდეგ კრიტიკოსი ლევან ბებურიშვილიც ჩამოშორდა „ისინდის“ კოლექტივს“. ჯ.მ.). ამ ახალგაზრდა კაცმა ხომ ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა, როცა, ასე ვთქვათ, აკაკი ბაქრაძის ესტაფეტა გადაიბარა (ვგულისხმობ „მწერლობის მოთვინიერების“ თემის პოსტ-საბჭოურ გაგრძელებას). მიხაროდა, **რომ** ჩვენს გუნდში ასეთი გაბედული, ეროვნული ორიენტაციის მქონე პროფესიონალური ლიტერატორი **რომ** იქნებოდა... (უნდა იყოს „მიხაროდა, ჩვენს გუნდში ასეთი გაბედული, ეროვნული ორიენტაციის მქონე პროფესიონალური ლიტერატორი იქნებოდა... ჯ.მ.)... მაგრამ ჩანს, კაბინეტურ მოღვაწეობაზე გადასვლამ ახალგაზრდა მემამბოხეს გეზი აცვლევინა... და მან ქართული ლიტერატურის ჟანა დ'არკად წოდებული იკა ქადაგიძის გვერდით წინა ხაზზე დგომა თავისი კარიერისთვის საზიანოდ მიიჩნია“.

ჯერ ერთი, ამას მარსიანი საიდან ასკვნის? მაგრამ დავუშვათ და მართლა ასეც ყოფილიყო, სამოღვაწეო ასპარეზზე შემდგარ ახალგაზრდა კაცის პირად ცხოვრებაში რატომ ერევა და მკითხველების წინაშე ასე ჯაშუშურად რა მიზნით აბეზლებს?! მით უმეტეს, ბოლოს აგერ, რას გაიძახის.

„**რას იზამ, ყველას თავისი გზა აქვს და ვერავის დაატან ძალას** (უნდა იყოს „ძალას ვერავის დაატან“. ჯ.მ.) **მაინცდამაინც ისე მოიქცეს, როგორც შენ მიგაჩნია მართებულად...**“

თუკი ეგეც იცოდი, აბა, რალა გინდა გამორჩეული დამწყები მოღვაწისაგან - ზურგიდან ქვის სროლით რალას მისდევე?! თანაც, როცა ზუსტად ამ ყაიდისვე წერილში და უფრო მწარედაც ლ. ბებურიშვილი თვით იკა ქადაგიძემ დაგესლა!

მაშ, მარსიანი მკითხველებს აქ ახალს რალას ეუბნება?!

ჰმ! ახალს რას ეუბნება?! აი, რას! ამ შემთხვევაში თავიდათავი ლევან ბებურიშვილის რედაქციიდან წასვლა-წაუსვლელობა კი არა, სულ სხვა რამეა: ლევან ბებურიშვილის სანიმუშო ავტორიტეტის ანგარებიანი მოშველიებით მარსიანს დამაჯერებელი საბაბი რომ გასჩენოდა, მკითხველი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ „ისინდის“ აკვნის შეკვრამდე გაცილებით ადრე იკას ვითომ გაჟანად'არკების მითი „ბუნებრივად“ შეეპარებინა და შეძლებისდაგვარად გაემყარებინა კიდევ: ლევან ბებურიშვილმა ქართული ლიტერატურის ჟანად'არკად წოდებული იკა ქადაგიძის გვერდით წინა ხაზზე დგომა თავისი კარიერისთვის საზიანოდ მიიჩნიაო!

ღმერთო, ნუთუ ამ უბედური წიგნის დასასრულამდე გვინერია კატათავგობანას სისხლის გამშრობი თამაში?!

ხედავთ, მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად მარსიანი ლევან ბებურიშვილს რის უცოდინარობას საყვედურობს და ამავე დროს თან რა საცოდნელს ახსენებს და ავალდებულებს: შენ ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად წოდებული იკა ქადაგიძის გვერდით წინა ხაზზე დგომა არ ისურვეო!

წარმოგიდგენიათ, „მშიშარა“ ლ. ბებურიშვილს ეს რა მიუტევებელი მკრეხელობა თუ ეროვნული ღალატი ჩაუდენია?! კი მაგრამ, იმ 2017 წლის ივლისში, როცა „ისინდის“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე ლევან ბებურიშვილი რედაქციიდან საერთოდ, წასულა, არამცთუ მას, ლევან ბებურიშვილს, არამედ ჩვენი პლანეტის ნებისმიერ მოქალაქეს მაშინ ჯერ საიდან, რანიარად შეიძლება სცოდნოდა იკას სავალალო აკვიატება, როცა ცამონმენდილზე თავისი გაჟანად'არკების ქრონიკული ციებ-ცხელება იკა ქადაგიძემ 2019 წლის შემოდგომის დასაწყისში შეიყარა, ჩემ მიერ ალაღვულად მიძღვნილი კრიტიკული წიგნის ავტოგრაფს რომ აებზანებინა და ლაგამანყვეტილი მაროდირობისთვის წასცდენინებოდა!!!

დავუშვათ და მარსიანი მართალია - იკა ქართული მწერლობის ჟანა დ' არკად ნოდებუღი რედაქტორია! მერე, ამან „ისინდის“ ნებისმიერი პერიოდის თანამშრომელს ნუთუ ხელ-ფეხი უნდა შეუკრას და საკუთარი სამოდვანეო ასპარეზი თავისი ნიჭისა და მოწოდებისამებრ ველარასოდეს დაგეგმოს - ჟანად'არკად ნოდებუღი იკა რა სინდის-ნამუსით მივატოვოო?!

აბა, თვაღი გადავავლოთ „ისინდის“ რედაქტორის წერილებს: თუკი იკა-ჟანასაც თანამშრომლები სულ პანტიპუნტიტო გაურბიან, მაშინ რა დღეშიღა იქნებიან სხვადასხვა ქართულენოვანი ლიტორგანოთა ის საწყალი რედაქტორები, რომელიმე ომახიანი მეტსახელი რომ არავის უწოდებია ანდა, ღმერთო, შემინდე, მაროდორულად არც თვითონ მოუტაცებიათ!

მოკლედ, მარსიანის მსჯელობა ეწოსებური ნათალ-ნაწორნკი ლოგიკაა და მეტი არაფერი!

\* \* \*

**ამავე** ნომრის ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის წერილში „დაცემის ანატომია“ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მეორე ნევრმა, პროფესიით ფიზიკოსმა, თემურ ნადარეიშვილმა მკითხველები ხომ გააოცა იკა ქადაგიძის განსწავლულობით ატომურ და კვანტურ ფიზიკაში, წერილის დასაწყისში კი ჯერ აგერ, რას იუნყება.

„ისინდის“ რედაქტორი კარგად ცნობიღი **პოეტი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი** იკა ქადაგიძეა (პირდაპირ დაუჯერებელია, აქ იკა ქადაგიძეს მაინც ყურადღებიდან რამ გამოაპარა თავისი **პუბლიცისტობაც**, მისი **„გახმაურებული“ კრიტიკულ-პუბლიცისტური** ნიგნები თავის დროზე, როგორც თვითონ ეკა ირწმუნება, ჯემალ ქირიამ **„უმადლესად შეაფასა“**-ო?! ჯ.მ.), რომელიც საკუთარი ეროვნული პოზიციისა და პრინციპულობის გამო ლიტერატურულ წრეებში ჟანა დ' არკად მოიხსენიებენ“.

რაო, **ლიტერატურულ წრეებშიო?! ერიჰააა!** მხოლოდ რაღაც წრეებში და მეტი არაფერი?! ჰმ! თემურ ნადარეიშვილმა იკა ქადაგიძის ნალოღიავებ უტოპიურ იდეას ნება-უნებღიეთ აქ კი ყინულწყალი გადაავლო! რის წრეებში, რა რაღაც წრეებში, როცა იკა ქადაგიძემ მთელ საქართველოს დედოფლურად აღუნყა.

„ჯემალ ქირიამ ჩემი გახმაურებული კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები გულდასმით წაიკითხა, უმაღლესად შეაფასა და 2010 წელს ქართული მწერლობის ჟანა დ' არკი საჯაროდ მიწოდა, რაც სამწერლო სივრცემ უმაღლეს აიტაცა“.

ჰოდა, მკითხველმა ერთმანეთს როგორ შეუხამოს ამ მესიანური სიახლის „უმაღლესი“ მთელი საქართველოს „სამწერლო სივრცე“ და თემურ ნადარეიშვილის მიერ ლამის აგდებით ნახსენები რაღაც ცალკეული „ლიტერატურული წრეები“, რომელთა რიცხვი, ვინ იცის, რამდენს არ აღემატება ანდა როგორი იქნება მათი რიცხობრივ-ხარისხობრივი შემადგენლობა! ამიტომ ეკა ქადაგიძეს, როგორც რედაქტორს და მით უმეტეს, თავისი პერსონის ძალდაძალ გააჟანდარკებასთან დაკავშირებულ მასალებს მაინც გაცილებით მეტი გულისყურით უნდა მოჰკიდებოდა, რათა მათში ხელგაშლით მიმოზნეული ფაქტების, მოვლენების, თარიღების, მტკიცებულებებისა თუ შინაარსის გამაშეშებელ სხვადასხვანაირობას ისედაც დაქვევებული მკითხველებისთვის ყველაფერზე საბოლოოდ თვალი არ აეხილა!

ჰოდა, სად მთელი საქართველოს „სამწერლო სივრცის“ მიერ იკას გააჟანდარკების „უმაღლესი“ და სად... თითებზე ჩამოსათვლელი „ლიტერატურული წრეები?“

თუმცა, ვინც იცის, მე იქნებ კამეჩის რქაში ვზივარ და არ ვიცი, ჩემს ღვიძლ სფეროში მაინც რა ხდება! შეიძლება ქართულ მწერლობაშიც იკა ქადაგიძის გააჟანდარკებასთან დაკავშირებით ისეთივე დიდი განხეთქილება მოხდა, როგორიც, მაგალითად, საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში ანუ უთანხმოება ამიერკავკასიის ეკლესიებს შორის ქრისტიოლოგიური დოგმატიკის საკითხებზე, რომელიც VII საუკუნის დამდეგს მათ შორის ოფიციალური ურთიერთობის განწყვეტით დამთავრდა.

ამ საეკლესიო უთანხმოების რეალური საფუძველი სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაცია იყო...

ჰოდა, შეიძლება ქართულ მწერლობაშიც მსგავსი განხეთქილება მოხდა ან ხდება: ჩვენი „სამწერლო სივრცის“ მიერ განსვენებულ მწერალ ჯემალ ქირიას მიერ 2010 წელს, რომელიდაც საჯარო ღონისძიებაზე იკა ქადაგიძის ქართული მწერლობის ჟანა

დ' არკად გამოცხადების „უმალ ატაცება“ ახლა იქნებ თვით „სამნერლო სივრცის“ რამდენიმე გონს მოსულმა ფრთამ თუ პლატფორმამ და მათთან ერთად ცალკეულმა „ლიტერატურულმა ნრეებმაც“ მკაცრად დაგმეს, როგორც უაზრო და მთელი ქართული მწერლობისა და მწერლების შეურაცხმყოფელი გადაწყვეტილება, რამაც მათ შორის ქართული მწერლობის ათასხუთასწლოვანი ისტორიაში აქამდე გაუგონარი განხეთქილება მოიყოლა!

მაშ, რა არის საჭირო, საქართველოს „სამნერლო სივრცეში“ სხვადასხვა ლიტერატურული ნრეების ურთიერთდაპირისპირება საბედისწერო განხეთქილებაში რომ არ გადაიზარდოს და ქართულმა მწერლობამ ისევ გააგრძელოს თავისი ბუნებრივი არსებობა?!

რა და, ჩემი აზრით, მთელი ქართველი ერის აქამდე არნახული ძალისხმევა იქნება საჭირო, რათა თითოეულმა ლიტერატურულმა ნრემ და უგამონაკლისოდ ყველა მწერალმა იკა ქადაგიძე ქართული მწერლობის პატრონ ჟანა დ' არკად ერთხმად და უპირობოდ აღიაროს!

გარდა ამისა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საოქმო განყოფილების მკვრივყდიან დავთარში მომავალი თაობების საყურადღებოდ ოქროს ასოებით უნდა ჩაინეროს: ქართული მწერლობის პატრონი ჟანა დ' არკის ზედწოდება ქართული მწერლობის ისტორიის მანძილზე სხვას აღარავის მიეკუთვნება და ეს ქალღმერთისებური ტიტული უკუნითი უკუნისამდე მხოლოდ და მხოლოდ ეკა ქადაგიძის გვარ-სახელს დაამშვენებს!

ამინ და კირიე-ელეისონ!!!

ნეტა, მაშინ მაინც მოისვენებს ქართული მწერლობის დაბუ-აშვილი თუ...

\*\*\*

ერთი სიტყვით, იკა ქადაგიძის გაჟანდარკებასთან დაკავშირებული ასეთი შეუხამებელი იერიში, თანაც ჟურნალის ერთ (!) ნომერში, გამოუცდელ მკითხველსაც კი გულისხმაში აგდებს: „ღვანლმოსილმა“ მწერალმა ჯემალ ქირიამ იკა ქადაგიძეს 2010 წელს საიდუმლოებით მოცულ იმ რომელიღაც საჯარო სხდომა-

ზე თუკი მართლა უნოდა ქართული მწერლობის ჟანა დ'არკი და ეს „სამწერლო სივრცემაც უმაღ აიტაცა“ თავისთავად გამოდის, რომ ამგვარი გაუგონარი სიახლე ქართველი მწერლების გარდა მკითხველ საზოგადოებასაც კარგად ეცოდინებოდა!

მამ, ახლა რაღა საჭირო იყო იკას გამჟანდარკებელსა და მის გაჟანადარკებაზე საეჭვო ყურადღების გამახვილება და უაზრო სულსწრაფობა?!

ეს აუცილებელზე აუცილებელი იყო, ვინაიდან ახალთაობელმა მწერლებმა და მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა არ იცოდა? ეს უფრო ეჭვის ბურუსით ბუმბლავს კამპანიის შეუოკებელ განაზრახს - მაშინ სად იყვნენ აქამდე, ჟურნალის 12-13 ნომრით ანუ ორწელიწად-ნახევრით რატომ დააგვიანეს მკითხველთა „გარკვეული ნაწილისა“ და ახალთაობელი მწერლების ეს გულის ამაჩუყებელი ხარება?!

ანდა, სამივეს - **პოეტ პოეტიშვილს, მარსიანსა და დემურ ნადარეიშვილს** - რაღა ერთდროულად და თანაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ახლა წამოაგონდა იკას ოდინდელი გაჟანადარკება?! და რაც ყველაზე აღსაშფოთებელია, რედაქტორი ჟურნალის ერთ ნომერში (!) როგორ ანდა რა მიზნით ბეჭდავს თავისი გაჟანადარკების შეთითხნილ ეპოპეას?! თანაც, ღმერთო, შემინდე და, მწერალ ჯემალ ქირიას გარდაცვალების შემდეგ, უფრო ზუსტად, მისი გარდაცვალებისთანავე!!!

და რაც მთავარია: რედაქტორის დაულალავ-დაუცხრომელი მეხოტბენი უსაფუძვლოდ რომ ჭიკჭიკებენ - ქართველი მწერლები იკა ქადაგიძეს ჟანა დ'არკად მოიხსენიებენო, თუკი იკასაც სურდა, ამას დამაჯერებლობის ნატამალი მაინც სცხებოდა, მაშინ ხსენებული ჟურნალის რომელიმე გვერდის ნებისმიერ კუთხეში თქვენი მონა-მორჩილის მიერ 2019 წლის შემოდგომის დამდეგს მისადმი მიძღვნილი კრიტიკული წიგნის, „**რუბიკის კუბიკისებური უზნეობა**“ ავტოგრაფის ნახევარციდიანი ქსეროასლი მაინც არ უნდა გამოექვეყნებინა: მწერალი ჯემალ მეხრიშვილი კიდევ იკა ქადაგიძეს ჟანა დ'არკს აი, რისთვის ადარებს - მავანთაგან წლების მანძილზე გზაგადაღობილი ლიტერატურული კრიტიკის აღორძინების მხარდაჭერისთვისო!

ახლა ყველამ მიუდგომლად განსაჯოს: ამდენი და ასეთი მაროდორული აღვირანყვეტილობისა და უსაბუთო დადანის ფონზე ჩემულ ავტოგრაფში გაცხადებული ერთადერთი დოკუმენტური დადასტურება უფრო დამაჯერებელი არ იქნებოდა მავანთაგან წლების მანძილზე მართლა ჯალათურად გზაჩახერგილი ლიტერატურული კრიტიკისადმი იკა ქადაგიძის ჟანდად'არკისებური პატრონობის ნათელსაყოფად?!

მაგრამ არა, რას ლაპარაკობთ: მე იმასაც კი ვერ მპატიობ(დნ) ენ, მათი წარმოდგენით, ამგვარი „ზედგამოჭრილი“ შედარება სწორედ მე რომ დამებადა, თანაც ასეთი სევდის მომგვრელი „დაგვიანებით!“ და არა იკა ქადაგიძის ძველი გარემოცვის რომელიმე, უფრო „ღირსეულ“ წარმომადგენელს! ეგეც არ იყოს, როგორ იქნებოდა, ჯემალ მეხრიშვილისთანა უმნიშვნელო და შემთხვევითი ავტორი იკა ქადაგიძის გაჟანდარკების „ისტორიულ“ პროცესში მონაწილეობით „გაეუკვდავებინათ!..“

ერთი სიტყვით, კამპანიას „გამოსავალი“ ჩვეული „სიადვილით“ გამოენახა: ამდგარიყვენ და მარსიანის მიერ გენიოსად მიჩნეული იკა ქადაგიძის გაჟანდად'არკება - ოღონდ თავიანთებურ თარგზე გამოჭრილ-შებლანდული, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, გარდაცვლილი მწერლისა და საქართველოს მთელი „სამწერლო სივრცისთვის“ უტიფრად მიეკოსებინათ, რითაც გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც „ღვანლმოსილი“ მწერლის ხსოვნასა და ღირსებას, ისე საქართველოს „სამწერლო სივრცეს“, საერთოდ, მწერლურ მორალსა და ეთიკას!

ახალბედა მკითხველ-ლიტერატორებს შეიძლება გაუკვირდეთ კიდევ - ასე რატომ ვლამობ, ყველას ვაცოდინო, რომ „ისინდის“ რედაქტორი იკა ქადაგიძე ერთადერთმა მხოლოდ მე შევადარე ჟანა დ'არკს! დიახ, მხოლოდ შევადარე და არა ქართული მწერლობის პატრონ ჟანა დ'არკად გამოვაცხადე, როგორც თვითონ იკასა და კამპანიას გზადაგზა მოჰყუნებებია!

ამის ახსნა-განმარტებას წიგნში ბევრი დრო და ადგილი დავუთმე, ამიტომ ხელახლა გამეორებას არავითარი აზრი აღარ ექნება!

დასასრულ, მკითხველების ყურადღებას მხოლოდ ერთ მიზეზზე გავამახვილებ, რადგან არ მინდა მისი ჯავრი საფლაგში ჩავიყოლო.

როგორც მავანთაგან მოგვრილი „იძულებითი შთავგონებისას“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია გულწრფელად და უანგაროდ ძველი რომის მონათა აჯანყების ბელადს, სპარტაკს შევადარე, ისე ახალდაარსებული ლიტერატურული ჟურნალის „ისინდი“ რედაქტორის, იკა ქადაგიძის მიერ მავანთაგან ნაბურთავები ჩემი კრიტიკული წერილის უსიკვდილოდ გამოქვეყნების პატიოსნური დაპირებით აღფრთოვანებულმა, პრინციპული მანდილოსან-რედაქტორი ასევე სრულიად გულწრფელად და უანგაროდ შევადარე **ჟანა დ'არკს!**

მე კი ასე ვფიქრობ, მაგრამ წიგნიერმა საქართველომ შეიძლება ეს ჩერჩეტულ გაზვიადებად და საფრანგეთის სახალხო გმირის უპატიებელ შეურაცხყოფად ჩამითვალოს! ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია საყოველთაო აღშფოთება თავს ზვავივით დამატყდეს!

მაშინ დანიშნულ დროსა და ადგილას დაუგვიანებლად გამოვცხადდები და ჩემდამი მომართული სახალხო აღშფოთება მხოლოდ ფურთხით რომ იყოს გამოხატული, ღმერთის წინაშე გაუბედურებულ სამშობლოს ვფიცავ, თვით ასეთ განაჩენსაც კი ფეხდგომელა, ხელებჩამოშვებული და თავანული გაუნძრევლად გავუჩერდები! ხოლო თუ გამძლეობამ მიმტყუნა და დავეცი, ანდერძად ვაგდებ - ამას ყურადღებას ნუ მიაქცევენ და ბოლომდე განაგრძონ განაჩენის სისრულეში მოყვანა, თუგინდ ფურთხქვეშ ამომხდეს ჩემი შემოქმედების მანძილზე ლიტერატურული ჯალათებისა და საძრახისი პროტექციით ლიტერატურას ატორლიალებული გონებადახშული როკაპების მიერ განამებული სული.

## ბოლოთქამა

**2021 წლის 26** ოქტომბერს იკა ქადაგიძემ ტელეფონით შემატყობინა: ზეგ, **28** ოქტომბერს, ხუთშაბათს, საღამოს 17 საათზე „კავკასიურ სახლში“ „ისინდის“ ახალი, მე-14 ნომრის განაწილება მექნებაო!

ამ ნომერს განსაკუთრებით ველოდი - მასში ჩემი სტატიაც „**მტკივნეულად თანამედროვე ოვიდიუსი**“ უნდა ყოფილიყო! როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ეს მასალა რედაქტორმა თითქმის ძალისძალად მიმატანინა: მართალია, „ლიტერატურულ მესხეთში“ შარშან დაბეჭდილა, მაგრამ ოვიდიუსი ისეთი ამოუწურავი თემაა, ჩვენი ჟურნალის მკითხველებსაც დააინტერესებთო!

ჰოდა...

შევიძინე დადგენილი წესით გათვალისწინებული ჟურნალის ხუთი ეგზემპლარი (მეექვსე ეგზემპლარი თითოეულ ავტორს საჩუქრად ეძლევა ხოლმე!), მოშორებით გადამჯდარმა სარჩევის მიხედვით მოვნახე ჩემი მასალა და მოულოდნელობამ გამაშეშა!


სტატია მხოლოდ ჩემი გვარ-სახელითა და ჩემეული სათაურითღა ვიცანი: როგორც მე მქონდა, ცხადია, „ლიტერატურული მესხეთიც“ (რედაქტორი **ავთანდილ ბერიძე**) ისე დამიბეჭდავდა, მაგრამ ახლა, წერილის მშვენება, კომპიუტერიდან საგანგებოდ შერჩეული და გვერდიგვერდ მოთავსებული **ოვიდიუსისა** და იმპერატორ **ოქტავიანე ავგუსტუსის** მონუმენტების სურათები სულ გაექროთ და მათ ადგილას ჩაესვათ... აბა, თუ მიმიხვდებით, ვინ, უფრო სწორად, ვისი ფოტოსურათი?! არც მეტი, არც ნაკლები ... თქვენი მონა-მორჩილის აი, ეს ფოტოსურათი!



ოვიდიუსი



ოქტავიანე ავგუსტუსი



ჯემალ მეზრიშვილი

თანაც ვილაც უნიჭო თუ გაბოროტებული პაპარაცოს მიერ ჩემთან შეუთანხმებლად, სადლაც, ოდესლაც, სველ სანვიმარში ქურდულად გადაღებული!.. ერთი ფოტოს ფონს დააკვირდით - ვარსკვლავებით მოჩითული ევროკავშირის დროშის ნაწილი! აბა, სად ოვიდიუსი და სად - ევროკავშირი?!

წერილს ასეთი სათაური ახლავს.

**„მტიკინეულად თანამედროვე ოვიდიუსი“.**

სათაურს კი ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს თვით ოვიდიუსის ფრაზა.

„ჩემი ცოდვა ისაა, რომ მქონდა თვალები“.

რედაქტორს კი აქ თავისით ჩაემატებინა ორი სიტყვა, თანაც სასათაურო ზომის მსხვილი შრიფტით.

**ოვიდიუსი ოქტავიუსი**

მერე ვერც ერთი წყაროდან ვერ მოვახერხე, დამედგინა - ვინ იყო ეს ოქტავიუსი ან რედაქტორმა საიდან გამოიგონა და აქ, ოვიდიუსთან ერთად რისთვის ჩაამატა?!.. ეექვს!..

ოვიდიუსის პოემის „ტროფობანი“ ერთ-ერთი ციტატა, რისთვისაც, ჩემი ვარაუდით, იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა ოცდათხუთმეტი წლის ოვიდიუსი რომიდან შორეული შავიზღვისპირეთის მივარდნილ დასახლება ტომისში (რუმინეთის დღევანდელი ერთ-ერთი ქალაქის, კონსტანცას მახლობლად) სამუდამოდ გააძევა, თვალსაჩინოებისთვის ცალკე აბზაციით, ბრჭყალებითა და ცოტათი მომსხო შრიფტით მქონდა გამოცალკეებული. აი, ასე!

**„ნამდვილი ხეპრე ხარ, თუ შეიმჩნევ მეუღლის ღალატს, ვერ გასცნობიხარ კარგად ჩვენი ქალაქის წესებს!“**

საბედისწეროდ თავგადადებულმა პოეტმა ძღვევამოსილი რომის იმპერიის მარადიულ დედაქალაქს თანამედროვე და მომავალი თაობების თვალში ჩამოურეცხავი ჩირქი მოსცხო - ხელის ერთი მოსმით საღალატო რქების გაუვალი ტევრი დაადგა და ეჭვქვეშ დააყენა ყველა ფენისა და თითოეული ოჯახის ცოლქმრული სინმინდე, ნდობა, ერთგულება!!!

ამას კი ვინ აპატიებდა?!.

იკა ქადაგიძეს კი აელო და ოვიდიუსის პოემის ამ ორად ორი სტრიქონისთვის წაეშალა ბრჭყალები, გაეუქმებინა აბზაცი, ჩვე-

ულებრივი ზომის შრიფტით გადაეწყო და ავტორისეულ თხრობაში გაედგვიფა!!!

ვინ დაიჯერებს, ნებისმიერ რედაქტორს კი არა, თუგინდ უმომავლო გრაფომანს ვერ ეგუमानა წერილის ამ ადგილის ავტორისეული ფორმის ლაზათი და უპირატესობა?!

აქ პირველ რიგში უკიდურესად დამამწუხრა დიდი რომაელი პოეტისა და ჩვენი მკითხველი საზოგადოების ამგვარმა პათოლოგიურმა შეურაცხყოფამ!!! მერედა, რატომ, რისთვის?!

საკითხავი ეს არის! (ივანე მაჩაბელი). თუმც ეს რამ წამომაცდევინა, მაპატიეთ!.. საკითხავი **მხოლოდ** ეს არის! (თემურ ნადარეიშვილი)...

წერილი ასე მთავრდებოდა.

„დღევანდელ მსოფლიოში ნეტავი სადმე თუ მოიძებნება ისეთი ქალაქი, რომლის მაცხოვრებლებიც ღმერთის წინაშე გულზე ხელდადებით დაიფიცებდნენ - დიდი რომაელი პოეტის ეს სტრიქონები ჩვენს ქალაქს არ ეხებაო!

**O, tempora, O, mores!**

**1. (ლათინ.) ვაჰ, დრონი, ვაჰ, ჩვეულებანი! (ციცერონი)“.**

იკა ქადაგიძეს აქაც თავისებურად ეჯალათა: ლათინური გამონათქვამი ხელუხლებლად დაეტოვებინა, მისი ქართული შესატყვისი კი გაექრო, რათა მკითხველების გარკვეული ნაწილი ვერ მიმხვდარიყო და „უვიცი“ ავტორი დადანაშაულებულიყო: ქართულად რას ნიშნავდა ეს ლათინური გამონათქვამი ან ვინ იყო მისი ავტორი!..

ჩემი წერილის ამგვარ წახდენაზე მეტად უფრო მაბნევედა და საგონებელში მაგდებდა მკაცრი სინამდვილე და იკა ქადაგიძის მიერ „თავის“ ჟურნალში დაუსრულებლად გამოთქმული ომახიანი თვითშეფასებები.

აი, თუგინდ ეს მოისმინეთ!

„ჩემი ხანგრძლივი საბრძოლო გამოცდილების მიხედვით მშვენივრად მომეხსენება, „თეთრ ყორანად“ (უნდა იყოს „ყორანად“. ჯ.მ.) სახელდებულ კოლეგებს სანთელივით გაფრთხილება რომ ესაჭიროებათ, (უნდა იყოს ესაჭიროება. ჯ.მ.), გავკადნიერდები და გადაუჭარბებლად ვიტყვი, **ნამდვილად არ მესწავლება“**. („ისინდი, 2021, 13, გვ. 9, პირველი სვეტი).

ამისთანა გამობრძმემდელი რედაქტორი, მაშ, რამ აიძულა, ასე მტარვალურად მოჰქცეოდა ოვიდიუსთან დაკავშირებულ ამ წერილს თუ მის ავტორს - ანდა, ორივეს ერთად?!

ბარემ იკა ქადაგიძის ამ ციტატასაც დაუგდეთ ყური.

„მიმაჩნია, რომ... ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა და გამძლეობა მეთაურს ეკისრება (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ.მ.). მან კოლეგიალობის (უნდა იყოს **კოლეგიურობის**. ჯ.მ.). მაგალითი საქმით ყველაზე ხშირად („ყველაზე ხშირად?!“ „ყველაზე ხშირად“ კი არა, ყოველთვის! ჯ.მ.). უნდა დაამტკიცოს... ეს წინამძღოლის უცვლელი მოვალეობაა. **ეს ჩემი ცხოვრების დევიზია, რისთვისაც არასდროს გადამიხვევია!** („ისინდი“ 2021, 13, გვ. 13, მეორე სვეტი)“.

გასაკვირია, რედაქტორმა ამ თავის საარაკო დევიზს რალა მაინცდამაინც ჩემ მომართ გადაუხვია, თანაც ორჯერ და ზედიზედ!

ო, საქმეში ჩახედულო მკითხველო, ერთი ახლა თქვენს გულში ჩამახედა და მეტი არაფერი მინდა!..

ჟურნალის მე-13 ნომერში ჩემი ნოველის, „**დროის პერიოდები**“ ჰუსარული აჩეხ-დაჩეხით გამონვეულ გულისტკენას ჯერ არ გაეგლო, ახლა კიდევ მომდევნო, მე-14 ნომერში, თანაც ოვიდიუსთან დაკავშირებული უკადრისი ხიმანი!.. ყველაფრიდან ჩანდა, ეს ასე გაგრძელდებოდა თუ... ამიტომ მკაცრად ვიკითხე - ეს ყველაფერი რით იყო გამონვეული?

ჩემი აზრით, ახლა უმთავრესის - იკა ქადაგიძის მაშინდელი მზერა-გამომეტყველების გადმოცემას რომ შევუდგე, მერე იქნებ ბრალი დამდოს - სინამდვილე დაგიმახინჯებია ან გაგიზვიადებიაო!

არ დავიჟინებ, შეიძლება მართლა ასე გამომივიდეს, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, როგორ დავამტკიცო ჩემი სიმართლე?! ამიტომ მხოლოდ რედაქტორის ნათქვამ ფრაზებს გავიმეორებ, ვინაიდან ამის მოწმე ყველა იქ დამსწრეთაგანია!

- იმიტომ რომ, როგორც რედაქტორმა, მე ასე ჩავთვალე საჭიროდ! - მეჩვენებოდა, იკა ქადაგიძე მე კი არ მპასუხობდა, „კავკასიური სახლის“ აივნის სვეტებს ელაპარაკებოდა, - ვისაც ჩემთან მუშაობა აღარ უნდა... მე სახვეწნი არავისთან მაქვს... შეუძლია, ახლავე წავიდეს!

მეც ავდექი და წამოვედი.

## სარჩევი

ცოტა რამ ავტორზე	3
თავი პირველი	11
თავი მეორე	42
თავი მესამე	79
თავი მეოთხე	89
თავი მეხუთე	122
თავი მეექვსე	181
თავი მეშვიდე	212
თავი მერვე	360
ბოლოთქმა	369





მე არც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური  
ვარ, მხოლოდ ვიცი, რომ მამელუკი ვარ!  
უიარალო, „მამელუკი“

ლიტერატურულმა სატანჯველმა  
მეც დაახლოებით ამ დღეში ჩამაგდო:  
ალარც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური ვარ,  
მხოლოდ ვიცი, რომ ქართული მწერ-  
ლობის ერთ-ერთი რიგითი მამელუკი  
ვარ და სანამ ძალი მომდევს, მისი სი-  
წმინდისა და სამართლიანობისათვის

უნდა ვიქნო ჩემი სადა ხმალკალამი! მაშ, მომისმინეთ!

2021 წლის ივნისს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში აქამდე  
გაუგონარი, დაუჯერებელი, წარმოუდგენელი, გამარინდებელი,  
ალსაშფოთებელი და დასაგმობი რამ მოხდა: ოთხი წლის ლიტერა-  
ტურული ჟურნალის, „ისინდი“ რედაქტორმა, იკა შლვას ასულმა ქა-  
დაგიძემ (დაბადებული 1972 წელს) ამავე ჟურნალის მე-13 ნომერ-  
ში გამოქვეყნებულ თვის ოცგვერდიან წერილში „ისინდის (უნდა  
იყოს „ისინდის“. ჯ.მ.) ვირტუალური გვერდების ქრონიკა“ მთელი  
საქართველო მკაცრად გააფრთხილა, ქართველ მწერლებს კი ფეხი  
მუქარით დაგვიბაკუნა - არაფერი შეგეშალოთ, იცოდეთ, მე ბასრი  
კალამი მაქვსო!!!

ასე რატომ ჩაგეცინათ - არ გჯერათ?! აჰა, თქვენც მოუსმინეთ!